

ლადო კობახიშვილი

# კეთროვნება ზღაპრები



ლადო კოძეიშვილი

# კეთროვანთა ზღაპრები



გამომცემლობა  
ინდიელი

მთავარი რედაქტორი  
ზაალ ჩხეიძე

რედაქტორები:  
გიგნი სორნაული  
მანანა ჯანელიძე

კონსულტანტი:  
დოდო გაბედავა

ნიგნი გამოსაცემად მოამზადეს  
ნანა კოტიტიშვილი  
ნათია სორნაული

დამკაზადონებელი  
ლიკა სხირტლაძე

ტექნიკური რედაქტორი  
ნინო ზურდული

გარეკანის დიზაინერი  
მამუკა ლანდია

*ნიგნი გამოიცა შვილიშვილის – ნათია სორნაულის ხელშეწყობით*

ISBN 978-9941-476-94-5

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2018.

„ქვაზე ნაქანდაკებ ასოებივით გამძლეა ფიქრები შორეულზე...  
სულ მუდამ უნაპიროა, როგორც პირველყოფილი სევდა.  
სევდა ლოცვებში დარწმუნული თუ აელვარებული.  
თუ შორეულ ნაპირივით გაშლილი...  
ძნელად სათქმელი სიტყვები ჯამბაზობენ ამ ქვეყნიდან  
იმ ნაპირამდე, იმ ნაპირიდან ზეცამდე თუ ღმერთამდე?  
ალბათ ზეცამდე“.

**ლადო კოტეტიშვილი „კეთროვანთა ზღაპრები“**





ლადო კოტეტიშვილი



Ը Կ Վ Ո Ւ

1939

20574

Դժուարե՞նք շնորհ! Արձա՞ շտեղծելով կի՞ն  
 սձձսն - Ձ շտխաս շտ, ետձ ոյն բձձղտրդտ  
 րձ ըօրտոյ տոձլտ հտձեեոե Ձղը Ձղ Ձոթե  
 սխզիե Ձոշլլա. ես չո յոե կիձձ շտձձո  
 թեղտձիոն րձ սրձաւտն յե Ծ Կձ րձիլ,  
 ձ իշլլոսձձ. յե ոձոթձ չո յո հտձ սե կեյ-  
 տո Ձոտօրիկձրե, սե եսեոեե, սե չլոտրոյ-  
 էձ - Լեյտու րոյ յո. Ձ ջլոտոմ թ Ձեւտ  
 ջոյե սրձոսե Լեյտո՞ձոն, ետձիլ Ձիլ  
 սձձղտաե յոթս, ձ. ետձոտոյ Ձոտոյ Լեյտ-  
 րոե հտձ րձձիլ, թեոձրոս ոեյ իւձիլ,  
 հտձ սխձլ ալ սե շտղը, յեո թոշոտ  
 յե իլլոտ - Լեյտ? ոձոթ-ձ եւ Լեյտա ոլ  
 իլլոտ իլլո. սրձոսեոյ ոեյ Լեյտա Կձրոյ  
 սձձղտո, հտձ Լեյտո ձեոձիլ ձեոյ սե  
 Կձրո ոձեւե Կիլ յեո. թոշոտ շե-  
 ձեո րձ թեղեձե յե Կձրո րձձիլ - ձիլ  
 յե Կձրո շոձիլ, <sup>Կիլ Կձրոյ</sup> Լեյտոյ թեոտ րձձիլ  
 յոձոտն. աեիլ ետ ոյն շոձիլ թոշոտ





## წი ნ ა თ ქ მ ა

ლადო კოტეტიშვილს ქართული საზოგადოება იცნობდა როგორც პრაქტიკოს ექიმს, ნევროპათოლოგს, ძველი ქართული კარაბადინების პირველ გამომცემელს, რითაც მან ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებლის სახელი დაიმკვიდრა. ეს წოდება დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მიანიჭა მას, როდესაც ლადო კოტეტიშვილმა გამოსცა შუა საუკუნეების სამი უძველესი ძეგლი – „**უსწორო კარაბადინი**“ (X ს.), „**ნიგნი სააქი-მოა**“ (XIII ს.) და „**იადიგარ დაუდი**“ (XVI ს.) სრული მეცნიერული აპარატით, ვრცელი წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და საძიებლით.

ლადო კოტეტიშვილი, როგორც მწერალი ქართულმა საზოგადოებამ მოგვიანებით გაიცნო, როცა მისი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ 2012-13 წლებში. ჟურნალის რედაქტორის ბატონ ზაალ ჩხეიძისათვის, როგორც თავად აღნიშნავს, ეს იყო ნამდვილი აღმოჩენა.

ოჯახის წევრებისთვისაც კი გვიანობამდე არ იყო ცნობილი მისი ლიტერატურული გატაცების შესახებ, თუმცა ხედავდნენ, რომ ლადო თავისუფალ დროს სამუშაო კაბინეტში იკეტებოდა და წერდა. თავისებური კაცი იყო, როგორც ჩანს, საიდუმლოდ წერდა და გამოქვეყნებას არ ფიქრობდა. თავის მოთხრობებში მან გამოხატა კომუნისტური რეჟიმის მთელი სიმძიმე. ის წუხდა იმ სატკივარზე, რისი გამჟღავნებაც, მაშინ აკრძალული იყო.

ცხოვრებას იმედგაცრუება და შეზღუდვები მოჰყვა. სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონდა და წერა დაიწყო. აი, სწორედ

ამ დროს მიმართა მხატვრულ პროზას, როგორც გადარჩენის ერთადერთ გზას. სეზამის კარი თამამად შეაღო და ამღვრებული რიტმიული პროზა, საოცარი მეტაფორული აზროვნება, მისი მხატვრული სამყარო, პიროვნების თვითგამოხატვის საშუალებად იქცა.

ლადო კოტეტიშვილი მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი იყო: წერდა მოთხრობებს, ოთხი რომანის ავტორია, ხატავდა, ძერწავდა, აკეთებდა აპლიკაციებს. მამა მოქანდაკეც იყო. მან გამოაქანდაკა დედაჩემის ბებია – **მანანა ჭავჭავაძე**, ჩემი უფროსი დით, **იათოთი ხელში, მელანქოლიკი, ვაჟა-ფშაველა** და სხვა. ვაჟა-ფშაველას ნეშტთან ქაშუეთში მამამ ღამე გაუთენა, თავის მეგობარ, ცნობილ ხელოვნებათმცოდნესთან და პოლიგრაფისტთან, ბენო გორდეზიანთან ერთად. მამამ იქ ჩანახატი გააკეთა. სახლში დაბრუნებისას კი გამოაქანდაკა. დღეს ვაჟა-ფშაველას ეს ბიუსტი ლიტერატურის მუზეუმში ინახება. ჩვენს ოჯახს შემორჩა მისი რამდენიმე ნახატი, მათ შორის ავტოპორტრეტი, 4 წლის შვილის **ნანას** პორტრეტი, მისივე ფერადი ფანქრებით დახატული, ძმისშვილის **მანანას** პორტრეტი, სტუდენტობისდროინდელი მეგობრის – **ტიტე ღლონტის** პორტრეტი და სხვა. ჩვენს ოჯახში დიდხანს ინახებოდა მამას მოლბერტი.

ლადო განტვირთვისთვის წერდა, ასე ეუბნებოდა ის თავის მეუღლეს – **ნინო მაყაშვილს**.

მამამ სიცოცხლის ბოლო თვეები ლენინგრადში გაატარა, სადაც სანჰიგიენური ინსტიტუტიდან მივლინებული იყო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულ უძველეს ქართულ სამედიცინო ხელნაწერებზე სამუშაოდ. იქ მან აღმოაჩინა X საუკ. მნიშვნელოვანი უძველესი ხელნაწერი „უსწორო კარაბადინი“. აღიარებულია რომ ეს ძეგლი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მედიცინის ისტორიისათვის.

ლენინგრადიდან მამა დასნეულებული დაბრუნდა და 1940 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა 45 წლის ასაკში. მას დარჩა მეუღლე **ნინო მაყაშვილი** და სამი შვილი: **იათამზე (იათო), ელისო** და **ნანა**. დედა იყო თავად გენერალ-მაიორ **სოლომონ მაყაშვილის** ასული,

პოეტ **კოტე მაცაშვილის** ძმისწული, სამშობლოსათვის შეწირული **მარო მაცაშვილის** მკვიდრი ბიძაშვილი და ბიძაჩემის იუნკერ **მიშა მაცაშვილის** და, რომელიც გმირულად დაეცა ბოლშევიკებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს. ის იყო პირველი მსხვერპლი 1920 წლის 2 მაისს, გენერალ კვინიტაძის იუნკერთა სასწავლებელზე თავდასხმის დროს.

ლადო კოტეტიშვილი ახალგაზრდა, 45 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან (1895-1940 წწ.). ჩვენ კი დაგვრჩა მისი შემოქმედება, მისი ნაწარები, რომელიც ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის, როგორც ექიმის თვალთ დასახული იმდროინდელი სინამდვილე.

მამას ყველა მოთხრობა და ჩანახატი ეხება ჩვენი სამშობლოს იმ ავბედით წლებს, „ახალი ცხოვრების დამკვიდრებას საქართველოში, რომელმაც ჩვენ ქვეყანას დიდი ტკივილი მოუტანა: „გოჩმანა“, „საგვიყუთში“, „ფარნა“, „კეთროვანთა ზღაპრები“, „გველიანდარის მოდგმა“, პიესა: „მზისავარ“, ნარკვევი: „აჭარაში“ და სხვა.

როცა შვილები წამოვიზარდეთ და გავეცანით მის მოთხრობებს, დავინახეთ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ჩანაწერები. ეს იყო სერიოზული, სამშობლოზე მძიმედ დაფიქრებული ადამიანის სულის ამოძახილი. მისი თითოეული ფრაზა, თითოეული სახე თავისთავადია.

ლადო წერდა „თავისთვის“, რადგან „უიდეო“ ნაწარმოებებს კომუნისტების დესპოტურ ხანაში არავინ დაუბეჭდავდა. და თუ „**კეთროვანთა ზღაპრების**“ და „**საგვიყუთის**“ სიმბოლიკას გაშიფრავდნენ, გაუყენებდნენ თავისი სახელოვანი ძმის, **ვახტანგ კოტეტიშვილის** გზას. ვახტანგი იყო ქართული ფოლკლორის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი და ასევე დიდი ნიჭით გამორჩეული პიროვნება: მოქანდაკე, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. მისი ტრაგიკული აღსასრული 37-იან წლებში ლადოს შემოქმედებაში სიმბოლოურად აისახა და განსაზღვრა მხატვრული სამყაროს ტრაგიკული ხასიათი.

**ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილების** თაობამ, რუსეთის

წითელი იმპერიის ბატონობის წლებში, როდესაც შეზღუდული იყო თავისუფალი აზროვნება, იდეებობდა ქართული სიტყვა, დიდი მისია იკისრა – ქართული კულტურის გადარჩენა. ალტკინება, თავდაუზოგავი შრომა, საქმის ფანატიკური სიყვარული, ახალი გზების ძიება, თავგანწირვა – იყო ის გზა, რომელიც უნდა გაეფლო ქემარიტ ქართველს. გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც რწმენით, სიცოცხლის ფასად ახალი სიტყვა თქვეს მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში. გადარჩა ქართული კულტურა, გაუძლო დროთა ბრუნვას. იმ თაობის თავგანწირვამ გადაარჩინა, დიდ საქმეს საფუძველი დაუდო და გასაგრძელებლად დაუტოვა შთამომავლობას.

ნანა კოტეტიშვილი

## ლადო კოტეტიშვილი – მეოცე საუკუნის უცნობი სული ქართული ლიტერატურისა

გალაკტიონი ამბობდა, მწერლობა ნიჭიაო.

ჰემინგუეი ამბობდა, სხვებიც ამბობდნენ, შრომაც არიო, დიდი და დამლელი შრომა, გამომქანცველი.

ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ გამართლებაც არი მწერლობა, რადგან დადგება ხოლმე, ისე მოიტანს ნუთისოფელი, დადგება ხოლმე დრო, ეპოქა, ათწლეული ან ლამის საუკუნე, რომ მწერლობა, პატიოსანი და ჯიუტი კაცისთვის, გამართლებაც არი. გამართლება არა მსოფლიო სახელის მოხვეჭისა, ბევრს როდი ერგო ეგ პატივ-სას-ჯელი, არამედ უბრალოდ მარტივად, მკითხველის ყოლისა, თუნდაც ერთისა და ორისა და სამის.

ახლა, აბა, ვინ დათვლის, რამდენი წიგნი გამოდის ყოველ-დღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად. მგონი შარშან წავიკითხე, მხოლოდ საქართველოში იმდენი წიგნი დაიბეჭდა, მსოფლიოს ბევრად ცივილიზებულ, ბევრად წინ წასულ ქვეყნებს გადავასწართო. ოღონდ ლადო კოტეტიშვილის წიგნი კი აქამდე არ გამოსულა. ჩვენ, ქართველმა მკითხველმა, საერთოდაც, ლამის და მგონი, თუ სწორად მახსოვს, 2012 წლამდე ისე ვიცხოვრეთ, ისე მოვინელეთ მეორე მსოფლიო ომიცა, ბრეჟნევიცა და ხრუშჩოვიც და შევარდნაძეც და დამოუკიდებლობაც და კიდევ ომები, მთლიანად თუ სანახევროდ სამოქალაქოც, რომ არ ვიცოდით, არ წავგეკითხა კი არა, არც გაგვეგო, თუ არსებობდა კაცი, მეოცე საუკუნის ოციანებში მწერლობას შეჭიდებული და იქვე, ოცდაათიანებში მორჩენილი. სულ

15 წელიწადში თავსდება ლადო კოტეტიშვილის პროზა. 70 წელს გადამცდარმა უმბერტო ეკომ იხუმრა ერთხელ ლექციაზე სტუდენტებთან, ეგრე ბებერ კაცად ნუ მიყურებთ, მე მწერლობა სულ ოცდახუთიოდე წლის წინ დავიწყე, ამიტომაც მწერლური საზომებით ძალიანაც ახალგაზრდა გამოვდივარო. ლადო კოტეტიშვილიც ეგეთი „ახალგაზრდა“ ავტორია.

უნდა მოვყვე, როგორ ჩამივარდა პირველად ხელში მისი ტექსტები. პირველად როგორ დავიბენი და არ დავუჯერე საკუთარ თვალებს. ვაკეთებდით მაშინ ჟურნალს, ახლა უკვე გაუქმებულს, დახურულს, მაშინ მოქმედს და ყოველთვიურს. ვფიქრობ, იოლი წარმოსადგენია, ერთი ბენო ქართული რედაქცია, სულ ხუთიოდე თანამშრომლით და ორასგვერდიანი ჟურნალი, ამიტომაც ლამეების თენებაც ხშირი იყო. მოკლედ, ეგეთი დროა, ვუშვებთ ახალ ნომერს ჟურნალისას, გავდივართ ბოლოში, ცოტაც და დაკაბადონდება, მერე ამოიბეჭდება, მერე ისევე წაიკითხება, მოკლედ, ამ ამბავში ვართ. ჰოდა, ვაკეთებ რალაცას მე, ვზივარ მაგიდასთან, თან ვკითხულობ, თან ვბუზღუნებ. ჰოდა, მოვიდა, ქალბატონი მანანა, ჟურნალის რედაქტორი და მეუბნება, ხელნაწერები მოიტანესო, ერთი ესაო და ერთიც სხვაო და მითხრეს, წაიკითხეთ და თუ მოგეწონათ, ეგებ დაბეჭდოთ კიდევო. ის პირველი ვიცოდი, რაც იყო, ვისიც იყო და კი მეთქი, კარგია, მშვენიერია-მეთქი. ამ მეორეს კიდევ სახლში წავიღებ, ახლა არ გამოვა თვალის გადავლება-მეთქი. თურმე რა არ გამოვა. წავიღე და გადავშალე, ორი დღის მერეღა გადავშალე, მგონი. გადავშალე და დავრჩი ეგრე, როგორც იტყვიან ხოლმე, გაღიმებული. „გველიანდარის მოდგმა“ გადავშალე. ჟან ჟენე იგონებდა, ციხეში პრუსტის წიგნი რომ ვნახე, ავიღე და პირველივე გვერდის წაკითხვის მერე დავკეცე და დავდე, ვიცოდი ანი და ანი სულ უკეთესი და უკეთესი იქნებოდაო. მე ეგრე არ მომსვლია, პირიქით, როგორც რალაც ზღაპრულს, ისე გავყევი მაშინ და არ გვჯეროდა არავის მთელ რედაქციაში, მთელ რედაქციაში რა, ხუთ კაცს, არ გვჯეროდა არავის, რომ შეიძლებოდა, თურმე, ყოფილიყო მწერალი, ქართველი და ჩვენ არ გვცოდნოდა, ამოდენა მწერალი ყოფილიყო,

ასეთი ცნობილი ოჯახის კაცი ყოფილიყო, და ჩვენ არ გვცოდნოდა, რომ მწერლობდა. მერე გავიგეთ რატომ, მერე რა, ნაკითხვისთანავე გავიგეთ რატომ, აბა, ვინ დაბეჭდავდა მაშინ ამაებს, მაშინ ხუთნლედის გეგმა უნდა შესრულებულიყო, მაშინ სიგიჟეების ადგილი ძალიან ნაკლებად იყო დარჩენილი მწერლობაში, განსაკუთრებით პროზაში, მაშინ მაქსიმ გორკობა უნდა გაენია მწერალს, ეგრეც არ გამოუვიდა ქართველთაგანს ეგ არც ერთს, მაგრამ ხომ წერდნენ, არაგვის დაგუბებაზე, ზაჰესის მშენებლობაზე, კოლმეურნეობებზე, დიდ სოციალისტურ გამონვევებზე. წერდნენ, როგორ არა, მაგის მეტს რას წერდნენ, ზოგი ახდილად და ცხადად, სხვანი შეფარვით და იდუმალ. ოღონდ მაშინვე მივხვდით, ასეთი გადარეული, ამბოხებული, მძლავრი, არაფერი არ უნახავს ქართულ მოდერნიზმს. დიდი ქართული სახელები უნახავს და განუცდია საკუთარ ტყავზე, მაგრამ ამგვარი, ზოგჯერ მანიაკალური შემლილობა, ამგვარი ენა და სცენოგრაფია, ნაკლებად. და თან მარტო ქართულ მოდერნიზმს კი არა, ზოგადადაც ცოტას თუ გამოუვა ხელიდან ეგრე მითოსური, ზღაპრული და თან დამადამბლავებელი ტექსტები.

ოდესმე, როდესაც ლადო კოტეტიშვილზე მონოგრაფიები დაიწერება და აუცილებლად დაიწერება, ლიტერატურის ისტორიკოსები იტყვიან, რომ იგი, განსაკუთრებით თავის მოთხრობებში, მიაგავს მიხეილ ჯავახიშვილს და უეჭველად განიცდის მის ზეგავლენას, როგორც მწერალი. ხოლო ენის თვალსაზრისით, უფრო ახლოს კონსტანტინე განსახურდიასთან და, ალბათ, გრიგოლ რობაქიძესთან დგას, მწერლებთან, რომლებიც ცდილობენ ენა მხოლოდ კომუნიკაციის, ამბის გადმოცემის საშუალებად კი არ აქციონ, არამედ თავისათავად სხეულად, მიანიჭონ მას რაღაც ატავისტური, მხოლოდ სული და ჰაერი კი არ დატოვონ მასში, არამედ ხორციც შეაბან. დიახ, ასეთია ლადო კოტეტიშვილი, დაკარგული ქართველი მოდერნისტი. დავიწყებული ქართველი მოდერნისტი. მწერალი, რომლის სახელის გარეშეც ამიერიდან ვეღარასდროს ვეღარ დაიწერება ვერც ერთი წიგნი ქართულ მოდერნიზმზე. ქართველი სიმბოლისტი პროზაიკოსი.



სიმართლე თქვას კაცმა, ორიოდ გამონაკლისის გარდა, აი, მაგალითად, „გომანას“ გარდა, ლადო კოტეტიშვილის მოთხრობები, რომლებიც მე წამიკითხავს, და მინდა ვუთხრა, პატივცემულ მკითხველს, რომ სრულად, ყველა ეს მოთხრობა არც არავის წაუკითხავს, რადგანაც დღემდე პატიოსნად განისვენებენ ისინი არქივში და ციფრული ვარიანტი მათი ბუნებაში არ მოიპოვება, არადა, ლადო კოტეტიშვილის ხელნაწერი ისეთია, უცები კაცი იოლად ვერ აუღებს ალღოს. მოკლედ, რაც წამიკითხავს, მის მოთხრობათაგან, იქ ამკარად ეტყობა მწერალს, რომ ცდილობს კბილი მოუსინჯოს ამბავს, კბილი მოუსინჯოს საკუთარ ნიჭს, შესაძლებლობებს და ფრთხილად გაყვეს ხაზს, ზედმეტი გადარევის გარეშე. აი რომანებში კი, გინდ მცირე რომანები დაარქვან იმათ და გინდ მოდიდო, ავტორი მთლიანად აიყრის ხოლმე ტანს. შეიშლება, გაიფაფრება და აღარც საკუთარი თავი ახსოვს და აღარც მკითხველი. სცენებს, რომლებსაც მწერალი გადაგყრის, შესაძლოა გვარიანი უხერხულობაც ახლდეს თან, რადგან მსგავსი რამ, თითქმის არ გვინახავს ჩვენ, არ წაგვიკითხავს, არ მოგვლანდებია, ჩვენ, ქართველ მკითხველს. ვინ არიან მისი პერსონაჟები? ხან უპატრონონი და ქუჩის გლახები, ჩამოგდებულ, გაპარტახებულ სიონის ზარს რომ უპანაშვიდებენ თუ უჭირისუფლებენ, სიმდიდრით, სიცხითა და ძალაუფლებით შეშლილი ქურუმები, კეთროვანები, მკურნალს რომ მიელიან, მრუშები, საკუთარი სხეულის ფსკერზე რომ იწვიან, შეშლილები, საგიჟეთის კედლებს რომ შერჩენიან. აი ამ საგიჟეთის ისტორიებზე გამახსენდა, სიტყვამ მოიტანა – შეშლილი ქართველი ქალი – ოთხმოცი წლის წინ, როგორ, საიდან, რატომ დაიბადა ეგ ხატი. ოღონდ დაიბადა მხოლოდ ფროიდისტულად, მხოლოდ ფსიქონალიზით, მხოლოდ საკვლევად და დასაფიქრებლად. არადა, სულ ღვთისმშობელი და თავსაფრიანი დედაკაციო, გავიძახით ჩვენ და უცებ, სულ სხვა სიგიჟე, სულ სხვა ცეცხლი თუ პირიქით, სიმქრალე ამ ცეცხლისა.

ლადო კოტეტიშვილთან არ არის ცალკე ხორცი და ცალკე სული, მისი პერსონაჟები ატავისტურად, პირველყოფილად სრულნი არიან, ჯანმრთელები თავიანთ უბედურებაში, მარცხში და შეშლილობაში.

გულწრფელები სამყაროსთან და გაოგნებულები ცოტაოდნავ, როგორც ენქიდუ განკაცებამდე.

ის ნაწარმოებები, რომლებიც ახლა, ამჯერად, კიდევ კარგი, როგორც იქნა დაიბეჭდება, მხოლოდ მცირე ნაწილია ქართული მოდერნიზმის ამ დიდი ჯადოქრის შემოქმედებისა. იმედია, დანარჩენიც იქცევა მალე წიგნად, დანარჩენი, ზოგი უკვე 2012-დან 2015-მდე ჟურნალში ალაგ-ალაგ გამოქვეყნებულიც და არქივში მტვერდაფენილიც. რომ მკითხავენ ხოლმე, ვის გავსო, ვის გავსო, ეს კაციო, ჩვენ, ადამიანებს, ხომ გვიყვარს ნაცნობი სიდიდეებით ვზომოთ და ვწონოთ უცნობი შეშლილები, არადა, ბოლო სამი საუკუნეა, ეგებ იქამდეც ეგრე იყო, მაგრამ იქამდელის, აბა, რა მოგახსენოთ, ჰოდა, ბოლო სამი საუკუნეა, საუკუნეში თითო კაცი (ეგებ მეტიც, მაგრამ ჯერ დამტკიცებულად თითო) გადაგვივარდება ხოლმე ისტორიის ოკეანეში და მერე სულ შემთხვევით ამოგვიტივტივდება, ამოგვიტივტივდება და ეგრე გამოდის როგორღაც, რომ ეგ ამოტივტივებულები მეტისმეტად დიდებიც არიან იმ თავის წინ წუთისოფელში, გურამიშვილზე ვამბობ და ბარათაშვილზე. ჰოდა, როცა მეკითხებიან ხოლმე, ვის გავსო, ვის გავსო, ეგ კაციო, ეგრე ვპასუხობ, რომ მე მგონია, ლადო კოტეტიშვილი ყველაზე მეტად დავით გურმაშვილს გავს და სწორედაც რომ ის არის მეოცე საუკუნის უცნობი სული ქართული ლიტერატურისა, ბედის უკუღმართობით თავისი სამზეოდან ამოგლეჯილი და ბედისსავე წყალობით, აგერ, საჩვენოდ, მომავალში გადმოსროლილი.

ზაალ ჩხეიძე

## ლადო კოტეტიშვილი პიროვნება და შემოქმედი<sup>1</sup>

*„მიჰქრიან საუკუნეები,  
მიჰქრის დაუნდობელი ბედისწერა,  
ვინ შეაჩერებს ამ ქროლვას უნაპიროს...“*

**ლადო კოტეტიშვილი**

„ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კაცობრიობა ჰქა-  
დულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ  
და არა ვისიმე სხვისაგან, ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე  
ყველა უნებლიეთ თავს იხრის მონინებით“ – (ილია ჭავჭავაძე).  
სწორედ ასეთი იყო ლადო კოტეტიშვილი – მტკიცე ხასიათის,  
პრინციპული, მაღალი ზნეობის. „ადამიანი ისე სწორად უნდა  
იყოს აშენებული, რომ რანაირ პირობებშიც არ უნდა იბრუნოს,  
არცერთი ნაკვთი გონებისა და ზნეობისა არ უნდა გაიბზაროს,  
მაგარი უნდა იყოს, როგორც ძველი დამასკის ქაშანური“ (მეგობ-  
რისადმი მიწერილი წერილიდან).

პროფესიით ექიმი იყო, ნევროპათოლოგი, ქართული მედი-  
ცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი... ჭეშმარი-  
ტი ქართველი. ქართული გარეგნობითა და ხასიათით. მაღალი,

---

<sup>1</sup> ამონარიდი ნ. ხორნაულის წიგნიდან „ქროლვანი უნაპირონი“. 2002 წ. თბილისი, გამომცემლობა „ენა და ლიტერატურა“, გვ 10-28.

ახოვანი, შავგვრემანი, ღრმა, უძირო, შავი თვალებით, ვაჟკაცური იერ-სახით და კუშტი გამოხედვით. საოცრად მეტყველი სახე ჰქონდა, ჭკვიანური, დაფიქრებული.

„...დაბერცილ და დაცარიელებულ ჩონჩხის მეტს მე მინას არაფერს მივცემ. რაც კი არის ჩემში გონებრივი, ზნეობრივი თუ ადამიანური, აქ უნდა დარჩეს, ამ ქვეყანაზე. ეს იმიტომ კი არა, რომ ან სახელი მაინტერესებს ან ხარისხი, ან კეთილდღეობა – სრულიადაც არა. მე ვცდილობ მხოლოდ, ვიყო ადამიანი, სრულქმნილი, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკება, რომელიც მაღალ კლდიდან რომ დააგორეს, ძირამდინ ისე ჩაგორდა, რომ არამც თუ არ გატყდა, ერთი ნაკვთიც არ შეშლია – რატომ? იმიტომ, რომ სწორედ იყო გაკეთებული... აი, ეს არის მიზეზი ჩემი წყვეტებისა კუთხიდან კუთხემდე. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“. – ასე თქვა პოეტმა – ჭეშმარიტებაა სრული“ (ლადო კოტეტიშვილი).

ლადო კოტეტიშვილი თავის თავში იტევდა მთელ იმ ტრაგედიას, ახალმა დრომ რომ მოიტანა. პირქუში, მდუმარე კაცი იყო, არ უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი, მეგობარიც ცოტა ჰყავდა. თანამედროვეთა ასეთი ხუმრობაც არის შემორჩენილი, თითქოს ლადო მხოლოდ სამ ადამიანს ესალმებოდა – უახლოეს მეგობარს – ბენო გორდეზიანს, ფერშალ გრიშა ხახანოვს, რომელიც წლების მანძილზე მასთან თანამშრომლობდა, მისი მარჯვენა ხელი იყო, და მეარლნე სიკოს, თავის პაციენტს.

ეს თავისებურება იმ მძიმე ცხოვრების შედეგი იყო, საქართველოში და, კერძოდ, თბილისში რომ დაისადგურა რუსეთის ნითელი იმპერიის ბატონობის წლებში. სილაღე და სრული ბედნიერება მოაქვს საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას, ხოლო, როდესაც სამშობლოს დათვის მძიმე ტორი ადევს, მხიარულად მხოლოდ მედროვენი არიან...

ლადოს, ამ გულჩათხრობილ კაცს, დიდი ნუხილი მძიმე ტვირთად აწვა, თუმცა მის ძლიერ პიროვნებას ადვილად ვერავინ

დააჩოქებდა. ასეთებისთვის უფრო ძნელია მკაცრი, ულმობელი სინამდვილის ატანა... „დევის ნაბრძოლზე დათხრილი და დაცარიელებული ადგილია რჩება – სხვა არაფერი, და ნამუხლარი, თუ სადმე წაიჩოქა“ – წერდა იგი.

ლადო კოტეტიშვილის შემოქმედებითი ნიჭი და ბოხოქარი სული ერთი პროფესიის საზღვრებში ვერ ეტეოდა და ამოხეთქვას ლამობდა. წერა დაიწყო. მისი მთავარი სანუხარი, საფიქრალი იყო სამშობლო, ძველი და ახალი თბილისი – ყველაფერი ქართული... ისიც ფიქრობდა და ქალაქზე გადაჰქონდა თავისი განცდები. ბევრი მოთხრობა და ჩანახატი ეხება იმ ავბედით წლებს, რომელმაც საქართველოს დიდი ტკივილი დაუტოვა – **(„გოჩმანა“, „საგიჟეთში“, „ფარნა“, „კეთროვანთა ზღაპრები“, „ღვთის სახელით“, „გველიანდარის მოდგმა“, „ქროლვანი უნაპირონი“, „მიმქრალი ჩრდილები“, „მზისავარ“** და სხვა.). ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ოჯახურ არქივში ინახება და, სამწუხაროდ, დღემდე უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის... გთავაზობთ ნაწყვეტს მოთხრობიდან „მიმქრალი ჩრდილები“:

„თქვენ, ალბათ, გინახავთ ძველი ალბომი. დანგრეულ და გარდასულ დროთა მატთანე. ძველი ტაძრის სიჩუმე და ბურუსი გიგრძენიათ, ალბათ. დაჟანგებულ და ჩაყვითლებულ ყდისთვის გიხლიათ როდისმე ხელი. ნოტიო აკლდამის სუნსაც იგრძნობდით უთუოდ, ნუშის ზეთის სუნსაც, რომელიც მუდამ სდის დაფშვნილ და დაცარიელებულ სიცოცხლეს... მეტად უცნაურია სურათების დალაგება ძველ ალბომში... შაქარმოყრილი სახეები – როგორც ყვითელი სანთლის ნამწვავები, მიკრული და დავინყებულები ძალიან შორს გადასულ სალოცავის კედლებზე... ტფილისიც ისეთია, როგორც ძველი ალბომი... დანგრეულ და გარდასულ დროთა მატთანე. ძველი ტაძრის სიჩუმეს და ბურუსს იგრძნობთ მუდამ, თუ გაჰყვებით შუა ბაზრის ვინრო ფოლორცს. ქუჩები აქ ბებერ ვაზის ტოტებივით არის დაგრეხილი, დაწნული, დაჟანგებული და ჩაყვითლებული. სახლები ასე წლის მოხუცებულებივით

სხედან ამ ქუჩებზე და სთვლემენ... სახლი თუ ორსართულიანია, მეორე სართული შიშით და კანკალით ზის პირველ სართულზე და ტოკავს. წელში მოღუნულ ბოძებს გაჭირვებით უჭირავთ გაზმორებული აივნები. ქუჩები ბებერ დედაკაცის თითებივით არის მოკაკული, მოღუნული, აკანკალებული. საკვირველია, ძველ ტფილისში ქუჩას ბოლო არა აქვს, თუ ქუჩა თავდება, იქ ტფილისიც თავდება. ნარიყალაზე წყალი რომ დაასხათ, მთელ ქუჩებს შემოირბენს ეს წყალი და სიონთან ჩამოვა. ასე გამორბის ყოველი ქუჩა სიონისაკენ. ალბათ, უნინ სჯეროდათ, რომ დიდი წყალობა რაღაც ჩამოიღვრებოდა ნარიყალადან სიონზე და ისე ალაგებდნენ ქუჩებს და სახლებს, რომ ეს წყალობა ყველა ოჯახს რგებოდა, იმიტომ თუ ეკვრიან სახლები ერთმანეთს, ვინ იცის... ნარიყალა და სიონი ორი ურყევი ბოძია, რომელთა შუაჯ ქანაობს შნო და ადათი ძველი ტფილისის...”

ძველი თბილისი მრავალი შემოქმედის შთაგონებად იქცა – ნარიყალა და სიონი, ძველი უბნები და ძველი ყოფა, რომელშიც თითქოს წინაპართა სულია ჩაქსოვილი, დიდი სიყვარულითა და სასოებით არის შექმნილი.

„... აი, აქ, ამ ტფილისში, მეტისმეტი სიბერით აკანკალებულ სახლებს შუა, მედგრად არის ავარდნილი ძველი სიონი. იმისი განიერი და მაღალი ჩრდილი თითქმის შუამდე სწვდება მთელ ტფილისს. სიპი კედლების სიმტკიცე და სიმკვრივე ჩაკირულია ათას საუკუნეთა ქროლვებით. ღმერთი თუ როდისმე დადიოდა ქვეყანაზე, ალბათ, ღმერთსა და ხალხს შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც ამ სახლებსა და სიონს შორის. ამ განსხვავების გარდა სასწაულიც იყო, ალბათ. სახლები რომ ძველდებიან, უსათუოდ ინგრევიან, სიონი კი რამდენიც ძველდება, იმდენი მტკიცდება და მაგრდება. ალბათ, შორი მზერა ძველი ტფილისის მოქალაქეებისა ქმნის ამ უხილავ სასწაულებს, მაგრამ ყველაზე ძლიერი და ბუმბერაზი ისევ სიონის ზარის გუგუნია. ყოველ დილით მინა რომ ინძრევა, სახლები რომ ზრიალებენ შიშით და სიყვარულით, ყველამ იცის, რომ ეს სიონის ზარია“.

დიდი სულიერება ლადო კოტეტიშვილს ოჯახიდან ჰქონდა შესისხლხორცებული. ბავშვობიდანვე წირვა-ლოცვა იყო მისი ცხოვრების თანაზიარი. მღვდლის ოჯახში იზრდებოდა. მამამისი, მამა ილია, მსახურობდა დიდ თონეთში (სადაც ლადო დაიბადა 1895 წ.), სვეტიცხოველში (აქ გაატარა ლადომ ბავშვობა), ნიჩბისში, ხურვალეთსა და თბილისში (წმ. სამების, პეტრე-პავლეს და ბოლოს, მამა დავითის ეკლესიებში.)

ლადოს წერა-კითხვა დედამ, ეკატერინე ბიძინაშვილმა ასწავლა, „ოთარაანთ ქვრივს“ რომ ეძახდნენ. ხასიათის სიმტკიცეც სწორედ მისგან გამოჰყვა. ეკატერინემ კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა. პირველად მან აზიარა შვილები: ივლიტა, ვახტანგი, გიგო და ლადო ხალხური შემოქმედების მადლს. ლადო ჯერ მცხეთის სამრევლო სკოლაში მიაბარეს, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1914 წელს ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე. „ლადომაც გაიმარჯვა! აი, სწორედ ესლა გავიგე, რომ მე საექიმოზე გადამრიცხეს... ჩემი ტიტული დღეიდან ასეთია – სტუდენტი-მედიკოსი. ამასთანავე უნდა მოგწეროთ, რომ წიგნების ფული დამჭირდება. თუმცა ფულზე ლაპარაკი სირცხვილიც არის, მაგრამ რას ვიზამ. ყველა წერილის მონერის დროს ვნითლდები... საექიმო ფაკულტეტი ძნელი ფაკულტეტია, იმდენი დროც კი არ მრჩება, რომ საცხოვრებელი ფული ვეძიო. პურის საჭმელი დროც კი აღარ არის... საქმის სიყვარულმა ეგრე იცის...“

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე მუშაობდა ნერვულ კლინიკაში.. 1922-24 წლებში უკვე საქართველოშია და თელავის რაიონში მოღვაწეობს, ახალსოფელში. ერთხელ მასთან მეკუბოვე მოვარდა: ექიმო, ცოცხალ ქალს მარხავენ, კუბოს ზომას რომ ვიღებდი, ხელი გადმომკრაო.“ ლადო მაშინვე წავიდა იმ ოჯახში და კოვზით გაუღო პირი „მიცვალებულს“. დაინახა, რომ ყელი ჩირქით ჰქონდა სავსე. საჭირო პროცედურების შემდეგ ქალმა თვალები გაახილა და წყალი მოითხოვა. ხმა გავარდა, –

„ჩვენი ექიმი მკვდრებს აცოცხლებსო.“ მეორე დღით ხმაური მოესმა. ფერშალი ეჩხუბებოდა ვიღაცას, რომელსაც ერთი თვის დამარხული მკვდარი ამოეთხარა და ექიმთან მოჰქონდა. ძლივს დააშოშმინა თურმე ლადომ სოფელი...

აჭარაშიც უმუშავია, ხულოს რაიონში. 1924-26 წლებში, თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყო ორდინატორად (პროფესორ ასათიანთან). შემდეგ მე-14 პოლიკლინიკაში მსახურობდა, ბოლოს კი – სანჰიგიენის ინსტიტუტში... ლადო კოტეტიშვილმა მიზნად დაისახა ძველი ქართული საექიმო წერილობითი ძეგლების გამოცემა, სატაძრო და მაგიური მედიცინის ნაშთების და ხალხური მედიცინის შეგროვება-შესწავლა. „ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, – წერდა იგი, – რომ არცერთი ძველი საექიმო წიგნი ან კარაბადინი ჯერ არ დაბეჭდილა საქართველოში“...

ლადო კოტეტიშვილმა სამი უნიკალური სამედიცინო ძეგლი გამოსცა: **„უსწორო კარაბადინი“** (XI ს.), **„წიგნი სააქიმოდ“** (XIII ს.), **„იადიგარ დაუდი“** (XVI ს.) დასაბეჭდად გამზადებული დარჩა გამოკვლევები **„მედიცინა ძველ საქართველოში“** (XVIII-XIX ს-ის დასაწყისი), **„სატაძრო და მაგიური მედიცინა უძველეს საქართველოში“**.

ლადო კოტეტიშვილი შესანიშნავად ფლობდა ფრანგულ და რუსულ ენებს. „წიგნი სააქიმოს“ ნამძღვარებული აქვს მის მიერ დაწერილი შესავალი ქართულ და ფრანგულ ენებზე. მანვე თარგმნა რუსულად „წიგნი სააქიმოდ“, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო და გამოსაცემად რუსეთში გაიგზავნა. სამწუხაროდ, წიგნი ვეღარ გამოიცა მისი მოულოდნელი გარდაცვალებისა და ომის დაწყების გამო.

როდესაც ლადომ „იადიგარ დაუდი“ გამოაქვეყნა, თანამშრომლებმა აჩუქეს თეთრი მარმარილოს საფერფლე, ზედ შემომჯდარი არწივით. საფერფლეს ასეთი წარწერა აქვს: „ქართული მედიცინის არწივს.“ ეს ნივთი დღეს მისი ერთ-ერთი ქალიშვილის ოჯახში ინახება. ლადო კოტეტიშვილის წვლილი მედიცინის



ისტორიის განვითარებაში სათანადოდ შეაფასა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა: „ექიმი ლადო კოტეტიშვილი ერთადერთი ქართველი იყო, რომელმაც ძველი ქართული სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლა და გამოქვეყნება დაისახა მიზნად. ასეთი ძნელი ამოცანისათვის საჭიროა ორგვარი ცოდნა: სამკურნალო და ისტორიული. ამასთანავე, ძველი ქართული სამეცნიერო ენა და ტერმინოლოგიაც უნდა ესმოდეს იმ პირს, რომელიც ასეთ მიზანს დაისახავს. ასეთი დიდი და რთული მოთხოვნის გამო, არც ერთ ჩვენს ექიმთაგანს ამგვარი მოვალეობის თავის თავზე აღების არც ხალისი, არც შეგნება და არც შრომისმოყვარეობა არ აღმოაჩნდა. ამ მხრივ, ლადო კოტეტიშვილი ერთადერთს გამონაკლისს წარმოადგენდა... მან ძველი სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლის თაოსნობაც გამოიჩინა და საფუძველიც დაუდო.“

1928 წლის 20 ოქტომბერს ლადო კოტეტიშვილმა ცოლად შეირთო უმშვენიერესი თავადის ქალი, ნინო სოლომონის ასული მაყაშვილი – მაღალი, ტანადი, ხვეული ნაბლისფერი თმით, მომხიბვლელი მწვანე თვალებით. ნინო არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო, ხალისიანი, იუმორით სავსე, მუდამ მხნე და გაუტყეხელი. სამამულო ომის უმძიმესი დღეები სწორედ მისმა იუმორმა გადაატანინა მთელ სანათესაოს...

ნინოს მამა, სოლომონი, სამხედრო პირი იყო – გენერალ-მაიორი, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მაყაშვილის ძმა.

ლადოს და ნინოს სამი შვილი შეეძინათ: იათამზე (იათო), ელისო და ნანა. დღეს ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში: **იათო** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, **ელისო** – გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნანა – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. მათში გაგრძელდა ის ეროვნული სული, რაც ასე ძალუმად ფეთქავდა მაყაშვილებისა და კოტეტიშვილების საგვარეულოში...

ლადოსათვის ოჯახი წმიდათანმიდა იყო. ლენინგრადში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით წასული, დიდი სიყვარულით



ლადოს მშობლები და და-ძმები:

მამა ილია და ფოფოღია ეკატერინე ბიძინაშვილი შვილებთან  
(მარჯვნიდან): ივლიტა, ვახტანგი, გიგო, ლადო.



ლადოს მეუღლე ნინო მაყაშვილი.



მამა ილია, ნინო მაცაშვილი, კოტეტიშვილისა,  
(კოტეტიშვილების საგვარეულო სახლის ეზოში) სერგი მაკალათია  
და ლადო კოტეტიშვილი.



ლადო იათოთი ხელში.



ლადოს შვილები:  
იათო, ელისო და ნანა.



ლადოს უმცროსი ქალიშვილი ნანა.

სავსე წერილებს გზავნიდა სახლში. „ნინო, აი, თვეზე მეტია წერილი არ მიმიღია. განა არ იცი, რომ დღე და ღამ თქვენზე ვფიქრობ. ისე კი არა, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, სრულიადაც არა. ეს ფიქრი სხვანაირია, ხორცშესხმული, ზეადამიანური, ეს კარგად დაიხსომე... რაღაც სულ არეული, ცუდი ფიქრები მომდის თავში, თუ ადამიანი ხარ, ბავშვებს გაუფრთხილდი. ნანას განსაკუთრებით თვალი ადევნეთ. პატარაა, ან ძაღლმა არ შეაშინოს, ან კიბიდან არ დაგიგორდეთ, არ გაგიცივდეთ, არაფერმა აწყინოს, ცოდოა, ბავშვია...“ ეს ერთი შეხედვით კუშტი და თავის თავში ჩაკეტილი კაცი, საოცრად ფაქიზი და მგრძნობიარე იყო შვილებთან დამოკიდებულებაში. შემორჩენილია ლენინგრადიდან შვილებისადმი გამოგზავნილი, დიდი სიყვარულითა და იუმორით დაწერილი, დასურათებული წერილები:

„ჩემო იათო, ჩემო პატარა ფასკუნჯო! მოგილოცავ დაბადების დღეს. ეხლა უკვე ათი წლის ქალი ხარ. ვაშა ჩვენს იათოს! პატარა ვარხვო! ეხლა კი უნდა დაჭკვიანდე, ხომ იცი, ათ წელს როცა ქალი გადასცილდება, ის მუდამ ჭკვიანია. დედას უგონებს ყველაფერს, სამაგალითოდ იქცევა, ოჯახს უვლის... კარგად სწავლობს“.

... იათოს მოგონებიდან: – მამას თავისებური შეხედულება ჰქონდა სწავლა-აღზრდაზე. იგი საოჯახო აღზრდის მომხრე იყო... ჩვენი სკოლები ბავშვების სულს ამახინჯებენო. ბავშვებს სკოლაში VIII კლასამდე არ შევიყვანო. მამას ჩანაფიქრით, ბავშვების აღზრდა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო. ლიტერატურას და ისტორიას თვითონ გვასწავლიდა, რუსულს და არითმეტიკას – დედა, ხოლო ფრანგულს და მუსიკას – მოწვეული პედაგოგები. მისი გარდაცვალების შემდეგ შეწყდა კერძო გაკვეთილები...“

ნანას მოგონებიდან: „დედა გვიამბობდა, რომ მამა ავადმყოფებს სახლში იღებდა. ესენი იყვნენ ძირითადად უბრალო ადამიანები, მეარღნეები, მუშები. როგორც ჩანს, წინათ ნევროზი ასეთ ხალხს ემართებოდა, უკიდურესად გაჭირვებულებს, ცხ-

ოვრებაში ხელმოცარულებს. მამა სამკურნალო რეცეპტებთან ერთად, ხშირად ნამლის ფულსაც თვითონ აძლევდა ავადმყოფებს. იგი ნამდვილი მკურნალი იყო, ავადმყოფების სულიერ ტკივილებს ითავისებდა... მამამ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლენინგრადში გაატარა. „უსწორო კარაბადინის“ ვახტანგისეულ ხელნაწერზე მუშაობდა, რომელსაც იქ მიაკვლია. წიგნის გამოცემას კი ველარ მოესწრო“.

ლადოს ხატვის საოცარი ნიჭიც ჰქონდა, თურმე სამხატვრო აკადემიაშიც კი აპირებდა შესვლას. დიდხანს ინახებოდა მის ოჯახში ლადოს ნაქონი მოლბერტი. ლადო მოქანდაკეც იყო. მან შექმნა ვაჟა-ფშაველას ბიუსტი. როდესაც ვაჟა-ფშაველა ქაშვეთის ეკლესიაში ესვენა, ლადომ თავის მეგობრებთან ერთად ღამე გაუთენა. იჯდა თურმე და ჩანახატს აკეთებდა. სახლში რომ მივიდა, გამოაქანდაკა. ვაჟა-ფშაველას ბიუსტი ამჟამად ლიტერატურის მუზეუმშია.

ლადო კოტეტიშვილის საოცარი ფერწერული ხედეა მის მოთხრობებშიც აისახა, ორიგინალურ მხატვრულ აზროვნებასთან ერთად:

„ტფილისის სხეული ხარის ფაშვივით არის გათრეული და გამოთრეული ათას ხევებში, სინდიყის მძივივით აგორებული და აფერადებული ორი მთის შუა. წელზე შემორტყმული მტკვარი ყარაჩოღლური ვერცხლის ქამარივით მძიმე, მღვრიე, განიერი. დღეს ტფილისში მტკვარი ისევე სასაცილოა, როგორც წითელ სასადილოში იოანე ნათლისმცემლის ფრესკა...“

„მთელ ქვეყანაზე ყველა ქალაქს აქვს თავისი წერტილი, საიდანაც ის ყველაზე ღამაზი მოჩანს. ტფილისს ასეთი წერტილი არა აქვს. ყოველი მხრიდან და ყოველი კუთხიდან ღამაზი და საყვარელია, როგორც ძველი სპარსული ხალიჩა, როგორც დამასკის ქაშანურზე გამომწვარი გაფრენილი წერო...“

არ ვიცი, რად, თბილისში ყველაზე კარგი დრო ნაშუადღევის ოთხი საათია. ტრფობაში მინაბებულ ქალივით არის გაყვითლე-

ბული მზის შუქი ამ დროს. მიმქრალი და მინაზებული ჩრდილები მომწვანო ფერით გამოიყურებიან. მე ისე მგონია, რომ მთელ ქვეყანაზე არსად არ არის ისეთი ჩრდილები, როგორც ძველ ტფილისში. ეკლესიასტეს საარაკო ნადირთა ჯოგი თუ ყოფილა ოდესმე ქვეყანაზე, სწორედ ასეთი ჩრდილები უნდა ჰქონოდა...

მხოლოდ დრო ანგრევს და აქრობს ტფილისის ჩრდილებს. დრო-ჟამთა ვითარება ჰკლავს ტფილისს – ტფილისში, ისე უბრალოდ, სადად, დაუტირებლად...“ („მიმქრალი ჩრდილები“).

ელისოს მოგონებიდან: „ის დრო, როდესაც მამა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ყველაზე მძიმე რეპრესიების დრო იყო საქართველოში. ახლა ბევრი მაშინდელი მოღვაწე წერს: „მაშინ სხვანაირად არ შეიძლებოდაო“. ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით. მამა არ უშვებდა სახლში კომუნისტური პარტიის წევრებს, თუნდაც ისინი უახლოესი ნათესავები ყოფილიყვნენ. კრძალავდა სახლში რუსულად და განსაკუთრებით შერეულად, რუსულ-ქართულად ლაპარაკს.“

საზოგადოების ასეთ არაორდინალურ დამოკიდებულებას ლადოსადმი განაპირობებდა მისი განსხვავებული ხასიათი და მოვლენების თავისებური აღქმა, მოთხრობებში ჩანს მისი მრწამსი, პროტესტი სინამდვილის მიმართ. იგი გროტესკულად გვიხატავს ნიაღვარივით მოვარდნილ ახალ ცხოვრებას.

„... ცხოვრება საოცარ სასწაულებს ამზადებდა... მუნჯმა ხალხმა თანდათანობით ენა ამოიდგა და ლაპარაკი დაიწყო. საიდანღაც მოვიდა შავი ხალხი, შეკრული შუბლით, სისხლიანი თვალებით და ქვეყანას დაემუქრა რისხვით, კიდევ რამდენიმე ხანი და საშინელი გრგვინით დაიმსხვრა ზღუდე და ბორკილი, გაცეცხლებულ ლავასავით მოედო შავი მასა ტფილისის ქუჩებს. ტფილისი აბრუნდა. ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმსხვრა ამ ბრუნვაში. წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი. ბევრს გული გაუხეთქა ამ საზარელმა სანახაობამ. ამ გაუთავებელ ბრუნვაში ძველი ტფილისი შუაზე გადატყდა...“



მარტო სიონილა სდარაჯობს დაკარგულ ძველ დროებას... დამარხული მკვდრის მაინც სიცოცხლეს აგონებს ყველას სიონის ზარის გუგუნი. სხვა მხრივ, მხოლოდ კანკალი... სიბერე... მინამდის დადაბლება და მინამდის ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებ ჩამქრალი თვალებით. ამავე თვალების მოხუჭვა სიონის ღვთისმშობლის ხატის წინ, გაუთავებელი ლოცვები სიონის მალალთაღიან გუმბათის ქვეშ... გაუთავებელი წუნუნი ცოდვების მიტევებაზე, ცხონებაზე. დარდი დიდი ცოდვებით დატვირთულ ახალ თაობაზე. იმათთვის ლოცვა და სინანული. ღვთის ვედრება მყუდროების და სათნოების დამკვიდრებაზე ამ ქვეყანაზე, ამ ხალხთა შორის...

ახალი და ძველი ტფილისი ისე დგანან ერთმანეთის წინ, როგორც ბუზი და ლომი. მაგრამ მაინც იბრძვიან. თავისებური და საკვირველია ეს ბრძოლა. ერთის მხრივ, ახალი ცხოვრება ახალგაზრდა ხალხით, ახალი ხერხებით, შრომით, ინდუსტრიით... მეორეს მხრივ კი ძველი ტფილისი, ძველი ხალხით, ძველი ხერხებით, ლოცვით, ბევრი ლოცვით და სინანულით.

ახლის მხარეზეა ათიათასი სანარმო, იარაღი. ძველის მხარეზე კი – ერთი ზარი და ათიათასი იმედი...“ (მოთხრობიდან – „გოჩმანა“).

ლადო კოტეტიშვილი საოცარი ემოციითა და განცდით საუბრობს იბერიისა და ქართველობის შესახებ. თვალწინ წარმოგვიდგება სამშობლოსა და თავის ერზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც დიდი ხელოვნებით გვიხატავს იბერიის სურათს, მოთხრობაში „გველიანდარის მოდგმა“

„იბერია, შემოხედვა ვნებიანი და ნაზი – უნაპირო. მუსკის ყვავილივით დამტკბარი და ცხელი... სუსხიანი, როდოდენდრონის ეკალივით ლაზათიანი... იბერია. სიმაგრე ელვის და მების... გული, ჰინანდრის ნაყოფი. მწიფე და ნოყიერი, ალისფერი. ცა – მოლურჯო, მოფირუზო, მოზურმუხტო. არც ლურჯი, არც ფირუზი, არც ლალი, არც ზურმუხტი... იისფერი.

იბერია! როგორც გაუთავებელი არაკი. ტკბილად მოლულუნე ჩურჩული. ათი ათასჯერ დაფიცებული სიყვარული. სასოება დაჩოქილი და უსაზღვრო...

მალე გავარდა სახელი მთელს ქვეყანაზე. იბერიის ძალის და ძლიერების. მედგრად სდარაჯობდა მოდგმა, ანუ ქართველობა იბერიის მიწას. ქართველობა, როგორც წმინდა მოვალეობა, ყველამ იგრძნო, ყველამ დაიწყო ქართუ-ველობა..“

პრობლემა, რომელსაც მოთხრობაში ავტორი მთელი სიმკვეთრით აყენებს, ისტორიულად ყოველთვის იდგა ქართველი ერის წინაშე. იგი შეეცადა თავისებურად აეხსნა ის ფენომენი ქართველი კაცისა, რომელიც დღემდე ამოუცნობია...“ – ამბობენ, რომ გველიანდარის მოდგმა დღესაც ცოცხალია და გაჭირვებით, მაგრამ მაინც ქართველობს, რომ ამ ქართველობაში ჩათესილია საოცარი გაორება ღალატის და თავდადების; რომ დღემდის ვერავის აუხსნია ეს საოცარი საიდუმლო პირველყოფის – პირველ ქურუმის, პირველ ღალატის, პირველ შეცოდების...”

მძიმე რეჟიმით გამოწვეული შინაგანი პროტესტით აიხსნება, ალბათ, ასე მძლავრად რომ იფეთქა დიდმა ნიჭიერებამ ლადო კოტეტიშვილის მთელ თაობაში, რომელსაც, მისივე სიტყვებით, ოდითგანვე მოსდგამდა „სიმაგრე ეშვის, სქელტანიანი მუხის, ათასჯერ ნაწრთობი ფოლადის...” (გველიანდარის მოდგმა).

ლადო კოტეტიშვილი 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებლად ელიარებინათ.

ლადო კოტეტიშვილი ერთ-ერთი იმათათგანია, ვინც სიცოცხლე შესწირა ეროვნული კულტურის გადარჩენას... გამირობად უნდა ჩაითვალოს თავგანწირვა ადამიანებისა, რომელთაც, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მრავალი პატრიოტული საქმის წამოწყება შესძლეს და საფუძველიც დაუდეს.

ნათია სორნაული

## ძია ლადო<sup>1</sup>

მამაჩემის დაპატიმრების შემდეგ ჩვენი ოჯახის პატრონად ძია ლადო იქცა, მხოლოდ ჩემი და ლეილასი კი არა, მთელი ჩვენი დიდი ოჯახისა, მღვდლიანთ სანათესაოსი...

ძია ლადო ჩვენთვის, ბუნებრივია, ძია ლადო იყო და არა ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი, ტექსტოლოგი, ძველი ხელნაწერების გამშიფრავი, კომენტატორი და აკადემიურად გამომცემელი. თანაც ისეთი ძეგლებისა, როგორც გახლდათ „იადიგარ დაუდი“, „ნიგნი სააქიმო“ და „უსნორო კარაბადინი“. ამავე დროს, არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ აგრეთვე ცნობილი ექიმი-პრაქტიკოსი, ღრმად განსწავლული ნევროპათოლოგი, რომლის მზესაც ფიცულობდა მის მიერ განკურნებული მრავალი პაციენტი.

პირადად ჩემთვის ძია ლადო იყო ზღაპრებიდან გადმოსული არსება. დევი არა, მაგრამ დიდი, კეთილი გოლიათი, გადაძეხარი ქოჩრით, ჩოფურა სახითა და არწივისებური მზერით. ნაკლებ საშიში, ვიდრე მის კაბინეტში კედლიდან გადმომბღვირალი უზარმაზარი არწივის ფიტული, ლამის მთელი ოთახის სიგანეზე გაშლილი ფრთებითა და მოკაუჭებული ნისკარტით. ძია ლადო იმ

---

<sup>1</sup> ამონარიდი ვ. კოტეტიშვილის ნიგნიდან „ჩემი ნუთისოფელი“. 2001, თბილისი, გამომცემლობა „ქართული სიტყვა“, გვ. 249-267.

არწივს საოცრად ჰგავდა, მაგრამ მე მისი არ მეშინოდა, რადგანაც ვგრძნობდი, როგორ ვუყვარდი...

უმეტესად დედისგან მოსდგამდათ შვილებს ქედმოუხრელი შრომის ჟინი, თითქოს დაუმცხრალ და მოუთოკავ ვნებაში გადასული, მართლაც ჯიუტი და უჯიათი, მაგრამ, ამავე დროს, ლალი და თავისუფალი, რადგან მათ ნაშრომს „ოფლის“ სუნი არ ასდიოდა.

ჯიუტები კი ნამდვილად იყვნენ, ოლონდ არა ადამიანურ ურთიერთობებში, არამედ ისეთ საკითხებში, რაც სინდის-ნამუსს, კაცურ ზნეობას, მსოფლმხედველობრივ მრწამსს და სულიერ სიმალეებს ეხებოდა. აქ მათი მომდრეკი და მომთოკავი ძალა არ არსებობდა. პიტალო კლდეები იყვნენ, პირქუშნი და ხშირად ხორკლიანნიც.

ამ თვალსაზრისით ლადო ყველას აჭარბებდა. მე ამ ხნის კაცი მოვიყარე და მასავით უტეხი ხასიათის ადამიანი არ შემხვედრია. მის ლექსიკონში სიტყვა „კომპრომისი“ არ ეწერა. საკმარისია თვალი გადავაავლოთ მის ცხოვრებას და ამაში იოლად დავრწმუნდებით.

1921 წელს ხარკოვიდან სამშობლოში დაბრუნებულმა კახეთის ერთ მიყრუებულ სოფელში დაიწყო ექიმად მუშაობა...

ერთი წლის შემდეგ, 1922 წლის 27 ივნისს 27 წლის ლადო კოტეტიშვილი თავისივე სურვილით ინიშნება ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის საექიმო პუნქტის გამგედ.

წავიდა ლადო. ბათუმიდან შეუყვა მთიანი აჭარის ოკრობოკრო გზებს. მისი მზერა ხარბად ისრუტავს ყველაფერს. განსაკუთრებული განცდა ეუფლება, შიშველი ემოცია, რომელიც სიტყვის სამოსელს ითხოვს. სასწრაფოდ იღებს უბის წიგნაკს, ფანქარს წაამწვეტებს და ეტლის ქევ-ქევში დეპეშური სტილით იწყებს თავის აჭარულ დღიურს.

ჩემო მკითხველო, არ დამძრახო მსუყე-მსუყე ციტატების მოხმობის გამო. თავს ვერ ვიოკებ, ვინაიდან ამ ამონაწერე-

ბიდან უფრო თვალნათლივ მოჩანს არა მხოლოდ იმდროინდელი აჭარის საოცარი სურათები, არამედ თვით ახალგაზრდა ლადო კოტეტიშვილის პიროვნება და ხასიათი.

იქნებ მისი წერის სტილია, მანერამ, ტემპერამენტმა გაგახსენოთ ვახტანგ კოტეტიშვილის კალმის სისხარტე, რაც იმის მაუწყებელია, რომ გენეტიკის ერთი ჩანჩქერი მოჰქუხს მათ სისხლძარღვებში. აბა მივუგდოთ ყური:

„დილის ათი საათი იქნებოდა, რომ დავტოვეთ ბათუმი. გახურებული მზე უწყალოდ აცხუნებდა ქალაქს. თუ ხანდისხან გაცინებული ზღვიდან გამოხტებოდა გრილი სიო, ისევ უკან გარბოდა შეშინებული...“

ბათუმს გავცდით. ტრიალი მინდორი. იმას იქით აჭარის მთები. გეგონებათ, მთებს უკან დაუხევიათ ქალაქიდან და ეს ტრიალი მინდორი დაუთმიათ მისთვის დიდი სიჯიუტით. თვითონ კი მკაცრი ირიბი გაუვლიათ შეტევის მოლოდინში. საკახაბრო.

– კახაბერი ჰქვია ამ ადგილს. – მეუბნება მეეტლე აქაური კარგი ქართულით. ნელი ტემპით გაფჭიმეთ გზა კახაბერში. ზღვა გვშორდება... წინ მივინვეთ... დიდი მდინარის ქურდული შემოპარვა – ეს ჭოროხია...

აფორიაქებული ხმაური. ჭოროხის დუმილი იზზარება თავზარდამცემი სითამამით. ეს აჭარისწყალია, გაქანებული ისარივით რომ მოდის... ეს ძველი ქართული სითამამეა. ბასრი შეხვედრა ელვარე ხმალივით შუამდე ხლეჩს ჭოროხის ტანს. შეურიგებლობის ნიშნად ლურჯ ზოლად ჩასდევს ნაპირ-ნაპირ კარგა მანძილზე. მაგრამ ჭოროხის ზვიადობა მალე აყურებს. ახრჩობს. ადუმებს...

გზა შემობრუნდება. იწყება აჭარისწყლის ხეობა აფორიაქებული მდინარის სიგიჟე დაუნდობელი კივილით აზავებს ერთი-მეორეზე მიმდგარ მთებს. ვინრო ხეობა, ზოგან შემზარავად გადმოკიდული შიშველი კლდე აქა-იქ ჩამოცვენილი ლოდები გაფრთხილებთ...

პატარა ბოგირი. წყარო. ხევი. კაკალი. ჩრდილში ვისვენებთ... ისევ გზაში... ვინრო ხეობაში სულშეხუთული მდინარის ბრაზიანი კვნესა. შემდეგ საზარელი კივილი. კლდეები... კიდე კლდეები... მოსახლეობა არსად ჩანს.

– სად არის სოფლები? – ვეკითხები.

– აი, იმ მთებშია. – მპასუხობს მეეტლე და ხელს იშვერს უზარმაზარი მთებისკენ, – იქ ცხოვრობენ.

ვჩერდებით. ისევ დუქნები. ჯარისკაცები. მთავრობის ხალხი. აქაური მოსახლეები. ეს აჭარისწყალია. ვისვენებთ. ზრდილობიანი სალამი. მოკითხვა. ყველა ქართველია. ქართული ლაპარაკი. გურული პროფილები. ქერა თმა. ნატიფი მოყვანილობა. ნაზი ხაზები. გურული ჩაცმა. გვიმასპინძლებიან „ლებიოთი“... ქალი და ბავშვი ჯერ არსად მოსჩანან. იმალებიან. ხანგამოშვებით სადღაც შორს თეთრი მანდილი იელვებს და სასწრაფოდ თვალს მიეფარება. ეს ყანაში მომუშავე ქალია.

...ისევ გზაში. ცხენებს დაღლა ეტყობათ. ყველას ეთვლიმება. მეეტლე თავს აკანტურებს. ხანგამოშვებით შეშინებული აჭყეტს თვალებს. ცხენებს შეუყვირებს და ისევ წასთვლემს. ლამაზად მდგარი ამაყი მთები მწვანედ აქოჩრილან. ფხიზლობენ. ხმაურობენ. ფიქრობენ.

ქედა. ამპარტავანი მინარეთი. ხალხი. მამაკაცები. სკოლა. დაკეტილი საავადმყოფო.“

დაუკვირდით ამ სიტყვებს: „დაკეტილი საავადმყოფო“ – საგანგებოდ აღნიშნავს ახალგაზრდა ექიმი და შემდეგ რამდენჯერმე იმეორებს:

„ხულო. აღმასკომის შენობა. მოსამსახურეები. სამჭედლოები. დაკეტილი საავადმყოფო...“

ეს ვითარება კიდე უფრო უმძაფრებს პროფესიულ ჟინს – მივიდეს, დახსნას ყველა კარდახშული საავადმყოფო, რათა იქ დაბუდებული შმორისა და ობის ნაცლად კვლავ დატრიალდეს წამლების სუნი, აშრილდნენ თეთრი, გახამებული ხალათები და

შვება იგრძნონ დავრდომილმა მოხუცებმა თუ სნეულმა ბავშვებმა, ოჯახის მარჩენალმა მამაკაცებმა, თუ ფეხმძიმე დედაკაცებმა.

ლადო კოტეტიშვილმა კარგად იცის, სად ჩამოვიდა და რატომ. მისთვის აჭარა საქართველოს ჩვეულებრივი კუთხე არ არის. იგი გრძნობს ამ მიწა-წყლის ისტორიულ ტკივილს, საუკუნეების მტეხიარობას, რომელიც საქართველოს ამ ცრემლიან კუთხეს გადაუტანია.

მას ტანზე ტაო აყრის, როდესაც იგებს, რომ აქ ერთ სოფელს „ნამონასტრევი“ ჰქვია. იგი ხვდება, რომ მთელი აჭარა ნამონასტრევია, ნატაძრალი, ნასაყდრალი...

და იგი განაგრძობს თავის საგზაო დღიურს:

„გინახავთ თვალმიუწვდომელი კორტოხი, თეთრი ნისლი რომ შემოხვევია ამოუცნობ რამ სუდარად, მაგრამ აქა-იქ გამომზიარალი მწვანე კორდები ამჟღავნებენ მის სილამაზეს, როგორც ლამაზი ქალის სახეზე შემოხვეული თეთრი ჩადრიდან გამოვლევებული გიშრის თვალები, მარად მოციმციმენი და ვნების ალით ანთებულნი. ლამაზია აჭარის აქოჩრილი ბუნება, რაღაც საიდუმლოდ ჩაფიქრებული, მაგრამ ამაყი და გულშემზარავი. თამამი აჭარელი შესჭრია მის დასერილ გულ-მკერდს. მაგრად დაუდგამს ფეხი მის ძლიერად მფეთქავ, სავსე მაჯაზე. ქართული ჯიუტობით ებრძვის თავხედ ბუნებას...

არა მგონია, ქალებს სადმე შინებოდეთ მამაკაცის ისე, როგორც აქ, აჭარაში. ეს შიშიც გასაგებია ისტორიულად. ვინ იცის, იქნებ ოსმალეთის ტყვეობას ყველაზე სასტიკად ქალები განიცდიდნენ. ვინ იცის, რამდენი სილამაზე და ცრემლი შეინირა თათრულმა ყინიანობამ?! აკი ამიტომ დაშინებულან, ქურციკივით გაურბიან მამაკაცებს. თეთრი ჩადრებით ღელ-ღელე დაიარებიან, გზას უქცევენ, გაურბიან. ესაა აჭარელი ქალის მოუფიქრებელი, უმიზეზო შიში. მისი თეთრი ჩადრის ნაკეცებში დარხეულა ლამაზი ტანი. თეთრი ჩადრი ვერ მალავს, მაინც ამჟღავნებს მის სილამაზეს. გიშერი თვალის ძალას მაინც გრძნობ ჩადრის იქიდან...“

ეს უკვე ექიმის ჩანაწერები კი არა, მწერლის დღიურია, ახალგაზრდა შემოქმედი კაცისა, რომელიც მხოლოდ დაკეტილ საავადმყოფოებსა და უმკურნალოდ დარჩენილ სნეულ პაციენტებს კი არ ხედავს, არამედ მისი გამჭოლი მზერა საუკუნეების ჩადრს მიღმა აღწევს და ერის ტკივილს გრძნობს, როგორც მისი „მაჯაშისა შემტყვებარი“.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა შეგნებით და როგორი ჟინით შეუდგებოდა საქმიანობას ახალგაზრდა მკურნალი მთიანი აჭარის უბეებში შეხიზნულ სოფლებსა თუ იალაღებზე მიმოფანტულ მწყემსთა სადგომებში.

იგი იყო მეოხი არა მხოლოდ სნეულთა და დავრდომილთა. იგი აჭარლებისათვის მხოლოდ მკურნალი არ ყოფილა. ლადო კოტეტიშვილი თავისი გოლიათური აღნაგობით, ხაოიანი ხასიათით, გულქართლობითა და შეუპოვარი სამართლიანობით ქართული რაინდული სულის განსხეულება იყო. მათ ლადოს სახითაც კიდევ ერთხელ ირწმუნეს, რომ თბილისშიც ენაღვლებოდათ მათი სვე და ბედ-იღბალი.

ლადო კოტეტიშვილი პირნათელი და ვალმოხდილი დაუბრუნდა თბილისს და რაიონულ პოლიკლინიკაში დაიწყო ნევროპათოლოგად მუშაობა. მას კათედრებზეც ინვევდნენ სამუშაოდ, ვინაიდან გრძნობდნენ მის მეცნიერულ ნიჭსა და ალლოს, მაგრამ იგი ჯიუტად უარობდა:

– მე მკურნალი ვარ და ჩემი ადგილი, უპირველეს ყოვლისა, იქ არის, სადაც ავადმყოფებს ყოველდღიურად ვჭირდები. მეცნიერებას მე იმ დროს მოვახმარ, რასაც სხვები უაზრო ქეიფსა და დროსტარებას ანდომებენ.

ასეც იქცეოდა. პოლიკლინიკასა თუ სახლში, მისი კაბინეტის წინ ყოველთვის პაციენტების გრძელი რიგი იდგა. ყოველ ავადმყოფს დაწვრილებით გამოჰკითხავდა არა მხოლოდ დავადების სიმპტომებს, არამედ ოჯახურ მდგომარეობასაც. და თუ



დაატყობდა, პაციენტი ღარიბი იყო, რეცეპტს კი გამოუწერდა, მაგრამ ხელში არ მისცემდა.

– დამელოდეთ, მე მალე მოვალ. – ეტყოდა, გადაირბენდა ქუჩის გადაღმა აფთიაქში, ჯიბეებს მოიქექავდა, უყიდდა საჭირო ნამალს და მისცემდა გაცემულ ავადმყოფს. ექიმის ჰონორარზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

– ლადო, ეგრე მუშაობა შენ ხელს არ მოგცემს. გაჭირვებულსა და ღარიბ-ღატაკს რა დალევს ამ ქვეყანაზე. შენ თუ ყველას ასე გადაჰყვევი, კაი დახლი დაგიდგება! – ურჩევდნენ „სალი აზრით“ აღჭურვილი კეთილისმსურველნი.

ლადო კი იცინოდა და ამოჩემებულ პასუხს ლავაშივით ააკრავდა ხოლმე ტურებზე ენადგაკრეფილ მრჩეველთ:

– მე ეგ ორიოდ გროში არც დამაქცევს და არც ამაშენებს. ამ საცოდავებს კი პურის ფულად მაინც ეშეღავათებათ. ესეც საქმეა. იცოდეთ, მადლი თუ მუქთა არ არის, ის აღარც მადლია!

ასეთი კაცი იყო, სიკეთეშიც ჯიუტი და შეუვალი. რაც შეეხება ექიმობას, ამაზე ხომ ლეგენდები დადიოდა.

ნევროპათოლოგისათვის მკურნალის ცოდნა-განათლებაზე და წამლებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს მისი სიტყვისა და შთაგონების ძალას. ამასთანავე, არც ექიმის შესახედაობაა უგულვებელსაყოფი. ნერვული ავადყოფის ფსიქიკაზე ექიმის ჰაბიტუსი, შესაძლოა, მედიკამენტებზე უეზარიც კი აღმოჩნდეს.

ლადო კოტეტიშვილს იმდენად გამორჩეული და შთამბეჭდავი გარეგნობა ჰქონდა, რომ პირველი დანახვისთანავე იპყრობდა პაციენტის მთელ არსებას. გოლიათური აღნაგობა, ორადლიანი მხარ-ბეჭი, აშადრევენებული შავი, გრუზა თმა, ნაყვავილარი, ჩოფურა სახე, და არწივისებური, წიაღგამჭოლი მზერა ექიმისადმი რწმენით განაწყობდა ავადმყოფს. ლადოს ჰიპნოზი სეანსის დაწყებამდე უკვე მოქმედებდა წინასწარვე მონუსხულ პაციენტზე.

დღისით – პოლიკლინიკა, საღამოს – შინ მოსული პაციენტები, ღამე კი – წიგნები, წერა, ხატვა თუ ძერწვა. ლადოს ვახტანგზე

ნაკლები ნიჭი არ ჰქონდა ხელოვნებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყოფებში გაძეძავებულს საამისო დრო აღარ რჩებოდა. კუბი-ზმი მაშინ, შედარებით, ახალი ხილი იყო. ლადო და მისი მეგობარი ბენო გორდეზიანი მეტისმეტად იყვნენ გატაცებულნი ამ ახალი მიმდინარეობით. ლადოს ოთახის კედლები მოფენილი იყო მისი კუბისტური ნახატებით...

ლადოს პაციენტები შეუთხელდნენ. პოლიკლინიკის ფანჯარასთან დგას და ქუჩას გასცქერის. უცებ გამოჩნდა ჯეირანივით ქალი... საცაა თვალს მიეფარებოდა. ეგრევე, თეთრხალათიანი გავარდა ქუჩაში, მიეჭრა უცნობ ქალს და შემოაბრუნა. რალაცამ შემოანათა. არა, ეს ჩვეულებრივი ადამიანის თვალები არ იყო. ასეთი ცისფერი თუ მომწვანო თვალები მას არსად და არასდროს ენახა...

– ქალო, ვისი ხარ? პატრონი არა გყავს? ასე მარტოდმარტოს როგორ გიშვებენ ქუჩაში?!

ქალმა ახედა ამ ვეებერთელა ვაჟკაცს და თვალი ძლივს აანვდინა იმის უცნაურ სახემდე. არც მას ენახა თავის ცხოვრებაში კაცად ქცეული არწივი, თუ ფასკუნჯი.

კუბიდონმა თავისი ქნა. მათაც სხვა რა გზა ჰქონდათ?! თავს ზევით ძალა აღარ იყო, ადგნენ და იქორწინეს.

ქალი გამოდგა ნინო სოლომონ მაყაშვილის ასული, ერთ-ერთი ოთხთავანი. ნინოს მამა-ბიძანი იყალთოელი თავადები ბრძანდებოდნენ, სულ მეფის არმიის გენერლები, ჩინ-მენდლებიანნი, ჯინჯილებ-ლამპასებიანნი, მხედარნი და ღირსეული მეომრები. მხოლოდ ერთი ბიძა არ იყო სამხედრო, მთელ საქართველოში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი, ქართველ მწერალთა საზოგადოების დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე.

ამიტომაც იყო, რომ ეს ქორწინება ყველაზე მეტად ვახტანგს გაეხარდა. ვახტანგი ხომ კოტე მაყაშვილის მოადგილე იყო, მისი დიდი პატივისმცემელი და თანამდგომი.

პირველი გოგო დაიბადა – ლამაზი, კოხტა, მაგრამ შავი, როგორც სამყალე ნახშირი... იათამზე (იათო) დაარქვეს...

ეჰ, რა იცოდა მაშინ სანათესაომ, რომ ეს პატარა გოგო თავისი მტკიცე ზნითა და ხასიათით ბოლოს მაინც ფოფოდიას გენეტიკურ კოდებს სულ თავისად მიიხვეტდა.

იათამზეს ელისო მოჰყვა, ელისოს – ნანა და ოჯახი გოგონებით აივსო. აზიზად გაზრდილი იყალთოელი ქალი მარჯვე დიასახლისად იქცა, თავდადებულ დედად და ერთგულ მეუღლედ. სანათესაოც დიდებული ჰყავდა. როგორც ადრე მოგახსენეთ, ნინოს ბიძის, პოეტ კოტე მაცაშვილისა და მისი უმშვენიერესი მეუღლის თამარ გაბაშვილის ოჯახი ქართული არისტოკრატიის ერთ-ერთ სანიმუშო კერად ითვლებოდა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მსხვერპლად შეწირული მათი ასულის, მარო მაცაშვილის, გმირული სიკვდილის შემდეგ მონამეობრივი შარავანდედით შეიმოსა.

ამ ოჯახში მისვლისას ყოველთვის ისეთი განცდა მქონდა, რომ თითქოს სხვა სამყაროში მოვხვდი, სხვა დროსა და განზომილებაში. აქ თითქოს კი არ ლაპარაკობდნენ, არამედ რალაც მელოდის მღეროდნენ ჟღერადსა და საოცრად დახვეწილს. მოძრაობებიც სხვაგვარი ჰქონდათ, ნატიფი და დაოკებული. თავდაჭერა ღირსეული და არა ამაყი, აღმატებული, მაგრამ არა დამთრგუნველი. ზრდილობა, მანერები არა ნასწავლი, არამედ სისხლიდან მომდინარე...

... და სავალალო ის გახლავთ, რომ ეს ჯიში ჯერ გამოხშირა, შემდეგ კი თითქმის მთლიანად მოსპო, ამოძირკვა, წალეკა უჯიშ-ჯილაგო მოდგამა...

სწორედ ეს აგიჟებდა ლადო კოტეტიშვილს. აგიჟებდა იმ ზომამდე, რომ განაცხადა:

– მე ბავშვებს ამათ სკოლაში არ მივაბარებ. ჩემი შვილების სულს ამ უჯიშოებს არ დავამახინჯებინებ.

და სანამ ძია ლადო ცოცხალი იყო, მის შვილებს, იათოსა და ელისოს, სკოლის კედლები ნანახი არ ჰქონდათ. ძველი, გამოცდილი პედაგოგები შინ დაუდიოდან და ოჯახში იღებდნენ განათლებას. ძია ლადოს რომ ეცოცხლა, ნანას და მეც იგივე გველოდა.

ახლა ლადოს იმ სფეროს გადავავლოთ თვალი, რაც ლადო კოტეტიშვილს თავის უმთავრეს საქმედ მიაჩნდა და რასაც თავდაუზოგავად და დაუნდობლად შესწირა თავისი სიცოცხლე. ეს გახლდათ ქართული მედიცინის ისტორია, სადაც მას არც წინამორბედი ჰყოლია, არც ვინმე გზის გამკვლევი, არც დამხმარე და თანამდგომი.

ვთქვათ, რადგან სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული მრგლოვანი, ნუსხა-ხუცური თუ მხედრული დამწერლობის ნაირსახოვანი ჩუქურთმები მისთვის იოლი გასაშიფრი იყო. მაგრამ ძველ ხელნაწერებზე მუშაობა, მათი სწორად ამოკითხვა, გაშიფრვა ხომ ღრმა ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ანალიზზე, რაც უკვე ხალხური მედიცინის ისტორიის კვლევის სფეროს განეკუთვნებოდა.

გადაშალეთ მის მიერ აღმოჩენილი, გაშიფრული და გამოცემული „იადიგარ დაუდი“, „ნიგნი სააქიმოა“, „უსწორო კარაბადინი“ და ამაში იოლად დარწმუნდებით.

ახლა აღარ იკითხავთ, რა პირობებში უხდებოდა მუშაობა?! რუსული ზამთარი, ნათლისდების ყინვები, პეტერბურგის ხელნაწერთა საცავის ნესტიანი, გაყინული სარდაფი... ხელ-ფეხ დამზრალი ლადო, მშვიერ-მწყურვალი საცავის გახსნიდან დაკეტვამდე ჩაჰბლუოდა გაცრეცილ ხელნაწერებს და დრო და დრო სპირტს გადაჰკრავდა, რომ არ გაყინულიყო. ასე გრძელდებოდა თვიდან თვემდე.

ლადოს პეტერბურგელმა დიასახლისმა ნინოს მოსწერა, ჩამოდი, წაიყვანეთ, თორემ ამ კაცს მუშაობაში ამოხდება სულიო.

ლამის ასეც მოხდა. ძია ლადო მძიმედ დაავადებული დაბრუნდა თბილისში. მახსოვს მისი ბოლო ჩამოსვლა. ყველას საჩუქრები ჩამოგვიტანა: „კაკა-კუკები“, სათამაშოები და სხვა...

– აბა, ვაჟკაც, ეს მოიზომე, როგორ გექნება?! – მითხრა მე და ჩემოდნიდან ამოაცოცა რაღაც, ლამაზ ქალაქში კობტად გახვეული. ლეილამ გაშალა, ბიჭის კოსტუმი იყო – კაკაოსფერი პიჯაკი და შარვალი გოლფი, მუხლთან რომ ღილით იკვრებოდა, ლამის გალიფე. ჩამაცვეს, გამომაკოკობიკეს და წამომჭვინტეს ყველას დასანახად. მე კი მრცხვენოდა და ყურებზე ცეცხლი მეკიდა.

– კიდევ კარგი, მოერგო. ძალიან ვლელავდი. ისე იყრის ეს მაიმუნი ტანს, რომ ცოტა ხანში, ვინ იცის საყელოდან ამოძვრეს კიდევ. – თქვა ძია ლადომ და დაამატა: – მზით გაცვითე, შვილო.

– მადლობთ. – წავილულულე მე, რადგან ლეილამ თვალით მანიშნა: აბა, რა უნდა თქვაო!

ძია ლადომ მე და ნანა კალთაში ჩაგვისვა და პირში რიგ-რიგობით ლენინგრაღულ კანფეტებს გვიდებდა. იათო და ელისო აქეთ იქიდან ეგლისებოდნენ მამას და დიდად არ ეპიტნავებოდათ ჩემი და ნანას პრივილეგია ძია ლადოს მუხლებზე ჯდომისა. მაგრამ ისინი დიდები იყვნენ და იცოდნენ, რომ უნდა მოეთმინათ.

ეს იყო ძია ლადოსთან გატარებული ბოლო მხიარული საღამო. ამის შემდეგ მას ღვიძლის ცეროზი გაუმწვავდა, ლოგინად ჩავარდა და 1940 წელს გარდაიცვალა.

მე და ლეილა კიდევ ერთხელ დავობდით.

ვანუშუტი კოტიტიშვილი

## გოჩმანს

მეტსახელად გოჩმანას ეძახდნენ. დაბალი ტანისა იყო, ელამი. მარცხენა თვალი ზედ ცხვირზე ჰქონდა დაკრული. მარჯვენა კი სულ მუდამ მოძრაობდა, კანკალებდა. სახე ჰქონდა გაჭაჭული, ცხვირი ჯერ გატეხილი, მერე სახეზე დაჭყლეტილი, უღვაშები მარტო ტუჩის კუთხეებთან, ისიც თითო-ოროლა ღერი. თუ ვინმე შეეკითხებოდა – ჰა! გოჩმან, რასა იქ, როგორა ხარ? მაშინ იმისი სახე ხელახლა ასანერი ხდებოდა: დუდუკის დამკვრელივით გაებრებოდა ორივე ლოყა, თვალები ქრებოდა ქუთუთოებქვეშ, სახე ერთი ორად უგანივრდებოდა, პირის ნახევი რალაცნაირად ყურის ბიბილოებს სწვდებოდა. ნიკაპი თითქმის ცხვირამდის ასდიოდა. უკბილო ღრძილები პრიალით კარში გამოდიოდა და მუდამ მეორე წყვილი ტუჩის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ისე ჩანდა, თითქოს პირში მეორე პირი ჰქონდა ჩადგმული. აი, ამ ფორმას რომ მიიღებდა იმისი სახე, მხოლოდ მაშინ უპასუხებდა – „ძალიენ კარგად, მაშ. ძალიენ კარგად, მაშ.“ თან მხრებში იმშუშნებოდა, შარვალს წამდაუნუმ ინევდა, მაგრამ, შარვალი მაინც მთელი ორი მტკაველით გრძელი ჰქონდა. ისე, რომ მუდამ ჩავარდნილის შთაბეჭდილებას სტოვებდა, თუმცა რამდენნაირი ბანრით აღარა ჰქონდა თეძოებზე დაბმული. გოჩმანას წარსული არა ჰქონდა. ძველ ტფილისში დღესაც ბევრია ისეთი ადამიანი, არავითარი წარსული რომ არა აქვთ. წინათ ბევრგან მუშაობდა, ბევრგან იყო ხელობაზე დაყენებული, მაგრამ არსად არ გაჩ-

ერდა. ანუ უკეთ – არსად გააჩერეს. სიცილის და მასხარაობის საგნად იყო ქცეული. არავის სჯეროდა მისი გაკეთებული საქმე. თუმცა ხშირად საქმეს სწორად და გულმოდგინედ ასრულებდა. იტყოდა რამეს – იცინოდნენ, გააკეთებდა რამეს – იცინოდნენ. თითქმის ტირილის დროსაც კი იცინოდნენ... და ყველაფერი ამის მიზეზი იყო პატარა ტანი და ზედმეტად სასაცილო გარეგნობა. ეს იყო მთავარი მიზეზი, რამაც გოჩმანას წარსული დაუკარგა. ისე ხშირად და იმდენ ადგილას მუშაობდა, რომ ნამდვილად ვერ იტყოდი, როდის და სად. ის კი კარგად იცოდა, რომ, ჭონთანაც მუშაობდა, ხარაზთანაც, ალაფის დუქანშიც იდგა, ყასაბთანაც, სირაჯთანაც კი, მაგრამ – რა დროს ვისთან, და რამდენ ხანს, ეს არ იცოდა. არც ის იცოდა, რომელი უბნელი იყო. არც დედ-მამა ახსოვდა. გაგონილი კი ჰქონდა, რომ იმისი მამა ყაბაზი იყო. მაგრამ სად საქმობდა და რა კაცი იყო, არც თვითონ ახსოვდა და არც არავისგან გაეგო. გოჩმანას გარკვეული ხელობა მაშინ დაიწყო, როდესაც ის თითქმის სამოცი წლისა შესრულდა. მას აქეთ უკვე თორმეტი წელიწადი იყო, რაც ის პირნათლად და ჭკვიანად ასრულებდა ღვთისგან და ერისგან დაკისრებულ საქმეს. ამ ხელობის ამბავი შემდეგნაირად დაიწყო.

ერთ კვირა დღეს გოჩმანა სიონში იდგა და ლოცულობდა. ლოცულობდა ისე, როგორც შეეძლო, უფრო კი სხვას უყურებდა და იმეორებდა, თვითონ პირჯვრის წერა არ იცოდა ხეირიანად. იდგა წირვაზე ისე, როგორც ათასი სხვა. ლოცულობდა. ეკლესიაში, აბა, სხვას რას გააკეთებდა. წირვა გათავდა, ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო კარში გასვლა, გოჩმანა მანაც ერთ ადგილზე იდგა. წვიმიანი თვალებით ეკლესიის იატაკს ჩასჩერებოდა და რაღაცას გულმოდგინედ ათვალთვლიერებდა. როცა ეკლესია მთლად დაიცალა ხალხისაგან, გოჩმანამ უცნაურად დაიწყო მხრების თამაში და ცხვირის თითებით სწორება. ჯერ ერთ ტალახს დასწვდა, შემდეგ მეორეს, მესამეს და ასე ორი სავსე მუჭა ტალახი გაიტანა კარში და გადაყარა. მერე ისევ შემობრუნდა და ხელახლა

დაუნყო ტალახის ნაფლეთებს მოგროვება და გატანა. გორმანას ამ საქმიანობას თვალი მოჰკრა სანთლის ყუთთან მდგარმა მღვდელმა და შეეკითხა: – შვილო, ვინა ხარ? რას ეწვალები? გორმანა უეცრად შეაკრთო ამ შეკითხვამ. „არა, მე ისე, მე გორმანა ვარ. აი, აქ ცოტა მოანაგვიანა ხალხმა. ვასუფთავებ. მადლია“. მღვდელს, როგორც ეტყობოდა, მოეწონა ეს პასუხი. „დაიცა, შვილო, ბარემ ცოცხს გამოგიტან და ერთი ხეირიანად დაგავე.“ ამ სიტყვებით წავიდა ტრაპეზისაკენ და დიდ სვეტებს მიეფარა. გორმანას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „როგორ, ეკლესიას მოაგვევინებს? მერე, ეს ხომ პატარა საქმე არ არის. იცით რა საქმეა ამოდენა ეკლესიის დაგვა?“ იდგა გორმანა ერთ ადგილზე და არა სჯეროდა. გული არაჩვეულებრივად უცემდა. მღვდელმა მალე გამოიტანა უზარმაზარი ცოცხი და უთხრა: – „შვილო გორმან! აბა, თუ გული გერჩის, ერთი კარგად დაგავე!“ გორმანა ამ დროს მთლად კანკალებდა სიხარულით. მარდად ჩამოართვა ცოცხი და ისევ ცხვირის სწორებით გაქანდა ეკლესიის ბოლოში. სრული ერთი საათი მოუნდა დაგვას. მაგრამ ოდნავადაც არ დაღლილა. ჯერ ერთი ცოცხზე დაბალი იყო და მოხრა სრულიად არ სჭირდებოდა და მეორეც, ძალიან უხაროდა და დიდ სიხარულს კი დაღლა როდის სცოდნია. ეკლესიის დაგვას რომ მორჩა და კარში რომ გაიტანა ნაგავი, ცოცხი ღონივრად დაბერტყა ეკლესიის კედელზე და ისევ მღვდელს მიუბრუნინა. მღვდელმა ხელახლა შეაქო, ამ საქმეს „სულის საქმე“ უწოდა, თანაც ერთი აბაზიანი აჩუქა და გამოისტუმრა. უნდა გენახათ როგორი სიხარულით გამოვარდა გორმანა ეკლესიიდან და დაეშვა ბაზრისკენ. იმ წუთას პოხრუას სარდაფს მიაშურა. სარდაფი სავსე იყო მოქეიფე ხალხით. გორმანას ჩასვლას ყიყინით შეხვდნენ: „ჰა, გორმან! გორმან! აქეთ, გორმან, აქეთ!“ – დაუნყეს პატიჟი აქეთ-იქიდან. მაგრამ გორმანამ არავის ხმა არ გასცა. პირველად სამოცი წლის განმავლობაში აღარ მიიღო სხვისგან გამოწვდილი ჭიქა. მივიდა დახლთან, ამოიღო საკუთარი შრომით აღებული აბაზი



და ღვინო მოითხოვა. ყველა განაცვიფრა ამ ამბავმა, უფრო კი პოხრუა მიკიტანი. „საიდან, გოჩმან! საიდან ფული?“ – „საიდან? საიდან და ვიშოვნე, ეკლესია დამაგვეინეს და მღვდელმა მარჩუქა.“ ამ გულახდილი განცხადების შემდეგ უფრო მეტად ახმაურდა სარდაფი, არც ერთს სიცილად არ ჰყოფნიდა გოჩმანას „სულის საქმისათვის“ სამსახური. მაგრამ დახლზე დადებული აბაზიანი ყოველგვარ ეჭვს აქარვებდა. ამის შემდეგ აღარავის აღარ გაუცია ხმა. ამ სამოცი წლის განმავლობაში ეს პირველი საღამო იყო, როდესაც გოჩმანამ თანასწორუფლებიან მოქალაქედ იგრძნო თავი. მაგრამ იმის მხიარულ გუნებგანწყობას ღრუბელი გაუჩნდა, დაინისლა, ყელთან რაღაც მოებჯინა ბურთივით, თვალები ცხელი წყლით აევესო და იმ დახლზე მომსხო ცრემლები ჩამოყარა. ამ ღამეს პირველად იპოვა დაკარგული თავი. პირველად იტირა. გატალახიანებულ სახეზე ჩამოცურებული პირველი ცრემლები ძნელად იკვლევდნენ გზას. უცნაურად ციმციმებდნენ.

გულმოდგინედ შეჰყურებდა ყველა სამოცი წლის გოჩმანას პირველ ტირილს. ამ დროს ერთ მაგიდაზე მეტად ზორბა და მსხვილი კაცი წამოიმართა, სავსე ჭიქა ასწია მაღლა და დაიძახა: „ძმებოჯან! ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ყისმათს, რომელი ყისმათიც რომა კაცს არ დაკარგავს. აი, ეს ჩვენი გოჩმანაც გაღატაკებული და გატრიზავებული ძმა იყო. ოჰო! ცხოვრება! ძნელი ყოფილა ძმებოჯან ყისმათის აცდენა. რომელი ყისმათიც რომა კაცს ასცდება. მაგრამ ყისმათის პოვნას სულ მუდამ გაუკეთებია კაცი. გაუმარჯოს გოჩმანას და იმის ყისმათს!“ – ეს თქვა, გადაჰკრა და დაჯდა. ამ დროს ორმა დუდუკმა ტკბილად ჩაუდილინა. ღვინისგან განითლებული თვალები აპრილდნენ. პირში დაგუბებულმა ბოლმამ ყბები გაჰბერა და დუდუკის ვინრო ყელიდან იწყო დენა წვეთ-წვეთად. მეტად მოკლე ტალღაზე გაცურებული კვნესა ჯერ გულს ხვდებოდა, შემდეგ სმენას. ღიღინებდნენ დუდუკები, ნალვლიანად არხევდნენ ბგერებს, ზმოოდნენ, კვნესოდნენ, ჭირვეულობდნენ... ამ დროს მსმენელებ-

ში უხილავი ჯადო იჯდა და ჩუმად ქვითინებდა. ამღვრეულ თვალებიდან უხილავი ცრემლები გულისკენ მოგორავდნენ, გულიდან – ტვინში, ტვინიდან – ძარღვებში. ბუჟდებოდნენ და სთვლემდნენ სხეულები ამ დუდუკის ხმებზე – ამ ნისლიან სიხარულში. ამ დროს წამოდგა ახლა სხვა და დაიძახა:

– ძმებოჯან! ვისაც რომა გაუგია ადამიანი, ეს ადამიანი ორგვარია. ზოგი ჯეჰელობაში ჭკვიანათ არის და სიბერეში სულელდება, ზოგიც ჯეჰელობაში სულელია და სიბერეში ჭკვიანდება. ჩვენი გოჩმანაც ეგრე იყო. მესამოცე წელიწადს რომა კაცი დაჭკვიანდება, ის ყველაზე ჭკვიანია.

– „გაუმარჯოს მაგის ყისმათს! – და მოლუნული მკლავი ჰაერში გააქანა. – ალბათ, „სულის საქმეზე“ მუშაობა ყოფილა მაგისი ყისმათი“.

დალია და დაწყნარდა. დუდუკებმა ისევ ტკბილად ჩაუღლიდინეს. გოჩმანა ამ დროს დახლთან იდგა და ყოველ სიტყვის შემდეგ ცხვირსა და შარვალს ისწორებდა. ამას სჩადიოდა ყოველთვის, როცა ღელავდა. აწრიალებული თვალები ხან ემღვრეოდნენ, ხან უბრწყინავდნენ. ქვედა ტუჩი მთლად გადმობრუნებული ეკიდა პირზე. პირიდან ცხელი ოხშივარი ამოსდიოდა. უეცრად სახე გაენგამოენია, უკანასკნელად გაისწორა ცხვირი და შარვალი, ჭიქას წამოავლო აკანკალებული ხელი, ნერწყვი ხმამაღლა გადაყლაპა და დაიძახა გამშრალი, ჩაგლეჯილი ხმით:

„– ძმებოჯან! მადლობელი ვარ, მაშ! მადლობელი ვარ, მაშ!“ – მაგრამ ღვინო ველარ დალია, ისევ ისევე აქვითინდა. ასე დალოცეს გოჩმანა ახალ ხელობაზე. ამის შემდეგ გოჩმანა მთლად გარდაქმნილი და თითქმის გაახალგაზრდავებული წავიდა სახლში. მთანმინდის უბანში, ერთერთ ვინრო ქუჩის ჩიხში, ერთი ნახევრად დანგრეული ქოხი იდგა. იქა ცხოვრობდა. ორი გაურანდავი მოკლე ფიცარი და ძონძებში შეხვეული ორი აგური სანოლის მაგივრობას უწევდა. ნახევრად დანგრეული ბუხრიდან ისეთი სუნი გამოდიოდა, თითქოს იქ თავის დღეში ცეცხლი არ ან-

თებულაო. ორი ნახევრად დამწვარი კუნძი სკამების მაგივრობას ენეოდა. ქუჩაში აკრეფილი თუნუქის ცარიელი კოლოფები ბლომად ელაგა თაროზე. ეს ჭურჭელი იყო. ამ სახლს არც ფანჯარა ჰქონდა, არც კარები. გოჩმანა, შეიძლება, ერთადერთი კაცი იყო მთელ ტფილისში, რომელსაც გაქურდვისა არ ეშინოდა. სახლში მისვლისთანავე დაწვა. რაც რამე ძონძი ჰქონდა, ზედ დაიყარა და დანყნარდა. მაგრამ ძილი ოდნავადაც არ გაჰკარებია. ბევრი იბრუნა, ბევრი იშფოთა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თავში სიხარულის მაგვარი რალაც უტრიალებდა. ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო მეორე დღეს. „ვაი თუ აღარ მიმიღონ, ვაი თუ აღარ დამაგვეინონ? მერე ხომ ხალხში ველარ გამოვჩნდები, ხომ უფრო მასხარად ამიგდებენ“. ჩუმად ეტუტუნებოდა თავის თავს გოჩმანა და უფრო მეტად შფოთავდა. ნამდაუნუმ ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ გათენება ჯერ არსად ჩანდა. ბოლოს ამ გათენების ლოდინში ჩასძინებოდა.

კარგად იყო გათენებული, რომ გამოეღვიძა. შემოდგომის ღრუბლიანი დღე იდგა. გოჩმანამ კარგად ვერ გაიგო, თუ რა დრო იქნებოდა. მარდად წამოხტა ფეხზე, წვერ-ულვაში და თმა გაისწორა, მოშვებული ბანრები მოიჭირა, პირჯვარი გადაიწერა და გამოვიდა კარში. ყნოსვით იგრძნო, რომ დაეგვიანა, ამიტომ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა სიონისკენ. გზაში ვინც თვალს მოჰკრავდა, სიცილად არა ჰყოფნიდა ეს საქციელი. „გოჩმანა უუუ! გოჩმანა უუუ!“ – კივილით დაედევენ უბნის ბიჭები. მაგრამ გოჩმანა არავის ყურადღებას არ აქცევდა. ზოგმა ფეხი დაუდო, ზოგმა უკან შარვალი გამოსწია, მაგრამ ამაოდ. გოჩმანა მაინც გარბოდა, არავის ყურადღებას არ აქცევდა. „მაგრა გაიქე, მამა გიცხონდა, აზრები დაგრჩებოდა დასანერი“ – ისმოდა აქეთ-იქიდან ბაყლებისა და მედუქნეების სიცილი. კარგად დალაღულმა და გაოფლიანებულმა მიიბრინა გოჩმანამ სიონთან. ჯერ ეზოში მობრუნდა, ერთხელ-ორჯერ შემოუარა ეკლესიას გარშემო. შემდეგ ცხვირი მოინმინდა, შარვალი გაისწორა და ფეხაკრევით შევიდა ტაძარში.

ამ დროს წირვა უკვე გახურებული იყო, ხალხიც ბლომად იყო. გოჩმანამ აათვალ-ჩაათვალა ხალხი, მერე იატაკი დაათვალა და აღელდა. დღესაც სჭირდებოდა ეკლესიას დაგვა. ბევრი იძვრინა, შემდეგ კი დაწყნარდა, დაიწყო ლოცვა. გულმოდგინედ იწერდა პირფარას. ხან მუხლსაც იყრიდა და თან ცალი თვალით ათვალა იწერდა ხალხს, შარვალსა და ცხვირს წამდაუნუმ ისწორებდა. ხან ჩუმად ბანრებსაც ისინჯავდა თეძოებზე, ეშინოდა, ამ მოძრაობაში არ შერცხვენილიყო. უცბად, ვიღაც კაცი მივიდა და რაღაც წასჩურჩულა, შემდეგ განზე გაიყვანა და აუხსნა, რომ ვიღაც საპატიო „კენინის“ წინ გაჩერებულიყო და ლოცვას უშლიდა. რამდენად იყო ეს მართალი, გოჩმანამ ვერ გაიგო. იმას კი მალე მიხვდა, რომ ეკლესიაშიაც კი ყველას თავისი ადგილი ჰქონდა. ეწყინა, მაგრამ რაღას იზამდა. ამის შემდეგ იქაც აღარ გაჩერდა, იმ უცნობმა კაცმა რომ ასწავლა, ნავიდა და სულ უკანა კედლის კუთხესთან საცოდავად აიტუზა. ლოცვას კი არ უკლო, პირიქით უფრო მუყაითად ლოცულობდა. თითქმის შუა წირვა იქნებოდა, რომ ვიღაც პატარა ბიჭი მიუახლოვდა და უთხრა – „პაპა, აგე ის კაცი გეძახისო“ – და პატარა თითით ანიშნა იმ მღვდელზე, სანთელს რომ ჰყიდდა. გოჩმანა ისე იყო დაშინებული პატარა ბიჭებისაგან, რომ ხეირიანად ვერც კი გაიგო, რას ეუბნებოდნენ და ისე უნებლიედ გაიხედა სწორედ იმ მღვდლისაკენ. მღვდელი ამ დროს ხელს უქნევდა და რაღაცას ანიშნებდა. გოჩმანას სახე აუწითლდა, თვალები ცრემლით აევსო, ფეხები აუკანკალდა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. მაგრამ გონს უცბად მოვიდა. ორჯერ-სამჯერ მოიწმინდა ცხვირი და გაქანდა. მღვდელმა სალამი მისცა, დაუყვავა, რაღაც ხელსახოცში შეკრული მისცა ხელში და უთხრა ტრაპეზში წაელო. აკანკალებული ხელებით ჩამოართვა გოჩმანამ ხელსახოცი და წამოიღო. ძალიან უნდოდა ცხვირი და შარვალი გაესწორებინა, მაგრამ ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა. შუა ეკლესიაში რომ გავიდა, ისე წარმოედგინა თითქოს მთელი ხალხი იმას უყურებ-

და და მასხრად იგდებდა, გული აუჩუყდა, თვალთ დაუბნელდა, ერთ წუთს ყველაფერი შემოტრიალდა იმის წინ. მაგრამ მალე იპოვა თავი. არ დაიბნა. აჩქარებული ნაბიჯით მიადგა ტრაპეზს და ის იყო კიბეებზე უნდა ასულიყო, რომ ხალიჩა მოედო ფეხებში და წაიჩოქა, მაგრამ მაინც მარდად წამოხტა და როგორც იყო შევიდა. ამგვარად, ასე თუ ისე მშვიდობიანად გათავდა ეს პირველი მგზავრობა. გოჩმანამ დადო ტრაპეზში ის შეკრული და საჩქაროდ გამოვარდა. თავის ადგილზე მიიბრინა და მონივნებით გაჩერდა. მეტად მსუბუქად გრძნობდა თავს. სიხარული ცეცხლივით ჰქონდა მოდებული წითლად აელვარებულ სახეზე.

ამ დროს იქვე მდგომ შანდალზე მსხვილი სანთელი დაინვა და ბურბური იწყო. გოჩმანამ აღარ იცოდა რა ექნა, ხან მღვდელს უყურებდა, ხან სანთელს. გამბედაობა აღარ ჰქონდა რომ მისულიყო და ჩაექრო. როგორც იყო, მივიდა მღვდელთან და ანიშნა. მღვდელმა მოუწონა ღვთის სამსახური და გაგზავნა ჩასაქრობად, თანაც უთხრა, ნამწვები მოეგროვებინა და ტრაპეზში წაელო. ამის თქმა და გოჩმანას დატრიალება ერთი იყო. მუყაითად დაურბინა შანდლებს, ორი სავსე მუჭა სანთელი შეაგროვა და წაიღო ტრაპეზში. ტრაპეზში ეხლა უკვე მიაქციეს ყურადღება გოჩმანას. იქაც დაასაქმეს. გოჩმანას ის უკვირდა, რომ ასე უცბად ამდენი საქმე გაუჩნდა. ლოცვისთვის აღარ ეცალა. ხან ტრაპეზში ტრიალებდა, ხან ნამწვებს აგროვებდა, ხან სეფისკვერი და რაღაც ქალღმერთი შეჰქონდა და გამოჰქონდა. მაგრამ გოჩმანასთვის ყველაზე მძიმე და საშინელი იყო, როდესაც სტიხარი ჩააცვეს. თავის ძონძების შემდეგ, ასე მალე ოქროთი და ბუზმენტით მოქარგული ტანსაცმელი, რაღაც არა სჯეროდა. წარმატება ასე უცბად, ერთი წირვის განმავლობაში, უსათუოდ სასწაულს უდრიდა, მაგრამ გოჩმანასთვის ამაზე მეტი სასწაული იყო, როდესაც უზარმაზარი კელაპტარი მისცეს ხელში და წინ წაიმძღვარეს. მიდიოდა გოჩმანა წინ და უკან მისდევდა ამდენი მთავარი და მღვდელი. სიხარული როდიდა

იყო ამ მდგომარეობაში. გორმანას სახე ისრიმივით გამწვანდა და გაფითრდა. თვალებში ცეცხლები გაუჩნდა. მიდიოდა კი, მაგრამ აღარ იცოდა საით წასულიყო, ან სად გაჩერებულიყო. შუა გზაში ვილაცამ მოჰკიდა ხელი და გააჩერა, მერე ვილაცამ ანიშნა უკანვე წასულიყო და ასე, თითქმის უშეცდომოდ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. წირვა რომ გათავდა, ერთი პატარა სეფისკვერის ნაჭერი მისცეს და დაწყნარდნენ.

გორმანას შრომა აღარავისთვის აღარ იყო საჭირო. ეწყინა გორმანას. ამდენი საქმე გააკეთებინეს და ასე უყურადღებოდ დატოვეს. სველი და ეკლიანი გულით გავიდა ტრაპეზიდან და ისევ თავის ნაცნობ მღვდელთან გაეშურა. მღვდელმა ამ დღესაც დააგვევინა ეკლესია. კიდევ ერთი აბაზი აჩუქა და გაისტუმრა. ქუჩაში რომ გამოვიდა, გორმანას აღარ უხაროდა, ისე იყო დაღლილი და მშვიერი, აბუზული და მონყენილი გაჰყვა ტფილისის ქუჩებს სირაჯხანებისაკენ. რაღაზე აღარ ფიქრობდა გორმანა გზაში. მაგრამ ყველაზე ძალიან აწუხებდა ის, რომ არ იცოდა ამ ახალ ხელობას რა ერქვა. ან ჰქონდა რამე ფასი იმის მუშაობას. თუ ფასი ჰქონდა, მაშ რატომ არაფერი მისცეს, ან პური რატომ არა აჭამეს. რას ნიშნავდა ასე პატარა სეფისკვერის მიცემა. განა გორმანას ეს გააძღებდა მთელი დღის ფეხზე ტრიალის შემდეგ? „არა, არა, აქ რაღაც ისე არ არის, როგორც მე მგონია. ჰა! გორმან, ფრთხილად იყავი, ესეც ხომ პოხრუა მიკიტნის სარდაფი არ არის, რომ მასხარად აგიგდონ. აი, ასე დაეჭვებული და თითქმის იმედგაცრუებული მიადგა გორმანა ხაშის დუქანს. კარგა გულიანად რომ ისადილა, ისევ ეკლესიისკენ წამოვიდა. ეკლესია მაგრად იყო დაკეტილი. ეკლესიის გარშემო კი აღარავინ იყო. ბევრი იტრიალა, ბევრი ათვალიერა მაღალი და სიპი კედლები, შემდეგ იქვე ეზოში ერთ კედლის კუთხესთან მყუდროში მიწვა. გორმანა მხარეთქობზე წამონოლილი დიდხანს ათვალიერებდა ეკლესიის მაღალ გუმბათს, განიერ მხარბეჭს, კლდესავით მაგარ დგომას და უხაროდა. ამ დროს ცხელი წყლით ევსებოდა თვალე-

ბი, ეს წყალი ცხვირში ჩასდიოდა, ცხვირიდან სასაში და პირში, პირიდან გარეთ ჟვანავდა. რალაც სიამოვნება იყო ამ ყოფაში, ალბათ, რომ მეტად ტკბილად ჩასძინებოდა.

ხომ გინახავთ ძველი ტფილისი. უღრან ხევებში გადაჩეხილი ათიათასი ბებერი დედაკაცივით არის ჩამოკიდებული დაბერებული და ხავსმოდებული სახლები. გამონელილი ქუჩები ბრმა გველებივით არის დახლაკნული სახლებს შუა. ბევრ ადგილას აქ ქუჩები სახლებში შედიან. ბევრგან სახლები კი არ დგანან, დაჩოქილები არიან და ქანაობენ. ბებერი მკლავებივით არიან გაშვერილები აივნები მზისკენ, ბევრგან კი სახლები წელამდის სხედან მინაში, მაშინ ეს აივნები პირდაპირ ქუჩაზე აწყვია მონინებით. ვინ იცის, რომელ საუკუნეს როგორი შეყვარებული თვალები ზომავდნენ ამ სვეტებს, ამ მოაჯირებს. ვინ იცის, როგორი ხურუშით ავარაყებდნენ ამ სვეტების თავებს, ამ მოაჯირებს. კარგად რომ დაუგდოთ ყური ნალვლიან ბაიათებს, ზუზუნებენ ეს ჩუქურთმები, ალბათ, ამავე ბაიათებს ჩაჰლიღინებდნენ ძველი ოსტატები, როცა იგონებდნენ ამათ ათასჯერ ჩანვნას, ჩაკონებას.

აი, აქ, ამ ტფილისში, ამ ბაიათებით და დასნეულებულ, მეტისმეტი სიბერით აკანკალებულ სახლებს შუა, მედგრად არის ავარდნილი ძველი სიონი. იმისი განიერი და მაღალი ჩრდილი თითქმის შუამდე სწვდება მთელ ტფილისს. სიპი კედლების სიმტკიცე და სიმკვრივე ჩაკირულია ათას საუკუნეთა ქროლვებით, ღმერთი თუ როდისმე დადიოდა ქვეყანაზე, ალბათ ღმერთსა და ხალხს შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც ამ სახლებსა და სიონს შორის. ამ განსხვავების გარდა, სასწაულიც იყო; ალბათ, სახლები რომ ძველდებიან, უსათუოდ ინგრევიან. სიონი კი რამდენიც ძველდება, იმდენი მტკიცდება და მაგრდება. ალბათ, შორი მზერა ძველი ტფილისის მოქალაქეებისა ქმნის ამ უხილავ სასწაულებს. მაგრამ ყველაზე ძლიერი და ბუმბერაზი ისევ სიონის ზარის გუგუნია. ყოველ დღით მინა რომ ინძრევა, სახლები რომ ზრიალებენ შიშით და სიყვარულით, ყველამ იცის, რომ ეს

სიონის ზარია. ამ დროს მოხუცებული დედაკაცები პირჯვარს ინერენ. პირში შებრუნებულ ტუჩებით რაღაცას ჩიფჩიფებენ. დანაოჭებული სახეები ღვეთივით ფითრდებიან. უწყლო, დაობებული თვალებით ზეცისკენ იყურებიან, ლოცულობენ ამ ზარის მედგარ ხმებზე. შუა ბაზრის ხელოსნები კი სულ სხვაგვარად ხვდებიან ამ გუგუნს. გაიგონებენ თუ არა სიონის ზარის ხმას, მაშინვე შიშვლდებიან ჭალარა თავები. პრიალა შუბლები და ჭალარა თმები ელავენ მზეზე. თვალებით ყურებს ისინჯავენ. დანყებული საქმე უშემდებათ ხელში. სხედან და ყურს უგდებენ. ამ დროს მოხუცებული სისხლი და კუნთები ახალგაზრდავდებიან. მაგრამ თავდება ზარის გუგუნი და მასთან ერთად თავდება მოხუცებულთა ცნობისმოყვარეობაც. ნასიამოვნები თვალები ხელახლად დაჰყურებენ საქმეს. ხელახლად დგება დღე მყუდრო შრომის, სიამოვნებისა და სიხარულის.

კარგად იყო შებინდებული, გოჩმანას რომ გამოეღვიძა. ნოტიო მინაზე წოლით მთლად გაყინულიყო. მარდად წამოდგა ფეხზე, გაიცინა, მშვიერი ძაღლები რომ იცინიან, ისე და გაქანდა სახლისაკენ. ოციოდე ნაბიჯი რომ გაირბინა, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, სახლი რომ არა ჰქონდა. სახლი კი ჰქონდა, მაგრამ სახლში არაფერი ჰქონდა. გაბერილი და გაბუჟებული სხეული მთლად უკანკალებდა. გოჩმანა შუა გზიდან გამობრუნდა, დამზრალი ფეხები თავისთავად მიარბენინებდნენ პოხრუას სარდაფისაკენ. იქ ცხელი ქურები იყო, რომლებზედაც იხარშებოდა ნაირ-ნაირი საჭმელი. იქ იყო ღვინო და პატიოსანი ხალხი. ბოლოს, იქ იყო ტკბილი დუდუკების ჰანგები და მალლა დაძახებული ბაიათის სიტკბო. სარდაფის კიბეებთან რომ მივიდა, უზარმაზარი სინანული დახვდა წინ და შეაჩერა. გოჩმანას აღარ უნდოდა სარდაფში ჩასვლა. რალაცნაირად სარდაფში ჩასვლა და თხოვნა ერთად იყო გადაჯვარედინებული იმის თავში. თხოვნა კი აღარ უნდოდა. თუმცა მუქთად არავინ არაფერს აძლევდა, ყველა რალაცით ასაქმებდა გოჩმანას, მაგრამ ფულს კი არავინ



აძლევდა. ხან კერძის ნარჩომი, ხან მორჩენილი პურის ნატეხი, ხან სამადლოდ გამოწვდილი ერთი ჭიქა ღვინო. აი, ეს იყო გორჩმანას გასამრჯელო. ეს კიდევ არაფერი, ყველაფერ ამას თან სდევდა ათჯერ მეტი სიცილი, ანგლობა, ლაზღანდარობა. გორჩმანა მეტისმეტად იყო დაქანცული ყველაფერ ამით, რომ აღარ ჩასულიყო პოხრუას სარდაფში, მაგრამ რა ექნა, სად წასულიყო, როდესაც მთელ ქვეყანაზე არსად არაფერი გააჩნდა.

გორჩმანამ ერთხელ კიდევ გამოიძინა თბილ ქურებთან პოხრუას სამიკიტნოში. კარგად იყო დაღამებული, როცა გამოვიდა სარდაფიდან და გაჰყვა მთანმინდის ქუჩებს. გულის მაგივრად რალაც მაგარი და მძიმე ნივთი ედო, რომელიც სუნთქვას უძნელებდა. მიდიოდა გორჩმანა მთლად დაბერტყილი და გატრიზავებული, ჩათუთქული. „როგორ, ამოდონა საქმე გამაკეთებინეს და ერთი პატარა ნაჭერი სეფისკვერი მომცეს? მერე ის გამაძლობდა ამოდენა კაცს? არა, არა, ფრთხილად უნდა იყვე, გორჩმან, ფრთხილად“, – ებუტბუტებოდა თავისთავს და მეტისმეტი წყენის ნიშნად, ზემოთა ტუჩი ცხვირზე მიჰკროდა, სახე განზე გასწეოდა ისეთი ხერხით, რომ ნიკაპი ცხვირამდის ასდიოდა. „არა, აქ რალაც ისე ვერ არის, აქ რალაც სხვა რამეა, თორემ ამოდენა კაცს ისე პატარა სეფისკვერს როგორ შემომბედავდნენ. აქ ვილაც მასხრად გიგდებს, გორჩმან, მაშ“. – ამას უკვე ჩუმად ფიქრობდა და თავჩალუნული რალაცას ანგარიშობდა. ამ დროს ვილაც შარვლის უბეში სწვდა და ღონივრად უჩქმიტა. გორჩმანა შეკრთა. მაგრამ მალე მიხვდა, რაც იქნებოდა. ცოტა ნაბიჯი რომ წადგა, ვილაცამ ფეხი გამოსდო. გორჩმანა ამასაც მიხვდა. ცოტა კიდევ რომ წადგა, მთელი ჯელგა უბნის ბიჭებისა დახვდა წინ. „გორჩმან უუ! გორჩმან ზუნ, გორჩმან, გორჩმან!“ ატყდა ერთი აურზაური, მიესივნენ აქეთ იქიდან. ზოგი შარვლის უბეს უწევდა, ზოგი ფეხს უდებდა, ზოგი ქამარს აგლეჯავდა. წესით, გორჩმანა უნდა გაბრაზებულიყო, მაგრამ ხმაც არ ამოუღია. ჯერ იყო და ნაბიჯს აუჩქარა: მაგრამ ამან რომ არ იკმარა, გაძუნძულდა.

გარბოდა გოჩმანა და უკან ნივილ-კივილით მისდევდა მთელი ბრბო პატარა ბიჭებისა.

გოჩმანას ყველაფერი ეს იმდენად მობეზრდა, რომ გადაწყვიტა, რაც არ უნდა მომხდარიყო, გასცლოდა ამ უბანს, სადმე გადაკარგულიყო, ოღონდ აღარ გაეგო და აღარ ენახა ამდენი დამცირება. ასე დაღონებული და მოშხამული შევიდა თავის სახლში. კარგად რომ დაისვენა, ისევ ის მძიმე და მაგარი ნივთი გაუჩნდა გულთან. ბურთივით მრგვალი რალაც დაეცო ყელში, გული აუჩუყდა და თავისდა უნებლიედ უცნაურად აქვითინდა. ბევრს ეცადა, როგორმე თავი შეეკავებინა, მაგრამ ვერ შესძლო. დაბერებული ნებისყოფა არ ეყო ამ უბრალო საქმისთვის. კარგად რომ მოიჯერა გული ტირილით, მხოლოდ მაშინ მოახერხა დაწოლა. ყელში გაჩრილი ბურთი სადღაც გაჰქრა. სუნთქვა გაეხსნა გული გაუმსუბუქდა და ისევ ფიქრს მისცა თავი. გოჩმანა ისევ იმ პატარა სეფისკვერზე ფიქრობდა, რადგანაც ეს იყო იმისთვის მეტად ახალი და გაუგებარი საქმე. „როგორ, ამოდენა მუშაობა და ეს ერთი ნამცეცა სეფისკვერი? არა, არა, აქ რალაც ისე არ არის. ფრთხილად, გოჩმან, აქ ვილაც უნდა გიგდებდეს მასხრად. მაშ ამოდენა კაცს ის ერთი ბენო ლუკმა გამაძლობდა? და განა რა ძალა ჰქონდა ისეთი იმ პატარა თეთრი პურის ნაჭერს, რომ მეტი ველარ გაიმეტეს. არა, აქ რალაც ისე არ არის, მაშ. აქ რალაც ისე არ არის, მაშ“. სულ ჩუმად ბუტბუტებდა გოჩმანა და მეტისმეტად ბორგავდა. ამ მდგომარეობაში ჩასძინებოდა. იმ ღამეს გოჩმანამ სიზმარი ნახა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ამ სამოცი წლის განმავლობაში პირველად ნახული სიზმარი, რომელიც ასე მკაფიოდ დაახსომდა. სიზმარში გოჩმანამ ვილაც მოხუცებული კაცი ნახა. სახე და წვერი ჰქონდა თეთრად გაბადრული. თეთრი ტანისამოსი ეცვა. მთვარის ნათელი ედგა და ანათებდა იმ კაცს. გოჩმანას ისე შეეშინდა, რომ დასცხა იმ კაცის დანახვაზე. მაგრამ მალე დაწყნარდა, როდესაც იმ კაცმა გახსნა პირი და დაიწყო ლაპარაკი „შვილო, გოჩმან, მე ძალიან

მიხარია, რომ შენ ჩემს სამსახურს შეუდექი, ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რომელთაც დაიმკვიდრონ ქვეყანა. აი შენც, გლახაკი ხარ, სულითაც და ხორციითაც. შენ უკვე დაიმკვიდრე ჩემი სასუფეველი – იქ კი, ჩემო შვილო, მხოლოდ ცხონება არის გლახაკთა, დავრდომილთა და უძლურთა.“

გოჩმანა ძალიან გაამხნევა ამ სიტყვებმა. „მერე ისე პატარა სეფისკვერი რომ მომცეს, ის გამაძლობდა?“ – აჩქარებით შეეკითხა. ამაზე იმ მოხუცებულმა შემდეგნაირად უპასუხა: „არა მარტო პურითა არს მაძლარი კაცი, არამედ ყოველი საქმითა და სიტყვითა, რომელიც ჩასდის და ამოსდის მას. იცოდე, შვილო გოჩმან, რომ მე ქვეყანაზე რომ ვიყავი, ხუთიათასი კაცი ხუთი პურით გავაძლე. აბა, გამოთვალე თითოს მაგ ნამცეცის მესადიდც არ შეხვდათ მაშინ. მაგრამ ისინი ყველა ცხონდნენ.“ გოჩმანამ ისევ შეჰბედა, „იქნებ ისინი ნასადილევეები იყვნენ და იმიტომ ეყოთო. მე რომ მშიერი ვიყავი, რატომ არავინ არ მკითხა მე ნასადილევი ვიყავი თუ არა. ჩემთვის არც არავის არ უთქვამს რომ ცხონდებიო. მომცეს პირდაპირ ის პატარა ნაჭერი სეფისკვერი და კარში გამომიშვეს.“ „შვილო გოჩმან, არ გინდა იმათი თქმა, მე ზეციდან ყველაფერს ვხედავ, მე მივუზღავ ყველას თავისას იქ, ჩემთან რომ მოვლენ, შენ კი ღვთის საქმეს ბეჯითად მოექეც და მე იქ დაგაჯილდოვებ.“ გოჩმანამ კიდევ შეჰბედა: „მერე, რომ გამაძლონ, უფრო კარგად არ ვიმუშავებ, ვიდრე მშიერი? აი, თუ შენ მართლა დაინახე, რომ ისეთი პატარა ლუკმა მომცეს, რატომ არ უთხარი, რომ რამე მოემატებინათ კიდევ, ეგ ხომ მოწყალება არ იყო, მე ხომ ვიმუშავე, ხომ მაღლი იყო ჩემი პურის ჭმევა. რატომ ისინი არ ფიქრობენ ცხონებაზე?“ „კარგი, კარგი, შენ იმუშავე და გახსოვდეს რომ ყველას საქმეს მე ვხედავ. ყველგან ჩემი სახელი ახსენე. ჩემი სახელი დაგიფარავს წაწყმედისაგან.“

ესა თქვა მოხუცმა, თეთრი ხელები ზეცისკენ ასწია და პირჯვარი გადასწერა. კიდევ ბევრი რამე უნდა ეთქვა გოჩმანას, მაგრამ შეატყო, იმ მოხუცებულს აღარ უნდოდა ყურის გდება

და ესლა მოახერხა ეკითხა, თუ ვინ იყო. მაშინ ის მოხუცებული სხვანაირად განათდა, ოქროს ჩარჩოები გაუკეთდა, ირგვლივ დამაბრმავებელი შუქი გამოსცა და დაიძახა: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, შენთვისა და მრავალთათვის ჯვარცმული, ნეტარებდეთ!“

ამის გაგონებაზე გოჩმანას ზარები დაემტვრა ყურებში, წამოვარდა და ის იყო ფეხებში უნდა ჩავარდნოდა მაცხოვარს, რომ ოთახის ფილაქანზე მოსძვრა ბრახვანი. ძალიან შეშინებულმა აჭყიტა თვალები, მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო სიზმარი და გულწრფელად გაუხარდა. თორემ ცხადლივ ის რაც თქვა, არამც თუ ღმერთს, უბრალო დიაკვანსაც კი ვერ გაუბედავდა. ამის შემდეგ გოჩმანას აღარ დაუძინია. ფერად-ფერადი ბუშტები უჩნდებოდა და უქრებოდა თვალებში. ამ დროს ნეტარებდა ისე, როგორც შეიძლება ნეტარებდე ორ მოკლე ფიცარზე და ორ აგურის ბალიშზე...

ამის შემდეგ კარგა ხანმა განვლო. წელიწადი წელიწადს მისდევდა. დრო და ქვეყანა ბერდებოდა, ბერდებოდა ტფილისი, სახლები, ხალხი. ძაღლებიც კი ბერდებოდნენ ტფილისის ქუჩებში. არ ბერდებოდა მხოლოდ ცხოვრება. ცხოვრება ამ დროს საოცარ სასწაულებს ამზადებდა. ჯამბაზები სწავლობდნენ თოკებზე სირბილს. მუნჯმა ხალხმა თანდთანობით ენა ამოიდგა და ლაპარაკი იწყო. საიდანღაც მოვიდა შავი ხალხი, შეკრული შუბლით, სისხლიანი თვალებით და ქვეყანას რისხვით დაემუქრა. კიდევ რამდენიმე ხანი და საშინელი გრგვინვით დაიმსხვრა ზღუდე და ბორკილი, გაცეცხლებულ ლავასავით მოედო შავი მასა ტფილისის ქუჩებს. ტფილისი აბრუნდა. ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმსხვრა ამ ბრუნვაში. წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი. ბევრს გული გაუხეთქა ამ საზარელმა სანახაობამ. ამ გაუთავებელ ბრუნვაში ძველი ტფილისი შუაზე გადატყდა. ახალგაზრდა ტოტებმა იწყეს გამხმარი ფოთლების ანიავება. ძველი ამ დროს მოჭრილ მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი. ახალი ტფილისი ივსებოდა ქარხნებით, შუქით, ახალი

ხალხით. შრომა, როგორც ზეიმი. დასვენება კლუბებში. კლუბებში კიდევ ზეიმი. კინო. რადიო. სიმღერები. დაკვრითი ტემპები, სოციალისტური შეჯიბრი, გაუთავებელი ინდუსტრიალიზაცია. კიდევ ტემპები. გაგიჟება შრომით და შრომაში. მეზრდოლი უღმერთობა. აქ ღმერთებს ყოველდღე ასამართლებენ. არნახული და არგაგონილი კარნავალები მუშათა ახალგაზრდობის. ორად განეული ფილტვების სალი სიცილი. დემონსტრაციები. წითელი დროშების ტყე. გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო. აღმშენებლობა. გეგმები. აღმშენებლობის დაკვრითი ტემპები. ხუთწლიანი გეგმა ინდუსტრიალიზაციისა ოთხ წელიწადში. სამ წელიწადში. ორ წელიწადში. სოციალისტური წარმატებები. მიჯნების მსხვერვეა და განიავება. წითელი ვარსკვლავები წითელ ქარხნებზე. წითელი ფერის საყვირები და გუგუნი. საკავშირო პროლეტარიატი და იმისი შტაბი ვ.კ.პ. კიდევ წითელი ფერი, კიდევ კვილი წითელი საყვირების, მსოფლიო პროლეტარიატი და იმისი შტაბი წითელი კომინტერნი. სოციალიზმი. სოციალიზმის ქარიშხლები, გაჩენა, აღზრდა, შრომა დაკვრითი წესებით, სიხარულით. სიკვდილი მაინც სიხარულით. ახალი ადამიანი. რომელიც ავად აღარ უნდა გახდეს. აღარ უნდა დაბერდეს. აღარ უნდა დაიტანჯოს. სიამოვნებით სიცოცხლე. სიამოვნებით შრომა და სიკვდილი. ასე ბრძანებს პროლეტარიატი. სმენა! ხალხს ასე უნდა, ეს ასე იქნება. გაუმარჯოს კოლექტიურ სურვილს და ნებისყოფას!

ძველი ტფილისი. მოღუნული და ვიწრო ქუჩები. გამხმარი, ბებერი ხეები ამ ქუჩებში. შეშინებული სახლები. სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები. მზისგან დამწვარი მოაჯირები. მოხუცებული ხალხი, იმათი ხველება. ვიწრო და შეკუმშული ფილტვების ხიხინი გამხმარ ყელში. ყელზე დაკეცილი და დანაოჭებული ტყავები. თვალბში მიმქრალი სიცოცხლე და სათნოება. დაღარული სახეები ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული. ნელი სიარული და სიარულში გაორება. მოხუცებული მუხლების

კანკალი და თრევა დანგრეულ ფილაქანზე. ხალხი როგორც ჩრდილები – ამ ჩრდილების კიდევ ჩრდილები, ასევე მოკაკული და შეშინებული. ჩამქრალი სმენა და მხედველობა, ჩამქრალი სიცოცხლე. ყველაფერი ბებერი და დრომოჭმული: მხოლოდ სიონი, წინილებში ჩაფრენილი არწივივით დგას მედგარი და ძლიერი – უცვლელი. მრისხანე ბუმბერაზი. ამიტომ არის, რომ მარტო სიონილა სდარაჯობს დაკარგულ ძველ დროებას. ყოველდღე სიონის ზარის მედგარი გუგუნი მოსვენებას უფრთხობს ახალ ტფილისს. სიხარულით და რწმენით ავსებს ყველა მოხუცებულ გულს: მაინც დამარხული მკვდრის სიცოცხლეს აგონებს ყველას სიონის ზარის გუგუნი. ჩრდილების ჩურჩული და ჩრდილების ლოცვაღა დარჩა ძველ ტფილისში. მინამდის დადაბლება და მინაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით. ამავე თვალების მოხუჭვა სიონის ღვთისმშობლის ხატის წინ და გაუთავებელი ლოცვები სიონის მალალთალიანი გუმბათის ქვეშ. უკბილო პირების ცმაცუნნი და დაპატარავებული ენის ტრიალი პირში შებრუნებულ ტურნებქვეშ, გაუთავებელი წუნწუნი ცოდვების მიტევებაზე, ცხონებაზე. დარდები დიდ ცოდვებით დატვირთულ ახალ თაობაზე. იმათთვის ლოცვა და სინანული. ღვთის ვედრება მყუდროების და სათნოების დამკვიდრებაზე ამ ქვეყანაზე, ამ ხალხთა შორის.

ახალი და ძველი ტფილისი ისე დგანან ერთმანეთის პირისპირ, როგორც ბუზი და ლომი. მაგრამ მაინც იბრძვიან. თავისებური და საკვირველია ეს ბრძოლა. ერთის მხრივ, ახალი ცხოვრება, ახალგაზრდა ხალხით, ახალი ხერხებით, შრომით, ინდუსტრიით, ძალიან ბევრი ინდუსტრიით. მეორეს მხრივ კი ძველი ტფილისი, ძველი ხალხით, ძველი ხერხებით, ლოცვით, ბევრი ლოცვით და სინანულით. ახლის მხარეზეა ათიათასი სანარმო იარაღი. ძველის მხარეზე კი ერთი ზარი და ათი ათასი იმედი. ამის მიუხედავად, ბრძოლა მაინც არის სიცოცხლე, მაინც დულს. ტემპები მაინც არ ნელდება. სოციალიზმისკენ გაჭენებულ ცხოვრებას მაინც გრეხავს საშიში ჰალუცინაციები. სიცხე და თავბრუ.

გორმანას პირადი ცხოვრება ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა. იმისმა თანამდებობამაც გარკვეული სახე მიიღო. ერთის შეხედვით, თითქოს განსხვავება ცოტა იყო. მაგრამ არსებითად ცვლილება მეტად დიდი მოხდა. მთანმინდაზე პატარა ქოხის მაგივრად, გორმანას თავისი ორი მოკლე ფიცარი ეხლა სიონის სამრეკლოზე დაეგო და იქ ეძინა. სწორედ დიდი ზარის ქვეშ. ამ საქმის ამბავი შემდეგნაირად იწყება: მას შემდეგ, რაც გორმანა კარგად მოშინაურდა სიონში, თითქმის საჭირო კაცი შეიქმნა. დააფასეს კიდევ იმისი შრომა. ფულსაც აძლევდნენ, პურსაც, სანთლის ნამწვავებსაც. გორმანა სიონში ათასწაირ საქმეს აკეთებდა – ეკლესიას გვიდა, წმენდდა, ტრაპეზში დადიოდა, სანთელი გამოჰქონდა. ერთი სიტყვით, ტრიალებდა და ეს ტრიალი ასე საჭირო და აუცილებელი იყო ყოველი წირვის დროს.

ერთ შემოდგომის დღეს... სწორედ შუა წირვა იქნებოდა, როდესაც გორმანა მიიხმო ერთმა მოხუცმა მღვდელმა ტრაპეზში და უთხრა: „შვილო გორმან, ზაქარა, ჩვენი მნათე, ავად არის, დღეს აღარ მოსულა, შენი იმედი გვაქვს, შენ უნდა ახვიდე სამრეკლოზე და შუაწირვა დაარისხო.“ ამ სიტყვებით მღვდელმა მოზრდილი გასაღები გადასცა. გორმანას სიხარულით თვალი დაუბნელდა: „ხო კარგი, დავრეკამ მაშ. დავრეკამ მაშ.“ და მარდად დაიწყო ცხვირისა და შარვლის წვალემა. გორმანას აღარ დაუცდია. მაშინათვე გამობრუნდა და გაქანდა სამრეკლოსკენ. სიხარულის აღმური სწავდა სახეს. არაჩვეულებრივად უძგერდა გული. მეტის-მეტის ქაქანით აირბინა კიბეზე, გადახტა ქუჩაში და მივარდა სამრეკლოს კარებს. ხელების კანკალით გააღო უშველებელი კლიტე და შიგ შევიდა. ხის კიბეები რომ დაინახა, უცბად შეკრთა, ცოცვით და კანკალით ავიდა ჯერ ერთ კიბეზე. კარგა რომ დაისვენა და გული მოითქვა, ახლა მეორე კიბეს მიადგა. კიდევ დაისვენა და ახლა მესამე კიბეს მიადგა. ეს კიბეც რომ ავლო, უეცრად თვალი დაუბნელდა და იქვე გაიშხლართა. ასეთი საოცარი რამ გორმანას ჯერ არ ენახა! იმის თავზე ეკიდა

უზარმაზარი ზარი! გორმანამ თვალები დახუჭა და ერთ წუთს რალაც უზარმაზარ გველეშაპის მუცელში იგრძნო თავი. კიდევ გაახილა თვალები. კიდევ დახუჭა. მერე, როგორც იყო, ფეხზე წამოდგა, მიპარვით მიუახლოვდა და უზარმაზარ ენაზე გამობმულ თოკს მოჰკიდა ხელი. ჯერ ნელა გააქანა, მერე მოუმატა. ზარის ენას ისე დაჰყავდა გორმანა, როგორც ქარი. კარგა ხანს აქანავა ეს ენა. შემდეგ ისე უცაბედად, უეცრად მოხვდა ენა ზარს და გაისმა თავზარდამცემი გუგუნი. ამ ხმამ გორმანა უფრო ააღელვა. მხნეობა შეემატა. ერთხელ კიდევ გააქან-გამოაქანა და მეორედ ჩამოჰკრა. ამის შემდეგ უფრო გამხნევდა, რადგან ძალიან დიდ საქმედ ეჩვენებოდა ამ ზარის რეკვა, ექვსჯერ-შვიდჯერ კიდევ მოახერხა ამ ენის გაქანება და შემდეგ კი ველარ შეძლო. დაქანცული და დადამბლავებული დაეშვა ამ ზარის ქვეშ. ოფლი წურწურით გასდიოდა, გული ყელში ჰქონდა ამოჩრდილი, ნერწყვი გამშრალი, სახე აელვარებული და ალენილი. იწვა გორმანა და კიდევ იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოხდა, როგორ მოახერხა ამოდენა ზარის დარეკვა. კარგად რომ დაისვენა, შემდეგ ზღაზვნით წამოდგა ფეხზე, ცოცვით მივიდა სამრეკლოს მოაჯირთან და დაბლა გადაიხედა. ახლაც განცვიფრდა გორმანა, გულში ელვები გაუჩნდა. იმის ცხოვრებაში პირველი იყო ასე მაღლიდან გადმოხედვა. იმის წინ იყო გაშლილი მთელი ტფილისი, უზარმაზარი, უნაპირო. თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა გორმანა, რომ ტფილისი ამოდენა ქალაქი იქნებოდა, ამიტომ საშინლად განცვიფრდა, სიამაყე მოემატა. საქმე, რომელიც იმან გააკეთა, უფრო გადიდდა იმის თვალში. „დავრეკე, მაშ, დავრეკე, მაშ! ამხელა ქალაქის ზარი რომ ჩამორეკო, ხუმრობა კი არ არის, მაშ. ყოჩაღად იყავ, გორმანავ, მაშ! ყოჩაღად იყავ, მაშ!“ – ასე ებუტბუტებოდა გორმანა თავის თავს, უკანვე რომ ჩამოდიოდა სამრეკლოს კიბეებზე ბავშვივით უკუღმა მობრუნებული. დიდის წვალეებითა და გაჭირვებით ჩამოვიდა დაბლა. მაგრამ კარები ველარ გააღო. ვილაცას გარედან გადაერაზა. ბევრი აბრაახუნა,



ბევრი ეწვალა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა და, ცოტა გაბრა-  
ზებული და გულმოსული, იქვე კარებთან ჩამოჯდა კიბეზე. აქ  
გოჩმანას ისევ თავისი ეჭვები გაახსენდა: „როგორ, ამოდენა  
საქმე გავაკეთე და კიდევ მასხრად მიგდებენ? ხუმრობა ხომ არ  
არის ამხელა ზარის დარეკვა? და კიდევ დამცინიან? ჰა, გოჩმან,  
ფრთხილად, აქ სხვანაირად არ გამოვიდეს. ჰა, გოჩმან, აქაც  
მასხრად არ აგიგდონ“. ასე ეჩურჩულებოდა გოჩმანა თავის თავს  
გადარაზულ კარებს უკან და სიბრაზის და ნალვლის ბურთები  
უგორავდნენ გამხმარ ყელში...

ამ დროს, ეკლესიაში, ცოტა არ იყოს, ღელავდნენ. შუა წირვა  
დადგა და ზარი არ ირეკებოდა. ხალხში მითქმა-მოთქმა გაჩნდა.  
არანაკლებად ღელავდნენ ტრაპეზში. რა უნდა მომხდარიყო,  
ვერავინ გაიგო, ზარის დაურეკაობა კი არ იქნებოდა. უამისოდ  
იშლებოდა და ირღვეოდა რალაც, რასაც გარკვეული სახელი  
არა ჰქონდა. ამ გარემოებით შეშფოთებული მღვდლები გაფაც-  
იცებით დაეძებდნენ კაცს, სამრეკლოზე რომ გაეგზავნათ ამბის  
გასაგებად. მაგრამ კაცი ისე მალე არ გამოჩნდა. წირვა შეფერხ-  
და. ასამაღლებლებმა შეშლა იწყეს. საყოველთაო მღელვარება  
ძალიან მაღალ თალებს მოეჭიდა. ის იყო მღელვარება შფოთვაში  
და უსიამოვნებაში გადადიოდა, რომ გაისმა ზარის გუგუნი და  
მთელმა ტაძარმა შვებით ამოიგმინა. ნათელი გადაეფინა ყვე-  
ლას სახეზე, როდესაც ზარმა ზედიზედ ჩამორეკა. მოწინებით  
გადაიწერა ყველამ პირჯვარი. ამის შემდეგ წირვა თავისი ჩვეუ-  
ლებრივი წესით წავიდა. კარგა ხანმა გაიარა, მაგრამ გოჩმანა  
მანინც არსად ჩანდა. ასე საჭირო კი იყო იმისი ყოფნა ტრაპეზში.  
კაცი მანინც გაგზავნეს სამრეკლოზე. გაგზავნილი კაცი კარებს  
რომ მიადგა, განცვიფრდა, გადარაზული რომ ნახა. უცბად ვერ  
მიხვდა, თუ სად უნდა წასულიყო გოჩმანა. ის იყო უკან გაბრუნე-  
ბას აპირებდა, რომ გოჩმანას ჩუმი ბუტბუტი შემოესმა. კარები  
რომ გააღო, შეკრთა – გოჩმანა იქვე კარებში იწვა და ეძინა.  
ძილში რალაცას ბუტბუტებდა. „კარები გადამირაზეს! მასხრად

მიგდებენ? ჰა გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვა რამე არ გამოვიდეს? ჰა-ჰა, აბა, არ გამასხარავდეს კარგად გაკეთებული საქმე“. ასე ბუტბუტებდა გოჩმანა ძილში და ცრემლი, სკვინტლი და დუჟი ბლომად გასდიოდა სახიდან. ისე ჩანდა, თითქოს იმის თავში რალაც დულდა და გადმოდიოდა. გოჩმანას მალე გამოეღვიძა, უამბო თავისი დაგვიანების მიზეზი და საჩქაროდ წამოჰყვა ტრაპეზში. წირვა თავდებოდა. წირვის შემდეგ მღვდლებმა ბევრი იცინეს გოჩმანას მარცხზე, მაგრამ მაინც კმაყოფილები იყვნენ, რომ გოჩმანამ ეს წირვა გააპატიოსნა. იმ დღეს ბევრმა დალოცა გოჩმანა მონყენილი ხალხის ასე გამხიარულებისათვის. მაგრამ გოჩმანას სრულიადაც არ ეცინებოდა. ის წამდაუნუნო და ცხვირსა და შარვალს და უცნაურად იღრიჯებოდა, მაგრამ როდი სწყინდა მოძღვარს ხალხის სიცილი. ათასჯერ სწამდა, რომ ეს დაცინვა არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც გოჩმანამ სასახელო და არა დასაცინი საქმე გააკეთა იმ დღეს.

წირვის შემდეგ გოჩმანა კარგად გამოძღა თეთრითა და ყვითელი კოლიოთი და წავიდა სახლში. სამი დღის შემდეგ ისევ სიონში რომ ჩავიდა წირვაზე, ერთი ახალი ამბავი გაიგო: ზაქარა მნათე მომკვდარიყო და შუადღისას უპირებდნენ დამარხვას. იმ დღეს უბრალო წირვა იყო და მალე გათავდა. წირვის შემდეგ გოჩმანას ხელში მისცეს კარგა მოზრდილი ბოღჩა და უშველებელი ხის ჯვარი რომელზედაც ჯვარცმა იყო დახატული და კარში ისე გამოვიდნენ, სიტყვაც კი არავის უთქვამს მისთვის. თითქოს ეს სწორედ ასე უნდა მომხდარიყო. ქუჩაში მღვდელი და მთავარი გაუძღვნენ წინ გოჩმანას და წავიდნენ. ბევრი არ უვლიათ, ხარფუხის ვინრო ქუჩებში, იქ, სადაც სახლები ერთმანეთში არიან ჩაჭედდნენ და ამ ხერხით მაინც კიდევ უძლებენ ფეხზე დგომას, ერთ თვალედაჭყეტილ სახლის წინ გაჩერდნენ. ეზოში ბლომად ხალხი იყო. საკვირველი ის იყო, რომ ესენი ყველა მოხუცებულები იყვნენ და ყველა – მამაკაცები. მნათე ზაქარა წინათ თურმე სახელგანთქმული ჭონი იყო. კარგად ცნობილი მოკრივე და

მოჭიდავე. შემდეგში როცა მოხუცდა და მუშაობა ვეღარ შეძლო, სიონში დადგა მნათედ. ცოლი და შვილები ადრე დაეხოცა, ისე რომ დამტირებელი თითქმის არავინ ჰყავდა, ძველი ნაცნობებისა და ძმა-ბიჭების გარდა, რომლებიც ეხლა ყველა მოხუცებულიყო და რომელთაც კარგა ბლომად მოეყარათ თავი. მღვდლები რომ შევიდნენ, ყველამ სალამი მისცა ახლად მოსულებს. გაოფლიანებულ გოჩმანას ჯვარი და ბოლჩა ჩამოართვეს და რამდენიმე ხანს დადუმდნენ. სახლში ოთხ ფიცრის სკამზე ესვენა თეთრი გაურანდავი კუბო. კუბოს თავი დახურული იყო. როგორც ჩანდა, მოცდა აღარ იყო საჭირო. მღვდლები მალე შეიმოსნენ და ერთი პატარა პანაშვიდი გადაუხადეს. ამის შემდეგ ხარფუხის ვიწრო ქუჩებს ახმაურებდა მეტად მობერებული ყელით ნათქვამი გალობა. სულ წინ გოჩმანა მიდიოდა, რომელსაც ცალი ხელით ის ხის ჯვარი ეჭირა, ცალი ხელით კი – შარვალი. მეტად დიდ პასუხიმგებლობას გრძნობდა, ალბათ, რომ თედოზე მოჭერილ ბანრებს აღარ ანდო შარვალი. შემდეგ კუბოს თავი, წვნიკი ვერცხლის ქამარი და ქუდი მიჰქონდათ, მღვდლები, კუბო და ხალხი. უკან კი დუდუკების დასტა, რომლებიც მეტად გულსაკლავად და ნესტიანად ლილინებდნენ და კვნესოდნენ. ამ პატივით გაატარეს ხარფუხის ვიწრო ხეივნები, აბოს ხიდი და მეტეხის აღმართს შეუყვნენ. მეტეხის ციხის კარებში მდგარი რუსი ჯარისკაცი უცნაურად დაიღრიჯა შემოსილი მღვდლის დანახვაზე, მაგრამ დუდუკების მკვნესარე ხმები რომ მოხვდა ყურში, ცოტა არ იყოს, დანყნარდა.

ამ ყოფით მივიდნენ პეტრე-პავლეში. სულ შორს, უკანა კედლის ძირში მეტად ღრმა სამარე გაეთხარათ. ერთი მოკლე პანაშვიდი იქ გადაუხადეს. ამ ძველი სასაფლაოს მყუდროებაში სხვანაირის ეშხით გაისმოდა მოხუცებული მღვდლის სიტყვები: „ადგილსა მწვანელოვანსა, ადგილსა განსასვენებისასა, სადაცა ყოველნი მართალნიი მკვიდრ არიან... და იქმნებოდა უხილავი ლეგენდა მყუდროების და რწმენის – სინანულის“. თავი დალ-

ურსმნეს. პატარა ფიცრების ყრუ რახუნში ქრებოდა ეს ლეგენდა საუკუნო მყუდროების და მწვანელოვან ადგილების. მხოლოდ ამ ფიცრების ყრუ რახუნი და მსხვილი ბელტების გრიალი იყო მართალი მთელ ამ საქმეში. ალბათ, მხოლოდ დუდუკები გრძნობდნენ ამას, წაჩოქილები რომ ჩასტიროდნენ და ჩაჰკვნესოდნენ ცხოვრებისგან გატრიზავებულ მოქალაქეს. იქვე საფლავთან გაშლილი ღვინო და პური თითქოს ადასტურებდა ამ ჩაკვნესების დედააზრს. აქვე საფლავთან ბევრი ღვინო დაილია, ბევრი სადღეგრძელო ითქვა, ბევრი იტირეს დუდუკებმა და კარგად რომ შემოლამდა, მდუმარედ დაბრუნდნენ უკან. ყველაფერი იყო ამ მდუმარებამდე, სიხარულიც, სიყვარულიც, გესლიც და შხამიც ადამიანის ბედზე და უბედობაზე, რომელსაც თითქმის ყოველი მკვდარი აგონებს ცოცხალ ხალხს, მაგრამ მაინც გულქვა ცხოვრება იმდღესვე ავინყებს. ასეთი იყო ამ ბედის თუ უბედობის მეტად მარტივი აჩრდილი იმ ღამეს, იმ პეტრე-პავლეს ძველ სასაფლაოზე. აი, ამ ამბის შემდეგ იყო, რომ მეორე დღესვე წინადადება მისცეს გორმანას მნათედ დამდგარიყო. ცრემლიანი თვალებით და აჩუყებული გულით მოისმინა გორმანამ ეს წინადადება. და კიდევ ის, რომ სამრეკლოზე გადმოეტანა თავისი საწოლი და იქ ეცხოვრა. ამის გაგონებაზე გორმანას რალაც უცნაური სამკუთხედი გაუჩნდა მარჯვენა ტუჩთან. მაგრამ სახეს ძალა დაატანა, ცხვირი გაისწორა და ზედიზედ დააყარა: „გადმოვალ მაშ! გადმოვალ მაშ!“ ამაზე მეტი პასუხი გორმანას აღარ შეეძლო, აღარც საჭირო იყო, მაშინათვე დაიძრა მთანმინდისკენ, სამრეკლოს გასაღები ქამარზე შეიბა მაგრად, რომ არ დაჰკარგოდა.

კარგად იყო შებინდებული, როცა მიადგა თავის ქოხს. შევიდა და ჩამოჯდა საწოლზე. წმინდა სანთლის ნამწვი აანთო და დაუნყო ოთახს თვალიერება. ბევრი ათვალიერა გორმანამ და ვერ გადაეწყვიტა რა წაელო. არც ერთი ნივთი არ იყო იმისათვის საჭირო. არც კონსერვის ქილები, არც პირმომტვრეული

ბოთლები. თითქმის არც ის ორი მოკლე ფიცარი და აგურის ბალიში. ესენი ყველაფერი ნახა იქ სამრეკლოზე. მაშ რა ნაელო? ბევრი იფიქრა და ხელცარიელი რომ არ წასულიყო, მაინც ერთი მოზრდილი ბოღრა შეკრა. სულ შიგ ჩაალაგა ძველ-ძველები, ჩვრები, ფლოსტები, ნაფოსტები და რატომღაც საწოლი მოშალა. ფიცრები იქვე ბუხართან ააყუდა, აგურები კი კარში გადაყარა. ამის შემდეგ ოთახმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს იქ თავის დღეში არავის ეცხოვრა. უფრო იმიტომ, რომ იქ ცხოვრება თითქმის წარმოუდგენელი იყო. ამის შემდეგ გოჩმანამ წამოიღო თავისი ბოღრა, ფანჯარაზე გაკრული ქალაღი ეზოდან ჯოხით შეახია და წამოვიდა. კარგად რომ ჩამოითავქვევა, აქეთ-იქიდან სიცილი შემოესმა. ხალხში უცბად გავარდა ხმა გოჩმანას გადასახლების შესახებ მთანმინდის უბნიდან. დაედო მთელი ბრბო მედუქნეებისა და პატარა ბიჭებისა, მაგრამ ეხლა გოჩმანას მასხრად აღარავინ იგდებდა. პირიქით, ყველა სინანულით შეჰყურებდა იმის ბარგს და ეცოდებოდათ, მითუმეტეს, რომ ამოდენა ხალხში თითქმის ყველა გრძნობდა თავს დამნაშავედ იმის წინაშე. „საით გოჩმან, საით აბარგებულხარ?“ – აქეთ იქიდან ეკითხებოდნენ საკმაო წყენით. „გადავდივარ მაშ, გადავდივარ მაშ! იქ მნათედ დამაყენეს, მაშ. იქ ზარი უნდა ვრეკო, მაშ!“ და თითქმის არცერთს არ ესმოდა რა ზარი უნდა დაერეკა გოჩმანას, ან ვინ დააყენა ის მნათედ.

ძალიან დიდი ყიჟინა ატყდებოდა იმ ხალხში, რომ ისევ მწარე სინანულს არ ეჩინა თავი. ამ სინანულს კი გოჩმანას ამ უბნიდან წასვლა ქმნიდა. გოჩმანა როგორც იყო სამშვიდობოს გავიდა ისე, უხიფათოდ. გასცდა თუ არა ნავარაუდევ მიჯნებს, ერთი ძუნძული ამოუშვა და სულ მალე გაჩნდა შუა ბაზარში. სიონს რომ მიუახლოვდა, ისევ ნელა წავიდა. კარგად დაქანცული და გაოფლიანებული მიადგა სამრეკლოს კარებს, ბარგი ძირს დადო და კარები გააღო. დიდის ვაივაგლახით აიტანა ზარქვეშ თავისი ძონძები. მერე ისევ ჩამობრუნდა, კარები მაგრად დაკეტა და ხე-

ლახლა აბრუნდა. იქ ერთ კუთხეში გამართა ტახტი. ძონძები ზედ გაშალა. თავქვეშ ისევ აგურები აიშენა და ზედ წამონვა. ალბათ ძალიან იყო დაღლილი, რომ სულ მალე ჩასძინებოდა. გოჩმანას რომ გამოეღვიძა, უცბად ვერ მოვიდა გონს. უშველებელი თალი ედგა თავზე, სადღაც ძალიან მაღლა – მეცხრე ცაზე იგრძნო თავი. დიდხანს შეჰყურებდა გაშტერებული ამ ზარს, ამ ენას, ამ სიმაღლეს. მაგრამ მალე მოვიდა გონს. მარდად წამოდგა ფეხზე, მკლავები გაიხალისა, პირჯვარი გადაინერა, წაავლო ხელი თოკს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემოიქნია უშველებელი ენა; სამჯერ, ოთხჯერ და ზარმა მრისხანედ დაიგუგუნა, კიდევ გაქანდნენ ენა და კაცი, კიდევ მოხვდნენ ზარს, ზარმა კიდევ დაიგუგუნა. გოჩმანას ნათქვამი ჰქონდა, ყოველ დილით ადგებოდა თუ არა, მაშინათვე დაერისხებინა. ამგვარად, ეს დავალება პირველ დღესვე პირნათლად შეასრულა. მთელმა ტფილისმა გაიგო იმ დილით სიონის ზარის გუგუნი... და მორწმუნე ხალხმა მონივნებით გადაინერა პირჯვარი. ყველაზე ძალიან კი სიონის მღვდლებს უხაროდათ, რომ ამ დროში, ასე მალე, ასე მუყაითი მნათე იშოვეს და კმაყოფილების ნიშნად სამის მაგივრად ექვსჯერ იწერდნენ პირჯვარს.

აი, ამ დღიდან იყო, რომ გოჩმანა ხუმრობით კი არა, მეტად სერიოზულად შეუდგა ღვთის სამსახურს. ყოველდღე, დილიდან საღამომდე დასტრიალებდა სიონის ტაძარს, ხან ეკლესიას გვიდა, ხან ეზოს, ხან ტრაპეზში ემსახურებოდა, ხან აქეთ-იქით ეგზავნებოდა მღვდლებს. ერთი სიტყვით, ჩამოყალიბდა და სულ მალეც, თავის ახალ თანამდებობაზე დამკვიდრდა. მაგრამ, სულ სხვა იყო მაშინ, როდესაც გოჩმანა სამრეკლოს სიმაღლიდან მედიდურად დაჰყურებდა ქალაქს. მაშინ თავისზე მაღალი და დიდი არავინ მიაჩნდა მთელ ქვეყანაზე. შემდეგ შემობრუნდებოდა და ზარს შეჰყურებდა. ხან ხელს უსვამდა მსხვილ ყბებზე, ხან მუშტსა სცემდა. ზარი ამ დროს მოშინაურებული მხეცივით ბუზღუნებდა. შემდეგ გოჩმანა გახურებულ ლოყას დაადებდა ცივ

ზარს და დიდხანს უალერსებდა. ასე შეუყვარდა გოჩმანას ზარი და სამრეკლოზე დგომა. როცა ზარის დარეკვის დრო დგებოდა, სხვანაირად უბრწყინდებოდა სახე. სხვანაირი ალერსით მივიდოდა უზარმაზარ ენასთან და რალაცას ეტუტუნებოდა. შემდეგ პირჯვარს გადაიწერდა და ისე შემოიქნევდა. ზარი მედგრად რომ დაიგუგუნებდა, ძალა და ღონე ემატებოდა მუხლებში. სხეულში სიცხე უჩნდებოდა, შეყვარებული თვალებით შეჰყურებდა, ლითონის ზრიალს და ნეტარებდა.

დრო გადიოდა. წვალეებით, მაგრამ მაინც მისდევდა წელიწადი წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთელი ტფილისი შეიცვალა. ბევრგან ქუჩებმა დაკარგეს თავისი მიმართულება. ბევრგან სახლები დაანგრიეს, მოაცილეს ქუჩებს, ბევრგან ბალები გააშენეს. გადამჭრელი და გადამწყვეტი ნაბიჯით დაბრძანდებოდა რევოლუცია ტფილისის ქუჩებში და თავისებურ წესრიგს ქმნიდა, ასწორებდა და აფართოვებდა ქუჩებს, ანგრევდა ძველს და აშენებდა ახალ სახლებს, ამაგრებდა ხიდებს, ასუფთავებდა ათას წლობით დაგროვილ ნაგავს, ანათებდა წყვდიადს და ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ ხალხს, ახალ წესწყობილებას. ბევრგან ქუჩებში დადგეს რადიო ყუთები, რომლებიც დილიდან საღამომდე უქადაგებდნენ ხალხს, უმღეროდნენ ქუჩას, ართობდნენ გამველ-გამომველს. ერთი სიტყვით, ხდებოდა რალაც ახალი და გაბედული საქმე, რაც არასდროს, არსად ჯერ არ მომხდარიყო, ამ საერთო ბრუნვაში და ორომტრიალში მხოლოდ სიონი და იმისი სამრეკლო იდგა ცივად. ქვეყნის ბრუნვა და ყაყანი ვერ აღხობდა ამ სიცივეს.. ვერ სწვდებოდა მაღალ თალებს. ვერაფერს სცვლიდა. ძველებურად იდგა წირვა-ლოცვა. ძველებურად შედიოდა და გადიოდა მოხუცებული მორწმუნე ხალხი ძველ ტაძარში. ძველებურად ისმოდა სიონის ზარის გუგუნი თითქმის ყოველდღე. ამ გაჩუმებულ პირისპირ დგომაში ნელ-ნელა იჭიმებოდა ძარღვი და კუნთი. ნელ-ნელა მოუთმენელი ხდებოდა ეს გაჩუმება, ეს სიცივე და სიმაღლე, ეს უზარმაზარი ზარის გუგუნი,

გორმანა აბა რას მიხვდებოდა, იმას გარკვეულად სწამდა, რომ ყოველ ზარის ჩამოკვრაზე ყველა მონინებით იხდიდა ქუდს და ლოცულობდა, ისე ძლიერად იყო დაჯერებული სიონის და ზარის ძალაში. რა იცოდა, რომ ამოდენა მუშაობით დაქანცულ ხალხს თანდათანობით აბრაზებდა ეს ზარის რეკვა. არც ის იცოდა, რომ სოციალიზმი შენდებოდა ტფილისში გაუგონარი ტემპებით და რომ სოციალიზმს, ზარის ხმა კი არა, ზარის ლითონი სჭირდებოდა მძიმე ინდუსტრიისათვის. ეს საქმე გათავდა ისე, როგორც უნდა გათავებულყო.

ერთ დღეს, კარგად რომ იყო გათენებული, ათიოდე კაცი მიადგა სიონის სამრეკლოს. გორმანა ამ დროს უკვე ზეზე იდგა და ზარის დარეკვას აპირებდა, ქვემოდან შემოესმა ხმამალლა ლაპარაკი და კარების კაკუნი. ზემოდან გადმოდგა და დაინახა ბლომად ხალხი წერაქვებით და ნიჩბებით, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ კარების გაღებას. გორმანა, რასაკვირველია, ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ეს. აგერ უკვე ექვსი წელიწადი იყო, რაც აქ ცხოვრობდა და ძეხორციელი არავინ ენახა სამრეკლოზე თავის მეტი. მხოლოდ ეხლა გაახსენდა, რომ წინა კვირას რატომღაც ძალიან ბევრი ხალხი ათვალიერებდა ზარს. ეს ხალხი ყველა სუფთად იყო ჩაცმული, ყველა ნასწავლი, რაღაცაზედ ტუტუნებდნენ. აქეთ-იქით აქნევდნენ თავს სინანულით. გორმანა მაშინ ვერ მიხვდა, თუ რა მოხდა, ვინ ან რა ენანებოდათ. კანტიკუნტად კი ესმოდა ზარების ჩამოხსნის ამბავი. ამაზე სიონის მღვდლებიც ლაპარაკობდნენ. მაგრამ სიონის უზარმაზარი ზარის ჩამოხსნა არც გორმანას და არც სხვას არ ეგონათ. ბევრს ეს საქმე თითქმის შეუძლებლადაც მიაჩნდა. და აი, ამ დილით გორმანამ რომ ნიჩბიანი და წერაქვიანი ხალხი დაინახა სამრეკლოს კარებთან, თავისდა უნებურად რაღაც ცუდ საქმეს მიხვდა. მაშინათვე მივარდა ზარს მეტის სიბრაზით და სიყვარულით დააქნია ენა, გააქან-გამოაქანა და რიხიანად დარეკა. არაჩვეულებრივი კვნესით დაიგუგუნა ზარმა, კიდევ შემოჰკრა, კიდევ. გამგელე-



ბული და გაშფოთებული დასდევდა გოჩმანა ზარის ენას და თუ აქამდის ექვსი-შვიდი გაქანების მეტს ვერ ახერხებდა, ეხლა ისე ჩანდა, თითქოს ის თავის დღეში არ დაიღლებოდა.

ამ დროს სამრეკლოს კარებთან პატარა აჯანყება მოხდა. ხალხმა უბრალოდ შეამტვრია კარები და ხმაურით აცვივდა სამრეკლოს კიბეებზე. მაგრამ ზარის გუგუნი იმდენად ძლიერი იყო, რომ უმალ სპობდა და აქრობდა ამ ხმაურს. ზარის ქვეშ რომ აცვივდნენ, მაშინ ნახეს გაცეცხლებული და გაოფლიანებული გოჩმანა როგორის რწმენით დასდევდა უზარმაზარ ენას. სულ მალე გააჩერეს და ძალით გამოგლიჯეს თოკი ხელიდან. გოჩმანა არა ცხრებოდა: „უნდა დავრეკო მამ! ზარი ჩვენია, მამ! ზარი ღმერთისაა, მამ! ღმერთიც ჩვენია, მამ!“ მაგრამ გოჩმანას ყურს აღარავინ უგდებდა. გოჩმანა სამრეკლოდან გამოაგდეს და დაბლა გადმოუყარეს თავისი ძონძები. ბევრი უარეს გარშემო. ბევრი სინჯეს, მაგრამ ვერც ერთი ხერხით ვერ მოახერხეს ზარის მოხსნა. შემდეგ ბევრი აღარ უფიქრიათ. აანგრის სამრეკლოს გვერდი, გადაჭრეს სვეტები და დომკრატებით ანეული ზარი პირდაპირ ქუჩაში გადმოაგდეს. სიონის ზარი არაჩვეულებრივი სიმძიმით რომ დაენარცხა მიწაზე, ისეთი ხმით დაიკვნესა, რომ მიწაც კი ინძრა რისხვით. სამი დღე და ღამე ეგდო ზარი გამოფაშულ სამრეკლოს ძირში. აუარებელი ხალხი უვლიდა გარშემო ამ ზარს, რომელიც უზარმაზარ ნადირივით ეგდო მიწაზე, დამარცხებული და დამცირებული. მაგრამ ამ ზღვა ხალხში არავინ გოჩმანას მეტი არ განიცდიდა ამ საქმის ტრაგედიას. მთელი დღის განმავლობაში მოწინებით უვლიდა გარშემო, კვნესით და სინანულით. იმ სამ ღამეს ზარის გვერდში ეძინა. მაგრამ მეოთხე დღე რომ გათენდა, მაშინ აიშალა ყველა კუთხეები, კარში გამოიბერტყა ათასი დარდი. ზარი ამ დღეს უზარმაზარ რუსულ დროგზე დაუდეს და წაიღეს. ქუჩებში სრული სინყნარე იყო. თითქოს აღარავის აინტერესებდა ამ ზარის ბედი. მხოლოდ შემთხვევით გამვლელი მოქალაქე თუ მიაქცევდა ყურადღებას

იმის ზორბა ტანს და ნავარაუდევ სიმძიმეს, თორემ სხვა მხრივ არავინ არაფერს შეამჩნევდა. მხოლოდ შორიახლოს ფეხაკრებით მისდევდა გოჩმანა ზარს და სინანულის ცრემლებით ევსებოდა კურდღელივით დაჭყეტილი თვალები. მაშინ ვინმეს რომ ეკითხა გოჩმანასთვის, რა უნდოდა, ან სად მისდევდა ზარს, გოჩმანა ალბათ ვერაფერს უპასუხებდა. ისე იყო შეზრდილი და შესისხლხორცებული ამ ზართან, რომ სადღაც უნებლიედ, თავის თავად მისდევდა. ამგვარად, ბევრი სდია გოჩმანამ ზარს, კარგად დაიქანცა, მაგრამ ზარი მაინც მიჰქონდათ. თითქმის მთელი ქალაქი რომ გაიარეს, მხოლოდ მაშინ გაჩერდა დროგი ერთ უზარმაზარ ალაცაფის კარებთან, ალაცაფის კარები მალე გაიღო და დროგი შიგ შევიდა. დიდხანს იჭყიტებოდა გოჩმანა ჭუჭრუტანიდან და გულის კანკალით უცდიდა თუ რა მოხდებოდა, მაგრამ იმ დღეს ამაზე მეტი არაფერი მომხდარა. ზარი გადმოაგდეს ეზოში და დანყნარდნენ.

მწარე ბოლმით სავსე გამობრუნდა გოჩმანა უკან. ასე მშვიერმა და დაქანცულმა ბევრი იარა. უკანვე ხარფუხში რომ გავიდა, ცოფი გაუჩნდა სხეულში, რაღაც უდაბნოდ ეჩვენა მთელი ქვეყანა. თავისდაუნებურად ისევ პოხრუას სარდაფს მიადგა. აგერ უკვე ცხრა წელიწადი იყო რაც აღარ ჩასულიყო ამ სარდაფში. ამ სარდაფშიაც თითქმის გადაავინწყდათ გოჩმანა. პირველი სამი საფეხური რომ ჩავიდა, გოჩმანა შეჩერდა. უნდოდა უკანვე გამოქცეულიყო, მაგრამ ველარ მოახერხა. ამდენი უბედურების შემდეგ სარდაფში ჩასვლა სულ პატარა საქმედ ეჩვენა. სარდაფი ამ დროს სავსე იყო მოქეიფე ხალხით. ისევ ძველებურად კვნესოდნენ დუდუკები, მაგრამ განსხვავება მაინც იყო. წინათ თუ მარტო დუდუკები კვნესოდნენ, ეხლა მედუდუკეებიც კვნესოდნენ. ეს ორმაგი კვნესა კი რაღაც სხვანაირად აბრაზებდა გაბოროტებულ და ცოფმოდებულ სმენას. ამ დროს ერთი უშველებელი კაცი წამოდგა ფეხზე და დაიწყო: „ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ვაჟკ-

აცს, რომელიცა რომა კაცურად დამარცხდება, მაგრამ რომლის ხსოვნაც, აი, ჩვენისთანა ძმა-ბიჭებში მაინც დიდხანს დარჩება. გაუმარჯოს სიონის ზარს, რომელიცა რომა დღეს დამარცხებული სადღაც ეზოში გდია და ტირის, გაუმარჯოს!“ – ბრაზით მოკაკული მკლავი ჰაერში გაჰკრა და მაგრად მოკუმული კბილები გააკრაჭუნა. მაგრამ ეს კრაჭუნი ველარავინ გაიგო. დუდუკებმა ამ დროს ბრაზიანი და გამამხნევებელი საჭიდაო დაჰკრეს. მედლოლე ისეთი ბრაზით უბრახუნებდა დოლს, თითქოს ცდილობდა ვილაცისთვის შეეგნებინებინა ამდენი გაჭირვება და უსამართლობა. ყველას სისხლი ჰქონდა ავარდნილი თავში, რომელიც შხამიანი მორიელივით ურბენდა თავის ტვინს და აწვალებდა.

– „ძმებოჯან! – წამოდგა ახლა მეორე, – ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენ ძმა გოჩმანასა, რომელიცა რომა პირნათლად ემსახურა სიონის ზარს და რომელიცა რომა დღეს დაქვრივდა!“

გოჩმანა ამ დროს სარდაფის მესამე საფეხურზე იდგა და მწარედ ქვითინებდა. უეცრად ყური მოჰკრეს ამ ქვითინს და დაინახეს აქვითინებული გოჩმანა. ორი-სამი კაცი წამოვარდა სუფრიდან, მოჰკიდეს ხელი გოჩმანას და ციმციმ მიიტანეს სუფრასთან.

სადღეგრძელოს ახლა სხვა განაგრძობდა:

– „ძმებოჯან! მაშ ეს არის სამართალი? ეს არის კანონი, რომ სამრეკლოდან ზარი ჩამოხსნა, სამრეკლო დაანგრიო, ზარი გადმოაგდო, წაიღო და დაწვა? ოი, დადადადა! – ამ სიტყვებზე სავსე ჭიქა შეაღუნა კედელს. დუდუკები კი ამ დროს რაღაც უცნაური სევდით ამღერდნენ. სავსე ჭიქა მისცეს გოჩმანას ხელში. გოჩმანამ აკანკალებული ხელებით ჩამოართვა.

– „ძმებოჯან! მე ვრეკავდი ზარს, მაშ! მე ვრეკავდი ზარს, მაშ! – კიდევ უნდოდა ეთქვა მაგრამ მასში რაღაც ადუღდა და ჩიფჩიფი იწყო. რაღაც ველური ხმები აღმოხდა გოჩმანას. ამ დროს არაფერს არ ნიშნავდა ეს ხმები, ძალიან დიდი მწუხარების გარდა, რომლითაც ყველა იქ მყოფი ყელამდის იყო სავსე.

მთელი ღამე იქეიფეს. ბრაზი და ბოღმა შუაღამეს იქით ნამდვილმა ქეიფმა შეცვალა. ყველა გამხიარულდა, დუდუკების გარდა, რომლებიც მაინც კვნესოდნენ.

კარგად რომ გათენდა, მაშინ წამოიშალნენ. ქუჩაში გამოვიდნენ. დუდუკებმა დაჰკრეს საარი და ამ მომაჯადოებელ ხმებზე დაიძრა ხალხი დანგრეულ სამრეკლოსაკენ. გოჩმანა სულ სხვანაირად განიცდიდა ამ ამბავს. გარკვეულად გრძნობდა, ამ ამბის მიზეზი ის იყო მხოლოდ. სამჯერ შემოუარეს სამრეკლოს ქუდმოხდილებმა. იმ ორმოსთან ზარმა რომ ამოთხარა დანარცხების დროს, დუდუკები წააჩოქეს. ყველას გარკვეულად ესმოდა იმ ზარის მედგარი გუგუნი. ამის შემდეგ ხალხმა ახლა სიონს შემოუარა და საკმაოდ დაქანცულები დაიძრნენ უკან, ხარფუხის ვინრო ხეივნებისკენ. ასე გათავდა ის ქელები, რომელიც ძველმა ყარაჩოდლებმა გადაუხადეს სიონის ზარს, რომელიც ამ ხალხისთვის ზარი კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო.

გოჩმანა აღარსად წასულა. ისევ იქ, სამრეკლოს ნანგრევებში შეყო თავი და დაიძინა. მთელი დღე ეძინა. ამ ძილში ხდებოდა რაღაც სასწაული, რომელიც შლიდა და ანგრევდა კაცს შიგნიდან. მხოლოდ მეორე დღეს გამოეღვიძა. მაგრამ ეს გამოღვიძება აღარ იყო. ის ორიოდე სიტყვა, რომელიც, იმის განკარგულებაში იყო, სადღაც გამქრალიყო. გოჩმანა დამუნჯებულიყო. ვერც ერთი სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. სიარულიც დავიწყებოდა. რაღაც უცნაურად ბუქნავდა სიარულში. კი არ დადიოდა, დარბოდა. ველარაფრის ძალით სიონში ველარ ჩაიყვანეს, რაღაცის ეშინოდა და დამფრთხალი გარბოდა. კარგა მანძილს რომ გაირბენდა, გაჩერდებოდა, ღონივრად გააქნევდა მკლავებს, წინ უკან გარბი-გამორბოდა და საზარლად ბლაოდა: ზრრრ! ბომ!.. ბუმ!... ბომ!... ზრრრ!... რადიოს სიმღერებით დაქანცული მოქალაქეები სიამოვნებით შეჰყურებდნენ ახლად გამოჩენილ გიჟს ტფილისის ქუჩებში. ეს გიჟი იმით განსხვავდებოდა სხვებისგან, რომ მეტად მოხუცებული იყო. ბუქნაობით კარგა მანძილს რომ გაირბენდა,

უეცრად გაჩერდებოდა ერთ ადგილზე, წინ და უკან იზნიქებოდა და გულსაკლავად ღმუროდა: ბუმ!.. ზრრრ!.. ზრრრ!.. ბომ!... ბუმ!... და არავინ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს მოძრაობა და ეს ღრიალი. მოხუცებული გიჟი კი ხანგამოშვებით ორივე ხელს ზეცისკენ იშვერდა, ალბათ ღმერთისკენ, გამვლელებს რაღაცას ანიშნებდა, შემდეგ გამწარებული ერთ მუშტს მეორე მუშტზე იცემდა, ფეხებს აბრაგუნებდა, ვილაცას ემუქრებოდა. მაგრამ ამ ხალხს არც ამ გიჟის და არც იმ ღმერთის აღარ ეშინოდა. ხალხი, რომელიც ასე ძალიან იყო გართობას შეჩვეული, ამ მუქარას მეტისმეტი გულიანი სიცილით უპასუხებდა.

მაგრამ, ყველაფერ ამის მიუხედავად, ტფილისში სიცოცხლე მაინც დულდა. ტემპები მაინც არ ნელდებოდა: სოციალიზმისკენ გაჭენებულ ცხოვრებას ველარ აშინებდა ჰალუცინაციები, სიცხე და თავბრუ. არც გოჩმანას სიგიჟე აწუხებდა ქვეყანას. აშკარად ჩანდა, რომ ეს სირბილი და გაგიჟება ველარ იხსნიდა ძველ ტფილისს სამუდამო დამუნჯებისაგან ძველი სიონის დიდი ზარის დამსხვრევის შემდეგ.

1930 წ.

## მიმქრალი ჩრდილები

თქვენ, ალბათ, გინახავთ ძველი ალბომი, დანგრეულ და გარდასულ დროთა მატთან, ძველი ტაძრის სიჩუმე და ბურუსი გიგრძვნიათ, ალბათ. დაჟანგებულ და ჩაყვითლებულ ყდისთვის თუ გიხლიათ როდისმე ხელი.

ნოტიო აკლდამის სუნსაც იგრძნობდით უსათუოდ. ნუშის ზეთის სუნსაც, რომელიც მუდამ სდის დაფშვნილ და დაცარი-ელეზულ სიცოცხლეს. ათასჯერ ნამტირალევი თვალებივით არის ჩალურჯებული და ჩაყვითლებული ყოველი ფურცელი, ატმის ფოთოლივით დაკბილული და სუნიანი – ნოყიერი.

ყველაზე კარგი და დამაფიქრებელი კი არის მარცხენა კუთხესთან დალაქავებული ნათითარი. ბეჭედი, ათიათას თითით მიკრული. უსათუოდ გრძნობთ ათიათასჯერ აფურცვლას და ამაზე მეტ მზერას. აქა-იქ დაღვენთებული ადგილები გაგონებენ გაქონიანებულ სახეზე ჩამოგორებულ ცხარე ცრემლების ლაქებს.

ვინ იცის, რომელ შუალამისას, ვის გულს ჟვანავდა ეს ცრემ-ლები, ვინ იცის, რანაირად დანაოჭებულ და ასხმულ სახეზე გო-რაობდნენ თვალებიდან გულში და გულიდან უკანვე თვალეებში, თვალეებიდან კი – ალბომში.

მეტად უცნაურია სურათების დალაგება ძველ ალბომში, ძუძუთა ბავშვი დათვის თეთრ ტყავზე – ტყავივით თეთრი, თბი-ლი, უაზრო. ნასალდათარი ძველი ფოსტის მოხელე, გაშეშებული

კისრით, გახამებული საყელოთი, ტვინით, უსათუოდ გახუნებული მუნდირით და, ალბათ, ასეთივე სინდისით. ფოსტის მოხელეების სურათები ისეა აუცილებელი ძველ ალბომში, როგორც ქართველი კაცისთვის სიმწარე საჭმელში.

თავდახურული დედაკაცები ისე სხედან სურათებზე, როგორც ჭრელი სოკოები დამპალ და ხავსმოდებულ მუხაზე. იმათი ღიმილი ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც აყვავებული ალუბლის ტოტები.

მეტად მკრთალი კადრები დიდებებისა და პაპების. შაქარმოყრილი სახეები, როგორც სანთლის ნამწვავები მივიწყებული სალოცავის კედლებზე. იმათი შეშინებული მზერა ფოტოს კამერაში ისეა გაჩხირული, როგორც პანანინა თავვი ხაფანგში.

შემდეგ – დოინჯშემოყრილი ყარაჩოლელები ფართე ვერცხლის ქამრებით. ალბათ, ასეთივე განიერი და ფართე სინდისით. ესენი მუდამ აპარატის გადაღმა, თვითონ ფოტოგრაფს უყურებენ განცვიფრებულნი. ჯერ არავის უნახავს იმათი განზე გახედებული პორტრეტები.

ძველი ალბომები ლამაზი ქალების სურათებით თავდება მუდამ. ტფილისიც ისეთია, როგორც ძველი ალბომი. დანგრეულ და გარდასულ დროთა მატთანე. ძველი ტაძრის სიჩუმეს და ბურუსს იგრძნობთ მუდამ, თუ გაჰყვებით შუა ბაზრის ვინრო ფოლორცს. ქუჩები აქ ბებერი ვაზის ტოტებივით არის დაგრეხილი, დაწნული, დაჟანგებული და ჩაყვითლებული. სახლები ასი წლის მოხუცებულებივით სხედან ამ ქუჩებზე და სთვლემენ. შაქარმოყრილი სიჩუმე და სუნი გამოფენილია აივნებზე და ოდნავ ქანაობენ, როგორც გამტვრიანებული და გახუნებული ძველი ხალიჩები.

თუ მზიანი დღეა, ხალხიდან მოყოლებული ქოთანამდე, ყველაფერი გამოფენილია, გამომზეურებული. აქ ისე უყვართ მზე, როგორც დამასკოში დახალული ნუშის სიტკბო, რომლის დამწვრის სუნი ღონივრად ათრობს დახავსებულ და გარდასულ ოცნებას. ტფილისში ქუჩები ისეა დალაგებული, როგორც სურათები

ძველ ალბომში. ქუჩები თუ ძველია, იქ ყველაფერი ძველია: სახლები, ფანჯრები, უფრო კი ფანჯრის მინები, ხალხი, ადათი, კილო; ძაღლებიც კი ძველია. აქ, ქუჩების ჩიხებში, დამხრჩვალ კატის კნუტები ყრია მუდამ.

ქუჩები თუ ახალია, იქ ყველაფერი ახალია: სახლები, მაღალი და ფართე, ხშირად ძალზე ფართე ფანჯრები, გაკრიალებული მინები, გაკრიალებული ხალხი, სუფთა ძაღლები. ახალ ქუჩებზე, შიგადაშიგ მარტო სახლებია ძველი, რომლებიც ისე არ უხდება იმათ, როგორც ორმოცდახუთი წლის დედაკაცებს შეკრეჭილი თმა და მამაკაცის კისერი. საკვირველია, არცერთი ძაღლი აღარ ჰყვებს ახალ ქუჩებზე.

თანამედროვე ძაღლებს ყეფა გადაავინყდათ ისევე, როგორც ახალ ხალხს – ლოცვა. სამაგიეროდ რადიოები ისეა გამრავლებული, როგორც ღარიბი სოფლის ბოლოში დამშეული ტურების ფარა. რადიომსმენელები უსაქმო აქლემებივით ყოველ წუთს ყურს უგდებენ სიმღერებს. რკინაბეტონის მოთმინებით შეჰყურებენ რკინის ყუთებს, საიდანაც ფერადი ჯამბაზებივით ცვივა სიტყვები და ხმები.

ყველას მშვიერი რეპორტიორივით გამახვილებული აქვს სმენა, უფრო კი – მხედველობა. ტფილისში სმენა და მხედველობა განუყრელი გრძნობა იყო მუდამ. დღესაც ესეა. ამიტომ არის, რომ ყველა რადიომსმენელი ცდილობს ამ დახვრეტილ ყუთს იქით თვითონ მომღერალი დაინახოს, რომელიც სადღაც შორს დამშეულ ნადირივით ალებს პირს ასევე პირდაღებული რკინის ყუთის წინ.

მამალი სპილოს მოთმინება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ტფილისში მოისმინოს სიმღერა ისეთი კაცის, რომელსაც ვერა ხედავს, ალბათ, ამიტომ აქლემის ჯიში ახასიათებს ყველას, ვინც ყურს დაუგდებს ოთხმოცდარვა მეტრიან ტალღაზე გადმოცემულ ნვალებას და სიხარულს.

ტფილისის სხეული ხარის ფაშვივით არის გათრეული და გამოთრეული ათას ხევებში, სინდიყის მძივივით აგორებული და



აფერადებული ორი მთის შუა. წელზე შემორტყმული მტკვარი ყარაჩოდღური ვერცხლის ქამარივით მძიმე, მღვრიე, განიერი. დღეს ტფილისში მტკვარი ისევე სასაცილოა, როგორც წითელ სასადილოში იოანე ნათლისმცემლის ფრესკა.

ხიდები – როგორც ხუთი იფნის უღელი. ხიდებზე ჭიანჭველაზე პატარა ხალხი. შორიდან ასე მოჩანს. უფრო ახლო კი ნამდვილი ხალხი, დიდი იმედებით და დიდი პორტფელებით.

მე ისე მგონია და ეს ასეც არის, რომ ბორჯომიდან დაღვრემილ მტკვარს, ყველგან სევდიანად მოდუღუნეს, მხოლოდ ტფილისში ეცინება. ალბათ, იმიტომ, რომ უღელქვეშ ყველა ხუმრობის გუნებაზე დგება. იმდენი უღლები კი მტკვარს არსად ადგას, როგორც ტფილისში.

მხოლოდ ეს არის მიზეზი, რომ დღეს მტკვარი აღარავის ასე ვედიანებს ტფილისში. მაინც დღეს მტკვარი და ტფილისი ძალიან არიან გაახალგაზრდავებულნი, როგორც ბებერი მაიმუნების წყვილი პარიზის ახლოს საცდელ ზოოპარკში. ძველი საქართველო გაახალგაზრდავების მოლოდინში გულის ფანცქალით ადევენებს თვალს ამ ცდებს. იმედიანად არის. მტკვრის გაცინება ტფილისის მიდამოებში მეტად საიმედო ნიშნად მოსჩანს. ამბობენ, მთელ მცირე აზიაში, ბაღდადს აქეთ, ყველაზე დიდი ქალაქია ტფილისი. ზოგიერთები კი ტფილისს ბაღდადზე დიდად თვლიან და მიჯნა ქაირომდის გადააქვთ. ისინი ლაპარაკობენ, რომ ქაიროს აქეთ, მთელ აფრიკაში და აზიაში, ტფილისისოდენა ქალაქი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მთელ საქართველოში, მარტო ტფილისს შერჩა ქალაქის სახელწოდება.

მთელ ქვეყანაზე ყველა ქალაქს აქვს თავისი წერტილი, საიდანაც ის ყველაზე ლამაზი მოჩანს. ტფილისს ასეთი წერტილი არა აქვს. ყოველი მხრიდან და ყოველი კუთხიდან ლამაზია და საყვარელი, როგორც ძველი სპარსული ხალიჩა, როგორც დამასკოს ქაშანურზე გამომწვარი გაფრენილი წერო.

აი, ამ ტფილისში დღეს რევოლუციაა. ეს რევოლუცია ისეა დამძიმებული და ჩაძირული, როგორც ბამბა წყალში.

ხომ არსებობს საკუთარ თავში გადაჩეხვა. ასე არის ძველი ტფილისი საკუთარ თავში გადაჩეხილი. ინგრევა, დამპალი და დაბერებული კბილებივით ირყევა ძველი ადათი. თანდათანობით ისპობა ელამი თვალები და ელამი მზერა დაყანდებულის თარისა, რომლის ხმებიც უკანასკნელ ქვითინად მოესმის საშიშ ჩვენებებით დამფრთხალ ოცნებას. თანდათანობით ქრება მოკაუჭებული ჩიბუხის სურნელება, ბურნუთითა და კვამლით დამწვარი და ჩაყვითლებული ულვაშის შნო. დახალულ ფსტა – ნუშის გემო და სიტკბო – შლეგიანი ხურუში ძველებური დროსტარების და თრობისა.

არ ვიცი, რად, ტფილისში ყველაზე კარგი დრო ნაშუადღევის ოთხი საათია. ტრფობაში მინაბებული ქალივით არის გაყვითლებული მზის შუქი ამ დროს. მიმქრალი და მინაზებული ჩრდილები მომწვანო ფერით გამოიყურებიან. მე ისე მგონია, რომ მთელ ქვეყანაზე არსად არ არის ისეთი ჩრდილები, როგორც ძველ ტფილისში. ეკლესიასტეს საარაკო ნადირების ჯოგი თუ ყოფილა ოდესმე ქვეყანაზე, სწორედ ასეთი ჩრდილები უნდა ჰქონოდა. ისეთი ნაკაუჭება და მოგრება, დანვნა, დაგროვება და აკოკოლავება, შემდეგ დაღმა ჩარბენა და ისევ აწევა არნახული და არგაგონილი კოშკივით. შუქშემოვლებული სარტყელები და მოაჯირები უძვირფასეს თაიგულივით დევს ყოველი ქუჩის გასწვრივ თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში... და ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ეს თაიგული დღემდის ვერავის მოუპარავს. მხოლოდ დრო ანგრევს და აქრობს ტფილისის ჩრდილებს. დრო-ყამთა ვითარება ჰკლავს ტფილისს ტფილისში ასე უბრალოდ, სადად, დაუტირებლად.

სასაცილოა უკანასკნელი ფურცლები ძველ ალბომში – ასევე სასაცილოა უკანასკნელი მზერა ვინრო ფოლორცების, ვინრო ქუჩების და ელამ ჩრდილების ძველ ტფილისში. ამბობენ, შუალამე რომ გადავა, ორად მოკეცილი მთვარე რომ გადაჩეხება მთანმინდის უკან ვინრო ხეებში, მაშინ ნარიყალას ძველ

კომპეტიდან ისმის ოდნავი ჩურჩული: „მაგრამ იცოდეთ, რომ ტფილისი კვლავ დაძველდება, ნაზი ირმები დაინყებენ ქუჩებში ქროლვას, ნაზი სირმებით პოეტები ლექსებს დასწერენ, კაფე შანტანში გამოჩნდება ქართული ფრესკა“. შუალამისას ყაჩაღად გავარდნილი ოცნება სთხზავს თურმე ამ ლექსებს და მონინებით ალაგებს ნარიყალას კომპეზზე. ქვა და კირი ახლდებიან ამ დროს. ღონე ემატებათ ჩაკირულ ძარღვებს და მუხლებს... და მიუხედავად ნიადაგის ძლიერი რყევისა, ძველი კომპეტი როდი აპირებენ დანგრევას. ხარფუხის ძველისძველ ოჯახებში როდი სჯერათ ამ კომპეტის დანგრევა. იქ დაჯერებულნი არიან, რომ ძველი კომპეტი, დიდი ხანია, რაც ცაზე ჰკიდიან, რომ ვერავითარი ნიადაგის რყევა სიმტკიცეს, შნოს და დუღაბით ჩაკირულ სილამაზეს ვერ მოშლის.

ძველი ტფილისი... სახლები ისე არიან ერთმანეთზე მიკრული, როგორც პატარა მტრედები ბუდეში. სახლი თუ ორსართულიანია, მეორე სართული შიშით და კანკალით ზის პირველ სართულზე და ტოკავს. ნელში მოღუნულ ბოძებს გაჭირვებით უჭირავთ გაზმორებული აივნები, ქუჩები ბებერი დედაკაცის თითებივით არის მოკაკული, მოღუნული, აკანკალებული. საკვირველია, ძველ ტფილისში ქუჩას ბოლო არა აქვს. თუ ქუჩა თავდება, იქ ტფილისიც თავდება. ნარიყალაზე წყალი რომ დაასხა, მთელ ქუჩებს შემოირბენს და სიონთან ჩამოვა. ასევე გამორბის ყოველი ქუჩა სიონისკენ. ალბათ, უნინ სჯეროდათ, რომ დიდი წყალობა რაღაც ჩამოიღვრებოდა ნარიყალადან სიონზე და ისე ალაგებდნენ ქუჩებს და სახლებს, რომ ეს წყალობა ყოველ ოჯახს რგებოდა. იმიტომ თუ ეკვრიან სახლები ერთმანეთს, ვინ იცის. იმიტომ თუ ეცილებიან ძველი მოქალაქეები ერთმანეთს სიონში სიარულში – თითქმის ყოველდღე. ესეა თუ არა, ისე მაინც არის, რომ ნარიყალა და სიონი ორი ურყევი ბოძია, რომლის შუაჯქანაობს შნო და ადათი ძველი ტფილისის. იქნებ იმიტომ უფრო უყვართ ეს ორი ადგილი, რომ ყველას სჯერა, მეფე ერეკლე

ნარიყალაზე რომ იმარჯვებდა, სიონში ლოცულობდა. სიონში რომ იმარჯვებდა, ნარიყალაზე ლოცულობდა.

მზე რომ ჩაინწევს ტფილისის თალზე, მთანმინდაზე რომ დაჯდება ერთ ნუთს და მონითალო ფერით გაბრწყინდება, მაშინ, ფერადი ქოთნების მსგავსად, ჩამწკრივდებიან ხარფუხის დედაკაცები ვინრო ქუჩებში. ვაი იმის ბრალი, ვინც ამ ქუჩებზე გაივლის ამ დროს. ათი ათასი ლაქა ფერადი თვალების ზედ დააჩნდება. ვარსკვლავებს ისე არ უხარიათ ცაზე ჩამწკრივება, როგორც დედაკაცების ფერად ქოთნებს ვინრო ქუჩებში. ფერადი ძაფის გორგლებივით დაგორავენ და დახტიან პატარა ბავშვები. უფრო პატარები დედის კალთებში ბუქნავენ და ირწვევიან. დამწვარ კუნძებივით სხედან მოხუცებული დედაკაცები და სთვლემენ. ყოველი პირის გაღებაზე მოკუნტულ თითებით პირის ორმოზე რალაც ჯვარედინებს იკეთებენ. ყვითლად დანინკლული, დანაოჭებული ხელები და სახეები დამდნარ თუ დაღეჭილ ღვეთივით გამოიყურებიან. ამ დედაკაცებს ბურნუთის და მოხარშული ნივრის სუნი უდით მუდამ, თუგინდ ბურნუთს არცერთი არ ეწეოდეს. თუკი ნამდვილ ბურნუთს ეწევა ვინმე, მაშინ იმისი ცხვირის ნესტოები ორ შავ გატალახიანებულ ორმოდ გამოიყურება. გაუთავებელი ცრემლი დის ამ ორმოებს მწვანე ძირიდან. ძველი ტფილისის მოხუც დედაკაცებს ცრემლები თვალებიდან კი არა, ცხვირიდან სდით მუდამ. ისინი მშრალი თვალებით ტირიან. ცხვირშიაც, როცა აივსება და გამოიტენება ათიათასი გამოქვაბული, მხოლოდ მაშინ იწყებენ თბილი ცრემლების ნაკადულები დენას გარეთ. ამიტომ არის, რომ გაუთავებელია ხშირად იმათი ტირილი და ზუზუნი.

მაგრამ ყველაზე კარგი და ტკბილი მაინც ამ მოხუცი დედაკაცების ჩრდილებია, ახლად ფეხადგმული, აბუზული წინილებივით სხედან ეს ჩრდილები და კანკალებენ. კარგად რომ დააკვირდეთ, ეს ჩრდილები ზუზუნებენ და ტირიან. ამ დროს კაცი ვერ იტყვის, ეს ჩრდილები არიან ცოცხლები თუ დედაკაცები. ვინ უფრო

ჩრდილია იმათში, ამისი თქმა ისევე ძნელია, როგორც იმისა, თუ რომელი სჯობია, ნარიყალას ურყევი კოშკები თუ იმათი ბუმბერაზი ჩრდილები.. მე კი მგონია, რომ ჩრდილები უფრო ძლიერები არიან იმით მაინც, რომ ისინი მუდამ მოძრაობენ და მოძრაობა რომ თავდება ყოველგვარი სიძლიერის – სიძლიერე კი პირველი პირობაა სილამაზისა.

არაფერი არ სჯობია ამ უნაპირო ღამეებს ხარფუხის ვინრო ხეივნებში. სიცილი, ხველება, ტირილი, ხმამაღლა ლაპარაკი, ხან ერთად იკვრება და გუგუნებს, ხან კი ცალცალკე იშლება მეტად აფერადებულ ჟრიამულში. მაგრამ ყველაფერს ჰქონია ბოლო ამ ქვეყანაზე, ამ ჟრიამულს, ამ არევ-დარევას ხმების და ფერების, უეცრად აქრობდა თითქმის ყოველ საღამოს ერთი მეტად მაღალი ხმით დაძახებული ბაიათი და ორჯერ ამაზე ხმამაღალი გინება. ეს მიხაკა იყო. ხომ გინახავთ კაშკაშა, მოწმენდილ ცაზე როგორ ჩნდება ერთი მუჭა შავი ღრუბელი. თუ გინახავთ, იმასაც ნახავდით, კაშკაშა მზიან დღეს როგორ დასცემია წვიმა ქორივით. ერთ წუთს გაუფანტავს ხალხი, ქუჩები გაუნმენდია მტვრისაგან, რამოდენიმე წუთის შემდეგ კი გაგრძელებულა ისევ ისეთი მზიანი დღე. აი, ასე მოულოდნელად ქორივით ფანტავდა ეს გინება ხალხს. ასუფთავებდა ქუჩებს ქორისგან. „სი-ყვა-რულ მაა აააა! დღენი ი ი – ი ჩემიიი სიმწრით და – ა ამა ააა ლევინა ბა – ალამ –ააამ – ააამ“.

და უეცრად ასეთი, მწარედ დაძახებული ბაიათი იყლაპებოდა ზომაზე მეტად გაღებულ სასაში, საიდანაც გაკბეჩილ მაჟალო ვაშლივით ცვიოდა პირმომტვრეული სიტყვები: „დამსხდარხართ, გალაზღანდარავებულხართ, აღარც ოჯახი, აღარც სახლი, უუუ! თქვენი. ჰარამი იყოს ის პური თქვენზე. იქ, თქვენი ქმრები წელებზე ფეხს იდგამენ, ლახუსტაკივით იხალებიან ამ სიცხეში, თქვენ კი აქ გაგიღიათ პირები და ლაი-ლაი დუ-დუ-დუ-დუ, ააა თქვენი სინდისი შევარცხვინე! დედაშვილობამ, არცერთი არ არის თქვენში ნამუსიანი. ააატ! ნამუსიანი დედაკაცი ქუჩაში არ

წამოჯდება და არ წამოაშვერს. სულ ბოზები ხართ, სულ. ჰა, თქვენი გაჩენის საათი დაიქცეს... ეეეხ, დრო! არა, უნინ წამოსხდებოდნენ აგრე დედაკაცები აი... აფსუს. ხეირიანად მეზობელს ვერც კი დაელაპარაკებოდნენ, ჰაიტა! არა შვილო, წახდა, წახდა დროება. პატიოსნება აღარ არის თქვენში, მამაშვილობამ და დედაშვილობამ. მამაც გაგინყრეთ და დედაც“. ამ დარიგებას რომ გაათავებდა, მაშინ ისეთ ლანძღვა-გინებას ასტეხდა, რომ დედაკაცების ჯდომით გახურებული ქვეები უცბად ცივდებოდნენ. საბუთი ერთი იყო მუდამ. ის ზღაპრული პატიოსნება, რომელიც უნინ მეტად სქლად იყო დაგროვილი ძველი ტფილისის თითქმის ყოველ ოჯახში.

აი, ამ პატიოსნებას სდარაჯობდა მიხაკა გინებით, ისევე როგორც ქურთი მეეზოვეები ხარფუხის ქუჩებს სტვენით. ქუჩები რომ ცარიელდებოდა, მაშინ ოჯახები იტენებოდა სიცილით და სიხარულით. ოდნავ აბჟუტდებოდნენ გაკრიალებული ლამპები, რომლის შუქიც ძლივს ატანდა დაძველებულ და გაქვავებულ მინებს. როდესაც სიცილი და ჟრიაშული ათჯერ მრავლდებოდა, მაშინ ყველამ იცოდა, რომ კაცი დაბრუნდა სახლში. ოჯახში ბატონი რომ შედიოდა, მოლუნული და აკანკალებული ბოძები მაგრდებოდნენ და იჭიმებოდნენ მუდამ.

ერთ პატარა და ვინრო ქუჩაზე მიხაკასაც უცდიდა თავისი ოჯახი: ცოლი, სამი კარგად მოზრდილი ვაჟი და ერთი ქალი შეადგენდა ამ ოჯახს. მიხაკა ქუჩის კუთხესთან რომ მოვიდოდა, ათასჯერ ნანყენი და გაბოროტებული ყოფილიყო, მაინც ერთ ხალისიან სიმღერას დასძახებდა და ასე გუგუნით შედიოდა თავის ოჯახში.

– თქვენ გენაცვალეთ, შვილებო! მამა გენაცვალეთ, მამა! უუუ-თქვენი ჭირიმეთ! – დასველებული შაქარივით რბილდებოდა და იფშვნებოდა თავისი ოჯახის სიყვარულით. – დედაკაცო, ერთი ეს ხელსახოცი ნახე! – და მაგრად გატენილ ხელსახოცს დადებდა მაგიდაზე. მთელი ოჯახი ეხვეოდა ამ ხელსახოცს. რაღა

არ იყო შიგ: სამწვადე, ხილი, მწვანელი, თათრული ლავაშები და კვარტით ღვინო, რომელიც ისე ერკვეოდა ამ სანოვაგეში, როგორც მამალი თხა – ცხვარში.

პატარა ხნის შემდეგ უშველებელი მაყალი გუზგუზებდა დერეფანში. კარგად შემწვარი მწვადის სუნი ჯამბაზივით ტრიალებდა ჰაერში. მიხაკა კი ორად გაშლილი სუფრის თავში იჯდა და ბაასობდა: „აბა, შვილებო, თქვენ იცით! არავის აწყენინოთ, არავის გაალანძღვინოთ თავი, პატიოსნებით უვლია თქვენს მამაპაპას ამ ქვეყანაზე. გნამდეთ სინდისი და ღმერთი. ასეთია ჩვენი ადათი. მტრის გულისად არ გამხადოთ, თქვენ გენაცვალოთ მამა!“

ამ დროს შვილები მშვიდი ფუტკრებივით ეხვეოდნენ მიხაკას, რომელიც მთლად იწვოდა და დნებოდა იმათ ალერსში.

ამის შემდეგ ერთად დასხამდა და ამღერებდა. მკვახე ხმებით რომ გაიჭედებოდა ოჯახი, მაშინ მიხაკა სიხარულის ცრემლებს ყლაპავდა ბლომად. ცრემლი თუ სასულეში გადაუვიდოდა გაფცქვნილ ქარხალივით წითლდებოდა და ლურჯდებოდა. ახველებდა. ხველებას სიცილი მოსდევდა, სიცილს ცრემლები. როცა თავდებოდა ეს თავისებური კონცერტი, სადაც სიმღერა და სიამოვნება იმდენი არ იყო, რამდენიც – ტკბილი სიყვარული, მაშინ მიხაკა გახსნიდა ქისას და ხურდა ფულს ურიგებდა ბავშვებს. ყველაფერი ეს რომ მორჩებოდა, იწყებოდა ვახშამი, გემრიელი და ლაზათიანი ჭამა. წინაკის წნილი კი არ ამწარებდა, ატკობდა გემოს ამ დროს და რაღაც უცნაური ძალით ყველაზე დიდი სიმწარე სიტკობდ მოჩანდა ამდენ სიყვარულში.

მიხაკა ძველი ყარაჩოღელი იყო. სწორედ ისეთი, ძველ ალბომებში რომ გინახავთ. განსხვავება იმაში იყო, რომ განიერი ვერცხლის ქამრის მაგივრად წვნიკი ვერცხლის ქამარი ჰქონდა განიერ გვერდებზე გადაჭერილი. ზორბა ტანი გაღვივებულ და გუნდაამოულებელ ცომივით თამთამებდა სიარულში. წითელი მაჭრით გაჟღენთილი ახალი ტიკი რომ გინახავთ, იმ ფრად

ჰქონდა სახე და ცხვირი აბურცული და დაკოჴრებული. თვალის ქუთუთოები დაკეცილ ტყლაპივით ეკიდა თითქმის ნახევარ ლოყამდე. ზემოთა ქუთუთოები ამონეული ჰქონდა და ელავდნენ. ამ ქუთუთოებს შუა ორი პატარა თვალი მკვახე ლედვისფრად გამოიყურებოდა. მიხაკას სახე სულ ერთთავად ლაპლაპებდა, ოფლისა არ იყო ეს ლაპლაპი, იმიტომ რომ ზამთარშიც უმეტესად ლაპლაპებდა.

მიხაკა იმ ჯურის ხელოსნებს ეკუთვნოდა, რომ ერთის შეხედვით ვერავინ შეატყობდა, მთვრალი იყო თუ ფხიზელი. როდის იყო მთვრალი და როდის – ფხიზელი, ამის თქმა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამის გამო მიხაკაზე ხშირად გაიგონებდით: კაცო, გველეშაპია ღმერთმანი, რაც უნდა სვას, ისევ ის მიხაკაა, არაფერი არც ემატება, არც აკლდება. საზოგადოდ, ხელოსნებში სახელზე უკეთ მეტსახელი იციან, მაგრამ მიხაკას მეტსახელი ვერაფრის გულისთვის ვერ მოუძებნეს და დარჩა მიხაკად. მიხოც კი ვერ უდგებოდა, ვერც მიხეილი. გინდა თუ არა, მიხაკა იყო იმაზე ზედ გამოჭრილი. მხოლოდ პატარა მიმატებით, მექუდე მიხაკად იყო ცნობილი შუა ბაზრის ხელოსნებში. ვისთვისაც კი არ უნდა გეკითხათ მექუდე მიხაკა, ის ჯერ გაიცინებდა, კმაყოფილებით შემოგხედავდათ, შემდეგ კი გიპასუხებდათ: „ვიცი, როგორ არ ვიცი, მაშ, ვილა უნდა ვიცოდეთ!“

შუა ბაზრის ერთ-ერთ ვიწრო დარაბაში ჰქონდა მიხაკას სახელოსნო და იქა საქმობდა. წინათ ეს სახელოსნო უფრო ფართე იყო. მაშინ მიხაკას პაპა საქმობდა. განთქმული ჭონი იყო, ჰამქართ უსტაბაში. მიხაკას ეს ამბავი სიზმარავით ახსოვდა. მუდამ კი თავი მოჰქონდა იმით, რომ შვილიშვილი იყო განთქმული უსტაბაშისა. ამის შემდეგ დარაბა ცოტა შევიწროვდა და შიგ მიხაკას მამა საქმობდა. მიხაკას მამა ტყავის ქუდების მკერავი იყო. კაცი მეტისმეტად ხუმარა და ლაზათიანი, მჭამელი, მსმელი და კარგი დროების გამტარებელი. მიხაკა თავის მამასთან იყო შეგირდად. ყველაფერს სწავლობდა მაშინ, ხელობას, ჭამას, სმას და დროსტარებას.



მამის სიკვდილის შემდეგ დარაბა კიდევ შევიწროვდა. ახლა შიგ მიხაკა საქმობდა. ძველ ქუდებს რომ გასავალი აღარა ჰქონდა, ახალ ქუდებს დაუნყო კერვა. ერთი აღიაქოთი, სიცილი, აურზაური რომ ატყდებოდა, მაშინ ყველა გაიგებდა, რომ მიხაკა მოვიდა და ბაზარში დადისო. ამასთან მიხაკას სახელი დიდი ჰქონდა. ვინ გაბედავდა, მასხრად აეგდო ან სიტყვა შეებრუნებინა. ყველა მონინებით ღებულობდა მიხაკასგან ლანძღვასაც კი. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მიხაკა მეტისმეტი მართალი, პატიოსანი და პირში მთქმელი კაცი იყო. ხელოსნებში კი ეს სამი თვისება მეტად პატივსაცემი, დაფასებული იყო მუდამ.

მიხაკა კარგად იყო ხანში შესული, კარგად ახსოვდა ძველი დრო, დიდი მოედანი ყაბახზე, ძველი კრივები, ფერმა და საზოგადოდ ძველი ტფილისი. თითქმის ყოველდღე ხელოსნები რომ ჩამწკრივდებოდნენ თავთავიანთ სახელოსნოების წინ პატარა სამფეხა სკამებზე და საქმობდნენ, მაშინ მიხაკას სახელოსნოს წინ ბლომად იყო ხალხი შეკრებილი. ისინიც საქმობდნენ. მიხაკა შუაში იჯდა და რამე ძველ ამბავს ამბობდა: „მე და ჩემმა ღმერთმა, კაცო, იცით, რა იყო ის ცხონებული!“

– ვინა, მიხაკა, ვინა?

– ვინა და დალაქი ეშია, ერთხელ, აი, მე კარგად მახსოვს ეს ამბავი, ცნობილი თავადები ქეიფობდნენ ვერის ბალებში. ვერის ბალები ისეთი კი არ იყო როგორც ეხლა, იიჰ! არა, ეხლა რაღაა! მაშინ იყო, აი, ნამდვილი საქეიფო ბალები! ისეთი ცოცხალი მთელ ქალაქში არსად იცოდა. ორთაჭალა იიჰ..! ორთაჭალა მიქარვა იყო. ვერის ბალები რომ იყო, იყო. ამას ლაპარაკი აღარ უნდა. ეშია მუდამ სუნით გაიგებდა ხოლმე, თუ სად იყო ხეირი. მაშინდელ თავადებში ხომ ხეირი იყო და იყო. ეხლანდელ ქეციან თავადებს კი არა ჰგვანდნენ, ჩიტის სკინტლი რომ უზალთუნიანი ჰგონიათ. არა, მაშინდელი სხვა იყო. იმათი ქეიფი და დროსტარება მთელ ქვეყანაზე იყო განთქმული. აფსუს! აქ ამოიოხრებდა. – ჰოდა, მაშინ, ის თავადები რომ ქეიფობდნენ, ეშია გაჩნდა, დაალევინეს

ერთი, დაალევიანეს ორი, დაალევიანეს სამი. შეზარხოშდა ეს თქვენი ეშია. მაშინ წამოდგა ერთი თავადი, აცხონოს ღმერთმა, ზურიკოს ეძახდნენ, ამიილო ჯიბიდან სამმანეთიანი და, მაშინ-დელი სამმანეთიანი ეხლანდელი კი არ იყო, ფული იყო მაშინ. წამოდგა ფეხზე და უთხრა ეშიას: „აი, სანაძლეოს ვდებ, თუ შენ ტიტველა გაიქცევი აქედან „პრასპექტზე“ სასახლემდინ, მაშინ ეს შენ და კარგი ვახშამიც შენ!“

– აგრე იყოს! – წამოიძახა გახარებულმა ეშიამ. ერთი კიდევ გადაჰკრა და გაიძრო ტანისამოსი. ერთი კიდევ ტიტველამ გადაჰკრა და გაიქცა. თავადების სიხარულს და სიცილს ბოლო აღარ უჩანდა... დაიხოცნენ, კაცო, სიცილით. ეშია ამ დროს შუა ქუჩაში მივრბოდა სიცილით, ხალხი გაფრთხა, კაცო, შუადღისას ამ ვეება ხალხში და ტიტველიო! ატყდა ერთი წივილ-კივილი, დაფრთხნენ ქალები. პატარა ბიჭები კი ჭყვივილ-კივილით დაედევნენ. როგორც იყო, ფოშტამდის მიივრბინა, იქ კი დაიჭირეს. ვერც სამი მანეთი, ვერც ვახშამი და ვერც სანაძლეო ვერ მოიგო. თითონ კი გიჟი ეგონათ და საგიჟეთში უკრეს თავი.

თავადებმა ეს რომ გაიგეს, ბევრი იცინეს. ეშია კი ამ დროს საგიჟეთში იჯდა და რას აღარ შვრებოდა. გავიდა ერთი კვირა, გავიდა ორი კვირა. არ უშვებენ და არა. მაშინ ერთი ხერხი მოიგონა. ერთ დღეს დილით დაარიგა გიჟები, ექიმი რომ შემოვა, მივარდით და სცემეთო. მართლაც ექიმი რომ შევიდა, ხუთიოდე მამალი გიჟი თავს დაესხა. წააქციეს ეს შენი ექიმი და, ის იყო, კნუტივით წაახრჩობდნენ, რომ მაშინ გადმობტა ეშია, გაფანტ-გამოფანტა გიჟები. ექიმი წამოაყენა, გაუბერტყა ტანისამოსი. კარებამდინ გამოაცილა და კარში გამოუშვა. აბა, ექიმი რას გაიგებდა ამ ხერხს. ეშია იმ დღესვე გაანთავისუფლეს, კაცო, ტანისამოსიც ჩააცვეს. იმ ექიმმა თავის მხრივ ერთი თუმანიც არჩუქა და პუპლუზ, ეს შენი ეშია ისევ ქალაქში გაჩნდა.“

ყურს უგდებდნენ ხელოსნები მიხაკას და იმათ სიცილს და სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. თანაც საქმობდნენ. სულ

შეუმჩნევლად გადიოდა დრო ამ სიცილში და ამ საქმიანობაში. ამის შემდეგ გაჩნდებოდა კითხვები: „მერე, მიხაკა, იმ თავადებმა მისცეს სანაძლეო? ეშიას ტანისამოსი რალა იქნა, თავადებთან რომ დარჩა? ტიტველა ხომ გარბოდა, უჩანდა? მერე ქალები-სა არ შერცხვა? რა ყოფილა, კაცო, ის ეშია... – და მრავალი კიდევ სხვა, რაზედაც მიხაკა თავისებური ოხუნჯობით და მიხვრა-მოხვრით უპასუხებდა. თუ ვინმე რამეს დააშავებდა ან რამე უნმანურს იტყოდა, მიხაკა ისეთი სახით და სიტყვებით დატუქსავდა სანყალს, რომ ბოლოს თითონვე შეეცოდებოდა. ჯერ ქართულად ლანძღავდა, შემდეგ გაუსომხურებდა. ახლა ამ სომხურს არ უჩანდა ბოლო. და ასე, თითქმის ყოველდღე იყო სიცილში, ხუმრობაში და აურზაურში. კარგად იყო დაბინდებული, რომ კეტავდა სახელოსნოს, სხვებიცა კეტავდნენ. შემდეგ ერთად გასწევდნენ სანოვაგის სავაჭროდ. ხელსახოცები რომ კარგად დაიტენებოდა, შემდეგ ტკბილი ბაასით სადმე სამიკიტნოში დასხდებოდნენ და ერთი თათარიანად ქეიფობდნენ. დროს ატარებდნენ, სვამდნენ, ჭამდნენ, მღეროდნენ. შემდეგ კი ბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებში.

ასე ცხოვრობდნენ ძველი ხელოსნები. ასე მუშაობდნენ. ტკბილად, ლაზათიანად. მაგრამ ამ ცხოვრებასაც ჰქონდა თავისი ჩრდილი. ეს ჩრდილი იმით განსხვავდებოდა ყველა ჩრდილები-სგან, რომ უმოძრაოდ იდგა ერთ ადგილზე. თანაც მეტად შავი, ბნელი და საშიში იყო.

ეს ჩრდილი ეკუთვნოდა რუს „გოროდოვოს“, რომელსაც ხელოსნები „ჟილკას“ ეძახდნენ. ვერავინ გეტყოდათ, თუ რას აკეთებდა მთავრობა ჟილკას სახით შუა ბაზრის ხელოსნებში. თითონ ჟილკა უწყინარი რამ იყო თვალად. მაგრამ იმის ჩრდილი იყო საშიში. ეს ის მიჯნა იყო, რომელიც ყოფდა ტფილისს ორად. ძველ ტფილისს ბევრიც რომ სდომოდა, ამ ჩრდილს ვერ გადმოვიდოდა. ახალი ტფილისიდანაც მხოლოდ საქეიფოდ გადადიოდნენ და, ისიც, ძველი თავადები. ჟილკა ამას ვერ გრძნობდა,

ალბათ, იმიტომ რომ ძალიან ხშირად აქრობდა თავის ჩრდილს. ჩაძვრებოდა სამიკიტნოში და ლოთობდა. ძალიან ხშირად ჩრდილი კაცზე ფხიზლად იდგა ქუჩაში და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამის მიუხედავად, ჟილკა მაინც მთავრობა იყო, რომლის შიში და რიდი თითქმის ყველასა ჰქონდა, მოხუცებულებს მაინც.

დილაადრიან მოხარშულ კომბოსტოსავით დამბალ თავს რომ მოიტანდა ჟილკა ბაზარში, მაშინ ახალგაზრდები აუტყდებოდნენ: „ჟილკა!“ ნუნ-ნუნ, ჟილკა ზუნ-ზუნ! გაბრაზებული მთავრობა ბევრს ათვალეიერებდა, ბევრსა ბრაზობდა, მაგრამ ისე ხერხიანად იყვნენ ჩასაფრებულები პატარა ბიჭები, ვინ შეამჩნევდა. მთავრობა კი ისე ბასრად იგინებოდა, რომ ჩრდილიც კი ემალებოდა ხშირად.

აი, ეს ჟილკა გოროდოვოი და იმისი მთვრალი ჩრდილი რომ არ ვიანგარიშოთ, სხვა მხრივ დიდი სიყვარული, ძმობა და პატივისცემა იყო დამკვიდრებული. მაგრამ ყველაზე კარგი მაინც დილა იყო შუა ბაზარში.

გახარებული მზე კარგად რომ დაჯდებოდა ცაზე, კარგად რომ გაუცინებდა ძველ ქალაქს, მაშინ ახმაურდებოდა დარაბები. ჩაბნელებული სახელოსნოები იღვიძებდნენ და იჭედებოდნენ პატიოსანი ხალხის შრომით. ჩაღებოდა ცეცხლი და ბაასი. ბოლავდნენ მოკაუჭებული ჩიბუხები. ყველგან ისმოდა ნელი ლოცვა და კაკუნი დილის სიფთის. სიფთის შემდეგ ცხარე არაყი და მწვადი სწვავდა მაგარ ყანყრატოს. თამბაქოს და მწვადის სუნი სჭედავდა ხელოსნებს და საქმეს. შრომობდნენ და ეს შრომა იყო მართალი, ალალი და გემრიელი. შუადღისას რამე ახალი ამბავი შეელოდა საქმეს გვერდის ცხენივით. ახალი ამბების მომტანი და გამავრცელებელი ერთი ხელოსანი იყო, რომელსაც მეტსახელად კრუხოს ეძახდნენ.

უცნაური რამ იყო ეს კრუხო. ოთხ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ოთხივეზე ცუდად. ენის მიხედვით ვერავინ იტყოდა, თუ

რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა. გარეგნობით კი ასეთი სასაცილო და მასხარა ყველა ტომში მოიპოვებოდა, ისიც ძალიან იშვიათად.

– ჰმ! – შუა საქმის დროს ჩაიციინებდა კრუხო, – კაცო, რა უქნია იმ მურტალს. ჰმ, აი, არამზადა. განა სხვა ქალი ცოტა იყო. ჰმ, ის ჯილაგ ძალლი, ჰაი და... და... და.. და....., – იქამდის ბუტბუტებდა თავისთვის, ვიდრე არ შეეკითხებოდა ვინმე, – ვინ? – ვინა და ბოლთაანთ დარჩო! აი, გაუნყრეს იმას პურ-მარილი. კაცო! შავხელაანთ სონასთვის უკოცნია იმ ღმერთგამწყრალს!

– როდის, კრუხო, როდის? – ყურებდაცქვეტილი ხელოსნები ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან.

– როდის და გუშინ. ის ღმერთგამწყრალი სონა გუშინ ხორცის საყიდლად მისულა დარჩოსთან. ხორცი აუნონია, ერთი გამასხხ-არავებია, ორი გამასხარავებია და შემდეგ, კაცო შიგ დუქანში უკოცნია.

– ქალის ბრალი იქნებოდა, ქალის.

– არა, კაცო, ქალი რა შუაშია, დარჩოს გასწყრომია ღმერთი.

– არა, კაცო, კაციც რა შუაშია, რატომ არ გაეცალა, რათ შეჰყვა ყასაბხანაში.

– ეჰ, მერე რა მოხდა. აკოცა, აკოცა. განა რა მოხდა!...

– არა, კაცო, როგორ რა მოხდა. აბა შენი ცოლისთვის ეკოცნა.

– ჩემი ცოლისთვის?

– თუკი ისიც სალახანაობას დაიწყებს, აკოცებენ კი არა, მეტსაც უზამენ. ახიც იქნება. ახიც.

– კაცო, ახი როგორ იქნება. ქალმა რა ქნას. თუკი კაცი არ დაინდობს.

– კაციც ვერაფერს გაანყოფს, თუკი ქალი ზედ გადაანყდება.

ასე ხმაურობდნენ ხელოსნები ამ პატარა ამბავზე. თითონ კრუხო კმაყოფილებით თვალს ადევნებდა ამ კამათს და მუყაითი ცხენივით ხან ერთს ეშველებოდა, ხან მეორეს. კამათს ხუმრობა მოსდევდა, ხუმრობას სიცილი... ხანდახან გინებაც შეფრინდე-

ბოდა ღამურასავით ამ საქმეში. „გაჩუმდით, ხალხნო!“ – ისევ მიხაკას მაღალი ხმა უროსავით დაეცემოდა ყველას. ხალხი ჩუმდებოდა. ახლა მიხაკა ატყდებოდა. – რაო, კაცია დამნაშავეო? ტყუნისო? დამნაშავე კი არა, იმისი მამა ვაცხონე. ქალი თუკი ნამუსს აიყრის, იმაზე ალაღია ყველაფერი. დარჩო იმაში ტყუის, რომ მარტო უკოცნია. მაგისტანა ქალს სხვა რამეც შეერგება. აბა, სონა? ა, იმ წლიკვინა სონაზე არ ლაპარაკობს! ჰაი, ლა-ლა-ლა-ლა! კოცნაო! კოცნა ჰარამია იმაზე. კაცო, მთელი ხარფუხის დედაკაცები გარყვნა იმ სულძაღლის შვილმა. „მოდნა“ ვარო, ჰაიგ! ერთი იმას მამალი ბრონეულის წვენი ვერავინ დააღვეინა, რომ ხმა ჩაენყვიტოს. აიჰ! ლალალა!... ახ! ისეთი კილოთი და კენესით ირტყამდა მიხაკა გულში ხელს ამ სიტყვებზე, რომ ყველა აშკარად გრძნობდა, თუ რას უზამდა მიხაკა შავხელაანთ სონას იმ წუთს.

ხელოსნები კმაყოფილებით და ჩუმი სიცილით ისმენდნენ ამ განაჩენს. ხალხი რომ დაწყნარდებოდა, რამდენიმე დღე რომ გაივლიდა, მხოლოდ მაშინ გამოირკვეოდა, რომ ტყუილი ყოფილა. არც დარჩოს უკოცნია სონასათვის და არც სონა ყოფილა საყასბოში.

ყველა მასხრად იგდებდა კრუხოს. კრუხო კი გაჩუმებული და ღრმად ჩაფიქრებული დაჰყურებდა საქმეს. ამაზე უფრო იცინოდა ხალხი.

– რამ დაგაფიქრა, კაცო? მტყუანი ხარ განა?

– ეჰ! არა, მტყუანი კი არა, ის საცოდავი კოსია მომკვდარა, კაცო, წუხელის. ეჰ! საცოდავი ხელოსანი, აცხონოს ღმერთმა.

– როგორ კოსია?. კაცო, როდის? მერე რატომ ჩვენ ვერ გავიგეთ.

– ეჰ! წუხელის დაუღვეია სული იმ სანყალს!

ერთი მწარედ ამოიგმინებდა კრუხო და წყნარდებოდა. გაჩნდებოდა ერთი მითქმა-მოთქმა. ზოგს სჯეროდა, ზოგს – არა. კრუხო კი ნაღვლიანად აქნევდა თავს და გაჩუმებული საქმობდა.

– კაცო, მართალია? მერე რატომ არავინ არაფერი თქვა?

– მე რა ვიცი! დილას რომ იმათ სახლის წინ ჩამოვთარე, იმის სახლიდან ტირილი გამოდიოდა. იქ მითხრეს, კოსია მოკვდა ნუხელისო. – ისე დაჯერებით იტყოდა კრუხო, რომ ყოველგვარი ეჭვი იფანტებოდა. ძალაუნებურად სჯეროდა ყველას.

უეცრად თითონ კოსია გაჩნდებოდა ბაზარში. ატყდებოდა ერთი აურზაური, სიცილი. კოსია რომ გაიგებდა თავის სიკვდილის ამბავს, გაქანდებოდა კრუხოსკენ. კრუხო კი რწყილივით გადახტებოდა და გარბოდა. ასე ორჯერ მაინც შემოატარებდა კრუხო კოსიას მთელ ბაზარს.

ამ დროს ხელოსნების სიცილს და მხიარულებას საზღვარი აღარ ჰქონდა. იცინოდნენ მოხუცებულები, იცინოდნენ ახალგაზრდები. ზოგი ჭყიოდა, ზოგი უსტვენდა. მხიარულება იყო უზომო და უნაპირო. კრუხო ყოველდღე დაძვრებოდა სამიკიტნოებში, ალაფებთან, ყასბებთან. ხშირად იმ წყეულ ჩრდილსაც გადალახავდა და დიდ ქუჩებისაკენ გაივლიდა, რასაც დაინახავდა ან ყურს მოჰკრავდა, ჯერ თითონ გააზვიადებდა... ტყუილამდის დაიყვანდა, თუგინდ მართალი ყოფილიყო და შემდეგ მოჰყვებოდა ხელოსნებში. ყველამ იცოდა, რომ უსათუოდ ტყუილი იქნებოდა კრუხოს ნათქვამი. მაგრამ მაინც ყურს უგდებდნენ, ერთობოდნენ. სხვა გასართობი რომ არ იყო, რა ექნათ. და ასე ყოველ დღე. კვირაობით კი სულ სხვა სურათი იყო. დილიდანვე ყველა სუფთად გამონყობილი თავთავიანთ სახელოსნოს წინ ბოლთასა სცემდა. შუადღე რომ ჩამოდგებოდა, მაშინ ჯგუფებად დანყობილი ხელოსნები გასწევდნენ სასეირნოდ. საღამოთი კი სადმე სამიკიტნოში ქეიფობდნენ ერთად. ქეიფი კი იყო ნამდვილი, ძველებური.

ციხეში დამწყვედეული ტუსალივით ეხეთქებოდა დუდუკის კვნესა ვიწრო კედლებს, თავისუფალი ხმა გახარებული ვარდებოდა კარში, თაფლის ძაფებზე გადადიოდა და ტკბილად ეწვეთებოდა ყურში. დამკვრელიც ნვალობდა, დუდუკიც, მსმენელიც.

მაგრამ ამ წვალებაში იყო სიყვარული, მწუხარება და სიტკბო. დამკვრელი დუდუკს კოცნიდა, დუდუკი – სმენას, სმენა – დაბერებულ გულს. გული კი კვნესოდა, რბილდებოდა. ცრემლი დგებოდა სისხლში. კარგი კახური ღვინო კი კარგი ფალავანივით უვლიდა წრეს და გახარებული ტუჩებს უკოცნიდა ამდენ სიტკბოში გამწარებულ ხალხს, რომლებიც თავდავიწყებულნი იტანჯებოდნენ ამდენი სიყვარულით. ქეიფობდნენ. ეს იყო ნამდვილი ძველებური ქეიფი. ძველი შნოთი და ლაზათით. ძველი ხურუშით. ახალი ხახვი, ახალი ბოლოკი, ახალი თევზი, ნედლი საუზმე და ქორფა ბატკნის ნეკნები. ყველაფერი ქორფა და ახალი. ძველ ხალხს მხოლოდ ჭამაში უყვარდათ სიახლე. ნამუსი და პატიოსნება კი აუცილებლად ძველი უნდა ყოფილიყო. ქეიფი და დროსტარებაც ძველებური, მაგრამ სულ ახალ-ახალი ნუგბარი რამეებით. ალბათ, ამაში იყო შურისძიება ძველის ახალზე. ასე მისდევდა წელიწადი – წელიწადს. არც დრო იცვლებოდა, არც ხალხი, არც მსოფლმხედველობა. არც ის შავი და უკუღმართი აჩრდილი, რომელიც წყევლის ანგელოზივით იდგა ორ ტფილისის შუა და ლოთობდა. ყველაფერი თავის ადგილზე იყო, მიწის გულის გარდა, რომელიც დუღდა და გადმოდიოდა. ხანდახან გრგვინვაც ისმოდა, ხანდახან ნიადაგიც ირყეოდა, მაგრამ მაინც ყველაფერი თავის ადგილას იდგა. თუ როდისმე მოიღრუბლებოდა, თუ როდისმე დაიჭექებდა, ისევ მალე წყნარდებოდა. ცა ისევ ინმინდებოდა. მზე ისევ ანათებდა. ჟილკა გოროდოვოი ისევ თავის ადგილზე იდგა. ჩრდილიც თან ჰყავდა. ხშირად უსტვენდა. ეს სტვენა აგონებდა ყველას მთავრობის ყოფნას შუა ბაზარში.

ერთ ჩვეულებრივ საქმის დღეს მეტად არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ჟილკა გოროდოვოი აღარ გამოცხადდა ბაზარში. მითქმა-მოთქმა დიდი გაჩნდა. ზოგმა რა თქვა. ზოგმა – რა. მაგრამ მართალი ვერავინ ვერ გაიგო. კრუხოც დატრიალდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, გავარდა-გამოვარდა, მაგრამ ვერც იმან გაიგო ვერაფერი. ერთ თვალის დახამხამებაზე გაქრა შუა ბაზარში და



გაქანდა დიდ ქუჩებისკენ. გაუკვირდა. გოროდოვოი ვერცერთ ქუჩაზე ვეღარ ნახა.

დიდ ქუჩებზე რომ გავიდა, იქ ნახა აუარებელი ხალხი. აუარებელი ნითელი დროშებით. ჯერ ვერაფერი გაიგო, აქეთ ეცა, იქით ეცა. სულ ბოლოს, როგორც იყო, გაიგო, რომ ნიკოლაი გადმოუბრძანებიათ ტახტიდან. ერთი გულის ფანცქალით და ქაქანით დაეშვა თავქვე ბაზრისკენ.

– ხალხო, დაკეტეთ დუქნები! ხალხო, ქვეყანა იქცევა! – გარბოდა და გაჰკიოდა შუა ბაზარში კრუხო. – ქვეყანა იქცევა, ნოკოლაი გადმოუბრძანებიათ ტახტიდან!

ხალხში ერთი სიცილი და აურზაური ატყდა. კრუხო კი თავისას გაიძახოდა.

– რას იცინით, ხალხო? დაკეტეთ-მეთქი დუქნები. ქვეყანა იქცევა. ნოკოლაი აღარ არის, ნოკოლაი ხელმწიფე!

ამ დროს ხალხი იცინოდა. კრუხოს ნიოკობა მარტო სიცილს იწვევდა, შიშს არა. ბოლოს, რაღა, გაენყობოდა, დაუჯერეს. ჟილკას მოუსვლელი ბაზარში თითქმის ადასტურებდა ამ აზრს. სულ ბოლოს სხვებიც მოვიდნენ ბაზარში და თქვეს ნიკოლოზის გადმოგდების მეტად უცნაური და დაუჯერებელი ამბავი. ახლა კი ყველამ დაიჯერა და განცვიფრდა. კრუხოს კი თავი მოჰქონდა იმით, რომ ის იყო პირველი მთხრობელი ამ არაჩვეულებრივი ახალი ამბისა.

ამის შემდეგ ყველა შიშით და კანკალით ელოდა, თუ რა მოხდებოდა. მაგრამ პირველ ხანებში მაინც არაფერი შეცვლილა ამის გამო. ყოველ ნაბიჯზე ისმოდა უცნაური ახალი სიტყვა – „რევოლუცია“, მაგრამ, რას ნიშნავდა ეს რევოლუცია, ბაზარში თითქმის არავინ იცოდა.

თუ რას ნიშნავდა ნოკოლოზის გადმოგდება, ეს კი ყველამ კარგად გაიგო იმ დღესვე. „ჟილკა“ რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ გამოცხადდა, მაგრამ თავისუფალ ტანისამოსში. ქუდიც ისევ ის ეხურა. მარტო ფესტი აეძრო. ჭაჭისფრად დაკოჟრებულ

სახეზე და ლოთ ხმაზე უსათუოდ შეატყობდით, რომ ის უსათუოდ „ნაგარადოვალი“ უნდა ყოფილიყო.

სულ მალე ჩადგა ცხოვრება ისევ ძველ ჩარჩოში. ჟილკა გოროდოვოი მილიციელმა შეცვალა, რომელსაც ხელოსნებმა „აპრაკუნე“ დაარქვეს იმ დღესვე. მაგრამ რას ნიშნავდა რევოლუცია, შუა ბაზარში მაინც ვერ გაიგეს. ბევრს კი ლაპარაკობდნენ, რევოლუცია კი არსად არ ჩანდა. ძველებურად მისდევდა წელიწადი წელიწადს, ძველებურად ცხოვრობდა ხალხი. ძველებურად ქეიფობდნენ და ლოცულობდნენ. ძველებურად ისხდნენ ასი წლის სახლები ვიწრო ქუჩებზე და სთვლემდნენ. ისევ ის ჭორაობა და ღრიანცელი იდგა ხარფუხის ვიწრო ხეივანებში, ისევ ისე მწკრივდებოდნენ ფერადი ქოთნები. ისევ ის ბაიათი და ისევ ის გინება ისმოდა ყოველ ღამე. მაგრამ დადგა 1921 წელი და დადგა რისხვა.

აი, ამ დღიდან დაიძრა ცხოვრება ძველი კალაპოტიდან. ამ დღიდან ყველამ დაინახა რევოლუცია. რევოლუცია ცოფიანი ვეფხვივით დარბოდა ტფილისის ქუჩებში. აყარეს და აანგრის დახავსებული სახლები. გასწი-გამოსწიეს ქუჩები, მილენ-მოლენეს შუა ბაზრის ვიწრო ხეივანები და ერთ მზიან დღეს რევოლუციით დატვირთული და განითლებული ტრამვაის ვაგონები შეიჭრნენ ძველ ტფილისში. სანახაობა იყო არნახული და არგაგონილი. მაგრამ მოსალტეს ძველი ტფილისის მიდამო. დახავსებულ გვერდებს ელექტრონის ძაფები გადაუჭირეს და გაამაგრეს.

ერთ დღეს დიდმა რევოლუციამ ელექტრონის სეტყვა დაუშინა ძველ ტფილისს. ხალხი შეშინდა, დაფრთხა. მეორე დღეს თითქმის ყოველი სახლის წინ ხე იდგა, უცნაური ხე, უტოტებო და უფოთლო. ყოველ ხეზე უცნაური შუშის ჩიტი იჯდა და ანათებდა.

აი, სწორედ ამ დღიდან ჩრდილებმა დაკარგეს თავისი მიმართულება. ამ ხეებზე შეფრენილი რევოლუცია ანთებულ ჩიტებს თითქმის ყოველ ოჯახში შეჰქონდა და ანათებდა ათას საუკუნეებით დაგროვილ წყვდიადს. ამ დროს ყველა შიშით მოელოდა

მიწისძვრას ან წარღვნას, მაგრამ არც ერთი, არც მეორე არ მოხდა.

სამაგიეროდ ძლიერად განათებული და განახლებული ძველი ტფილისი ფარშევანგის კუდივით აფერადებული და გალამაზებული გამოიყურებოდა.

ამ დღიდან დაიწყო ნგრევა ძველმა და დაიწყო შენება ახალმა თბილისმა. მხოლოდ ნარიყალას მაღალი კოშკების ირიბი ჩრდილები დარჩა შეუცვლელი. ვერც შიშველ ბოძების შემოსევამ, ვერც ელექტრონის შუქმა და ვერც რევოლუციამ ვერ მოსპო ეს ჩრდილები.

არცთუ მექუდე მიხაკას მსოფლმხედველობა შეცვლილა მაინც და მაინც. გავიდა დრო. უხილავმა ხელმა აკრიფა ფერადი ქოთნები ხარფუხის ქუჩებიდან. ჩაქრა ათიათასი თვალის ბრწყინვალეობა ვინრო ხეივნებში. ფერადი ძაფის პატარა გორგლები აკრიფეს ქუჩიდან. აღარავის აღარ ეცალა ქუჩაში ჯდომისა და ქორაობისათვის. რევოლუციით იყო გართული ხალხი. მხოლოდ მიხაკას ძალიან მაღალი ხმით დაძახებული ბაიათი არღვევდა სიჩუმეს ყოველ საღამოს. ვერავითარმა ძალამ ვერ მოაშლევინა მიხაკას ეს ჩვეულება. და რევოლუციის ბრწყინვალე შუქს, რომელიც შერბოდა ყოველ ოჯახში, თან შესდევდა მიხაკას გინებაც. საგინებელი კი ძალიან ბევრი გაუჩნდა მიხაკას ამ დღიდან.

ჩვეულებრივი მზიანი დღე იყო. რევოლუციით დაქანცული ძველი ტფილისი დინჯად იდგა. ავტომანქანები დამფრთხალ კამერებივით დარბოდნენ ვინრო ქუჩებში. ყვიროდნენ. დასიებული თვალეები ტკენით ეკვროდნენ ნვეტიან ქვებს. მტვერი და გინება სქლად იდგა ჰაერში ამ დროს. სუნთქვას უძნელებდა ძველ ხელოსნებს. მუშაობდნენ, შრომობდნენ, ფიქრობდნენ ახალ დროზე. ახალ ცხოვრებაზე.

მექუდე მიხაკაც დანალვლიანებული იდგა თავის დაზგასთან და საქმობდა.

– კაცი! ვაჰ! ასეთი გაძალღებული ცხოვრება თქმულა? აღარც ღმერთიო, აღარც სინიდისიო, აღარც უფროს-უმცროსობა. აღარა ღირს, აღარა აქვს ფასი ამ ცხოვრებას. ეჰ! მახლას! რაც იქნება, იქნება!

– რაზე ჯავრობ, მიხაკა, რაზე? – კედელს იქით შეეკითხებოდა მიხაკას ჩამწყდარი, გახეხილი ხმა.

– რაზე? რაზე და იმაზე, რო გაგინყრეს ღმერთი და მამაშვილობა, შე ვირის თავო შენა! ხალხო, ყურები გამოიჩიქნეთ, ეს რევოლუცია კი არ არის, ღვთის წყრომია, ღვთის! ჰაიტი, დროებავ!

ამ დროს მიხაკას სახე მეტისმეტი სიბრაზით ცხრაფრად გამოიყურებოდა. შუბლი ჰქონდა მოთეთრო სპილენძისფერი, ქუთუთოები – ლურჯი, ლოყები – წითელი, ყბები ყვითელი, უღვაშები – ყავისფერი, ტუჩები – ნაცრისფერი, თვალები – მწვანე და მონითალო, ცხვირი – რუხი. როცა გული მოუვიდოდა, მაშინ ეს ფერებიც იცვლებოდა. ლოყები ულურჯდებოდა, ცხვირი უწითლდებოდა, თვალები უთეთრდებოდა. ათასნაირად ილენებოდა თვალები მიხაკას სახეზე.

ერთხელ შუა ბაზარში გაჩნდა ვიღაც უცნობი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გრძელი ქალღლი ეჭირა და გულმოდგინედ ათვალიერებდა დარაბებს. ძველი ტფილისის მოქალაქეები გულის ფანცქალით გრძნობდნენ, რომ ეს რაღაც ახალს მოასწავებდა. ყველანი ზომაზე მეტად გახელილი თვალებით შეჰყურებდნენ ამ ახალგაზრდა კაცის საქმიანობას. დიდის მუყაითობით შემოიარა მთელი უბანი. დაათვალიერა დარაბები, ხელოსნების გვარები ჩაიწერა, გაეცნო ქუჩების მიმართულებას და საკმაოდ ქანცგამოლეული დაბრუნდა უკან, ეს ახალგაზრდა იყო ახალი მთავრობის კაცი, რომელიც გადასახადების ასაკრეფად გამოეგზავნათ შუა ბაზარში.

ყველაზე ადრე კრუხო დატრიალდა.

– ხალხო! იცით, რა გავიგე? მთავრობას გადაუნყვეტია მთელი ხელოსნები უნდა დაიჭიროს და ციმბირში უკრას თავი – კულაკები არიან და ტყუილად სჭამენ პურსაო. ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა, ასე ეთქვა იმ კაცს გარსუას დუქანში.

– მერე ხელოსნებმა მთავრობას რა დაუშავეს, კრუხო? რომელი ავაზაკები და ქურდები არიან, რომ ციმბირში უკრან თავი! ეჰ! ტყუილი იქნება.

– რაო, ტყუილიო? – ინყენდა კრუხო, – ჰოდა, თუ ტყუილია, ცოტახანიც დაიცადეთ და მაშინ გამოჩნდება, რაც არის ტყუილი.

– ნადი, შე ფეხებიდან გაცვეთილო! – დაჰკვივლებდა მიხაკა, – შენ თუ ტყუილი არა თქვი, განა ისე მოისვენებ! მამა გიცხონდა, ციმბირში! თორემ აქ სულ შაქარლამებსა შჭამ, აი! ეგ ქეციანი თავი სადაც უნდა გდებულა, არა მაშ! მთავრობა სულ მაგის ანგარიშშია, ჯაბახი კრუხო საით გადაასახლოს. შე სულელიო, შენა. სადაც უნდა ეგდოს შენისთანა მატყუარა და არამზადა! კულაკებო! კულაკი რასა ჰქვიან, რის კულაკი, რა კულაკი. ჩვენ ძველი ხელოსნები ვართ და სხვა არაფერი. ჩვენ კრინტსაც ვერავინ ვერ გაგვცემს.

კრუხო ამ დროს გამალებული საქმობდა. თავი ისე ეჭირა, ვითომც არაფერი ესმოდა.

– არა, დაიცათ! პირდაპირ კი არ გადავასახლებთო. ჰო, ეხლა არ მომაგონდა, ჯერ ეკლესიები უნდა დავანგრიოთო, რომ უფრო მეტად გაუნყრეთ ღმერთიო!

– რაო? ეკლესიებიო? მერე ეკლესიებს რაღას ერჩიან?

– მღვდლებიც კულაკები არიანო, ასე უთქვამთ. ვისაც გადავასახლებთ, ხომ გადავასახლებთ და, ვისაც არა, სულ შიმშილით ამოვწყვეტავთო.

– ვაჰ! ვაჰ! რა დროება დადგა. ტკენით ისმოდა აქეთ-იქიდან. ამგვარად, ყოველდღე სულ ერთსა და იმავეზე იყო მსჯელობა, თუ რას უპირებდა მთავრობა ძველ ხალხს.

ტყუილი და მართალი ძალიან ბევრი ითქვა. კარგა ხანი რომ გავიდა, თითქმის ყველას რომ გადაავინწყდა კიდეც ეს ამბავი, ისევ ის ახალგაზრდა კაცი გაჩნდა ბაზარში და ხალხს გამოუცხადა, ვის რამდენი შეხვდა გადასახადი. ხალხი უცბად დანყნარდა, რადგანაც ამაზე უარესს ელოდა.

აი, ამ დღიდან დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ბრძოლა უთანასწორო, მაგრამ ზედმეტად გამწვავებული. გადასახადის ამკრეფს „ოჰოჰოია“ დაარქვეს. სულ მალე ეს მეტსახელი უფრო გაფართოვდა, რასაკვირველია, დანაშაულის მიხედვით და „რჯულძალლი ოჰოჰოია“ დაარქვეს.

უნდა გენახათ, რა ჩურჩული და მითქმა-მოთქმა ატყდებოდა ხოლმე ბაზარში, როდესაც „რჯულძალლი ოჰოჰოია“ გაჩნდებოდა თავისი პორტფელით და გრძელი სიით. მაგრამ ყველაზე დაუძინებელი მტერი იყო მექუდე მიხაკა, რომელიც იმის ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებდა იმ დღიდან, რაც „რჯულძალლი ოჰოჰოია“ ასე ხშირი სტუმარი გახდა ამ პატარა და ვიწრო, ზედმეტად სასაცილო დარაბის, რომელშიაც მიხაკას სახელოსნო ჰქონდა გამართული.

გაჩნდებოდა თუ არა „რჯულძალლი ოჰოჰოია“ ბაზრის რიგებში და მექუდე მუხაკა ყურს მოჰკრავდა ამ ამბავს, მაშინ-ათვე უცნაურად დაიღრიჯებოდა, სისხლი მოანვეებოდა თავში, თვალები ბუდიდან გადმოეკიდებოდა, გული აუძგერდებოდა და ლანძღვა-გინებას ასტეხდა.

– ოი! მარლილი მომაცარე აი ამ მარცხენა ულვაშზე, თუ მე თავი არ გაცნობო. ოი, შე უკანა კბილებიდან დაქოქილო, ჭიპ-მოუჭრელო ლევანდო, ჩამჩაგალოკილო მუტრუკო.

ყოველგვარი ცდა მიხაკას დასაწყნარებლად ამას იყო იმ დრომდე, ვიდრე „რჯულძალლი ოჰოჰოია“ არ გაეცლებოდა შუაბაზრის რიგებს. ლანძღვას რომ მორჩებოდა მიხაკა, მეტისმეტად ნაწყენი გულით ამოიკვნესებდა: – „აფსუს, დრო!“ – და ახლა თათრულად ატეხავდა გინებას. ისეთი მიხვრა-მოხვრით

და სახის მოძრაობით ილანძღებოდა, რომ მომუშავე ხელოსნებში ჩუმი სიცილი იდგა მუდამ. მიხაკა თათრულად ისევ „რჯულძალლ ოჰოჰოიას“ ლანძღავდა. არცთუ სხვა ხელოსნებს ესიამოვნებოდათ „რჯულძალლი ოჰოჰოია“, მაგრამ მიხაკა სულ სხვა „პლატფორმაზე“ იდგა ამ ბრძოლაში. რადგანაც ის იყო უკანასკნელი წარმომადგენელი წარმავალი ძველი დროებისა, რომლის შესაცვლელადაც მოდიოდა ახალი დრო, ჯერ თუ მარტო „ნალოგებით“, შემდეგ კიდეც, ვინ იცის, რით?!

აი, ამას გრძნობდა ყველაზე უკეთ მიხაკა, ამიტომ იყო, რომ ასე თავგამოდებით ებლაუჭებოდა „ძველ დროებას“, „ძველ სინდისს“. იბრძოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

– კაცო, ეგ არაფერი. გადასახადია – გადავიხადოთ. მაგრამ საქმე მაგაში კი არ არის. აი, მასხარა კრუხო ტყუილს კი არ იძახის. ჩვენის ხელით დაგვანგრევენებენ ეკლესიებს. გაგვიუბედურებენ ქალებს, ოჯახს. შეგვირცხვენენ პურ-მარილს, ნათელ-მირონს, შეგვიგინებენ ჭალარას, თორემ ეგ გადასახადი – გადასახადია. გადასახადს – გადავიხდით. მთავრობას წინ ვინ დაუდგება. – „სულ ამაზე ლაპარაკობდა მიხაკა, სახლში, კარში, სახელოსნოში, სამიკიტნოში, ხალხში, ეკლესიაში, სტუმრად, ძმა-ბიჭებში. გინებაშიაც სულ ამაზე ილანძღებოდა.

ყოველ შუალამისას, როდესაც ღონივრად განათებულ ხარფუხის ქუჩებში გაივლიდა და დაინახავდა, თუ როგორ იყო განათებული ძველის-ძველი ოჯახები, მაშინ ატყდებოდა:

– აი, მამა გიცხონდათ, თქვენ მამაპაპას თუ აგეთი შუქი არ ჰქონდა, ვერ ცხოვრობდა ნამუსით, აი! გეერიეთ ბარაქაში?... კუჭი გიხმებათ შიმშილით, კუჭი. შუქი რად გინდათ? იმათი მამა ვაცხონე, ვინც თქვენ შიმშილითა გკლამთ. ახია თქვენზე!

მეტად მოკლე ტალღაზე გადაცემული მიხაკას ლანძღვა თითქმის ყველა ოჯახში ისმოდა. ოჯახებში კი იცინოდნენ. ვინ მიაქცევდა ყურადღებას გალოთებულ და გაბიაბრუებულ მიხაკას ლანძღვას.

ამის შემდეგ მეტად მაღლა თქმული ბაიათი არღვევდა მოქალაქეთა მყუდროებას. და ამ ბაიათს ფხიზელი მეეზოვეები სტვენით უპასუხებდნენ. სტვენას ისევ გინება მოსდევდა. ახლა მიხაკა მეეზოვეებს მიადგებოდა. სულ ძირფესვიანად უთხრიდა მამა-პაპის საფლავებს.

– დაუშტვენე?! ჰაიტ, შენი. შე ჯილაგძალო! საიდან სად მოთრეულხარ და აქ მიშტვენ. შენი რჯული და ღმერთი. თუ კარგი შტვენა იცოდი, დადგებოდი და იქ დაუშტვენდი! სუ თქვენ დაგრჩათ ქალაქი! აი თქვენი გადმომთესლებლის პირი შევარცხვინე!

მეეზოვეებს სიცილადა არა ჰყოფნიდათ მიხაკას გინება. მონებით ურჩევდნენ, სახლში წასულიყო და დაეძინა.

– რაო, დავიძინო? მე დავიძინო და თქვენ ფხიზლები იყოთ, არა? ისე არ დაიძინებს მიხაკა, რომ თქვენისთანა მამაძაღლებს კიდევ ცხვირი არ მონმინდოს, თქვე ჩემის მეთხუთმეტეებო! ჰააი, თქვენი პირფვარი შევარცხვინე, თქვენი პირის ზიარება!

ასე იყო მიხაკა ერთ ბრძოლაში თითქმის ყოველდამ. ასე ესმოდა ბრძოლა ახალ დროებასთან, რომელიც, ამის მიუხედავად, მაინც ძლევამოსილი წინ მიდიოდა. მიხაკა გინებით, აბა, რას გახდებოდა?... ერთ დღეს მიხაკა რომ მიადგა თავის დარაბას, საკმაოდ შეზარხოშებული დილის არყებით, დარაბა მაგრად დალუქული დახვდა მთავრობის ბეჭდით. მიხაკამ ბეჭედს შეხედა, თითქოს თვალებს არ დაუჯერა, რამდენჯერმე მოიფშვნიტა და ხელახლა შეხედა, რომ უკეთ დარწმუნებულიყო, ახლა ხელით ჩამოსწია და ბოლოს წვალეებით დაიჯერა, რომ დარაბა დაებეჭდა „რჯულძაღლ ოჰოჰოიას“.

– ხალხო, მიშველეთ! ეს რა მომხდარა! ხალხო, ეს რა ამბავია! ხედამთ დროების წახდენას! ხალხო, რა მიყვეს, ხალხო! ხალხო! – მწარედ აყვირდა მიხაკა. და ისეთი ლანძღვა-გინება ატეხა, რომ მთელი ხელოსნები იქ მოკრიფა.



ისეთი მითქმა-მოთქმა და მღელვარება გაჩნდა შუა ბაზარში, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ საერთო აღშფოთების და ხმაურობის მიზეზი ასე უბრალო იყო. ზედმეტად პატარა და სასაცილო დარაბის დალუქვა, რომლის პატრონმაც, მექუდე მიხაკამ, თავის დროზე არ გადაიხადა შენერილი გადასახადი.

ეს იყო და ეს. ამაზე მეტი არაფერი მომხდარიყო. ხმაური და აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ სრულიად არ შეეფერებოდა ამ პატარა, უბრალო ამბავს. ყველასათვის ამკარა იყო, რომ ამ სულ პატარა ამბის იქით იმალებოდა ძალიან დიდი ამბავი: რომ ასე მტკიცედ და გადამჭრელი ნაბიჯით მოდიოდა ახალი ცხოვრება. ასე დაუნდობლად ერეკებოდა ქუჩაში ძველი დროის ხალხს. აი, მხოლოდ ამას გრძნობდა ყველა ხელოსანი, ასე აღშფოთებული და ბრაზიანი რომ შეჰყურებდა მიხაკას დალუქულ დარაბას.

მიხაკამ ბევრი იხმაურა, ბევრი ილანძლა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა. რა ძალა ჰქონდა მიხაკას? თვალცრემლიანი და გულდათუთქული გამობრუნდა ქუჩის ბოლოდან, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი იმ ადგილს, სადაც ის ორმოცდათხუთმეტი წელიწადი დაუღალავად და პატიოსნად შრომობდა.

შუა ბაზარს რომ გასცდა, ერთი მწარედ დასძახა „ბუდუნია დაძემ გინვარ, ბემ გინ ლა ყარა ვარ“. სხვა დროსაც უმღერია მიხაკას ეს თათრული ბაიათი, მაგრამ ეხლა სულ სხვანაირი კილოთი და ხმით ამბობდა. იმ დღეს შუალამემდის სამიკიტნოში ლოთობდა. „დაკეტეს! აღარ არის, წადი, მიხაკა, ქვეყანა დიდია – ამ სიბერის დროს იხეტიალე, რამდენიც გინდა. მაშ ეს არის კანონი? სამოცდახუთმეტი წლის კაცი კარში გააგდო? ერთი ლუკმა პური პირიდან გამოაცალო! ჰაააიტი, არა! არა, მოკვდი მიხაკა, რაღა სიცოცხლე ამის შემდეგ! სირცხვილი, ოი, და, და, და, და!... სირცხვილი, სირცხვილი!

სხვა დროს სანოვავით გატენილი ხელსახოცი, ეხლა ცარიელი უბეში ედო და მუყაითად იწმენდავდა მოზრდილ ცრემლებს,

რომელიც თვალებიდან ბლომად სცვიოდა. სვამდა, ტიროდა, ილანძღებოდა, მღეროდა. კიდეც სვამდა, კიდეც ტიროდა, კიდეც მღეროდა.

იმ შუალამეს ხარფუხის ვინრო ხეივნებში ისევ ბაიათები ისმოდა. შიგადაშიგ კი ძალიან მალლა თქმული გინება. ეს მიხაკა იყო, რომელიც მაინც „რჯულძალდ ოპოპოიას“ ლანძღავდა. მაინც იმას თვლიდა თავისი უბედურების მიზეზად.

ისევ დრო-ჟამთა ვითარება აქრობდა ძველი ტფილისის ჩრდილებს. გარკვეულად ჩანდა, რომ მექუდე მიხაკას მსგავს ხალხს ტფილისი აღარასოდეს აღარ გაიმეორებდა.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის დიდ დარბაზში საზეიმო სხდომა იყო. ადგილობრივი მეურნეობის გამგე ვრცელ მოხსენებას აკეთებდა იმ აღმშენებლობაზე, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იყო ჩატარებული. ცნობას გოგირდის აბანოებამდე ტრამვაის გაყვანისას ხალხი ფეხზე ადგომით და ვაშას გუგუნით მიეგება; ცნობას ხარფუხის ქუჩების განათების, ხალხი ისევ ფეხზე ადგომით და ვაშას გუგუნით უპასუხებდა; ცნობას კერძო სექტორის შევიწროვების და წვრილი სარენაო ერთეულების მოსპობისას ხალხი ისევ ვაშას გუგუნით უპასუხებდა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით ბრწყინვალე მომავლისაკენ – სოციალიზმისკენ მოუწოდებდა თავმჯდომარე, რასაც ხალხი გახარებული სიმღერით და მტკიცე ფიცით უპასუხებდა. ყველა ერთხმად იზიარებდა აზრს, რომ ასე დიდი და ასე საჭირო აღმშენებლობა ტფილისში ჯერ არ ყოფილა. ფეხზე ადგომით და განსაკუთრებული მადლობით იხსენიებოდა საბჭოთა ხელისუფლების უზომო ღვაწლი.

მექუდე მიხაკა ამ დრო ჭუმპას სარდაფში იჯდა და თვრებოდა. მთელი სამოცდათხუთმეტი წლის ცხოვრება გაუთავებელ კინოფირად ბრუნავდა იმის გაცეცხლებულ თავში. დროგამოშვებით უჯავრდებოდა თავის თავს: „აფსუს, დრო!“

– კაცო, თავი ყველი სამი შაური იყო, შაქარი – თერთმეტი კაპეიკი, შამაია – რვა კაპეიკი, ცხრა კვერცხი – შაური, თავი თეთრი პური – სამი კაპეიკი, კვარტი ღვინო – სამი შაური... ის დრო არ ვარგოდა და ეს დრო ვარგა?... – ამის თქმაზე უცნაურად გაიღიმებდა და ღონივრად შეკრულ მუშტს ცარიელ ჰაერში ნაჰკრავდა.

– კაცო, მაშ ეს დრო სჯობიან ძველ დროს? ეხლა კვარტი ღვინო ექვსი აბაზია, ყველი – მანეთი, პური –ორი აბაზი, კვერცხი – თითო ორი შაური. მაგრამ ჯანდაბას! ჯანი გავარდეს. კაცო, ესეც რომ არ იშოვება? დამპალი – გადასაყრელი – ყველისთვის, აყროლებული ხორცისთვის, დამზრალი კარტოფილისთვის მთელი დღე უნდა იდგე რიგში, ეხ... ბრაზით გააკრაჭუნებდა კბილებს, გახურებულ შუბლზე გადაისვამდა ხელს, შემდეგ ზედიზედ გადაჰკრავდა.

თვრებოდა მიხაკა, მეტი რა გზა ჰქონდა. ასე დიდხანს ფიქრობდა, დიდხანს ებრძოდა თავის თავს და ვერ გაეგო, თუ რად სჯობდა ახალი დრო ძველს. და რომ სჯობდა ეს იქიდან ჩანდა, რომ ძველს აღარაფერს გასავალი აღარ ჰქონდა. აღარც სინდისი, აღარც პატიოსნება, აღარც პურმარილი. აღარც ძმობა, აღარც სიტყვის გატანა. სიტყვით ბრაკ! ახალი დრო ბრაკ! შეჰყვირებდა მიხაკა თავის თავს და ხელახლად გადაჰკრავდა. ახ! ახ! შენი ძვლები დამამტვრევინა, შენი უმი ხორცი მაჭამა და მერე, მერე ჯანდაბას! ოოხ! ოხ! ო!... შე გაქუცულო! შე გათახსირებულო. შე თითგაულოკავო ჩოჩორო. ვახ! ერთი გნახავდე სადმე, მაშინ იცის მიხაკამ, საიდან გადმოგაყრევინოს ფაშვები ჰა და... და... და... და! იმუქრებოდა მიხაკა, ილანძლებოდა, მაგრამ ეს მუქარა ლანძღვა იქვე, ვინრო ყელიან ქიქაში იხრჩობოდა. ქიქიდან გამშრალ და გაბრაზებულ ყელში გადადიოდა. დიდხანს ყლაპავდა მიხაკა ბრაზს, მუქარას და ღვინოს. დიდხანს ითვრებოდა ასე მწარედ და უიმედოდ.

ლონივრად დამთვრალი და გაბრაზებული თავი ამოჰქონდა სარდაფიდან და დგებოდა ქუჩაში, როგორც მთვრალი ჩრდილი, რომელიც შუქს უბნელებდა და აბრაზებდა ახალ მოქალაქეებს. ყოველდღე ჰქონდა მიხაკას გასაჭირი და ფიქრები. ამიტომ ყოველდღე ლოთობდა, ყოველდღე ბრაზობდა. ფურთხითა და ბრაზით ავსებდა ძველი ხარფუხის ქუჩებს, იმ ქუჩებს, სადაც ბავშვობა გაატარა. სადაც იგემა პირველად სიცოცხლე, სადაც სამოცდათხუთმეტი წელიწადი გაატარა შრომაში, ქეიფში და სიხარულში.

მაგრამ ეს! იმათ იდარდონ, ვინც ვერაფერი ნახა ამ ქვეყანაზე, თორემ მე ისიც ვნახე, ესეც ვნახე. იმასაც მოვესწარ და ამასაც. ბრალი იმათი, თორემ მე, როგორც იქნება, მივატან სამარემდე ამ თავს, – იტყოდა მიხაკა და ისევ თავისი, საყვარელი ბაიათების სიმღერით მისდევდა ხარფუხის ვიწრო ხეივანებს.

ვერც თავისი ოჯახის საქმე წაუვიდა მიხაკას კარგად. ჯერ იყო და ცოლი მოუკვდა, მერე სამი დავაჟაკებული შვილი ერთ წელიწადში დამარხა. ქალი გაათხოვა და დარჩა ერთი. სიხარულის მაგივრად მწარე ბოღმა ჰკლავდა, როცა დადგებოდა თავისი სახლის მოსახვევში. ამ დროს ბაიათი უცბად წყდებოდა და მოხუცებული გულიდან ამოგლეჯილი კვნესა ბზარავდა ჰაერს. ტიროდა. საკმაოდ ხმამაღალი ქვითინით შედიოდა გაოხრებულ და გაყინულ ოჯახში.

მაგრამ მარტო მიხაკა როდი იყო ამ მდგომარეობაში. სულ მალე სხვა ხელოსნებმაც ვერ გაუძლეს ახალ დროს. თითქმის ყველამ დაკეტა დარბაზები – სახელოსნოები. ზოგი მათგანი მოკვდა. ბებერმა გულებმა ვეღარ აიტანეს უსაქმოდ სიარული. ზოგი დაგლახავდა – თვალცრემლიანი ატუზული იდგა სიონის კარებში და ღვთის გულისთვის მოწყალებას თხოულობდა. ზოგმა სახლში გადაიტანა სახელოსნო და იქა საქმობდა. ამის შემდეგ ძალიან ხშირად შეხვდებოდით შუა ბაზარში ძველ ხელოსნებს, რომლებსაც თავიანთი ნამუშევარი ეჭირათ ხელში და ვაჭრობდნენ. თუ

ვინმე რამეს გაასაღებდა, იმ ღამეს იმის ხარჯზე ქეიფობდნენ ისევ იმ ჭუმპას სარდაფში.

თუ სარდაფიდან მეტად ძველი და გულსაკლავი სიმღერები ისმოდა, მაშინ ყველამ იცოდა, რომ ძველი ხელოსნები ქეიფობდნენ. ასე ნელნელა, მედგრად და დაუნდობლად ახევიებდა ახალი ცხოვრება ძველს სულ უკან-უკან. აშკარად ჩანდა, რომ შორს აღარ იყო ის დრო, როცა უკანასკნელად ჰკრავდა წიხლს, გადაჩეხავდა, ძირიან-ფესვიანად ამოგლეჯდა და დალუპავდა.

ერთი დღე მართლა არაჩვეულებრივი იყო. მიხაკამ რვა ქუდი გაყიდა თექვსმეტ მანეთად... ფული რომ მიიღო, ბევრი იფიქრა, რა ექნა, ბევრი ატრიალა ეს პრიალა და ჭუჭყიანი ქალაღები ხელში, შემდეგ ექვსიოდე ხელოსანი გაიყოლია თან და წავიდა საქეიფოდ.

– დრო? დრო რასა ჰქვია? აი, მე მექუდე მიხაკა დღეს ვქეიფობ სწორედ ისე, როგორც ამ სამოცი წლის წინათ ვქეიფობდი. დედალი იყოს, ვინც ამ ჰარამზადა, ჟოპე ხალხს ქედი მოუხაროს, ვინც იხტიბარი გაიტეხოს, ძმებოჯან, ვქეიფობთ!

მაგრამ საშინელი ტკენა და წუხილი იყო იმის კილოში. ცხადად ჩანდა, რომ გარუმებულები, მეტად მწარედ აქვითინდებოდა. მიხაკა ნელ-ნელა დაქვეითდა, გალოთდა. არცთუ წინათ უთქვამს ღვინოზე უარი, მაგრამ ეხლა სულ სხვანაირი ჟინით ლოთობდა. ლოთობაში ტირილი დასჩემდა. ნამდვილი ტირილი ათასი ცრემლით და ამაზე მეტი მწუხარებით, სახელიც გაუტყდა. თუ აქამდის ვერცერთი მეტსახელი ვერ უდგებოდა, ეხლა სულ უბრალოდ მიუდგა. იმის სახელს „მი“ გამოაკლეს და მარტო „ხაკი“ დაარქვეს. უნდა გენახათ, როგორი ქვითინით და წყენით მოისმინა სულ პირველად ეს საძაგელი სიტყვა. მაგრამ რაღას იზამდა. ძალიან ხშირად, როცა მთვრალი ამოივლიდა, ისევ იმ საყვარელ ხარფუხის ქუჩებზე და მაღალი ხმით მღეროდა. მაშინ მიხაკას უკან მოსდევდა მთელი ჯელგა პატარა ბიჭებისა „ხაკის“ ძახილით. „ხაკი“, „ხაკი“, „ხაკი“. მაშინ მიხაკა ატეხავდა

გინებას, დასდევდა ბიჭებს, ქვებს ესროდა და ასე იყო თითქმის ყოველდღე.

მასხარაობის, აბუჩად აგდების და გართობის საგნად გადაიქცა კაცი და სახელი. ძალიან ხშირად, ბოლმა რომ მოაწვებოდა, წამოდგებოდა ლოგინიდან, ფლოსტებში წადგამდა ფეხს... და მარტოდმარტო მიდიოდა ქუჩაში. ერთი სახლის კარებთან მივიდოდა, დაჯდებოდა ქვაზე და ბევრსა ტიროდა. აქ ცხოვრობდა მისი ერთადერთი ქალი. კარების დაკაკუნებას ვერა ბედავდა მიხაკა. სიძისა ეშინოდა. სიძე სახლში აღარ უშვებდა. ბევრი ტირილით რომ კარგად მოიჯერებდა გულს, მაშინ ბარბაცით და ფრატუნით უკანვე მიდიოდა თავის გაციებულ და კერაჩამქრალ სახლში, სადაც სიკვდილი მხნე გუშაგივით იდგა და იცინოდა. სულ ბოლოს, საქმე იქამდის მივიდა, ვისაც არ უნდა დაენახა, ყველა „ხაკის“ ეძახდა. აღარავინ აღარ ინდობდა ცხოვრებისაგან გაუბედურებულ, გალოთებულ და აბუჩად აგდებულ მოქალაქეს.

მაღე დაიგლიჯა, დაგლახაკდა, დაიმშა – მაგრამ მაინც არავის არ სთხოვდა მონყალებას. თვალის დასანახად ეჯავრებოდა ხალხი. მაინც შრომობდა, მაინც ერთ გაძალღებულ ლუკმა პურს როგორღაც შოულობდა.

ერთ სუსხიან ზამთრის დღეს, შიშით და კანკალით რომ ეკვროდნენ ღარიბ ოჯახებში ტიტველა ბავშვები, სახლში ბრუნდებოდა მიხაკა გაშიშვლებული და აკანკალებული. ცოფიანი ძაღლივით კბენდა სიცივე ბებერ ტყავს. ისე ჰქონდა დაბუხული ხელფეხი სიცივით, რომ სიცივეს ველარ გრძნობდა, სიმღერა უნდოდა, მაგრამ ველარ ახერხებდა. თავის სიძის სახლთან რომ გაიარა, ერთხელ კიდევ აქვითინდა. ახლა კი უკანასკნელად. თითქმის გრძნობდაკარგულმა შეალო თავის სახლის კარები და თან შეჰყვა მრისხანება და წყევლა წუთისოფლისა.

ტახტამდე ველარ მივიდა. იქვე კერასთან ღონივრად დაენარცხა მიწაზე. იმ ღამეს მომკვდარიყო. სიკვდილის წინ მაინც გულადმა შებრუნებულყო. ზომაზე მეტად გაჭყეტილი

თვალეებით ზეცისკენ აეხედა უკანასკნელად. ყველაფერი იყო ამ გაციებულ მზერაში: სიყვარულიც, სიხარულიც, ტანჯვაც, მწუხარებაც და უფრო კი სინანული სიბერით და უსამართლო ცხოვრებით დამარცხებული მოქალაქის.

მეორე დილას სამადლოდ დამარხეს მექუდე მიხაკა.

სამი კაცი და ერთი ძალი მისდევდა ერთ უბრალო, შეუღლებავ ფიცრის კუბოს, რომელიც დიდ დროგზე დაედგათ. ამ დღიდან აღარავის ბაიათი აღარ ისმოდა ხარფუხის ვიწრო ხეივანებში. აღარც გინება ისმოდა. აღარცერთი და აღარც მეორე აღარ იყო საჭირო. სამაგიეროდ, რადიოს შავი რკინის ყუთი დადგეს. ყოველ საღამოს ხარფუხის მოქალაქეები ყურს უგდებდნენ ოთხმოცდაათმეტრიან ტალღაზე გადმოცემულ წვალეებასა და სიხარულს.

ძველი ტფილისის მოქალაქეების სინდისს აღარავინ სდარაჯობდა. ეს სინდისი ეხლა აღარ იყო საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ამას გაჰკიოდა რკინის ყუთი დილიდან საღამომდე. ამის სანაცვლოდ, ახალ ცხოვრებას, ახალ წესრიგს და ახალ კანონებს ასწავლიდა ხარფუხის მოქალაქეებს, რომელთაც ეს სიტყვები ისე არ აკვირვებდათ, როგორც ამ პატარა რკინის ყუთის ლაპარაკის შნო...

საკვირველი და უცნაური არის სურათების დალაგება ძველ ალბომში, მაგრამ ამაზე საკვირველია უკანასკნელი ფურცლები. ძველი ალბომები ლამაზი ტურფების პორტრეტებით თავდება მუდამ.

ამაზე მეტად საკვირველია ძველი ტფილისის უკანასკნელი ჩრდილები. ის ჩრდილები პატარა საფლავის ქვებს სდარაჯობენ პეტრე-პავლეში.

ამა ლოდის ქვეშა ვმარხივარ. სინდისის ქვეშ გამიტარებია ჩემი სიცოცხლე. კარგი მისვამს, კარგი მიჭამია. ჰალალი გული მექონია ამ წუთისოფელში. მაგრამ მოვკვდი, აღარ დამინდო მუხთალმა წუთისოფელმა.

„ცხოვრების ტალღებს ვებრძოდი, მაგრამ ვერ გავხდი ვერასა,  
დღეს საფლავში ვარ მდებარე, ვახარებ ჭიაცელასა,  
თქვენი მექუდე მიხაკა ან გესალმებით ყველასა  
შენდობით მომიხსენიეთ, მკითხველნო, თქვენსა ლხენასა.“

კითხულობს ვინმე ამ საფლავის ქვებს კიდევ ახალ ტფილის-  
ში? ეუბნება ვინმე ძველ ხელოსნებს შენდობას? ვინ იცის... ვინ  
გაიგებს ახალი ადამიანის გულისთქმას...

17-XI-29წ.

ელ-მორო



## კეთროვანთა ზღაპრები

ქვაზე ნაქანდაკებ ასოებივით გამძლეა ფიქრები შორეულზე. გაქვავებული ოცნება ჭანდარის ფესვია, ღრმად ჩავარდნილი მიწაში. ტვინს მიღმა გაჩენილი ფიქრები სულ მუდამ უნაპიროა, როგორც პირველყოფილი სევდა.

სევდა, ლოცვებში დარწეული თუ აელვარებული.

თუ შორეულ ნაპირივით გაშლილი...

ძნელად სათქმელი სიტყვები ჯამბაზობენ ამ ქვეყნიდან იმ ნაპირამდე, იმ ნაპირიდან ზეცამდე თუ ღმერთამდე?

ალბათ, ზეცამდე.

ოცნება შორეულზე მოშავფრო ლომივით ნვება ქვიშაზე... ოცნება თუ მართალი ამბავი მიჰქრის საუკუნეებში ჩათხრილ სოროებისკენ... შორს, ძალიან შორს...

იქ, სადაც მწიფდებოდა ჰინანდარი, სადაც თლიდნენ სპილოს ძვალს ძვალზე მაგარი თითები.

იქ, სადაც ათიათასწლოვან ლიბანის კედროებზე დაყრდნობილი ლურჯი ცა მუდამ პატრონობდა ქვეყანას აუარებელი მზეებით.

იქ, სადაც ყოველ ქვაში ლექსია თუ ზღაპარი, ყოველ მთაზე თუ მთაში დევი ზის გაქვავებული.

სადაც თარსი და ჯადო მიწაზე სხედან დღეც და ღამეც, სადაც ზღაპარი დის ნელ მდინარეებად... ჩურჩულით.

ვინა თქვა სულ პირველად სიტყვა ჰერეთი, სახელი, როგორც სიტყვაში ჩავარდნილი მზე, მორკალული უთვალავ ფერებში...

ვინ იცის! ვინ გაიგებს!

ისევ ოცნება დაულალავად მიჰქრის საუკუნეებში ჩათხრილ სოროებისკენ, საშოდამწვარ გველივით ეტანება წარსულს, როგორც მოჩვენებას. მოჩვენებას თუ შორეული ნაპირივით დაკარგულ სინამდვილეს.

ჰერეთი – ფერი მზის. მინა – მწვანე და რუხი.

ჰერეთის გარშემო – სიცხე. სიცხეში ჩაძირული თაბუს უდაბნო ადუღებული ქვიშით. შუა უდაბნოში ჯადო აუზი გამოუმწვარი თიხის კედლებით.

აუზის გარშემო – კეთრმოდებული ხალხი, ათაშანგმოდებული ხალხი, კანგაფცქვნილი, ჩირქით სავსე მუცლებითა და ტვინით, დამპალი ღრძილებით. ავ ზნეში გაბრაზებული სხეულების გრეხა ირგვლივ.

მთელ ჰერეთიდან ამ აუზთან მოჰყავდათ ყველა მანკიერი. დამპალი პირიდან ლოცვა იღვრებოდა მონითალო თუ მომწვანო წყალში.

ამ ლოცვებით ამ წყალში გაბანილ ტანს – მზეზე ინვაზდნენ. ავადმყოფობას და კანს ერთად წვავდა ჰერეთის მზე.

ჩირქგამოცლილი სხეულები ხალისით იჭედებოდნენ. ახალი სისხლი და ახალი რწმენა ერთად ჩნდებოდა მოდუნებულ სხეულში. იკურნებოდა ხალხი და ბრუნდებოდა მადლიერი მზით და წყლით, აუზით – ჯადო აუზით.

ყოველ შუალამისას კეთრმოდებულ აუზში მთვარე ვარდებოდა, როგორც უკანასკნელი კეთროვანი.

ყვითელი მთვარის შუქი რომ დნებოდა ჩირქით დარგვალეზულ ტალღებზე, მაშინ აუზის ძირში ჩნდებოდა არაკი... არაკი, როგორც ნამდვილი ამბავი საუკუნეებში დაკარგულ შორეულზე.

ილაჯწამხდარი ხალხი, ლაჯებამწვარი კეთრით თუ ათაშანგით... თუ ორივეთი ერთად. მთვარესთან ერთად, აუზთან ერთად.

გამოუმწვარ თიხის ჩრდილში, ხერხემალმოგრეხილი მოთმინებით ყურს უგდებდა ამ არაკს.

ალბათ კეთრზე მწვავე იყო ავადმყოფ გულელებში ჩაძირული ოცნება. ტოკავდნენ, ინვოდნენ, იტანჯებოდნენ.

მაინც უსმენდნენ ამ არაკის დენას უნაპიროს. ამ ყოფაში ჩავარდნილი ღამე ნახევრად თეთრდებოდა, ტყდებოდა, ველარ ღამობდა.

## ზღაპარი პირველი

იყო და არა იყო რა.

იყო ჰერეთის ასული სურაია. ქალი – ჰინანდარის ღერო, რძიანი. წელი – ნორჩი კვიპაროზის, რხეული, გამოხედვა – ჩარუხი, გაღიმება ლოტოსის, სითეთრე და სიმკვრივე ნედლი, გაფცქვნილი ნიგვზის. ტუჩები მწიფე ლელვის სუნისა და ფერის, ტკბილი. ღვინონარევი მოქნილობა და თრთოლვა – გაფრენილი ისრის. ბოლოდამძიმებული რომ მიჰქრის, ალბათ, სინანულით.

ასეთი იყო სურაია – ასული ჰერეთის. ყველა ვარსკვლავზე შორს ციმციმებდა თურმე სურაიას ბედის ვარსკვლავი.

ამბობენ, სურაია რომ გაჩნდა ქვეყანაზე...

ჰერეთის სადარაჯოებზე – სულ მალლა, საიდანაც უხუცესი ვარსკვლავთმრიცხველნი დარაჯობდნენ ცის თალის თუ სამყაროს დენას უნაპიროს, არაჩვეულებრივი რამ სასწაული გაჩნდა.

კუდიანი ვარსკვლავი, რომელიც მრავალი საუკუნე ურყევად იდგა ცის თალზე – გატყდა, ბოლო დაემსხვრა... უთვალავ ვარსკვლავებად განიავდა მთელ სამყაროში.

თვითონ კი ზევით დაიძრა. გასცდა გზებს და განივებს, ამალღდა ცის თალზე – თითქმის ღმერთამდე...

გაჩერდა და დაიწყო ბრწყინვა შორეული.

ჯადოქრობითა და მისნობით სავსე ზმუკში ასე ეწერა: – ვარსკვლავთა შორის ყველაზე კუდიანი ვარსკვლავი რომ

გატყდება ცაზე, იმისი ათიათასი ჯადოთი სავსე კუდი რომ განიავედება მთელ ქვეყანაზე, მაშინ გამოუცნობ და საიდუმლო ქვეყანაში გაჩნდება ქალი უნახავი რამ მშვენიერების.

დიდმა და ძლევამოსილმა ქურუმთ-ქურუმმა ჰერეთისამ უნდა მოძებნოს ასული იგი იმ დღესვე და მოსპოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გადაშენდეს და გადაგვარდეს უძლეველი მოდგმა კასკებისა.

კეთრითა და ათაშანგით დამპალ კანში შხამივით ბრუნავდა ყოველი სიტყვა ამ საიდუმლო და საშიში არაკისა.

– ჯამაათნო, იმ დროს ჰერეთში ქურუმობდა უძლეველი რამისანდარი.

გმირი, ფეხდაფეხ ვეფხვების დამჭერი. ოცდაათი მშვილდის ამტანი, საკმევლის მურივით მკვრივი და დანწული კუნთები მაგარ სალტეებად გადაჭერილი ორმაგ ძვლებზე. მოქნილობა დედალი გველის, კლდეებში დაჭედილი რკინის გამძლეობა, მრისხანება მშიერი არწივების, რისხვა ოთხად შეკრული მეხის, მოზაასე გონიერი, განგებიანი, მაგრამ ვარსკვლავჩამქრალი, უშვილო.

რძითა და ჟინით სავსე დედაკაცები ჭკნებოდნენ დევგმირ რამისანდარის ქვეშ, როგორც ძირს მორდაცემული ლანძილის ღეროები.

მაგრამ მემკვიდრე ან რაიმე ნიშანი თესლის აღარ გამოჩნდა. ამოდ ითელებოდა ძალა დევური... და ზღვაზე ძლიერი ნებისყოფა.

რა უნდა ყოფილიყო ქვეყანა, სადაც ქურუმობდა ვარსკვლავჩამქრალი რამისანდარი!

რა უნდა ყოფილიყო მოდგმა გაბერნებული ქურუმისა...

გაჩნდა მკითხაობა გაგიჟებულთა, ავსულთა, სულძალთა... დამწვარი მგლის ბენვი, კურდღლის ჩლიქებში ჩანვეთებული შხამი, მაღალ მთებზე ჭერა ცალთვალა ხვლიკების, ცამეტფეხიან ჯოჯოებისა და რქიანი მორიელების ძებნა, სპილოს ბალნის

ხეხვა თხის ქონში, ადულებულ ქვიშაზე ნაპოვნი ძვლების ფშხვნა და ლესვა ჭოტის ნალველაში. ციყვის თვალეში ჩახედება და უკუდო მელიების დევნა... მაგრამ ამაოდ...

გაჩნდა მუქარა და ჯილდო. ყოველდღე იკითხებოდა სახელგანთქმული ზმუკი, ყოველდღე იფლობოდა კვიპაროსების ნაცარში არნივის კვერცხები, ყოველდღე იცვლებოდნენ დედაკაცები – მაგრამ ამაოდ.

ნელინადი ნელინადს მისდევდა ამ ჯადოქრობაში. ლოცვებში, გაჭირვებულ გრეხაში, მოთმინება ყველაზე ვინრო ადგილებში ჩაიჭედა კენესით. ვის გაუგონია სახელი იუდანდარის? სალ კლდეზე დანარცხებული სეტყვა. სიმაგრე და სიბრაზე მოლუნულ ისრის.

იქით იხედებოდნენ გაჭირვების დროს – ანთებული თვალეებით მთელ ჰერეთიდან. იქ იყო უჯარმა. უჯარმაში ცხოვრობდა სახელგანთქმული მისანი ქოქოლა.

ტანი – ფულურო მუხა, ხავსიანი, ცალთვალა გამოხედვა, გაუთავებელი ჩირქი ჩაშრეტილ თვალთავან. პირი – აყროლებული ორმო დამპალი ხვლიკებით, სიარული – მაკე, ფერი – ნახშირზე ნაყრილი ნაცარი, თმა – ჭუჭყიანი მანონი, წითლად მოსვრილი.

რალაც ლპებოდა და დნებოდა ქოქოლას შიგნით. დამხრჩვალა თუ დამპალი ხვლიკის სუნი ასდიოდა დამჭუნარ ტყავზე.

ქოქოლას მისნობა ელვასავით უვლიდა მთელ ჰერეთს.

## ზღაპარი მეორე

იყო და არა იყო რა, იყო ჰერეთში ხალხისშვილი – სახელგანთქმული გმირი ლადურ. ვინ შეეჯიბრებოდა ლადურს მთელ ჰერეთში?

ურთხმელას ფესვივით მოქნილი სხეული, მზით დამწვარი, სავსე სისხლით და ღონით, ყინით. შვინდისფერი კუნთები მუ-

დამ აწიოკებულო. ავარდნილი, კუთხიანი ტანი. გამოხედვა და ნახტომი ძუ ვეფხვის.

სხვაც ბევრი იყო ჰერეთში, მაგრამ ვინ შეეჯიბრებოდა ლადურს?

მთელი ჰერეთის უბრალო ხალხი ლადურის მზეს ფიცულობდა მუდამ. ამბობენ, უკანასკნელი დევი კიდეც ცოცხალი იყო მაშინ ჰერეთში.

სადაც ის ჩნდებოდა, შიშიც ჩნდებოდა.

ხალხი ველარ გადიოდა სანადიროდ. ტიტველა ქალები შიშით ეკვროდნენ კაცებს. მზე ჩავიდოდა თუ არა, ველარავინ ჩნდებოდა კარში. დევის ღრიალი და ბურტყუნი აყრუებდა ღამეებს. ჰერეთში ამოდ ცდილობდნენ დევის დაჭერას, ამოდ ცდილობდნენ დევის მოკვლას.

დევი ღამაზ ქალებს ეტანებოდა. ჯერ ჟინს იკლავდა თავისებურად დევურად. დიდხანს აწვალებდა. შემდეგ გაცეცხლებული და აქაფებული ლაჯებიდან პირთან მიჰქონდა და ჭამდა.

მთელ ღამეს ისმოდა წივილ-კივილი ვნებაში გადარეულ დევისა და ქალის. იმიტომ უფრო ეტანებოდა დევი ჰერეთს – ჰერეთის ქალწულნი განთქმულნი იყვნენ სიღამაზით მთელ ქვეყანაზე.

მაშინ ყვაოდა და მწიფდებოდა ჰერეთში მაიმახი, ქალი კანგაფცქვნილი კვიპაროსი, რძიანი ლოტოსის ნორჩი ღერო, რომელიც ათრობდა და აგიჟებდა ყველას.

დღესასწაული გამზევების. კანდამწვარი, წითური ბიჭები, ქარვის ზეთში გაფერილი ქალები, ჟინიანი ნატანება და წაწლობა, შიშველი სხეულების გახურებული გრეხა და დაზვერვა.

ლადურმა მაშინ მოჰკრა თვალი მაიმახს. იმ დღიდან ჩაეჭრა გულში მაიმახის სიყვარული.

იმ დღეს პირველი წაწლობა მაიმახთან. გადაჭდობილ სხეულთა გაგორება მწვანე მოლზე, მორკალვა და მოტრიალება, ლაჯებ ქვეშ გატარებული ზნექა, იღლიების ხახუნი ძუძუს

თავებზე, ძუძუების თამაში და რხევა. ისევ გორაობა. მწვანე ზოლები ოფლიან სხეულზე. მინის სუნი. აუზის სუნი და გაგიჟება. ნახევრად მოხუჭულ თვალებიდან ნერწყვის დენა. ფერადი რგოლები. უცნაური რეკვა ყურებში და ჟრიალი ყელამდის მომდგარი ჟინისა.

ამ დღიდან შეუყვარდა მაიმახი სახელგანთქმულ ლადურს.

დღე თენდებოდა და ღამდებოდა წვალეებით. ტოკავდა გმირი ლადურ. ჟინიანობდა, ჟრიალებდა, ველარ ისვენებდა.

მოქნილი მშვილდივით ეკიდა სულ მუდამ გასაფრენად.

ყოველი დღესასწაულის დროს წაწლობდა ისე, როგორც არავინ მთელ ჰერეთში. წაწლობდა მხოლოდ მაიმახთან. ვინ შეებრძოლებოდა დევგმირის სურვილს? მაიმახიც სხვანაირად წითლდებოდა ლადურის შიშველი სხეულის დანახვაზე, მთლად ცახცახებდა, ვიდრე არ გაინაბებოდა ღონიერ მკლავებში. ერთად რომ ხვდებოდნენ, არაჩვეულებრივი სიცხე და ჟინი სწავდა ორივეს სხეულებს.

მაღე საგრძნობი გახდა ყველასათვის იმათი სიყვარული. თერიაც ქალი იყო. მოღუნული სპილოს ეშვი. მკვრივი და მაგარი ხორცი, ჟინამდგარი, მოქნილი, თავმოყვარეობით და შურისძიებით სავსე ყელამდის.

თერიასაც უყვარდა ლადური. თერია ვის დაანებებდა საყვარელ წაწალს? მაიმახი და ლადურ მთელი საათობით რომ წაწლობდნენ, ორი შიშველი სხეულის ხახუნი სიცხეს რომ აყენებდა ირგვლივ... მაშინ თერიაც წაწლობდა. გაბრაზებული ეკვროდა შიშველ მამაკაცის სხეულს, სტანჯავდა, აწამებდა, ჰქანცავდა.

ორად მოღუნული, გადაღვენილი და გადაჯვარედინებული ზნექა, შიშველი სხეულის რკალი. ღონიერი კისრით ძრომა აქაფებულ იღლიის ქვეშ, ლაჯებში გაჩენილი ცეცხლი და წვა ოფლიანი სხეულის.

ხშირად, ჟინგადარეული, ლადურის მკლავებში რომ წარმოიდგენდა თავს, სხვანაირად ეკვროდა აქაფებულ სხეულს. ითრობოდა ჟინით, ვნებით, შურისძიებით.

თვალს რომ ახელდა და ხედავდა მაიმახს ლადურის მკლავებში... გიჟდებოდა, ცეცხლდებოდა, იგრიხებოდა, ეწვალებოდა. შურისძიების შხამით ევსებოდა მთელი სხეული.

ხშირად რამდენიმე კაცს იცვლიდა თერია ერთ დღეში.

## ზღაპარი მესამე

გავარდა ხმა თერიას გადარეული ნაწლობისა მთელ ჰერეთში. ქურუმთ-ქურუმის სასახლემდისაც მიაღწია ამ ამბავმა. მოდგმა და ადათი ნებას აძლევდა ქურუმს ეწაწლა ყველა ქალთან, ვინც განსაკუთრებულ ჟინს გამოიჩინდა ამ საქმეში.

ამას თვლიდნენ ნიჭად და წყალობად მაღალი გველიანდარისა და უძლეველი ფალოსის.

თერიას უეცარი გადარევის მიზეზი არავინ იცოდა. არც სასახლეში იცოდნენ, როდესაც იქ მივიდა ამბავი თერიას გადარეული ნაწლობისა.

სხვანაირად დაიგრიხა დიდი ქურუმის ღონიერი სხეული. გაჩნდა სხვანაირი ზმორება და მთქნარება. გაჩნდა ჟინი და სურვილი ეშვიანი.

მაშინ ბრძანა დიდმა რამისანდარმა მოეყვანათ თერია. ყველა ქალისთვის ეს იყო მაშინ დიდი წყალობა ჰერეთში.

ერთ ღამეს სასახლის დიდ დარბაზში, ნარინჯის აუზთან... ღვინონარევი ნუშის რძე. დუღილი და ქაფი. ფერადი ნაპერწკლები. ფერადი ჭრაქები ირგვლივ. ამ ჭრაქების ციმციმი მაღალ თალიან წყვდიადში.

აუზის პირზე – ნარინჯის კედლებით, გველივით განოლილი თერია მარტოდმარტო. კარგა ხანს ეკვროდა გაყინულ მოაჯირს გაცეცხლებულ სხეულით. ჟინსა და და ქავილს იგრილებდა ნარინჯის გაციებულ კედელზე.



ჟინიანი ზნეკა და გაზმორება შიშველი სხეულის. მოთმინება ეკარგებოდა. მოუთმენლად ელოდა დიდი ქურუმის შიშველ სხეულს, ღონიერს, გაცოფებულს, გაავებულს, მაგრამ უთესლოს.

გაგებული ჰქონდა თერიას გაჭირვება ქვეყნის. დაღევა და ჭკნობა წარჩინებულ ქალთა დიდი ქურუმის ქვეშ. ცუდი აზრები უტრიალებდა თავში.

თერიას უნდოდა დაეღუპა მაიმახი. ხელში ჩაეგდო ლადურ. აესრულებინა დიდი ხნის ნატვრა.

ეს აზრი და ჟინი, ავხორცობა და ცეცხლი ქალური ღონივრად გრეხავდა თერიას სხეულს იმ ღამეს იმ აუზთან წარინჯის კედლებით.

ჩუმიად გაიღო კარები. გამოვიდა რამისანდარ მარტო. მსუბუქი აბრეშუმი ოდნავ ჰფარავდა სხეულის სიშიშველს. სიჩუმე.

გველივით გაიზმორა თერია წარინჯზე, ასისინდა, ატოკდა, რბილად გაგორდა ხაოიან ხალიჩებზე ქურუმის ფეხებთან.

რამისანდარი დასწვდა გავარვარებულ სხეულს, ასნია და გადაეშვა შუა აუზში.

დიდხანს ყლაპეს ღვინონარევი ნუშის რძე. დიდხანს იზილეს გახურებული სხეულები.

ცოტაც და მაღალ ხაოიან ხალიჩებზე გახელდა წაწლობა. ისრიმის მტევანივით ინურებოდა თერია ღონიერ მკლავებში. ორად შეკრული სხეული ზნეკით ევლებოდა დაქანცულ მკლავებს. განზე განევა და ამონეულ მკერდებით დატაკება. ძუძუების მიშვერა და მიტანება, გაგორება და გაზმორება, ძრომა გაქაფულ ილღიების ქვეშ მაგარი კისრებით, სიცხე და თავბრუ. გაგიჟებული ეკვროდა თერია სველ სხეულს, თასმასავით იგრძობოდა. რა აღარ ჩაიდინა.

მთლად გადარია ქურუმი გაგიჟებულ ქალის ალერსმა. მაგრამ მეტის უფლებას ადათი როდი აძლევდა...

ჟინი ცეცხლივით ენთო ღონიერ სხეულში. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ დაიქანცა რამისანდარ...

გაყინულ ნარინჯის მოაჯირზე განვა ვეფხვივით.

მაშინ დრო იხელთა თერიაშ.

ჯერ არავისგან ნახმარი ხერხი იხმარა. ვნებაში დამხრჩვალ სხეულის გასაგოგებლად. მივარდა რამისანდარს და ზედ გაეკრო და ლოკვა უწყო იმის აქაფებულ სხეულს.

ხელახლად აიღენა დიდი ქურუმი, ველარ გაუძლო, წაეტანა თერიას, ადათის გატეხა მოინდომა.

მაშინ თერია სხვანაირი ალერსით გაუგორდა თავთან და შეჰბედა. „დიდო ქურუმო, დაგნებდები და, იცოდე, ამას ვერ-ავინ გაიგებს.

ჰერეთში ცხოვრობს მაიმახი, ქალი განთქმული სილამაზის, ჩემზე მეტი ჟინით და ვნებით. ქალი, რომელსაც ხალხი გიმალავს. გიმალავს იმიტომ, რომ ხალხის გმირს – ძღვევამოსილ ლადურს უყვარს ის ქალი და უპირებს ცოლად შერთვას.

დიდო ქურუმო, მოიყვანე ის ქალი და იყოლიე სასახლეში. დაგნვავს ჟინით და ცეცხლით.

თუ მომცემ პირობას, დაგნებდები და იცოდე, ამას ვერავინ გაიგებს“. თაფლის წვეთებად იძირებოდა თერიას ყოველი სიტყვა ქურუმის გაგიჟებულ სხეულში. დათანხმდა. ოღონდ თერია ეგემნა იმ ლამეს იმ აუზთან.

ხელახლად აიღენა ორივეს სხეული. ხელახლად დაიგრიხა თერია რამისანდარის ღონიერ მკლავებში.

ხელახლად გაილოკა ორივეს სხეული ღვინონარევ ნუშის რძეში. ქურუმი არა ჩქარობდა.

გაითელა ნებისყოფა. დაინვა შიშველი სხეულები აუტანელ გრეხაში. გაჩნდა გადარეული ბრძოლა დანებებისათვის.

თერია ქალი იყო. თქვა კი, მაგრამ ისე მალე მაინც ვერ დანებდა. გამწარებული ეტანებოდა ქურუმი გაგიჟებულ ქალს.

უკანასკნელი გაზმორებალა სცადა თერიაშ, მაგრამ გვიანდა იყო. სქელი და მძიმე, მეტად ტკბილი სითბო ჩავარდა ორივეს სხეულში და გაჟონა ტვინიდან ფეხებამდე.

ორჯერ-სამჯერ გაჟრჟოლდა ორი სხეული ამის შემდეგ. და მოეშვა, მონყდა ღონე მუხლებში და მკლავში.

თვლელმა რამ უტკბესი ეტანებოდა იმათ სხეულებს. ფიცი, ადათი და ქალი ერთად გატყდა იმ აუზთან ნარინჯის კედლებით.

შესცოდა დიდმა ქურუმმა იმ ღამეს. ეს შესცოდება იყო უჩვეულო სიტკბოსი და სუნის.

კარგად რომ გათენდა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ შეცდომას.

რამისანდარ კიდევ შესცოდებდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო განცდილ სიტკბოსი და გემოს დაბრუნება.

გულის სანადელის ასასრულებლად თუ შურისძიების მიზნით თერიამ ყველაფერი ჩაიდინა იმ ღამეს. ასე სცოდნია სიყვარულით გაგიჟებულ ქალს.

## ზღაპარი მეოთხე

დღეები გადიოდა შიშით და კანკალით. გავარდა დაუჯერებელი რამ ამბავი მთელ ჰერეთში. შეშფოთდა მთელი მოდგმა. ყველაზე ძალიან კი – გმირი ლადურ. ერთ დღეს ბრძანება იყო სასახლიდან მაიმახის მოყვანისა. არავინ არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს ბრძანება, თერიას გარდა.

შეირცა მთელი ქვეყანა. მიტანება სასახლის უბრალო სისხლზე ჯერ არავის გაეგო. ესეთი რამ ჯერ არ მომხდარიყო მთელ ჰერეთში.

მაგრამ რალა იქნებოდა, ქურუმი ბრძანებდა. ვინ გაბედავდა ამ ბრძანების ურჩობას.

შეიკრიბნენ რჩეულნი უბრალო ხალხის. დღე და ღამ გასტანა ბჭობამ. გადანყდა გაეგზავნათ სასახლეში მაიმახი.

სულ სხვანაირად ფიქრობდა სახელგანთქმული ლადურ. იმ ღამესვე გაქრა მაიმახი ჰერეთიდან. იმ ღამესვე გაქრა ლადურ.

სახელგანთქმულმა გმირმა გატეხა ბრძანება ქურუმის. იმ დღიდან ტყე-ტყე დაჰყავდა საყვარელი ქალი ლადურს და თავდადებით მალავდა.

კეთროვანო! ნახეთ თავდადება შეყვარებულის. ნახეთ გმირობა სიყვარულით გადარეული დევკაცის.

გავიდა დრო. გაჭირდა მაიმახის ტყეში შენახვა.

გაუმაძღარმა დევმა დასუნა მაიმახის ქაფქაფა ხორცი. დღე და ღამ ეტანებოდა ავხორცი დევი შეყვარებულთა ბუნაგს.

მაგრამ ამოდ. ლადურ კლდესავით იდგა დევის წინ და არ ანებებდა საყვარელ ქალს.

ბევრჯერ მოუხდათ შეტაკება, ბევრჯერ სცადეს ლახტისა თუ მშვილდის ძალა. მაგრამ ამოდ.

არ ნახდა ლადურ. არც თუ დევი ნახდა. წლები გადიოდა ამ უთანასწორო ბრძოლაში.

დევი მოთმინებას კარგავდა. ლადურ უფრო კაჟდებოდა სიყვარულში. ღონე ემატებოდა მუხლებში და მკლავში საყვარელი მაიმახის ცქერაში.

დიდხანს აღარ გაგრძელებულა დაზვერვა მუხლის და მკლავის. გადამწყვეტი დღეც დადგა.

დევმა მიაგნო მაიმახის ბუნაგს, რომელსაც მტკიცედ დარაჯობდა ლადურ.

დადგა დღე.

ბრძოლის სამზადისი დილიდანვე დაიწყო.

ლადურმა ქალი ყველაზე მაღალ ხეზე შესვა. თვითონ ქვეშ ჩასაფრდა. მკერდით გაეკრო საყვარელ მინას, გაქვავდა. დადგა წუთი. გამოჩნდა დევი და გამოჩნდა რისხვა.

მაიმახი შიშით ეკვროდა ხის ტოტებს. სამაგიეროდ გამაგრდა ლადურ, კლდედ ექცა მთელი სხეული.

გაჩნდა ლახტის მოქნევა და მინაზე დანარცხება. დარტყმა, გაგორება და კივილი.

ქარიშხლები ადგა ტყეში ამ ბრძოლის დროს.

დიდხანს იბრძოლეს. დევი იღლებოდა. ძალა ეცლებოდა მკლავში და მუხლში. ლადურ უფრო კაჟდებოდა.

ხეზე აყვანილი ქალი ღონეს მატებდა.

მშვილდს და ლახტს მალე ღონე გამოეღია. გაჩნდა ბრძოლა მკლავის და მუხლის. დევი და კაცი. საშინელი დაჭიდება. ლადურ დევის მკლავებში და კივილი მაიმახის. ღონიერი მუხლებით ტარება. მინაზე დანარცხება. დაჩოქება. ბუბუნია.

ხან დევი ქვეშ, ხან ლადურ. ღრიალი და ბდღვნა მიწის. ოფლში ცურაობა და გასხლტომა. გულების კარში გადმოკიდება. ქაქანი.

წვეტიანი ქვები. ყელში ჟრიალი და ცხელი სისხლის ნაკადულები. გაფლეთილი ხორცის წვა. უჯიშო ღრეჯა და კბენა საკუთარი ხორცის.

უკანასკნელი დარტყმა და უკანასკნელი დანარცხება დევის მიწაზე.

ამბობენ, დევის ღრიალის ხმა მთელ ჰერეთში ისმოდაო იმ დღეს. დევი ღრიალს რომ მორჩა, დუჟი და სისხლი მთლად რომ გამოეღია, ერთხელ კიდევ სცადა დევური ძალა. ერთხელ კიდევ გაიზმორა. მაგრამ ამოდ. უკანასკნელი დარტყმა და ადგილზე გაციება.

კეთროვანნო! ბრძანება იყო გასული მთელ ჰერეთში: ვინც მოჰკლავდა იმ დევს, ყოველგვარი დანაშაული უნდა პატიებოდა.

ამიტომ ლადურ იმ დღესვე დაიძრა ტყიდან – ქვეყნისკენ. გავარდა ამბავი დაუჯერებელი. მთელმა მოდგმამ გაიგო, რას ნიშნავდა დევის ღრიალი. სასახლემდისაც მივიდა ეს ცნობა.

ლადურს ეპატია დანაშაული.

უჩვეულო, ჯერ არავისგან ნახული სანახაობა.

სასახლის წინ უზარმაზარი დევის ფაშვი. განცვიფრება და სიხარული. ცნობისმოყვარეობის საღტეები ყურების ირგვლივ. ჰაერში დახლაკნული მოკლე სიტყვა – ლადურ. მეხი და ელვა. რისხვა გველიანდარის.

გათენება. ზღაპარი. მთვარე და ღამე ერთნაირად ქრებოდა ჯადო აუზთან. უჩვეულო, ნაზ, თუ საშიშ ხმებში დარწმუნული კეთროვანნი ნელ-ნელა იღვიძებდნენ. ნელ-ნელა იღვიძებდა წყალიც აუზში, მზეც.

მთელი დღე ბანაობდნენ და იკურნებოდნენ. წყლით და მზით. აუზით, ჯადო აუზით.

ნელ-ნელა ცვდებოდა კეთრი დამპალ სხეულებზე იმ აუზთან – ჯადო აუზთან.

როცა ღამდებოდა, როცა მთვარე და შუქი ხელახლად ჩნდებოდა დამრგვალებულ ტალღებზე, როცა ჩნდებოდა ჩრდილი გამოუმწვარ თიხის ძირას – იმ აუზთან...

მაშინ ჯადო აუზის ძირიდან ისმოდა ახალი ზღაპარი.

## ზღაპარი მეხუთე

იყო და არა იყო რა. იყო ჰერეთი და ამისი მსგავსი არა იყო რა მთელ ქვეყანაზე. უძველეს დროს, როცა ქვეყანაზე ცხოვრობდნენ დევები, კაცი ჯერ არ იყო.

უძლიერესი დევი იყო ჰერი.

ძალიან ბევრსა ფიქრობდა დევების მოდგმა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი ქვეყნის.

ამ ფიქრში ჭკნებოდა აზრი დევური.

თაობიდან თაობაზე გადადიოდა ეს ჩვეულება. ყველა დევს უნდა ეფიქრა ქვეყნის ბედზე.

ბევრი ფიქრით დევებს თავები ემატებოდათ.

ვერც ერთი დევი ვერ გრძნობდა ბევრი ფიქრის მავნებლობას.

იქამდის იფიქრეს დევებმა, ვიდრე ცხრა თავი არ გამოეხატათ. ტკენით მიხვდა ამაყი დევების მოდგმა, რომ ყოველი თავის გამობმაზე ძალა და ღონე აკლდებოდა კუნთებს და მუხლებს, რომ მთელი ღონე უნდებოდა ცხრა თავის თრევას, მაგრამ

გვიანდა იყო. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ცხრა თავით უნდა ევლოთ ამ ქვეყანაზე.

მაშინ გაჩნდა ქვეყანაზე ჰერი. ჭკვიანი და ღონიერი ყველაზე.

მეათე თავმა სცადა თურმე გამობოძა ჰერის, მაგრამ დევმა იმდენი ირბინა, რომ არ დანებდა.

ბევრს ეცადა მეათე თავი, მაგრამ ვერ გამოება ჰერის.

ამ სირბილში გამოჩნდა უდიდესი სასნაული. ერთ თავში უკეთესად და უბრალოდ ჩაეტია თავის გადარჩენის სურვილი.

თავის გადარჩენაზე ფიქრს ცხრა თავი აღარ სჭირდებოდა. უფიქროდ დარჩენილი თავები დასძვრა თურმე ჰერის ამ სირბილში.

ბევრი იფიქრა ჰერიმ და მიხვდა, რომ ერთი თავით სიარული ერთ აზრს ნიშნავდა. ეს აზრი კი იყო გადარჩენა დევების მოდგმის.

ერთმა თავმა – ერთი ფიქრი დაიტია. სამაგიეროდ ღონე მოემატა მკლავში და მუხლში.

პირველმა გაიგო გემო ცხოვრების – ქვეყნის მომავალზე რომ აღარ იფიქრა.

კეთროვანნო! ამან საქმეს ველარ უშველა.

მალე გაჩნდა ქვეყანაზე კაცი ერთი თავით. მაშინვე მიხვდა ძლევამოსილი ჰერი ერთთავიან მხეცის ძალას.

უცბად გაიგო, ერთთავიანი კაცი სულ მალე მოინელებდა ცხრათავა დევებს.

მაშინ შეკრიბა დევების მოდგმა და დაიძრა ქვეყნისაკენ. მაშინ გამოჩნდა თურმე საოცარი დენა დევური.

სახელისა და დიდების გადასარჩენად პირველად ჰერიმ მოიგონა ხეტიალი ამ ქვეყანაზე.

დევები რომ გაქრნენ იმ ადგილებში, მაშინ იწყო კაცმა გამრავლება.

კაცს ერთი თავი ჰქონდა, მაგრამ ერთი თავითაც უბრალოდ მიხვდა ცხრათავიანი დევების გაჭირვებას.

ორი თავიც კი რომ წარმოიდგინა, შიში გაუჩნდა სხეულში და როგორი იქნებოდა ცხრა თავის ტარება?

აი, სწორედ იმ დღიდან – იმ ქვეყანას დაერქვა ჰერეთი, რაც ნიშნავდა ცხრათავიან ჰერის გაჭირვებას ერთ განსაცდელში.

დევების გამოცდილებამ კარგად იმოქმედა ხალხზე. აღარავინ აღარ ნატრობდა ცხრა თავის სიბრძნეს.

ერთ თავს ენდობოდნენ ისე, როგორც არსად მთელ ქვეყანაზე.

კეთროვანნო! როცა გავარდა დაუჯერებელი რამ ამბავი დევის მოკვლისა, არავის არ სჯეროდა თურმე ეს.

ეს ცნობა სასახლეში რომ მივიდა, სიცილად არ ეყო ძლევამოსილ რამისანდარს.

როგორ დაიჯერებდა კაცისგან დევის მოკვლის ამბავს. არ დაიჯერა. არც ხალხს სჯეროდა.

მეორე დღეს გამოჩნდა ჰერეთში ლადურ. კაცი, – გმირი. მაგრამ გამტეხი ადათის.

შემოკრბა სასახლესთან მთელი მოდგმა.

გაჩნდა ბჭობა და პაექრობა უხუცესთა და ბრძენთა.

გადაწყდა გაეგზავნათ ხალხი მოკლული დევის ჩამოსათრევად.

იმ დღესვე შეიარაღებული ხალხი დაიძრა ტყისკენ.

სანახაობა – სასწაული. ძლევამოსილი ქურუმის სასახლე. სასახლის წინ გამხმარი ლეში. სიდიდე. ზიზლი.. ბრაზი. უზარმაზარი გამხმარი პირი. ირგვლივ – დაჭყეტილი თვალეები. თვალეებში – შიში და ცნობისმოყვარეობა. ირგვლივ გაქვავება. დახრილი თავები. დაჭიმული კისრები. ლეშის გარშემო სირბილი. მოკუზვა. მორკალვა. ქვეშ შეხედვა. უსულო მკლავის და მუხლის ტრიალი ჰაერში. ჩუმად ნათქვამი სიტყვა ლადურ და რისხვა.



## ზღაპარი მეექვსე

სწორედ ამ დროს უდანდარის სახელგანთქმულ მკითხავ ქოქოლასთან საშიში რამ სანახაობა ხდებოდა.

უშნოდ მოკუზულ სახლის დერეფანში ესვენა კეთრით შეპყრობილი მაიმახი და სდარაჯობდა მას მუდამ განუყრელი და ერთგული ლადურ.

იმ შიშზე და იმ წყენაზე მაიმახს კეთრი გაუჩნდა.

აი აქ, ამ დერეფანში, უდანდარის სახელგანთქმულ მკითხავს უნდა ეთქვა საშიში და საოცარი ბედისწერა.

ლადურ ცალ მუხლზე დავარდნილი, გამოუთქმელი ნაღველით გულში და თვალებში მოკრძალებით და სინანულით შეპყურებდა საყვარელ ქალს.

მიკარების უფლებას როდი აძლევდნენ.

სამი დღე და ღამე ესვენა მაიმახი იმ დერეფანში. ქოქოლა ხმას არ იღებდა.

ცხრა ჯამი სავსე მწვანე წყლით და ფერად კენჭებით გაუმწკრივა თავით.

დღეში ცხრაჯერ იხედებოდა შიგ. უცნაურად იღრიჯებოდა, იკრუნჩხებოდა, ღვენთს ლეჭავდა, თაფლს ლოკავდა მინით ივსებდა დამპალ პირს.

ვინ იცის, რას აღარ აკეთებდა საოცარი და საშიში მისნობის მოლოდინში.

ერთ ღამეს...

სველი ღრუბლებით გაჭედილი ცა. ოდნავი ნამი. მძიმე წყვდიადი. მწუხარება.

მოკუზულ სახლის უკან ჯადოქარ ქოქოლას ეტუტუნებოდა თერია, არ დაენდო მაიმახი. უსათუოდ გაეგზავნა კეთროვანთა აუზთან. ასე ცდილობდა საყვარელი ლადურის ხელში ჩაგდებას. ქრთამი.

ასი კონა აბრეშუმი, ოცდაათი ბასმის თხილი, ორი ქოთანი ნურაზის ზეთი. ცხრა მაღალხაოიანი აბრეშუმის ხალიჩა, სამი სპილოს ძვლის სამაჯური.

დაიდო პირობა. ითქვა ფიცი – დაჭინთვის.

თერია იმ ღამესვე გაქრა უდანდარის უჯარმაში. ღამეც დაიმსხვრა, წყვდიადიც, მწუხარებაც.

გათენდა. შუქი გავარდა ცას. ისევ ისევე ლპებოდა და იხრ-წნებოდა მაიმახის სხეული. სპილოს ძვალივით თეთრი და მაგარი.

კარგად გათენდა. ფერადი მტრედები აფრინდნენ ცაში. მზემ ცალი თვალთ შესცინა ქვეყანას.

ქოქოლამ უკანასკნელად ჩახედა ჯამებში მომწვანო წყალს, უკანასკნელად დაბრიცა უკბილო – უძვლო სხეული.

ავზნედაცემულივით შეჰკვივლა – გაჰკრა-გამოჰკრა ჯამებს ხელი. წყალი ზოგი თითონ დალია, ზოგი კეთროვანს მიასხ-მოასხა ირგვლივ. ფერადი კენჭები ჩაიყარა დაობებულ პირში.

ქაფი და დუჟი, შხამი, კრუნჩხვა და ღონივრად დანარცხება მიწაზე, გრეხა, წვალემა, ნივილი.

ქვები დაიყარა გულზე, თავზე ნაცარი.

და სთქვა საშინელი მკითხაობა. თერიასთან იმ ღამეს დადებული პირობის თანახმად.

„ლადურ, ლადურ გეშინოდეს, ძლევა მოსილ გველიანდარის.

დევი, რომელიც შენ მოჰკალ, შეწირული ყოფილა მაღალ განგების. გველიანდარი გსჯის, სახელგანთქმულო ლადურ!

წაიყვანე, წაიყვანე, დღესვე წაიყვანე მაიმახი ჯადო აუზთან. განსასვენებელი სალამურები დააკვრევიან გზაში.

მიიყვანე და შენის ხელით შესწირე მაღალ გველიანდარს, წინააღმდეგ – გადაშენდეს შენი მოდგმა.

მუდამ მტირალმა იაროს შენმა მემკვიდრემ მზიან ჰერეთში. წყენა და შიში, შიში და ბოროტება, გულის ყური და სმენა გულით, მწუხარება და, ლადურ, ცრემლები გმირის თვალეებზე.

უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც უნდა აესრულებინა.

მკითხაობა და გულის თქმა მაღალ განგების.

კეთროვანთა ურიცხვი ჯარი. უსაშინელესი ფოფხვით და კნავილით რომ შემოკრბა ახალი მსხვერპლის გარშემო.

ყელამდის გაჭედილმა მნუხარებით – ლადურმა ნელნელა უკან დაიხია.

სალამურები სდუმდნენ. სდუმდა თაშუს უდაბნოც. ამ უშნო და ულაზათო დუმილში უცნაურ ტირილად შემოესმოდა ლადურს კეთრით დამპალ ხალხის საოცარი კნავილი.

მთვარე რომ ნელ-ნელა მაღლა წავიდა, ნელ-ნელა რომ ეპარებოდა ცის კამარას, ლადურ ნელ-ნელა შორდებოდა კეთროვანთა ჯარს, სანატრელ მაიმახს და ჯადო აუზს.

იმ დღიდან შეუყვარდა ჯადო აუზი. იმ დღიდან მხოლოდ იმისგან ელოდა შველას.

კარგა მანძილს დაშორდა ლადურ ჯადო აუზს, მაგრამ ძალიან შორს ველარ წავიდა.

იმ დღიდან შორიახლოს – მშიერ ვეფხვივით დასტრიალებდა გარშემო იმ არემარეს.

იქ ეგულებოდა უსაყვარლესი ქალი – უსაშინელეს ტანჯვაში.

## ზღაპარი მეშვიდე

ელვანაკბენ მეხივით გავარდა ამბავი უძლიერეს გმირის გაჭირვებისა. შენუხდა მთელი ქვეყანა. სასახლიდან – უბრალო ქოხამდე, ყველა ნუხდა მაშინ ჰერეთში.

მუდამ მზით სავსე ჰერეთს ბინდი დაადგა. სიხარული გა-ნახევრდა ყველა ოჯახში.

დღესასწაულებზე აღარ ისმოდა ყიჟინა და ელვა დევური თუ დევზე ძლიერი მკერდის და მკლავების.

ჭიანაჭამ ისრიმივით დაჭკნა ყაყაჩო უმშვენიერეს ასულთა ლოყებზე. მომწვანო მნუხარებამ დანისლა ლამაზი სხეულები.

შეიქმნა ბჭობა და მისნობა, შეიქმნა მკითხაობა. დიდი გაჭირ-  
ვება ჩავარდა ხალხში, მაგრამ რას იზამდნენ? სად იყო ძალა,  
რომ ეხსნა ლადურ, რომ ეხსნა მთელი ქვეყანა.

დევის მომკვლელ გმირის ასე წახდენა სიყვარულში არავის  
უჯდებოდა ჭკუაში.

შენუხდა მთელი მოდგმა, რომელსაც სწამდა განგების.

ძლევამოსილი ზმუკის მისნობა ბრძნული და უნაპირო.

ამ ზმუკში კი ასე ეწერა:

უძველეს დროს ქვეყანაზე რომ ცხოვრობდნენ დევები, მაშინ  
ცხოვრობდა სახელგანთქმული დევი რამუზ. რამუზს უყვარდა  
ულამაზესი ჯულა. უსურდარინის სილამაზე. ველარ გაუძლო  
ამტანმა დევმა სიყვარულს.

კანი და ენა ერთად დაუსკდა სიცხით და ვნებით. აენვა  
ხორცი ლაჯებზე. აენტო ყინი და გავარდა ქვეყნად.

ცა ქუდად აღარ მიაჩნდა რამუზს, დედამინა – ქალამნად,  
თვითნებობდა, აღარაფერი სჯეროდა განგების.

მაშინ განრისხდა ძლევამოსილი გველიანდარი და უბრძანა:  
იცოდე, რამუზ, ქვეყანა უნაპიროა, წლები უნაპიროა, სიყვარ-  
ული უნაპიროა.

ქვეყანას წლები აბრუნებს, წლებს ქვეყანა, ორივეს კი –  
სიყვარული.

არ დაიჯერა ძლევამოსილმა დევმა.

დევეური თავი ვერ მიხვდა გველიანდრის სიბრძნეს.

მაშინ განრისხდა გველიანდარი და უბრძანა რამუზს, სირ-  
ბილით შემოეველო მთელი ქვეყანა.

რამუზს სიცილადაც კი არ ეყო ეს ბრძანება. გაიქცა –  
ძალიან გაიქცა.

უძლიერესი ქარიშხლები ადგნენ თურმე ქვეყანაზე იმ დროს.  
მარდად შემოირბინა მთელი ქვეყანა, მაგრამ ქვეყანა არ გათავდა.

გაუთავებელი და უნაპირო გამოდგა ქვეყანაც და სირბი-  
ლიც. რამდენჯერმე შემოირბინა დევმა ქვეყანა, მაგრამ ისევ  
იქ მიდიოდა საიდანაც ინწყებდა სირბილს.

მაშინ განცვიფრდა რამუზ, დაჯდა და იფიქრა. ბევრი იფიქრა. ბოლოს გაიგო, რომ ქვეყანას სირბილით ვერ შემოივლიდა.

გაიგო და ადვილად მიხვდა, რომ ქვეყანა, დრო და სიყვარული უნაპიროა.

შეყვარებულმა, რამდენიც არ უნდა ირბინოს, ვერასდროს ვერ უპოვის ნაპირს სიყვარულს.

ამაოა შეყვარებულთა სირბილი ისევე, როგორც ამაოა ქვეყანაზე სირბილი – რადგანაც ქვეყანა უნაპიროა. სიყვარული უნაპიროა.

ისევე, როგორც დრო, რომელიც აბრუნებს სიყვარულს ქვეყანაზე და ქვეყანას სიყვარულით.

ასე ენერა ჯადოქრობითა და მისნობით სახსე ზმუკში, ზმუკი კი, კეთროვანნო! – იყო წყალობა უზენაესი განგების.

ვის შეეძლო, არ დაეჯერებინა მისნობა ბრძნული და უნაპირო. სჯეროდათ. ყველას სჯეროდა მთელ ჰერეთში – მზე, ჩავარდნილი წიგნში სიბრძნით.

წიგნიდან ამოვარდნილი მისნობა, როგორც მზე და სიბრძნე.

## ზღაპარი მერვე

იმ დღიდან, რაც მაიმახი დარჩა ჯადო აუზთან, გაჩნდა შიში და მწუხარება.

კეთროვანთა ლაშქარი. ფართედ გახელილი თვალეხი. მოგრეხილი ცხვირების წინ გამოშვერა და ყნოსვა სინანულით. ჩირქი, ლორწო, მუნუკი.

მუნუკიანი სხეულის ლესვა გახურებულ მინაზე.

უმშვენიერესი ასულის წამება და მზერა მოწინებით.

აუზიც კი დუღდა, როცა მაიმახს უშვებდნენ წყალში. სხვანაირის სიყვარულით და მზრუნველობით ეკვროდნენ დარგვალე-ბული ტალღები კეთრომოდებულ გულმკერდს.

მზეც სხვანაირი ხალისით ჰკოცნიდა და სწავდა მაიმახის კანს. წყალი, მზე და აუზი ერთნაირად ცდილობდნენ. დრო გადიოდა. მუნუკიანი დღეები წვალეებით ეკვროდნენ ერთმანეთს.

წვალეობა – ტანჯვა.

კეთრი უფრო მატულობდა მაიმახის სხეულზე.

გაჭირვების და სინანულის უძირო ორმოები.

ჯადოთი და წყენით ავსება ყოველდღე. მაგრამ ამოდ. ქნობა და ლპობა სპილოს ძვალზე მკვრივი და მაგარი ხორცის. ნატვრა.

ერთხელ მაინც მიჰკვროდა ათასჯერ დამწვარი სხეულით ღონიერ გულ-მკერდს.

ერთხელ მაინც სტკენოდა ათასჯერ ნატკენი სხეული კოცნით. ამ უიმედო ნატვრაში ილეოდა დღეც და ღამეც. მაიმახის სიცოცხლეც, რომელიც მთლად მინელდა – ოდნავდა იწყო ციმციმი. კეთროვანო! ამ დროს ჯადო – აუზიდან ორასი ადლის სიშორეზე დაკბენილ ვეფხვივით ბრუნავდა ლადურ. ცამდის ატანილი მოთმინება და განკურნებულთა უკანა გზები, მზერა წვეტიანი. ათიათასჯერ დაეჭვება. მაინც მზერა. გაუთავებელი მობრუნება და მოგრეხა კისრის. იცდიდა ლადურ.

ამ ცქერაში და ლოდინში იწურებოდა ძალა დევური. იმედის და მოთმინების კლდეები.

დღისით...

როდესაც მზე სხვანაირი ბრაზით ეტანებოდა გახურებულ ქვიშას... მაშინ ლადურ მიწაზე დანარცხებულ... წვალეებით ეკვროდა ადუღებულ ქვიშას შიშველი სხეულით. ასე ინანილებდა ტანჯვას საყვარელი ქალის, როცა ღამდებოდა, როცა ჩნდებოდა მთვარის შუქი თაშუს უდაბნოს ზედაპირზე... მაშინ ცოფმოდებული ნადირივით უვლიდა გარშემო კეთროვანთა ბანაკს. ყარაულობდა და პატრონობდა საყვარელ მაიმახს, მთელ კეთროვანთა ლაშქარს იმ აუზთან – ჯადო აუზთან.

კეთროვანნო! ცვდებოდა ბევრის ამტანი ხედვა. ცვდებოდა და დნებოდა მოთმინება და იმედი იმ მზეზე, იმ თაშუს უდაბნოში, იმ ადულებულ ქვიშის პირზე. განკურნების უკანა გზებზე კი მაინც არავინ ჩანდა.

მთვარე და არაკი ერთად იღეოდა ჯადო აუზთან. კეთრომოდებულ სხეულებს სწავდა შიში და სინანული შეყვარებულის თუ უძღურის. ჩუმად კვნესოდნენ გამოუმწვარ თიხის ჩრდილში ყოველდამ მთვარის შუქზე. იმ აუზთან – ჯადო აუზთან.

მეორე დღეს გახურებული ჰერეთის მზე სწავდა და ფცქვნიდა კეთრომოდებულ სხეულებს სიხარულით, სიყვარულით თუ ორივეთი ერთად.

როცა ღამდებოდა, როცა ჰერეთის ცაზე ჩნდებოდა ირიბი მთვარე, შუქი და ჩრდილი იმ აუზთან...

გამოუმწვარ თიხის ჩრდილში ჩნდებოდა ისევ ზღაპარი.

## ზღაპარი მეცხრე

ჯამაათნო! მზე ველარ მზეობდა მაშინ ჰერეთში.

დიდი და პატარა ცდილობდა ეხსნა ლადურ, სიამაყე მთელი ქვეყნის. ალბათ, ლოცვები თუ იხსნიდნენ მაიმახს კეთრისგან.

ლოცულობდა მთელი მოდგმა, ლოცულობდა მზე – მთვარე, ლოცულობდა მთელი ქვეყანა.

თალხი გაჭირვება ორსული გველივით მაშინ დანვა ჰერეთში. მაგრამ სად იყო ძალა, რომ დაეკლა კეთრი მაიმახის სახეზე. იმედი შორს იყო გატყორცნილი, გაფრენილი ისარივით. შორეული ნაპირივით მოჩანდა განკურნება.

მისნობდნენ, ჯადოქრობდნენ, მკითხაობდნენ, ლოცულობდნენ, რომ ეხსნათ მაიმახი. ეხსნათ საყვარელი გმირი ლადურ.

ჯამაათნო! სწორედ ამ დროს იქ გახურებულ უდაბნოში ჯადო აუზის შორიახლოს ინვოდა ლადურ. მზით დამწვარ ქვიშას ეკვროდა შიშველი ტანით, ლოცულობდა, ითმენდა, ელოდა. დინჯად გაჰყურებდა განკურნების უკანა გზებს. ამაოდ. განკურნებულთა უკანა გზებზე არავინ ჩანდა.

ერთ დღეს, ყომრალი ცა ქვიშამდის რომ იყო დასული, დედამინიდან ამოშვერილი ხელები რომ იჭერდა მნუხარებას, გამხმარი ფოთლების სუნი რომ შხამავდა ყნოსვას... გადაწყვიტა დაბრუნებულიყო საყვარელ ჰერეთში... გმირული მოქმედებით აეძულებინა განგება საყვარელი მაიმახის განსაკურნებლად.

ასე ძლიერად სწამდათ მაშინ განგება მთელ ჰერეთში. გულის გახსნის თვე იყო მაშინ.

ჰერეთი. მწიფე ტანი. რძე და თაფლი, სიცხე და სიტკბო, გაბრუნება.

ვაჟები – გაფრენილი ისრები.

ქალები – როგორც შორს დასმული ნიშნები.

სიცხეში ჩავარდნილი ვნება, გრეხა, გადარევა.

წაწლობა ისე, როგორც არსად მთელ ქვეყანაზე. ამ თვეს მთვარე მარცხენა ყურით გამოჩნდა. ეს ნიშნავდა ამაყი მოდგმის გაჭირვებას.

არავინ არ იცოდა, რა მოხდებოდა.

უბედურება კი რომ მოხდებოდა, ეს ყველამ იცოდა. ასეთი იყო განგება. ამას ნიშნავდა მთვარის მარცხენა ყურით დაკიდება.

ჯამაათნო! ერთ დღეს გავარდა მეხივით მძიმე და საშინელი ამბავი... დევის მომკვლელ გმირის დაბრუნებისა ჰერეთში. სახელი ლადურ ყველაზე მოკლე ტალღაზე გადადიოდა და სინანულით ხვდებოდა ვნებაში ჩამდნარ გულებს.

სიხარულით იყო აყვანილი მთელი მოდგმა. – ერთ მთვარიან ღამეს. უდარუს მოედანზე იშვიათი რამ ამბავი ხდებოდა. ექვსასი ქალ-ვაჟი ურთხმელას ფესვებივით ჩაწნული მწვანე მოლზე



ეყარა. ვნებაში გაპრიალებული შიშველი სხეულები ელავდნენ მოყვითალო მთვარის შუქზე.

გოგირდის ნაპერწკლების ფერი და სუნი ათრობდა ჰაერს და სმენას. სიხარული. ვერცხლის სალტეები. შემორბენა და მოსალტვა სიცხეში გაზმორებული სხეულებისა. ნელი გუგუნი. ყელამდე მომდგარი ყინი და წვალება. მაგრამ ვინ გაბედავდა ადათის გატეხას.

სისხლი ცეცხლივით ტრიალებდა და აპრიალებდა სხეულებს შიგნიდან. ათი ადლის სიმაღლეზე იდგა შუქი და ვნება.

მთვარის მალა ანევა და გაცინება. ნიშნები. დღესასწაულის დანყება და გადარევა ვნებაში.

ლაჯებამწვარი კაცები – ლომები. შიშველი ქალების წატანება... და იყო სხეულის სხეულში ჩავარდნა, ჩაკონება. დანარცხება. ყიდაობა. გაგორება. სიპი კუნთების გრეხა და ხახუნი. ნერწყვის ხმამალა ყლაპვა ისეთი ხერხებით, რომ ისმოდა დაგეშილ ვეფხვების კვნესა ირგვლივ.

ლონივრად დაჭიდებული და ათასჯერ ჩახლართული სხეულები ღელავდნენ ამ უცნაურ ხმებზე.

შიშველი სხეულის ღობეები ირგვლივ.

ამ ღობეების დაშლა, დანვენა, ქანაობა, ტკბილი ნერწყვის დუღილი ჯირკვლებში. ჯირკვლების გაბერვა. ნერწყვის სხეულში ჩაქცევა, სხეულში კი – ვნებიანი ყრიალი.

ყრიალი თუ ყრუანტელი.

თვალებდათხრილ გველივით სრიალი თავიდან – ფეხებამდე. სიამოვნება. ლურჯი ეკლები გაპრიალებულ კანზე.

ამ ყოფაში იკეცებოდა ღამე, პატარავდებოდა. მთვარე მალა ინევდა – ბაცდებოდა, ეჭიდებოდა ყველაზე მაღალ განივებს, აჩქარებით გარბოდა.

მოკლდებოდა ღამე. სიამოვნება, სიტკბო და წაწლობა.

ჯამათონო! იმ ღამეს, ყველა რომ დაიქანცა, ყელგამოჭრილი ვნება რომ დავარდა მინაზე, თვლემა რომ ეპარებოდა მაგრად

ჩაკონებულ დაქანცულ სხეულებს... შეცრად სამოცი ლომის გრგვინვა მოედო უდარუს მოედანს. ვნებაში ჩამწვარმა გულებმა თვალები დახუჭეს შიშით.

სიამოვნების ლურჯი ეკლები გამწვანდა შიშველ სხეულებზე. შორეული ზარის რეკვა – ნივილი წყვილიადში. ვერავინ გაიგო, ვინ იყო. დევი აღარ იყო ცოცხალი და ვინ დაიგრიალებდა ამდენს? ამ დროს გაისმა ადამიანის საზარელი კივილი.

„ჰაუ.. უ.. უ! ჰერეთის ვეფხვებო! ცხრაჯერ ნაქცეული მუხის სინანული და შვიდჯერ გაბერნებულ ქალის სევდა გაშორით დიდმა და ძლევამოსილმა გველიანდარმა. ოთხმოცი ზემარბი გავატარე თაშუს უდაბნოში კეთროვანთა სახელგანთქმულ ჯადო-აუზთან.

ერთი ზემარბი უკუნეთ გადამექცა იმ სიცხეში. დამწვარი ვარ ცეცხლით და ქვიშით – სიყვარულით“.

ამ დროს ყველა მოკლე ტალღაზე აენთო მაგარი სიტყვა – ლადურ.

უმალ დაირღვა შიშველი სხეულის წნულები. ძილი და თვლენა. ყველაზე ვიწრო სოროებში გაძვრა კივილით.

ერთ წუთში წამოიშალა მოდგმა. და საყვარელ გმირის ირგვლივ მორკალა მოედანი ექვსჯერ.

ლადურ იდგა შუაში როგორც მეხგავლილი კვიპაროსი. აკივლდნენ ქალები. ვნება დადგა მოედანზე, როგორც ნადირი. აიშალნენ კუნთები. ავარდა ალი და დაიწყო ცეკვა.

ფარინე...

მთვარით განათებული სხეულები. ოდნავი ზნექა წელქვევით. გაშლილი მკლავების დახლართვა. დამძიმებული თავების ქანაობა წინ და უკან, თვლემით.

ხან ქალები გროვდებოდნენ ლადურის ირგვლივ.

კაცები ამ დროს ოთხ ფენად იწვნიებოდნენ. ხან კაცები გროვდებოდნენ ლადურის ირგვლივ.

ქალები კი ვნებით ეხუტებოდნენ ერთმანეთს, ტოკავდნენ, ირხეოდნენ.

ყველა ცდილობდა მიჰკარებოდა ტიტველა სხეულით გმირის დამწვარ კანს.

ეს იყო ყველაზე მაღალი საჩუქარი ამაყი მოდემის. ამ დროს სახსრების ტკაცუნს აყოლებდნენ შიშველ სხეულებს. მალე გათავდა მწუხარების ცეკვა – დაიწყო ცეკვა მოულოდნელი ამბის.

უეცრად რკალი გაირღვა.

გავარდა ლადურ ქვიშის სვეტივით ცხელი.

უკან გამიშვლებულ სხეულის ჯარი. თბილი ჰაერი. გულების ცემა და კუნთების ტკაცუნი, ნაფეხურები მწვანე მოლზე.

ამ ნაფეხურებში წვებოდა ჩრდილი ალერსით. ჩუმად გაირბინეს უდაბური მოედანი ბოლომდის.

შემობრუნება სხვანაირი მოხდა.

ნივილ-კივილით წინ გამორბოდნენ ქალები. კაცები უკან მოსდევდნენ. სიცხისა და ოფლის სუნმა ას ადღზე აიწია ამ დროს. აქეთ ნაპირში მამაკაცები დარჩნენ.

ახლა მარტო ქალები გაიქცნენ. ვინც ყველაზე ადრე მიირბენდა, ის იწანლებდა დევგმირთან.

გაჩნდა გაჭირვება. ცხელი კუნთების რხევა. წვა. ორმაგი ცეცხლი გარედან და შიგნიდან.

ვინ აჯობებდა თერიას გაგიჟებაში.

ათასჯერ განცდილი ვნება – სხვანაირად იგრიხებოდა იმის ცეცხლიან სხეულში, თერია ვის დაანებებდა ლადურს?

თითქმის შუა მოედანზე დატოვა ქალები.

იმის ორი ფერი ერთმანეთს ეჯიბრებოდა სირბილში. წინ გამწვარილი მკერდი და რძიანი ძუძუების ტოკვა.

წელქვევით გაკავება და ხახუნი რბილი კუნთების. გული ყელში ჰქონდა, რომ მიირბინა.

კივილი.

მიირბინა და მუხის ტოტებივით გაშლილ მკლავებზე ჩამოჰკიდა ათრთოლებული სხეული.

ლადურ შეკრთა. ძალიან კარგად იცოდა თერიას დანაშაული. მაგრამ ადათს როგორ გატეხდა, უნდა ეწანლა.

უკან გამობრუნებაც ისეთივე მოხდა.

ვინც ადრე მიიბრუნდა კაცებთან, იმას ამოირჩევდა, ვინც უნდოდა.

შიშველი ქალები უკან რომ გაქანდნენ, მაშინ გაჩნდა საოცარი ნაწლობა.

სიპ ქვასავით ეხეთქებოდა თერია ლადურის ტანს, რომელიც სპილოს ეშვივით დაშვებულიყო მინაზე.

გაგიჟდა ქალი. ოთხჯერ შემოატრიალა მოქნილი სხეული ლადურის ირგვლივ. ხან ილღიების ქვეშ ძვრებოდა, ხან მკერდზე ტრიალებდა, ეკვროდა, ეხახუნებოდა, ეწვალებოდა. რა ხერხს აღარ ხმარობდა, რომ უფრო მეტად გაელიზიანებინა და დაეტანჯა ყველაზე საყვარელი კაცი მთელ ჰერეთში.

დევეგმირი ლადურ ოდნავადაც კი არ ტოკავდა.

ჯადო აუზის ირგვლივ ბრუნავდა იმისი ფიქრი ძუ ვეფხვივით.

მაგარ ქვიშის მაგივრად ქალის რბილი სხეული რომ ხვდებოდა ტანზე, წუხდა. იმისი კანი ველარ არჩევდა სირბილეს – გახვევებულიყო. სიამოვნების გრძნობა გამქრალიყო გაქვავებულ სხეულში. ჟინის მაგივრად მწუხარება აღრჩობდა.

თერია მალე დაქანცა ვნებამ.

ყველაზე რბილი ადგილებით გაეკრა საყვარელ კაცს და გაყუჩდა. ამაზე დიდი სიამოვნება არ ენახა თერიას... მაშინაც კი როდესაც წუშის რძით და ღვინით სავსე აუზში ნაწლობდა ძღვევამოსილ რამისანდართან სასახლის დიდ დარბაზში. არც მაშინ, თეთრი ღვინით ვით რომ ჩაექცა სიამოვნება სხეულში იმ დღეს.

არც მაშინ, მაღალ ხაოიან ხალიჩებზე რომ გორავდა დამთვრალი ღვინით და ეშხით, როგორც შელოცვილი გველი.

მაგრამ ნანატრი წუთი ძალიან შორს იყო.

ვერავითარი ხერხებით ვერ გააღიზიანა ლადურ.

ვერც ძუძუების მიტანებით და მკერდის მკერდზე დანარცხებით, ვერც სიცხით, ვერც გრეხით.

ლადურის მთელი ფიქრი მიქცეული იყო ჯადო აუზისკენ. სადაც გამოუმწვარ თიხის ჩრდილში იტანჯებოდა მაიმახი.

თერია ქალი იყო.

მაშინვე მიხვდა, რატომ ვერ გატეხა ლადურ. რატომ ვერ გააზმორა იმისი სხეული ვნებაში.

უეცრად აიღენა, ათრთოლდა... გველივით დააფრინდა იმის მარცხენა ძუძუს, გულს ნაეტანა დასაკუნად.

მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს.

გადატეხილი ისარივით გაშორდა თერია მოედანს იმ ღამეს.

მალე მთვარეც გაქრა, იმ ღამის გაჭირვებაც, ნანლობაც. ლადურ შუა მოედანზე იჯდა... და უამბობდა ჰერეთის ხალხს თავის გაჭირვებას უდაბნოში.

ქალები იკუნტებოდნენ შიშით. ღონივრად ეკვროდნენ კაცებს. ცივი სისხლი ჩუმად მოძრაობდა კანქვეშ.

წვებოდა და დგებოდა ბენვი ყომრალ სხეულებზე.

სხეულები აღარ ლაპლაპებდნენ.

აკანკალდა ღამე, ხმაც, გულებიც.

... და იმ ღამეს უდარუს განთქმულ მოედანზე ისმოდა ჩუმი ქვითინი დევგმირის და ამაყი მოდგმის.

## ზღაპარი მეთე

მეორე დღეს თერია შხამმოღებული დაეძებდა ლადურს.

ქალი იყო და რა დააწყნარებდა. ქვასაც კი გახეთქავდა იმისი სიცხე.

იმედი ჰქონდა თერიას.

მაიმახის განუკურნავი კეთრი ყელამდის ავსებდა სიხარულით. სჯეროდა, ერთიც იქნება, გაისხლებოდა დევგმირ ლადურის მკლავებში. გაცოფებულმა შემოირბინა ორგორი, თაფი, მცხუ,

ტირი-გველო, ტირ-ფონო. შურისძიების ფრთები ეყარა ალენილ კანზე.

მზე რომ შუა ცაზე დადგა და ჩრდილი გაუქრა, იპოვნა ლადურ ქალაქგარეთ, ღმერთების ბუდეებთან.

გრილი კვიპაროსების ხეივანში, წყარო რომ ჟვანავდა გემრიელ ყინულივით, უზარმაზარ შავ მარმარილოს ქვაზე განოლილიყო და ეძინა. სპილოს ძვლისგან ნაქანდაკევი სხეული მარმარილოს შავ ფონზე, უჩრდილო მზეზე, უცნაურად ელავდა.

შურო-ქარვის სუნი და გემო წრედ ჰქონდა შემორტყმული ირგვლივ. კვიპაროსების დახრილ ტოტებშუა უცინოდა ჰერეთის ცა და მზე.

მზის შუქი აბრეშუმის ძაფივით იხლართებოდა ფოთლებშუა. თერია წყაროს რომ დასწვდა... სიცხისაგან დამწვარ ტუჩებით, ქარვის და ცოცხალი ხორცის სუნი იგრძნო.

დაგეშილ გველივით მიჰყვა ამ სუნს ათჯერ ალენილი და გახარებული. გახლართული ტოტები რომ გადასნია... დაინახა ლადურ...

შავ და სიბ მარმარილოს ქვაზე ეძინა.

იმის მრისხანე სხეული ღონივრად და მძიმედ დასწოლოდა მაგარ ქვას.

მზით დაქანცული კუნთები მოდუნებულიყვნენ, ქარვა სდიოდათ, ლაპლაპებდნენ.

გაოფლიანებული ხორცის სუნი აგიჟებდა ვნებას. შუა ცაზე გაჩერებული მზე ოქროს თასმებს ფერავდა იმის ყომრალ სხეულზე.

თერია მ ველარ მოითმინა.

ერთი ნახტომი და მარმარილოს ქვას ზედ მოექცა.

საზარელი ნივილი გაისმა ირგვლივ და იმის შიშველ სხეულს ზედ დააკვდა.

ლადურ შეკრთა, ზეზე წამოვარდა, მაგრამ ისევ დაეშვა. მკერდზე რომ იგრძნო შიშველი ქალი, მიხვდა, ვინც იქნებოდა.

ადათი რომ არ გაეტეხა, იმ ნუთშივე ძმობა უთხრა.

ძმობა მაშინ მაღლა იდგა ვნებაზე.

თერია შეერთა. ძმობა კი არა... ვნება უნდოდა, სისხლი, ჩაკონება, სიყვარული.

კუდზე დამდგარ გველივით დატრიალდა. ხელახლად სცადა ყველა ხერხები, ხელახლა გალოკა საყვარელი კაცის მაგარი სხეული.

მაგრამ ამაოდ.

მარმარილოზე ცივი და მიუკარებელი გამოდგა გმირის ნებისყოფა. ლადურს ძალიან მაღლა აწეული ოცნება სწორედ ამ დროს... ამ ვნებაში ცოცხლად წარმოიდგენდა მაიმახს თაშუს უდაბნოში, გამოუმწვარ თიხის ჩრდილში რომ ეკვროდა ჯადო აუზის დაჩირქებულ ტალღებს.

აშკარად ხედავდა, თუ როგორ ღრღნიდა კეთრი ფიქალ მკერდს. იმასაც ხედავდა, თუ როგორ სდიოდა ცრემლი ამ გაჭირვებაში. იმასაც, თუ როგორ ეხვეოდა ათასი ბილნი და მანკიერი ყველაზე საყვარელ ქალს. კეთრითა და შანგით დახრული ენით როგორ ულოკავდნენ სხეულს.

ეს იყო ოცნება.

სინამდვილე?

სინამდვილეში კი სხვა იყო. ყველაზე ვნებიანი ქალი შიშველი სხეულით ეკვროდა ღია მკერდზე.

საკმარისი იყო ნუთი, რომ ეგემნა სიტკბო, სიხარული. გაგიჟებული ვნება სარქველებს აბრუნებდა იმის შიგნით – თერიას მაგარი და ცხელი ხორცის მიკარებაზე.

დადგა ნუთი.

ლადურ მზად იყო თავი მიეცა ქალისთვის, გაინაბა, აკანკალდა. გაუსაძლისი ქავილი გაუჩნდა კანქვეშ.

და ის იყო მწიფე ვნება უნდა ჩაქცეოდა სხეულში, რომ... დაკბენილი ვეფხვის გრგვინვა გაისმა ღმერთების ბუდეებიდან.

გაბრაზებული მეხივით წამოვარდა. აიშალა და გაქანდა ქვიშით სავსე უდაბნოსკენ.

ელვასებრ გაქრა იმ სიცხეში.

თერია მთლად დაკრუნჩხული დიდხანს ეგდო გახურებულ მარმარილოს ქვაზე. დიდხანს კოცნიდა საყვარელი კაცის ნააღაგევს, იგრიხებოდა, იზმორებოდა, ცახცახებდა, შურისძიებით ივსებოდა. მაშინ თერია მზად იყო ყველასათვის მიეცა თავი. ოლონდ კაცი ყოფილიყო. ოლონდ დაენყნარებინა ქავილით გაგიჟებული სხეული.

მაგრამ ღმერთების ბუდეებთან მაშინ არავინ იყო ცხელი კვიპაროსების გარდა, ნაცარმოყრილ მიწის გარდა, შხამიანი შურისძიების გარდა, რომელიც ორივე სქესის საშინელებით ბრუნავდა იმის შიგნით, როგორც უძირო მორევი.

მზე რომ შუბის ტარზე დავიდა, მხოლოდ მაშინ დაბრუნდა თერია ღმერთების ბუდეებიდან.

## ზღაპარი მეთერთმეტე

სწორედ ამ დროს მთელი ჰერეთი და კასკების ამაყი მოდგმა გაუგონარ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი.

ძღვეამოსილ ქურუმთ-ქურუმს რამისანდარს მემკვიდრე არ უჩნდებოდა. ამაოდ ითვრებოდნენ ჰერეთის მშვენიერნი ასულნი ვნებით და სიცხით.

შემწვარი გველის ხორცი. მგლის ბენვის დანვა ჯუმათის სამსხვერპლოზე. ბერნი ქალების დადაღვა გახურებულ შანთით. ათასი ჯადო და ოცჯერ ამაზე მეტი თილისმა.

გაშრა ძუძუ ჰერეთის მიწის.

მისნობა, ჯადოქრობა, ქადაგად დაცემა, მკითხაობა.

ყოველი დღე – ახალი მუნუხი და მწუხარება.

ყველამ კარგად იცოდა ამაყი კასკების გაჭირვება.



ყველაზე კარგად კი – თერიამ. ათასი ფიქრი და ერთი გადანყვეტილება.

უჯარმის გზა, შამფურივით გადებული უდაბნოზე. ოთხი აქლემის ქარავანი. დარახტული და მძიმედ დატვირთული შურო-ქარვით, ყაჯით, ოქროს ზოდებით, ბასმით, ქირმანებით.

დიდძალი საჩუქარი მიჰქონდა თერიას უჯარმაში მთელ ჰერეთში სახელგანთქმულ მკითხავთან.

თერიამ კარგად იცოდა, ადრე თუ გვიან ქოქოლას უნდა ეთქვა უკანასკნელი მისნობა სასახლეში.

უმთვარო ღამე შავი ნადირით იწვა უდანდარში და მოძრაობას აძნელებდა. გახურებული ციდან ცეცხლი ცვიოდა უდაბნოში.

ლაჯებამწვარი აქლემები ოდნავი თავის ქნევით, გედებივით ყარყარა კისრებით, მძიმედ მიცურავდნენ გახურებულ ქვიშაზე.

სულ წინა აქლემზე ფარჩის და გერმის ბალიშებზე იჯდა თერია. გახურებულ ლაჯებით ეკვროდა აქლემის კუზს და ზედ ეხახუნებოდა. სიტკბო ჟონავდა იმის გახურებულ სხეულს. ნელი რწევა კი აჩენდა თვლემას და ზღაპრებს. ათას გეგმებს აწყობდა თერია საყვარელი ლადურის ხელში ჩასაგდებად. მძლავრად ენთო დაგუბებული შურისძიება ამ წყვილად ღამეს. დამტკნარ ვარდის მწუხარება ეფინებოდა მსხვილ თვალებზე – ფიქრით, რომ დევგმირი ლადურ, მხეცივით გაჭრილი უდაბნოში, ილეოდა კეთრით და შანგით დახრულ მაიმახზე.

შელახული თავმოყვარეობა ანთებულ ისრებს ისროდა ჩაბნელებულ სივრცეში ამ დროს.

მკაცრი იყო თერიას ოცნება – ამაზე მკაცრი კი დამარცხებული ქალის თავმოყვარეობა – რომელიც შხამით სავსე თასებს უმზადებდა ყველაზე საყვარელ კაცს მთელ ჰერეთში.

ჯამაათონ! უჯარმაში ამ დროს ზეიმი იყო. წარჩინებული დესპანები მოვარდნილიყვნენ ქურუმის სასახლიდან და ეთქვათ წინადადება ამაყი მოდგმის.

მთელი ჰერეთი უხმობდა ქოქოლას სასახლეში, რომ ეთქვა უკანასკნელი მისნობა მწუხარებაში ჩავარდნილ ქვეყნისთვის.

ეს რომ გაიგეს უჯარმაში, სიხარულმა მეცხრე ცაზე დაიწყო ნავარდი.

გახარებული ვეზირივით დაჰქროდა ზეიმი გვარიდან გვარში, კომლიდან კომლში.

უხაროდათ, რომ უჯარმიდან უნდა თქმულიყო სიტყვა, რომელიც იხსნიდა ქურუმს და დიდ მოდგმას.

სამასი აქლემის ტყავეებზე ნაწლობდა ყოველ ღამ დაგეშილი ხალხი.

აქლემის ტყავეებზე ნაწლობა ნიშნავდა უსაზღვრო სიხარულს და ამ სიხარულის ძალიან მაღალ პატივისცემას.

სიხარულს ისევე სცემდნენ თაყვანს უჯარმაში, როგორც ცას და მზეს, როგორც ჰერეთის მიწას.

ქოქოლას კარმიდამო სავსე იყო მოზეიმე ხალხით, თერია რომ მოადგა დატვირთული აქლემების ოდნავი რწევით, ვერავინ გაიგო, ვინ იყო და რა უნდოდა.

ქოქოლა მაშინვე მიხვდა, რას ნიშნავდა დატვირთული აქლემები. თერიასაც იცნობდა.

დაათავქვევებს ქანცმილეული აქლემები. ჩამოხსნეს ზორბა ბოხჩები.

მხლებლებს ცივი წყალი მიართვეს.

წყლის მირთმევა ჰერეთში ნიშნავდა ყველაზე დიდ პატივისცემას.

შეხვედრა.

ძალიან შორს და ღრმად ჩათხრილ გამოქვაბულში შეხვდა ქოქოლა თერიას.

ქოქოლამ გაიცინა.

დაობებულ და გამწვანებულ სახეზე პირი გახსნა. ერთი ბებერი, შავი კბილი ერჭო იმის აყროლებულ პირში, როგორც საშინელი სამანი. დამძალი მძორის სუნი ამოვარდა პირიდან, როგორც ცუდად მონელებული ლუკმა.

თხუთმეტჯერ დაკეცილი სახე ყოველ გაღიმებაზე კიდევ თხუთმეტჯერ ეკეცებოდა.

დამპალი და მძალე ლორწოს სუნი უდიოდა ბილნ სხეულზე. ჯიბეები სავესე ჰქონდა ფერადი კენჭებით და შხამიანი ბალახით.

კაბის კალთები გაპოხილი ჰქონდა გველის შხამით, რომელიც მწარე სუნს აყენებდა ირგვლივ. მძალე და გამოფიტული ტყავი თრიმლის ფერის დამხრჩვალ და დაწყვეტილ კატასავით ეკიდა დაბრეცილ ძვლებზე. ისე ჩანდა, რომ ძვლებს ამ ტყავის ტარება უჭირდათ. ზურგი მორკალული. კისერი განვრილებული და ნვეტიანი, გამხმარი. თვალები, ერთი ჩაშრეტილი და ჩირქიანი, მეორე გაჭყეტილი და მწვანე. წითელი ფრჩხილები და თმა.

თმა მეტი ჭუჭყისაგან მთლად დამპალიყო თავზე.

თერიას დანახვაზე ქოქოლა აცმუკდა, ატოკდა, აცახცახდა.

სამჯერ შემოირბინა თერიას ირგვლივ და ასე ასისინდა: „ვიცი, ვიცი! ბევრი ვიცი! შენი დარდიც ვიცი! გზებიც ვიცი! მაგრამ ბოხჩებში რა არის, ის კი არ ვიცი. არ ვიცი, არ ვიცი.“

თერიამ ჩათვალა ასოცი კაკალი ბასმა, შვიდი აბრეშუმის ხალიჩა, ორმოცი საშეიდიშო, ქირმანები უხვად, სამასი შულო ყაჭი, სამოცი ადლი ფარჩა, ორასი ზოდი ოქრო, ხონჩებით ხილი, თასებით სიტკობო.

გახარებული ქოქოლა ხელახლად აცეკვდა. მორკალული სხეული უცნაურად იბზარებოდა. ერთი ნახევარი მეორეში ვარდებოდა კანკალით. იკეცებოდა, პატარავდებოდა, წელამდის მიწაში ჯდებოდა, შემდეგ ისევ ვარდებოდა მიწიდან, როგორც პირმომტვრეული ქოთანნი. იმტვრეოდა, იგრიხებოდა, მიწას ლოკავდა.

თეთრი ენა და დორბლი.

ცახცახებდა. ისე ჩანდა, რომ ძალა აღარ ჰყოფნიდა გასაჩერებლად, დასაწყნარებლად.

ფრთებდამტვრეული არწივი და ჩავარდნა უძირო ხევში. ხივილი, ხიხინი, ხავილი. ორსული გველივით გაგორება და ხოხვა.

მორკალულ ლაჯებში – უკბილო თავი. ჩუმი სისინი. „მაიმახი უნდა დაილუპოს“.

„ეს გინდა თერია. აღარაფერი თქვა. დღესვე წადი უჯარმიდან.“

ქოქოლამ იცის, ყველა ქალის საიდუმლო. რამისანდარმა შესცოდა ძღვევამოსილ გველიანდარს ნუშის რძით და ღვინით სავსე აუზში ნარინჯის კედლებით. მაღალ ხაოიან ხალიჩებზე. ვნებამ აჯობა დიდ ქურუმს და იმან დალუპა მოდგმა.

დიდი გველიანდარი სჯის რამისანდარს.

საჩუქრებზე არაფერი თქვა, თორემ შენც დაგსჯის.

ქოქოლამ იცის, თუ ვინ იყო ის ქალი ქურუმს რომ გაატეხინა წანლობის წმინდა ადათი.

– თერია, დღესვე წადი უჯარმიდან და თვალყური ადევნე, რაც მოხდება!

ამის შემდეგ ორჯერ-სამჯერ გაიზმორა. გაიტკაცუნა ყველა სახსარი და არაჩვეულებრივ ღრმა ძილს მისცა თავი.

ჯამაათონო! ნაცემ და კანგამძვრალ გველივით გამოძვრა თერია იმ ორმოდან.

სიხარული და სინანული ერთმანეთში გათქვეფილი მომყოლო მწუხარებით ჰქონდა გამლილი მთელ სხეულში.

სიტყვა აღარ უთქვამს. იმ დღესვე დაიძრა უჯარმიდან ისევ იმ უდაბნოს გზებით, დაჯერებული ქოქოლას ავზნიან მისნობაში.

მესამე დღეს გავარდა დაუჯერებელი ამბავი – სახელგანთქმული ქოქოლა დაიძრა უჯარმიდან სასახლეში.

სამოცი დაჩარდახებული აქლემი ზღაზვნით გამწკრივდა ურარუს გახურებულ უდაბნოში.

უჯარმის დიდებულნი და წარჩინებულნი თან ახლდნენ ქოქოლას. უმთვარო უდაბნო. ქარავანი. წყვდიადი. უზარმაზარი გველეშაპი. ზნეჯა და ზღაზვნა. მოლები. ნაფეხურებში ორმაგი წყვდიადი.

მიიზღაზნებოდა ქარავანი და აჩენდა საშიშ ზღაპარს. ერთი რამ იყო მხოლოდ მართალი ამ ზღაპარში – თერიას შურისძიება,

რომელიც ქარავანთან ერთად შავი ნადირივით მიიზღაზნებოდა უჯარმიდან სასახლეში.

ამ დროს უძლეველი ქურუმთ-ქურუმის სასახლეში ფირუზის კენჭებით თვლიდნენ დღეებს.

## ზღაპარი მეთორმეტე

მარის ვარსკვლავის ქორწინების თვე იყო. ძღვევამოსილ რამისანდარის სასახლეში ვეფხვები დაებათ.

მაღალთალიანი კოშკებიდან მშვიდობის ნიშნებს აძლევდნენ სტუმრებს. კალთაჩამოშვებულები დადიოდნენ მისნები იმ დღეს.

ქვიშაში ჩავარდნილი მზითა ჰფარავდნენ ოქროს თასებს. თაფლნარევ ცივი წყლით ივსებოდა დავარაყებული სურები, რომლებზედაც გაფრენილი წეროები იყო გამოჭედილი დამლადაუსმელ ბრინჯაოსაგან.

ჰერეთის ასულთა ლამაზი წნულები უგალობდნენ მთვარიან ღამეებში მარისს დანინდვის ზღაპრებს.

ამ დროს ათასწლოვანი კვიპაროზები ორმაგ ჩრდილებს აყენებდნენ ქურუმის სასახლეს.

ჩრდილებშუა თეთრი მარმარილოს სვეტები ნაზობდნენ და რბილდებოდნენ.

მთელი ხეივანი დაფენილი იყო შუქის ყვავილებით, რომლის სურნელებაც, წმინდად ქსოვილ ნურაზის მსგავსად, ოდნავ ირწეოდა გამჭვირვალე ჰაერში და სინაზით ეფინებოდა სასახლის მიდამოს.

ამ ხეივნებში გამვლელი ბადახშის კვამლით ითრობოდა, იბნიდებოდა.

ყველა სტუმარს ეს სურნელება სასახლეში შეჰქონდა.

სასახლე: შავი მარმარილოს სვეტების ხეივანი.

ყოველ სვეტზე ნაზი ზეთი ენთო და ლაპლაპებდა. ათასჯერ გაფენილი ვარდის სუნი და სიტკბო.

უფრო შიგნით უზარმაზარი აუზი ბრინჯაოს კედლებით.

აუზს ირგვლივ მაღალხაოიანი აბრეშუმის ხალიჩები მოფენილი. ზედ სამოცი ტიტველი ბავშვი გორაობდა.

თაფლნარევი ირმის რძე ღელავდა აუზში, რომლის სუნიც აბრუებდა პატარა სხეულებს.

უფრო შიგნით სამოც სვეტზე დაყრდნობილ მინანქრიან თაღებქვეშ ეფინა დარბილებული აქლემის ტყავები.

ტყავებზე წანლობდა სამასი წყვილი ქალ-ვაჟი. ხორცისა და ოფლის სუნი მიძიმე კვამლივით ეჭიდებოდა მაღალ თაღებს.

მაღალი თაღებიდან ჩუმი გალობის შორეული ხმები მოისმოდა. თაღებ შუა დატანებულ თახჩებში, გველიანდარს შეწირული ცხრა ქალწული გალობდა.

ესენი განსაკუთრებულ დღეებში მოჰყავდათ სასახლეში ტაძრიდან. ამ დარბაზს შიგნით წითელ მარმარილოს სვეტების ხეივანს ქურუმის დარბაზამდის მიჰყავდა გზა.

სვეტებშუა ოქროს ჯაჭვებზე დაკიდებული ბრინჯაოს ნაქარაგმევი ხონჩები ეკიდა, ხონჩებზე აუარებელი ხილი და სიტკბო ელაგა. ხონჩების ორთავ კუთხივ ზეთები ენთო.

შავ მარმარილოს ბუხრებში ზეითუნის ტოტები იწვოდა, რომლის სუნიც აჯადოვებდა ამ დარბაზში შემსვლელის ყნოსვას.

აი, ასე დამტკბარი და სიხარულით გაჟღენთილი შედიოდა სტუმარი ძღვევამოსილ ქურუმთ-ქურუმთან.

ქურუმის სადარბაზო: ოთხ ოქროს ლომს ეჭირა გაუთლელი ლალის სამსხვერპლო... ზედ ფარვაზის ტოტები ენთო ჩაუქრობლივ.

თექვსმეტი თლილი ოქროს საფეხურების დაბლა იდგა დაბალი, ფართე ტახტი, დაფენილი ძვირფასი ქსოვილებით.

დაკოდილი და მოშინაურებული ვეფხვები იზმორებოდნენ ირგვლივ. ოქროს დიდ სინზე ფაზისტანის ძვირფასი თუთუნი ბრჩოლავდა.

ოთხად მოკეცილი გერმის ბალიშებზე, ავლანურ ფარჩის ქსოვილებში მხართეძობზე წამონოლილი რამისანდარ ელოდა მისნობას.

ყველა თაღქვეშ მწვანე საჭურისები იდგნენ და შიშით კანკალებდნენ. მძიმე ქვა ეკიდა ყველა მათგანს კისერზე.

სამსხვერპლოს უკან იწვა ორმოცამდის შიშველი მხევალი. ერთობოდნენ ფსტანუმის მტვრევით.

გაფცქვნილ გულებს სამსხვერპლოზე ხალავდნენ და ოქროს თასებით მიართმევდნენ რამისანდარს.

ამ დროს ოთხად მოკეცილი ვეზირი მოუთხრობდა ძლევა-მოსილ ქურუმს ზეცისა და ქვეყნის ამბებს.

მაღალ თაღებში დაყოლებულ ფანჯრებიდან იპარებოდა მზის შუქი, რომელიც ფერად ზოლებს აჩენდა იმ დარბაზში დაგუბებულ წყვდიადში.

სასახლის გალავანზე ატყდა უენო სალამურების განგაში. ამ განგაშს დამწყვდეულმა ლომებმა უპასუხეს საზარელი გრგვინ-ვით. დაიწყო დენა ამაყი მოდგმის სასახლესთან.

გაფრენილ მერნებზე მოვარდნილმა მხედრებმა თქვეს ქარ-ავნის მოახლოვება უჯარმიდან.

ერთ მშვილდის გასროლაზე იყო ქარავანი, რომ გაისმა სასახლეში ებნების წკრიალი.

გამახვილებულმა სმენამ კისრები ღონივრად დაჭიმა. დაჭიმულ ძარღვებში სისხლმა სხვანაირად დაიწყო ტრიალი.

აილენა მზით დამწვარი კანი ამაყი მოდგმის.

ამ ხმებზე სასახლესთან, მზემ რომ სულ მაღლა აიწია და ჩრდილები დაპატარავდნენ, გაისმა საოცარი ყიჟინა. ელვის ძაფებივით გასრიალდნენ ჭდედადებული ისრები მზით გაჟღენთილ ჰაერში.

ისე ჩანდა, რომ მიცვალებულებიც კი შეტოკდნენ მიწაში ამ ხმებზე, ამ სიხარულში.

ცნობისმოყვარეობა. მიმოხედვა ირგვლივ. მსხვილი თვალების ტრიალი. ჰაერის მტვრევა გულიდან ამოგდებული სიტყვებით.

უნაა! ჩლიქებნამძვრალი გაჭირვება.

ცნობისმოყვარეობა და სხეულები. სხეულების დაჭედვა. სიმსუბუქე და მალლა-მალლა აწევა. ღონიერი კუნთები და მოუსვენრობა. პირველი აქლემები.

ნესტოებიდან დამდნარი ტყვია – კანზე ცხელი ქაფი. ფეხები – შავი და დამწვარი.

აქლემებს ირგვლივ ქაფქაფა ცხენები... და ისარნაკბენ მხეცივით ქროლვა.

მეცხრე აქლემი. სხვანაირად დაჩარდახებული.

მგლის კუდიანი ტყავები ირგვლივ შემოფენილი.

ზედ აქლემზე – გაპოხილი აქლემის ტყავი. ყელთან ამოჭრილი სარკმელით.

ამ სარკმელში – ქოქოლას თავი.

ნაცარშეყრილ თვალების ტრიალი ირგვლივ. თვალიერება კენტი თვალით.

ქოქოლას უკან – შვიდი დედალი აქლემი, დატვირთული წვრილი წნელის ხურჯინებით. ხურჯინებში ათასი თილისმა.

სასახლის წინ გაშლილი მოედანი.

ამ მოედანზე წამოაჩოქეს აქლემები.

ჩამოხსნეს და ჩამოათავქვევეს ჩარდახები. წყალი მოართვეს. წყლის მორთმევა ყველაზე დიდ პატივისცემას ნიშნავდა ჰერეთში.

წყალი რომ დააღვინეს, ტანსაცმელები და სამკაული რომ დაბერტყეს, ყველამ ცალ მუხლზე დაიქვეითა და პატივი სცა სახელგანთქმულ მკითხავს.

ქოქოლა ამ დროს ოთხად იშლებოდა და იკეცებოდა, როგორც კარგად თქმული წყევლა.

სალამურების ხელახალმა განგაშმა ამცნო მოდგმას ქურუმის გამობრძანება.



ხელახლა აწრიალდნენ ლომები დასაგეშ ხმებზე.

ხელახლა დაითავქვევა მოდგმამ და თავყვანი სცა ძლევამოსილ გველიანდარს – ფალოსს და ჰერეთის მინას.

## ზღაპარი მეცამეტე

ერთი კვირა მარხულობა და ლოცვა. ლოცვაში ჯვარედინები. ორად მოკეცილ ენის ქვეშ გაჭყლეტილი სიტყვები. ჯამები. ჯამებში ღვენთი, თაფლი, მგლის ბენვი.

უხუცესთა ჯამათი და გაქვავება ირგვლივ.

სპეტაკი წვერებით დამხოზა მინაზე. ოთხად გაღებულ თვალები.

შიში სხეულის ყველა ბენვში.

შეშინებული კაცი და ოფლი.

დადგა განწირვის დღე. მოზღვავედა მთელი მოდგმა. გაჩნდა სულის განაზვა და ყურების ცქვეტა.

ცნობისმოყვარეობის რგოლები ყველას თვალებში. მინაზე დაცემა მუხლებით და წვერებით კოცნა მინის.

ზოგის წვერში მინის მარცვლები.

გამოიყვანეს რამისანდარი ფერმიხდილი, ჟინჩამქრალი. ბერნი სპილო.

ქალების კვნესა და ჩუმი კანკალი ირგვლივ.

ქოქოლა ისე გამოჩნდა ამ ხალხში, როგორც მატლი უდაბნოში.

ყველას თვალებიდან წვეტიანი მზერა.

ათი ათასი ეკალი ქოქოლას სხეულზე და კრუნჩხვა. გრეხვა-გაჭირვება. ბრაზი.

ცალი თვალის სირბილი უკუდო ხარივით. ცხვირში დაკივლებული სიტყვების საიდუმლო. უ – უ – ნა!

ქოქოლამ ღვენთი წაისვა ტყავზე. მგლის ბალანი გაფანტა  
მინაზე სამჯერ გაგორდა. უ – უ – ნა!

მოგრეხილი ფეხებით ცურაობა მინაზე, სიცილი გაბრაზებუ-  
ლი გველის. სიცილში კიდევ გაბრაზება მშვიერი ვეფხვის.

უ – უ – ნა!

ქოქოლამ ჯერ სამი გუნდა გააკეთა, სამჯერ შეხტა. სამიდან  
ისევ ერთი გააკეთა.

უ – უნა! გაბრაზება და კივილი. ქაფი. მიპარება ცეცხლის.  
ათასი დახუჭული თვალი და ერთი კვნესა.

ქოქოლამ გუნდა სტყორცნა რამისანდარს.

ამის შემდეგ სამად მოკეცილი ტანის შემოტარება წრის  
ირგვლივ. მინაზე დამხობილი თავების ფერადი ქვეები.

შიში. ელვა. სამკუთხედები წელზე და წელს ქვევით. მითქ-  
მა-მოთქმა, დახლართული აბრეშუმი. გაუთავებელი წენვა  
კვანძების. ცნობისმოყვარეობა და შიში. შეშინებული თვალების  
ტრიალი დაგრძელებულ ცხვირების ირგვლივ.

საკვერცხე ინდაურების პროფილები.

ამ დროს ქოქოლა მინაზე ეგდო და იგრინებოდა.

დაბრეცილი სახე. ლაყურების თამაში. მუნუკიანი ენის სიარუ-  
ლი შებრუნებულ ტურებქვეშ.

კივილი კუდმომძვრალ ხვლიკის. ცურაობა და განაბვა.  
შიგადაშიგ კრუნჩხვა.

შეხტომა და ბორგვა. ცალი თვალით ტირილი და სიცილი.  
მანჭვა. სიცხე და ცეცხლზე ტრიალი.

წვეტიანი ტალღების სიარული დაჭიმულ კისრებზე.

მთელი მოდგმა სულგანაბული იკაკვებოდა წელში. შიშვე-  
ლი სხეულების ერთმანეთზე მიკვრა და ხეხვა. შეშინებული  
და განცვიფრებული რამისანდარი მოჭრილ და ნაცარდაყრილ  
ხესავით იდგა.

გველიანდარი ბრძანებდა – დიდ ქურუმს ყური უნდა დაეგდო.

დიდი ქურუმი ბრძანებდა – მოდგმას უნდა დაეგდო ყური.

თავხედობას ვის აპატიებდა ჰერეთის ცა და მზე. ჰერეთის მიწა. ქოქოლა უეცრად მოეშვა, დაცხრა, სამჯერ გაგორდა მიწაზე სისინით.

იკივლა, სამ დღე და ღამეს წაეყვანათ ქურუმი ტაძარში გამოსაცდელად. თან უნდა ჰყოლოდა ყველაზე მარდი და გამძლე ქალი მთელ ჰერეთში.

ძღვევამოსილი გველიანდარი სცდიდა ადათის სიმტკიცეს – ასე ფიქრობდა ამაყი მოდგმა.

აი, ამ დროს გაჩნდა საოცარი დენა მოდგმისა ტაძრისაკენ. სულ წინ მიჰქონდათ დაკლული ვეფხვი.

უკან ცხრა შელოცვილი ქალწული გალობდა გასასვენებელს. შემდეგ ცხრა მწკრივად დალაგებული ქალები და თვრამეტ მწკრივად დალაგებული კაცები.

მთელი ჯარი ჯადოქრების, მისნების.

შემდეგ სახელგანთქმული მკითხავი ქოქოლა და შურო ქარვის ტახტრევანი, რომელშიაც ესვენა გაფითრებული და ოდნავ აკანკალებული რამისანდარი.

ტახტრევანს უკან – მთელი მოდგმა.

ტაძარში რომ შევიდნენ, დაკლული ვეფხვი დადეს სამსხვერპლოზე. ამ დროს ტაძრის მყუდროება და წყვილიანი განათება უცბად. ცხრა შეწირული ქალწული ანთებული ტოტებით იზნიქებოდა სამსხვერპლოს ირგვლივ.

მინაზებული, ყომრალი სხეულები ნაზად იზმორებოდნენ, ირწეოდნენ. გორაობდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ და ინვებოდნენ. შემდეგ წივილ-კივილით გარს უვლიდნენ სამსხვერპლოს – რამისანდარს.

... და იყო აღმური. ჩვენებათა ჯირითი. იმ დღეს იმ ტაძარში. ცეკვა რომ გათავდა, ქანცმილეული სხეულები ნაზად დაეშვნენ აბრეშუმის მაღალ ხაოიან ხალიჩებზე. გაზმორება. ორთქლი. ვნება. წვალება. შიში და კანკალი.

ქოქოლა ამ დროს მიწასა სჭამდა.

კარგად რომ დაეტენა დამპალი პირი, დანაოჭებული ყბები რომ განზე გაენია წვალეებით...

უეცრად საყლაპავში რალაც მოედო. ახავლდა, ასისინდა, ავარდა სამსხვერპლოზე. სამჯერ გააქანა დამჭკნარი მუცელი... და შეჭმული მინა მთლიანად აღებინა.

შემდეგ ქორივით გადააფრინდა შელოცვილ ქალწულებს თავზე, მივარდა ქურუმს და იკივლა:

– დიდო ქურუმო! მე მყავს შენთვის ქალი, რომელიც მოგცემს მემკვიდრეს!

დიდი მოდგმა ჰერეთის მიწის მთლიანად დაინვა!

ძღვევამოსილმა გველიანდარმა შეინირა თქვენი ვედრება!

– იდიდოს იმისი სახელი! იდიდოს! – ერთხმად შეჰკივლა ტაძარმა.

ქურუმთ-ქურუმი სამ დღეს აქ ინაწლებს ყველაზე მარდ ქალებთან. მეოთხე დღეს აღთქმული ქალი მზად უნდა ჰყავდეს.

ის ქალი ეხლა კეთრითაა დაავადებული.

სახელგანთქმულ ჯადო აუზთან იწვის მზით და ქვიშით, სიყვარულით. იმ ქალის სახელი მაიმახია.

– დიდო ქურუმო! დღესვე ბრძანე იმისი მოყვანა, რომ მეოთხე დღეს უკვე მზად იყოს მზით და სიცხით გაჭედილი საშო! ქალი კი, რომელიც ამ სამ დღეს მოამზადებს დიდ ქურუმს, აქვეა. იმისი სახელია თერია.

ამ სიტყვებზე ტაძარმა დაიკვნესა. ქოქოლა უგრძნობ მდგომარეობაში ჩავარდა. ანეული გამოიტანეს ტაძრიდან. უკან მოსდევდნენ გაჩუმებული მისნები, ჯადოქრები, დიდებულნი და მთელი მოდგმა.

შენირულმა მხევლებმა თერია შუა ტაძარში გაიყვანეს, მთლად გააშიშვლეს, ყელზე ხისგან გაკეთებული ფალოსი ჩამოჰკიდეს და დაუნყეს სამსხვერპლოს ირგვლივ ტარება.

თერიას სხეულზე თეთრი კანი კრთოდა და ღელავდა, თამთამებდა.

თვალეებში ჟინი ენთო და ბრწყინავდა, ელავდა. სპილოს ძვლის ნათალი მკერდი ეტენებოდა სიხარულით.

მზად იყო გაბედული ნახტომი.

ვნების მზეები ჩადიოდნენ და ამოდოდნენ თერიას შიგნით. პირი ცხელი ნერწყვით ეტენებოდა ყოველ შემოტარებაზე.

შემდეგ ნუშის რძით დაუზილეს გაცხელებული სხეული, სურნელება აკმიეს, დალოცეს და დატოვეს მარტო.

ჯამაათნო! მარტო რომ დატოვეს, უზარმაზარი ტაძრის ბრინჯაოს კარები რომ დახურა რისხვით, მაშინ იმ ტაძარში გაქრა ქურუმიც და ღმერთიც. ორი შიშველი სხეული კი არ წანლობდნენ, ვნებას იკმაყოფილებდნენ არაჩვეულებრივი ხერხებით.

დამნვარი ხაშხაშის სუნზე ხალისდებოდნენ ხელახლა, გორაობდნენ, ითვრებოდნენ, ნებივრობდნენ, იშლებოდნენ, გიჟდებოდნენ.

ათასი ტკენა და ათჯერ ამაზე მეტი სიხარული ტრიალებდა ცოფიანი ვეფხვივით.

როცა იქანცებოდნენ, როცა ოფლი და ვნება კარში ჟვანავდა იმათ გაცეცხლებულ სხეულებს.

გაოფლიანებულ ტანს იგრილებდნენ ცივი ღვინით, რომლითაც სავსე იყო სამსხვერპლოს ირგვლივ მინაში ჩათხრილი ქვევრები.

ეს ღვინო. ეს სიცხე. ეს მოქნილობა ვნებაში დამბლასა სცემდა რამისანდარს.

ამის შემდეგ ვერ წარმოედგინა უძლეველ ქურუმს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კეთრითა და შანგით დახრული სხეულის ალერსი.

მაგრამ რას იზამდა? ასე ბრძანებდა განგება. ასე ბრძანებდა დიდი გველიანდარი.

როცა ვნება ყურდებოდა, როცა ცხელი ქარიშხლები გამოორბოდნენ სხეულიდან... მაშინ აბრეშუმის რბილ ხალიჩებზე რამისანდარი ისევ ქურუმობდა.

თერია კი მოკეცილ მუხლებთან ჩაჭედული ჩუმად უამბობდა უცნაურ ზღაპარს.

სითბო, ქალი და ზღაპრები ხელახლად აჩენდნენ ვნებას რამისანდარის ღონიერ სხეულში.

სულ მალე ქურუმი ისევ ქრებოდა იმ ტაძარში. ქრებოდა მხევალიც და ორი გაგიჟებული სხეული ხელახლა ეტანებოდა ერთმანეთს არაჩვეულებრივი ხერხებით.

კი არა წანლობდნენ, ნამდვილად იკმაყოფილებდნენ ვნებას, ხელახლა ისვენებდნენ, გრილდებოდნენ, ჭამდნენ, ეძინათ. შიშით იკუნტებოდნენ ტაძრის მაღალი სვეტები. ისე ჩანდა, რომ ამდენ ცოდოს ისინი ველარ გაუძლებდნენ. მაგრამ გაგიჟებულმა ქალის ვნებამ იმ სამ დღეს აჯობა ღმერთებს – ტაძარი არ დანგრეულა.

სამაგიეროდ, დაინგრა რამისანდარის ღონიერი სხეული. ისე დაიქანცა, რომ ფეხზე დგომას ძლივსლა ახერხებდა ყველაზე ღონიერი კაცი მთელ ჰერეთში.

## ზღაპარი მეთოთხმეტე

ჯამაათნო! ტაძარში რომ ეს ამბავი ხდებოდა, მთელი მოდგმა სინანულით მარხულობდა სამ დღეს და მონინებით გაჰყურებდა დიდი ქურუმის დასჯის ადგილს. ვნება და სქესობრივი გაგიჟება აკრძალული იყო იმ სამ დღეს მთელ ჰერეთში.

მაშინ კოჟრის უბანში არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა – ღარიბი და დაბეჩავებული ხალხი ბჭობად იდგა.

ამ ხალხს უნდოდა გადაერჩინა საყვარელი გმირი ლადურ სირცხვილისაგან.

ამ ხალხს როდი სჯეროდა თერიასაგან მოსყიდულ ქოქოლას მკითხაობა. არც ის სჯეროდა, რომ სამ დღე-ღამეს ტაძარში დამწყვედული ქურუმი არა სცოდავდა განგებას.

ბევრი იმსჯელეს, ბევრჯერ ახალეს თავი საკუთარი ოფლით და შრომით გაპოხიერებულ ჰერეთის მიწას.

გადანყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეეცყობინებინათ საყვარელ გამირისათვის თავზე დატეხილი უბედურება მოსყიდული ქოქოლას მკითხაობით.

დრო აღარ იცდიდა. ტალიკი ბიჭები მზად იყვნენ თაშუს უდაბნოში გასაფრენად.

ხუთი ფრთიანი მერანი მიწას ბრდღვნიდა.

მალე დალოცეს მთხრობელები ოფლითა და მიწით, ეს იყო ყველაზე მაღალი დალოცვა უბრალო ხალხის.

მზე მეცხრე ცას რომ ეჭიდებოდა, შანთივით რომ ვარდებოდა მიწაზე, მაშინ სიცხით გაგიჟებული მერნები მიჰქროდნენ შუა უდაბნოში.

მერნებზე მიმწვარი მხედრები ილეოდნენ მოუთმენლობით, ცდილობდნენ, მალე ენახათ ლადურ, მალე ეთქვათ საბედისწერო ამბავი.

გახურებულ ქვიშით სავსე უდაბნო უცნაურად ღელავდა. უკანასკნელ განივთან ცაში ადიოდა, ცა უდაბნოში ვარდებოდა.

ქვიშის მორევები ტრიალებდნენ ირგვლივ. ამტვერებული ქვიშა და მზე. სიცხის ბული და კვამლი. შიგადაშიგ ნაბულრაგი გველების ფართე ნაკვალევები.

მერნები ფრთხებოდნენ.

მიჰქროდა მიზანი. მიზანს კვალდაკვალ მისდევდნენ მხედრებდაკრული მერნები, უკან მისდევდათ ლოცვა უბრალო ხალხის.

გაფრენილი ისრები წინ დამდგარ გველებს ეჭრებოდნენ კვილით.

დაცემულ გველებზე მერნები ყალყს გადადიოდნენ. ვეფხვებმა გზა მისცეს.

ძალიან შორს, ქვიშაზე განართხულები თვალყურს ადევნებდნენ გაფრენილი ქარავენის საშიშ მოძრაობას.

ვეფხვური მზერით დამფრთხალი მერნები უფრო ფრთხილად დასწრად დანსული კუნთები ამ შიშში ხელახლა ხალისდებოდნენ.

იმათი გაცეცხლებული თვალეები გახურებულ მზეზე მწვანედ ანათებდნენ.

დიდ დაღლას უმალ აქრობს კუდზე დამდგარი გველის ან ჩასაფრებული ვეფხვის დანახვა.

ცეცხლი არ ნელდება თვალეებში და კუნთებში, მოთმინება არ ელევა მხედრებს.

ილევა მხოლოდ სიცხე და უდაბნო.

ათას ცაზე სირბილით დაქანცული მზე ზვერავს უდაბნოში ჩასაქანებელ ადგილებს.

უდაბნო ტრიალებს მზის ირგვლივ, როგორც შელოცვილი.

მზეზე იკეცება გაცეცხლებული აფრები. ნითლდება, ეცინება, ენით ლოკავს უდაბნოს. შემდეგ ნელნელა ეშვება – როგორც დაღუპული იმედი გაბზარულ გულში. მზის ჩასვლა და წყვილის აფრენა ერთად ხდება.

მოლურჯო კუდიანები მოაქანებენ ღამეს უდაბნოში და უკანასკნელი გველის კივილზე დგება ღამე რისხვით. შიში და საშიში ათჯერ მრავლდება.

მზვერავი ვეფხვების თვალეები ანთებულ ცეცხლებად მოსჩანს ირგვლივ.

წყვილი კარგავს ცას და უდაბნოს.

ქრება ცაც და უდაბნოც.

მხედრები ეხლა წყვილიაში მიჰქრიან, რომელიც ისევე გაუთავებელია, როგორც შიში უმთვარო ღამის.

ოცნება უკვე მისულია და ისვენებს ჯადო აუზთან. მხედრები კი ისევე მიჰქრიან ღამით დაცარიელებულ უდაბნოში.

ანგარიში ქრება სიცხით გახურებულ თავებში. ვეფხვების თვალეები აღარ ანათებენ.

ეს პირველი ნიშანია მოახლოების.



ვეფხვებს არაფრისა არ ეშინიათ ისე, როგორც კეთრმოდებული ხალხის.

სულ მალე უდაბნოს წყვდიადს ბზარავს ხუთი კაცის კივილი:  
– ჰაუ! ლადურ!

წყვდიადი ყლაპავს ამ კივილს. მეორე კუთხიდან იმეორებს უდაბნო. პატარა მანძილის გაქროლება და...

უდაბნო იზარება ისევ იმ კივილით.

კივილი უკანვე ბრუნდება შეშინებული. დამფრთხალი მერნე-ბი უფრო ფრთხებიან ამ ორმაგ კივილზე.

უეცრად ორი ვეფხვის და ერთი კაცის საზარელი ღრიალი გაისმა.

მხედრები შეკრთნენ.

ორი გაქროლებაც და ნახეს ლადურ.

ლადურ ვეფხვებს ებრძოდა. იმისი ტანი წყვდიადზე შავად მოჩანდა. თვალები ცეცხლზე ძლიერად ანათებდნენ.

... დედალ-მამალი ვეფხვები გალადრულები რომ დაეცნენ ქვიშაზე, ხუთმა მხედარმა მიულოცა დევგმირს გამარჯვება.

ამ დროს დაიმსხვრა ლამე. ცისკრის ლურჯი ეშვები დაეკიდა ცას.

წყვდიადმა გათხელება იწყო.

კარგად რომ გათენდა, ერთმანეთის სახეები რომ გაარჩიეს და თვალებში ჩახედეს, მაშინ უთხრეს ლადურს მოსვლის ამბავი.

დასიცხული გველივით დაიხლაკნა ლადურ ამის გაგონებაზე. სათითაოდ გადაჰკოცნა მხედრები და არაადამიანურის კივილით გავარდა უდაბნოში.

ჯამაათნო! სასახლეში კი ამ დროს არაჩვეულებრივი სამზადისი იყო. ქარვის ტახტრევანს ამზადებდნენ კეთროვანი დედოფლის მოსაყვანად.

იმ დღეს სასახლის კარები არ დაკეტილა.

მისნები და წარჩინებულნი ოხრავდნენ, მოუსვენრობდნენ, ნუხდნენ და იზიარებდნენ დიდი ქურუმის გაჭირვებას.

მეორე დღეს ყველაფერი მზად იყო.

დარახტეს ფენმარდი მერნები, დააჩარდახეს აქლემები.

ოქროს სურებით მოიმარაგეს წყალი. დარაზმეს სასახლის მხეველები და შუადღის უკან გაუდგნენ გზას.

სალამურების ნელი წკრიალი და სტვენა აშინაურებდა გზაზე შეხვედრილ მხეცებს.

მხეცები განცვიფრებით განზე დგებოდნენ და გზას უთმობდნენ. არც ერთი თავდასხმა არ მოუხდენიათ ვეფხვებს.

ლოცვით და სიხარულით მიიწევდა ქარავანი წინ. მზეც და უდაბნოც ხელს უწყობდნენ ამ მოძრაობას.

მხოლოდ ძალიან შორს გამოჩენილი უდაბნოს ჩვენებანი ჰკუნტავდა შიშით დიდთვალა ცხენებს...

არაფერი არ ანცვიფრებდა მაშინ ქარავანს, როგორც ხუთი ცხენის კვალი, რომელიც ჯერ არ ნაშლილიყო უდაბნოში.

მაგრამ ვინ რას იფიქრებდა.

განა იყო ჰერეთში ისეთი ხალხი, რომელიც არ დაიჯერებდა მისნობას ცხელს და უნაპიროს?

ესეთი ხალხი რომ იყო, ეს მაშინ არავის ეგონა.

არც ის ეგონათ, რომ ძლევამოსილი ლადურ წინ დაუდგებოდა დიდი გველიანდარის ბრძანებას.

## ზღაპარი მეთხუთმეტე

დაჩარდახებული და დარახტული ქარავანი გზას რომ ედგა, მაშინ იქ, ჯადო აუზის შორიახლოს, გახურებულ ქვიშაზე ეგდო ლადურ. ფიქრობდა, რა ჩაედინა ისეთი, რომ თავიდან აეცილებინა განგების რისხვა.

ბევრი იფიქრა, ბევრჯერ ჩაყო გახურებული თავი ცხელ ქვიშაში, მაგრამ ამაოდ. ტვინი უდუღდა, ადუღებული ტვინი კი ვერავითარ დასკვნას ვერ აკეთებდა.

მთელი დღე გაატარა ამ წვალებაში.

როცა დაღამდა, როცა წყვილიადმა გასჭედა უდაბნო, ელ-ვანაკბენივით წამოიჭრა ფეხზე, ტვინი უეცრად გაუნათდა აზრით – შეჭრილიყო კეთროვანთა ბანაკში, ენახა მაიმახი, ეთქვა გასაჭირი, ეთქვა რჩევა. ამ აზრმა ყინულზე ცივი ჟრუანტელი გაუჩინა სხეულში.

აღარ უფიქრია, იმ ღამესვე დაადგა ჯადო აუზის გზებს.

შუაზე გატეხილი მთვარე დაჰყურებდა ჯადო აუზს.

კეთრში გაგიჟებული სხეულები დაბნედილები მზით და სიცხით ოდნავ თვლემდნენ, გამოუმწვარი თიხის ჩრდილებში.

ადამიანის კვნესა გაცოფებულ ღრენად შემოესმოდა დაქანცულ სმენას. ხმის ამოღება – დაფლეთას უდრიდა. ათიათას კეთროვანში მაიმახის პოვნა კი – სასწაულს.

ლადურ გაბედული და ფრთხილი ნაბიჯით გადადიოდა ავადმყოფ ხალხზე.

შეყვარებული გული თავისთავად ეძებდა მაიმახს. თვლები ისე ჰქონდა განათებული, რომ გარკვეულად ხედავდა დახრულ სახეებს. ღრმა ძილში ჩაძირული ხალხი გადაჭრილ ტყესავით ელაგა ქვიშაზე.

შიგადაშიგ საშიში ჩვენებებით დამფრთხალი კეთროვანი ვარდებოდა ზეზე კივილით.

ყველაფერი იყო ამ ძილში – მოსვენების გარდა.

მოსვენება დამფრთხალი ნადირივით გაურბოდა დაწყვეტილ ხალხს. ლადურ შელოცვილ ნადირივით წინ მიიწევდა.

მაიმახი ჯერ არსად ჩანდა.

ამ გაჭირვებაში მწუხარება დაადგა თავზე, როგორც მაკე ვეშაპი. როგორც იყო, მიაღწია გამოუმწვარ თიხის კედლებს.

ვეფხვის ნახტომი და ზედ მოექცა.

კედელს იქით ცხელი წყალი ღელავდა. ნახევარი მთვარე იჯდა შიგ და ირწეოდა.

დამწვარი გოგირდის სუნი სწვავდა თვალებს. მარდად შემოურბინა აუზს.

იქ, სადაც ავადმყოფი ხალხის საოცარი მორევი გაკეთებულყო, შედგა. სულ სხვანაირად კენესოდა ამ მორევში კანგაფცქვნილი ხალხი.

სმენა გაუმახვილდა. მხედველობაც.

გაქვავდა ერთ ადგილზე. ვეფხვების დამჭერი გმირი შიშმა აიტანა. ესეთი რამ სიზმარშიც კი არ ენახა.

სიზმრები კი ბევრი ენახა, საოცარი და საშიში.

ოთხი ჩრდილით რომ იდგა აუზის თავზე – ჩუმი ქვითინი მოესმა.

კიდევ, ჩუმად დაძახებული სიტყვა: „მიშველე, ლადურ!“

გალესილი ისარივით მოხვდა ყურში ეს დაკვნესება.

ლონიერი სხეული თავისთავად გადაფრინდა კედლიდან. ამ დროს ჩრდილივით წამოვიდა შიშველი ქალის სხეული.

მაიმახს აუზთან ყოფნის დროს დასჩემებოდა მთვარეული. ლადურს ეს არ ეგონა. ბუმბულივით აიტაცა საყვარელი ქალი და ისევ კედელს მოექცა.

სიხარული და ლელვა. ჩაგრეხა. ჩაკონება კეთრმოდებული სხეულის გულში. სიყვარული. მწუხარება. ჯვარედინები. გაქვავებული ენის გაცემა ადუღებულ პირში.

მაიმახს ამ დროს სიზმარში იყო.

დაქანცული სხეული. დარბილებულ აქლემების ტყავებზე გაზმორება. გრილი სასმელები. ლოდინი. ლოდინში გართობა ტკბილი ხილით.

ლადურ სანადიროდ იყო. მეტად გამრავლებულიყო მხეცები ჰერეთის გარშემო.

ჰერეთის ვეფხვებს ლადურ მეთაურობდა.

სამ დღე და ღამეს გასტანა ბრძოლამ. დახოცილი ნადირის მთები დადგა ჰერეთის ირგვლივ.

სამი დღის შემდეგ დაბრუნდა ლადურ.

მაიმახი მზად იყო შესახვედრად.

ძვალზე თეთრ და მაგარ სხეულს ივარჯიშებდა.

სულ მალე ლადურის ღონიერ მკლავებში გაიზმორა მთელი სხეულით.

ეს იყო არაჩვეულებრივი სიხარული იმ სიზმარში, იმ ღამეს. უეცრად შეკრთა და გამოელვია.

თვალეები რომ გაახილა დაინახა ლადურ. უფრო შეეშინდა. თვალეები ისევ დახუჭა. სიზმარში ეგონა თავი. აკანკალდა.

ხელახლა გაახილა თვალეები – ისევ ლადურ.

თვალეები ისევ დახუჭა. მთლად აცახცახებული უცდიდა, რა მოხდებოდა.

არაფერი არ მოხდა. კიდევ დაიცადა – არაფერი არ მოხდა.

მაშინ ერთი შეჰკვივლა და ჩაიშალა ლადურის ღონიერ მკლავებში.

მაშინ აეხსნა ენა დევგმირს.

და იმ ღამეს ის სიზმარი საოცარმა სინამდვილემ შეცვალა.

იქ, ჯადო აუზთან, გამოუმწვარ თიხის კედელზე. მოუთხრობდა ლადურ საშინელ ბედისწერას.

ისიც უამბო, თუ როგორ დაბრუნდა ჰერეთში. როგორ იწანლა თერიასთან უდარუს მოედანზე, როგორ ეტანებოდა გაგიჟებული თერია – ღმერთების ბუდეებთან.

როგორ გაიჭრა უდაბნოში – უდაბნოს საშიში თავგადასავალიც. შემდეგ როგორ მოიჭრა ხუთი მთხრობელი ჰერეთიდან – თავს უდაბნოში. როგორ უნდა წაეყვანათ სასახლეში მემკვიდრის შესაძენად.

მაიმახი მთლად ცახცახებდა ლადურის სიტყვებზე იმ აუზთან იმ შუალამეს.

საოცარმა გადაწყვეტილებამ გაუელვა მაიმახს თავში.

ეს გადაწყვეტილება ლადურმა უსიტყვოდ იგრძნო, ვნებაში ანთებული მაიმახის სხეული მტკიცე სალტედ რომ შემოერტყა ნელზე.

ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ლივლივებდა მთვარე აუზში. დიდხანს შეჰყურებდნენ ყვითელი ტალღების თამაშს მთვარის ირგვლივ.

... და იმ ღამეს, იმ აუზთან მაიმახმა პირველად თავი მისცა ლადურს. ყველაზე საყვარელ კაცს მთელ ჰერეთში.

რამისანდარი იქნებოდა მხოლოდ მეორე კაცი. ამაზე მეტი თავის დაცვა დიდი ქურუმისგან მაიმახს აღარ შეეძლო.

არცთუ ლადურ უპირებდა შებრძოლებას დიდი მოდგმის ქარავანს, რომელიც უკვე უახლოვდებოდა ჯადო აუზს.

ჯამაათნო! გათენებამ ნელნელა იწყო შემოპარება.

საოცარი იყო ორი გაგიჟებული სხეულის განშორება.

სამოც ნაბიჯზე სდია მაიმახმა საყვარელ კაცს.

ამ მანძილზე ყველა ნაფეხურებს ჰკოცნიდა.

უკანასკნელ ნაფეხურიან მინას ზედ დააფრინდა, დაბლოჯნა, მკერდში ჩაიყარა.

ლადურ ამ დროს ჩრდილივით მიცურავდა.

უენებლად და უგრძნობლად გადადიოდა მძინარე სხეულებზე.

კარგად რომ გათენდა, მაშინ დატოვა ჯადო აუზის მიდამო. კიდევ ბევრი იარა ნელში განყვეტილმა და უნებომ.

ძალიან შორს რომ გაინაპირა, იქ დაწვა გახურებულ ქვიშაზე. გახურებული უდაბნო ბრუნავდა ირგვლივ. სიცხიანი ცა სულ დაბლა დაწეულიყო – ოდნავ ეკარებოდა მინას.

მინისა და ცის შუა იდგა ნვალემა გაჭირვებულ სულდგმულის. იწვა ლადურ ქვიშაზე და ოცნებობდა.

ოცნებაში ნათლად წარმოიდგენდა დიდი ქურუმის უზარმაზარ სასახლეს, ოქროთი და ქარვით ნაჭედ აუზებს, აუზში ადუღებულ ჩქეფებს, რომლის სველი ოხშივარი აგრილებდა ყნოსვას.

აუგახსნილ მხევლებს და მინანაჭამ საჭურისებს, რომლებიც უთქმელად ასრულებდნენ დიდი ქურუმის ბრძანებას.

ამის შემდეგ გაშიშვლებულ და აბრეშუმის ხალიჩებზე გაგორებულ მაიმახს და ერთი წუთის წამებას.

ოცნებობდა და ბორგავდა დევგმირი ლადურ, მოუსვენრობდა, იგრიხებოდა, იზმორებოდა მთლად დამწვარი ქვიშით – სიყვარულით.

ჯამათნო! სულ მალე გაისმა სალამურების გალობა. მძიმედ დარახტული და გაოფლიანებული ქარავანი მოადგა ჯადო აუხს..

კეთროვანთა კივილი მეცხრე ცას ეჭიდებოდა – უცხო ხალხის დანახვაზე.

საპატიო მხედრებმა მორკალეს მიდამო, გაჩნდა საშინელი კნავილი, სხეულების გრეხა, სხეულის სხეულში ჩავარდნა – ჩანვნა. ისევ კნავილი.

მუდარა გამონვდილ მკლავების, კეთრით დახრული სახეები, დამბალი ხორცი, დაჩირქებული თვალეები.

ნვა შიგნიდან და გარედან, ისევ გრეხა, დაუზოგველი სირბილი და მიწაზე დანარცხება, აშლა, ავარდნა.

ისევ კივილი – ჩხავილი – კნავილი. სიცხე. შანგი. კეთრი. ყველაფერი ერთად – ნვალეა ცოცხალი ხალხის.

ალბათ, ბედისწერა, ალბათ, რისხვა ძღვევამოსილ გველიანდარის.

მრავალძარღვას ფოთლები ეფარა ყველა კეთროვანს.

ამ ფოთლებში იმზირებოდა ნყველა.

ვინ გაიგებდა ამ საიდუმლოს?

გაბრაზებული ჯალათივით ედგათ თავზე გაცეცხლებული მზე.

ამ ფოთლებით იფარავდნენ თავს სიცხისაგან.

ქარავანი ბანაკში.

ნინ მიდიოდნენ აქლემები. სიცხისაგან მოდუნებული ფეხები კანკალით ეკეცებოდათ თითქმის ყველა სახსარში.

უდაბნოს ცხელი ჰაერი ქშენით შეჰყავდათ დამწვარ ნესტოებში. ფილტვებიდან დუდილის ხმები ამოსდიოდათ.

სიცხისაგან დამბლადაცემული თვალეები ოდნავ ბჟუტავდნენ, უფრო კი თვლემდნენ.

ძილისა და სიფხიზლის შუა მანძილი აღარ იყო. ნახევარი სხეული რომ ფხიზლობდა, ნახევარი ძილში მიიზღაზნებოდა.

ცოცხლად გადაყლაპულ გველივით მოძრაობდა გაჭირვება იმათ უზარმაზარ სხეულებში.

ამ დროს ნაზი სალამურები ჩრდილში მოსასვენებელს უგალობდნენ დამშეულ და დასიცხულ ქვეყანას.

სალამურის ხმები ნერწყვს აჩენდნენ ქაფქაფა ენის ძირში.

ქარავანი მოადგა ჯადო აუზს.

უცნაური ჩრდილები გაკეთდა ირგვლივ, გაჩნდა გულმემზარავი ჩხავილი. ამ ჩხავილში ჩაქრა სალამურის ხმა.

კეთროვანთა ლაშქარმა გზა მისცა ქარავანს. ამ დროს ცა სულ დაბლა ჩამოწვა.

ათასი ლომის გრგვინვა რომ გაისმა ირგვლივ, მაშინ ყველამ გაიგო მაიმახის წაყვანის ამბავი.

შუაზე განყვეტილი გველებივით ატოკდა კეთრომოდებული ხალხი. უფრო გამწარებულები ხორცებს იკბენდნენ, გიჟდებოდნენ, ცოფდებოდნენ, ყირამალა დგებოდნენ.

ებლაუჭებოდნენ მაღალბენვიან აქლემებს. დაჩირქებული კანი სკდებოდა ამ ხმაურში.

დაღვრილი ჩირქი მძაღე ზეთის სუნს აყენებდა ირგვლივ. აქლემებიც კი ატოკდნენ.

მაღე იპოვეს მაიმახი, წამოიყვანეს.

მაიმახს უკან მოსდევდა კეთროვანთა წნულები – გორაობით.

მაგრად ჩაჭიდებული და ჩახლართული სხეულები არაადა-მიანური ჩხავილით აცილებდნენ საყვარელ დედოფალს.

აბრეშუმის მწვანე ძაფივით ებმეოდა სალამურების ნაზი ხმები ამ ღრიანცელში.

დაჩირქებული ცრემლები სდიოდა დაჩირქებულ სახეებს ამ აბრეშუმის ხმებზე.

სალამურების გალობა მწიფე მარცვლებივით ცვიოდა გულებში. გულები კი ჰქონდათ კრიალა.



სუფთა ხმები გულებში ახლად დანურულ ყურძნის წვენივით გადადიოდა. ამ სანახაობამ ისე გაახალისა კუნთები, რომ მოქანცულობა ყველაზე ვიწრო სოროებში გაძვრა და განიავდა უნაპირო უდაბნოში.

ერთი სურვილი დუღდა ყველას გულში: რაც შეიძლება მალე გასცლოდა ამ დანყველილ ადგილებს.

## ზღაპარი მეთექვსმეტე

განსაკუთრებული მღელვარებით ელოდნენ სასახლეში კეთროვანთა დედოფალს.

ღელავდა ძღვევამოსილი ქურუმთ-ქურუმი, ღელავდა მთელი მოდგმა. ერთ დღეს – ეს დღე იყო მეოთხე.

კვიპაროსის ნაცარი მოეყარათ სასახლის გზებზე. სიცხე და ჟრუანტელი იდგა სხეულებში. სხეულები ნაცარდაყრილი ჩრდილებივით დაიარებოდნენ იმ დღეს.

სასახლეში ჯანლი იდგა.

მხართეძოზე წამოწოლილი რამისანდარ ყურს უგდებდა სუჯუნას განთქმულ მობაასეს, რომელიც ოთხად მოკეცილი იჯდა იმის წინ და სიმღერით უამბობდა უჩვეულო ზღაპრებს.

კეთრომოდებული დევების გაჭირვება. იმათი შიში. იმათი წვალეობა. სირბილი ქვეყნის ირგვლივ, დაჩირქებულ მუცლებით ტრიალი გახურებულ ქვიშაზე. კეთრი. ღია იარები. იარებში მწვანე ხორცი. ჩირქი. დამპალი ლორწო. ნახევრად შეჭმული ილღიები. ხორცებშუა გაშავებული ძვალი. ძვალზე მიკარება და ტკივილი. კივილი. წვა. დაობებული ღრძილებიდან დამხრჩვალნი მძორის სუნნი.

ამის გაგონებაზე უიმედოდ ეხუთებოდა მთელი სხეული ძლევამოსილ ქურუმს.

რა უნდა ყოფილიყო დაძლევა კეთრმოდებული სხეულის? სამსხვერპლოს ირგვლივ ცამეტი მხევალი იდგა გაქვავებული. შავი სუდარა ეფინა ყველა მათგანს სახეზე.

სიჩუმის შავი ეშვები ეკიდა ირგვლივ.

კარში მოდგმა იცდიდა.

დანაცრულ გზებზე იწვინენ გაჩუმებული ჩრდილები.

სასომიხილი ხალხი იდგა გზების გასწვრივ და დუმდა.

უცნაური ნიშნები უდგებოდა დაჭიმულ სახეებს ამ მოლოდინში. გამონელები მხეცებივით იდგნენ მისნები და ოხრავდნენ.

კრიალა მზეს წესრიგში მოჰყავდა გუნებგანწყობა.

შუა ხალხში მოვარდნენ მერნები და თქვეს ქარავანის მოახლოება.

შიშის ეკლებმა გამწვანება იწყეს აჯაგრულ ტყავზე. მალე გაისმა სალამურის დასიცხული გალობა.

გამოჩნდნენ აქლემები. გამოჩნდა შიშზე გადაჯვარედინებული ცნობისმოყვარეობა.

მესამე აქლემი რომ წამოაჩოქეს, ყველამ მიწამდის დახარა თავი. მოღუნულ კისრებზე გადადიოდა ძალა განგების.

კეთროვანი დედოფალი რომ ჩამოსვეს, ყველამ მობრუნებული თვალთ შეხედა.

კრინტი არავის დაუძრავს. მოკუზული ხალხის ხეივნებში გაატარეს ჩუმიად.

ცხრამეტი მისანი ზეცისკენ ხელებაშვერილები მოსდევდნენ ოდნავი ბუქნით.

ცხელ ნაცარზე ნაფეხურები რჩებოდა დაკრუნჩხული ფეხების, სასახლემ რომ ჩაყლაპა დედოფალი და მისნები.

უზარმაზარი ბრინჯაოს კარები რომ დახურეს, ისევ ისევ გაჩუმებული დაიშალა მოდგმა.

სამი დღის მარხულობა და აუგის შეკვრა გამოაცხადეს გამოსავალში ჩასაფრებულმა ქურუმებმა.

ჯამაათნო! რამისანდარს რომ აცნობეს დედოფლის მოყვანის ამბავი, სხვანაირად დაიხლაკნა იმისი მაგარი სხეული.

ორად გახსნილი თვალები შემოსავალს მიაპყრო. გული უკანასკნელ ბენვზე დაეკიდა.

შემოცურდნენ მისნები და თქვეს ლოცვა უჟმურის. მაიმახმა რომ შედგა ფეხი დარბაზში, მწვანედ განათდა ყველაფერი.

მწვანე ჯანღში წითელ-ყვითელი ზოლები გაჩნდა და უცნაურად აბრუნდა, გაჩნდა ფერადი რგოლები.

– რამისანდარის დაჭიმული ხედვა ნელნელა მოდუნდა.

ითქვა უკანასკნელი ლოცვა მწუხარე ფურცლებიდან.

ორად მოკეცილი მისნები ნელნელა გამოვიდნენ დარბაზიდან. დარბაზში დარჩა რამისანდარ, კეთროვანი დედოფალი. შიში და მწუხარება. დუმილი, რომელიც მძიმე მორევით აბრუნდა ირგვლივ, კარგად რომ დაღამდა, რომ მიწყდა უკანასკნელი ხმები ზმუკის, მხეველებმა გახადეს მაიმახს, აპკურეს სურნელეობა, ქარვის ზეთით გაუპრიალეს კეთრმოდებული კანი, სამჯერ ცამეტი ჯვარედინი გააკეთებინეს სამსხვერპლოს ირგვლივ... და დატოვეს მარტო.

რამისანდარი შეტოკდა. შესრულება უნდოდა დიდი გველიანდარის საშიშ ბრძანებისა. რწმენამ აიყვანა დიდი ქურუმი.

მოდგმა ელოდა მემკვიდრეს. რამისანდარს უნდა მიეცა მემკვიდრე. სხვა გამოსავალი რომ აღარ იყო, ბრაზი და იმედი ქვად იქცა.

ამ ქვაზე დაჩლუნგდა გრძნობა. პირი დაემტვრა.

და იმ ღამეს, იმ აუზთან, გატყდა საშო კეთრმოდებულ დედოფლის.

მოხდა სასწაული – იმ ღამესვე დამძიმდა საშო.

ჯამაათნო! ამის შემდეგ კიდევ ბევრი დრო გავიდა. იმედითა და რწმენით შეჰყურებდა მთელი მოდგმა ამ სასწაულს.

რწმენამ უფრო მაღლა აიწია. მეცხრე ცაში იწყეს ნავარდი. მემკვიდრის მოლოდინში ღელავდა რამისანდარ, ღელავდა მთელი მოდგმა.

მრავალი წლის გაცრუებული იმედი წელში გაიმართა.

დადგა მეექვსე ზემარბი.

ბავშვი ატოკდა საშოში.

თამაშობა იწყო ძღვევამოსილმა მოდგმამ კასკების.

დრო გადიოდა. ლალის კენჭებით თვლიდნენ ყოველ დღეს, მკითხაობდნენ, ლოცულობდნენ, ჯადოქრობდნენ ნანინანატრ მემკვიდრის მოლოდინში.

კეთროვან დედოფალს არწევდნენ ნურაზის ბადეში. ირმის რძეში ნარევი ნუშით უგრილებდნენ სხეულს.

ნარინჯისა და შურო-ქარვის მარაოებით ათვლემავდნენ სხეულზე მოსვენებას.

ექიმნი და მკითხავნი, მთელი ჰერეთი თავს ედგა საპატოი ყარაულად.

ღელავდა სასახლე, ღელავდა რამისანდარ, ღელავდა მოდგმა. დიდი დრო აღარ გასულა. გავარდა მთელ ჰერეთში ამბავი მაიმახის ლოგინობისა.

ერთ დღეს საშო გაეხსნა და ბავშვმა დენა იწყო ქვეყნისაკენ. ამბობენ, არაჩვეულებრივი ტკივილები გრეხავდა მაიმახის სხეულს მთელ ღამეს.

სანოლს გარშემო გუნდნი და გუნდნი ჰერეთის ასულთა წყნარად მღეროდა მოსასვენებელს.

ხდებოდა არაჩვეულებრივი, ძნელად დასაჯერებელი ამბავი. იბადებოდა მემკვიდრე სახელგანთქმულ მოდგმის... და ყველა მიაწერდა ამას განგებას ძღვევამოსილ გველიანდარის.

ჯამაათნო! მთელი ღამის აუტანელი ტანჯვის შემდეგ იშვა ბავშვი. ბავშვი რომ ნახეს ცოცხალი, მაშინ ყველამ დაიჯერა განგება.

სიხარულმა აავსო მთელი სასახლე.

თალები განზე გადგნენ და მალლა აინიეს. დაჰკრეს საყვირებს, ებანს, სალიკს და რუფს.

აღაპარაკეს და აატოკეს გულები სალხენად. თასმები მოემ-  
ვა ღონიერ მუხლებს და მოტკბო სიამოვნება ჩაექცა ყველას  
სხეულში.

ამ დროს ვარსკვლავთსადარაჯოზე სახელგანთქმული  
ვარსკვლავთმრიცხველნი ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს  
სამყაროს დენას.

ჯადოქრობითა და მისნობით სავსე ზმუკში კი ასე ეწერა:  
ვარსკვლავთა შორის ყველაზე კუდიანი ვარსკვლავი რომ გა-  
ტყდება ცაზე, იმისი ათიათას ჯადოთი სავსე კუდი რომ გა-  
ნიავედება მთელ ქვეყანაზე, მაშინ გამოუცნობ და საიდუმლო  
ქვეყანაში გაჩნდება ქალი უნახავი რამ მშვენიერების.

დიდმა და ღმერთამდის მაღალმა ქურუმმა ჰერეთის უნდა  
მოძებნოს ასული იგი იმ დღესვე და მოსპოს, წინააღმდეგ – გა-  
დაშენდეს და გადაგვარდეს უძლეველი მოდგმა კასკების.

ჯამაათნო! ვარსკვლავთ სამრიცხაო სადარაჯოებზე საშინე-  
ლი სასწაული ხდებოდა. ხდებოდა და ატოკებდა იქ მყოფთ.

მთვარემ რომ კარგად დაივახშმა, მტრედისფერი რომ გაეკრა  
შორეულ განივებს, მაშინ შეირყა სამყარო კიდით – კიდემდე.

სანახაობა, ჯერ არავისგან ნახული, დადგა ცაზე. არაჩვეუ-  
ლებრივი ჭექა მოსძვრა ცას რისხვით, ღონივრად განათდა.  
შებრუნდა სამყაროს ფსკერი.

რისხვით დაეცა ყველა სულდგმული მიწაზე ამ დროს – შიშმა  
და წვდიადმა მოიცვა მთელი სამყარო.

ყველაფერი რომ გათავდა, ხელახლად რომ სცადეს დაზ-  
ვერვა, განცვიფრდნენ – კუდიანი ვარსკვლავი აღარ იყო ცაზე.

ასრულდა ათიათასი წლის წინასწარმეტყველება ჯადოქრო-  
ბითა და მისნობით სავსე ზმუკის. კარგად რომ გათენდა, მაშინ  
შემოკრბნენ უხუცესნი ვარსკვლავთმრიცხველნი ბჭობად.

გადაწყვიტეს წასულიყვნენ სასახლეში და ეამბნათ სახელ-  
განთქმული მოდგმისათვის იმ ღამეს დატრიალებული საშინელი  
რისხვა.

სასახლეში ამ დროს ზეიმი იდგა. ყველა სიყვარულით და სიხარულით დაჰყურებდა სახელოვანი მოდგმის მემკვიდრეს.

როდესაც ზეიმი უკანასკნელ, ყველაზე მაღალ განივს მიადგა და გასცდა, როდესაც სიხარულით დაორსულებული გულები სხვანაირად ატოკდნენ...

ჯამაათონო! სწორედ მაშინ გაისმა საბედისწერო საყვირის ხმა. განგაშსა სცემდნენ სალამურები მაღალ სადარაჯოებზე.

სასახლეს მოადგა ვარსკვლავთმრიცხველთა ჯარი.

გაგლეჯილ ტანთსაცმელზე და მობრეცილ ხერხემალზე ეტყობოდათ, რომ საშინელი რამ ამბავი მოჰქონდათ სასახლეში.

უხილავმა ბრძანებამ ერთ წამში ჩააქრო ზეიმი.

სამაგიეროდ განცვიფრება დაეჭიდა თალებს და რყევა უწყო. განი მისცეს.

სიჩუმე. განცვიფრება. შიში. ფერადი ზოლები.

გაჩუმებულები მიდიოდნენ უხუცესნი ნაცარმოყრილ გზაზე პირდაპირ სასახლისკენ.

აცნობეს რამისანდარს, რაც ხდებოდა კარში.

შიში შეინძრა სახელგანთქმული ქურუმის სახეზე.

გული დაესერა. შიშის ელვა გაუჩნდა კანქვეშ. სუნთქვა დაუმძიმდა და აკანკალდა.

მაინც არ წახდა რამისანდარ. აჩქარებული ნაბიჯით მიეგება უხუცესთ.

შეხვედრა. სიჩუმე. მძიმე თავების მიწამდის დახრა. შიში და განცვიფრება.

– დღეგრძელობა დიდ ქურუმს! დაიწყო ერთმა, – იდიდოს გველიანდარის მოდგმა. და სახელგანთქმული ზმუკი – მაღალ განგების დიდი წყალობა.

– დიდო ქურუმო! სამოცი ვეფხვის ძლიერება და სამასი გველის სიბრძნე ნუ მოგაკლოს ძღვევამოსილმა გველიანდარმა. იდიდოს იმისმა სახელმა. იმისი ჯადოქრობითა და მისნობით სავესე ზმუკი.

სიბრძნე გველური. სითამამე ვეფხვური. მისნობა საშიში და საოცარი.

– დიდო ქურუმო! ნუხელის, გარიჟრაჟის ჟამს. დავახშმებული მთვარე რომ ნელნელა თეთრდებოდა და ქრებოდა, მაშინ იქ ძლევამოსილ ჰერეთის ვარსკვლავთ სამრიცხაო კომპეკებზე ფხიზელი თვალთ დარაჯობდნენ სამყაროს თაღების მოძრაობას.

დიდო ქურუმო! მოხდა ამბავი რამ დაუჯერებელი. კუდიანი ვარსკვლავი, რომელიც მრავალი საუკუნე უძრავად იდგა ცის თაღებზე... რომელიც აძნელებდა ხედვას და დაკვირვებას ქვეყნების, უეცრად შეირყა, აფეთქდა უსაშინელესი რამ ხმაურით და განათებით.

ამ დროს კუდი მოსძვრა და სანახავად საოცარი რამ ვარსკვლავების სეტყვად დაიმსხვრა.

თვითონ კი მალლა-მალლა დაიძრა.

გასცდა შორებს და განივებს, გასცდა სამყაროს და იწყო ელვა შორეული.

ჩაუქრობელი უკუნისამდე.

დიდო ქურუმო! სწორედ ნუხელის გარიჟრაჟის ჟამს დავახშმებული მთვარე რომ ნელნელა თეთრდებოდა და ქრებოდა... სიტყვა-სიტყვით ასრულდა მისნობა საშიში და საოცარი. მაშინ მოვიხსენით მალალ კომპეკებიდან და დავიძარით ქვეყნისკენ, რომ გვეცნობებინა დიდი ქურუმისათვის და გველიანდარის ამაყი მოდგმისათვის ძალა განგების.

ესა თქვა და გაყურდა.

სასონარკვეთილება და გაჭირვება ერთად გაჩნდა იმ დარბაზში. იმ ჟამს სიჩუმე – რომელიც ათასი მეხის გრიალს უდრიდა, მოკლული ფრინველივით დავარდა დარბაზში. ყველა დამუნჯდა.

მაგარი გულების ხმა ნელად ტოკავდა გაციებულ და გაჩუმებულ თაღებ ქვეშ.

უხუცესნო! – დაიწყო გაფითრებულმა და აკანკალებულმა რამისანდარმა, – ჩანს, ცოდო რამ დიდი იფარება ძლევამოსილ ჰერეთში, ჩანს, შესცოდა სახელგანთქმულმა მოდგმამ.

უხუცესნო! იდიდოს გველიანდარი, ჯადოქრობითა და განგე-  
ბით სავსე ზმუკი.

სნორედ წუხელის, გარიჟრაჟის ჟამს, ჰერეთს ეყოლა მემ-  
კვიდრე. მრავალი წლის განმავლობაში ელოდა მთელი მოდგმა  
ამ ამბავს.

ისე ჩანდა, სასწაული რაღაც უნდა მომხდარიყო.

სახელგანთქმულ ჯადო აუზიდან მოყვანილ კეთროვან დედო-  
ფალს უნდა ესხნა მოდგმა ამ გაჭირვებისაგან.

ასეც მოხდა. ჩანს, ასეთი ყოფილა განგება და ბედი მოდგმის,  
ჩანს, შავი სისხლი ვერ შეერია მაღალ სისხლს. იდიდოს ზმუკი.

ჯამაათნო! ამაღამვე უნდა მოკვდეს ბავშვიც და დედაც.

დაე, ასრულდეს საშინელი და საოცარი წინასწარმეტყველება.

დარბაზში ამ დროს სასწაული ხდებოდა.

პირქვე დამხობილი ჯარი ბრძენთა და უხუცესთა სდუმდა,  
გაჩეხილი ტყის სიჩუმე თუ შიში იდგა ირგვლივ.

ისმენდნენ დიდი ქურუმის საოცარ სიტყვებს.

მაინც სდუმდნენ. დიდი გაჭირვება თასმებს ხსნიდა სხე-  
ულებს.

ჯამაათნო! – დაიწყო ისევ ქურუმმა.

ბრძენნი და ვარსკვლავთმრიცხველნი ბრძანებენ – დღესვე  
უნდა აღსრულდეს განაჩენი განგების...

დარბაზი მაინც დუმდა...

საშინელი ზღაპრის ამ ხმებზე იკუნტებოდა კეთროვანთა  
ჯარი. ჯადო აუზის ძირიდან ამოტივტივებული ხმა კი ჩუმად  
განაგრძობდა:

– უნდა იცოდეს ყველა კეთროვანმა, რომ იმ ღამეს, როდესაც  
ძღვევამოსილი ქურუმი თავის მონოდების სიმაღლიდან მტკიცედ  
ბრძანებდა... საბედისწერო წინასწარმეტყველების სისრულეში  
მოყვანას, დარბაზი კი დუმდა.

მაშინ ჯადო-აუზთან სასწაული ხდებოდა: იმ ღამეს თურმე  
წყალი ადუღდა აუზში და ისმოდა ქაფქაფის ხმები: – სულ მალე  
კეთროვანმა ჯარმა უნდა იხსნას ჰერეთიც და მოდგმაც.



ვერავინ ვერ გაიგო, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები მაშინ. მაგრამ, როდესაც კეთროვანთა დედოფალმა დაბადა მემკვიდრე – უმშვენიერესი ასული ჰერეთის, როდესაც კუდიან ვარსკვლავსაც კი კუდი მოსძვრა შიშით, როდესაც უბრალო კეთროვანი დედოფლის შავი სისხლი უნდა დაჰპატრონებოდა მალალ ქურუმობას, აი, სწორედ მაშინ, იმ ღამეს – იმ სასახლეში გარკვეულად იგრძნეს წინასწარმეტყველება ზმუკის.

## ზღაპარი მეჩვიდმეტე

დიდი დარბაზის გაჭირვება წვალებით გაეცია და გაძვრა სასახლის გარეთ.

კარში მოდგმა იცდიდა.

ყომრალი ფერის სხეულებს შავი სისხლი უდუღდა. სიხარული ჯერ არ განელებულებოდა სასახლეში, რომ დაუჯერებელი ამბავი მშვიერი მგელივით გასრიალდა.

გაჩნდა ბჭობა და გუგუნი. ღონიერ მკერდებში ჩათხრილ გულების ფეთქვა.

ბრაზი ადუღდა შავ სისხლში. ჩაცრემლებულ თვალების ბრჭყვიალი და ორად ხედვა. მწვანე ეკლები. შხამი.

ამ დროს გაიღო პრიალა ლომებზე დაყრდნობილი სასახლის კარი. წარჩინებულთა ჯარმა დენა იწყო გარეთ.

დაჰკრეს სალამურებს, ებანს, სალიკს და რუფს.

აჟღარუნდა იარაღი, ატოკდა თავები, აინია მძიმედ დარახტული მკლავები ამალის.

დიდი ქურუმი გამობრძანდა. მოდგმა პირქვე დაემხო მინაზე.

– ხალხო! გველიანდარის დიდო მოდგმავ! სახელგანთქმულო კასკებო. გაჭირვება დიდი თავს დაატყდა ჰერეთს.

დიდი ხნის ნანატრი მემკვიდრე შეეძინა წუხელის ქვეყანას... მაგრამ დღესვე უნდა მოკვდეს იგი...

პირქვე დამხოზილი თავები შეტოკდნენ.

– ხალხო! სიტყვა-სიტყვით ასრულდა წინასწარმეტყველება ზმუკის. სწორედ წუხელის. მემკვიდრე რომ შეეძინა ქვეყანას, კუდიანი ვარსკვლავი გატყდა ზეცის თალზე. კუდი განიავდა. თვითონ კი, ხუთქიმიანი, წავიდა სულ ზევით. – ასე ამბობენ ვარსკვლავთმრიცხველნი.

გასცდა შორებს და განივებს, ამაღლდა და იწყო ბრწყინვა შორეული. ხალხი ხელახლა შეიძრა კეთროვანთა დედოფლის დასაცავად, შავი სისხლის დასაცავად ატოკდნენ გულები. მაინც სიჩუმე იწვა ირგვლივ, ყელგადაჭრილი ჯოგვივით.

უეცრად ერთ კუთხეში ჩოჩქოლი ატყდა. შემზარავი კივილით დაეცა მიწაზე ქადაგი. დარკალული კუნთები, მოგრეხა და მობრეცა, მანჭვა, მიწაში ჩამხრჩვალნი ფრჩხილები, მიწის ბრდღვნა და ბორგვა, თვალების საშიში ტრიალი, მოკუმული ტუჩების კანკალი და რისხვა, წვეტიანი დაცემა, ტრიალი, ჰაერში ავარდნა, ხელახლა დანარცხება. ისევ ტრიალი, კივილი.

ყველა შემფოთდა, შემფოთდა ქურუმი.

ჯარი ბრძენთა და უხუცესთა, ვარსკვლავთმრიცხველთა. გაჭირვებით ასწიეს გახვეებული ქადაგი, მიიტანეს და დააგდეს ქურუმთან.

კისრის ძარღვების დაჭიმვა და გაბერვა, სისხლის ბურთები ოთხად გახელილ თვალებში.

სმენა გაუმახვილდა ყველას. საოცარი წამებით იგრძობოდა ქადაგი ქურუმის წინ. ქურუმი ღელავდა, ღელავდა მთელი მოდგმა.

უეცრად ქადაგი ფეხზე წამოვარდა და დაიწყო ცეკვა. ოთხად მორკალული ტანი ერთ წუთს წელში გაიმართა. ატოკდა ნიავი წელქვევით. გაბრაზებულმა ფეხებმა სრიალით შემოურბინეს წრეს. რხევა. გაორება. შუაზე გაჭრა.

ხან წელზევით გაშეშება – წელქვევით მოღუნული ეშვების ფცქენა. ხან წელქვევით გაშეშება – წელზევით მტვრევა გამხმარი ტოტების.

სხეულის ილღიებქვეშ გატარება. მინამდის დატანა გათლილი ბეჭების. მკერდის ამონევა და ექვსჯერ გამრავლება, ძუძუები, როგორც ციდან ჩამოშვერილი წყალობა.

გახურებულ თავის ბზრიალი გაშეშებულ ტანზე. ხან ტანის ბზრიალი გაშეშებულ თავქვეშ.

ჯამაათნო! ასე ცეკვავდა ქადაგი, გაშეშებული და გაოცებული ხალხის წინ.

შიშით შეჰყურებდა მთელი მოდგმა ამ ცეკვას.

გაუგონარი რამ მხილება უნდა მომხდარიყო, ისე ჩანდა.

ასეც მოხდა.

დიდხანს იცეკვა ქადაგმა, დიდხანს იგრიხა, ქაფი გაუჩნდა და ლაჯებში, მთელ სხეულში. სხეული ცეცხლისფრად აენტო, აყრჟოლდა, აკანკალდა და საშინელი კივილით დაეშვა მიწაზე.

ერთი კენესა მოსწყდა მაშინ ყველას.

– დიდო ქურუმო! – იკივლა ქადაგმა.

– არ გაბედო, არ გაბედო ბავშვის მოკვლა.

უბრალო ხალხის სისხლი ურევია იმის სისხლში, იმის ბედის ვარსკვლავს, თუმც კუდი მოსძვრა, მაგრამ არ მოკვდა.

ყველაზე მალლა და შორს დაიწყო ბრწყინვა ხუთი ქიმით.

– დიდო ქურუმო! ბავშვის მოკვლა ვერ უშველის საქმეს. ერთხელაც იქნება შავი სისხლი დაეუფლება ჰერეთს და მთელ ქვეყანას. ამას ნიშნავს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ბრწყინვა შორეული, რომელიც აღარცერთ კანონს აღარ ემორჩილება სამყაროს დენის.

კუდის დანგრევა ნიშნავს ჯადოქრობით სავსე ზმუკის დანვას. ეს რომ მოხდება, ხალხი რომ განთავისუფლდება ათი-ათას ჯადოქრობიდან, მაშინ ველარავითარი ძალა იმას ველარ დაიმორჩილებს.

მაშინ შორეული მემკვიდრე ამ ხალხის – შავი სისხლით, აუცილებლად უნდა გაქურუმდეს.

მაშინ ხუთქიმიანი ვარსკვლავი მაღალი ნიშანი იქნება ყოველგვარი ჩაგვრის და მონობის მოსპობის ამ ქვეყანაზე.

დიდო ქურუმო! გიხაროდეს... სახელგანთქმული მოდგმა აუცილებლად იცოცხლებს იმ დრომდე.

არ მოისპობა, ვიდრე ხუთქიმიანი ვარსკვლავის შორეული ბრწყინვა არ ჩაქრება... და არც ჩაქრება, რადგანაც აღარ ემორჩილება არც ერთ კანონს სამყაროს დენის.

ესა თქვა და გაჩერდა, მოსწყდა, ჩვრად იქცა. მოეშვა დაჭიმული ძვალი და კუნთი.

ცოტაც და რისხვით ავარდა ძლევამოსილი რამისანდარ, იელვა შხამიანმა ისარმა და განგმირა ქადაგი.

ეს იყო ნიშანი უხილავი, მაგრამ გაუთავებელი ბრძოლის დანყების.

## ზღაპარი მეთვრამეტე

ჯამაათნო! მაიმახი რომ წამოიყვანეს ჯადო-აუზიდან, როცა გაჩნდა საოცარი მოძრაობა თაშუს უდაბნოში ღონემიხდილ ქარავნის, მაშინ ლადურ ცხარე ქვიშაზე ეგდო და ტიროდა.

ორასი ადლის სიშორიდან გალესილი თვალეები ფხიზლად ადევენებდნენ თვალყურს ქარავნის მოძრაობას.

გახურებულ ქვიშას შხამიანი ეკლები შეჰყავდა ყომრალ სხეულში, იწვოდა, იგრიხებოდა, მაინც ითმენდა.

ასე გაქვავებულმა და განამებულმა სდია სასახლემდე.

ამის შემდეგ ხელახლად გაიჭრა უდაბნოში.

ისევ იქ ჯადო-აუზის ირგვლივ ბრუნავდა. იქ ეგულებოდა მწარე მოგონება და აჩრდილი საყვარელ ქალის.

უდაბნოს ყველაზე საშინელ მხეცსაც კი აფრთხოდა იმისი კივილი და შხამიანი შემოხედვა.

დადიოდა ლადურ თაშუს უდაბნოში და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ეხსნა მაიმახი სასახლიდან.

ბევრჯერ დააპირა შეჭრა ჰერეთში და შებრძოლება დიდი ქურუმის. ბევრჯერ დააპირა უბრალო ხალხთან კავშირის დაჭერა და იმათი აჯანყება სასახლის წინააღმდეგ.

მაგრამ ღამე გაჩენილ ფიქრს დღე აქრობდა, მზე სწვავდა, უდაბნოს ცხელი ქარიშხალი შლიდა და ანიაგებდა გახურებულ ქვიშაზე.

რვა ზემარბი გაატარა მარტომ უდაბნოში, რომ არ მოდუნებულიყო ღონე და მუხლი, რომ არ გაცვეთილიყო ნებისყოფა, ხშირად დარბოდა გახურებულ ქვიშაზე. გარშემო ურბენდა კეთროვანთა ჯარს და საყვარელ ჯადო-აუზს.

როცა ქარიშხლები დგებოდა უდაბნოში, როცა გახურებული ქვიშის სვეტები გველებივით კუდზე ტრიალებდნენ და შხამიანი ენით ცას ლოკავდნენ, ამ საზარელ ქვიშის ხეივანებში შეშინებული და დამფრთხალი დარბოდა ლადურ.

როცა ქარიშხალი მძლავრად ეჭიდებოდა იმის ღონიერ სხეულს და ცდილობდა ენის წვერით ცაში ატანას, მაშინ ლადურ გაბრაზებულ მეხივით წელამდის ვარდებოდა ქვიშაში. ქარიშხალი კი სიყვარულით ულოკავდა ქვადქცეულ კუნთებს, როცა ყველაფერი წყნარდებოდა.

როცა წყდებოდა უცნაური კავშირი ცის და მიწის, მაშინ ქარიშხლები და ლადურ ერთად წვებოდნენ გახურებულ ქვიშაზე დასასვენებლად.

ამ მდგომარეობაში ძილი და სიფხიზლე შეერთდა. შეერთდა დღე და ღამე.

უდაბნოს წყვდიადში აშკარად ხედავდა ლადურ სასოებით გამონვდილ ხელებს.

ხშირად ხმებიც შემოესმოდა „მიშველე, ლადურ“! ამ დროს, ამ ხმებზე ცეცხლი უჩნდებოდა სხეულში. ათასჯერ დატანჯული ზეზე ვარდებოდა, ღონიერ მკლავებს ზეცისკენ იშვერდა.

დაშხამული ქვიმასლა ბდღვნიდა უიმედო წყვეტებით. მეცხრე ზემარბი რომ დადგა, მაიმახის დალოგინების დღე რომ მოახლოვდა, ვეღარ გაუძლო.

ერთ ღამეს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა რბილად რომ ეფინებოდა უდაბნოს, გაუთავებელი ბრუნვით დაქანცული ქვეყანა ოდნავ რომ ირწეოდა, ლადურ, გულაღმა დაგდებული ქვიმაზე შეჰყურებდა ღია ცის ბრუნვას. გათენებისას, კუდიანი ვარსკვლავი რომ დადგა ცის თაღზე, იმისმა ბრწყინვალეობამ რომ ჩააქრო ვარსკვლავთა ჯარი.

როდესაც ცას ფერი უნდა დაჰკარგოდა და შებრუნებულიყო ბრწყინვალეობა სამყაროს დენის, მაშინ საზარელმა გრგვინვამ, ელვამ, წყვილაღმა, რისხვამ, ოთხად გატეხა მაგარი გული.

გატყდა კუდიანი ვარსკვლავი ზეცის თაღზე.

ათიათასი ცეცხლი დაეშვა უდაბნოში საზარელი ხმაურით. დამფრთხალი ქარიშხლები გაგიჟებული დევებივით დარბოდნენ უდაბნოში.

ლადური ამ დროს პირქვე ემხო და უცდიდა ზეცის რისხვას, მაგრამ არაფერი მოხდა.

ორჯერ შეინძრა უდაბნო და დანყნარდა. ქარიშხლები გაცვივდნენ ზღვებში შეშინებული გულების დასაცხრობად.

ლადურ წამოვარდა ფეხზე.

ელვაზე ღონივრად გაუნათდა სხეული საშინელი აზრით.

გადანყვიტა შეჭრილიყო კეთროვანთა ბანაკში, აეყარა კეთრითა და შანგით დამპალი სხეულები, ჩაეყვანა ჰერეთში, დასცემოდა სასახლეს და გაეთავისუფლებინა დედოფალი და მემკვიდრე.

აღარ უფიქრია.

გათენდა თუ არა, სამასი ვეფხვის საშინელებით შეიჭრა ჯადო-აუზში. ქარიშხალზე უმაღლ აყარა კეთროვანთა ლაშქარი.

და გამორეკა უდაბნოში ჰერეთისაკენ.

უძლეველი ქარიშხლები შველოდნენ კეთრომოდებულ ქარავნის მოძრაობას თაშუს უდაბნოში.

ზღვიდან მოცვივნულმა ქარიშხლებმა განბანეს ჩირქი და ლორწო, მოგრეხილი სხეულები წელში გაიმართნენ, გაკაჟდნენ.

ჩადგა ღონე კუნთში და სისხლში.

ჯამაათნო! აი, სწორედ მაშინ, როდესაც ხსნა არსაით იყო.. და პირველი ქადაგი მკვდარი ეგდო მიწაზე, როდესაც ყველა დამუნჯდა და გაშეშდა, მაშინ გაჩნდა საოცარი და საშიში სანახაობა.

ჯადო-აუზიდან აყრილი კეთროვანთა ჯარი საოცარი კვილით მოაწყდა სასახლეს.

ამ ჯარს უკან მოჰყვებოდა ლადურ, სიამაყე მთელი მოდგმისა. ხალხი გაფრთხა ამ სანახაობაზე, გზა მისცეს.

შეშფოთდა ამაღაც. ქვეყნის კანონებით, იარაღის ხმარება არ შეიძლებოდა ავადმყოფ ხალხზე.

სხვა რა ძალა შეაჩერებდა ამ საშიშ დენას?..

წელში განყვეტილი სხეულები, საშიში გრეხით და კნავილით...

ქვიშამოყრილ იარებში მწვანე ჩირქით, ლორწო, მწვანე თვალეების ტრიალი, კანკალი, პრიალა თავით დატაკება მიწაზე.

მუწუკიანი ენით ლოკვა ნაცარდაყრილი ნაფეხურების. ჩანგრეულ ცხვირებით სისინი. ჩამოგდებულ ყბების ქანაობა. საშიში დუღილი და ხრიალი ნახევრად ღია ყელში. გრძელი ფრჩხილების კრუნჩხვა, ბრეცა, ბდღვნა გაქვავებული მიწის.

დამუწუკებული ირევა წელქვევით. კნავილი. ჩხავილი. ორმაგი ნიშნები. კვილის უკანვე დაბრუნება უცნაური ხრიალით.

ყელში ნაჭერა. გალურჯება. ჩირქიანი ცრემლები. წყვეტება ორმაგ ხეივნებში წელში განყვეტილი ცოფიანი ძაღლების.

რა ძალა შეაჩერებდა ამ საშიშ დენას?

მოდგმა შედრკა და გაქვავდა. გაქვავდა დიდი ქურუმიც.

სასახლემ გზა მისცა ნიაღვარივით მოვარდნილ საშინელებას. ცოტაც და კეთრმოდებულმა ხალხმა აავსო სასახლე. იპოვეს დედოფალი, იპოვეს მემკვიდრე.

შემობრუნება მოხდა ამაზე საშიში და საოცარი. კეთროვანი დედოფალი სხვანაირად ერწეოდა აკანკალებულ მკლავებში.

კარში რომ გამოვიდნენ, ძლევამოსილმა ლადურმა მისცა მხარი დასაყრდნობად.

ბავშვი მთელი მოდგმის თავებზე გადმოატარეს ძალიან მალ-ლა აწეული. მთელმა მოდგმამ მონინებით თავი დახარა პატარა მემკვიდრის წინ.

კარგად რომ დაღამდა, კრიალა ცა თავზე რომ დაადგა უდაბნოს სინანულით, უდაბნო რომ გაინაბა ანთებულ ცის ქვეშ, როგორც ბუ გარიჟრაჟზე, მაშინ, ჯამაათნო, უდაბნოს კარებში გამოჩნდა კეთროვანთა ლაშქარი.

ლადურ ახლა წინ მოუძღვოდა.

გაშეშებულ მკლავებზე ეწვინა მაიმახი.

პატარა ბავშვი თაფლში ჩასველებულ ბამბასავით მიჰკროდა მარცხენა ძუძუზე.

ოდნავ გაღებული წვრილი თვალებით შეჰყურებდა ღია ცას, რომელიც დინჯად ბრუნავდა უდაბნოს თავზე.

უკან მისდევდნენ კეთროვანნი. აქ ხდებოდა უცნაური სას-ნაული – აღარც ერთი აღარ ეთრეოდა მიწაზე.

ყველა საკუთარ ფეხზე იდგა წელში გამართული. მიდიოდა ქარავანი თაშუს უდაბნოში. სქელი წყვდიადი ეფინებოდა.

გახურებული ქვიშა ცივდებოდა უფრო გახურებულ ფეხ-ებქვეშ. საოცარი იყო კეთროვანთა ჩრდილები უდაბნოში.

რგოლები, ზოლები, ნანვეტება, მიწაზე გაკვრა, ქვიშაში ძრომა და კანკალი.

ანევა, მაღლა ასვლა, აკოკოლავება, ტრიალი, შუაზე გატეხა, ჰაერში დაკიდება, ყირამალა დაშვება მიწაზე, თავით დგომა,



გადმობრუნება, გორაობა, ისევ ქვიშაში ძრომა, ისევ კანკალი, ქარიშხლების ცეკვა ქარავენის წინ, ორჯერ რომ გათენდა და დალამდა, ორჯერ რომ დაზვერა მზემ უდაბნო.

მესამედ რომ დალამდა...

მაშინ გამოჩნდნენ ჯადო-აუზის საოცარი ჩრდილები. ყვითელი მთვარის შუქი ედგა მარცხენა გვერდიდან.

შიგ აუზში მთვარე იჯდა და კანკალებდა.

მივიდნენ, წამოწვენენ, გაიზმორნენ და დაიძინეს.

ძილი ათასი დინოზავრის ეშვივით დაეკიდა ცას.

## ზღაპარი მეცხრამეტე

ჯამაათნო! კეთროვანი დედოფალი რომ წამოიყვანეს სასახლიდან, მემკვიდრე რომ გადარჩა სახელგანთქმული მოდგმის, კეთრმოდებული ხალხი რომ გაშორდა იმ ადგილებს, შიში რომ გაქრა, მხოლოდ მაშინ ასწიეს სისხლით დამძიმებული თავები. თავჩალუნული და გაჩუმებული დაიშალა ხალხი ნაცარდაყრილი სახეებით.

ყველა მათგანს შეშინებული ჩრდილები მოაცილებდა სახლამდის. რამისანდარ ცივი თვალებით შეჰყურებდა ამ მოძრაობას.

გაქვავებული ამაღა ცივად იდგა იმის გარშემო.

ყველას თვალებიდან სევდა იყურებოდა. არავინ არ იცოდა, რა მოხდებოდა სასახლეში.

მაღალ გერმის ბალიშებზე მხართეძოზე წამოწოლილი რამისანდარი მონინებით ყურს უგდებდა მისნობას, ბრძნულს და უნაპიროს..

ყვითელი ვეზირი ოთხად შეკრული, მორკალული... მღერით კითხულობდა ზმუკს. გუნდი საჭურისთა და მხევალთა ოდნავის ცეკვით არხევდნენ მაღალ თალებქვეშ დაგუბებულ ჰაერს...

მოსვენებას და თვლემას აფენდნენ აბრეშუმის ხალიჩებზე განაბულ ქურუმს.

ყვითელი სხეულების რგოლები. ქანაობა, გაცურება, მინამდის დატანა დანწული მკლავების, რხევა წელქვევით, გაგორება, სიჩუმე. ოდნავი კვნესა და ბრუნვა სასახლის გარეთ.

მწუხარება. კალთაშექრული და ნაცარდაყრილი მისნები. ვეზირნი და წარჩინებულნი. დაძაბული თვალები. თვალებში შიში მიმქრალ ჩრდილების. ჩრდილებში კიდეე ჩრდილების კანკალი. სიარული ავადმყოფი ძაღლის, ღრენა. სინანული.

ღონეგამოცლილ მუხლებით თრევა მინაზე, კანკალი. მზერა – სასოებით მიბჯენილი ცაზე. ცის იქით გახედვა. დაგრძელებული კისრები. დაკარგული იმედი. ბრაზი. გამშრალი ენის ტრიალი გალესილ კბილებ ქვეშ. ლულული. დამპალი ნივრის სუნი პირიდან. კიდეე მძალე ნიგოზით მთქნარება. კვნესა. კვნესაში – სლოკინი. მუნჯი თვალების ტრიალი და თვალიერება ჰერეთის მიწის.

კოჭრის უბანში.

სიხარული იდგა თითქმის ყველა ქოხში. ყველამ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა კუდიანი ვარსკვლავის დამსხვრევა.

ხუთქიმიანი ვარსკვლავის ძალიან მაღალი ბრწყინვა უკუდოდ.

ყველამ კარგად გაიგო, რა თქვა ქადაგმა, რას ნიშნავდა შავი სისხლის გაქურუმება.

ისიც კარგად იცოდნენ კოჭრის უბანში, თუ ვისი იყო ჰერეთის მემკვიდრე. ვისი ველური სისხლი ტრიალებდა პატარა სხეულში.

ისიც, თუ ვინ აყარა კეთროვანნი ჯადო-აუზიდან და გამორეკა უღაბნოში. ვინ იხსნა დედოფალი და ჰერეთის მემკვიდრე წარჩინებულ ხალხის რისხვისგან.

ჩუმად ნათქვამი სახელი ლადურ ტკაცუნით ვარდებოდა ღია გულებში.

უხაროდათ. ჩუმი და უხილავი ზეიმი დაჰქროდა მოკუზულ ქოხებში...

დაბალი ქოხები მალღებოდნენ იმედით. თეთრი რწმენა მოფრინავდა ყველა ოჯახიდან...

ამ დღიდან უხილავმა ხელმა ზოლები გაავლო ამაყი კასკების მოდგმის შუა და ირგვლივ.

ჯამაათნო! ვინა თქვა სულ პირველად სიტყვა ჰერეთი. მზე, ჩავარდნილი სიტყვაში უთვალავ ფერებით.

უძველეს დროს იქა ცხოვრობდა სახელგანთქმული მოდგმა კასკების.

ნოყიერი მიწა გაგიჟებით ყლაპავდა თესლს, უცბად ორსულდებოდა.

ოთხ თვეში ისროდა ნაყოფს სიხარულით.

შეკაზმულ არხებს ფარებს რომ ახსნიდნენ, გახარებული წყალი სიმღერით რომ შემოირბენდა დამწვარ მიწას. მიწა გაგიჟებით იკლავდა წყურვილს, ფუედებოდა, შავდებოდა, მადა ეხსნებოდა.

თესლი რომ ვარდებოდა ამ მიწაზე, უმალ იხსნებოდა და ყვაოდა.

სამჯერ კრეფავდნენ მოსავალს მაშინ ჰერეთში.

მოლონიერებული ხალხი გალაღებული ვეფხვებივით დაიზღაზნებოდა ჯვარედინ გზებზე.

სად იყო მტერი, რომ შებმოდა ამაყ მოდგმას კასკების. ამბობდნენ, ჰერეთის გმირების სახელი მეცხრე ცაზე ტრიალებდაო.

გარკვეულად ხედავდა მთელი ქვეყანა ამ ტრიალს, ამ ძალას, ამ დიდებას. არსად არ უყვარდათ მიწა – მიწის ბარაქა ისე, როგორც ჰერეთში. მაგრამ გავიდა დრო. ღვარძლი გაუჩნდა მიწას. გაშრა საშო, ადუღებული და ქაფქაფა. შიმშილის ყვითელი ზოლები დაეფინა ჰერეთს. ტირილსაც კი ვერ ახერხებდნენ მაშინ ჰერეთში.

ხელახლა გაჩნდა მისნობა და ჯადოქრობა ავსულთა, სულდალლთა. ყოველდღე იკრიბებოდნენ წარჩინებულნი და უხუცესნი ძღვევამოსილი ქურუმის სასახლეში. ყოველდღე იკითხებოდა

ზმუკი. იმისი სიბრძნე კანკალით ეფინებოდა მთელ ქვეყანას. ემინოდათ განგების რისხვის.

სასონარკვეთილება ღრღნიდა ნებისყოფას. ამაყი მოდგმის ნებისყოფას. ყვითლად გაფერილი თვალებით შეჰყურებდნენ ნაცარნაყრილ მიწას, რუხ ცას, გაჭირვებას.

არავინ იცოდა, ვინ შესცოდა ძლევამოსილ გველიანდარს, ვინა თქვა წყევლა ჰერეთის მიწის. ვინ გატეხა ადათი ამაყი მოდგმის.

ყოველდღე ლოცულობდნენ, მისნობდნენ. ყოველდღე კითხულობდნენ ძლევამოსილ ზმუკს. გამშრალ უპეებში ჩამწვარი თვალებით მისჩერებოდნენ უძირო ორმოებს, რომელიც ყოველ ასოში იყო ჩათხრილი, ყოველ სიტყვაში, ყოველ მისნობაში.

გაუთავებელ ლოცვებში დახლაკნილი სხეულები ცახცახებდნენ სინანულით, სიყვარულით. ყვითლად გაფერილი ზურგები იღუნებოდნენ სასოებით. გამშრალი ენებით ლოკავდნენ ჰერეთის მიწას, იჩოქებდნენ, წვებოდნენ, რუხი მკერდებით ეკვროდნენ და იხუტებდნენ გულში.

სხვანაირი გალობა და ლოცვა იდგა სასახლეში. თალხი აბრეშუმები დაეფინათ სამსხვერპლოს ირგვლივ. კაცის სიმაღლემდის იყო დაყვანილი რუხი ბურუსი. მინაზებული სხეულები კრთოდნენ და ქრებოდნენ. ინისლებოდნენ.

თასმებდახსნილი რამისანდარი ორსული ვეფხვივით იხლაკნებოდა მაღალხაოიან აბრეშუმის ხალიჩებზე. ბორგავდა და იყო წერწევა ვერცხლის სურების გრეხა და წვალემა, თრობა.

სამ წყებად დაქნილი შიშველი მხეველები ნორჩი ნარგიზის სურნელებით, ნარინჯის სიმკვრივით და ელვარებით, სპილოს ძვლისაგან ნაქარაგმევ ლობეებად ინვნებოდნენ და იხსნებოდნენ დიდი ქურუმის ირგვლივ, სამსხვერპლოს ირგვლივ. და იყო სიჩუმე. სიჩუმეში ოთხად დაკეცილი მყუდროება, რომელიც ნაზად ეფინებოდა მთელ დარბაზს.

მხოლოდ ცხრად დახლართული მისანი წარჩინებული კილოთი და სასოებით ხმამაღლა მღეროდა სახელგანთქმული ზმუკის სიბრძნეს და ჯადოქრობას.

შიგადაშიგ ისმოდა ტკაცუნის მკვრივი ხორცის.

ნახევარ თვლემაში ჩავარდნილი ქაფქაფა სხეულები წვებოდნენ და იზმორებოდნენ, იგრიხებოდნენ... ნორჩი ხორცის ბირთვები იკვროდა და გორაობდა ნახევარ ძილში, ნახევარ ვნებაში.

რამისანდარ თბილი ქუთუთოების ქვეშიდან უნებოდ, უხალისოდ ავლებდა თვალს ირგვლივ, იზმორებოდა ნახევარი სხეულით.

ადათის გამტეხი ქურუმთ-ქურუმი მზად იყო მოენანიებინა თავისი შეცდომა, მაგრამ გვიანლა იყო.

მინაზე დანარცხებული ქადაგი ათასნაირად იხლაკნებოდა იმის დაქანცულ წარმოდგენაში.

თერიასთან შეცოდება კი სინდისთან მიღებულ ჭრილობაზე ჰკბენდა და აბოროტებდა.

სამსხვერპლოს თავთან გაციებული საჭურისი ლალის კენჭებით თვლიდა დროს, ჟამთა ვითარებას.

არაფერი არ აკვირვებდა ძლევამოსილ რამისანდარს ისე, როგორც ნელი მიმდინარეობა ზემარბის.

მაგრამ როდესაც ღამდებოდა... ათასი ჩირაღდანი, წითელი ენით რომ ლოკავდა წყვიდადს, ჯანლი რომ ქრებოდა და მაღლა მაღლა ინევდა... აღმასნარევი სხივები რომ წვიმდა ირგვლივ, მაშინ ენთებოდა აღმური და წვა.

ფერადი აბრეშუმის ნაზი ქსოვილები ათასნაირი სინაზით დელავდა სპილოს ძვლისაგან თლილი სხეულების თავზე და ირგვლივ, დიდი ქურუმის ირგვლივ, სამსხვერპლოს ირგვლივ. ვნების ცისარტყელები ათასნაირად ფერავდნენ ჰაერს, მყუდროებას, სიშიშვლეს.

მაშინ დგებოდა რამისანდარ, დგებოდა სურვილი, წვალებით ჩარკალული იმათ სხეულში. სამოცამდის მხევალი სათითაოდ ბრუნავდა იმის წინ ნარინჯის თასზე და ხდებოდა ძუძუების აშვება და გაფიცხებული აუგის გამოჩენა.

ხამი თასმები ეჭიმებოდა სხეულს ირგვლივ ამ სანახაობაზე და სთანგავდა თავიდან ფეხებამდე.

სიყმეჩამწვანებული საჭურისი შინდის კავით ხსნიდა აბრეშუმის ფოთლებს, წინ აფარებულს.

დაძაბული თვალები ელავდნენ ნედლი ნიგოზის სუნზე, ეშხზე.

მკვრივი ხორცის სურვილი შუქად ვარდებოდა დიდი ქურუმის სხეულში. იშვიათი სიხარულით ენთებოდა, ვისაც მარცხნივ გადაიყვანდნენ.

ყველა ესენი იმ ღამეს უნდა დაშანთულიყვნენ, დაშანთვა კი ნიშნავდა ცეცხლმოდებულ ვნებაში გაგიჟებას, ოთხი ტყავის აფცქვენას.

შუალამე რომ დგებოდა, მეთორმეტე ლალის კენჭი რომ ვარდებოდა შავი მარმარილოს კიდობანში, მწვანე საჭურისი რომ დაჰყურებდა სინანულით და ოდნავი თავის ქნევით, მაშინ ქრებოდა ჩირაღდნები.

და იმ წყვილიაღში, იმ სიჩუმეში დაჩვეული სხეულები თავისთავად აკეთებდნენ ვნების ქარაგმებს იმ გერმის ბალიშებზე, მაღალ ხაოიან აბრეშუმის ხალიჩებზე, იმ აუზთან ნარინჯის კედლებით.

დაახლოებით ასევე ხდებოდა წარჩინებული მისნების დარბაზებში, წარჩინებულ უბნებში...

## ზღაპარი მეოცე

ჯამაათნო! სწორედ ამ დროს, იქ, კოყრის უბანში, არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა: სიღარიბით, შიმშილით, მოუსავლობით გამშაგებული ხალხი ბორგავდა, მოძრაობდა, ღელავდა.

ყველა ქოხში დარდი იყო ჩავარდნილი. ბნელოდა.

ჩუმი ქვითინი და წყევლა. ჩუმი დუდუნი და უკმაყოფილება გველის წინილივით ძვრებოდა დასევდიანებულ სხეულებში. შხამით იფერებოდა და მიძიმდებოდა, მოთმინება ამაყი მოდგმის.

ყვითელი ზოლები გაველო მთელ ჰერეთს ირგვლივ. ამაოდ ეხეთქებოდა ხალხი მინას. ზომაზე მეტად გახელილი თვალებით დაჰყურებდნენ რუხად დახეთქილ ბელტებს... და სიცოცხლის ნიშანს რომ ვერ ატყობდნენ, ნანობდნენ გაჩენას.

ყველაზე უყმური ავადმყოფობა გაჩნდა მაშინ ჰერეთში – ეს იყო ყვითელი შიმშილი, რომელსაც არც ერთი წამალი არ უდგებოდა გაძლომის გარდა.

გაძლომა კი შეუძლებელი იყო მტვრად ქცეულ მინაზე.

სიკვდილს უფრო ადვილად შოულობდა ხალხი, ვიდრე საჭმელს.

ყვითელი ჩირქი ჩაუდგათ ღრძილებში, კანკალი იწყო მაგარმა კუნთებმა და მკლავმა, მუხლმა, ამტანობამ.

რყევა იწყო სალი კლდით ჩაკირულმა ქვეყანამ. რღვევა იწყო. იწყო ისეთი რამ, რაც შიშით და კანკალით ახედებდა ყველას ზეცისკენ.

ზეცა კი დუმდა, მინაცა დუმდა, ქვეყანაც. კიოდა მხოლოდ გაჭირვება და შიმშილი, მოთმინება, რომელიც უკანასკნელ ძაფზე ეკიდა კანკალით.

საშიში ჯვარედინები გაჩნდა მთელ ჰერეთში. საოცარმა ძალამ მოშალა ყველა მიმართულება, ყველა გეზი.

დარჩა მხოლოდ ერთი გზა, რომელიც დღითიდღე ფართოვდებოდა – ეს იყო გზა სიკვდილის, გადაშენების.

აი, სწორედ ამ დროს უდანდარის პატარა ქალაქ უჯარმაში ხდებოდა საშიში და საოცარი ამბავი. სახელგანთქმულ მისან ქოქოლასთან თავი მოეყარა ცდაზე დამდგარ ვაჟკაცობას. მთელი ჰერეთის გმირებს იქ მოეყარათ თავი და უცდიდნენ მკითხაობას ბრძნულსა და უნაპიროს.

სამოცი დღე გაგრძელდა ცდა, მოთმინება. სამოცი ქვა ედო ყველას სხეულში. ყველა სხეული მიძიმდებოდა საშიშრად.

ქოქოლამ იცოდა ყველა საიდუმლო. იცოდა თერიას ავხორცობა, ოინები, ქურუმის წახდენა, ადათის გატეხა. ყველაფერი იცოდა – არ იცოდა მხოლოდ დრო, როდის გამოემჟღავნებინა საიდუმლო, როდის ეთქვა საოცარი სიტყვა, რომელიც ათას მებს ჩამოჰყრიდა ძლევამოსილი ქურუმის თავზე რისხვით.

უცდიდა, ბრაზობდა, შხამით ივსებოდა. მაინც უცდიდა. სამოცი დღე აკავა გაჯირითებული ცნობისმოყვარეობა მთელი მოდგმის, ამაყი კასკების მოდგმის.

– ჯამაათნო! სამოცი დღე რომ გავიდა, სამოცჯერ რომ მიყურდა და გაცოცხლდა მოთმინება, სამოცჯერ რომ დაიკვნესა ნაწყენმა გულმა და მკერდმა, სამოცი წვეთი რომ ჩავარდა სისხლში, მაშინ გაიღო ქოქოლას ქოხი და პირი, უცნაური ძალით გაიხსნა იმისი ათჯერ დარკალული სხეული და ყვითელი ფერის გამოცხადებამ მღვრიედ იწყო დენა.

– ჯამაათნო! კასკების ამაყო მოდგმავ! მე ვარ დამნაშავე, მე, უჯარმის სახელგანთქმული მკითხავი ქოქოლა!

ხალხი შეკრთა, გაჩნდა მიწევ-მონევა და ტკაცუნი დაჭიმული კუნთების, სხვანაირად აბრუნდა სისხლი დიდი ხნის ცდით დაბუყებულ ძარღვებში.

სხვანაირი სხივით გაბრწყინდა მზერა ათასების.

– კასკების ამაყო მოდგმავ! ვის არ გაუგია თქვენში სახელი ავხორცის და სულძალდ თერიასი? თერიასთან შესცოდა დიდმა ქურუმმა წაწლობის დროს. გატყდა საშვილიშვილოდ დამყარებული ადათი წაწლობის. მე ვიცოდი ეს და ვდუმდი.

– კასკებო, ამაყო მოდგმავ! ვის არ გაუგია თქვენში სახელი გმირთაგმირ ლადურის? იმისი უმანკო და სათაყვანებელი მაიმახის? მე, ჯამაათნო, მე წავაყვანინე კეთრმოდებული ქალი ჯადო-აუზთან. მე წამოვაყვანინე ისევ დიდ ქურუმთან, მე დავტანჯე ხალხის გმირი ლადურ!



ეს იყო ავხორცი თერიას შურისძიება საყვარელ კაცზე.  
ჯამაათნო! მე ვიცოდი ყველაფერი ეს და ვდუმდი!

ისიც ვიცი, რად გახმა ბარაქა და შნო ჰერეთის მიწის...  
ჯამაათნო! ხომ ნახეთ ის დღე უწმინდესმა ქადაგმა მხილება  
რომ იწყო დიდი ცოდვების, მე მოვაკვლევი ის ქადაგი რამის-  
ანდარს. ქადაგის მოკვლა კი ნიშნავდა გველიანდარის რისხვას  
ქურუმის თავზე!

გულის კანკალით უგდებდნენ ყურს გამირები. სხეულებს  
თანდათანობით სიცხე ემატებოდათ, სისხლი ქაფდებოდა. ქაფ-  
დებოდა შურისძიება.

– კასკებო! მე მიწლოდა დამესაჯა ადათის გამტეხი ქურუმთ-  
ქურუმი, მაგრამ მოვტყუედი. გველიანდარის რისხვა, მე რომ  
მეგონა, იმაზე დიდი გამოდგა. ქურუმთან ერთად პასუხი აგო  
მთელმა ჰერეთმა!

წყრომა და რისხვა შხამით ფერავდა გულებს, ისრებს, შუბის  
წვერებს, მზერას. უთვალავი მეხი ამოდიოდა მიწიდან. უხილავად  
ძვრებოდა მაგარ სხეულებს შიგნით სწვავდა და აზანზარებდა  
ათასებს.

– ეხლა რალა დაგრჩენიათ, კასკების ამაცო მოდგმავ?!

დაანგრეთ ჰერეთი საკუთარის ხელებით, დაწვით, გადა-  
ბუგეთ! პასუხი აგებინეთ ყველას სისხლით. ცოდო აქვე დამ-  
არხეთ. თქვენ კი მოძებნეთ სახელგანთქმული ლადურ. მოძებ-  
ნეთ მემკვიდრე, აიყარენით და წადით. სახელისა და დიდების  
გადასარჩენად ხეტიალი არის მოგონილი ამ ქვეყანაზე. თქვენზე  
ადრე ამ მიწიდან აყრილა თურმე დევების მოდგმა. იმათ კვალს  
მიჰყევით და იცოდეთ, თუ შესძლებთ იმათ გზებზე სიარულს,  
იმათ კვალის დევნას, თუ გამოიჩენთ გამძლეობას და ამტანობას,  
მაშინ ხელახლა დაგიბრუნდებათ წყალობა დიდის გველიანდარის!

გაყურდა. ყვითელი თიხით გალესილი პირი უცნაურად აუ-  
კანკალდა. დაშრეტილ თვალთაგან მწვანე შხამმა იელვა, ღია  
თვალიდან ცრემლმა, ცხვირიდან ძმარმა, პირიდან დორბლმა.

ცეცხლმოდებული კუნძივით დაიწყო ჟვანვა და შიშინი.

– სიკვდილი! ჩავქოლოთ! მეხივით გაიხმაურა ამ ორმა სიტყვამ ჰაერში.

– სიკვდილი! ჩავქოლოთ! – გაიმეორეს შხამით საცხე გულებმა.

ამ გუგუნს ცა და მიწა ერთად აძლევდა ბანს. აიმართა მკლავების ტყე. თითო ქვა ყველამ ასწია ჰაერში.

ყველას გულმა თქვა თითო წყევლა და... ერთ წუთზე ადრე უზარმაზარი საფლავი გაჩნდა იმ ადგილას.

ქოქოლა, წყევლა და ზიზლი ერთად დაიმარხნენ იმ დღეს უჯარმაში.

ჯამაათონო! ეს იყო ნიშანი მაღალი შურისძიების. განგება მოუწოდებდა მოდგმას უდიდესი მსხვერპლის შესანიშნავად.

კოჭრის უბანში რომ გაიგეს ეს ამბავი, ოთხფრად შემოტრიალდა იმედი ჩაყვითლებულ თვალებში. ოთხი კუთხიდან აენტო ღონემიხდილი სხეულები. აიყარა ხალხი და დაიძრა უჯარმიდან მომავალი გმირების შესახვედრად.

სასახლეში ეს ცნობა რომ მოვიდა, ლომები აუშვეს.

ქურუმთ-ქურუმი რამისანდარ ყველაზე კარგად გრძნობდა ხალხის რისხვას.

ნარჩინებულნი, მისნები, უხუცესნი დილიდან საღამომდის დიოდნენ სასახლეში, ბჭობდნენ, ანგარიშობდნენ, ვარაუდობდნენ, მაგრამ კარებზე მომდგარი რისხვა რევდა მოსაზრებას, დამბლასა სცემდა თავდაცვის უნარს.

მაშინ, ხსნა რომ არსაით იყო, აჯანყებული ხალხი და რისხვა დღითიდღე რომ უახლოვდებოდა სასახლეს, სიკვდილი რომ გამოჩნდა მაღალ თალებ ქვეშ. შავი ფერი რომ ჩანვა და ჩაიჭედა თვალებში...

ჯამაათონო! სწორედ მაშინ ბრძანა რამისანდარმა თერიას მიყვანა სასახლეში. აუზთან ნარინჯის კედლებით.

ისევ ისე დულდა აქაფებული, ღვინონარევი ნუშის რძე. ისევ ისეთი ფერადი ქრატები ენთო ირგვლივ.

არავინ არ იცოდა რა სწადა და ძღვევამოსილ ქურუმს. არც თერამ იცოდა. გავარვარებული სხეულით ეკვროდა გაყინულ ნარინჯის მოაჯირებს. იზმორებოდა, იღეოდა, იღვენთებოდა, უცდიდა.

ვნების ნაპერწკლები უელავდა დარგვალეზულ მუხლის თავებზე. მოშინაურებულ გველებს ეალერსებოდა ფეხის გულებით.

რამისანდარ არა ჩქარობდა, საშიში აზრები უტრიალებდა ღონიერ სხეულში. ბრძანა ზეთები დაენთოთ სამსხვერპლოზე და ყველაზე ლამაზი ქალწული და გველი შეენირათ ძღვევამოსილი გველიანდარისთვის.

... და მაშინ სამსხვერპლოზე დანთებული ცეცხლი ყველაზე მაღალ თალებს რომ სწვდებოდა იმ დარბაზში, საშინელ ტკივილებში რომ იგრისებოდნენ ქალი და გველი. იმათი ნივლი რომ ხეთქავდა სმენას, სმენის ყველაზე მაგარ ფარებს... შემწვარი ხორცის სუნი რომ ათრობდა და აბრუებდა, მაშინ რამისანდარ მხარეთძოზე წამოწოლილი მაღალ გერმის ბალიშებზე ვნება ამდგარი თვლებით და სხეულით შეჰყურებდა ცეცხლისა და ხორცის ხუმრობას, ალერსს.

შიშველი მხეველების წნულები უვლიდა ამ დროს სამსხვერპლოს.

საჭურისები ჩაყვითლებული სახეებით ითანგებოდნენ შიშით.

რამისანდარ არა ჩქარობდა. გაცეცხლებული ქუთუთოების ქვეშიდან, დინჯად ზვერავდა ცხოვრების არარაობას. სიცოცხლეს ფუჭსა და ამაოს.

კარგად რომ დაიქანცა ცქერით, ყნოსვით, კარგად რომ გაძღა სანახაობით, ეხლა სხვანაირი ეშვი წამოყო მრისხანებამ...

ბრძანა სამი ყველაზე ლამაზი მხეველისათვის აუგი მოეჭრათ... ბრძანება შესრულდა უცბად.

გასაოცარი სიამოვნებით შეჰყურებდა რამისანდარ სისხლიანი ბარდაყებისა და მუხლების კანკალს.

ნახევარ ძილში ჩაძირული სხეული თანდათანობით ფხიზლდებოდა სამი ქალის კვილზე.

სამი აუგი უკანასკნელად რომ აპრიალდა იმ ცეცხლზე, უკანასკნელი სიტკობო რომ ეძგერა ვნებაში გაგიჟებულ სხეულს, მაშინ წამოდგა რამისანდარ და ბრძანა ყველა მხევალი, ნელ-ნელა სათითაოდ დაეკლათ სამსხვერპლოს წინ. თვითონ კი შეიჭრა თერიასთან.

თერიას იმ ლოდინში ჩასძინებოდა. ორ გველს ბუდე გაეკეთებინა იმის მკერდზე ორი გველიც ბარძაყებს ულოკავდა უშხამო ენით.

ბარძაყებს ზევით მიხაკისფერი ნაზი აბრეშუმი საოცრად აქანდაკებდა კრიალა კანს, მრგვალ მკერდზე ჩამოშლილი ნაწნავები ოთხი გველის სინაზით ერწეოდა.

თერიამ თვალეები რომ გაახილა და გაიზმორა, სიკვდილი აღარ უნდოდა რამისანდარს.

სრულიად აუღელვებლად დაიწყო წურვა ტკბილი შხამის, რომელიც ასე უხვად სდიოდა თერიას ნაქარაგმევ ვარვარა სხეულს.

ათასნაირი ხერხით დაიგრიხა ვნება იმ წუთში. ათასი შესაძლებლობა გაჩნდა სიცოცხლის, სიტკობოს და სიკვდილის შეხვედრაში.

დადგა წუთი, სასახლის ეზოში ხმაური ატყდა შურისძიებით აკივლებულ მოდგმის. სასახლეში სამსხვერპლოს წინ ახრიალდა დაკლული მხეველების სისხლი. ავარდა რისხვა. ზანზარი იწყო დედამინამ.

ამ დროს ამ ველურ ხმებზე, თავგამოდებით ეძლეოდა თერია რამისანდარს, გათამამებული ქალის ყველა ხერხებით.

და მაშინ, შუბებანეული ვაჟკაცები რომ მიიბრძოდნენ სასახლეში, ღონიერმა კარებებმა რომ ზნეკა იწყო, მტვრევა, ზანზარი.

ათასი მრისხანებით რომ იწვედა სიკვდილი დარბაზში... მაშინ, უზარმაზარ აუზში ნარინჯის კედლებით, ადულებულ, ღვინონარეც ნუშის რძეში უკანასკნელად იზმორებოდა ორი სხეული, წაწლობდნენ, თვრებოდნენ, იღრჩობოდნენ.

კარები რომ დაიმტვრა, ცოცხალი ტალღა რომ ჩაიჭედა ვინრო ყელში, შუბების ტყე რომ გაკეთდა აუზის ირგვლივ... მაშინ აუზის ძირზე ორი უსულო გვამი ეგდო.

შუბებით ამოსწიეს და იცნეს ერთი იყო სახელგანთქმული ქურუმთ-ქურუმი, მეორე კი თერია.

თუ რამე ეჭვი კიდევ იყო, იმნუთშივე გაქრა. ერთხმად გად-ანყდა დაენგრიათ სასახლე. გადაეთხარათ ქვა და კირი. რძეში და კვერცხის ცილაში ნადუღაბები სიმტკიცე ამაყი თაღების.

და ბაცი სისხლისფრად რომ ლესავდა დაისი ჰერეთის მინას, მაშინ ნგრევისა და რღვევის ხმა ზეცამდის წვედებოდა თურმე.

## ზღაპარი ოცდამეერთე

უჩვეულო თუ სამიშ ხმებში დარწეული კეთროვანნი ნელ-ნელა იღვიძებდნენ. ნელ-ნელა იღვიძებდა წყალიც აუზში, მზეც, ტკივილებიც.

მთელი დღე ბანაობდნენ და იკურნებოდნენ წყლით და მზით – აუზით, ჯადო აუზით.

როცა ღამდებოდა, როცა ყვითელი მთვარის შუქი ხელახლად ჩნდებოდა დამრგვალებულ ტალღებზე, როცა ჩნდებოდა ჩრდი-ლი გამოუმწვარ თიხის ძირას – იმ აუზთან, მაშინ ჯადო-აუზის სიღრმიდან ისმოდა ახალი ზღაპარი...

ჯამაათონ! კეთროვანი დედოფალი რომ მოიყვანეს ჯა-დო-აუზთან, სამჯერ შემოატარეს თიხის კედლებს. ერთად დაი-ჩოქა კეთროვანთა ლაშქარმა აუზის ირგვლივ... ლოცვად დადგა ჩირქით დატენილი სხეულები.

მაშინ... აუზში რომ გადაყარეს თვალები, სიცხითა და ჩირქით დამწვარი მზერა... ყველა განცვიფრდა – წყალი სისხლისფრად შეღებილიყო.

კიდევ ჩახედეს... კიდევ დაიჭიმა სასომიხდელი კისრები აუზის ირგვლივ. კიდევ დარწმუნდნენ რომ წყალი სისხლისფრად შეღებილიყო.

გაისმა ჩხავილი და კივილი, გაჩნდა შიში, მწუხარება. დიდხანს უყურეს, მაგრამ ვერავინ ვერ მიხვდა ამ საიდუმლოს.

ყველას ეშინოდა აუზში ჩასვლის. სხვანაირად გაითანგა კეთროვანთა სხეულები ამ სისხლის ფერზე.

რამდენიმე დღეს გასტანა ამ შიშმა და მწუხარებამ.

შენუხდა ხალხი. რალას უნდა დაენვა ჩირქი და შანგი, კეთრი იმათ სხეულებზე? აუზში ჩასვლისა კი ყველას ეშინოდა. ყველა კრთოდა შიშით ნითელი წყლის დანახვაზე.

დიდხანს გასტანა ბორგვამ და წყვეტებამ. ილაჯნამხდარ სირბილმა აუზის ირგვლივ, დაიქანცა მზერა, მუხლი, ნანვეტებუ-ლი კისრები.

მაშინ სცადეს წყლის ამოღება. ამოიღეს და განცვიფრდნენ, წყალს ნითელი გველები ამოჰყვა თან.

იმათი იქ არ ყოფნის დროს უდაბნოს ნითელ გველებს ბუდე გაეკეთებინათ იმ აუზში.

ეს რომ გაიგეს იმათი კივილი ცასა სწვდებოდა. საითლა უნდა წაელოთ დამპალი და დაჩირქებული ხორცი და წვალეა?..

მაშინ მოიხმეს ლადურ, რომელიც აუზის გარშემო ტრიალებ-და მაკე ვეფხვივით.

ათასნაირი ხერხებით სცადეს გველების ამოყრა იმ აუზიდან, მაგრამ ამაოდ. ყველას ანცვიფრებდა უთვალავი რიცხვი, სიმსხო და სიგრძე იმ გველების.

როცა დარწმუნდნენ, რომ არავითარი ძალით აღარ შეი-ძლებოდა გველების განდევნა, მაშინ წამოიჩოქა ყველამ ერთად აუზის პირზე და ატირდნენ.

მაშინ არავინ იცოდა, თუ რა სასწაულს უმზადებდა განგება კეთროვანთა ლაშქარს.

ცხრა დღე იტირეს. კარგად რომ დაიქანცნენ და დაიბერნენ უზარმაზარი მწუხარებით, ცრემლით, მაშინ გადანყვიტეს უდაბნოს ქვიშით ამოევსოთ საყვარელი აუზი.

გადანყვიტეს და გასაოცარი კვილით გაიბნა კეთროვანთა ლაშქარი უდაბნოში. ნამოშალეს ქარიშხლები გახურებული ქვიშის.

შვიდი დღე და ღამე იარა ქვიშამ უდაბნოდან აუზში. ლადურ თავგამოდებით ბრუნავდა კეთროვანთა ირგვლივ და შველოდა. ყველას ანცვიფრებდა ღონე და ამტანობა დევგმირის.

მერვე დღეს ჩადგნენ ქარიშხლები. აუზი სავსე იყო შავი ტალახით. შემოკრბნენ გარშემო კეთროვანნი და თქვეს უკანასკნელი წყევლა.

და მაშინ, ყველა ერთად რომ იყო შემორკალული ირგვლივ... სინანული რომ ბზარავდა უნუგემოდ დარჩენილ კეთროვანებს, მაშინ...

ჯამაათნო, სწორედ მაშინ დაიძრა საოცარი ოხშივარი აუზის ძირიდან. იმ ტალახმა ბრუნვა იწყო, გული ამოიბრუნა.

მაშინ განცვიფრებულმა და გახარებულმა ხალხმა სცადა მსხვერპლის შეწირვა. ყველაზე უნუგემო და დახრული კეთროვანი ასწიეს და გადაუშვეს აუზში.

ბევრს თვალები დაუსკდა შიშით ამის დანახვაზე. ყველას ეგონა, რომ ნაცრად იქცეოდა ხორცი და სხეული.

მაგრამ, აი, აქ მოხდა სასწაული. ის მსხვერპლი სიამოვნებით ირწეოდა თბილ ტალღებზე. სიკვდილს სრულიადაც არ ფიქრობდა. პირიქით, თანდათანობით დაიწყო განკურნება და შეხორცება კეთრით დახრულმა სხეულმა.

ამან უფრო შეაშინა კეთროვანი ხალხი. გაგიჟებული კივილ-წივილით დარბოდნენ ირგვლივ. და იყო ისევ არევ-დარევა, წყვეტება, გაცოფება.

ჯამაათნო! მეორე დღეს რომ ჩაიხედეს აუზში, სრულიად განკურნებული კეთროვანი მშვიდად ილიმებოდა. და იწვევდა ხალხს საბანაოდ.

ხალხი ერთ წუთს შედრკა, გაითანგა. ერთ წუთს ვერავინ ვერ ბედავდა სიკვდილთან თამაშს. გაჩუმდნენ. ზომაზე მეტად გახელილ თვალებით ზვერავენ მდგომარეობას.

დადგა წუთი და უხილავმა ძალამ ხელი ჰკრა ყველას ერთად. თვალის დახამხამებაზე ადრე აივსო აუზი ხალხით.

კეთროვან სხეულების დაცხრომა, სიხარული, სიმღერა. კიდევ სიხარული და გაუთავებელი ლოცვა. ერთმანეთში კოცნა და გულში ჩახუტება, ალერსი და კოცნა ტალახის, კედლების, ქვიშის, მზის. ქვეყნის, სიცოცხლის.

ყველაფერი ეს ერთბაშად, ერთ წუთში ხდებოდა.

შვიდი დღის შემდეგ აღარც ერთი კეთროვანი აღარ იყო იმ აუზთან – ჯადო-აუზთან.

კიდევ რამდენიმე დღე რომ გავიდა, გადაკაფულ ლოტოსის სურნელებით გაიფურჩქნა კეთროვანთა დედოფალი.

რძითა და ბარაქით გაიჭედა იმისი ორი ძუძუ სპილოს ძვლისაგან ნათალ მკერდზე.

ამის გამო ჰერეთის მემკვიდრეს შუქი დაეფინა პატარა სხეულზე. მაშინ შემოკრბა ხალხი და დაარქვა სურაია, რაც ნიშნავდა წელში გასწორებას და ნარნარ რხევას მოღერებულ კისრით.

ლადურის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. სათითაოდ გადაჰკოცნა ყველანი. გადაჰკოცნა მზე, მთვარე, უდაბნო, ქვიშა, სიცოცხლე და დაიწყო ახალი ცხოვრება.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ დარჩენილა ხალხი იმ აუზთან.

ლადურ აირჩიეს წინამძღოლად – ქურუმად. აიყარნენ და წამოვიდნენ თაშუს უდაბნოში – საყვარელი ჰერეთისკენ.

ჯამაათონ! უჩვეულო სიხარული და სიტკბო ედგა ყველას სხეულში.

ამ მდგომარეობაში უდაბნო იკეცებოდა. მოკლდებოდა. გზაც მოკლდებოდა, გაჭირვებაც. ასე სცოდნია სიხარულს უთვალავი მწუხარების შემდეგ.



ჯამაათნო! სწორედ ამ დროს ჰერეთში არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა. განრისხებული მოდგმა კასკების ქარიშხალივით ეხეთქებოდა მთელ ქვეყანას კუთხიდან კუთხემდე. დაანგრის და გადათხარეს სასახლე, ტაძრები, ციხე-დარბაზები. დახოცეს ყველა წარჩინებული და უხუცესნი: მდიდარი, დერვიში, მისანი, მკითხავი. მთელი ჯოგი ავსულთა, სულძალთა.

სულ რამდენიმე დღეში უდაბნოდ იქცა მთელი ქვეყანა.

ცხელმა სისხლმა გაჟლინთა ჰერეთის მიწა.

ფესვიანად რომ გადაინვა და გატიალდა ქვეყანა, მაშინ შემოკრბნენ სახელგანთქმულ უდარუს მოედანზე და თქვეს პირველი წყევლა საშოგამშრალ ჰერეთის მიწის.

მაშინ გადაწყვიტეს აყრილიყვნენ ამ მიწიდან და წასულიყვნენ დევების კვალზე.

ეს რომ გადწყდა, გაიმართა სისხლიანი სხეულებით წაწლობა უკანასკნელად ჰერეთის მიწაზე. უცბად გაჩნდა შიშველი ტანის ჯირითი, გრეხა, წანვეტება და მტვრევა ძუძუების, მიწაზე განოლა, გასრიალება. მკერდების ხახუნი მზით დამწვარ ქვიშის. სულ მალე ყვითლად გაიფერა ყომრალი კანი. გაჩნდა ცეცხლი და ბული ირგვლივ, ვნება, ვნების ოხშივარი. და ისევ წაწლობა, წანვეტება, გორაობა. გრეხა და ჭიდილი, სასომიხდილი დაწვნა და ძრომა, გაშმაგება.

წაწლობდნენ უხმოდ, წვალეებით უკანასკნელად ჰერეთის მიწაზე.

დიდხანს ეკვროდნენ გაცეცხლებული მკერდებით ჰერეთის მიწას, დიდხანს ლოკავდნენ, ჰკოცნიდნენ, დაჰქვითინებდნენ.

მზემ რომ ალოკა შორეული უდაბნოების ზოლი, შორით ნატყორცნმა სხივმა წითლად რომ შეღება ვნებაში გადაღვენთილი უდარუ.

სიცხე რომ შენელდა, ვნება რომ შეიკუმმა და გაყუჩდა დაქანცულ სხეულებს შიგნით, მაშინ დაიჩოქა ყველამ ერთხმად.

ნაიშვირეს გულები ზეცისკენ, თვალელები მიწისკენ, ფიქრი მო-  
მავლისკენ და თქვეს უკანასკნელი საგალობელი – განშორების.

ჯამაათნო! მაშინ წამოიშალა მთელი მოდგმა და გავიდა  
ჰერეთიდან ჯარი სახელგანთქმულ ვაჟკაცთა, მიაცილებდა ამ  
დენას თაშუს საშიშ უდაბნოსაკენ, იქ, ჯადო-აუზთან.

ერთი რწმენა ამეტყველებდა მთელ მოდგმას, ერთი იმედი.  
ეს იყო დევგმირი ლადურ და მემკვიდრე ჰერეთის.

ჩუმი ქვითინით მიიმართებოდა ლაშქარი, მოდგმა. მზეცა  
ქვითინებდა, მთვარეც, უდაბნოც. არა ქვითინებდა მხოლოდ  
იმედი, ათასნაირ ფრთებით რომ იყო გატყორცნილი ძალიან  
შორს, შორს დიდებული მომავლისაკენ.

## ზღაპარი ოცდამეორე

ჯამაათნო! ასე გაჩნდა თაშუს უდაბნოში ორი დენა. ერთი  
იყო ჯადო-აუზიდან აყრილი განკურნებული ხალხი, სიხარულით  
და სიმღერით რომ მოიმართებოდა საყვარელი ჰერეთისაკენ...

მეორე კი ჰერეთიდან აყრილი მოდგმა, ნვალეებით და გლო-  
ვით რომ მიემართებოდა ჯადო-აუზისაკენ.

უნახავად დამძიმებული უდაბნო ზანზარებდა, გიჟდებოდა,  
ცაში ვარდებოდა, შემდეგ ისევ მიწაზე ენარცხებოდა, ბრუნავდა.  
ძალიან ბრუნავდა, იწვოდა.

ყოველ წუთს დგებოდნენ გამხეცებული ქარიშხლები, გახურე-  
ბული ქვიშის ტყეები ჩნდებოდა ირგვლივ. ჩნდებოდა წყურვილი,  
გაჭირვება.

ცეცხლები ვარდებოდა ცას. მეხები სერავდნენ სივრცეებს.  
გიჟდებოდა ქვეყანა, ხალხი, უდაბნო.

ზოგჯერ ჯოგი უცნობ და უნახავ ნადირის დგებოდა წინ  
საოცარი კვილით.

მრისხანედ დარაჯობდნენ ჰერეთის გმირები საყვარელ მოდგმას ყოველგვარი განსაცდელისაგან.

ნაწილი მარჯვნივ იბრძოდა, ნაწილი მარცხნივ. ზოგი თავგამოდებულ კივილით მისდევდა გველების ჯოგს... ზოგი ცას ემუქრებოდა, ზოგი – მიწას, ზოგიც – განგებას.

მეცხრე დღე რომ გათენდა, წყნარი უდაბნო რომ გაიშალა თვალწინ, ყველა სახიფათო ადგილები უკვე განვლილი იყო. შიში და მწუხარება ღიმილმა შეცვალა, რომელიც უფრო ახალგაზრდებს უკრთებოდა დაქანცულ სახეებზე. მღეროდნენ ჰერეთის ასულნი. გასაოცარი ძალით აქრობდა ეს სიმღერა ყოველგვარ გაჭირვებას, წვალეებას.

ჯამაათნო! კარგად რომ მოშუადღევდა, გაბრაზებული მზე რომ სხვანაირად იკბინებოდა და სწვავდა შიშველ სხეულებს, ცეცხლები რომ გაუჩნდათ მკერდებზე და მკერდებ ქვეშ... სიცხით დადუნებული სხეულები რომ თვლემდნენ და იზმორებოდნენ... მაშინ გახედეს უდაბნოს შორეულ ზოლებს და განცვიფრდნენ. უზარმაზარი მოძრაობა რომ შენიშნეს უთვალავ ხალხის.

ერთ წუთს უხილავმა ძალამ გასცა ბრძანება და სახელგანთქმული გმირების ჯარი ერთად შემოკრბა...

მკერდი ააფარა საყვარელ მოდგმას.

გაქანებულ ცხენებზე გაჩნდა ბჭობა. გადანყვიტეს, შორს გაქროლებულიყვნენ და იქ შეხვედროდნენ მტერს.

მოდგმამ კი შუა უდაბნოში დაიბანაკა.

სიყვარულით რომ მიავლ-მოავლეს თვალი ცოლებს, შვილებს, საყვარელ ნაწლებს, მაშინ მონყდა რისხვა და გაქანდა შურდულივით.

ორმოცი ათასამდის გაფრენილი მხედარი კივილით წინ მიიწევდა, უკან რჩებოდა ბუქი, ცამდის ატანილი, და სიცხე.

სულ მალე ოფლით დასველდა უდაბნო, დაიბინდა, გაითანგა. კეთროვანთა ლაშქარმა ძალიან შორიდან შენიშნა ეს მოძრაობა, აღვირახსნილი და თამამი.

შეშვოთდა ხალხი, ბინდი ჩანვა ათიათას გულში და თვალში, მაგრამ სახელგანთქმული ლადურ თან რომ ჰყავდათ, არ დაიბნენ.

ათჯერ ათ რკალად შემოერტყნენ საყვარელ დედოფალს, მემკვიდრეს, ნანვნენ და გაინაბნენ გახურებულ ქვიშაში.

გაფრენილი ლაშქარი ამასობაში თანდათანობით უახლოვდებოდა. დევგმირი ლადურ ერთ წუთს განვა მინაზე და ყური დაუგდო. მაგრამ ვერაფერს ვერ მიხვდა. კიდევ დაადო ყური მინას – მანც ვერაფერს მიხვდა. მაშინ შეჰკვივლა ათასი ვეფხვის მრისხანებით. წამოვარდა, მეხები მორკალა მაგარ მუხლებით და გაქანდა. ერთი ქარიშხალი გაჰყვა თან და ათასი რისხვა.

– ჰაუ! ჰერეთის ვეფხვებო! – ესლა შეჰკვივლა და... ელვასავით განათდა გაფრენილი ლაშქრის წინ.

იცნეს, იკვილეს. ლადურ! ორმოცი ათასმა კაცმა და ცხენმა ერთად გაიგრილა ჰაერში.

მაგრად რომ მოჭიმეს სადავეები... უდაბნო შეინძრა რისხვით. ერთ წუთს შეჩერდა ბრუნვა, ერთ წუთს ჩაქრა მზე, ხალისი დაეკარგა სიცხეს.

ეხლა გაჩნდა სხვანაირი ფრენა ცხენებიდან ქვიშაზე, ქვიშიდან გმირამდე.

უზარმაზარი ჯოგი რჩეულ ვაჟკაცთა მიაცილებდა ლადურს უკან, იქ, სადაც შუა უდაბნოში დაებანაკა ამაყ მოდგმას.

უამბეს ლადურს საყვარელი ჰერეთის თავგადასავალი – განცვიფრდა. ახლა ლადურმა უამბო მოდგმას კეთროვანთა განკურნება და თავგადასავალი – განცვიფრდნენ.

უდაბნოც განცვიფრდა, ცაც, მზეც.

დრო აღარ იცდიდა, გამოყვეს ასი რჩეული ვაჟკაცი და უბრძანეს გაფრენა კეთროვანთა ბანაკში – დედოფლის და მემკვიდრის მოსაყვანად.

მაშინ გაჩნდა სანახაობა. ასი ფაფარაყრილი მერანი გაეკრო ქვიშას. გაქაფებული მკერდები ნახევრად ქვიშაში მიფრინავდნენ – ნახევრად უდაბნოში, ნახევრად – ჰაერში.

მხედრები დგებოდნენ გაფრენილ მერნებზე. სუნთქვაშეკრული მკერდები განივრდებოდნენ ამტანობით.

სულ მალე გაქრა ყველაფერი. დარჩა მხოლოდ მოძრაობა ფერადი ზოლების. მალე ესეც გაქრა. გახურებულმა უდაბნომ ჩაყლაპა ყოველგვარი მოძრაობა სულდგმულის. დარჩა მხოლოდ ცისა და მიწის ზოლზე დარხეული ბურუსი, სიცხე, ქვიშა. ნაფეხურები და უდაბნოს თავზე გადატარებული თავხედობა თავხედად ადამიანის.

ჯამაათნო! მაშინ, ათ ზოლად მორკალული კეთროვანთა ლაშქარი წელამდის რომ იყო ჩაფლული ქვიშაში, შიშით და კანკალით რომ ელოდა განგების რისხვას, დევგმირი ლადურ რომ გაქრა და განიავდა უდაბნოში, არავინ არაფერი იცოდა თურა მოხდებოდა, როგორ დაიხლაკნებოდა ბედისწერა.

ხანი რომ გავიდა, მოთმინება რომ უკანასკნელ ძაფებს დაეკიდა, შიშით მაშინ დაზვერეს უდაბნო ირგვლივ.

თავგანწირული მოძრაობა რომ შენიშნეს სულ ახლოს, უფრო შეამჭიდროვეს რიგები. ალბათ აღარ სუნთქავდნენ, რომ ყოველგვარი მოძრაობა ჩაქრა და გაითანგა ირგვლივ.

და ის იყო ათასი გული უნდა დახეთქილიყო მრისხანებით, რომ მოესმათ შორი ძახილი: – ჰაუ, ჰერეთის მონებო, ადიდეთ განგება!

იცნეს, კასკები იყვნენ.

სულ მალე ქვიშას გამოეყო ათასი თავი. ბანაკი შეიძრა, ბანაკი აზვირთდა, წამოიშალა. იმედით აიმართა მკლავების ტყე და ითქვა დიდება განგების.

ამ დროს მხედრები მოვარდნენ და წამოაჩოქეს მერნები. თითონაც დაიჩოქეს დედოფლისა და მემკვიდრის წინაშე.

სიხარულმა და განცვიფრებამ კარგა ხანს შეაჩერა დაღამება, რომელიც ათასი მრისხანებით ჩამოდიოდა ზეციდან და წვებოდა უდაბნოში.

ჯამაათნო! ის ღამე ველარ ღამობდა. არც ერთი სულდგმული აღარ ნატრობდა მოსვენებას.

სიხარულმა გააქრო ძილი და მთქნარება..

შუალამე კარგად რომ გადავიდა, ახალი ნყვდიადი და ღამე რომ ჩამოეშვა ზეციდან, მაშინ ზედიზედ მიწოლილები და გათანგულები ყურს უგდებდნენ საშიშ ამბავს... თუ როგორ დაინგრა ამაყი ჰერეთი და იმისი დიდება, როგორ გაშრა რძითა და ბარაქით გაჭედილი ჰერეთის მიწა, როგორ დაინგრა უდანდარი და სახელგანთქმული უჯარმა, როგორ ჩაქოლეს მისანი ქოქოლა, როგორ დაიხრჩო ქურუმთ ქურუმი რამისანდარი, როგორ განადგურდა ნარჩინებულთა და უხუცესთა ჯარი, როგორ გადაითხარა ტაძარი და იმისი დიდება, როგორ აიყარა მოდგმა და დაიძრა ქვეყნებისაკენ სახელისა და დიდების გადასარჩენად. იმ უდაბნოში იმ ღამეს მწუხარედ გაისმოდა ყოველი სიტყვა ამ საშიში მოთხრობიდან.

სისხლი ეყინებოდათ ათასებს, სუნთქვა უგუბდებოდათ, ჯირკვლები უსივდებოდათ, უსკდებოდათ. ჩუმი ქვითინი ისმოდა თაშუს უდაბნოში იმ უკუნეთ ღამეს.

უთვალავი ლურჯი მტრედი რომ გაეკრა ცის კამარას, შორეულ ზოლებს, მიწამ და ცამ ერთად რომ შესცინეს ამომავალ მზის პირველ სხივს, მაშინ წამოიშალა კეთროვანთა ბანაკი და დადგა გზაზე.

გარშემორტყმული გმირები ფხიზლად დარაჯობდნენ ყოველ ნაბიჯს, ყოველ ამოსუნთქვას დედოფლისა და მემკვიდრისას.

ჯამაათნო! უდაბნოს გველებიც კი გზას უთმობდნენ და ინაბებოდნენ ალერსით იმათ დანახვაზე.

სიცხეც შენელდა, გაჭირვებაც. გახარებული გულები სხვანაირად იხსნებოდნენ და იკუმშებოდნენ, სხვანაირად ტრიალებდა სისხლი დაქანცულ სხეულებში, დუღდა, ქაფდებოდა.

გახარებული მზერა შორს გამოჩენილ ზოლებს იქით ეჭიდებოდა სივრცეებს, სადაც დაბანაკებული იყო ამაყი მოდგმა კასკების.

დღე და ღამე იარეს შეუსვენებლივ. რა შეასვენებდა ცამდის ატანილ ცნობისმოყვარეობას?

მეორე დღე რომ გათენდა, კარგად რომ მოედო მზის სხივი უდაბნოს, კარგად რომ გაიფერა ცა და ქვეყანა, მაშინ იგრძნეს ყნოსვა ჰერეთის მიწის და ხალისიანი სიცოცხლის.

წინ გამოეგებნენ. დიდი და პატარა გაყვითლებული სახეებით შეჰყურებდნენ განკურნებულ კეთროვანებს., უკვირდათ, ლოცულობდნენ, კიოდნენ. და იყო ხვეწნა, ალერსი, ხვეწნა და განაბვა, ცრემლები.

დიდხანს გრძელდებოდა ხელახლა გაცნობა, ხელახლა დამობილება, გულების მიკარება, ცხელი მკერდების ხახუნი.

ჯამაათონ! დრო აღარ იცდიდა. პირველი შეხვედრის მწვავე შთაბეჭდილება რომ გაქრა და განიავდა, სიხარული რომ ჩაინვა, გულები რომ დაცხრნენ, მაშინ მორკალეს უშველებელი წრე გახურებულ ქვიშაზე. რჩეულნი გადგნენ შუაზე და დაიწყეს ბჭობა. ამ დროს ყველა გაინაბა, გაინაბა უდაბნო, ცა. მოძრაობა სამყაროს დენის, მძლავრი ქარიშხლები. ძალიან შორს ებლაუჭებოდნენ უდაბნოს, ცაში აჰქონდათ, ატრიალებდნენ, აწვალებდნენ. ძალიან მალლიდან ანარცხებდნენ ისევ მიწაზე, ორმაგი გახელებით.

დიდხანს არ გაგრძელდა ბჭობა. მოულოდნელად დაიგრილა ათასჯერ ნაცნობმა კვილმა: იდიდოს!

– იდიდოს, იდიდოს! ბობოქრობდა ხალხის ტალღა კუთხიდან – კუთხემდე. – იდიდოს ლადურ! იდიდოს, იდიდოს! – იმეორებდა ხალხის ტალღა. უთვალავი გულები და პირები ერთად იხსნებოდა, ერთად კიოდა, ერთად ლოცულობდა.

გამოიყვანეს ლადურ შუა წრეში. სამოცი ისარი სტყორცნეს უდაბნოს. ითქვა სამოცი საგალობელი და მიულოცეს მოდგმის წინამძღოლობა.

მაშინ აკივლდა და აილენა უთვალავი ლაშქარი. უთვალავი მხარი და მკლავი აიმართა ჰაერში და მორჩილების ნიშნად დაეშვა მიწაზე.

– იდიდოს! – გრიალებდა ხალხი, ქვეყანა.

– იდიდოს, იდიდოს! – იმეორებდა უდაბნო, უკანასკნელ განივებს ეჭიდებოდა ეს გუგუნი, ეს სიხარული, ეს კივილი და აშფოთებდა ძალიან შორს გამფთხალ ოცნებას.

## ზღაპარი ოცდამესამე

ის დღე კიდეც დაღამდა. მეორე დღეს იმ შუა უდაბნოში, იმ გახურებულ ქვიშაზე გაჩნდა დიდი დღესასწაული მაიმახის გამზევების და პატარა მემკვიდრის დაწინდვის.

გუნდებად დარაზმული ვაჟკაცები ჯირითობდნენ ისრის ტყორცნაში და ლახტის ცემაში, ვეფხვის ნახტომში, სირბილში, ამტანობაში, მუხლისა და გულის სიმაგრეში, კივილში. კივილშიაც იმართებოდა შეჯიბრი მაშინ ჰერეთში.

ყელამდის ამოსული გულები ერთიორად იბერებოდნენ, ეწვალეობდნენ, მაინც გულობდნენ.

იმ გულების ქაქანი მეცხრე ცამდის უწევდა თურმე. უწევდა და რევდა პატარა გულების და დიდი სხეულების საჭირო ნონასწორობას.

ჯირითი რომ გათავდა, ვაჟკაცთა ჯარები რომ მიწვინ დასასვენებლად, მაშინ დარაზმდნენ მშვენიერნი ასულნი ჰერეთის.

გუნდნი და გუნდნი საუცხოოდ ნაშენ და ნაქარაგმევ ნნულების ყველა მხრიდან მოცურავდა ქანცმილეულ და მხართეძოზე მიწოლილ ლაშქრისკენ.

ქარიშხლებიც კი გაითანგნენ ამ სანახაობით.

ათასნაირად იხლაცნებოდა ბარძაყებშია ჩაჭედილი მკლავები. მკლავებშია ჩაჭედილი ბარძაყები. გადაქნეული კისრები და წინ წამოვარდნილი ძუძუები.

ათასობით დაწნული სხეულები უცბად, ერთ ნუთში გაიშალა და გაგორდა ქვიშაზე გაშმაგებულ და გვერდზე მიწოლილ



ვაჟკაცების წინ... მაშინ დაინყო საოცარი წაწლობა, გახელება, სიგიჟე.

სხეული სხეულს ეკვროდა, იტაცებდა, სხეული სხეულში ვარდებოდა, ქრებოდა, ხელახლად ჩნდებოდა, გორაობდა, იწვოდა.

ნახევრად ნაკუზვა, ნავარდნა, წაჩოქება, მზერა, გადაღვენთვა. კივილი. ხელახლად ავარდნა, ანიოკება, აშლა. წინ წანვეტება ძუძუების და ხახუნი მრგვალი მუცლებით. ისევ ავარდნა და რბილად გაგორება გახურებულ ქვიშაზე. გაოფლიანებულ ილღიებქვეშ გრეხა გაშემებული კისრებით. ლაჯებქვეშ ძრომა ანთებული ტორსებით და გათანგვა ვნებაში.

ისევ წნულები. ისევ ცურვა და სრიალი. ფეხის ფრჩხილებზე მიკარება და რხევა პრიალა ხორცის. ისევ წაწლობა, გაყურება, ქაქანი.

ყელში მომდგარი ვნება და სრიალი. ძუძუებში ჩავარდნილი ეშხი და წვალეზა. ლაჯებ ქვეშ გაჩენილი სიტკბო და წვა, ანთება, ახურება.

ისევ ნაკუზვა და წაჩოქება, ზნექა, გადაღვენთა და კივილი ვნებით ანიოკებულ ხორცის და სისხლის.

ჯამაათნო! როცა წაწლობა გათავდა, სასომიხდილი სხეულეზი რომ გაგორდნენ მიწაზე და ლაპარაკის თავი აღარც ერთს აღარ ჰქონდა, მაშინ გამოჩნდა სახელგანთქმული ლადურ და თქვა ლოცვა უკანასკნელად ჰერეთის მიწაზე.

– გაამოთ! გაამოთ, ჰერეთის ვეფხვებო, წყალობა ძღვევამოსილ გველიანდარის და სიტკბო ათასნაირ ჯადოქრობით სავსე ფალოსის!

ნურც გადაშენებულა თქვენში ვაჟკაცობა და სიამაყე სახელგანთქმულ წინაპრების. ნურც გამქრალა თქვენში ხსენება ჰერეთის მიწის.

ნურც გამოლეულა სიტკბო და სინოყივრე, ბარაქა ხილული და უხილავი ბედნიერების.

ჰაუ, ჰერეთის ვეფხვებო! გწყალობდეთ ძღვევამოსილი გველიანდარი, გინინამძღვროთ იმისმა საოცარმა განგებამ. განოყ-

ივროთ უძლეველმა ფალოსმა. ნუმც ჩამქრალა თქვენში პატივი და დიდება, შნო საოცარი ადათის. ვეფხვებო! ალბათ ასე სურდა მაღალ განგებას. ალბათ თქვენ უნდა გაჰყოლოდით უძლეველი დევების კვალს, უნდა გამოგეჩინათ ვაჟკაცობა და ამტანობა საოცარი დევების მოდგმის.

ალბათ თქვენ სისხლში ნარევია დევური სისხლი, დევური სიამაყე, რომ ასე ინება მაღალმა განგებამ...

ვეფხვებო! თქვენ მონამენი ხართ ერთი დევის რისხვის ჰერეთზე. თქვენ ნახეთ იმისი უზარმაზარი ლეში ათას წნელებით შეკრული და ათრეული.

საზარელი იყო იმისი ცოცხლად ნახვა. იმისმა ერთმა შეხედვამ კეთრი გაუჩინა თქვენს სახელოვან დედოფალს.

ჰაუ, ჰერეთის ვეფხვებო, მე მოვკალი ის დევი, ალბათ, ასე სურდა განგებას.

– იდიდოს, იდიდოს! – ერთ ხმად იგრიალა მთელმა მოდგმამ და სიცხით გაჭედელ ჰაერში ერთ წუთში აღიმართა შიშველი მკლავების ტყე.

სახელგანთქმულო კასკებო, ის ქვეყანა, საითაც წავიდნენ დევები და სადაც დაიბანაკეს, ცხრა სახელმწიფოს, ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით არის გაშენებული.

ამბობენ, დიდის დიდებით და ამტანობით გაიარეს დევებმა ეს გაუზომელი და საზღაპრო მანძილი.

მთელი ჯოგი დინოზავრების, გონოზავრების, ეშვიან მამონტების მიუძლოდათ წინ.. ამ ჯოგით იკვებებოდნენ, იმათ ძვლებით ომობდნენ, იმათი ტყავები ეცვათ, იმათი გახლება მფარველობდათ ათი ათას განსაცდელში.

ამგვარად გაიარეს თურმე ქვეყნები მწირი და უდაბნო, გახურებული ქვიშით სავსე.

ქვეყნები ნაზი და აზიზი, სავსე ნაირი სიცოცხლით.

გატეხეს ვიწრო სახეები სავსე აუარებელი სულდგმულით, ბევრი საზარელი და მავნე ცხოველი მოსპეს და გადააშენეს ამ ქვეყანაზე.

ბევრი გაჭირვება, ამტანობა და ბრძოლა გადაიტანეს ამ ხეტიალის დროს საზარელმა დევებმა.

ჰაუ, ჰერეთის ვეფხვებო! ბოლოს მაინც ნახეს ქვეყანა, სავსე სინოყივრით და ბარაქით... თესლით.

დევური ალლოთი მიხვდნენ, რომ სწორედ ამ ქვეყანაში უნდა ყოფილიყო შენახული ცეცხლი ღვთიური და საიდუმლო.

ასეც გამოდგა. საოცარი რამ გველეშაპი დარაჯობდა თურმე ამ ცეცხლს.

მოკლეს გველეშაპი – და ჩამოსხდნენ იმის ლეშზე დასატირებლად. ასე დამჯდარი გადაშენდა თურმე ამაყი დევების მოდგმა.

დღესაც იქა სხედან თურმე გაქვავებულნი.

ცამდის ატანილი მთაგრეხილები იფარავენ თურმე ამ ქვეყანას ჩრდილოეთის სუსხისაგან. ორი მხრიდან დაგროვილი ზღვები ანოყივრებენ ჰაერს და მიწას. ლოკავენ და ვერა ძღებიან აქაფებული ტალღები იმ მიწის სიყვარულით.

ვეფხვებო! აი, იქით უნდა წავიდეთ ამაყი კასკების მოდგმა. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ქვეყანა დარწეული ორი ზღვის გულმკერდზე, განოყიერებული ღვთიური ცეცხლით, გატენილი დევების სიყვარულით, იმათი სისხლით, იმათი სინანულით.

თუ არა თქვენ, სხვა ვინ უნდა დაეპატრონოს ქვეყანას, სავსეს დევების გულებით.

ჰაუ, ჰერეთის ვეფხვებო! თქვენ უნდა გაადევოთ ხელახლად ის ქვეყანა, ააშენოთ, შეამკოთ. უნდა დაიცვათ იმავ დევური ვაჟკაცობით, დევური გმირობით..

მაშინ აყვავდება და იქართველებს თქვენი სახელი მისხითი-მისხამდე, ვიდრე არ ახდება საოცარი სასწაული დამწვარ და გადაბუგულ წინასწარმეტყველების.

– იდიდოს! იდიდოს! ძღევამოსილი გველიანდარი და სახელგანთქმული გმირი ლადურ! – ერთხმად გრიალებდა მოდგმა, ერთად იწეოდა მედგარი მკლავები ჰაერში და ერთად ეშვებოდა გახურებულ ქვიშაზე.

ამ დროს მოხდა სასწაული, შიშით გათანგულმა უდაბნომ პირი გახსნა. საზარელი ქარიშხლები ეძგერა ზეცას და დაბრუნდა მინაზე.

უხილავმა ძალამ შეკრა და შეამჭირდოვა მოდგმა. ათასჯერ დანწული და ჩახლართული სხეულები კიდევ ათასჯერ იგრიხებოდა... მთელი ძალღონით ეკვროდა მინას.

მხოლოდ დევგმირი ლადურ იდგა ფეხზე და უკიოდა განგებას შეჩერებულყო, ქარიშხლებს – დანებებულყოყენ, უდაბნოს – დამცხრალიყო და მოდგმას – გაკაჟებულყო.

როგორც უთვალავ მეხების გრგვინვა, ისე გაისმოდა დევგმირის კივილი და აფრთხობდა გამხეცებულ ქარიშხლებს, რომლებიც ათასი რისხვით ეტანებოდნენ მოდგმას, მაგრამ ამაოდ. შიგა და შიგ ქარიშხლების ღრიალი რომ წყდებოდა, მაინც ისმოდა თავგანწირული კივილი ქვიშაწაყრილ გულებიდან – იდიდოს! იდიდოს!.

ცოფიანი ვეფხვივით ყლაპავდა ქარიშხალი ამ კივილს, უფრო ცოფდებოდა, გიჟდებოდა, ლამობდა უდაბნოს პირქვე გადმობრუნებას.

ამ დროს ლადურის კივილს შიგადაშიგ ერთვოდა ქარიშხლების ღრენა.

ქარიშხლების ღრენას ლადურის კივილი... და იყო ჯერ არავისგან ნანახი ზარდაცემა და რისხვა.

ჯირითი ასჯერ გადარეული ბუნებისა და ამაზე მეტად გადარეული ადამიანის.

ადამიანმა მაინც დაღალა ქარიშხლები, უდაბნო, ქვეყანა. ყველაფერი რომ დაწყნარდა, რომ ჩადგა რისხვა. ჰაერი რომ ხელახლად განათდა და გაკრიალდა, ლადურ მაინც კიოდა.

– ჰაუ, ჰერეთის ვეფხვებო! თქვენ ნახეთ შიში და ძალა საოცარი განგების, მაგრამ აიტანეთ!

თქვენ ნახეთ გახსნილი ზეცა – ზეციდან ჩამომეხილი მრისხანება – მაგრამ აიტანეთ!

თქვენ ნახეთ მკერდგალადრული უდაბნო – იქიდან ამოგლეჯილ ქარიშხლების რისხვა – ისიც აიტანეთ!

ვეფხვებო! დღეიდან განგებითა ხარო ჩაკირულნი. ზეცის მრისხანებით ჩამეხილნი. მინის რისხვით დასეტყვილნი. თქვენ გულებში ძლიერი ქარიშხლებია ჩაჭედილი. დაბმული და მომწყვდეული.

კუნთებში – უდაბნოს სიცხე, ძვლებში – ჰერეთის მზე, სისხლში, მშობლიური მინის სიყვარული. ტვინში, სახელისა და დიდების გადარჩენის ამაყი ზრახვა...

გაამოთ! გაამოთ, ჰერეთის ვეფხვებო, წყალობა ძლევამოსილ გველიანდარის – სიტკბო ათასნაირ ჯადოქრობით სავსე ფალოსის!

– იდიდოს! იდიდოს! – გრიალებდა ამაყი მოდგმა. დულდა, ზანზარებდა, ზანზარებდა უდაბნო, ცა, ქვეყანა, ზანზარებდა მრისხანება, ქარიშხლების ძლიერებით რომ ბრუნავდა განიერ მკერდებ ქვეშ.

ნამოიშალნენ, გასწორდნენ, დარაზმდნენ, გაიხალისეს ტყვიით ნაჭედი სხეულები და დადგნენ დევების კვალზე.

1930 წ.

## საბიჟეთში

ერთ დღეს გადავწყვიტე, საგიჟეთი მენახა. მე მინდოდა გავცნობოდი და ამენერა ეს საიდუმლო და საშიში ქვეყანა, რომელიც თითქმის ბავშვობიდანვე მალეღებდა. საკვირველი არაფერი იყო ასეთ სურვილში, იმის გარდა, რომ ორშაბათ დილით დამებადა ეს აზრი. ორშაბათი კი მეჯავრებოდა, მაგრამ კარგად არ მახსოვს, რამ შემაჯავრა. სიზმარივით მაგონდება, რომ ამ დღეს რაღაც მენყინა და ისე მძლავრად, რომ ყველა ორშაბათი შემაჯავრა. ძალიან რომ დაფიქრდე, მოვიგონებ იმ ამბავსაც, მაგრამ რა საჭიროა. ის კმარა, რომ ორშაბათი საერთოდ მეჯავრებოდა და სწორედ ორშაბათ დღეს გადავწყვიტე საგიჟეთის ნახვაც.

თქმა და საქმე ერთი იყო. იმ დღესვე გავიგე მისამართი და გავწიე. საკვირველია, რა ცუდი წარმოდგენა მქონდა გიჟებზე, თვალწინ მედგა რაღაც საშიში ხალხი გადმოკარკლული თვალებით, თმა მოშვებული, ბალნიანი და ჭუჭყიანი ტანით, ღონიერი და წვეტიანი ფრჩხილებით, ავები, გაცოფებულები, გაბოროტებულები, ერთი სიტყვით, ყველა საზარელი და საშიში თვისებით. ასეთი აზრები უნაპირო და ღრმა მორევით მიტრიალებდა თავში, როცა იმ ქუჩაზე გავედი, სადაც ეს საშიში და საოცარი ადგილი მეგულებოდა. ქუჩიდან დავიწყეთ. რაღაც უცნაურად მეჩვენა ეს ქუჩა. არავინ არა ცხოვრობდა, რაღაც უშნო და სადა ქვის გალავანი გასდევდა ერთ მხარეს, მეორე

მხარეს კი – ძალიან გრძელი უფანჯრო და უკარო შენობა. ვინც კი გამოჩნდა ამ ქუჩაზე, ყველა გიჟი მეგონა. მაღლიდან გადმოკიდებულ პატარა რკინის აივანზე ბავშვები რომ დავინახე, განვცვიფრდი. როგორ? საგიჟეთი და ბავშვები? ეს ორი ცნება რალაც ვერ თავსდებოდა ჩემს ტვინში, ცივი ჟრუანტელი მივლიდა ტანში, ამ უცნაურ ქუჩას რომ მივუყვებოდი. ქუჩა მალე გათავდა. ერთ კარებზე დიდი აბრა იყო გაკეთებული და ზედ ეწერა დიდი თეთრი ასოებით: „ფსიქიატრიული საავადმყოფო“. იქვე მახლობლად მეორე კარებზე უფრო პატარა აბრა იყო გაკეთებული, მნიშვნელოვანი წარწერით: „პროფესორი სარდინკა“. რატომღაც მომეწონა ეს გვარი, მაშინვე თვალწინ წარმომიდგა ახოვანი მოხუცი, თეთრი თმით და წვერით, მაღალი შუბლით, არ ვიცოდი რად, ანეული მხრებით, ჩუმი და დარბაისელი, ძალიან ღრმა და ბევრის მეტყველი, უძირო თვალებით. ასეთი უნდა ყოფილიყო პროფესორი სარდინკა ჩემს წარმოდგენაში. აქვე უნდა გამოვტყდე, რომ ის გამბედაობა, რომელიც მე მქონდა, უცნაურ შიშად შემეცვალა. თუმცა შესაშინებელი რა იყო, ჯერ არაფერი მენახა, ამ ორი, ერთი მეორეზე უცნაური წარწერის გარდა. გაუბედავად შევალე პირველი კარები. გული უჩვეულოდ მიცემდა. იქვე მეორე კარები დამხვდა, ისიც შევალე. განვცვიფრდი, რომ კარგა მოზრდილ ოთახში არავინ დამხვდა. მალე გამოჩნდა ვილაც ოქროს სათვალეებიანი მოხუცი, მწვანე გახუნებულ ხალათში და მკითხა, ვის ეძებო. მოულოდნელმა შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, ამრია. მე თვითონ არ ვიცოდი, ვის ვეძებდი საგიჟეთში, მაგრამ მაინც ვუპასუხე „პროფესორ სარდინკას ნახვა მინდა-მეთქი“. კარისკაცმა ამხედ-დამხედა, გაიღიმა და მიპასუხა: „პროფესორი ყავას მიირთმევს“, შემდეგ გერმანული ენის გაკვეთილი აქვს, შემდეგ შემოვლა აქვს. შემდეგ... თითქმის ყველაფერი მითხრა, რაც უნდა გაეკეთებინა პროფესორ სარდინკას იმ დღეს. მე ძალიან გამაკვირვა ყველაფერმა ამან, უფრო კი – პროფესორ სარდინკას გულახდილობამ კარისკაცთან. მაგრამ რას ვიზამ-

დი, საგიჟეთის კანონებისა ჯერ არა ვიცოდი რა. ჯერ არც ის ვიცოდი, რომ ყველა ამათგან პროფესორი სარდინკა მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებდა პირნათლად – ყავას სვამდა დროზე. რაც შეეხება გერმანული ენის სწავლას, გამოირკვა, რომ თურმე ექვსი წელიწადი სწავლობდა ამ ენას „პროფესორი სარდინკა“ და მხოლოდ ერთ ფრაზას იძახდა სწორად: „შპრეხენ ზი დოიჩ?“ და, როცა დადებით პასუხს მიიღებდა, „იავოლ“, მჭერმეტყველურად სდუმდა და ვერ გაეგო, რატომ ვერ ახერხებდა ლაპარაკს, თუმცა სულმთლად გაზეპირებული ჰქონდა ყველა სიტყვა „ლიუსტენ გარტენიდან“ და „ძმები გრიმების“ ზღაპრებიდან. კიდევ გაზეპირებული ჰქონდა „შერლიცი“ და მრავალი წითელი და მწვანე-დიანი „ლერბუხი“, მაგრამ არ ეშველა, ვერც ლაპარაკი მოახერხა თურმე და ვერც სამეცნიერო წიგნის წაკითხვა. მგონი, ამასვე ფიქრობდა კარისკაცი ეშმაკურად რომ იღიმებოდა „პროფესორ სარდინკას საქმიანობაზე“. ცოტა არ იყოს, მეწყინა პროფესორის მოუცლელობა რომ გავიგე. მაგრამ წონასწორობა მაინც არ დავკარგე და ხელახლა შევეკითხე, იქნებ სხვა ექიმი ვინმე მაჩვენოთ, ჩემთვის სულერთია-მეთქი. კარისკაცი მაშინვე შევიდა ოთახში, რომლის კარებზედაც ეწერა „ამბულატორია“. პატარა ხნის შემდეგ გამოვიდა და მითხრა, შებრძანდითო. უნებლიედ ჰალსტუხზე მოვივლე ხელი – გავსწორდი, პიჯაკი გავისწორე და შევედი. ოთახი იყო საკმაოდ ფართე და ნათელი. შუაში პატარა სანერი მაგიდა იდგა, მაგიდის წინ მაღალზურგიანი, მოაჯირიანი სკამი. სხვა სკამები უბრალო, ჩვეულებრივი იყო. კედელთან გრძელი ტყავის ტახტი იდგა. ტახტზე თეთრხალათიანი სამი ქალი და ერთი კაცი იჯდა და რალაცაზე კამათობდნენ. ყველაფერი მესმოდა ამ კამათში ზოგიერთი სიტყვის გარდა, ისეთების, როგორიც არის „დემენცია“, „შიზოფრენია“ და რადგანაც ამ სიტყვების გარშემო იყო კამათი, აზრი, რასაკვირველია, ვერ გავიგე. ალლოთი კი მივხვდი, რომ ვილაც ავადმყოფზე იყო დავა და, როგორც ჩანდა, არ ეთანხმებოდნენ ვილაცის დიაგნოზს... მე



ყურადღებას არავინ მაქცევდა. ოთახს დავუწყე თვალიერება. ოთხივე კედელი სახვე იყო რალაც გაუგებარი სურათებით. ბევრი უბრალო და გასაგები სურათიც იყო – როგორც მაგალითად, თხების ჭიდაობა, ბავშვი რომ ბურთს ეთამაშება, მთელი გროვა ფერადი ბუშტების. ეს ყველაფერი მქონდა ნანახი საბავშვო ნიგნებში, მაგრამ რად იყო აქ კედლებზე გაკრული, ვერ გავიგე. იყო კიდევ სხვა სურათები გეომეტრიული ფიგურებით. მარცხნივ კედელზე ერთ მოზრდილ მუყაოზე გაკეთებული იყო ძაფით სხვადასხვა საგნები – კოჭის ძაფი, ლურსმანი, კაკალი, პატარა ჩაქურჩი და ყველა ამას ნომრები ჰქონდა. კიდევ რალაც გაუგებარი სურათები – მაისის ვარდს ალუბალი ესხა, ვილაც ქალს მხარზე „კორომისლო“ ჰქონდა გადებული და ერთი ვედრო ეკიდა. რალაც ფერადი ბოთლები, ვარსკვლავები და კიდევ სხვა სურათები. რას ნიშნავდა ყველაფერი ეს, ვერ გავიგე. სურვილი კი დიდი მქონდა გამეგო. კიდევ ბევრი სხვა უცნაური საგანი ენყო ოთახში, რომელთა მნიშვნელობასაც, რასაკვირველია, ვერ მივხვდი.

კარგა ხანი გავიდა, ხმას არავინ მცემდა. მალე კარები გაიღო და შემოვიდა ვილაც თეთრხალათიანი მოხუცი. მონივნებით ხელები დაიბანა, სათუთუნე ამოიღო, პაპიროსი გაიკეთა, შემდეგ ჩამოჯდა, ერთი უშველებელი დავთარი გადაშალა, მოძებნა ცარიელი ფურცელი, სათვალე ამოიღო, დაბლა გაიკეთა ცხვირზე და ზრდილობიანად მომმართა: – დაბრძანდით, თქვენი გვარი? მე, ცოტა არ იყოს, დავიბენი, მაგრამ მაინც ჩამოვჯექი და ჩუმად ვუთხარი: – რად გინდათ ჩემი გვარი, მე ავადმყოფი არა ვარ, რალაც სხვა საქმე მაქვს.

მოხუცებულმა ექიმმა ეშმაკურად გაიღიმა და სათვალეებს ზემოდან გადახედა მოკამათეთ. ისინი გაჩუმდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ ირგვლივ. სიმართლე ითქვას, ჩემმა უარმა სრულიადაც არ ააღელვა მოხუცი ექიმი, ის ისევე ზრდილობიანად მობრუნდა და შემეკითხა: – „ნუ გეშინიათ, ჩვენ სუყველანი ექიმები

ვართ, გვითხარით თქვენი გვარი!“ მე, ცოტა არ იყოს, შემრცხვა ჩემი ჯიუტობის და ვუპასუხე – ზირან ზვიადაძე. ჩანერა.

– რამდენი წლისა ხართ?

– არა, ექიმო, უკაცრავად, მე ხომ ავადმყოფი არა ვარ, გვარს რომ მეკითხებით? მე სულ სხვა საქმისათვის ვარ მოსული – მინდა ვნახო პროფესორი სარდინკა.

– კარგი, კარგი ნუ ღელავთ, – ისევ ზრდილობიანად მიპასუხა ექიმმა. თუმცა მე სრულიადაც არ ვღელავდი.

– გვიამბეთ ყველაფერი და პროფესორიც მოვა.

ამ სიტყვებით ვითომ დამამშვიდა, ხელახლა შემეკითხა, ეხლა რომელი თვეა, ან რიცხვი, ან წელი? მე გული მომივიდა, გავწითლდი, ავღელდი და ვუპასუხე:

– თქვენ თქვენი თავი აიგდეთ მასხრად!

დავავლე ქუდს ხელი და ავდექი წასასვლელად, მაგრამ მალე შემომეხვივნენ ექიმები, ზოგი რას მეუბნებოდა, ზოგი რას. ყველა ცდილობდა დავემშვიდებინე, თანაც ერთმანეთში რალაცას ჩურჩულებდნენ. მოხუცი ექიმი კი გამწარებული წერდა რალაცას წიგნში. ისევ დამსვეს. ეხლა უკვე მართლა ავკანკალდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა ისეთი, რომ თავი დამეღწია ამ ხალხისთვის. გადავწყვიტე ყველაფერი მეპასუხა. მოხუცი ექიმი ისევ ღინჯად განაგრძობდა ჩემს დაკითხვას.

– დედ-მამა ცოცხალი გყავთ?

– არა, მამა მომიკვდა.

– როგორ გახსოვთ, ღვინოს სვამდა?

მახსოვდა, რომ ღვინოს მართლაც სვამდა და ვუპასუხე: კი, სვამდა.

– არ გახსოვთ, რისგან მოკვდა?

– როგორ არა, 75 წლისას დამბლა დაეცა.

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს.

– დედათქვენი?

– დედა ცოცხალი მყავს.

- ავადმყოფობს?
- ზოგჯერ.
- ტირილი იცის?
- იცის.
- ხშირად?
- ხშირად.

არ ვიცი რად, ყველაფერი ეს ახარებდა ექიმებს. მოხუცებულ-  
ლი ექიმი კი ღიმილით და კმაყოფილებით გადახედავდა ხოლმე  
სხვებს და განაგრძობდა დაკითხვას:

- ძმები ან დები გყავთ? რიცხვით რომელი შვილი ხართ  
დედ-მამის?

- დები არა მყავს, ერთი ძმა მყავდა, იმანაც თავი მოიკლა,  
ამბობენ, ქალმა უღალატაო. მე ყველაზე უმცროსი შვილი ვარ.  
ორი და მომიკვდა, ერთი - ბნედით.

ამ განცხადებამ საერთო სიხარული და განცვიფრება გამოი-  
წვია. რად უხაროდათ ექიმებს, ვერ მივხვდი. მე გულახდილად  
ვამბობდი მართალს. ამის შემდეგ ბევრი რამ მკითხეს ჩემი  
წარსულიდან, დედ-მამის წარსულიდან, ჩემი სწავლის შესახებ,  
სამსახურის შესახებ, ძალიან გაუკვირდათ, რომ მე, აი, უკვე  
ოცდათხუთმეტი წლისა ვიყავი და არა ვმსახურობდი. ალბათ,  
სამსახურში შესვლაც ერთგვარი ჭკუის გასაზომი საშუალება  
იყო მათთვის. არავინ არ გააკვირვა ჩემმა საშუალო განათლე-  
ბამაც, იმან, რომ უნივერსიტეტში ვერ შევედი. თითქოს ეს ასეც  
უნდა ყოფილიყო. ამაზე დიდხანს არ შეჩერებულან ექიმები.  
მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა დაინტერესდა ჩემი პროფესიით,  
ჩემმა პოეტობამ და მწერლობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოი-  
წვია. ამის შემდეგ მოხუცებულმა ექიმმა ხმა შეიცვალა, მაგრამ  
მაინც ნაძალადევი ზრდილობით შემეკითხა: „აი თქვენ, პოეტი  
ყოფილხართ, ერთი მითხარით, როცა ლექსებს წერთ, რაიმე  
ხმები ხომ არ გეყურებათ?“

მე განმაცვიფრა ამ შეკითხვამ. ექიმმა, სჩანს, შემატყო და  
უფრო მდაბიოდ განმიმარტა, - აი, მაგალითად მარტო რომ

ხართ, ვინმე ხომ არ გელაპარაკებათ ყურში, ან ხომ არაფერი გეჩვენებათ?

ამ სიტყვებზე ეშმაკურად ელიმებოდა, სათვალის ზემოდან ათვალეირებდა კოლეგებს. ამ უადგილო და უშნო ღიმილმა, ცოტა არ იყოს, გამაბრაზა. მაგრამ კარგად მესმოდა, რომ ყოველგვარი ცდა ამო იყო. რახან ჩავვარდი ამ სასაცილო მდგომარეობაში, ბოლომდის უნდა გამეტანა თავი და, თუ ვერ გავიტანდი, აღმოვჩნდებოდი საგიჟეთში, როგორც გაგიჟებული კაცი, რომელიც კანონგარეშეა დაყენებული, როგორც საზოგადოებისათვის მავნე, ზედმეტი და საშიში. მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი იყო გავცნობოდი ამ საიდუმლო და საშიშ ქვეყანას, რომელიც, კარგა ხანია, მალეღვებდა. ამ ფიქრმა სასწრაფოდ გამინათა გონება და გადავწყვიტე მომეტყუებინა ექიმი, თანაც მაინტერესებდა, გამიგებდნენ ტყუილს, მიპოვნიდნენ სულით ავადმყოფის ნიშნებს თუ ვერა. მაინტერესებდა ისიც, ვის ხელში იყო სულით ავადმყოფთა ბედისწერა, მაგრად დარკინულ და მაღალ გაღავნებშემორტყმულ საგიჟეთში. ამ ფიქრებმა რაღაც უცბად და უცნაურად ამაღელვა. სუნთქვა ამიჩქარდა და ვუპასუხე – ჰო, ექიმო, როგორ არა, მეჩვენება კიდევ და ხმებიც მეყურება: და რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო ჩემი პასუხი, ტყუილად განვცვიფრდი და შევეკითხე: მერე, ექიმო, თქვენ საიდან იცით?

ექიმმა თავისი ღირსების სრული შეგნების ნიშნად თავი უფრო მაღლა ასწია და უფრო ეშმაკურად გაიღიმა. ჩანდა, ესიამოვნა ჩემი შეკითხვა და თავმომწონედ, დამამშვიდებელი კილოთი მიპასუხა:

– ნუ გიკვირთ, მეცნიერებას აქვს ბევრი ამგვარი საშუალება. თქვენ მხოლოდ მიპასუხეთ, რაზედ გელაპარაკებიან ის ხმები ან რა გეჩვენებათ... ამ შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, შემაკრთო. გავიფიქრე, ვაი თუ ვერ ვუპასუხო ისე, როგორც საჭიროა-მეთქი. მაგრამ მალე ჩემი ალესილი ფანტაზია მომეშველა.

– აი, ღამე რომ ვარ მარტოდმარტო, ვიღაც საშიში კაცი მეჩვენება ცეცხლისფერი თვალებით, აშლილი თმებით და

მლანძღავს, მემუქრება. რალაც იდუმალი ძალა მაგრად მაკავებს სანოლზე. ამ დროს ჟრუანტელი შხამიანი ეკლებივით მივლის სხეულში; თითქოს ტყვიასავით ცივი სითხე მეღვრება თავში, ნელა მიცურავს მთელ სხეულში. ხელ-ფეხი, ენა და მთელი სხეული საოცრად მიკანკალებს. ამ დროს მინდა გავიქცე, ვერ ვახერხებ, მინდა ვიყვირო – ვერ ვახერხებ, მინდა დავიძინო – ვერ ვახერხებ. ვენვალეები, ვიტანჯები, ვიდრე საშიში მოჩვენება არ გაქრება. შემდეგ ვწყნარდები – ვიძინებ ამავე შთაბეჭდილებებით. ძილში ვბორავ, ვყვირი, ვკვნესი, ვკრთები და ხშირად ვვარდები დაბლა, სადღაც შორს უნაპირო და უძირო სივრცეებში... ამ ტანჯვაში თენდება. მეორე დღეს ყველაფერ ამის ზეგავლენით დავიარე-ბი მონყენილი, გაჩუმებული, გაბოროტებული. მძულს ქვეყანა, ხალხი, შიში მიპყრობს, შიშით ველი დაღამებას.

დიდი გულისყურით მისმენდნენ ექიმები. როგორც ჩანდა, არავის ეჭვი არ შეჰქონდა ჩემს გულწრფელობაში. ისიც ჩანდა, რომ საკმაოდ განცვიფრებულები და კმაყოფილები რალაცას ანიშნებდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ ისევ მოხუცებული ექიმი შემეკითხა:

– აი, თქვენ შიშზე ილაპარაკეთ; ერთი მითხარით, მტრები ხომ არა გყავთ, ან ხომ არა გგონიათ, რომ ვინმეს უნდა თქვენი მონამვლა?

მე, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. განა მტრების ყოლაც სიგიჟის ნიშანი იყო? ვერ გავიგე, მაგრამ მაინც დადებითად ვუპასუხე. ყველაფერ ამას დიდი გულმოდგინებით წერდა დიდ დავთარში, რის მნიშვნელობაც მე ჯერ არ მესმოდა. კიდევ ბევრის კითხვას მიპირებდა სიბერეში გაემშაკებული ექიმი, რომ ვილაც ახალგაზრდა თეთრხალათიანმა შემოაღო კარები და საკმაოდ აღელვებულმა განაცხადა: „პროფესორი სარდინკა მობრძანდება“. ყველა მოემზადა, მოხუცებული ექიმი უბრალო სკამზე გადაჯდა, პროფესორის ადგილი გაათავისუფლა. კარები გაიღო და შემოვიდა გაჭიმული პატარა კაცი. ეტყობოდა,

მტკივნეულად განიცდიდა თავის სიპატარავეს, რის გამოც ხელოვნურად იჭიმებოდა და ცდილობდა უფრო მაღალი გამოჩენილიყო. ეშმაკური ღიმილით მიესალმა ექიმებს და მოაჯირიან სკამში ჩაჯდა. ისედაც მოკლე შარვლის ტოტები უფრო მაღლა ასწია, თითქოს ახლად ჩაცმულ გამჭირვალე „ფილტიკოსების“ გამოჩენას ცდილობსო. თითქოს ცივი წყალი გადამესხა ამ პატარა კაცის დანახვაზე და უნებლიედ გავიფიქრე: „ნუთუ ეს არის „პროფესორი „სარდინკა“? აბა, ვინ იტყოდა, რომ ეს კაცი პროფესორი კი არა, უბრალო ექიმიც თუ იქნებოდა. „სარდინკამ“ ამოიღო საათი, დახედა და საკმაოდ აჩქარებით განაცხადა: აბა, მალე მოვრჩეთ, რომ შემოვლა არ დაგვიანდეს.

მოხუცმა ექიმმა დაიწყო ჩანერილის კითხვა:

– „ზვიადაძე ზირან ოცდათხუთმეტი წლისა, გაურკვეველი ხელობის, აცხადებს, პოეტი ვარო“, – ამ სიტყვებზე შეხედა სარდინკას – სარდინკას გაელიმა, – შემოვიდა საავადმყოფოში ორშაბათს ენკენისთვის ცამეტს, თავისი სურვილით, არავითარი საბუთები ან რაიმე მონშობა, ან მომართვა ავადმყოფს არ აღმოაჩნდა. პირადი დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ავადმყოფს მამა მოჰკვდომია სამოცდახუთი წლისა, დამბლით, ყოფილა მსმელი და ჭირვეული. ავადმყოფს დედა ცოცხალი ჰყავს, ხშირად ავადმყოფობს, რითი, ავადმყოფმა არ იცის. იცის მხოლოდ, რომ არის ავი და ანჩხლი დედაკაცი. ავადმყოფს ჰყოლია ერთი ძმა და ორი და. ძმას თავი მოუკლავს. როგორც ავადმყოფი აცხადებს რომანიულ ნიადაგზე. დებიც დაჰხოცვია. ერთი და შეპყრობილი ყოფილა ბნედით. მეორე რით მომკვდარა, არ ჩანს. ავადმყოფის დღევანდელი მდგომარეობა ორგვარია: ცნობიერება აქვს ნათელი, კარგად იცის სად არის, რა დროა, კარგად ერკვევა ადგილსა და დროში, თუმცა ცნობიერება დაწეული აქვს. აქვს სმენითი და ხედვითი ჰალუცინაციები. სხვათა შორის, ლამაზად და მხატვრულად აღწერს ამ ჩვენებათა კომმარებს, აქვს შიში. ჰყვანან მტრები, ეშინია მონამვლის, განიცდის ერთგვარ ფსიქიურ მერყეობას.

ასოციაციები, ერთი შეხედვით, თუმცა მწყობრი და დალაგებული ჩანს, მაგრამ მაინც ეტყობა რგოლების გამოვარდნა შიგა და შიგ. ავადმყოფის მოქმედებას ახასიათებს უცნაურობანი. ავადმყოფს არა აქვს უნარი სწავლის... საშუალოზე მეტი ვერ უსწავლია. არც სამსახურის უნარი აქვს. იჩენს ერთგვარ გულგრილობას და გაფანტულობას, ბევრს ლაპარაკობს. ხშირად ნალაპარაკევს არა აქვს კავშირი და აზრი. ფიზიკურ მდგომარეობაში მაინც და მაინც არაფერი შესამჩნევი, რეფლექსები ჩვეულებრივზე ანეული აქვს. აქვს ფიზიკური დეგენერაციის ნიშნები: მაღალი სასა, დიდი ყურები, ხშირი თმა, კეხიანი ცხვირი. ყველა ამ ნიშნის მიხედვით ავადმყოფს უნდა ჰქონდეს შიზოფრენია, მით უმეტეს დაავადება არის ქრონიკული და მისი ავადმყოფობა განისაზღვრება 10-15 წლით.

ამ სიტყვებით მოხუცმა ექიმმა გაათავა ამ უღმობელი განჩენის კითხვა, რომელშიაც მხოლოდ ერთი იყო მართალი: ის, რომ მე პოეტი ვიყავი. ამის გარდა, ყველაფერი მტკნარი სიცრუე იყო. არც მამაჩემი ყოფილა მკვდარი და ლოთი. სრულიად ჯანმრთელი, ეხლაც ცოცხალია და მუშაობს სოფლად. დედა, არ მახსოვს, არც წარმოდგენა მაქვს თუ როგორი დედაკაცი იყო. დები არ მყოლია. არც ძმას მოუკლავს თავი. საშუალო კი არა, იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე პიტერში და საკმაო წარმატებითაც. პოეტი კი ვიყავი. აი, რატომ იყო მთელი ეს ოქმი მტკნარი სიცრუე, ჩემი პოეტობის გარდა.

„პროფესორმა სარდინკამ“ გულმოდგინედ მოისმინა ყოველივე ეს, თუმცა რატომღაც ცმუკავდა. ამ საბედისწერო ოქმის კითხვა რომ გათავდა, მაღალი ტონით იკითხა – ექსპერიმენტალურად გამოიკვლიე?

– არა, – უპასუხა მოხუცმა ექიმმა და რომ არ ეწყენინებინა, მაშინვე წამოხტა, ჩამავლო მკლავში ხელი, მიმიყვანა ერთ სურათთან და შემეკითხა – რა არის ეს?... სურათზე დახატული იყო თხების ჭიდაობა. მე ვუპასუხე რომ თხები ჭიდაობენ. თან

მეშინოდა, ვაითუ სხვა რამეს ნიშნავს, მე კი ისე ვთქვი, როგორც ეხატა... ექიმმა ისევ ეშმაკურად გადახედა „სარდინკას“ და საკმაოდ ალერსიანად ხელახლა შემეკითხა:

– მერე რატომ ჭიდაობენ?

ამ კითხვაზე, ცოტა არ იყოს, დავფიქრდი. თუმცა აშკარად ჩანდა, თხები იმიტომ ჭიდაობდნენ, რომ ერთ ვინრო ბოგირზე შეხვედროდნენ ერთმანეთს და არცერთი არ ფიქრობდა გზის დათმობას. მერე გავიფიქრე, ვაი თუ, სიმართლე რომ ვთქვა, ჭკვიანად ჩამთვალონ და არ მიმიღონ-მეთქი. გადავწყვიტე, ცოტა დავთრები ამერია და ვუპასუხე – არ ვიცი, რატომ ჭიდაობენ, ალბათ, მტრობენ ერთმანეთს. ჩემ პასუხზე „პროფესორ სარდინკას“ გულიანად გაეცინა და თვითონ შემეკითხა:

– მერე რა აქვთ თხებს სამტრო?

მე მაშინვე მიხვდვი, რომ ნიშანში მოხვდა ჩემი ნათქვამი და ვუპასუხე – არ ვიცი. შემდეგ მეორე სურათთან მიმიყვანეს. როგორც ჩანდა, პირველი სურათით ერთი მხრიდან გამიზომეს ტვინი და ახლა მეორე მხრიდან მიპირებდნენ გაზომვას – ასე გავიფიქრე, იმიტომ რომ ეს მეორე სურათი სრულიად არ ჰგავდა პირველს. მეორე სურათზე რაღაც რგოლები და ჯვრები რამდენიმე წყებად იყო დახატული. მოხუცმა ექიმმა ისევ ნაძალადევი ალერსით დამკრა ხელი მხარზე და მკითხა:

– მიპასუხეთ, პირველ რიგში რამდენი რგოლია და რამდენი ჯვარი?

ისეთი რა გიჟი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ შვიდი ჯვარი და ხუთი რგოლი ვერ დაეთვალა, ყოველ შემთხვევაში, ნუთუ ჩემი ნალაპარაკევიდან ვერ მიხვდნენ, რომ მე ამას შევძლებდი? ამ ფიქრით, გადავწყვიტე სწორედ მეპასუხა. ალბათ, ტყუილში დასაჭერად თუ ჰქონდათ ეს სურათი. ამის შემდეგ დიდხანს აღარ მიფიქრია და ვუპასუხე – არის შვიდი ჯვარი და ხუთი რგოლი, ესე იგი ისე, როგორც იყო.



მოხუცმა ექიმმა ხელახლად დამკრა მხრებზე ხელი და შე-  
მაქო. გამომატრიალა და ერთი უცნაური სურათის წინ დამაყენა.  
რალაც გეომეტრიული ფიგურები ეხატა. არსად არ მინახავს  
ასეთი ფიგურები. ისე უცნაურად იყო შედგენილი და დალაგებუ-  
ლი, ალბათ, მხოლოდ გიჟები თუ იხსომებდნენ კარგად, თორემ  
ჭკვიანი ვერ დაიხსომებდა გინდა ხუთი საათი ეცქირა. მოხუცმა  
ექიმმა ოქროს საათი ამოიღო უბიდან და მითხრა: ხომ ხედავთ  
მაგ ფიგურებს, დაიხსომეთო. მეც მივაჩერდი. მაგრამ რა ხერხით  
დამეხსომებინა, ვერ გავიგე. ვცდილობდი კი, არ ჩავჭრილიყავი,  
სულ ერთი წუთი არც კი იყო გასული, რომ მოხუცმა ექიმმა  
ერთი უშველებელი ხის დაფა მომცა, მომაბრუნა და მკითხა:  
აბა, ახლა მიჩვენეთ, რომლები დაიხსომეთო? ამ დაფაზე ისევ  
ისეთი ფიგურები იყო გამოყვანილი, თვალები ამიჭრელდა. სულ  
დამავიწყდა ყველაფერი და სადაც მომხვდა, იქ დავადე ხელი.  
გამოირკვა, რომ ორზე მეტი ვერ დამეხსომებინა. მენყინა, მაგრამ  
რალა იქნებოდა. გამიგეს ტყუილი. – ვფიქრობდი – ვერ დავიხ-  
სომე, მაშასადამე გიჟი არა ვყოფილვარ: ეხლა გამლანძღავენ და  
გამიშვებენ კარში. ამაოდ ჩამივლის ამდენი ცდა, ამაოდ ჩამივ-  
ლის ასეთი დიდი სურვილი გიჟების ნახვისა და აღწერისა, რაც  
ყველაზე ძალიან მიზიდავდა. მაგრამ ჩემი შიში არ გამართლდა,  
თურმე გიჟები ვერ იხსომებენ. მე კი მეგონა, რომ ჭკვიანები ვერ  
იხსომებენ, ესე იგი უკუღმა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, არც პროფესორ სარდინკას  
და არც სხვა ექიმებს ეჭვი არ ებადებოდათ ჩემს სიგჟეში, მა-  
გრამ მეტი შთაბეჭდილებისათვის მოხუცმა ექიმმა მაინც ხელი  
არ გამიშვა, მიმიყვანა შემდეგ სურათთან, რომელზედაც იყო  
დახატული მათის ვარდი და ზედ ალუბალი ება. მოხუცმა ექიმმა  
თავმოძნონედ მკითხა – აბა, ზირან, რას ატყობ ამ სურათს? და  
ახლა უკვე მედიდურად გადახედა პროფესორს და ექიმებს. ყველა  
ნიშნიდან ჩანდა, რომ ვერ უნდა გამომეცნო, თუმცა რა უნდოდა  
ამ სისულელის გამოცნობას. მეც ვითომ ვერ გამოვიცანი და

ვუპასუხე – ვერაფერს ვატყობ-მეთქი. მაშინ ექიმმა განმიმარტა – ეს რა არის – მიმითითა ვარდზე – მაისის ვარდი, ვუპასუხე. – ესა? – მიმითითა ალუბალზე – ალუბალი. ისევ ვუპასუხე.

– მერე, განა შეიძლება მაისის ვარდს ალუბალი ებას?

– რატომ არა, თუკი დახატავთ. გინდა ქლიავს გამოაბამთ, – ვიოხუნჯე.

– ეგ კარგი, მაგრამ ცხადლივ? ბუნებაში?

– ბუნებაშიც შეიძლება, თუკი ალუბალს ვარდზე დაამყნობთ, – მოულოდნელად ჩემმა პასუხმა დიდი სიცილი გამოიწვია. ყველაზე ძალიან იცინოდა „პროფესორი“. ეტყობოდა ყველაზე ძალიან ის იყო კმაყოფილი ჩემი ტვინის ექსპერიმენტალური გამოკვლევით. ამის შემდეგ მიუბრუნდა ექიმებს და უთხრა: – ხომ ხედავთ ტვინის ექსპერიმენტალურ გამოკვლევას რა დიდი მნიშვნელობა აქვს, ხომ ნახეთ, რომ უბრალო დაკითხვით თითქმის არაფერი ჩანდა, ამ სურათებმა კი რა ლამაზად გამოაშკარავეს ავადმყოფი ტვინის ყველა დეფექტი. რა გაადვილებული ჰქონდა პროფესორ სარდინკას სხვის ტვინზე ლაპარაკი! მიკვირდა, რა დაჯერებული იყო თავის ექსპერიმენტში, რა ხელალებით უჯერებდა ავადმყოფს, არც საკვირველია, რადგანაც გამარტივება იყო ფსიქიატრიის უკანასკნელი მიღწევა და პროფესორ სარდინკასაც თავისებურად ჰქონდა გამარტივებული ექსპერიმენტებით ტვინის ამოუცნობი და ძნელი ფუნქციები.

მე ისევ ძველ ადგილზე დამსვეს. გათავდა ექსპერიმენტი. დამსვეს წინასწარი დიაგნოზი და გადაწყვიტეს, რომ მე აუცილებლად მესაჭიროებოდა საავადმყოფოში მოთავსება. ყველაფერ ამას წინ უსწრებდა პროფესორ „სარდინკას“ ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა, რომელიც უღმობლად მოსდევდა ჩემი ავადმყოფობის საწყის განვითარებას და დღევანდელ მდგომარეობას. მე სულგანაბული ვუგდებდი ყურს. და მიკვირდა: ამდენ ხანს ამდენი სისულელის ლაპარაკი ასე დაჯერებით მხოლოდ საგიჟეთში თუ შეიძლებოდა. ასე თუ ისე, დაუჯერეს

მოხუც ექიმს დიაგნოზი. თუმცა პროფესორმა სარდინკამ ბევრი რამ დაუმატა და შეავსო, მაგრამ არსებითად იგივე რჩებოდა, რაც პირველად თქვა მოხუცმა ექიმმა. როგორც ჩანდა, ჩემმა პოეტობამ გადამჭრელი როლი ითამაშა. თურმე ყოფილან ისეთი გიჟები, რომელთაც ლექსების წერა ახასიათებთ, რა ვიცოდი. თანაც ხათრი არ გაუტეხეს მოხუც ექიმს, განა იმათთვის სულერთი არ იყო, რა ფორმის გიჟი ვიყავი? გიჟი რომ ვიყავი, ეს ხომ ექსპერიმენტალურადაც დამტკიცდა?!.. ხომ საავადმყოფოში უნდა მოვთავსებულიყავი – ეს იყო უმთავრესი, რადგანაც იქ უფრო ნათლად გამოირკვეოდა ჩემი შეშლილობის ხარისხი. ამის შემდეგ ბევრ ხანს აღარ გაუვლია, გადამცეს ვილაც ახალგაზრდა ქალს. ქალმა კარისკაცი გაგზავნა სანიტრების მოსაყვანად. სულ მალე ორი უშველებელი სანიტარი დამადგა თავზე, წამავლეს ხელი და წამიყვანეს. ბევრი ვეხვეწე, ხელი გაეშვათ, რომ მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ არა ქნეს. მაშინ ძალით მოვინდომე გავშვებულიყავი, მაგრამ ერთმა ბურთივით ამიტაცა ჰაერში, მეორემ ფეხები ამინია და ამ ყოფით წამილეს. ამას იყო ჩემი ფეხების ქნევა. უცნობი სანიტრები საკმაოდ დახელოვნებულები ყოფილიყვნენ კაცის ჭერაში. მალე რაღაც დაბალ და ვიწრო კარებებში შემათრიეს, შემდეგ დაბლა ჩამიყვანეს, სულმთლად გამხადეს და ბნელი კორიდორით ერთ პატარა კარებთან გამაჩერეს. პირველ დაკაკუნებაზევე კარები გაიღო და ასე შიშველი გადამცეს ერთ ქალს. პატარა ოთახში ორი წყლით სავსე აბაზანა იდგა. აბანოს ქალმა დიდის ალერსით დამისვა ხელი შიშველ სხეულზე და ჩამსვა აბაზანაში. სულ ათიოდე წუთი გამაჩერა, ხელახლად ამომიყვანა, გამამშრალა, ჩამაცვა საცვლები, რაღაც უფორმო და სუნიანი ხალათი, თმა გამკრიჭეს – უბრალოდ მაკრატლით, დამხურეს რაღაც მრგვალი ჩვრის ქუდი და ისევ ორი სანიტარის თანხლებით წამიყვანეს ეგრეთწოდებულ წყნართა განყოფილებაში. არაფერს არ ვნატრობდი, სარკის გარდა. ძალიან მაინტერესებდა, გიჟის ტანისამოსში როგორ გამოვი-

ყურებოდი. ვარაუდით კი ვგრძნობდი, რომ რაღაც საშიში და სასაცილო უნდა ვყოფილიყავი. ვინ იცის, ამბულატორიაში კიდეც რამდენ ხანს გაგრძელდა ლაპარაკი იმაზე, რაც საერთოდ ავადმყოფთან არ ითქმის და რაც მხოლოდ ექიმების საიდუმლოებას შეადგენს. ვინ იცის, „პროფესორმა სარდინკამ“ რამდენი ლელვა და მჭერმეტყველება დახარჯა თავისი მეთოდის შესახებ, ჩემი ავადმყოფობის წარმოშობის და განვითარების შესახებ. საერთოდ სულით ავადმყოფობის მემკვიდრეობის და ეგრეთწოდებული კონსტიტუციის შესახებ, რომელიც მე მქონდა. რამდენად ამართლებდა ჩემი ავადმყოფობა ჩემს გარეგნობას, ან ჩემს კონსტიტუციას. მართლდებოდა თუ არა ჩემზე ვიღაც გერმანელი პროფესორის, თუ არ ვცდები კრეჩმერის, კვლევის მეთოდი და მრავალი კიდეც სხვა. მაგრამ ყველაფერ ამას რას ვინაღვლიდი, რა საქმე მქონდა მე ამ მეთოდებთან და თეორიებთან, ოღონდ გიჟებთან მეცხოვრა, გავცნობოდი ამ უძირო და უნაპირო გზნებათა ქვეყანას, გამეცნო ხალხი, იმათი აცდენილ გზაზე ნავარდი უგეგმოდ. გამეცნო პირადად და ამეწერა. მიზანი თითქმის მიღწეულად მეჩვენა ეგრეთ წოდებულ წყნართა განყოფილებაში რომ შემეყვანეს და კარები მომიკეტეს.

## წყნართა განყოფილება

– ეს იყო ჩვეულებრივზე დიდი და ფართე ოთახი, მაღალი ფანჯრებით, მაღალი ჭერით და ფერადი ქვის იატაკით. ამ ფართე დარბაზს ბოლოში კიდეც რამდენიმე პატარა ოთახი ჰქონდა მობმული. ორივე მხარეს მწკრივად ჩასდევდა მძიმე რკინის სანოლები, მაღალი და უხეში მოაჯირებით. სანოლებზე ლეიბის მსგავსი რაღაც ელაგა თივითა თუ ბზით დატენილი. დამპალი თივისა და ბზის სუნი მძიმე ნისლად იყო დაგუბებული მთელ განყოფილებაში, რაც თავისებურ ელფერს აძლევდა

ამ უცნაურ დარბაზს. ლეიბებზე გადაფარებული იყო ზენრის მაგვარი გაშავებულ-გამწვინიანებული ჩვრები, რომლებიც ზოგ ლეიბს ნახევრამდის თუ სწვდებოდა. სანოლებს შუა დარჩენილი იყო დიდი ადგილი, სადაც იდგა გრძელი და განიერი მაგიდა, რომელზედაც სუფრის მაგვარი რალაც იყო გადაფარებული, ასევე შავი და წვინიანი. მაგიდის აქეთ-იქით იდგა ორი გრძელი და ვიწრო სკამი. სანოლსა და სანოლს შუა იდგა მაღალი ოთხ-კუთხიანი სკამები ვიწრო და პატარა თახჩებით.

შევედი თუ არა ამ განყოფილებაში, ვილაც უცნობი ავად-მყოფი წამოიჭრა ფეხზე, არქარებული მომვარდა და მითხრა: – „პაპიროზი ხომ არა გაქვთო?“

– რალა პაპიროსს შემარჩენდნენ ჩემი სანიტრები-მეთქი? – ვუპასუხე. ის მაშინვე გატრიალდა, ისევე ისე არქარებით ჩანვა სანოლში, საბანში გაეხვია და გაყურდა. მე გამაკვირვა ამ გიჟის „მანიოვრმა“. რამდენი ქვიანი მათხოვარი მინახავს, თავიდან ვერ მომიშორებია. აქ კი ერთი „არა“ საკმარისი იყო, რომ ზრდი-ლობიანად ჩამომშორებოდა. სანიტრებმა წამიყვანეს და შიგ შუა ადგილს ცარიელ სანოლზე დამსვეს. მე შიშით ვათვალთვლებდი ყველას და მიკვირდა, როგორ წყნარად იწვნენ გიჟები, არა ყვიროდნენ, არ მოძრაობდნენ, ლაპარაკითაც კი არა ლაპარაკობდნენ. ყველაფერ ამის მიზეზს პირველად ვერ მივხვდი, შემდეგ კი გამოიკვია, რომ ისე იყვნენ დასუსტებულები, რომ განძრევის თავიც კი არა ჰქონდათ. ამაზე ვფიქრობდი და ვათვალთვლებდი გიჟებს, რომ ვილაც ავადმყოფი წამოდგა, ფეხაკრეფით მომი-ახლოვდა და მკითხა: „სხვა არაფერი გამოუტანებიათ? ბარათს ბარათზე ვგზავნი და ჯერ პასუხი არ მომსვლია“.

მე ვერ მივხვდი ვერაფერს. მეგონა, ალბათ, ნათესავეებს უგზავნის ბარათებს და სამაგიეროს ელის და უნებლიედ შევეკითხე: „რა გვარი ხარ, ძმობილო?“

– ჩემს გვარს რას კითხულობ, იქ იციან, იქა ჰკითხე. ტყუილად შეეცდებით ჩემი გვარის გაგებას. მე ვიცი, თქვენ ვინცა

ხართ. თქვენ გინდათ წაუხვიდეთ ჩემს სასჯელს, არა, მაგით ფონს ვერ გახვალთ!

ავადმყოფმა აღელვება იწყო. შევშინდი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მაგრამ სანიტრებმა შენიშნეს და მოცვივდნენ. ავადმყოფი გაფრთხა, ერთი-ორი გაილანძლა და გაყურდა თავის საწოლზე. ამ დროს, სწორედ ჩემს გვერდზე, წამოიჭრა სულ მთლად ძვლად ქცეული კაცი, მთლად შიშველი და აჩქარებით გასწია საპირფარეოში. ეხლა კი მართლა შევშინდი. ასე გამხდარი და გაძვალტყავებული კაცი არ მენახა. სხეული ჩონჩხს უგავდა, გამომეტყველება ჰქონდა მკვდრის. სანიტრებმა, ალბათ, იცოდნენ ეს ავადმყოფი, ყურადღებაც კი არ მიაქციეს. მე კი მეშინოდა არ წაქცეულიყო საცოდავი თორემ მუყაოს ხუხულასავით დაიშლებოდა. სულ ცოტა ხანში უკანვე გამობრუნდა და კანკალით მოძებნა თავისი საწოლი, ჩანვა და დაწყნარდა. ამგვარად, ამ საბედისწერო მგზავრობამ მშვიდობიანად ჩაიარა. მწველი ცნობისმოყვარეობა მიპყრობდა, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა. ჩემთვის ყველაფერი იყო ახალი და უნახავი. თანდათან იშლებოდა, დიდი საიდუმლოებით მოცული ქვეყანა თავისებური კანონებით, ფიქრებით და სურვილებით, ხალხით, რომელიც სრულიად არ ჰგავდა ჩვეულებრივ ხალხს, არც მოძრაობით, არც ლაპარაკით და არც სინყნარით. უჩვეულო ფიქრებმა, უჩვეულო სანახაობამ და დამპალი თივის სუნმა, ცოტა არ იყოს, თავი ამატკიეს, გამაბრუეს, პირში რაღაც მტვრის სუნი და გემო ჩამიდგა. ნერწყვი გამიშრა. გული ამოძგერდა. ვერ ვისვენებდი. მინდოდა სათითაოდ დამეველო ყველა ავადმყოფი, გამომეკითხა ვინაობა, გამეგო მათი სურვილები, ფიქრები, ერთ დღეს გამეკეთებინა ყველაფერი, რაც მინდოდა და გავცლოდი ამ უცნაურ და საშიშ ადგილს შორს, მაგრამ მთვარეზე ახტომა უფრო დასაჯერებელია, ვიდრე საგიჟეთიდან უცებ გამოსვლა. თურმე, ერთი თუ ჩავარდები ამ ადგილას, ვიდრე გოლგოთის ყველა საშიშ და მიძიმე გზას არ გაივლი, არაფერი გამოვა, არ

გამოგიშვებენ. საკვირველია, გაგიჟება უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე დაჭკვიანება. რა ვიცოდი.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ისევ ის ავადმყოფი მოვარდა ჩემთან ფეხაკრეფით და ჩურჩულით მითხრა – „მგონი, ამაღამ უკანვე ბრუნდებით და გთხოვთ ეს ბარათი გადასცეთ დანიშნულები-სამებრ“. ამ სიტყვებზე გადმომცა ნვრილად და გარკვეულად დანერილი ვეებერთელა ქალაღდი. შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა და ისევ ფეხაკრეფით გასრიაღდა თავისი საწწოლისაკენ. ის იყო გავშალე და უწდა წამეკითხა, რომ გარედან რაღაც უცწაური ზარის რეკვა შემომესმა. ამ რეკვამ განყოფიღებაში ყვეღა შეაშფოთა, გარეთაც ამოძრავდწენ. ნეტავ რას ნიშწავს ეს, ვფიქრობდი და მოუთმენღად ვეღოდი, რა მოხდებოღდა. ბევრ ხანს არ გავუღღია, რომ შემოაღღეს კარები და საწწიტრებმა დიდი ვედროებით რაღაც შემოიღწანეს. ვახშამი გამოღდა. არასდროს არ დამავიწწყღება ეს სურათი. უწდა გენახათ, რა გამწწარებუღღები ეღწანებოღდწენ ავადმყოფები ამ ვახშამს, როგორ იღწაცებდწენ და ხარბად ჭამდწენ ორივე მუჭით. თეფშებს ლოკავდწენ და ისროდწენ იაღწაკზე. შემდღეგ ერთმანეთს სღწაცებდწენ. ატყღდა აურ-ზაური, ერთი დავიღღარაბა, ჩხუბი, გიწნება. სულ რაღაც ხუთი წუთის შემდღეგ მთელი დარბაზი ბრძოღღის ვეღსა ჰგავღდა. აქა-იქ ეყარა საჭმელი, პური, რკინის თეფშები, კოვზები, შაქარი. ამგვარად ივახშმეს და დანწყწარდწენ. მე არაფერი მომცეს, იმ დღეს ვიყავი მისული და არაფერი მერგებოღდა. საკვირვეღღია, არც ერთი არ იყო ისეთი გიჟი, რომ ჭამის სურვიღღი ჰქონოღდა დაკარგული. პირიქით, სიგიჟეს თურმე ახასიათებს ბევრი ჭამა, სხვანაირად – ჭამის შეგწნება იღღვიღებს უფრო ამ დროს. ისევ მალე დანწყწარდწენ ყვეღანი. თანდათან შემოღღამღდა, აანთეს შუქი და ჯერ კიღღეგ კარგად დღღამებუღღი არც იყო, რომ ძიღღი ერეოღდა ყვეღას. განყოფიღებაში სიწყწარე იყო. მოუთმენღად ვეღოდი დღღამებას, რომ როგორმე მარტოს წამეკითხა ბარათი, რომელიც გადმომცა ვახშმის წწინ ჩემმა უცწაურმა მეზობელმა.

მე ძალიან მაინტერესებდა როგორც ბარათის შინაარსი, ასევე ფორმა, თითქმის არა მჯეროდა ასე აშლილ და უცნაურ კაცს თუ ჰყოფნიდა მოთმინება რამის დასაწერად. თითქმის ყველაფერი მიწყნარებული იყო, რომ ჩუმად ამოვიღე ბარათი და კითხვა დავიწყე...

„ღია ბარათი დედა-ღმერთს, აგრეთვე ყველას.

მე, როგორც გონიერება – ღმერთ-კაცი, ესე ვუნოდებ ჩემს თავს მას აქეთ, რაც გავგიჟდი. მართალია, ჩემი აზრით, ვიშვი დედის მუცლიდან, ეს იმას არ ნიშნავს რომ გონიერება არ ყოფილიყო. ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ამაზე ლაპარაკი, ჩემდა თავად, მეტია. ეხლა მე ვცნობ და ვუნოდებ დედა-ღმერთს ჩემს მშობელს პელაგიას და თუ დედას კიდევ დიდი დედა ჰყავს ღმერთი – მეც უარყოფილი არა ვარ, რაც ნაკლებად მჯერა ჯერჯერობით, რადგან მე ბევრი გარკვეულობა მაკლია, ე.ი. ყველაფრის ცოდნა, ნამლობა რაც დედას ასე თუ ისე ჭეშმარიტად ევალება. ეხლა მე მაქვს საბუთი საყოველთაოდ დედიტურთ განვაცხადო, რომ მე გაჩენის აქეთ ცოცხალი ვარ, ე.ი. არც არავინ მომიკლავს და არც მე მოვმკვდარვარ. ვიცი, ეხლა ქვეყანაზე დროებით მკვდრები ცოცხლებიან და მეც ამ გაცოცხლებულ მკვდრებში ვურევივარ. ეს არაფერი, მაგრამ მათთან ყოფნით მე არ უნდა ვიჩაგრებოდე, ამისი მიზეზი არა მაქვს, აგრეთვე მშიერიც არ უნდა ვიმყოფებოდე, არც დაკეტილში. იცოდეთ, ჭეშმარიტად ვარ გამჩენი, რომელიც აჩენს არამც თუ თუთუნს და სხვა რამეს, არამედ ადამიანსაც. ამიტომ ამგვარი ცხოვრება ძალიან მერცხვინება. გონიერება ქვეყანაზე თუმცა ერთია დიდი-ღმერთი. მაგრამ სალი გონება მოითხოვს გაიყოს ორად, ე.ი. დედალ-მამალი გონიერება. დედა-ღმერთი და შვილი-ღმერთი, თუმცა ესენი სწორად საჭირო არ იყო. იძულებული ვარ მოვიქცე ასე, თორემ რა... მაგრამ მე არაფერი არ მასწავლეს, არც მიწამლეს, გონიერება ღმერთი რა არის უსწავლელ-უნამლო. შეიყვარეთ დავრდომილნი და იცოდეთ, რომ ღმერთი ბრუტიანი



არ არის, რომ ვერ დაინახოს კარგი საქმე. მაგრამ ამის წერას რომ მივყვე, შორს წავა. მე არაფერს ცუდს არ ვფიქრობ ქვეყანაზე. ყოველივე კარგი მინდა ადამიანისათვის, როგორც ქვეყნის „იდეა“. კიდევ მეტი – ქვეყნის ენერჯია – უმაღლესი ელექტრო, კიდევ მეტი გონიერება და კიდევ... უ...გონიერება. იცოდეთ, ღმერთს არავითარი წერილის არ ეშინია, არც ამ წერილის დამწერს, ვარლამს, ეშინია თქვენი, რადგან გონიერება ღმერთი თავის თავად მწერალია და სულების ხლაფორთი“...

გავათავე ამ უცნაური წერილის კითხვა და ბალიშის ქვეშ ამოვდე საკმაო სიფრთხილით. განყოფილებაში სამარისებური სიჩუმე იდგა. შუალამე კარგად გადავიდა, მაგრამ მე მაინც ვფხიზლობდი. თავი გაბრუებული მქონდა ათასი ახალი და უცნაური შთაბეჭდილებით. ბევრსა ვფიქრობდი ამ ხალხზე და მეშინოდა მათი ბედის გამო. ყოველ ხმაურზე გული უცნაურად მიცემდა შიშით და სიბრალულით. ოდნავ წამთვლიმა, რომ საშინელმა კივილმა მეხივით დამკრა თავში და სულ მთლად დამადუნა. ჩემ სიცოცხლეში არ გამეგო ასეთი სასტიკი კივილი. ატყდა ალიაქოთი, სანიტრები მისცვივდნენ ერთ ავადმყოფს, რომელიც განანამები იგრიხებოდა, იკრუნჩხებოდა და საშინელის ძალით ეხეთქებოდა ქვის ფილაქანს. ჩემს დღეში არ მენახა ბნედიანი ავადმყოფი. მთლად გალურჯებული სახე, პირიდან სისხლი და ქაფი სდიოდა, ხელებს, ფეხებს, თავს, მთელ სხეულს გამეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ურტყამდა დედამიწას. ნახევარი წუთიც რომ გაგრძელებულიყო ეს მდგომარეობა, ან დაიხრჩობოდა ან ყველა ძვალს დაიმტვრევდა, მაგრამ ბუნებას უფრო კარგად სცოდნია ადამიანის ამტანობა. სულ სამი თუ ოთხი წუთი გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა. შემდეგ ავადმყოფი შეჩერდა, ერთი ორჯერ გაიზმორა ყელგამოჭრილი ხარივით, ამოიხვნეშა, დუჟი და ქაფი ამოაფურთხა და გაყუჩდა. სულ მთლად მოდუნდა და მკვდარივით დაიძინა. სანიტრებმა დაანვინეს ისევ საწოლზე,

პირი მოსწმინდეს, რაღაც აყნოსინეს და დაწყნარდნენ. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ისევ ხმაური და კარების ბრახუნი ატყდა. სანიტრები, რომლებიც აქამდე გულის ძილში იყვნენ, წამოვარდნენ ფეხზე და თავთავიანთ ადგილზე გაიჭიმნენ. ეს მოხდა ისე უმალ და ისეთის მოხერხებით, რომ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ სულ რაღაც ერთი წუთის წინ ტკბილად ეძინათ. მე ცნობისმოყვარეობით დავინყე ცქერა კარებისაკენ, სადაც ამ დროს გამოჩნდა ორი თეთრხალათიანი ფიგურა. ესენი იყვნენ ექიმი და ფერშალი. ორივე ახალგაზრდა. ექიმმა ნელა ჩამოუარა სანოლების რიგებს, ფერშალი რაღაცას ანიშნებდა და ეჩურჩულებოდა...

შემდეგ დაათვალიერეს საპირფარეშო... ცარიელი ოთახები. საკვირველია, ფანჯრებს და რკინის ჩარჩოებს უფრო გულმოდგინედ ათვალიერებდა ექიმი, ვიდრე ავადმყოფებს. ალბათ, ესეც „პროფესორ სარდინკასგან“ ჰქონდა ჩაგონებული. ამის შემდეგ ჩვენ რიგსაც ამოუარეს. ვიღაცას ეძებდნენ, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ეს ვიღაც მე ვიყავი. ექიმი აჩქარებით მომიახლოვდა და საკმაოდ ზრდილობიანად შემეკითხა: „ზირან, რატომ არა გძინავს; ხომ არ გიშლიან ავადმყოფები, ან ხომ არ გეშინია?“

– არა, – ვუპასუხე, – მე არავინ არ მიშლის ჩემი თავისა და ჩემი ფიქრების გარდა.

– ჰო! მაშ ეგრე ნუ ფიქრობ, არ უნდა იფიქრო. ფიქრი მავნებელია. – კინალამ ისიც კი თქვა, რომ ფიქრი სისულელეაო. ისე უანგარიშოდ და ზეპირად მანუგეშებდა ძილგამტყდარი ექიმი. მალე ფერშალს რაღაც ანიშნა. ფერშალმაც გრძელ და ვიწრო ნიგნში ჩაინიშნა. შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა და მითხრა: ნუ გეშინია, ზირან, კარგად იქნები. – მხარზე ხელი დამკრა და გამშორდა. ამით გათავდა ექიმის მოვალეობა იმ შუალამეს. გავიდნენ, მაგრად გაიხურეს კარები, თითქოს სცდიდნენ ჩარჩოების სიმაგრეს, ცოტაც და ხმაურობა ისევ გააქრო სიჩუმემ და შიშმა,

რომელიც ექიმს თან დასდევდა უნებლიედ. ამის შემდეგ სანიტრებმა, როგორც ჩანდა, თავისუფლად ამოისუნთქეს. მოძებნეს თავიანთი საწოლები და ისევ ტკბილ ძილს მიეცნენ. მეც, ცოტა არ იყოს, ძილი მომერია. ამის შემდეგ ღამის მყუდროება თითქმის აღარავის დაურღვევია...

გათენებულიყო, რომ გამეღვიძა. განყოფილებაში ხმაურობა და მოძრაობა იდგა. ზოგი პირის დასაბანად გარბოდა, ზოგი დგებოდა, ერთი ორჯერ გაიზმორებდა ან ილანძღებოდა და ისევ წვებოდა, ზოგი მღეროდა, ზოგი იცინოდა... „არა, შენ მაგას ნუ მეუბნები. პირს ნუ იპარსავ. მაგხელა თმა რომ მოგიშვია, რაა ეგ?... არა, ძმობილო, მე მინაზე უნდა დავწვე, ეგ საწოლი რკინისაა, რკინა ცხელია... რაა, ეს რაა? – ამ სიტყვებით გამწარებული ებრძოდა ერთი ავადმყოფი თავის თავს. ამ ავადმყოფზე მითხრეს, რომ უკვე სამი წელიწადია, რაც საგიჟეთშია და რკინის საწოლზე ჯერ არ დაწოლილაო. არამც თუ არ დაწოლილა, დაუძინებელი მტერია რკინის საწოლების. დილიდანვე თუ ეზოში არ გაუშვებს, მივარდება საწოლებს – ათრევს, ამტვრევს, ეომება. ერთი სიტყვით, თავგანწირულ ბრძოლას უმართავს თურმე. მოსვენებას არ აძლევს მთელ განყოფილებას.

მე ჯერ არ ვიყავი ამდგარი და ჩუმად ვათვალიერებდი ყველას. უეცრად მომვარდა ეს ავადმყოფი და საშინელი ყვირილი დამიწყო – „იცი, ეს რაა, იცი ეს რაა?... თან მაჩვენებდა რკინებს. ცოდო ხარ, ძამია, ცოდო... სარკე, იცი, რაა... იცი? აბა, შეიხედე... აბა, რა ფერი გადგია. ქალს ნაუხდენიხარ, ძამია, ქალს. აბა, ეს რაა, თმა უნდა გაიკრიჭო, წვერ-ულვაში მოუშვა. მიუქთად პური არ უნდა ჭამო. რკინის საწოლში არ უნდა დანწვე, თორემ, აბა, რაა. რას გევხარ? სარკე, იცი, რაა, იცი? აბა გაიხედე... – ყვიროდა ჩემი მეტოქე, მაგრამ უწყინარი ავადმყოფი იყო. არავის არაფერს არ დაუშავებდა. სანიტრებმა, ალბათ, იცოდნენ ეს, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ არც იმის ყვირილს და იმის აღგზნებას.

ავადმყოფი უცბად შემეკითხა:

– რუსი ხარ თუ ქართველი? მერე, იცი, რაა რუსი? ტრუსი? რისი, ვისი? იცი, რაა? იცი? რუსი ურჯულაა! ოჯახი არა აქვს.

– რათა გგონია, რომ ოჯახი არა აქვს?

ამ ჩემმა სიტყვებმა სასტიკად გაამწარეს.

– მერე, იცი, რაა სემიჩკა? იცი? სემია – ჩკა, ოჯახი არ არის... ჩკა სომხურია. იცი, რა არის სომეხი? სომეხი – სახაა – სახა – სახამებელია. – როგორც ჩანდა, ბოლო არ ექნებოდა ამ ლაპარაკს, რადგანაც ყოველი ახალი სიტყვა ბგერითი მსგავსების გამო აუარებელ სხვა სიტყვას იწვევდა, რომლებიც სრულიად უკავშიროდ მომდინარეობდა იმის თავიდან. რა სტკიოდა ამ ავადმყოფს? საიდან მივხვდებოდი. მაგრამ ერთი კი ნათელი იყო, რაღაც ჰქონდა მოშლილი თავში, რაც ასე აბოროტებდა.

მაღე ისევ ის ნაცნობი ზარის რეკვა გაისმა. არაფერმა არ გამაკვირვა ისე, როგორც „ჩაიმ“ საგიჟეთში. უზარმაზარი ჩაიდნების დანახვაზე უნებლიედ გამეცინა. თითქოს ჩაის მეტი აღარაფერი აკლდა ამ საბრალო ხალხს. მგონი, ამასვე ფიქრობდნენ ის ავადმყოფები, რომლებიც ცოტას მოსვამდნენ თუ არა ამ „ჩაის“, გამწარებულები ისროდნენ დაჟანგებულ თუნუქის „კრუ-ჟეებს“, სულერთია, საითაც მოხვდებოდათ. ეს საკმარისი იყო, რომ მაგარი მუჯლუგუნი ან კარგი პანლური დაემსახურებინათ სანიტრებისაგან. მე ყველაფერს ჩუმად ვადევნებდი თვალყურს. ბრაზი მკლავდა. მინდოდა ქომაგი და პატრონი ვყოფილიყავი ამ საცოდავი ხალხის. მაგრამ ვითმენდი, ბრაზს გულში ვიკლავდი.

როგორც იყო, გათავდა ეს საბედისწერო „ჩაი“, რომელმაც მათ უფრო მეტი ზიანი მიაყენა ვიდრე სარგებლობა. ავადმყოფები ისევ დაწყნარდნენ. უეცრად ერთი ძალიან მაღალი და გამხდარი ავადმყოფი წამოდგა ფეხზე. აქამდის სრულიად არ ჩანდა. ეტყობა საბნის ქვეშ იყო გარინდებული. სიმართლე ითქვას, შემზარა იმისმა დანახვამ, მით უფრო, რომ ეს ავადმყოფი პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა. ნელა, თითქმის ფეხაკრეფით

მომიახლოვდა, ჩემად ჩამოჯდა ჩემს სანოლზე და ჩურჩულით მითხრა: „იცით, რა სიზმარი ვნახე?“

მე თუმცა მეშინოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია შიშს. ღრმად ჩაძირული შავი და ჩალურჯებული თვალები, გამხდარი სახე, მინის ფერი – მაღალი წინ წამოდგმული შუბლი და მთელი გარეგნობა ლაპარაკობდა, რომ ჩემი ახალი სტუმარი მეტად უცნაური კაცი უნდა ყოფილიყო. მე მაშინვე წამოვჯექი, ადგილი დავუთმე. იმან არ ქნა, ისევ დამანვინა და ისევ ჩურჩულით მითხრა: „იცით, რა სიზმარი ვნახე?“ ამ დროს მე შევნიშე იმის უბეში მთელი დასტა ქალაღდების, რვეულების, რამაც ზედმეტად დამაინტერესა და თითქმის მოუთმენელი გამხადა. მე გაგებული მქონდა საგიჟეთის პოეზიაზე და დღიურებზე, მაგრამ არაფერი არ ვიცოდი გიჟებზე, მათ სულისკვეთებაზე. „შენი სახელი, ძმობილო?“ – შევეკითხე. „ბოროტი ადამიანი,“ – მიპასუხა. მე გავჩუმდი. „თქვენ არ იცით, მე რა სიზმარი ვნახე და იმიტომ მეკითხებით სახელს. კაცის სახელი იმის განცდებია, მითხარით თქვენი განცდები და მე გეტყვით, რა გქვიათ. რა სისულელეა სახელი ქვეყანაზე. რაც უნდა დამარქვათ, მე მაინც „ბოროტი ადამიანი“ ვარ. ქვეყანაზე ადგილი ველარ ვიპოვე, რომ მეცხოვრა, საგიჟეთის გარდა. აქ სახელს არ გკითხავენ, აქ ყველას ერთი სახელი აქვს – „გიჟი“. მე სახელს ვერ გეტყვით, რადგანაც დამავინწყდა საკუთარი სახელი.

ჩემი ახალი სტუმარი თანდათან იშლებოდა, ხმაც ამოინმინდა, თვალებიც გაუბრწყინდა. შეშინებულმა აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. სიზმარი? ჰო! სიზმარი... სიზმარი... „რალაც საშინელ მოჩვენებად განოლილი სიჩუმე... ვინრობა საზღვარდაუდებელ სივრცეში. უეცრად გამოჩნდება საგლეჯი კბილი. უზარმაზარი სიდიდის. აქეთ წამოვა. მოდის, მიახლოვდება... უფრო დიდდება, მარტო კბილია, სხვა არაფერი. მოდის, მიახლოვდება... შიში და მოუთმენლობა კლდესავით აწვება გულს. ბნელი სივრცე, უსაზღვრო და თეთრი, უზარმაზარი კბილი, ბასრი – წვეტიანი, უეც-

რად წყვდიადს ალებს ერთი უზარმაზარი თვალი, სულ მთლად სისხლში გასვრილი, წითელი. თეთრი ძვლის კბილი, სისხლიანი თვალი: ნეტავი, რა იქნება? მაგრამ ეს რა არის. საზარელი ფერის, რა შავია, წყვდიადზე შავი... ნუ, ნუ გამოჩნდება. ო, საშინელება! რა იქნება ესეთი საზარელი?“

ამ სიტყვებზე პირქვე დაემხო და ერთხანს გაყურდა. უეცრად სასონარკვეთილებით შეჰკვივლა:

– გული! გავიგე... კმარა, კმარა, მაგარი საგლეჯი კბილი. სისხლიანი თვალი... შავი გული... საშინელი, საზარელი, სისხლიანი მაჯლაჯუნა. მოდის, მიახლოვდება. აივსო, რა უცნაურია, რა სისხლიანი თვალებით, რა ბასრი კბილებით. რა შავი გულით მიახლოვდება. მოდის, მერე რა უნდა. უეცრად პირი გაალო, ოჰ! ენა გამოყო. ენის უკან კი პატარა სიბრძნის კბილი ილიმებოდა. ამ ღიმილმა ანთებული შიში გამიასკეცა. უეცრად სივრცე შევიწროვდა. მოდის, მიახლოვდება. უზარმაზარი ფრჩხილები გამოჩნდა. მოდის, პატარავდება. კიდევ მოდის, პატარავდება. შიშის კანკალმა ამიტანა. რა მოხდა. მოძრაობა შეჩერდა. ქალი უცნაური სილამაზის გაჩერდა ჩემს წინ, გაიღიმა. მე უფრო თავზარი დამცა ამ სანახაობამ. ელვის ჟრუანტელმა ფრჩხილებამდის გამირბინა. – ამ სიტყვებზე უფრო აღელდა და ბოდვა იწყო – დაუსრულებელი სივრცე. უზარმაზარი საგლეჯი კბილი. სისხლიანი თვალი. შავი გული, ანთებული ენა, გახურებულ, შხამიან შამფურით რომ გაურბინა მთელ ქვეყანას შიგ გულში. ძალიან პატარა სიბრძნის კბილის საცოდავი გაღილება უზარმაზარ ენის უკან და ქალი უცნაური სილამაზის, გველის ღიმილით. ამის შემდეგ კი რბილი სუნთქვა, გამთბარი საწოლი, ვნების ოხშივარი. ჟინიანი გაზმორება, ლამაზი ქალის ელვიანი ჩაკონება. შავგვრემანი ვნება. კოცნა. კოცნით განათებული წყვდიადი. გათენება. გამოღვიძება. სინამდვილე, ისიც სიზმარი... ოჰ! იცით, რა სიზმარი ვნახე, იცით... რა მქვია? აბა, ეხლა მკითხე, რა მქვია... არა, მაგას

ველარ გამიბედავ. შენ გაიგე ჩემი ტანჯვა და სახელი არ გინდა, თავისთავად მიხვდები... ჰო მიხვდები.

ამ სიტყვებით ფეხზე წამოვარდა და საკმაოდ აღგზნებული გაიქცა თავისი საწოლისკენ. ჩანვა ლოგინში, საბანში ჩაეფლო და გაყურდა... ძალიან მოულოდნელი და უცნაური იყო ამ ავადმყოფის გაცნობა ჩემთვის. ეს საშინელი სურათი ჩემს სიცოცხლეში არ დამავინყდება. ის ტანჯვა, ის ჩაქრობა და ანთება, რომელიც იმას ემართებოდა ლაპარაკში, ზედმეტად საინტერესო მეჩვენა... გადავწყვიტე, როგორმე ხელში ჩამეგდო იმისი დღიური, მთელი იმისი ხელნაწერები და გამომექვეყნებინა. ისე დამძალა ამ მართლაც უჩვეულო სანახაობამ, რომ თავი გამიბრუვდა და თვლემა დავინყე.

ძილს ვაპირებდი, მაგრამ ისევ იმ საბედინერო ზარის რეკვა გაისმა, რომლის ხმაც ჭამის მადას უღვიძებდა ყველას... განყოფილებაში ისევ ჩოჩქოლი ატყდა... ზარის რეკვა ისევ იმ საბედისწერო „ჩაის“ ნიშნავდა. დიდი ბრძოლით, როგორც იყო, გათავდა დილის ჩაი, რის შემდეგაც თეთრებში გამონყობილი მოხუცებული ქალი შემოვიდა განყოფილებაში. ხელში ეჭირა მოზრდილი ხონჩა კოლოფებით, ქალაღდის პარკებით და წამლის ფერადი შუშებით. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ის წამლები იყო, რომლებიც ჰკურნავდნენ ხალხს სიგიჟისაგან. ამ მოხუცებულმა დედაკაცმა მარდად დაიწყო დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ჯერ იმ ვინრო ყდიან წიგნში ეძებდა ავადმყოფის გვარს, ჩანიშნავდა, დაასხამდა წამალს ჟანგიანი რკინის კოვზზე და მიურბენინებდა ავადმყოფს... თუ ავადმყოფი თავის ნებით დალევდა, ხომ კარგი, თუ არა და იმართებოდა საკმაოდ ფიცხელი და ზოგჯერ საშიში ბრძოლა. სანიტრები ხელფეხს უჭერდნენ, ძალით უღებდნენ პირს და ძალით ასხამდნენ წამალს. ამ ხერხით ჩასხმული წამალი უმეტესად სასულეში გადადიოდა, რასაც ავადმყოფის ხველება მოჰყვებოდა. ამგვარად, ზოგს დასალევი წამალი დაალევინეს, ზოგს ფხვნილი, ზოგს რაღაც ნემსი

გაუკეთეს, ზოგს შარდი გამოუშვეს ძალით, ზოგს რა უყვეს, ზოგს – რა. ბოლოს ჯერი ჩემზედაც მოდგა. სიმართლე ითქვას, ცოტა არ იყოს შემეზიზნა ყველას ნაპირალით, ამ ჟანგიანი რკინის კოვზით, ამ მღვრიე და უმსგავსო სითხის დაღვევა, მაგრამ უარს როგორ ვიტყვოდი, როცა უკვე ნანახი მქონდა, რას ნიშნავდა უარის თქმა. როგორც იყო დავლიე. რალაც მლაშე თუ მწლაკე, საზიზლარი გემოსი გამოდგა ეს ჭკუის მომცემი და წყეულ ფიქრთა გამქარვებელი წამალი. მაგრამ, რაც იყო, იყო, მეცნიერება ამას მოითხოვდა და ჩვენც თითქმის უთქმელად ვაკეთებდით ყველაფერს, რასაც შემოგვთავაზებდნენ ეს ჩვენს მოსაჭკვიანებლად მოწოდებული ხალხი. გაჭირვებით, მაგრამ მაინც გათავდა ყველა „დანიშნულებათა“ შესრულება. ავადმყოფები ისევ ჩაამწკრივეს საწოლებზე, რასაკვირველია, იმ ავადმყოფის გარდა, რომელიც რკინის საწოლში არა წვებოდა საერთოდ. დიდხანს არ გაუვლია, რომ შემოვიდა ისევ ის მოწყალეების და, მარდად მიათვალაიერ-მოათვალაიერა მთელი განყოფილება, სად ზენარი გამოაცვლევენა, სად საბანი გაასწორებინა, სად ნაგავი ააკრეფინა. ერთი სიტყვით, ასე თუ ისე, წესრიგში მოიყვანა მთელი განყოფილება. ყველაფრიდან ჩანდა, რომ დიდი კაცი უნდა მოსულიყო განყოფილებაში. მართლაც, დიდხანს არ გაუვლია, რომ ხმაურით გაიღო კარები და რიგრიგად, უფროს-უმცროსობით შემოლაგდა ხალხი – ყველა თეთრად გამონწყობილი. ყველაზე წინ მოდიოდა „პროფესორი სარდინკა“, როგორც ყველაზე უფროსი, მას მოჰყვებოდა ერთი უშველებელი ტანის, და შემზარავი გარეგნობის კარგად გაჭაღარავებული ექიმი, შემდეგ ის ეშმაკი მოხუცი, მე რომ დამკითხა, კიდევ ხუთიოდე ქალი და კაცი. იქვე იყო ნუხანდელი ახალგაზრდა ექიმი, ფერშლები, მოწყალეების დები, სულ თხუთმეტ კაცამდის. ეს იყო პროფესორ სარდინკას შტაბი, რომელსაც ასე ამაყად და მედიდურად მეთაურობდა. დაინყო ეგრეთწოდებული ავადმყოფების „შემოვლა“. განყოფილების ექიმი საკმაოდ დაკვირვებით, დინჯად, დანვრილებით მოუთხ-



რობდა დანარჩენებს და უმთავრესად „პროფესორს“ ავადმყოფის მდგომარეობას, მის ყოფაქცევას, საერთოდ, ყველაფერს, რასაც აკეთებდა ან ამბობდა ავადმყოფი მთელი კვირის განმავლობაში. ამას მოჰყვა ექიმების რამდენიმე შეკითხვა... შემდეგ კი პროფესორის ვრცელი ახსნა-განმარტება ამ ფორმის დაავადებათა ანუ ეგრეთწოდებული „ფსიხოზის“ შესახებ. კამათს, რასაკვირველია, ადგილი არ ჰქონდა, ან კი ვინ შეეკამათებოდა პროფესორს, რომელსაც თავისზე მცოდნე და ჭკვიანი მთელ ქვეყანაზე არავინ ეგულებოდა. ამის შემდეგ, ამავე წესით, შემოეხვეოდნენ მეორე ავადმყოფს, მესამეს, მეოთხეს. ზოგთან ხანგრძლივად შეჩერდებოდნენ, ზოგან თითქმის არ შეჩერდებოდნენ, სადაც ეგრეთწოდებული „უნუგემო გიჟი“ ეგულებოდათ.

გულის ფანცქალით ველოდი ამ მეცნიერთა „კონფერენციის“, როგორც უწოდებდა პროფესორი სარდინკა თავის შტაბს, ჩემთან მოსვლას. დიდხანს არ გაუფლია, რომ თავზე წამომადგნენ. განყოფილების ექიმმა ისევ ისე აუჩქარებლად დაიწყო: ავადმყოფი წყნარია, ყოფაქცევა კარგი აქვს, ემჩნევა ერთგვარი მონყენილობა, სანოლიდან არ დგება, უმადოდ ჭამს. აქვს უძილობა, იჩენს გარემოსადმი საკმაო ინტერესს, ებაასება ავადმყოფებს, განიცდის შიშს, საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი აქვს.

ამის შემდეგ პროფესორი სარდინკა მომიახლოვდა, მაჯა გამისინჯა, თვალეში ჩამხედა, ენა გამომაცოფინა და მკითხა –

– „სხვა, ზირან, ხომ კარგად გრძნობ თავს?

– კარგად, – ვუპასუხე.

– რამე ხმები ხომ არ განუხებენ?

ამ სიტყვებით ყურებზე ხელი მიიღო და გაასავსავა. არა – ვუპასუხე.

– როგორ შეენწყვე ავადმყოფებს, ხომ არ გეშინია?

– არა, ნელნელა ვეჩვევი, – ვუპასუხე.

ამის შემდეგ ისევ „კოლეგებს“ მიმართა.

– აბა, წარმოიდგინეთ რა ძნელი და რთულია ყველა ამისთანა შემთხვევაში დიაგნოზის დასმა. ხომ ნახეთ, ამბულატორიაში „სუფთა შიზოფრენიული“ სურათი მოგვცა, აქ კი საავადმყოფოს პირობებში რა საფუძვლიანად შეიცვალა ეს სურათი. ხომ ხედავთ, ავადმყოფი როგორ მონყენილია. ხომ ხედავთ, როგორ ინტერესს იჩენს გარემოსადმი. გუშინდელი სურათი გარიყულია ქვეცნობიერების სფეროში. სამაგიეროდ, ამკარავდება კონსტიტუცია, რომელიც გუშინ არ ჩანდა, იმიტომ, რომ აღგზნება უშლიდა. ერთი სიტყვით, შემთხვევა ძალიან საინტერესოა და თანამედროვე. ვთხოვთ განყოფილების ექიმს შეისწავლოს ეს შემთხვევა და წარმოადგინოს კონფერენციის მორიგ სხდომაზე.

ექიმს ხელი დაჰკრა მხარზე და უთხრა:

– აბა, შენ იცი, ბევრი ფილოსოფოსობა კი არ დაიწყო. შემთხვევა მარტივია და გაადვილებული. აქ მხოლოდ დაკვირვება უნდა.

როგორც იყო, ჩამოათავეს ავადმყოფების ნახვა. პროფესორმა სარდინკამ დაათვალიერა საპირფარეშო, კარებები, ფანჯრები, რკინის ჩარჩოები ხელით მოსინჯა და რომ დარწმუნდა მათ სიმაგრეში, ერთი-ორი შეუბღვირა მომვლელებს, რომლებიც ლარივით იყვნენ გაჭიმულები კარებთან. ნაძალადევი ზრდილობით გადაუხადა მადლობა განყოფილების ექიმს და სწრაფად გაეშურა კარებისაკენ. გავიდა და თან გაჰყვა ექიმთა „კონფერენცია“. დარჩნენ გიჟები და მომვლელები.

საკვირველია, ექიმთა კონფერენციის ადგილზე მოსვლამ ვერავითარი ჭკუა ვერ ასწავლა ვერც გიჟ ავადმყოფებს და ვერც ჭკვიან მომვლელებს, რომლებიც მუყაითად ჰბეგვავდნენ ავადმყოფებს სულ უბრალო დანაშაულისთვისაც კი და არავინ იყო ქომაგი ამ უბედოდ განწირული ხალხის.

დრო გადიოდა. მე ნელ-ნელა შევეჩვიე ავადმყოფებს. თითქმის მოვშინაურდი კიდეც. დავდიოდი განყოფილებაში, თავისუფლად ველაპარაკებოდი ავადმყოფებს. ვაკვირდებოდი იმათ ყოფაქცევას. ვინერდი უბის წიგნში ცალ-ცალკე ეპიზოდებს,

ვინიშნავდი, ვათარილებდი, რომ შემდეგ გამომეყენებინა. ავადმყოფებიც საკმაო ნდობით შემომეყურებდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დამიმეგობრდნენ და ჩემთან ბაასში ატარებდნენ დროს. მეც შეძლებისდაგვარად ვექომაგებოდი სუსტებს და დავრდომილებს. საკვირველია, რა უცნაურად მეჩვენებოდა აქ ყველაფერი – ავადმყოფებიც, მომვლელებიც, შენობაც და მონყობილობაც კი. ყველაფერი ეს ქმნიდა მხოლოდ ერთს დიდ და მძიმე შთაბეჭდილებას.

– ნეტავ ვიცოდე, რა ფორმის გიჟი იყო ის კაცი, რომელმაც პირველად მოიგონა სულით ავადმყოფი ხალხის მკურნალობა ასეთი დაუნდობელი და უგუნური წესებით. – მეკითხებოდა თითქმის ყოველდღე ჩემი გადარეული გონება, მაგრამ ვინ იყო პასუხის გამცემი? ან გიჟ და საშიშ კაცს აქ, საგიჟეთში პასუხის ღირსს ვინ გამხდოდა.

ამგვარი და კიდევ უფრო ძნელი და გაუგებარი ფიქრებით მევსებოდა თავი, მიმძიმდებოდა, მტკიოდა. გულიც მტკიოდა. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი დავდიოდი განყოფილებაში ფეხაკრეფით, ქურდულად, შიშით, რომ ვინმეს მყუდროება არ დამერღვია. თუმცა აგერ უკვე თვე გამიხდა აქ ყოფნისა. ის მძაფრი შთაბეჭდილება, რომელიც ჭირვეულად ეტანებოდა ტვინს, ოდნავადაც არ შენელდა. რაღაც ჯადოსნური ძალით თითქმის ყოველდღე იცვლებოდა ავადმყოფების მდგომარეობა. ის ავადმყოფი, რომელიც თითქმის გაუნძრევლად იყო საბნის ქვეშ, უკვე ალაპარაკდა. ყველაზე მშფოთვარე და აშლილი ავადმყოფი დანყნარდა. ამგვარად, ყოველ დღეს სულ ახალი, უცნობი და უნახავი შთაბეჭდილება მოჰქონდა. სმენაც და თვალიც შეეჩვია ამ მდგომარეობას. რაღაც განსაკუთრებული შიშით და სიამოვნებით შეეყურებდი ავადმყოფებს. მოუთმენლად ველოდი, იქნებ რომელიმე მათგანი დაჭკვიანებულიყო, რომ უფრო კარგად შემედარებინა სიგიჟე იმის სიჭკვიანისთვის, მაგრამ არ იქნა და არ ეშველა, ვიდრე მე იქ ვიყავი, არც ერთი არ დაჭკვიანებულა.

პირიქით, მომვლელები და ექიმებიც კი გიჟებად მეჩვენებოდნენ. ისევ ავადმყოფებთან ურთიერთობა გადავწყვიტე: აგერ ის ავადმყოფი ნეტავი ვინ იქნება? რა გამხდარია, რა მიწის ფერი აქვს. საკვირველია, რატომ სული არ შეეხუთება, სულ მუდამ რომ საბანწაფარებული წევს გაუნძრევლად. დიდი ჩხუბით და წვალეებით ღებულობს საჭმელს. ნეტა რა ანუხებს? ანუხებს კი რამე, თუ ისეა ჭკუადაკარგული, რომ მოძრაობის და განძრევის უნარიც კი არა აქვს?.. კიდევ მრავალ სხვაზე ვფიქრობდი, იმ ავადმყოფს რომ ვუყურებდი, მძაფრი ცნობისმოყვარეობა მიჰყვრობდა თითქმის ყოველთვის. ბოლოს, გადავწყვიტე მენახა და მეკითხა. საკმაო სიფრთხილით მივუახლოვდი, თავქვემ ღონივრად ამოდებული საბანი ძალით გამოვაცალე და ნაძალადევი ალერსით შევეკითხე:

– მეგობარო, რად ხარ ასე... ხომ დაცხება... ადექი, გაიარ-გამოიარე...

შემომხედა, შემომხედვა იყო უძირო, იქით ქვეყნიდან...

– რადა ვარ ასე?... გიჟი მაშ როგორ უნდა იყოს?... დამცხება? ისე მაქვს გაყინული გული, რომ მთელი ქვეყნის საბნები რომ დამახუროთ, მაინც არ დამცხება... ავდგე, გავიარ-გამოვიარო?... მე ბევრი ვიარე ქვეყანაზე, მაგრამ ბოლოს მაინც საგიჟეთში მოვედი. ქვეყანაზე დაბრუნებას მე აღარ ვაპირებ... ფეხებით სიარული მე აღარ მჭირდება. სამაგიეროდ ტვინი მაქვს გაჭენებული. რა დაღლის შეშლილი ტვინის გაჭენება?

ცოტა არ იყოს, შემაკრთო ამ გაბოროტებულმა პასუხებმა. – თანაც ასე მოულოდნელი იყო ჩემთვის. მე სხვანაირად მეგონა. მაგრამ მაინც ისევ ნაძალადევი ალერსით შევეკითხე:

– აბა, წამოჯექი, ძმობილო, მითხარი შენი სახელი!

– წამოჯვდე? მე დიდი ხანია ვზივარ შხამიან ეკლებზე. ნუ მთხოვ, უფრო დავიტანჯები. ჩემი სახელი? ჩემი სახელი წყევლაა, მთელი ქვეყნის წყევლა. მერე, ხომ იცი, რა ხარისხისაა გაგიჟებული კაცის წყევლა? ხომ იცი, რა ძალისაა მოძველებული

შხამი? ნურაფერს მათქმევეინებ, შხამით მაქვს სხეული სავსე – ყელში ამომდის. ნუ მათქმევეინებ – ჩემი სიტყვა დაგშხამავს და შეგანუხებს.

ამ სიტყვებზე ავადმყოფმა იდაყვზე წამოინია – შეშფოთდა, სადღაც შორს მიაპყრო ღრმა, ფერმიხდილი და გონიერი თვალები და, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, ისე დაიწყო:

– უბედური შემთხვევა იყო ჩემი ქვეყანაზე დაბადება, დიდი სისულელე. გაურკვეველი იყო ჩემი ფიქრიც და მოქმედებაც. იცით, რა გითხრათ, სიყვარული როდი ვიცოდი. არც თუ მეჯავრებოდა ვინმე. ვიყავი გაუგებარი და უცნაური. ვერავინ გაიგო, რა მანუხებდა. ვნუხდი კი, რადგანაც დიდი ტანჯვა მიხუთავდა სურვილებს. რაღაც ბურუსი მედგა თავში მძიმე ნისლად. ოცდაათი წლისა ვიყავი და ამ ხნის განმავლობაში სამი მიუტევებელი და დიდი შეცდომა ჩავიდინე, რაც ვერ მიპატივბია ჩემი თავისთვის დღესაც. პირველი შეცდომა ის იყო, რომ გავჩნდი ქვეყანაზე. მეორე – რომ ვისწავლე, მესამე – რომ შევიყვარე. რად გავჩნდი? რად ვისწავლე? რად შევიყვარე? ეს სამი დიდი ცოდვა ფხიზელი მღევარივით დამდევდა, მოსვენებას მიფრთხობდა. არც ერთი არ იყო საჭირო: არც ჩემი არსებობა, არც სწავლა და, მითუმეტეს, არც ჩემი სიყვარული, ჩემსავით გაუგებარი და უცნაური. ეს კიდევ არაფერი. სხვებსაც რომ მივუდექი ამ ფიქრებით, მაშინ იყო, რომ ყველაფერმა ფასი დაკარგა ჩემს თვალში, მაშინ მეჩვენა ცხოვრება დიდი ტყუილით დატვირთული, სიცოცხლე – ფუჭი და ამაო. ამიტომ იყო, რომ ირიბი ხაზი აღმებეჭდა შეჭმუხნულ შუბლზე, რამაც უცნაური და წარუშლელი დაღი დაასვა ჩემს გამომეტყველებას. ამის შემდეგ ბევრი ვიარე უგზო-უკვლოდ, უმეგობროდ, შენუხებულმა, გაბოროტებული და შხამით სავსე გულით. ბევრი ვიარე. რა ვიცოდი, რომ ყველა გზას შენუხებულის, დატანჯული გონება საგიჟეთისკენ მოჰყავდა. რა ვიცოდი, რომ აკრძალული იყო ფიქრი იმაზე, რაზედაც არავინ ფიქრობს.

რა ვიცოდი, რომ აკრძალული იყო ტანჯვა იმით, რაც აღარავის ტანჯავს. ჰოდა, ყველაფერმა ამან საგიჟეთში მომიყვანა...

ამ სიტყვებზე ბალიშის ქვეშიდან კარგა მოზრდილი რვეული გამოიღო და მითხრა:

– აი, ჩემი დღიურები. ეს მაშინ დავწერე, პირველად რომ შემომიტანეს საგიჟეთში, პირველად რომ გავხდი გაგიჟებულთა და გადარეულთა ამოუცნობი ქვეყნის მოქალაქე. აჰა, ჯერ ეს ნაიკითხე, აქ გაიცნობ ჩემი ფიქრების გეზს და მერე გიამბობ რისხვიან ამბავს დამინებული გულის, დამინებული სიყვარულის.

გაათავა ლაპარაკი, მარდად წამოხტა საწოლიდან, სამჯერ გადაინერა პირჯვარი, ისევ მარდად ჩანვა, ისევ წაიხურა საბანი თავზე და გაყურდა. რალაც ჩქარა და მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. მე გავშრი, ვერაფერი მოვახერხე. ავდექი და ჩუმი ნავედი ჩემი საწოლისაკენ. რალაც ძნელი და მძიმე მომწყდა ტვინში. ადგილი იცვალა და უფრო მეტის სიმძიმით დამანვა და დამნისლა. სუნთქვა გამიძნელდა. იმ დღეს მოწყენილი და ნაწყენი დავდიოდი. ვფიქრობდი, სიბრალულით შევყურებდი საბნის ქვეშ მორკალულ ცოცხალ სხეულს, რომლის გადარეული ტვინიც, ვინ იცის, რა დაუსრულებელ სივრცეებში დააჭენებდა, ცოფმორეული და შხამით აღსავსე.

როცა დაღამდა, როცა მოქანცული ტვინი და მაჯა ძილს ეტანებოდა და განყოფილებაში სინყნარე ჩამონვა, ფრთხილად ამოვიღე უცნაური დღიური და კითხვა დავინყე.

„პირველად ქვეყანაზე იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი“. – ასე იწყებოდა ეს დღიური. შემდეგ მოსდევდა განმარტება – „სიტყვამ გააჩინა ქვეყანა. სიტყვამ ააშენა. სიტყვა დალუპავს. ვინც ამას ვერ შეიგნებს, ჩემს დღიურს ნუ წაიკითხავს. თუ შეიგნე, გადაშალე ფურცელი“.

ეს ჰქონდა ქვემოთ მიწერილი. თუმცა მე ასე უცბად გავიგე ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ მაინც გადავშალე: „საგიჟეთი, 15 მარიაშობისთვე. საგიჟეთი. საგიჟეთი. საგიჟეთი. გარედან –

ციხე, შიგნით – საშინელება. დარკინებული გამოხედვა... თავზე – გაცინებული ბაირალი წითელი სიგიჟის... ძალიან დიდი საიდუმლო, უცნაური შიშის და სიცილის მომგვრელი. ეს საგიჟეთია, გადარეულ ფიქრის სანავარდო. აქ საზღვარს გადაცდენილი სულის კორიანტელია დარკინულ ჩარჩოში მომწყვდეული... ყველა დაკანონების საშინელი მტერი. იცოდე! მთელი ქვეყანა რომ შემოიარო სიცილით, აქ ატირდები უნებურად. ის, ვინც აყირავებულ სამყაროს მხარი შეუდგა და ქვის ცრემლებით დაისველა რკინის გული, ვისმა შხამით აღსავსე სიტყვამ ელვად გაუარა ყველას გულს აუტანელი ტკივილით... ის დადუმდა. გარკინდა. გაქვავდა საგიჟეთში. ვინც ამალღებულ ხელში ყუმბარა მთელ ქვეყანას დაანახვა და შიშის ზარი დასცა ადამიანს, ვინც მოიგონა ახალი ლაპარაკი ცეცხლით, ის გამტერდა, დაინისლა საგიჟეთში. ვინც გადარეული კოცნით სატრფოს ლოყა გაუხეთქა, ის საგიჟეთში კივის გულმემზარავი კივილით. იცოდეთ, ქვეყანაზე რომ მეფე აღარ იყოს, საგიჟეთში მეფური პოზა და სურვილები მაინც დარჩება ქვეყანაზე, ლოცვა რო მოისპოს, საგიჟეთში მაინც ილოცებენ წმინდანის პოზებით. ქვეყანაზე ადამიანი ეშმაკად რომ იქცეს და ეშმაკის წარმოდგენა გაქრეს, საგიჟეთში ის მაინც დარჩება საშინელ მოჩვენებად. გველები, სისხლი, სისულელე, ტირილი, კიდეც ტირილი, ტანჯვა, წითელი ფერი. დაუსრულებელი მოძრაობა, დაულაღავი ლაპარაკი, კიდეც ტირილი, სიცილი, ყივილით სიცილი. ღმერთი, მეფე, საშინელება, პოზები. დაუსრულებელი პოზები. უტვინოდ, უაზროდ, უგეგმოდ. აქ ყოველი მოძრაობა აზრს გადასულია. ყოველგვარი პირობა გრძნობებში, განცდებში, ლაპარაკში, სიცილში, ტირილში დარღვეულია რაღაც იდუმალი ჯადოსნობით. აქ ადამიანში ყველაფერი ახალი გზებით დაიარება უცნაურად, გაუგებრად, მაგრამ ლამაზად, ძალიან ლამაზად... ამბობენ შუალამე რომ გადასცდება თავის საზღვარს, ისეთი საზარელი სიჩუმე დაანვება მთელ ქალაქს, რომ საზღვარგადასული საგიჟეთიც კი სმენად

იქცევა... მაშინ ამოჰყვება ამ გაჩუმებას ახალგაზრდა შიშველი ქალი... ყავისფერი... მუქი. თმებს რითმებად ალაგებს. ამღერდება ჩუმად, იტირებს, და გაქრება. უზარმაზარი გველი აცოცდება ამ დროს ფანჯარაზე, ცა გაიხსნება, ჯოჯოხეთი ჩაქრება... იმედი გაიტაცებს ყველას... იელვებს... ნყვდიადი მოიცავს ქალაქს... ძნელი და დიდი პაუზა. დაიწყება გათენება სხვანაირი ფერის. ამ დროს საგიჟეთის ფანჯრიდან გადმოდგება საშინელი ადამიანი რკინის ჩარჩოში. აკივლდება საზარლად. საშინელი ტკივილებით შევხვდი სიცოცხლის შუქს. დაბადების დროს შემომაკვდა დედა. ეს იყო პირველი აქტი ტერორისტული. უდედოდ, უალერსოდ, უგეგმოდ დამარნია გამხმარმა შიმშილმა, სიკვდილის მუქი გაცინებით გამოვიზარდე... გესმით, კანონგარეშე გამოვიზარდე, ტვინის გზებზე რომ ამოძრავდნენ სურვილები და გზები კარგად გავიკვეთე, შემეყვარდა შავი თვალები, მუქი შემოხედვა, შავგვრემანი ფერი. სიტყვა ქალი და რითმები ვარვარა. ნამნამების განხირობა და ზეიმი ფერად ხალიჩებზე. ავტოკდი. ტვინის უკვალავ გზებზე ფიქრმა ნახა ჩიხი და შეჩერდა, სიყვარულის კედელთან გაჩერდა. იქით ნაპირიდან ქალი ამოვათრიე ძუძუებით, კოცნით დავაბრმავე. შევიყვარე, საზღვარი გადავლახე, დავახრჩე ალერსში, გადარეულ ალერსში. შემდეგ კი კაფე შანტანის ვალსში ავტოკდი. იქ მკვლელობა მოხდა, ქალი მოეკლათ. თავზარი დამცა საშინელმა სანახაობამ. ნამოვიტაცე გაციებულნი, ყვითლად გაშეშებული გვამი და ვალსში ავბრუნდი ჩუმად, სიცივემ გამიტაცა. სიკვდილი სამჯერ შემოვატარე შეშინებულ დარბაზს, მგლოვიარე აკომპანემენტით ატირებულს. ჰა! ჰა! ჰა! აგერ, ის ქალიც! მიყვარს, ტვინის ხვეულები რომ დამიბნელა შავგვრემანობით... ჰეი, თქვენ გესმით?! გადაგვარდით! გაჯეღდით! – მე გიბრძანებთ ამას. ქალები უბეგახსნილები იმიტომ დადიან, რომ ვითომც გველი არ უზით უბემი. გჯერათ? ნუ იტყუებთ თავს. სიკვდილი თქვენზე ჭკვიანია, თქვენზე გაუმაძღარი, თქვენზე საშინელი. ამას ვამბობ მე, რომელმაც სამჯერ



ავაბრუნე სიკვდილი ვალსში. მაშ დაფიქრდით, დამიჯერეთ. თავს ნუ იტყუებთ... – გაჩუმდა. ატირდა. ისევ გაჩუმდა, ახლა კი სამუდამოდ. რკინის ჩარჩოზე მაგრად ჩაკიდებული ხელები ზედ გაშეშებულიყვნენ. დილით ნახეს ფანჯარაზე მკვდარი ღია თვალებით. უკანასკნელად რომ მიეფურთხებინა ქვეყნისათვის, ის ფურთხი ნიკაპზე ჰქონდა შემხმარი!“

გავათავე ამ ზარდამცემი დღიურის კითხვა. თავბრუ დამესხა. გული სხვანაირად ამიძგერდა. რა საშინელ შხამში იყო გაფერილი ყველა სიტყვა ამ დღიურიდან! ცოტა ქვემოთ, ნაჩქარევი ხელით ჰქონდა მიწერილი: „დილით ორმა მომვლელმა ნახა გვამი. საჩქაროდ გააძრეს ტანისამოსი. საკაცით სირბილით მიაქანებდნენ იმ დღესვე სხვა მკვდრებთან. გაკვეთეს. ამბობენ, ვილაც ჭკვიანი ექიმი გულმოდგინედ უქექავდა გაციებულ ტვინს, თურმე იქ ეძებდა იმის სიგიჟის მიზეზს. ჰა! ჰა! ჰა!...“

ასეთის დაუნდობელის ხარხარით გათავდა. მე უნებლიედ გავიხხედე ამ დღიურის ავტორისკენ. ის ცხრად მორკალული იდო საბნის ქვეშ. გაუნძრევლად. რაღაც არაჩვეულებრივი სურვილი დამეზადა ყვირილის, კივილის – გადარევის. მე მინდოდა დამენგრია ეს დარკინული კედლები, ეს საგიჟეთი, ეს ქვეყანა, რომ დამეხსნა განწირული ადამიანი. მაგრამ ტურები მაგრად დავიკვნითე და როგორც იყო, გავჩუმდი, თავი შევიკავე. აკანკალებული გულით და ხელებით გადავფურცლე შხამით და ცრემლით დანერილი რვეული. კითხვა განვაგრძე: „საგიჟეთი, 15 ენკენისთვე“ ესე იგი, პირველი დღიურიდან ერთი თვის შემდეგ იყო დანერილი. „როცა დაღამდა... ეძინათ ტანჯვით. გარინდებულთ შიში დარაჯობდა ყველა მათგანს. მთელი დღის ხმაურით დაქანცული სხეული გაჩერებულიყო უკანასკნელ პოზაში. ხანგამოშვებით არაადამიანური კვნესა ისმოდა. ალბათ, მოჩვენება ძილშიც კი იკბინებოდა მოუსვენრად, რა უნდოდა? ვინ გაიგებს. ის, ვინც სამი წლის განმავლობაში ითმენდა მონოლილ სევდას უცნაურის გაჩუმებით, ვინც არაადამიანურ სურვილებს ვერ

ამბობდა ვერასდროს, იმან შესძლო ამის თქმა უკანასკნელად, გედივით, სიკვდილის მკაცრი დირიჟორობით. დაგუბებულმა შხამმა გახეთქა სხეულის რკინა უკანასკნელად. საზარლად დაიკივლა. მინას დაემუქრა გაციებით... მაშინ ფიქრი გავიბოროტე უჩვეულო განცდებით. ატეხილ ნებას გული გავუბასრე უცნაურის მოთმინებით. არგაგონილი ჯიუტობით ავიშალე, ავითრიე ჩემი თავი, ოცდაათი წელიწადი ვათრიე ცხოვრების ბინძურ ხვეულებში. მაგრამ როცა მომავლისკენ გავიშვირე ხელები და წინსვლა დავაპირე, ამ დროს ისე საზარლად დაიგრიალა დედამინამ: „შეჩერდი!“, რომ ათასი მეხი გავარდა ცას. მინა შეირყა, მოთმინება დაეკარგა, ერთი-ორჯერ ამოიოხრა გრგვინვით და ცეცხლი არწყია. ღმერთო! შენ დაიფარე ადამიანი გულმოსული რისხვისაგან: ადამიანი? ჰა! ჰა! ჰა! მაგრამ ვინ იყო ის, ვინც პატარაობიდანვე მატყუებდა დაუნდობლად, ვინ გამისაზღვრა კუნთის ძალა, ვინ დამიკეტა ძვლის კენჩხში დიდი ჭკუა. ვინ დაუყენა ყარაული ჩემს გაქანებას სურვილებში, განცდებში. დედამინავ, ბოროტო! შენ მომეცი მე ბუნება ავი, აწყვეტილი, მაგრად დაგრეხილი ნება, უთვალავ რგოლებად ასხმული აზრი, აუარებელი გზის ნავარდი ტვინში, მაგრამ მაგარი ძვლის კენჩხი, ძვლის კედლებით. შენ მომეცი განცდების დიდი ქვეყანა გაჭენებული სურვილებით, მაგრამ თვალი დიდ სინათლეში რომ იხუჭება, ყური დიდ ქუხილს რომ ვერ უძლებს, გული პატარა ცეცხლით საზღვარგადასულ ვნებაში რომ ცივდება? ვინ იყო ის, ასე საზარლად რომ შემზღუდა. ბოროტო მინავ! ადამიანის ბუნება! ჰა! ჰა! ჰა! ანთებულ გულში შიში იგრძენი. ვერ მოითმინე მონობის საშიშროება, ადამიანი დააპატარავე საზარლად. ჭამის მადა გაუღვიძე, არსებობა გაუძნელე. გაამრავლე. ოჰ, ვინ იყო ის, ვინც ასე საზარლად დაგვცინა. დედამინავ, ბოროტო, ვინ იყო ის, ვინც ბავშვობიდანვე გამიტყუა გაუმართლებელ გზებზე?... მაშინ, გაცრუებული იმედებით გაბოროტებულმა, ოცნების კოშკი ავნიე ზეცისკენ ღმერთის შესაქმნელად და შევქმენი ის, ვინც

განუსაზღვრელია ნებით, სივრცისა და დროის იქით დავუდგი სალოცავი, სამსხვერპლო. შუქის სვეტებად დავკიდე ცას იმაზე წარმოდგენა, მზესავით განუზომელი და ცხელი, დაჩოქილი ტანჯვით მივაპყარი დახუჭული თვალები. მიწავ, გედექი ჯიბრში, სხვა საშუალება რომ არა მქონდა, რა მექნა? ჰა! ჰა! ჰა!... ქალიც მიყვარდა, უსაზღვრო ჟრუანტელით ვუკოცნიდი ტუჩის კუთხეებს. ის პატარა ნაცრისფერი ქუდიც მიყვარდა, რომლის ქვეშიდან შავად იკბინებოდა გიშერი თვალებით... გჯერათ ყველაფერი ეს? ჰა! ჰა! ჰა! ადამიანმა რკინა რომ აქცია ფოლადად, ფოლადს ელვა გააგდებინა, ეს ელვა დაიჭირა ნახშირის ხელებით, მიწას მიანათა ელექტროს თვალებით. მიწამ შური იძია, ბრუნვას უმატა, აჩქარდა. დაყირავდნენ სამყაროს ხუხულებში მომწყვდეული ჭეშმარიტებანი. მსხვრევის ხმამ ზეცა შეარყია. ვარსკვლავებმა დედამიწაზე იწყეს ცვენა. ადამიანმა ველარ გაუძლო მზის დამწველ ძალას. შუქი უცეცხლოდ იწამა. ღია თვალებით, უზარმაზარი ვარსკვლავი განითლდა დედამიწის დაღლილ შუბლზე. მზე ველარ მოითმინა მანქანამ. განა მიწა როდისმე აპატიებდა ადამიანს ამ თავხედობას? სიკვდილის მაგარი ლაგამით თავი დაუჭირა კაცობრიობის ამ გაჭენებას. მთელი ქვეყანა აცდენილი გზით საფლავში გადაახედა შიშით. შეჭმული გული დაანახვა ხარხარით. შურისძიება საზღვარგადასული გამოდგა, ბოროტო მიწავ, სირცხვილი! ო! ვინ მომატყუა შავი ქოჩრით, შავი ფერით, მოხრილი გამოხედვით: თუკი მაგარი თუჯის ნებით ვერ გავხეთქავდი შავის მიწის თავხედობას... მაშინ ისევ თეთრი ფერის ვყოფილიყავ, რა იქნებოდა.

მაგრამ ვინ იყო ის, ვინც პატარაობიდანვე სხეულში დამკეცა დატანჯული. ვინრობა ვერ ავიტანე. მოძრაობა დავინწყე შიგ. კედლების ზნექა. უჯრედებში ნელი წვა ჩავიყენე. ჩემს თავს ჭამა დავუნწყე შიგნიდან. განთავისუფლებული ფიქრი ვზიდე დაულალავად ქვეყანაზე. დამწვარი უჯრედების ნაცარი დამიგროვდა სხეულში, მკვდრის ფერი დამედო. გავყვითლდი. ვინ

გაიგებდა ამ დანაცრულ ფერის საოცარ საიდუმლოს? ჰა! ჰა! ჰა! აგერ, იმ მხეცს ადამიანს ეძახიან. მუცელი რომ გაუდიდა, ტვინმა ნელნელა უწყო დაპატარავება. ენა უნდა მოისპოს, გესმით? გამაძლარი სლოკინი დაიმკვიდრებს სიტყვის სილამაზეს. მაშინ მზე ნელ-ნელა ჩაინევს და ჩაქრება. მიწა შეჭამს სიცოცხლეს. სული შეეხუთება, იჭექებს, აბრუნდება მკვდარ ღერძზე, არნახული ხმაურით უთვალავი მეხი იელვებს. მიწა გადაიჩეხება. გათავდება დიდი კომედია?... სიჩუმე.... ჰა! ჰა! ჰა! გჯერათ ყველაფერი ეს? გუშინნინ რომ ქარიშხალი ადგა, ისე მწარედ დაიკვნესა საგიჟეთის ფანჯრებზე, რომ ასი წლის გიჟი მოკვდა. ადამიანი მაშინ გიჟდება მხოლოდ, როცა კვდება, თორემ ჭკვიანი რად მოკვდება, არა? სიკვდილია ყველაზე დიდი გაგიჟება ქვეყანაზე, არა? ჰა! ჰა! ჰა! ერთი ვილაც კი უკვდავი დარჩება, ჭკვიანი ბოლომდის და ვაი იმის ბრალი! ეს მე ვარ ზეციდან გადმოგდებული ღმერთი, რომელიც დედამიწაზე ჯერ არ დაცემულა და, ვაი, იმ საშინელებას, როდესაც ეს მოხდება. ისევ გაჩუმდა... სამუდამოდ, იმის გაბზარული სხეულიდან სიკვდილი იხედებოდა ნელი გალიმებით. ერთი ხელი ზეცისკენ გაეშვირა იმედით. ასეთი იმედი ეხლა აღარავის აღელვებდა. მეორე ხელით კი დედამიწას ჩასჭიდებოდა მაგრად დახუჭული თვალებით. ვისთვის იყო საჭირო იმის სიცოცხლე და ტანჯვა? იქნებ, ისევ დედამიწამ გასცეს პასუხი საცოდავ ადამიანს, შავი მიწით რომ ამოუვსებს მოუსვენარ ტვინს, ვინ იცის?”

ასე გაბოროტებით და გესლით სავსე სიტყვებით მთავრდებოდა ეს დღიურიც. აქამდის საშინლად დაჭიმული სხეული და ტვინი მოეშვნენ, რალაც ცივი სიმძიმე ჩამესხა მკლავებში, მთელ სხეულში და დავდუნდი. გავყურდი, ცქერა დავინყე სადღაც შორს იდუმალი და ამოუცნობი ქვეყნისაკენ. ოდნავ წამთვლიმა, მაგრამ მაინც განვაგრძე კითხვა... „საგიჟეთი. 15 ღვინობისთვე. ესე იგი კიდევ ერთი თვის შემდეგ... ქრონოლოგიაში 1896 წელი ამოვშალე. ამ წელს დედაჩემის საშო დამძიმდა – მე ჩავისახე.

სისხლი აჩქეფდა გულში, ავტოკდი, ხორცი შევისხი. ნოემბერში ფეხი ავიდგი, დედის საშოდან დავიძარი ქვეყნისაკენ. შვიდ თვეზე მეტი ველარ მოვითმინე. ავჯანყდი. პატარა სხეულში დიდი სურვილები მედგა. ორშაბათს დავიბადე. ყირამალა დაკიდებული, უკულმა. შავი ქოჩორი მოვითანე ქვეყანაზე, სხვა არაფერი. ვაჟი დამარქვეს. არ ვიცო რად, დღეში სამჯერ მიკრავდნენ ხელფეხს. ლამაზ სიზმრებში წამოვიზარდე. კოცნით მიზელავდნენ ყოველდღე სხეულს. შავი შუქი მედგა აკვანში. ვირნეოდი უდარდელად. პირველად ლაპარაკი დავინწყე ტირილით, სიცილით, ხელფეხის მოძრაობით. მაშინ ეს ყველას ესმოდა. რვა წლისა ვიყავი, რომ სურვილები ამოძრავდნენ. ლაპარაკი თხუთმეტი წლისამ დავინწყე, მწარე ფიქრებით დატვირთულმა. მაშინ იყო, რომ სურვილების გზებზე ქალს ჩავუსაფრდი შავი თვალებით, მაგრამ მეტოქე ვნახე. სიკვდილმა დაინერა ჯვარი იმ ქალზე. მინის ქვეშ გადაუხადა ქორწილი მკვდარი სიჩუმის ხმაურში. ველარავინ შევიყვარე მას შემდეგ. სიკვდილი არავისთვის მემეტებოდა. ფიქრის ფერი დამედო. დავინისლე. ტანჯვით დავიტვირთე. მოთმინებამ ნახა თავის საზღვარი. მოუფიქრებელმა ფიქრმა ძილი დამიმსხვრია, ღამე გამითეთრა. ხმები მესმოდა ისევ ჩემი და ჩემივე თავი მანუხებდა. ყოველ ღამე მეღანდებოდა, არ მასვენებდა, გაქცევა-აც ვცადაე – წინ შემომეყარა, ხან ენას მიყოფდა, მალიზიანებდა, ხან დამცინოდა საზარლად. მოთმინებას საზღვარი დაედო. საშუალება რომ მომეცა, ფიქრები შეეკარი ღვინით. გავლოთდი. ნამდვილი ცხოვრება ამ დღიდან ავფურცლე. ბევრი საზარელი სურათი მაჩვენა სქელტანიანმა გადაფურცვლამ... პირველი სურათი: წითელი ზოლი შემორტყმული, მიბნედილი სურვილი ნებივრობდა გაზის კაბაში. ქალი! იისფერი ვნება ედგა სხეულში: ლამაზი, თეთრი ხორცის სუნი იდგა იმის გარშემო მძიმე ნისლად: დაჩოქილი კაცი ნაზად უკოცნიდა პატარა შიშველ ფეხს, რბილად იზმორებოდნენ. დიდი სურვილი კოცნაში ინასკვებოდა. ვნების ელდა ედგა სხეულში, სიყვარული რომ შეჰფიცეს. ვნე-

ბამ ენა გამოყო. პაუზა. კაცმა ქალი შეიზიზლა, გაიქცა... ვინ გამოედევნებოდა. მსურველებს ახალი ირიბი გაევლოთ. ვნების სანთლებით ჩამწკრივებულიყნენ შესასვლელთან. ქალი? ქალს ნერწყვი ჰყოფნიდა, რათა ყველა მამაკაცი ზიზლიანი ფურთხით გაეცილებინა. ამ სურათის ქვეშ ეწერა – ზნეობა.

სურათი მეორე: კუბო ესვენა სიკვდილის ყვითელ ბალიშზე, ახალგაზრდა ქალის მოთქმა ზარივით რეკავდა. ვინ შეძლებდა ამდენ მწუხარებას? კუბო სახლში ველარ მოითმინეს. გასვენებისას ორჯერ შემოტრიალდა სარკესთან განითლებული თვალებით, შავი მანდილი გაისწორა. ვუალის ქვეშიდან ღიმილით უკბინა ახალგაზრდა კაცს. კუბო მინას რომ მისცეს ღია პირში... იმას ეძებდა ნისლიანი. ამის შემდეგ ლოგინი განახლდა, შავი ფერი განითლდა, თბილი ვნება ჭირვეულობდა. ვინლა მოიგონებდა ქმარს მინაში? მივიწყებულს ერთილა დარჩენოდა – სიზმარში შეეშინებინა ცოლი ცრუ მოჩვენებით, საიქიოს ფერით, საშინელებით. ამ სურათს ქვეშ ეწერა – სიყვარული.

სურათი მესამე: ოქროს უზარმაზარ დევს ეძინა, ადამიანის სისხლით იყო გამაძღარი. ხალხი გაცოფებულებოდა. ყელში ნაჭერილი ხელები ზედ შეშდებოდნენ. იბრძოდნენ. გაშიშვლებული სხეული კუნთებად იყო ქცეული. კაცი კაცსა ჭამდა, მძორის სუნი მძიმე ოხშივრად ასდიოდა გახრწნილ ქვეყანას. იბრძოდნენ, საჭმელს იტაცებდნენ, ხმაურობდნენ, საშინელი ტანჯვა იხლანებოდა ყველას სხეულში. ფოლადი საშუალება იყო ოქროს საშოვნელად, ადამიანი კი – მხეცი დაუნდობელი, საზარელი, სისხლიანი, ოქრო? ოქროს ეცინებოდა, მძიმდებოდა, წითლდებოდა, ფასი ედებოდა. ამ სურათს ქვეშ ეწერა: „კაცთმოყვარეობა“.

სურათი მეოთხე: – სურვილები უტვინო.

სურათი მეხუთე: გრძნობები უჭკუო.

სურათი მეექვსე: განცდები შიშით.

სურათი მეშვიდე – სიბრძნე, რომელიც არავის არ უნდა.

სურათი მერვე: ამაოება ამაოებათა. შემდეგ გადაფურცვლა უაზროდ, უნებოდ, უგეგმოდ. ბოლოს კი – გაკრეჭილი სიკვდილი, ბნელი, უაზრო, თავზარდამცემი. ამ სურათის ქვეშ ეწერა: „ყოველივე ამაო“. უკანასკნელ გვერდზე ტირილით გამეცინა. დავდუმდი. მომელანდა მივიწყებული მოჩვენება – ჩემი თავი. თავზარი დამცა უცნაურმა სანახაობამ. გამოვეკიდე, გამექცა, ამ დევნამ საგიჟეთში მიმიყვანა რკინის ჩარჩოს იქით. გარედან კი ჩემი თავი ნიშანს მიგებდა, მაფურთხებდა, მალიზიანებდა, ბევრჯერ ჩამამტვრევინა ფანჯრები, ბევრჯერ გამაცოფა. ვინ გაიგებდა ჩემი აღზნების ნამდვილ მიზეზს?.. შემდეგ, იცით, რა მოხდა? მოხუცი ექიმი ჩამოვლის დროს ჩემთან რომ გაჩერდა, მომვლელმა ცნობა მისცა ჩემზე. უამბობდა საშინელი აშლილობის ზღაპარს, ფანჯრების ჩაღწას. მოხუცმა ექიმმა მწვავე ჰალუცინაციები ჩაინიშნა უბის წიგნში და ეს, მისი აზრით, იყო ჩემი მოჭკვიანების საჭირო და აუცილებელი ნამალი. ჰა! ჰა! ჰა!

ასე დაუნდობელი და ზარდამცემი გესლით თავდებოდა ეს დღიურიც. მე მინდოდა კიდე ნამეკითხა, მაგრამ ძილმა დამძალა, მომერია, დავიქანცე. თავი და სხეული უცნაურად გამიბრუვდა, ნელნელა რალაც სასიამოვნო სითბო ჩამელვარა სხეულში, ხელფეხი დამიმძიმდა, თვლემ დავიწყე.

კარგად გათენებულყო, როცა უცნაურმა აურზაურმა შემაკრთო ძილში და გამაღვიძა. ისევ იმ ნაცნობი „ჩაის“ ბრალი იყო ეს აურზაური განყოფილებაში. ავდექი. კარგად რომ გამოვფიხზლდი, გამახსენდა გუშინდელი დღე ასე დამძიმებული, დიდი და მძიმე შთაბეჭდილებით. რალაც უნებლიედ მოვქებნე ისევ ის ავადმყოფი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს დღიურები. ის ისევ იმ საბნის ქვეშ მაგრად მოკრუნჩხული იდო გაუნძრევლად. საკმაოდ გაბოროტებულმა მაგრად მოვწიე ხელი საბანს. შემკრთალმა წამოყო თავი და შემეკითხა:

- ჰა, რა ქენი წაიკითხე?
- ჰო.

– თუ წაიკითხე, ხომ გაიგებდი, რამდენი სისხლი და ცრემლი დაიღვარა იმის დაწერაში... ხომ მიცნობ ეხლა, ვინცა ვარ, ეხლა ხომ გაიგე, რამაც გამაგიჟა და შემშალა?.. აი, ძმობილო, დაჯექი, გაიმბო, თუ რად ვარ ასე გაბოროტებული, რად შემეჯავრდა ჩემი თავი და მთელი ქვეყანა.

ამ სიტყვებზე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოხტა ფეხზე, სამჯერ გადაინერა პირჯვარი, შეიშმუშნა რაღაც უცნაურად და ისევე ჩანვა სანოლში. არაფერი არ უძღვოდა წინ იმის ლაპარაკს. პირდაპირ დაიწყო:

– იცი, მე ქალი მიყვარდა. მიყვარდა ჩუმად, გაგიჟებით. მაგრამ, თანაც რაღაც უცნაური ვიყავი, – მრცხვენოდა თუ მე-შინოდა, ვერ გამებედნა მეთქვა ქალისთვის ალერსიანი სიტყვა. არ ვიცი, როგორ მოხდა ის, რომ, თუმცა ძალიან მიყვარდა, არ მინდოდა ჩემი ცოლი ყოფილიყო. ცოლად შერთვას მიშლიდა ის დიდი და ძნელი სიყვარული, რომელიც მე მქონდა, მაგრამ მაინც შევირთე. რად შევირთე, როდის შევირთე, კარგად არ მახსოვს. ის კი კარგად მახსოვს, რომ სწორედ იმ დღიდან შემზიზლდა ის ქალი. შემზიზლდა იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა და მტანჯავდა, ხშირად ღამე, როდესაც ჩემს გვერდით ეძინა, მე ძილგამტყდარი და შეშინებული დიდხანს ვუყურებდი იმის ძილს, ასე მშვიდს და უდარდელს. მე მაბრაზებდა იმისი მოსვენება მაშინ, როდესაც მე ასე აშლილი და გადარეული ვიტანჯებოდი იმისი სიყვარულით, ძილგამტყდარი და უნებო. ბრაზი მკლავდა, მინდოდა ჩემის ხელით დამეხრჩო, ან დავკონებოდი იმის ანთებულ ტუჩებს და მაგარი კოცნით დამეხახჩირებინა. ამგვარი ცქერით რომ დავიქანცებოდი, რაღაც უცნაურად ამიჩუყდებოდა გული. ცრემლი მეზღინებოდა ყელში და მალრჩობდა. თითქმის ტირილით, ოდნავ დავეკონებოდი იმის ცხელ ტუჩებს, საბანს გავუსწორებდი და ვიძინებდი დაქანცული და მიბნედილი ტანჯვით და სიყვარულით. დღისით კი ბრაზმორეული და გაცოფებული შურს ვიძიებდი, სიცოცხლეს ვუშხამავდი ქალს, რომელიც მიყვარდა ასეთის



ტანჯვით და გადაცდენით. გაბოროტებული და გაჩუმებული დავიარებოდი მთელი დღე და მოუთმენლად ვუცდიდი დაღამებას, რომ მძინარე სატრფოსთვის დიდხანს მეცქირა, დიდხანს მეფიქრა და მეოცნება, დიდხანს დავტანჯულიყავ, ბოლოს ფრთხილად მეოცნა და დამეძინა სევდით დამძიმებულსა და უნებოს... მერე, როგორ გგონია, დიდხანს გასტანდა ამდენი ტანჯვა? ჰოდა, ვერ გასტანა დიდხანს. სულ მალე ამეკვიატა საშინელი აზრი, მომეკლა სატრფო – უკანასკნელად შური მეძია. ასეც მოხდა.

ერთ დღეს გაბოროტებული და გადარეული დავბრუნდი სახლში. შუალამე კარგად იყო გადაცდენილი. ავი ფიქრები ბრმა გველივით დასრიალებდნენ ჩემს ტვინში და მშხამავდნენ. იმ ღამეს ბევრი ვუცქირე ჩემს ცოლს უდარდელ და ტკბილ ძილში გაცურებულს. რალაც ჯადოსნური ღიმილი დასთამაშებდა ოდნავ გაღებულ ტუჩებზე. ორი თეთრი კბილი უჩანდა. მაშინ იყო რომ გავიფიქრე: „კმარა ამოდენა ტანჯვა“ უნდა მომესპო ის, ვინც მიზეზი იყო ჩემი გადარევის, ჩემი ტანჯვის. ამ დროს რალაც მძიმე და ცხელი დამეცა თავში და გასკდა, თვალთ და ყურთ დამიბნელდა... რომ გამოვერკვიე, მაგრად ნაჭერილი ხელები ღრმად შეჭრილიყვნენ იმის ნაზ და გამჭვირვალე ყელში. მომკვდარიყო. ღიმილი ისევ ისე შერჩენოდა სახეზე, სამაგიეროდ, თვალები გაეღო და რალაც ზიზლითა თუ მუდარით შემომყურებდა. თავზარი დამცა ამ სანახაობამ, ვტაცე ნელთბილ გვამს ხელი და მაგრად ჩავიკარ გულში, მაგრად დავკოცნე. ანთებისა და გახურების მაგივრად ეხლა იმის ლამაზი ტუჩები ნელნელა ცივდებოდა, იყინებოდა, შხამიანი ეკლებივით მივლიდა ეს სიცივე გახურებულ სხეულში და მაგიჟებდა. ასე ჩაკონებულს დამძინებოდა. ზედ დავკვდომოდი ჩემს სატრფოს გვამს, რომელიც ჩემს გულზე გაშეშებულიყო.

მეორე დღეს, რალაც განგებით, სულმთლად დამავინყდა ნუხანდელი ღამე – დიდხანს ველოდი ცოლის გაღვიძებას, მაგრამ ამაოდ, ისევ იმ ღია თვალებით და ღიმილით შემომყურებდა. ეს

იყო და ეს. რა მოხდა მას შემდეგ, არ ვიცი. ჩემი თავი ვიპოვე აი აქ, საგიჟეთში. ვინ მომიყვანა, რად მომიყვანა, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ შემომაკვდა სატრფო, ქალი რომელიც გაგიჟებით მიყვარდა, რომლის სიყვარულიც ვერ ავიტანე, ვერ ავიტანე დიდი ტანჯვა, მწუხარება და შური ვიძიე. ჰო! მოვკალი, მაგრამ ვერ მოვისვენე. პირიქით, მას აქეთ თითქმის არც ერთი ღამე არ მახსოვს, რომ ცოცხლად არ ვხედავდე აი აქ, ჩემს გვერდით ისევ იმ ღია თვალებით, ისევ იმ ღიმილით. ჩემს ტანჯვასა და მწუხარებას საზღვარი არა აქვს მას შემდეგ, არც ბოლო. ოჰ! ჩემო ბედისწერავ! ჩემო სასტიკო და დაუნდობელო ბედისწერავ!... და შევიჯავრე მას შემდეგ ადამიანის ბუნება, შევიჯავრე ხალხი, მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა, შევიჯავრე ჩემი თავი. ვცადე თავის მოკვლა, თოკი ჩამოვაბი თავის ჩამოსახრჩობად, მაგრამ გადამარჩინეს, გამიფრთხილდნენ და მზრუნველობით მომათავსეს აი აქ, საგიჟეთში, რომ ცოცხალი ვყოფილიყავი, რომ ყოველდღე დავტანჯულიყავი არაადამიანური ტანჯვით და წამებით. ესეც არაფერი, საქმე ის არის, რომ აი ის რეგვენი ხალხი, ექიმებს რომ ეძახიან, ჩემს მორჩენასაც კი ცდილობდა. იცი, როგორი ზიზლით ვისმენ მათ გესლიან და დამცინავ დარიგებას – „ნუ იფიქრებ, ნუ გეშინია, ყველაფერი გაივლის, მალე მორჩები“. მე მინდა მაშინ ვიყვირო, ვილანძლო, მაგრამ ამის საშუალება არა მაქვს. ბევრჯერ საჭმელზე ვთქვი უარი, მაგრამ მაინც მაჭამეს ძალით. ბევრჯერ გავიპარე, მაგრამ მაინც დამაბრუნეს. ხან ზენარი დავგრიხე და საბნის ქვეშ ყელში წავიჭირე, მაგრამ გამიგეს. წამართვეს ყოველგვარი საშუალება თავის მოკვლისა. თითქოს თვითონაც გრძნობდნენ ჩემს მძიმე დანაშაულს. თითქოს ყველას პირი აქვს შეკრული, არ უნდათ რომ მე მოვკვდე, არ უნდათ, რომ გათავდეს ის ტანჯვა, რომელიც ასე მძიმედ მანევს გულზე. და ყველაფერ ამას ჰქვია საავადმყოფო, და ყველაფერ ამას ჰქვია მკურნალობა, და ყველას ამათ ჰქვიათ ექიმები! ჰა! ჰა! ჰა!...“

ერთი მწარედ გადაიხარხარა და გაყურდა... ამ დროს მოგვიახლოვდა ერთი ავადმყოფი, სულ ახლოს მოვიდა და ჩუმად მითხრა:

– ძმობილო, მაგას რას ელაპარაკები, ეგ შეშლილია!

ამის გაგონებაზე ავადმყოფმა ხელახლად გადაიხარხარა და გადავარდა სანოლზე... რაღაც უცნაური დაემართა, სისხლი მოაწვა თავში, აკანკალდა, დაიკრუნჩხა... აენტო, მაგრად ჩაარჭო თითები ბალიშში და იკივლა.

– ჰა! მოკვდი, მოკვდი, უნდა გათავდეს ამდენი წამება! მოკვდი, გენაცვალე... ცოტაც, ცოტაც, ეხლავე მოკვდები!

ალერსიანად წასჩურჩულა. შემდეგ მაგრად ჩაიკრა ბალიში გულში და მწარედ, მწარედ აქვითინდა. ამ ხმაურზე მოცვივდნენ მომვლელები, დაუნყეს გაჩუმება.

– სუ, სუ, ნუ აწუხებ ავადმყოფებს, სუ! აქ ტირილი არ შეიძლება.

– საგიჟეთში და ტირილი არ შეიძლება! ჰა! ჰა! ჰა!... – ერთხელ კიდევ გადაიხარხარა, ისევ მაგრად გაეხვია საბანში, მოირკალა, მოიკრუნჩხა და გაყუჩდა... ამის დანახვაზე რაღაც ცუდად ვიგრძენი თავი. ვიგრძენი, დიდხანს რომ დავრჩენილიყავი ამ ხალხში, აუცილებლად შევიშლებოდი. ამის ნიშნებს უკვე ვატყობდი ჩემს თავს, მემართებოდა რაღაც ისეთი, რაც თავის დღეში არ მქონია. სულ სხვანაირი ფიქრები, სულ სხვანაირი სურვილები მიტრიალებდა თავში, მინდოდა მეყვირა, მეჩხუბა, დამემტვრია ყველაფერი. ბოროტებას ვხედავდი, ისეთ ბოროტებას, როგორიც ჯერ არსად მენახა, ისეთ ტანჯვას ვხედავდი, როგორიც ვერ წარმომედგინა, ხალხს ვხედავდი ისეთ დატანჯულს, განანამებს და გაბოროტებულს, რომ ბრაზი მკლავდა, ვერ ვითმენდი უსამართლობას და ძალმომრეობას.

ასეთ და კიდევ მრავალ მწარე ფიქრში ვიყავი წასული, რომ განყოფილების კარები გაიღო და შემოვიდა ექიმი. თან ახლდა მონყალების და. საკვირველი არაფერი იყო ამ შემოსვლაში, რადგანაც ექიმი და მონყალების და ხშირად შემოდოდნენ განყოფილებაში. ამ შემოსვლის დროს კი საკვირველი ის იყო, რომ ექიმი ჯერ იმ საბედისწერო დღიურის ავტორთან მივი-

და, რომელიც ასე საცოდავად იყო მოკრუნჩხული სანოლზე, შემდეგ კი – ჩემთან მოვიდა, რაღაც ანიშნა მონყალების დას, იმანაც ჩაინიშნა, დასტურის ნიშნად ორჯერ, სამჯერ დაუქნია თავი და გაგვშორდნენ. რას ნიშნავდა ეს, ვერ გავიგე. მოუთმენლად ველოდი, რა მოხდებოდა. თანაც გავიფიქრე, ნუხანდელი ღამე, დღიური, დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი, ავადმყოფის ასე ხმამალალი ტირილი და რაღაც უნებლიედ ყველაფერი ეს ერთი-მეორეს დავუკავშირე.

სრულ თორმეტ საათზე ხელახლა გაიღო კარები და ისევ ის მონყალების და შემოვიდა სუფთა საცვლებით. ჯერ იმ ავადმყოფთან მივიდა, საბანი გადახადა. სველი ტილო წაუსვა ტანზე, შემდეგ ახალ, გახამებულ საცვლებში გამოაწყო. ჩააცვა ახალი შავი ხალათი, თავზე რაღაც მრგვალი, სასაცილო ქუდი დაახურა, დავარცხნა, ფრჩხილები დააჭრა... ყველაფერ ამას ავადმყოფი უთქმელად ემორჩილებოდა. კარგად იცოდა, ბევრიც რომ ეძალავა, ვერაფერს გააწყობდა. ამას რომ მორჩა, ახლა ჩემთან მოვიდა. გამაძრო ძველი დახეული და გაშავებული საცვლები, ჩამაცვა ახლები, რომელიც მწარედ იკბინებოდა ილღიებქვეშ და ლაჯებში. რას ვიზამდი. ჩამაცვა ისეთივე ხალათი, დამახურა ისეთივე ქუდი... ერთი სიტყვით, გაგვალამაზა... რად? ვეკითხებოდი ჩემს თავს. თუ უნდა დავესაჯეთ, ასე რაღად გამოგვანყეს? – თუ არა და მაშ რა უნდოდათ ჩვენგან, ამდენ ავადმყოფებში რაღა ჩვენ ორი ამოგვარჩიეს? ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდა. უეცრად მოვარდა ვიღაც და დაიძახა: წამოიყვანეთო! გულმა სხვანაირად დამინყო ძგერა, ნეტა რა მოხდებოდა?..

დიდი სიფრთხილით გავვიყვანეს განყოფილებიდან ეზოში და ერთ მოზრდილ შენობაში შეგვიყვანეს. ვინრო, დაბალი და მოხვეული კიბით აგვიყვანეს მეორე სართულზე. გაიღო კარები და ვიღაცამ დაიძახა: „დროა, შემოიყვანეთ!“, შევედით. ოთახი წარმოადგენდა საკმაოდ დიდ დარბაზს. უბრალო ხის მაღალი და უშნო მერხები ისე მჭიდროდ ჩაემწკრივებინათ, რომ გასავალი

არ იყო. მერხები სავსე იყო ახალგაზრდა ქალებითა და კაცებით. მერხების წინ იდგა მაღალი კათედრა, რომელთანაც იდგა თეთრ ხალათში გამოწყობილი და საკმაოდ აღელვებული და აწითლებული „პროფესორი სარდინკა“. იმის შორიახლოს ისხდნენ ექიმები, ყველა თეთრ ხალათებში გამოწყობილი, უფროს-უმცროსობით, რასაკვირველია. ჩვენ მიგვიყვანეს კათედრის წინ და დაგვსხეს ერთად, ყველას დასანახად. ცოტა არ იყოს, შემამფოთა ამდენი ხალხის ცნობისმოყვარეობამ, თანაც შემრცხვა, ნაცნობი ხომ არავინ იყო ჩემი. პროფესორმა ისევ დაიწყო ლაპარაკი. მე არ მესმოდა, რას ლაპარაკობდა, მგონი, არც არავის ესმოდა, ისე მეჩვენებოდა, ყველა კი იმ აზრისა იყო, რომ ძნელ საგანზე ნალაპარაკები ვერ უნდა გაეგო, თუ სერიოზულად ლაპარაკობდნენ. პროფესორიც, ალბათ, გრძნობდა ამ სიბრძნეს და განგებ აძნელებდა და ამძიმებდა საგანს და, მგონია, ისე მუყაითად, რომ თითქოს თვითონაც არ ესმოდა, რაზე ლაპარაკობდა, ისე ლელავდა და იბნეოდა. მე ოთახს დავუწყე თვალღერება, რომელიც საკმაოდ ფართე და მოზრდილი იყო. კედლები სავსე იყო სურათებით. რა გინდოდა, რომ აქ არ ყოფილიყო: დიდთავიანი და პატარა თავიანი ხალხი. ფრინველები, ცხოველები, რაღაც გაუგებარი ფერადი წერტილებით, ადამიანის შიგნეული, ტვინის სურათები. მერე რაღაც ნუსხები, ციფრები, სურათები. კათედრის უკან ჩამოკიდებული იყო დიდი დაფა, რომელზედაც ეწერა – მანიაკალური დეპრესიული ფსიხოზი. წარმოშობა, განვითარება, კლინიკური სურათი, კონსტიტუცია. ავადმყოფები. პათოლოგიური ანატომია. დასკვნები... მივხვდი, რომ ესენი იმ თეზისების მაგვარი რაღაც იყო, რომელსაც პროფესორი კითხულობდა ამ დღეს. ჩვენ კი „სადემონსტრაციო ავადმყოფები“ ვიყავით. მალე შეჩერდა ლექცია. პროფესორი მარდად ჩამოქანდა კათედრიდან, წამოავლო სკამს ხელი, ჩვენ წინ დაჯდა. ჯერ მოგვესალმა. ასეთი კანონი ჰქონიათ საგიჟეთში. ჯერ ვითომც ვერ გამჩნევს და თუ დაგელაპარაკა ვინმე ჭკვიანი – გიჟს, აუცილებლად ჯერ სალა-

მი უნდა მოგცეს და თანაც მხარზე ხელი დაგკრას, ან თავზე გადაგისვას ბავშვივით. მე სულ მუდამ მაბრაზებდა ეს რეგვენული ჩვეულება, მაგრამ რას ვიზამდი?... ამრიგად, პროფესორმა ჯერ ჩემ მეზობელს დაჰკრა მხარზე ხელი და შეეკითხა – „აბა, ჩემო კაკო, რადა ხარ მონყენილი, გვიამბე, ნუ გეშინია, სულ მუდამ გაჩუმებული ხარ, გვითხარი, რა განუხებს?...“

კაკომ ამ კითხვებზე თავი მალლა ასწია, აქამდის სულ დაბლა რომ იყურებოდა მონყენილი, ოდნავ გაიღიმა და უპასუხა: – რა მანუხებს? კუჭი. ამ მოულოდნელმა პასუხმა გულიანად გააცინა პროფესორიც და აუდიტორიაც.

– არა, კუჭს არ გეკითხებით, აი, მონყენილი რომ ხარ, რაიმე ცუდი ფიქრები ხომ არ გიტრიალებს თავში?..

– ცუდი ფიქრები? არა. ზარსა რეკავენ ხოლმე და ისე შემოაქვთ ვახშამი.

ისევ სიცილი დააყარეს. პროფესორი მაშინ მიუბრუნდა აუდიტორიას და საკმაოდ მედიდურად განაცხადა:

– აი, ხომ ნახეთ, აქ ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ავადმყოფი მონყენილია, თითქოს რალაც ანუხებს, მაგრამ საკმარისია შეეკითხოთ, რომ დარწმუნდებით, ავადმყოფს კუჭისა და ვახშმის მეტი არაფერი არ აინტერესებს, არც ანუხებს. ადვილი შესაძლებელია, ჰალუცინაციების ბრალი იყოს ყველაფერი ეს.

ამის თქმის შემდეგ ისევ მიუბრუნდა კაკოს და შეეკითხა:

– არა, ჩემო კაკო, ერთი მითხარი ხმები ხომ არაფერი მოგესმის?

– როგორ არა, ყოველდღე სამჯერ რეკავენ ზარს: დილის ჩაი, სადილი და ვახშამი.

აუდიტორია ისევ იცინოდა. პროფესორი, ცოტა არ იყოს, გულმოსული შეეკითხა:

– მითხარი, კაკო, დღეს რა დღეა?

– გაუფცქვენელ კარტოფილსა ვჭამ ხოლმე, ისე უფრო გემრიელია, – და ახლა თვითონ გაიცინა, მაგრამ ისე მწარედ და

უშნოდ დაებრიცა სახე, რომ ეს სიცილი, სიცილს სრულიად არ ჰგავდა; იყო რაღაც საზარელი და საოცარი. მე გამაკვირვა ამ დიალოგმა. როგორ, ასეთი ტანჯვა და ასეთი უაზრო პასუხები? რატომ არ არის კაკო გულახდილი, რატომ არ ამბობს თავის ტანჯვას, ხომ ასე არაადამიანურად და სასტიკად იტანჯებოდა, რაში იყო საქმე, ვერ გავიგე. პროფესორი ხელახლა შეეკითხა:

– კაკო, მითხარი რამდენი წლისა ხარ?

– ხუთის.

ამ სიტყვებზე წამოხტა კაკო და ბავშვივით ჩაბუქნა პროფესორის წინ, თან ენას უკიდებდა ბავშვივით. ამანაც მხიარული სიცილი გამოიწვია ყველაში. პროფესორი კი მედიდურად განმარტავდა. – აი, სწორედ, როგორც ვთქვი, ისე ხდება. მე ხომ ვთქვი, ამ ავადმყოფობის დროს კაცი უბრუნდება ბავშვობას – აი, ამის სრული მაგალითი. საინტერესოა, ხომ? – მართლაც საინტერესოა. მაგრამ ერთი რამ რჩება გაუგებარი. ეს ავადმყოფი ერთხელ თავს იკლავდა ზენრით. მე ეს არ დავიჯერე. ასეთი ავადმყოფები საერთოდ თავს არ იკლავენ. და თუ ეს მოხდა, ალბათ, ვიღაცას მიბაძა. საერთოდ ძალიან უყვართ მიბაძვა ასეთ ავადმყოფებს. აი, მაგალითად, – და პროფესორმა თმა გაისწორა, კაკომაც ასევე გაისწორა. პროფესორმა ხელი მაღლა ასწია, კაკომაც ასწია. აუდიტორია სულგანაბული თვალს ადევნებდა, ყველას აკვირვებდა პროფესორის ცოდნა და გამოცდილება. პროფესორი გრძნობდა ამას და თამამად გაშალა ხელი განზე, კაკომაც გაშალა. პროფესორმა ენა გამოყო, ის ენა, რომელიც ამდენ სისულელეს ლაპარაკობდა. აქ კი ველარ მოითმინა კაკომ, ერთი შეჰყვირა და ლაზათიანი სილა გააწნა „პროფესორს“. შედრკა აუდიტორია. ამ ფორმის ავადმყოფისაგან სილას არავინ მოელოდა, მარდად მისცვივდა კაკოს ათამდის კაცი, შებოჭეს – ასწიეს და გაიტანეს განყოფილებიდან. აუდიტორია ღელავდა. ღელავდა პროფესორიც, მაგრამ ძალით დაიწყნარა თავი და ისევ დამშვიდებით განაგრძო, – ეს არაფერი, გთხოვთ დაწყნარდეთ,

მაგისტანები ბევრი მოგვხვედრია ჩვენ და თქვენც ბევრი მოგხვედრათ, მაგრამ უნდა აიტანოთ ავადმყოფისაგან ყველაფერი. ასეთია ფსიქიატრია, ასეთ მძიმე მსხვერპლს მოითხოვს.

პროფესორმა კი აიტანა ეს სილა, მაგრამ უდანაშაულო ლოყამ ვერ აიტანა. ნასილარი აუწითლდა, აებურცა და აენტო. ის კი ჩვეულებისამებრ განაგრძობდა ბავშვობაში გადატანილი ფსიქოზების ახსნა-განმარტებას, რომლის საუკეთესო ნიმუშიც კაკო იყო... არ ვიცი, რად, ჩემთვის აღარაფერი უკითხავთ. მალე გათავდა ლექცია, თუმცა ვერავინ ვერ გაიგო, მაგრამ ლექციის ჩქარა გათავების მიზეზი მაინც კაკოს სილა იყო, რომელიც, მიუხედავად ფსიქიატრიის მოძღვრებისა, პროფესორმა მაინც იწყინა, რამაც წაართვა ხალისი და უნარი აზროვნებისა. ხალხი ნელნელა დაიშალა. ყველას ეცინებოდა ამ ინციდენტზე, პროფესორი სადღაც გაქრა. ჟივილ-ხივილით დაიძრნენ მომავალი ექიმები ვიწრო გასასვლელისაკენ. ნეტავ, ისწავლა რომელიმე ქკუა ამ საბედისწერო ლექციაზე თუ ვერა – ეს მაინტერესებდა.

საკმაოდ აღელვებული და ბრაზმორეული ჩამოვდიოდი მოხვეულ კიბეზე მოწყალების დის თანხლებით. მინდოდა მალე მენახა კაკო, დამელოცა იმისი მარჯვენა, დიდი მოთმინების და ამტანობის უნარი. მივედი განყოფილებაში, არც კი ამომასუნთქეს, ისე გამაძრეს ისევ ახალი საცვლები, ხალათი, ჩამაცვეს ისევ ძველი, დახეული და წვირიანი და გამანებეს თავი. ჩანს, მარტო ლექციაზე წასაყვანად ჰქონდათ საგიჟეთში თეთრი და სუფთა საცვლები... მე მოუთმენლად დავუწყე ძებნა კაკოს, მაგრამ ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, განყოფილებაში რომ ვერ ვიპოვნე. მისი სანოლი ცარიელი იყო, აელაგებინათ. სად იქნებოდა? ნუთუ დასჯიდნენ? მერე ფსიქიატრთა მეცნიერება? ამ გაუგებრობაში ვიყავი, რომ მივედი მომვლელთან და შევეკითხე: „კაკო სად არის“-მეთქი?

– ვინ კაკო? – ვერ გაიგეს.

– აგერ ამ სანოლზე რომ იწვა, – და მივეუთითე ცარიელ სანოლზე...



– ჰო, ის! ის! „ბუინშია“...

– სადა? – ვერ გავიგე ეს სიტყვა,

– „სადა და გაჩუმდი, თორემ შენც იქ არ ჩაგაგდოთ.“

მე ამ სიტყვებმა უფრო განმაცვიფრეს. „ჩანს, რალაც დასას-  
ჯელი ადგილი ჰქონიათ საგიჟეთში, სადაც ყველა დამნაშავეს  
ამწყვდევენ,“ – გავიფიქრე და უმძაფრესმა ცნობისმოყვარეობამ  
და სინანულმა შემიპყრო. მე ვფიქრობდი კაკოზე, მის ძნელ და  
საშინელ ტანჯვაზე, მის გმირულ და სამართლიან საქციელზე,  
რაზედაც ის, ვინ იცის, როგორ იტანჯებოდა. და გადავწყვიტე  
რამე ისეთი ჩამედინა, რომ დღესვე წავსულიყავი იქ, „ბუინში“,  
რომ სიტყვით მაინც მენუგეშებინა განწირული ადამიანი...

იმ დღეს რალაც არეული ვიყავი, გაბრაზებული, მიზეზს  
ვეძებდი. საჭმელზე უარი ვთქვი, ძალით ვერ მაჭამეს, არც სა-  
ნოლზე დავწექი, ძალით ვერ დამანვინეს. მომვლელებს უკვირ-  
დათ ჩემი ამგვარი საქციელი. მე ყველაზე ჭკვიან ავადმყოფად  
ვიყავი ცნობილი. ვერავინ ვერ გაიგო ჩემი არევის ნამდვილი  
მიზეზი. ნელ-ნელა გადიოდა დრო, მე არა ვწყნარდებოდი. დადგა  
საბედისწერო წუთი.

ვახშამი შემოიტანეს განყოფილებაში. ატყდა ჩვეულებრივი  
ჩხუბი და აურზაური. ერთმა გაძვალტყავებულმა ავადმყოფმა  
საჭმელი მოიტაცა და ვიდრე წაართმევდნენ, მთლიანად ჩაიდო  
პირში. მომვლელები დაედევნენ და რომ ვერ წაართვეს, ერთი  
მაგარი ჩასცხეს საცოდავს. ისე ეტკინა, რომ უნებლიედ გააღო  
პირი და დაუღეჭავი საჭმელი გადმოსცვივდა პირიდან. მაგრამ  
ხელახლა მივარდა, გამწარებულმა აკრიფა იატაკიდან და ისევ  
პირში ჩაიყარა. მომვლელმა ხელახლა უთავაზა. ამის დანახვაზე  
სულმთლად ავენთე, თვალთ დამიბნელდა, გადავხტი და მოკვიდე  
ხელი ერთ-ერთ მომვლელ კაცს:

– „ძმობილო, რათა სცემ?“

– საჭმელს იტაცებს და იმიტომ, – მიპასუხა.

– მერე, ავად ხომ არის?

– შენ ვინ გკითხავს! – მიყვირა მომვლელმა. მაშინ ერთი ლაზათიანი გაფანანი, წავიგდე წიხლქვეშ და დაფუნყე ცემა. მომვლელი აყვირდა. მოცვივდნენ მოსაშველებლად, დამიჭირეს ხელები, ფეხები და გამიტანეს განყოფილებიდან. თუმცა არავისი განკარგულება არ ყოფილა ამაზე. ასე ანეული სარდაფში ჩამიყვანეს, გააღეს მაგრად დაკეტილი დარკინული კარები, შიგ შემავდეს და ერთი-ორი წიხლიც მითავაზეს. აი, თურმე ეს იყო ეგრეთწოდებული მღელვარეთა განყოფილება, ანუ ის „ბუინი“, რომლის სახელითაც შიშის ზარსა სცემდნენ ეგრეთწოდებულ „წყნარ გიჟებს“ ანუ წყნარ „სულით ავადმყოფებს“.

## მღელვარეთა განყოფილება

რალაც არაადამიანური კივილი, სიცილი, ტირილი, ყივილი ისმოდა. შევშინდი, სიმართლე ითქვას. ასეთი საზარელი რამ ჯერ არ მენახა. კარგა ხანს ვიყავი ასე მოკუნტული, განძრევას ვერავბედავდი. როცა მოულოდნელი შიშის პირველმა მძიმე შთაბეჭდილებამ გაიარა, მე ნელნელა წამოვდექი ფეხზე. განყოფილება წარმოადგენდა ერთ ვინრო „კორიდორს“, რომელიც შედიოდა პატარ-პატარა ოთახებში. ოთახები მაგრად იყო დაკეტილი და შიგნიდან ისმოდა ეს არაბუნებრივი ხმაური. ზოგი კარები ღია იყო და ავადმყოფები თავისუფლად შერბოდნენ და გარბოდნენ ოთახებიდან. უმეტესი ნაწილი ავადმყოფებისა სულ მთლად შიშველი იყო. „აი, სადა ყოფილა წამდვილი საგიჟეთი,“ – ვფიქრობდი მე, როცა ნელნელა გავყევი ამ ვინრო კორიდორს და ერთ ოთახში შევედი, საიდანაც ყველაზე მეტი ხმაური გამოდიოდა. ოთახი კარგად მოზრდილი იყო, მაგრამ საკმაოდ ბნელი, ოთხივე კედელთან მჭიდროდ იყო ჩამწკრივებული ისევ ისეთივე რკინის საწოლები, მაგრამ საწოლებზე არავინ იწვა. ყველა მოძრაობდა. ზოგი ზედ ახტებოდა საწოლებს, ზოგი ზედ იდგა და ბუქნავდა,

ზოგს საბანი და ლეიბი წამოესხა და სადღაც მიეშურებოდა, ზოგი შუა ოთახში ვარჯიშობდა. ზოგი ჭერთან დაყოლებულ ფანჯრის რკინებს მოჰკიდებოდა და სასოწარკვეთილი კიოდა... ზოგი რას აკეთებდა, ზოგი რას, ერთი სიტყვით, იდგა საშინელი ორომტრიალი... ჩემი შესვლა თითქმის არავის შეუმჩნევია ერთი საკმაოდ აღელვებული ავადმყოფის გარდა, რომელიც საჩქაროდ მომვარდა და საყვედურით მკითხა:

– სად ხარ, კაცო? სად იყავი აქამდის? მე უკვე ბარგი შევკარი და ამდენ ხანს გიცდი.

მართლაც ილიაში ეჭირა თავისი საბანი, ლეიბი, ბალიში, რომლებიც მაგრად გამოეკრა ზენარში.

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

– ჩემთვის არაფერი დაგივალვია? მე წყნართა განყოფილებიდან გადმომიყვანეს-მეთქი.

– სტყუი! – დამიყვირა ავადმყოფმა. შენ პეტრე არა ხარ? შენ არ იყავი, რომ დამპირდი, საღამოზე მოვალ და წაგიყვანო. სტყუი! – ერთი კიდევ მიყვირა. ამ ყვირილზე მოცვივდნენ სხვა ავადმყოფები, წამავლეს ხელი და გამიყვანეს შუა ოთახში. ამ დროს ერთი ავადმყოფი ახტა რკინის მოაჯირზე და ზარიანად დაიძახა:

– სმენა! როკფელერის მოციქული მოვიდა. მე შევუთვალე, ფული ხომ არა გჭირდება-მეთქი და აი, გამოუგზავნია კაცი, ალბათ, ფულის სასესხებლად. ვაშა, როკფელერი გაკოტრებულა! აჰა! ეს ათი მილიარდი წაუღე, ჯერ მოიხარჯიანოს და შემდეგ სხვას მივაშველებ! – ამ სიტყვებით მაგრად დაბლუჯული, ჩვარში შეხვეული რალაც გადმომცა... თან ყვიროდა, – ვაშა! ვაშა! ვა-ჯოზე როკფელერს! როკფელერი გაკოტრებულა! მამ რა ეგონა?! ქოფაკი! როგორ გაუძლებდა ჩემს მეტოქეობას!

მე ჩვარი გავხსენი და ვნახე ათი ხის ღილი საცვლებიდან აგლეჯილი, ცარიელი კოლოფი, პაპიროსის ნამწვები, რალაც ჩხირები და კენჭები. ავადმყოფი კი თავგამოდებით ყვიროდა:

– ამ თავით ეგ იყოს – მოიხარჯიანოს და შემდეგ სხვა იქნება! კარგი, კარგი მე თვითონ შევატყობინებ რადიოთი!

ამ დროს გადახტა იატაკზე, მივარდა კედელს და ზრრრრ... ვითომ დაანკარუნა...

– ალლო! ნევ-ჰიორკ... მარსელია? კარგი, მადლობთ! ნევ-ჰიორკი მომეცით! როგორ ქარიშხლები უშლიან რადიოს! შეაჩერეთ! შეაჩერეთ ქარიშხლები! მე გიბრძანებთ! ალლო! ნევ-ჰიორკ! ბროდვეი! ავენიუ როკფელერ! ჯერ ათ მილიარდს გიგზავნი. რამდენს? რამდენს და ათს, დაყრუვდი? ვინა? რას კითხულობ... სტეფანე ვარ გალილეველი. სად არის, სად არის და კანარის კუნძულებზე. კარგი. კარგი. შენს მოციქულს ეხლავე რადიოთი გამოგიგზავნი. კარგი, კარგი!

ისევ დარეკა, ზრრრ... ამ დროს გადმოხტა, დამავლო ხელი, როგორც ჩანდა, ამერიკაში მგზავნიდა რადიოთი. ამიტაცა და, ის იყო, მიმახეთქებდა კედელს და, ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ ამ დროს მაღალი ფანჯრიდან მოსწყდა ვილაც და ზედ თავზე დაგვეცა:

– ხელი გაუშვი, შე მურდალო! მერე, იცი, ეგ ვინ არის?!..

ჯვრიდან ჩამოვარდნილი ავადმყოფი კაკო გამოდგა. მე ძალიან გამიხარდა იმისი დანახვა. კაკომ წამავლო მაშინვე ხელი, განზე გამიყვანა და მკითხა:

– შენ რალა გინდა აქ? რად? რა დააშავე?

მე ვუთხარი, რომ მისი ნახვა მინდოდა, ისიც უუამბე, მომვლელს როგორ ვცემე. როგორ ამწიეს და გადმომავდეს ამ განყოფილებაში... ვფიცავ, არაფერს არ ვუმატებდი, სწორედ კი არ გადმომიყვანეს, გადმომავდეს. კაკო აილენა, აენტო, მაშინვე გაიხსენა თავისი ინციდენტი „პროფესორთან“ და მკითხა.

– აბა, ზირან, ერთი თუ კაცი ხარ, მითხარ, არ იყო ღირსი ის კაცუნა იმ სილის? ხომ ნახე, რა საზიზღარ „ლექციას“ ატარებდა. მეც ავეყვი, აბა რა მექნა, თუკი კაცი, ნასწავლი კაცი ასეთ საზარელ ცილსა მწამებდა. „გარეგნულად ვითომც მოწყე-

ნილია, მაგრამ არსებითად კუჭის და ვახშმის მეტზე არაფერზე ფიქრობსო.“ მითხარი, თუ კაცი ხარ, შენ როგორ მოიქცეოდი? მართალია, საჯარო შეურაცხყოფა კაცის, დიდი კაცის – თუგინდ გიჟისგანაც არ ვარგა, მაგრამ რა მექნა. თუ კაცი ხარ, მაპატიე – შენ გთხოვ პატიებას. შენ სულმთლად უდანაშაულოდ დაისაჯე ჩემი გულისთვის.“ – ამ სიტყვებზე გადახტა ისევ შუაში და ზარიანად შეჰკვივლა:

„– გიჟებო, სმენა! საგიჟეთში გვეწვია კაცი, რომლის სინდის-მაც ველარ გაუძლო ჭკვიანი ხალხის ძალმომრეობას და სისულელეს. თავისი ფეხით მოვიდა აქ, რომ ნახოს ის გაჭირვება, რომელსაც ჩვენ, გიჟები, განვიცდით. დღეის იქით ეს იქნება თქვენი ქომაგი და პატრონი!... ვაშა!...“

სმენად ქცეული გიჟები შეტოკდნენ. მე საშინლად განმაცვიფრა კაკოს ამდენმა ლაპარაკმა, ამდენმა მოძრაობამ და უნებლიედ გავიფიქრე: თუკი ერთმა სამართლიანმა სილამ თითქმის ნახევრად გამოაკეთა, მაშინ ერთი ორი მიზანშეწონილი სილა სულ მოარჩენდა... საკვირველია, რა ძალა ჰქონია ამ დალოცვილ სილას?..

ამ ფიქრში ვიყავი, რომ ერთი, საკმაოდ ხანში შესული გიჟი გამოვარდა მეორე ოთახიდან საშინელი ბლავილით.

– მიშველეთ! რა გავიგონე?! მიშველეთ! რა გავიგონე?! – მოვიდა, მომხვია ხელები, მაგრად ჩამიკრა გულში. მერე გაქანდა, სანოლი სანოლზე შედგა, ზედ ავიდა და რიხიანად დაიძახა:

„– მე, მპყრობელი სამყაროსი და მრავალთა სხვათა, მე ღმერთი და მეფე, რომელმაც იცის ძალა პლანეტათა შუა ქროლვათა, ვბრძანებ! თუ ღმერთკაცის ძალა იმაში იყო, რომ უმამოდ გაჩნდა ქვეყანაზე, ჩემი ძალაც იმაშია, რომ უდედოდ გავჩნდი. ორმოცი საუკუნე იარა მამაჩემმა ორსულად, ვიდრე მე არ გავჩნდებოდი ქვეყანაზე. გიჟებო, იცოდეთ, უმამოდ გაჩენა უფრო ადვილია ქვეყანაზე, ვიდრე უდედოდ. და ამიტომ, მე ვბრძანებ, ორმოცი წლის ლოდინის შემდეგ, საგიჟეთში, ჩემს სამეფოში, სადაც ჩა-

კეტილია ქროლვანი მთელის ქვეყნისა და სამყაროსი, მოვიდა ღმერთი, რომელსაც არც მამა ჰყოლია, არც დედა. იცოდეთ, ასეთი ღმერთი უნათესაო იქნება და მართლაც სამართლიანი!

ამ სიტყვებზე გადმოხტა, დამავლო ხელი და ამნია, გიჟებმა უშველეს და ამგვარად დამსვეს მაღლა, რკინის სანოლზე. მეც არ გავძალიანდი, რა მექნა, თუკი ასე უნდოდათ, რად უნდა დამეშალა. ამ დროს მოვკარი თვალი კაკოს, რომელიც აღარ მეხმარებოდა. როგორც ჩანდა, კმაყოფილი იყო ჩემი ასე ჩქარა გაღმერთების. მეც არას ვნაღვლობდი. კაკო იქ მეგულებოდა, ბრგე და ღონიერი ვაჟკაცი. იმ ავადმყოფმა, რომელიც იყო მიზეზი ჩემი უცაბედი გაღმერთების, მარდად ჩამოუარა გიჟებს და ორ მწკრივად დააჩოქა ჩემს წინ. ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ჩანდა, სხვებსაც აინტერესებდათ ეს გასართობი. თვითონ კი ერთი ზეწრით თავი შეიხვია, მეორე ზედ წამოისხა და საკმაოდ მრისხანე გამომეტყველებით ნელა დადიოდა რიგში. ამ დროს ორ ავადმყოფს მოუვიდა ჩხუბი. მიზეზი პატარა გამოდგა. ერთ მათგანს ბუზი დასჯდომოდა, მეორეს მოეგერიებინა. პირველს სწყენოდა და მიემართა: – რად გააგდე ბუზი, რას გიშლიდა, ის ჩემი ბუზი იყო, ჩემს სისხლსა სწოვდა, რად დამიფრთხეო. ნუხელ მთელი ღამე ღმერთსა ვთხოვდი ერთი ყოჩალი ბუზი გამოეგზავნა ჩემთვის, რომ მეტი სისხლი გამოენოვა. ბუზი მოვიდა, ასე მუყაითად მუშაობდა და შენ კი დამიფრთხეო... „შე სულელო, ბუზი რომ გიკბენს, ცუდია და იმიტომ მოგიგერიე... და მერე ის ბუზი კი არ იყო, დაბუზებული ეშმაკი იყო. შენს ცხვირზე რომ იჯდა მე ენას მიყოფდა... შე სულელო, შენა!“...

ამ დიალოგის შემდეგ ბუზის პატრონი უეცრად წამოვარდა, ღონივრად ჩაჰკრა თავში მეზობელს და ადგილი გადაინაცვლა. პარადის მომწყობი და მბრძანებელი ავადმყოფი, ისევ მედიდურად დადიოდა და აწყნარებდა მოუსვენარ მრევლს. „რა კარგია, რა კარგია, რა კარგია“. – გაითამაშა ერთმა გიჟმა, – „მიმწით, მიმწით“, – ჭირვეულობდა, – „თქვენ გინდათ დაიჩოქოთ და მე

კი არა? მიმნით, მიმნით, რა კარგია, რა კარგია, რა კარგია.“  
როგორც იყო, ჩასტიეს რიგში და დაიჩოქეს.

– გიჟებო, სმენა! მე მპყრობელი და მბრძანებელი მთელი ქვეყნისა, ნვიმათა და ქარიშხალთა, მინისძვრათა და ყოველთა, ვბრძანებ: შენ დაფინო, დაფინო, დაფინო ტანჯვა უნდა დააფინო ძღვევამოსილი ღმერთის წინაშე. ხალხო და ჯამათონო! რალაც საშინელი რამ მეჩვენება, ქვეყანას რომ ვუყურებ საგიჟეთის ღია ფანჯრიდან. ცხოვრებამ რომ ადამიანს თავი ნაჰგლიჯა, ის თავი საშინელის ტკივილებით მოგორავს საგიჟეთისკენ. უთავოდ გაჭენებული კაცობრიობა ამაოდ მოსდევს სინდისის დაღმართებს, უტვინოდ, დაშხამული, მოუთმენელი სურვილით სივრცისა და დროის დამონების. მიწამ ველარ მოითმინა ადამიანი, მსუბუქი და უნებო. ადამიანი ჰაერში აფრინდა, წაგლეჯილი თავი კი დაგორდა საგიჟეთის დაღმართებზე საოცარის წამებით. იცით, რა ძნელია მარტო თავის წვალეობა... განაწამებმა თავმა ველარ მოითმინა ბოროტებით ყელამდის სავსე სხეული, სხეულმა კი ველარ მოითმინა პატარა თავის სიბრძნე. დარბილებულმა ძვლებმა ველარ ზიდეს პატარა ტვინის დიდი სიმძიმე. ბრძოლა საზღვარგადასული გამოდგა. ადამიანმა თანდათან იწყო გაცვეთა ფეხებიდან. თავი ზედმეტი გამოდგა პატარა ხალხისათვის. ფეხებიდან გაცვეთილი ხალხი იოლად წავიდა უთაოდ. თავი კი დაგორდა საგიჟეთის დაღმართებზე საოცარის წამებით.“ ამ დროს ახტა სანოლებზე, ჩემს ზემოთ და საშინლად დაიკვილა – „ეი, თქვენ! ვისაც კიდევ შეგრჩენიათ ძალა და სინდისი, თავებს გაუფრთხილდით...“

სიმართლე ითქვას, სულგანაბულები უსმენდნენ ყველანი ამ საშინელი კაცის საშინელ მხილებას. ამ დროს ერთი ავადმყოფი აღელდა, აილენა, აენთო – გავარდა კივილით მეორე ოთახში, შემდეგ საშინელი ხმაურით გამოქანდა ისევ უკან.

„– თავებს გაუფრთხილდით, აჰა!“ – ამ სიტყვებზე საშინლად მიაჯახა თავი კედელს. – „ხალხო, რად მინდა თავი, რომლის

ტარებასაც ვერ ვუძლებ. აჰა, გავუფრთხილდები, აჰა – აჰა!“ – ამ სიტყვებზე სამჯერ-ოთხჯერ კიდეც ახალა თავი კედელს. შემზარა ამ სანახაობამ, საკვირველია, არც ერთი ავადმყოფი არ შეეცადა გაეჩერებინა აღგზნებული და სასომიხილი კაცი. ჩანს, დაჯახებამ უფრო აუმღვრია ტვინი. უფრო აიშალა, ავარდა, ორ რიგს გადმოახტა და სანოლს თავზე მოექცა. შეჰკივლა საზარლად: „თავებს გაუფრთხილდით?... ამ თავმა გადამრია და თქვენ კი მეუბნებით – „თავს გაუფრთხილდე?.. ამ თავის პატრონს უნდა მქონოდა ოცი ფეხი, ორმოცი ხელი, ათასი ფრჩხილი და ათიათასი კბილი, შავი და შხამიანი. ამ თავის პატრონს ძალა უნდა მქონოდა ათასი ლომის, ნახტომი ათი ათასი ვეფხვის, კბენა ასი ათასი გველის, სიარული უდაბნოს ქარიშხლების და რისხვა ათასი მეხის. მაგრამ პატარას, სასაცილოს, უკბილოს, უნებოს, უფრჩხილოს, უგულოს და უშხამოს რად მინდა თავი გატენილი ათი ათასი ძნელი და დიდი სურვილით. კბენა რომ ვცადე, კბილი მომტყდა, ნახტომი რომ ვცადე, ხის ქუსლები დამემტვრა სირბილში, ლაქწასმული და გაპრიალებული ფრჩხილები ველარ გამოვიყენე ბრძოლისათვის. ასე უნებოს და სასაცილოს რად მინდოდა თავი ათი ათასი გაჭენებით, ასი ათასი დიდი და ძნელი სურვილებით? თქვენ კივით, თავს გაუფრთხილდი, კარგი... აჰა!“ ამ სიტყვებზე ყირამალა გადმოვარდა და შიშველი თავი დაჰკრა იატაკს.

პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სანახაობა გადარეული ხალხისათვისაც კი საზარელი გამოდგა. მე გულის ძგერით ვათვალიერებდი კაკოს, ვფიქრობდი კაკო ხომ ჭკვიანია, დარბაისელი, სამართლიანი, რატომ არ მიეშველება ამ საცოდავ ავადმყოფს, რატომ არ შეუშლის ხელს, რად აძლევს ნებას ასეთი უაზრო და საშინელი შურისძიებისას?.. მაგრამ კაკო სრულიადაც არა ღელავდა. რაღაც უცნაურად გარინდებული, ზომაზე მეტად გახეული თვალებით მისჩერებოდა დიდი თავის და პატარა სხეულის უთანასწორო ბრძოლას. არც ლაპარაკობდა, არც ინძრეოდა, არც



თუ ლელავდა. მიკვირდა, მაგრამ რას ვიზამდი, შიშსა ვგრძნობდი სხეულის ყველა უჯრედში და უნებლიედ ვკანკალებდი... ისევ ის ავადმყოფი, ორგანიზატორი და მბრძანებელი ამ სანახაობისა, აკივლდა:

„– ხელი არ ახლო! ვინრო ძვლის ჩონჩხმა, რომ ველარ დაიტია დიდი აზრი – გასკდა. ტკივილებით დამძიმებულმა თავმა მოუნელებელი ფიქრები არწყია წითლად, ხელი არ ახლოთ! თავი გაიხეთქა იმიტომ, რომ სხვა ყველაფერი გადაერჩინა, მაგრამ ამოდ. თავგახეთქილი სხეული უფრო კარგად იფრენს, მძიმე ფიქრები რომ დაღვარა მინაზე იმის შემდეგ. ყირამალა დაცემა საუკეთესო წამალია ყოველგვარი მონელების, იცოდეთ... ეი, თქვენ, აზრის და სურვილების ბატონებო! თავები დაიმტვრიეთ, მაგრამ მაინც თავებს გაუფრთხილდით, რომ ეს თავები დარჩნენ, წამების, ტანჯვის და გადარევის საუკუნო მაგალითად.“

სიტყვა „საუკუნოს“ გაგონებაზე ერთი ავადმყოფი მწარედ და ქვითინით ამღერდა: „საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი.“ თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავში იცემდა. მალე მდგომარეობა ისევ აირია, ავადმყოფები ისევ ამოძრავდნენ. ამ დროს ვილაცა აკაკანდა: „და ნუ უგულვებელ ჰყოფ სახელითა ძლიერთა შენითა, განვედი ჩემგან, განვედი ჰოი, მაცდურო, რათა დამემკვიდროს მე ძალა ღვთისა“, წმინდაო, წმინდაო, გიგალობებ, თავყანსა გცემ, გადიდებ, გაფურთხებ... ალილუია... ალი...

კიდევ რალაც უნდა ეთქვა, რომ ვილაცის მძიმე და ძარღვიანი ხელი მაგრად მოხვდა თავში.

„– შე ოხერო, აქ ქვეყანა ლამის დაინგრეს და შენ რას კაკანებ მაგ სისულელეს?.. “

მოკაკანე ავადმყოფი კი ისევ იმ ტონით განაგრძობდა:

„– განვედი ჩემგან, განვედი, ჰოი მაცდურო, და არა იციან უგუნურთა რასა იქმან, ქვეყანასა ზედა დამკვიდრებული სირეგვენე წყეულიმც იყოს, წყეული – და ნუ უგულვებელ

მყოფ სახელითა შენითა, განუსაზღვრელო და მიუნვდომელო განგებაო.“

მეორე კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისევ უბრაახუნებდა თავში მუშტს. მოკაკანე ავადმყოფი კი არა ფიქრობდა გაჩუმებულისო, ანდა შეენწყვიტა თავისი ლოცვა, რომელსაც, როგორც ჩანდა, ბოლო არ ექნებოდა. მე ვუყურებდი და მაკვირვებდა ამტანობა გადარეული თავისა. ვინ იცის, კიდეც რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს სანახაობა, რომ ერთი ვიდაც სულ მთლად შიშველი და გაძვალტყავებული ავადმყოფი არ გამოჩენილიყო კარებში. გაჩუმებულს და გარინდებულს ერთი ხელი წინ გამოეშვირა და გაშეშებული წინ მოინეცდა... კარგად რომ წამოდგა წინ, ყველა გაჩუმდა... სანახაობა იყო უჩვეულო. ისევ ამ პოზაში გარინდებულმა და გაყურებულმა ჩუმად დაინყო:

„– გამხმარი ფოთლების მტკრევა შემოდგომაზე ყველაზე საზარელია. ჩამქრალი გულის კვნესაც შემოდგომაზე სველი და ნამიანია, მომცრო ტანის. ზღვა რომ ღელავდა ჩემს გარშემო და თეთრი ტალღები ცოფიანი ნადირივით ეტანებოდა ჩემს ფიქრს, მაშინ შემომესმა საოცარი კვილი: „თავს გაუფრთხილდი!“ ეს იყო პირველი გაფრთხილება. ლამაზი ქალის გულმკერდზე თბილად რომ გავგორდი და ძუძუს თავებით შევეხე ქალის თბილ და რძიან ძუძუებს, გამშრალი ტუჩებით რომ დავეკონე იმის ცხელ და ანთებულ ტუჩებს, იმისი ენა რომ მომხვდა პირში სველი და ვნებიანი, რაღაც თბილი და ტკბილი სითბო რომ ჩამექცა სხეულში, მაშინაც შემომესმა საოცარი კვილი „თავს გაუფრთხილდი!“ ცხოვრების აქაფებულ გზებზე რომ დავინყე სიარული, მაღალი ტანით და განიერის ბეჭებით, თავგამოდებით რომ ვაბიჯებდი ფრთიან და ეშვიან სურვილებს უდარდელი, მუდამ მშფოთვარე და ახალგაზრდა, მაშინაც შემომესმა საოცარი კვილი „თავს გაუფრთხილდი!“ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და შევიჯავრე ცხოვრება, ფუჭი და უაზრო, შევიჯავრე ადამიანი ზნედაცემული და საშიში, პატარა ტვინით და დიდი სისულელით, დაბრეცილი და

დარბილებული ხერხემლით რომ სჩიჩქინდა ცხოვრების ფართე შარაგზებს. ადამიანი! ჰა! ჰა! ჰა!.. ადამიანი, რომელმაც ცოფი ამიცრა და ხედვა გამითეთრა, ადამიანი, რომელიც ჩამივარდა ტვინში მძიმე და მოუნელებელ ფიქრად... ოჰ!.. მაშინ იყო, რომ პირველად ვცადე შურისძიება, გავინაპირე, გესმით, გავინაპირე, ფეხაკრეფით გადმოვედი ქალის მკერდიდან სინანულით და თან გადმომყვა უკანასკნელი კოცნის, უკანასკნელი ჩაკონების საოცარი წვალეზა... გავინაპირე და ალმაცერი გზებით შემოვუარე ცხოვრებას შიშით და კანკალით, სამყაროს ყველაზე მაღალი და საშიში ადგილებიდან მრისხანედ დავიძახე ქვეყნის და კაცობრიობის გაბოზება. მერე? მერე ის, რომ ვერ მომითმინეს, შებორკილი და ანეული შემომიტანეს დაშხამულ და დარკინულ საგიჟეთში. აქ ფიქრების და სურვილების საშინელ ჯოჯოხეთში და აი, უკვე ოთხი წელიწადია, რაც ვინვი გაგიჟებული... ჰო! გაგიჟებული. და აი, დღეს ოთხ წელიწადში პირველად შემომესმა აი, აქ, საგიჟეთში ისევ ის საბედისწერო და გამაფრთხილებელი კვილი „თავს გაუფრთხილდი!“ – შემომესმა და დავიძარი ადგილიდან, რომ გიჩვენოთ თავი ამდენი ტანჯვით და ფიქრით სავსე.

ამ სიტყვებით თავიდან მოიძრო რალაც დაგლეჯილი ჩვარი და ათასი იარით დამუნუკებული თავი დაბლა დახარა... ამ დროს იმ ავადმყოფმა ლონივრად ჩაჰკრა თავში და იკივლა: – „გააგდეთ – ტყუის! ეგ თავი ნუხელ ნაგვის ყუთში იპოვა, ეგ თავი მაგისი არ არის... მე ვნახე, რომ ეგ გუშინ უთავოდ იყო და რომ მობეზრდა უთავოდ ცურვა, ნაგვის ყუთებს დაუნყო ქექვა და იქ იპოვა ეგ დამპალი და დამუნუკებული თავი. ხალხო! ეგ თავი მაგისი არ არის, გააგდეთ, ტყუის!“

კიოდა ამას და თან საშინლად ლელავდა. ამ დროს ავადმყოფმა მოხრილი თავი მალლა ასწია, ისევ დაფხრენილი ჩვრით შეიკრა, ერთი მწარედ გადაიხარხარა და ისევ ნელა – გარინდებული გაბრუნდა უკან, თავი ორივე ხელით მაგრად ეჭირა, თითქოს უფრთხილდებოდა, თუ ეშინოდა დიდი ტანჯვით დამძიმებული არ მოსძრობოდა კისრიდან.

სასაცილოც იყო და საშინელიც ეს სანახაობა. „ნეტავი იყოს ისეთი ძალა, – ვფიქრობდი მე, – რომ ჩამახედა მაგის ტვინში და გულში, რომ გამეგო, რა სტკიოდა, ტვინი თუ გული? თუ ორივე? ამას ვფიქრობდი და უალრესად კმაყოფილი ვიჯექი ორი სანოლის სიმაღლეზე და საკმაო შიშით და კანკალით ვუცდიდი რა მოხდებოდა... ავადმყოფები ისევ მოთმინებით და სიდინჯით დაჩოქილები იყვნენ ორ მნკრივად – კაკო შორიახლოს მხარეთქობზე წამონოლილი, რაღაცას მისჩერებოდა. ეტყობოდა, მწარედ ფიქრობდა... მე თვალს არ ვაშორებდი კაკოს, რადგანაც მხოლოდ ის მეგულებოდა ჩემს მფარველად ამ საოცარ და საშიშ ადგილას. თან ის მიკვირდა, რომ ამდენი ხანი გავიდა, არამც თუ ექიმი, მომვლელიც კი არ გამოჩენილა.

უეცრად საშინელი ხმაური ატყდა. ავარდა ალი, აილენა, აიშალა ყველაფერი. რაში იყო საქმე?.. საკვირველია, რა საოცარი სისწრაფით იცვლებოდა ამ ხალხის მდგომარეობა. მიზეზიც მალე გამოირკვა. ერთ ავადმყოფს დაემთქნარებინა, მეორეს ეკივლა საშინლად და სახეში მივარდნოდა: შეჭმას მიპირებდაო, დაჟინებით იფიცებდა: მაშ რად ალებდა პირს, შეჭმას თუ არ მიპირებდა. ჰოდა, აკი მიხვდა.

– ტყუის, შეჭმას კი არ ვუპირებდი, პირს ვიზომავდი, მინდოდა გამეგო ერთბაშად რამოდენა ლუკმის ჩადება შემიძლია. ტყუის, მე კაცის ხორცს დიდი ხანია აღარ ვჭამ, ექიმებმა ამიკრძალეს...“

თურმე ეს იყო მიზეზი იმ უცაბედი და მოულოდნელი არეგ-დარევისა... ამ დროს, სადღაც შორს, ისევ ის ჩუმი და ნაცნობი კაკანი გაისმა: „ღმერთო, მიხედვე წყალობითა შენითა, რათა გიჟები არიან და არ იციან რასა იქმან“. კაკანებდა ისევ ის ავადმყოფი, რომელსაც ღმერთის ყოფნა თუ არყოფნა სასტიკად სტანჯავდა და აწუხებდა. ამ სიტყვების გაგონებაზე მოხდა რაღაც საოცრება. კაკო უეცრად მოსწყდა ადგილს, სამ თუ ოთხ ავადმყოფს გაცოფებული თავზე გადმოახტა, გამწარებული

შეხტა სანოლზე და დაიკვილა: „გიჟებო, იცით, რა მოხდა?!“ საშინლად კანკალებდა, სახეზე წითელი ალმური ასდიოდა, დაჭყეტილი და ამღვრეული თვალებით იხედებოდა სადღაც შორეული, უნაპირო სივრცისაკენ და კიოდა: „ეჰე! აგერ ის! სნეულთა სასაკლაო, დატანჯული ფიქრის საზარელი ქარიშხლებით. აგერ ის! მრისხანე ტანჯვა, ცრემლში გაგიჟებული სევდა, ზღუდე გადარეული აზრის იქით უცნაური გაცინება. ქვის პირში დამწყვდეული ბოროტი სიტყვა. ელვიანი სურვილები, განცდები შიშით. მინის გაქანება საზარელის ხმაურით. გახეთქილი კედლებიდან სისხლის ნიაღვრები. შხამიანი გველის კბენა შიგ გულში. შხამიანი სიკვდილი. მრისხანება. გადარეული და ანთებული ცეცხლებით. ზარდამცემი ხანძარი თვალგაუნვდენელი, გახრწნილი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. ლუკმაპურის მაძიებელი, ყველა საფლავიდან გამონვდილი დაჩონჩხილი ხელები. ჰა! ჰა! ჰა! გიჟებო, იცით, რა მოხდა?.. გუშინ საგიჟეთში მოუყვანიათ ბებერი გიჟი – ღმერთი! იცით, ღმერთი გაგიჟებულა!.. ჰა! ჰა! ჰა!

ამ სიტყვებით სწრაფად გადმოხტა, ნაავლო ხელი მოკაკანე ავადმყოფს, ათორია, დაიჩოქა ჩემს წინ და იკივლა: „მე ვბრძანებ, რომ ის, რომელმაც ყველა გადარია, ყველა გადარეულმა უნდა გაასამართლოს... სმენა!... ღმერთი... ორი ათასი მილიონი წლისა, შეიძლება, კიდევ მეტის, გაჩენილი სამყაროს სივრცეების გაუჩერებელ ტრიალში, ხელობით უსაქმო და მუქთახორა. პირველი დანაშაული – დიდი მოთმინება, რომლითაც ყველა გააბოროტა. კიდევ დანაშაული, რაღაც ღვთაებრივი უცნაური ძალა, რომლითაც ყველა ადამიანს გულში უჩხვლიტა და აგრძნობინა უცნაური სიყვარული. ს...ს...ს... სიჩუმე. თავი მიწას ახალეთ, გიჟებო! ყველამ მიწა ალოკეთ. ბებერი ღმერთი გაგიჟებულა. მზესაც კი გული მოსვლია, ისეთის გაბრაზებით დაუფურთხებია ქვეყნისთვის, რომ დედამიწას ქუდი მოუხდია შიშით. ერთი ორჯერ შემოუკრავს თავში დიდი ხელები და გადაჩეხილა. გიჟებო, ყველა მაღალი ადგილი დაიკავეთ! უსინათლო ბუს სინათლე

ემატება თვალეში, სადაც არის, დაინახავს ჩვენს უბედურებას. სმენა! ბრალი ედება, როგორც ღმერთს, ყველას გაგიჟებისთვის, ისე ყველა გიჟს ბებერი ღმერთის გადარევისათვის. ჰა! ჰა! ჰა!.. გინახავთ საიდუმლო სერობა და ლაღატი იუდას?.. გინახავთ მოთმინება და ამტანობა ღმერთული?.. ჟამსა მას წამებისა, განამებისა; ჯოჯოხეთისასა? და ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანს ჰყვარებოდა მოყვასი თვისი. შეჰყვარებოდა თავისი თავი. ჰყვარებოდა?.. მაგრამ ჰეი, შენ! სტყუი, ვილაც ღმერთო! შენ გარყვენი ადამიანი შენი სათნოებით, შენი მოთმინებით! მერე ვის ასწავლიდი მოთმინებას? მონებს, რომლებსაც ისედაც ბევრი ჰქონდათ ეს რაღაც სულელური მოთმინება. ეს რაღაც სულელური სიყვარული. ყველაფერი ეს საუკეთესო იარაღი გამოდგა გვირგვინოსან მეფეთა, დიდებულთა. იცი შენი სათნოება შიშველი ფეხებით დასეირნობდა სასახლეებს შიგნით, ოქროდაჭედილ კიბეებზე და მისაღები იყო ყველა მასხარასთვის, რადგანაც არაფერს არ სთხოვდა, რაღაც სულელური მოყვასის სიყვარულის გარდა. გეკითხებით, რატომ არ შეიყვარებდა მოყვასს, რომელიც მაგარის თოკებით გაბმული ჰყავდა თავის დიდების და ძლიერების ბინძურ უღელში – ჰეი, შენ, ღმერთო! ეხლა შენც კი ნახავ, მაგრამ გვიანდა არის, ხალხი თვითონ მიხვდა დიდ ბოროტებას, დიდ სისულელეს. ღმერთი იწამა სულ სხვანაირი, ღმერთი სასტიკი და საზარელი შურისძიების. კაცობრიობამ სისხლი უნდა დაიბრუნოს, იცოდე. საკუთარ სისხლს ეტანება ანთებული თვალეებით – ისიც იცოდე, რომ დაიბრუნებს, ძვირად, მაგრამ მაინც დაიბრუნებს. გიჟებო, ნახეთ! ჰა! ჰა! ჰა! ღმერთი თვითონ მოსულა თავის ფეხით, რომ მთხოვოს მე, გასწავლოთ თქვენ, აჯანყებულ და გადარეულ მონებს, სათნოება, მოყვასის სიყვარული... ჰა! ჰა! ჰა! სიყვარული! – კაკომ ხელი მოხვია მოკაკანე ავადმყოფს, რომელიც კრთოდა შიშით და ასწია ხმაურით: – „ღმერთო დიდებულო! დიდად სახსენებელო, მაპატიე შენს მონას კადნიერება... დღეიდან შენ იქნები ღმერთი

არა სათნოების და სიყვარულის, არამედ სისხლის, შურისძიების, ბრძოლისა და გამარჯვების... „და ნუ უგულებელს ჰყოფ სახელთა შენითა, ძლიერთა, სათნო და კაცთმოყვარეო, რადგანაც გიჟია და არა იცის რა, თუ რას იქმოდეს, ანდა რას იტყოდეს. მიუტევე, მიუტევე, ჰოი, დიდებულო, თვითონ სიყვარულო, თვითონ სათნოებაჲ... სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა... განვედი ჩემგან, განვედი, სულო ბოროტო, სატანა საზიზღარო და დამემკვიდროს მე სასუფეველი ცათა, ფერხთა შენთა დიდებულთა მოციქულთა და წმინდანთა შენთა“.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს მართლაც ამშლელი და გამაბრაზებელი კაკანი, რომ ისევ კაკო, ახლა უკვე მთლად მოშვეებული, მოდუნებული და ცრემლიანი თვალებით არ ჩარეულიყო საკმაოდ მიმქრალი და მინაზებული მუდართით, – „მაგრამ გიჟი ვარ და ნუ დამიჯერებ“. და მწარედ, მწარედ აქვითინდა...

მე გამასხარავებული დიამბეგივით ვიჯექი ორი საწოლის თავზე და არც თვალებს ვუჯერებდი, თუ რა ხდებოდა, არც ყურებს ვუჯერებდი, თუ რა მესმოდა. წარმოიდგინეთ, არც საგიჟეთში მეგონა ჩემი თავი. ეს ტანჯვა, ეს მსჯელობა, ეს სასომიხდილი კვილი დატანჯულ გულების და ტვინის ხომ ყველგან არის, ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ ფარულად, ჩუმად – აქ კი გულახდილი მოძრაობით და კვილით, საკვირველია, განა გიჟები მხოლოდ იმიტომ არიან, რომ არ მალავენ და ხმამაღლა კვიან იმას, რაც ხმამაღლა არ ითქმის. მერე რატომ არ ითქმის ყველაფერი ეს... ჯერჯერობით სხვა რაიმე სიგიჟეს მაინც და მაინც ვერ ვატყობდი ამ ბედდანყევლილ ავადმყოფებს. და, ვინ იცის, კიდევ რა მოხდებოდა, რამდენი გაქვავებული, ზარიანი და ცრემლიანი სიტყვა არ ითქმოდა ამ საოცარ „პარადზე“, რომ ვილაცხას არ ეკივლა: „ე-ქი-მი!“ როგორც ყუმბარა, ისე გასკდა ეს მოკლე, მაგრამ მართლაც საშიში სიტყვა საგიჟეთში. ავადმყოფები გაქანდ-გამოქანდნენ... ოთახი თითქმის დაცარიელდა. შემოვიდა ერთი მომცრო ტანის კაცი, თან შემოჰყვა მონყალების

და და ორიოდ მომვლელი. მე ისევ ორ საწოლზე, მაღლა ვიჯექი, აღარც ერთი ავადმყოფი აღარ იყო ჩემს გარშემო, აღარც კაკო. სადღაც შორეულ კუთხიდან კი ისმოდა ისევ ის ნაცნობი კაკანი: „წმინდაო, წმინდაო, წმინდაო უფალო, სავსე არიან ცანი და ქვეყანა წყალობითა და დიდებითა, სათნოებითა და კაცთ-მოყვარეობითა შენითა“. ექიმმა თვალი შემოავლო ოთახებს და კმაყოფილებით აღნიშნა:

„- კარგია, რისი ბრალია, დღეს ასე წყნარად რომ არიან? მაგრამ მე რომ დამინახა, საკმაოდ საშიშ და სასაცილო ადგილას, იკითხა: – „ეს ავადმყოფი ვინ არის, არ მეცნობა, როდის მოიყვანეს?“ მოწყალების დამ განუმარტა, ვინც ვიყავი, საიდანაც გადმომიყვანეს, რისთვისაც გადმომიყვანეს. ჩემი სახელის გაგონებაზე ექიმი რაღაც უცნაურად დაიღრჩხა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, აჩქარებით დაიძახა: „- ააა!... ვიცი, ვიცი ზვიადაძე, თავის ფეხით რომ მოვიდა. პოეტი რომ არის, პოეტი, ჰჰჰ! ვიცი, ვიცი. კარგია, კარგი. აბა ჩამოიყვანეთ, ფრიად საინტერესოა მაგის გაცნობა.“

ამ სიტყვებზე ორი მომვლელი მომვარდა და თვალის დახამხამებაში ჩამომსვეს და მიმიყვანეს ექიმთან. ექიმმა ხელი დამკრა მხარზე და მითხრა:

– გამარჯობა შენი, შენა ხარ ზირან ზვიადაძე?

– კი, მე გახლავართ, – ვუპასუხე.

– კარგი, კარგი, ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ ეგ რა დაგმართნია, აქ რად გადმოუყვანიხარ? გახსოვს ყველაფერი?

რასაკვირველია, მახსოვდა, მაგრამ მაინც ვუპასუხე:

– არ ვიცი, არ მახსოვს.

– ჰმ! მაშ ეგრეა...

ახლა მიუბრუნდა მოწყალების დას ისევ ისეთი ღიმილით და ნაილაპარაკა:

„- მაშ, თუ ასეა, აქ შიზოფრენია არ უნდა იყოს. კარგი, კარგი, ვნახოთ! აბა თქვენ იცით ამ ავადმყოფს განსაკუთრებული



ყურადღება უნდა მიაქციოთ, დაწვრილებით უნდა ჩამიწეროთ ხოლმე ყოველდღე მაგის ნალაპარაკევი, საქციელი, ადგზნება, ძილი და სხვა...”

შემდეგ მე მომიბრუნდა, ისევ ხელი დამკრა მხარზე და მითხრა:

„– არა, ზირან, ნუ გეშინია, ახლა კი მორჩები აუცილებლად...”

თუმცა რისი მეშინოდა, მე დიდხანია მორჩენილი მეგონა ჩემი თავი და ვიყავი კიდეც... ექიმმა კიდეც გამიცინა, ერთი-ორი ალერსიანი სილა გამარტყა და გამშორდა. სიმართლეს ვიტყვი, რა საძაგელი ჩვეულება ჰქონიათ საგიჟეთში ექიმებს. მე სულ მუდამ მამრავებდა ეს ზედმეტად დამამცირებელი ხელების ფათური თავზე და ლოყაზე, მაგრამ რას ვიზამდი? თუკი „ფსიქიატრია“ ასეთ მოპყრობას მოითხოვდა, ასეთ კაცთმოყვარეობას. და აკი, მეც ვითმენდი ყველაფერს ამას, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვითმენდი, ბრანზმორეული და გაბოროტებული.

ამის შემდეგ ექიმმა საკმაოდ გულმოდგინედ ჩამოუარა ავადმყოფებს. მე კი შორიახლოს მივდევი და თვალს ვადევნებდი. ძალიან მაინტერესებდა ავადმყოფების მოქცევა ექიმთან, იმ ავადმყოფების, რომელთა ფარულ ზრახვებს დაახლოვებით ვიცნობდი. აგერ, ის ავადმყოფი სულ რამოდენიმე საათის წინ მილიარდებს რომ უგზავნიდა ამერიკაში გაკოტრებულ როკფელერს, რა გამაღიზიანებელი თვალებით შეჰყურებს ექიმს, რა მოუთმენლად ელის დალაპარაკებას. ექიმიც მალე მიუახლოვდა. ისევ იმ ნაცნობი ღიმილით შეეკითხა: „სხვა, მილიარდების საქმე როგორ არის?..“ „კარგად,“ – უპასუხა ავადმყოფმა. აგერ დღესაც ათი მილიარდი გადაუგზავნე რადიოთი“... „სხვა, ბევრი ფული დაგრჩა კიდე?“ – შეეკითხა ისევ ექიმი...

– ბევრი, ძალიან ბევრი.

– ქონება?

– ქონებაც ბევრი. ათას ძროხაზე მეტი, ასი ათას ცხვარზე მეტი, ათას გუთნეულზე მეტი.

- კარგია, კარგი, - უპასუხა ექიმმა, - მაშ შენ ძალიან მდიდარი კაცი ყოფილხარ...

- გახლავართ.

- მაშ ჭკუაც ბევრი გექნება...

- ჭკუა?... არა, ჭკუა ძალიან ცოტა, ყოველ შემთხვევაში შენზე მეტი.

ამ სიტყვებით შიგ პირში მიაფურთხა ექიმს... ექიმმა ალერსიანად გაიღიმა, შეუმჩნევლად მოიწმინდა ფურთხი და განაგრძო, - „ნუ, ნუ ლელავ... ეს ისე, გაგეხუმრე...

- გამეხუმრე?..

- კარგი, მეც გაგეხუმრე მაგისტანა ხუმრობის საპასუხოდ, ფურთხილა დამრჩა, სხვა არაფერი. ჩემს სიტყვას ფასი დაეკარგა, რაც გავგიჟდი, რაც დამამწყვდიეს აი, აქ, ამ საგიჟეთში...

- ნუ ლელავ!..

- მე არა ვლელავ, ან რად უნდა ავლელდე... რა მაქვს ასაღლევებელი. ფული ბევრი მაქვს და ქონება, სახლ-კარი, ლამაზი ცოლი. ჰო, ცოლი...

ამ სიტყვაზე თითქოს რაღაც მიძიმე და საშინელი გაახსენდაო, ფეხზე წამოიჭრა, ერთი საზარლად შეჰკვივლა და ის იყო უნდა სძგერებოდა ექიმს, რომ მომვლელებმა დაიჭირეს... ექიმი თითქმის აულელვებლად გაშორდა. დამაჯერებელი ნაბიჯით და უშიშრად გასწია ახლა სხვა ოთახში, სხვა ავადმყოფებთან.

„ნეტა რამ ააღლევა ის ავადმყოფი, განა რა იყო ცოლის ხსენებაში ისეთი, რომ ასე მწარედ იტკინა, ასე სწრაფად ალელდა?“ ამას ვფიქრობდი და ნელ-ნელა ვშორდებოდი, თან ექიმს მივდევი შორიანხლოს. ამასობაში ექიმი უკვე მიუახლოვდა იმ ავადმყოფს, რომელმაც ასე არხეინად მოაწყო დილანდელი „პარადი“ და რიხიანად იმორჩილებდა ყველა ავადმყოფს. ავადმყოფს თავი ისევ იმ ზენრით ჰქონდა წაკრული... მაგრამ მღვრიე და ალენილი თვალები საკმაოდ მკაფიოდ ამჟღავნებდნენ ფარულ მღელვარებას. ექიმმა, ჩანს, შეატყო მღელვარება, საკმაოდ

ფრთხილად მიუახლოვდა და ალერსიანად მიესალმა: „გამარჯობა შენი, პეტრე!“ – ავადმყოფმა პასუხი არ გასცა, ფართედ გაღებული თვალებით შეჰყურებდა ექიმს და შესამჩნევად კანკალებდა. – „რათა გაქვს თავი შეკრული, ხომ არ გტკივა?“ – ისევ შეეკითხა ექიმი.

„– არა, – უპასუხა, – თავი იმიტომ მაქვს შეკრული, რომ არ გამისკდეს და ტვინი არ დამეზნას. აი, გუშინ შეუკვრელი დამრჩენოდა და ვერ გავიგე, ისე გამპარვიყო ჭკუა. მაგრამ, როგორც იყო, მოვიკრიფე, სხვებმაც მიშველეს და უკანვე ჩავილაგე. მას შემდეგ თავი მაგრად შევიკარი, რომ ასე მოუსვენარი ჭკუა კიდევ არსად გამეპაროს.

ამ ლაპარაკში ექიმმა შენიშნა რაღაც და საბანი ასწია...

– ეგ რა არის, პეტრე, რა გიქნია?

ავადმყოფს ზენარი ჰქონდა შემორტყმული გულმკერდზე, გარდიგარდმო...

– ეს ის არის, რომ მე უბრალო ვინმე არ ვეგონო ხალხს... მე ვარ მპყრობელი სამყაროსი და მრავალთა სხვათა. მე ვარ ღმერთი და მეფე, რომელმაც იცის ძალა პლანეტათა შუა ქროლვათა.

– და ნელ-ნელა იწყო აღელვება.

– არა, ჩემო პეტრე, ეგ არ შეიძლება, – ამ სიტყვებით უბრძანა მომვლელებს გამოეცალათ ზენარი. პეტრე თუმცა გაძალიანდა, მაგრამ რას იზამდა, მალე განაიარაღეს... საკვირველია, რა მალე დანყნარდა, რა მალე წაუხდა მაღალი სურვილი გაღმერთებისა. ახლა თვითონ შეეკითხა ექიმს:

– სხვა, როგორა ბრძანდებით, ხომ კარგად ბრძანდებით... თუთუნი ხომ არ გაქვთ?

ექიმმა როდი იუკადრისა, ამოიღო პაპიროსი და შესთავაზა. პეტრემ პაპიროსი ჩაიფშხვნა მუჭაში, ბალიშის ქვეშიდან ამოიღო ჩაყვითლებული გაზეთის ნაფხრენი, გაიკეთა კარგად მოზრდილი ყალიონი და მწარედ და მყრალად გააბოლა. ყოველ შესუნთქვაზე ბურბურით ეკიდებოდა ქალალდს ცეცხლი. პეტრე კი, ამის შემყ-

ურე, ზედმეტად დიდ კმაყოფილებას გრძნობდა... მალე წამოდგა სანოლიდან და დოინჯშემოყრილმა მტკიცე ნაბიჯით ბოლთა დაარტყა ოთახში. ექიმი კი განაგრძობდა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ორ-სამ ავადმყოფს მარტო თვალი გადაავლო, ჩანდა, არ ღირდა მათთან ლაპარაკი და გაჩერდა იმ აშლილ და უცნაურ ავადმყოფთან, რომელმაც თავის გადარჩენის მიზნით ათჯერ ახალა თავი კედელს, ასე თავგამეტებით და დაუნდობლად. ავადმყოფის სახე რალაც არაჩვეულებრივად გალურჯებულყო. თვალები სისხლით ჰქონდა სავსე, პირისახე – დასიებული და აბურცული. ექიმი განცვიფრდა ამის დანახვაზე. მოიხმო მონყალების და, ჰკითხა მიზეზი. მონყალების და რას ეტყოდა, რაც არ იცოდა, მაგრამ ტყუილი მაინც მოახერხა და უპასუხა: „მძინარე გადმოვარდა სანოლიდან და თავი უცაბედად დაჰკრა იატაკსო“...

ინყინა ექიმმა: – „მერე მომვლელები სად იყვნენ, რატომ თვალყურს არ ადევნებდნენ... მძინარეა ავადმყოფი? კარგი! მაგრამ მძინარესაც უნდა თვალყურის დევნება, ხომ იცით“.

რა იცოდა ექიმმა, რომ მთელი ნახევარი საათი ებრძოდა ავადმყოფი თავის თავს, სასტიკად გაბოროტებული და არც ერთი მომვლელი არ იყო, რომ მიშველებოდა... მე მინდოდა მეთქვა სიმართლე – მაგრამ ვინ დამიჯერებდა. საგიჟეთში რომ არც ერთ ავადმყოფს არაფერს არ უჯერებდნენ ექიმები, ეს უკვე კარგად მესმოდა. ექიმი მაინც მივიდა და ფრთხილად შეეკითხა: „სვიმონ, რა მოგსვლია, კაცო, ეგ რა ამბავია? თავი ხომ არ გტკივა?...“ „არა, თავი არ მტკივა, – უპასუხა ავადმყოფმა – მე თავი როდისა მაქვს“. ამ სიტყვებით მოივლო ხელი თავზე და გაისინჯა, მართლა თანა ჰქონდა თავი, თუ არა. „როგორ, თავი არა გაქვს, მაშ ეგ რა არის?“ – ისევ შეეკითხა ექიმი. „ეს თავი კი არა, დაჟეჟილი და დამპალი კომბოსტოა – სუნდაცემული. აბა, უსუნე“, – და მიუშვირა თავი ექიმს, – მე თავი დიდიხანია რაც აღარა მაქვს, ის თავი, რომელსაც ვუფრთხილდებოდი და პატივსა ვცემდი,

მომძვრა და გამექცა, – სამაგიეროდ ეს თავი გამომება, უჭკუო, უნებო და სულელი. არა, ექიმო, მე თავი დიდხანია დავეკარგე. ეს ჩემი თავი არ არის!.. მე ასეთი აშშორებული და დამპალი თავი არა მქონია... მომაშორეთ, ექიმო, ეს თავი, ძალიან მსუბუქია და ვერ მიწვეს თავობას“.

ამ სიტყვებით ერთი-ორჯერ მაგრად შემოიკრა თავში გამხმარი და ღონიერი ხელები. ექიმმა ხელში ხელი სტაცა და გააკავა: „ნუ იზამ, სვიმონ, ნუ იზამ, არ ვარგა. თავს უნდა გაუფრთხილდე“. – „ექიმო, თქვენც ეგრე, თქვენც დამცინით? ამ სულელურ და დამპალ თავს გავუფრთხილდე?.. ეგ ხომ საშინელი დაცინვაა ჩემთვის. ეგ ხომ მასხრად აგდებია... მაშ ეგრე, აღარ არის ძალა, რომ ეს ბინძური თავი მომაშოროს, გამანთავისუფლოს? მაშ კარგი, ჩემზე იყო ეგ სამსახური. მე თვითონ მოვუვლი. მე თვითონ...“

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მწარედ აქვითინდა... „განმშორდი, განმშორდი ჩემგან, ჰოი მაცდურო, განმშორდი! „წმიდაო, წმიდაო უფალო, მექმენ მე მონასა შენსა მფარველად და პატრონად“, – კაკანებდა ისევ ის ავადმყოფი, მაგრამ ამ კაკანს ახლა ყურს აღარავინ უგდებდა... ექიმმა ბრძანა ატირებული ავადმყოფისთვის დასამშვიდებელი წვეთები დაეღვეინებინათ და გაშორდა... ის ახლა შემდეგ ავადმყოფს მიუახლოვდა, რომელიც მაგრად გახვეულიყო საბანში და თითქმის არ ინძრეოდა. თავქვემ და პირზე მაგრად ჰქონდა ამოდებული საბანი. „ეს რომელია?“ – იკითხა ექიმმა... ვერ უპასუხეს... მერე თვითონ მივიდა და სცადა საბნის ახდა, მაგრამ ავადმყოფი გადალიანდა, არ ნებდებოდა. შემდეგ ექიმმა მომვლელებს უბრძანა საბანი გადაეხადათ. მომვლელები მისცვივდნენ. კარგა ბრძოლის შემდეგ საბანი მაინც გადახადეს. ავადმყოფი კაკო გამოდგა... საკვირველი ის იყო, რად სჩადიოდა კაკო ამას მხოლოდ ექიმებთან... ხომ საკმაოდ შეგნებული და ჭკვიანი, თითქმის ზედმეტად ჭკვიანიც კი იყო და რას ნიშნავდა მისი ამგვარი საქციელი, სიმართლე ითქვას, არ მესმოდა... საბანი რომ გადახადეს, საკმაოდ ალენილი და

აშლილი თვალებით შეხედა ექიმს და მიესალმა: „გამარჯობა, ექიმო, გმადლობთ, მე დღეს კარგადა ვარ. გმადლობთ მოკითხვისათვის. ჰო!... კარგი, კარგი, სულ რამოდენიმე დღეც და მე სრულიად განვიკურნები... გმადლობთ პატრონობისათვის და ყურადღებისათვის“...

ექიმმა თავის მხრივ მადლობა გადაუხადა და შეეკითხა:

– სხვა, კაკო, კიდევ განუხებენ ფიქრები ან ხმები, თუ შენელდა მდგომარეობა?

– არა, ექიმო, აღარაფერი აღარ მანუხებს, აღარც ფიქრები, აღარც ხმები. კარგად არის საქმე, კარგად! – საკმაოდ აღელვებით და აჩქარებით უპასუხებდა კაკო, – მორჩა, გმადლობთ ექიმო, გმადლობთ, მე თავისუფალი ვარ.

ექიმმაც შეატყო აღელვება და დიდხანს აღარ გაჩერებულა. დაამშვიდა კი ისე უბრალოდ, სიტყვიერად... „კარგი, კაკო. კარგი თუ ასეა, მალე ისევ გადაგიყვანთ წყნართა განყოფილებაში“.

თითქოს ეს იყო დიდი ნუგეში, თითქოს სულ ერთი არ იყო, რომელ განყოფილებაში მოგათავსებდნენ საგიჟეთში. როგორი ფორმის და ხარისხის გიჟებთან მოგიხდებოდა ყოფნა. ამას ვფიქრობდი მე და მწარედ ვიღიმებოდი... ეტყობოდა, კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა ექიმს, კიდევ უნდა ენუგეშებინა კაკო... მაგრამ ველარაფერი ვერ მოახერხა და განშორდა. კაკო ისევ ისე მაგრად გაეხვია საბანში, მწარედ და ღრმად ამოიოხრა და გაჩუმდა...

გათავდა ჩვენი ოთახის შემოვლა. ექიმი ახლა სხვა ოთახებს გაჰყვა. მეც ვცადე უკან გაყოლა, მაგრამ აღარ გამიშვეს. ექიმმა გავლით ჩაუარა მოკაკანე ავადმყოფს და თავისთვის ჩაილაპარაკა: „საკვირველია, როგორ არა ბეზრდება ამდენი ლოცვა“, – და გავიდა. ავადმყოფი კი ჩვეულებისამებრ განაგრძობდა: „განვედი, განვედი ჩემგან, ჰოი მაცდურო სულო ბოროტო!.. და დამიმკვიდრე მე მშვიდობა და სათნოება შენი მრავალშემძლებლო და კაცთმოყვარეო!“

საერთო აშლილობის და აღზნების ფონზე ეს სადა და უბრალო კაკანი ცივი ნაკადულივით მოსდევდა და ისედაც აღზნებულ გულებს გამალიზიანებელი ჟრუანტივით უვლიდა და უფრო აბრაზებდა. გავიდა ექიმი და თან გაჰყვა რალაც ისეთი, რაც არც წყევლა იყო, არც ლანძღვა, არც სიბრაღული, იყო კი რალაც ზედმეტად აღმზნები და გამალიზიანებელი, რომელსაც სახელი არა აქვს და რომელიც სრულიად ზედმეტი იყო ავადმყოფებისათვის, ისევე, როგორც თვითონ საგიჟეთის დარკინული და გულშემზარავი სინამდვილე. გავიფიქრე ეს და მწარედ ამოვიოხრე... ამით რალაც მძიმე ტკივილი მომეხსნა გულიდან და ტვინში ამივარდა. თავბრუ დამესხა და ის იყო ნავიქცეოდი, რომ ვილაცის ღონიერ მკლავებს მარდად არ დავეჭირე. ეს მკლავები კაკოსი იყო, იმ კაკოსი, რომელმაც სულ რალაც ათი წუთის წინ ასე სასტიკად მოიგერია ჭკვიანი ექიმის იერიში. ამ საოცარმა ცვალებადობამ უფრო ამრია, მაგრამ სულ მალე მოვედი გონს, ნავავლე მაგრად კაკოს ხელი და შევეხვეწე:

– კაკო, მითხარი, მითხარი, ღვთის გულისათვის, რას ნიშნავს ყველაფერი ეს? შენ ხომ ჭკვიანი ხარ, შენ ხომ შეგიძლია ისე მოიქცე, რომ სულ მალე გახვიდე და დაუბრუნდე ხალხს – ცხოვრებას. კაკო! მითხარი რად შვრები ეგრე, იქნებ, ეგ არის შენი ავადმყოფობის დასაყრდნობი მაგ ხალხისთვის. იქნებ, იციან შენი ორმაგი სახე, ორმაგი საქციელი? მაშინ ხომ აზრი ეკარგება ყველაფერ მაგას, მაშინ ხომ მათი მდგომარეობა სასაცილოა და ზედმეტი?

– ჰო, სასაცილოა ისევე, როგორც საერთოდ ყველაფერი ამ ქვეყანაზე და აბა მითხარი, ზირან, რა არის ისეთი ამ ქვეყანაზე, რომ არ იყოს სასაცილო. განა ეს საავადმყოფო, ეს ექიმები – გინდაც ხალხი, ის ხალხი, რომელიც ცხოვრობს ყოველდღიური ნვალეებით, გინდაც ის სიცოცხლე, ლამაზი და ჭრელი, ხალისით აღსავსე, სასაცილო არ არის?.. განა თვითონ ჩვენი არსებობა,

ჩვენი ფიქრები, მძიმე და საშიში, ჩვენი სურვილები, ჩვენი ტანჯვა და წამება სულელური არ არის და სასაცილო?.. სასაცილოზე მეტია, ზირან, თუ დაფიქრდები, მაგრამ ხალხი აღარა ფიქრობს ამაზე.

– მერე, კაკო, ეგრე მწვავედ რომ იდგეს არსებობის საკითხი, ხომ ყველა თავს მოიკლავდა და რალა იქნებოდა მაშინ, რა აზრი იქნებოდა ან ჩვენს გაჩენას და ან ჩვენს ტანჯვას... მაშინ ხომ მოისპობოდა კაცობრიობა და კაცობრიობასთან ერთად ყველაფერი ამ ქვეყანაზე.

– მართალია, მოისპობოდა, ზირან, იცოდე, სჯობდა ეგრე რომ მომხდარიყო. მთელ სამყაროს გაჩენას და ბრუნვას ერთი რალაც შორეული მიზანი აქვს. მე მგონია, რომ კაცობრიობა ხელს უშლის ამ მიზნის დაახლოებას. კაცობრიობა უნდა მოისპოს, რომ ჩვენმა პლანეტამ გზა გაიკვილოს სამყაროს უნაპირო და უხილავ სივრცეებში. დაიხსომე, ზირან, რომ დედამინა ერთხელაც იქნება მონიელებს იმ ხალხს, რომელმაც გაუძნელა ბრუნვის და წინსვლის შესაძლებლობა... მე ეს მჯერა და მიხარია... გულწრფელად გეუბნები, მიხარია, რადგანაც ეს იქნება ყველაზე ძლიერი და სასტიკი შურისძიება. უკანასკნელი შურისძიება.

კიდევ, ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩვენი ლაპარაკი, რომ არ გაგვეგონა ზარდამცემი კვილი. ძუ ვეფხვივით გამოვარდნოდან დაკეტილიდან ვილაც ავადმყოფი, რომელიც საოცარი ძალით ბრძღვნიდა ყველაფერს. კაკო შეკრთა, აიღენა, აენტო, მომხვია მაგრად ხელი და საშინლად აღელვებულმა მიკივლა:

„– აი, ზირან, ხომ ხედავ ამ გადარევას, საზღვარგადასულს და საზარელს. ხომ ხედავ, რამდენი შესაძლებლობა არის შებორკილი ყველა ჩვენგანში. ხედავ, რა დიდები ვართ და როგორ სასაცილოდ დაპატარავებულები. კაცის ცემა სირცხვილია, კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ სისხლნაკლულმა და კუზიანმა ხალხმა დაუნერა კაცობრიობას ეს სასაცილო



კანონი, რომ მასხარა თავი გადაერჩინათ. საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევა რჯულზე მეტად სწამთ მთელ ქვეყანაზე. პირადი მყუდროება კი, ეგ არაფერი, გინდა თოკზე ჩამოიკიდე შენს ოთახში თავი, მაგრამ ისე კი ჩამოიკიდე, რომ სხვა არავინ შეანწხო... მაგისტვის არავინ დაგსჯის.“

ლაპარაკობდა ამას კაკო და საშინლად ლელავდა. განყოფილებაში კი განსაკუთრებული რალაც ხდებოდა, ჩაკეტილი ოთახიდან გამოვარდნილი ავადმყოფი მთლად ანგრევდა და ლენდა ყველაფერს რაც კი ხელთ მოხვდებოდა. ნეტავ, რამოდენა ძალა ჰქონდა, რა ალგზნებული და არაადამიანური გამომეტყველება, რა ანთებული თვალეზი. იმისი შემყურე ავადმყოფეზი იკუნტებოდნენ შიშით. მომვლელები დაეხვივნენ და როგორც იყო დიდი გაჭირვებით უკანვე შეაბრუნეს და ხელახლა ჩაკეტეს. ავადმყოფის არაადამიანური ბლავილი აყრუებდა მთელ განყოფილებას. როგორც იქნა, ავადმყოფი დაწყნარდა, დაწყნარდა ყველაფერი განყოფილებაში, მხოლოდ აქა-იქ ისმოდა ხან სიცინი, ხან ტირილი, ხან კივილი. ხან რალაც უცაბედი ამოკვნესა და ისევ ის ნაცნობი და უცვლელი კაკანი.

ეს დღე, როგორც იყო, დალამდა დიდის წვალეზითა და წამეზით. კარგად რომ დალამდა, სრული სიჩუმე ჩამოვარდა... ყველას ეძინა. მე კი არ მეძინებოდა. ან კი რა დამაძინებდა ამ საშიშ და საზარელ ადგილას. წარმოიდგინეთ, ფიქრითაც კი ველარ ვფიქრობდი, ისე მქონდა თავი დამძიმებული და გამოშტერებული ამდენი ძნელი და მძიმე შთაბეჭდილებით. კარგად რომ დალამდა, ფეხაკრეფით გამოვედი ოთახიდან და გავყევი ვინრო „კორიდორს“. ცნობისმოყვარეობა მიტაცებდა იქით, ბნელ და დაკეტილ ოთახეზისკენ, რომლებშიაც ხალხი იყო დამწყვედი, ტვინით და სულით დაავადმყოფებული ხალხი. მე საკმაო სიფრთხილით მივდიოდი წინ – წარმოიდგინეთ ისე შევეჩვიე შიშს, რომ თითქმის აღარ მეშინოდა. არავითარი ხმაური არ ისმოდა ოთახეზიდან. სულ რომ გავედი ბოლომდის და უკანასკნელი

ოთახის კარებს გავუსწორდი, უცებ გაიღო კარები და ვილაც ავადმყოფი მეძგერა. მან ჩუმიად მკითხა: „სხვა, რად დაიგვიანე? ხომ ყველაფერი მზად არის? ჯარები ყველა თავის ადგილზე არიან? ან ციხეებისა რა ჰქენით, ყარაულები ხომ სანდონი არიან? ხომ ყველაფერი მზად არის?“

ვერაფერი გავიგე ამ ლაპარაკის, მაგრამ მაინც ვუპასუხე: „ყველაფერი მზად არის“.

– მამ კარგი, მეც ეხლავე წამოვალ.

ამ სიტყვებით ჩამკიდა ხელი და შემიყვანა ოთახში, სადღაც შორს, შუა ქერში მიკრული შუქი ოდნავ ანათებდა ამ უცნაურ ოთახს. არაფერი იყო ამ ოთახში ისეთი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჯდომა – იატაკის გარდა. ერთ კუთხეში ჩალის ბულული იყო, ბზისა და თივის ლეიბის მითელი ცალკე ეგდო, ბალიშის მითელი – ცალკე, საბანი ნაფლეთებდა იყო ქცეული.

ავადმყოფმა სასწრაფოდ გაიძრო ტანთ, ორად გაფხრენილი ზენარი წელზე შემოირტყა, თავი მაგრად წაიკრა ლეიბის პირით, რალაც ჩვრები და ქალაღები დაიკიდა გულზე, ზემოდან დაძონძილი საბანი წამოისხა, ფეხებზე რალაც ჩვრები მოიჭირა. შექმნა სახე მთავარსარდლის... მე თვალს ვადევნებდი და გულის კანკალით ვუცდიდი, რა მოხდებოდა. როდესაც ყველაფერი გათავდა, ავადმყოფი სწრაფად გაქანდა, ქერიდან დაყოლებულ რკინის ჩარჩოს აახტა, ასნია ხელებით და უშუშო ფანჯრიდან ძლიერად დაუსტვინა... მერე ისევ სწრაფად ჩამოხტა... სამჯერ-ოთხჯერ მძლავრად გაიზმორა – სხეული გაიხალისა. მიტრიალდ-მოტრიალდა. სხვადასხვა პოზებში გაჩერდა. მკლავის კუნთები მოჭიმა და სიმაგრე გაისინჯა. შემდეგ მომიახლოვდა და მკითხა:

– მარო სად არის?

– ვინ მარო? – კითხვითვე ვუპასუხე.

– ვინ მარო და ღვთის მშობელი, ღვთის რისხვა შენს თავს. გუშინ ჩემთან იყო, დამპირდა, კიდევ მოვალო. შენ არა თქვი, რომ გუშინ ჩემთან სეირნობდაო. ჰმ!.. ჰ! ჰ! ჰ! ბულალტერი.

სამას სამოცი ათასი ოთხას თხუთმეტი ნოლი... ნ-ო-ო-ო-ლ-ი. არა, ეგ ცოტაა... ეხლავე, ეხლავე – ზრრრრრრრ... ნატა შენა, შენ გენაცვალოს ჩემი ცხვირი... სალომეია ცეკვავს – სალომეია. სისხლი გარბის. სირბილში შავდება... ჩუ... ვინ არის... ვინ არის... სუ – სუ – სუ... – მომვარდა და პირზე მომაფარა ხელი. ფეხაკრეფით გაიპარა ოთახის კუთხეში – გველივით განვა იატაკზე და სულგანაბულმა ყური მაგრად დაადო – რა ესმოდა, რა მოეჩვენა, როგორ გავიგებდი? ვხედავდი კი რომ თივითა და ბზით ამოიტენა ყურები, ცხვირის ნესტოები. მერე გაქანდა თივის ბულულში შეყო თავი, ზედ თივა და ბზე გადაიყარა და გაყურდა... მე ფეხაკრეფით გამოვედი ოთახიდან. კარგა ხანს ვიყავი კარებთან ატუზული და თვალს ვადევნებდი რას იზამდა. სულ ცოტა ხანში წვალეებით და ტანჯვით დასძინებოდა.

ისევ განვაგრძე სიარული. ერთი მიყრუებული კარებიდან ჩუმი და ნელი კვნესა ისმოდა – „მიშველეთ, მიშველეთ, ღვთის გულისათვის, მიშველეთ“. რაღაც საზარელი და საშიში იყო ეს კვნესა ამ შუალამეს. მე ფრთხილად შევალე კარები და შევედი. ოთახში ერთი რკინის საწოლი იდგა: ზედ ავადმყოფი იწვა, რომელიც ასე მწარედ კვნესოდა... ფეხაკრეფით მივედი და ჩურჩულით შევეკითხე:

– რა იყო, მეგობარო, რა გტკივა?

– მიშველეთ, ვააი, მიშველეთ ვააი?! – ავადმყოფმა უფრო უმატა კვნესას. მე უფრო ახლოს მივედი და ხელახლა ჩავეკითხე:

– მითხარი, მითხარი რა გინდა?..

– რა მინდა? რა უნდა მინდოდეს? – მომკალი, გვეედრები, ნუხელ აკი დამპირდი მოგკლავო, რატომ არა მკლავ – მომკალი, გვეედრები – მომკალი!

მე, ცოტა არ იყოს, შევკრთი, აღარ ვიცოდი, რითი მენუგემებინა...

– რადა, რად ამბობ ეგრე, განა რა დააშავე?

– რა დავაშავე? ჰა! ჰა! ჰა! არაფერი. ერთი ცოლი მოვკალი და სამი ბავშვი... ერთი ბებერი დედა... ეს არის და ეს. სხვა არაფერი დამიშავებია... ერთი ღმერთია მონამე, რომ სხვა არაფერი დამიშავებია. – უეცრად წამოვარდა ფეხზე. – ფრთხილად! მანდ ჩემი ბავშვი გდია, ფეხი არ დაადგა! თუკი არ მომკლავ, ნულარ შემანუხებ მაინც... შე უსირცხვილო, შე უსვინდისო... შე... განა რა გაგიხდა ერთი კაცის სიცოცხლე, მომკალი, რომ მალე გათავდეს ეს საზარელი ბოროტება... განა რა გახდა ერთი კაცის სიცოცხლე... მაშ, აბა, რას ჰგავს ესეთი ყოფნა!.. ესეთი სიცოცხლე?.. თვალებს დავხუჭავ და ყელგამოჭრილი მოხუცი დედა მელანდება, თვალებს გავახელ, თავგაჩეხილი ჩემი სანყალი ცოლი... დავწვები, მგონია ბავშვებს ვალრჩობ, როგორი შიშით მემუდარებიან, – მამი, ნუ დავგხოცავ, მა – მი! გველნაკბენივით წამოვიჭრები ფეხზე. იატაკს რომ დავადგამ ფეხს, კვნესა შემომესმის: „მამი, ნუ შვრები!“ ფანჯარაში გავიხედავ, დედა მემუდარება: „შვილო, ნუ მომკლავ!“ ჭერში ვიხედები, ცოლი მემუდარება: „ზურაბ, ნუ მომკლავ!“ ყველა კედლებიდან მეტანებიან გამხმარი ხელები ჩემი ცოლ-შვილის, ჩემი დედის, საცოდავი მოხუცი დედის! წყალს დავლევ, ჩემი შვილების სისხლი მგონია, საჭმელს ვჭამ, ჩემი შვილების ხორცი მგონია. არც სმა-ჭამა, არც ძილი, არც მოსვენება და შენ მეკითხები, რა დამიშავებია?.. არაფერი... ღმერთმა იცის, რომ არაფერი დამიშავებია... აბა, ეხლა შენ მითხარი, რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს? რადა ვარ ცოცხალი? ვისთვის არის საჭირო ჩემი ტანჯვა, ჩემი საზარელი წვალება? მაშ მომკალი, გვეედრები, გეხვეწები, მომკალი... მეც კაცი ვარ, ადამიანი, მეც მინდა მოსვენება.

ამ სიტყვებით ორივე მუხლზე დაიჩოქა და მწარედ, მწარედ აქვითინდა. მე თავზარი დამცა ამ საშინელებამ. „როგორ? სამი შვილი, ცოლი, დედა. ნუთუ მართალია, ნუთუ ყველანი შემოაკვდა ამ საბრალს? ნუთუ მართალია ყველაფერი?“ – ვფიქრობდი და ვღელავდი. ნამდვილი ამბავი მინდოდა გამეგო, მაგრამ როგორ, ვინ მეტყოდა?

ამ ფიქრით მივუახლოვდი და ხელახლა შევეკითხე: – რას ამბობ, ნუთუ მართალია?... მერე რად, რად ჩაიდინე შე საცოდ-აო... რად ჩაიდინე?

– აი, დადექი და გიამბობ, თუ რად ჩავიდინე... თუ როგორ ჩავიდინე... მე ყველას ვუამბობ ხოლმე, იქნებ ათასში ერთმა მაინც გაიგოს ჩემი ტანჯვა და მომკლას, მომაშოროს ამ ნუთი-სოფელს...

ავადმყოფმა, ასევე დაჩოქილმა და თვალცრემლიანმა დაიწყო:

„– ჯერ მაშინ, როცა ახალგაზრდა ვიყავი და არაფერი ვიცოდი ფიქრისა და ტანჯვისა, ქალი შემეყვარდა. ისიც ახალგაზრდა, ლამაზი, მშვიდი... ხომ გაიგე? შემეყვარდა, მაგრამ რაღაც სხვანაირი, ველური სიყვარულით. თავიდანვე იცოდა, რომ დედისერთა ვიყავი და მიყვარდა მოხუცი, გაძვალტყავებული დედა, ძალიან მიყვარდა.

გავიდა დრო, ქალმაც შემომფიცა სიყვარული და შევირთე, სახლში მივიყვანე. ვცხოვრობდით ტკბილად, უდარდელად, ერთმანეთის მზეს ვფიცულობდით. პირველი შვილი მალე გვეყოლა – გაჩაღდა კერა, კარგი მომავალი იმედიანად დაეკიდა ოჯახის კერას. ვცხოვრობდით ისე ტკბილად, ისე უდარდელად, როგორც ათასობით ოჯახი – გაჭირვებით, მაგრამ მაინც ტკბილად.

დრო გადიოდა შრომაში, ერთმანეთის სიყვარულში და პატივისცემაში. კიდევ ორი შვილი გვეყოლა, ორი ქალი. მალე ბავშვები წამოიზარდნენ. ოჯახი აივსო უდარდელი ჟივილ-ხივილით.

კიდევ გავიდა დრო. ჩემი ცოლი უფრო შედერდა, უფრო გალამაზდა, მომწიფდა, იყო აღმგზნები და ვნების ამშლელი, თეთრი ხორცის პატრონი. რა ვიცოდი, რა ვიცოდი, რომ ეს თეთრი ვნებიანი ხორცი დაღუპავდა ჩემს ოჯახს, ჩემს დედას, ჩემს თავს, ჩემს შვილებს.

თავზარი დამცა ჩემი ცოლის ღალატის პირველმა ამბავმა. ყურს არ ვუჯერებდი. ზედმეტად ძლიერად მიყვარდა ჩემი ცოლი, რომ იმისი ღალატი დამეჯერებინა.

დრო გადიოდა, ჩემი ცოლის ცუდი ყოფაქცევა აშკარა ხდებოდა ჩემთვის. მე დროს ვუცდიდი.

ერთ დღეს – წყეულიმც იყოს ის დღე, – სამუშაოდან სახლში დავბრუნდი დაქანცული. შემოლამდა. ჩემი ცოლი გამოენყო სხვაგან წასასვლელად. მე გაჩუმებული ვიჯექი და თვალს ვადევნებდი, თუ რას იზამდა. მალე გავიდა ოთახიდან. მეც ფეხაკრეფით შორიახლოს ავედევნე. მალე ერთ მდიდრულ სახლში შევიდა. შევეყევი ფეხდაფეხ. ვილაც მამაკაცმა გაულო კარები დიდი სიხარულით და ჩაკოცნა. დიდხანს ვიდექი ატუზული იმ კარებთან, რომლის იქითაც საყვარელი ცოლი მღალატობდა ასე აშკარად, ასე თავხედურად. რალას ვიზამდი. ისევ ქუჩაში გამოვედი. დარეტიანებულმა და გამწარებულმა, თავი დავკარგე. ერთ მიყრუებულ სარდაფში შევედი და მაგრად, მაგრად დავთვერი. შემდეგ დიდი წვალებით მივალწიე სახლამდის, ძველისძველი ბებუთი ამოვიღე სკივრიდან. ჩემს ცოლს უდარდელად ეძინა – შვილებსაც, დედასაც, მაგრა რომ ვიკივლე, ყველა წამოვარდა ფეხზე.

– სად იყავი, ბოზო?! – ეს კი მოვახერხე და მერე რა მოხდა, აღარაფერი ვიცი. შემდეგ ნელნელა გამოვერკვიე და დავინახე – ყველანი დამეხოცა – სამი შვილი, ცოლი და დედა. რად! ნულარ მკითხავ, მე თვითონ არ ვიცი, რად? მას შემდეგ აი, აქა ვარ, და ყოველ ღამე მელანდება ჩადენილი ბოროტება. ვეწვალები, ვიტანჯები, ვეხვეწები ხალხს, ქვეყანას მომკლან, მაგრამ საშველი არსაიდან არის. მეზიზღება ეს ოთახი, ეს კედლები, ეს სანოლი, ეს ფანჯარა, ეს ქვეყანა, ეს ხალხი, ეს ექიმები, ჩემი თავი და ყველაფერი ქვეყანაზე... სიკვდილს ვნატრობ, გესმის! სიკვდილს და ქვეყანაზე კაცი არ არის, რომ ეს უბრალო და სამართლიანი თხოვნა შემისრულოს. პირიქით, ზედმეტად ფხიზლად მადვენებენ თვალყურს, რომ არაფერი ავუტეხო თავს, რომ სადილი დროზე ვჭამო, რომ გულმა და კუჭმა კარგად იმუშაოს. რომ გავძლო, დიდხანს გავძლო, რომ დიდხანს ვიტანჯო ჩემი მძიმე და საზარელი დანაშაულისათვის...

ამ სიტყვებით ხელახლა გაყურდა... შემდეგ კი ისევ მწარედ აქვითინდა.

ამ დროს მამალმა პირველად იყივლა. ავადმყოფი ხელახლა შეშფოთდა:

„- აგერ, ხომ ხედავ რას მიყვირის, „მკვლელიო“, „დედის მკვლელიო“ ოჰ! რა გამიძალდა სიცოცხლე... ოჰ, რა გამიძნელდა ცხოვრება...“

მამალი ისევ ყიოდა. ავადმყოფის წვალებას კი საზღვარი არ უჩანდა. ველარაფრის თქმა ვერ მოვახერხე და განვმორდი. საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი მთელ სხეულში. როგორც იყო, მოვძებნე ცარიელი სანოლი და წამოვწექი. თავბრუ დამეხვა, თვალთ დამიბნელდა. რალაც ცივი ჟრუანტელი გამიჩნდა სხეულში და ამაკანკალა. ძილს ვეტანებოდი მშიერი ნადირივით. აღარც კვნესა მესმოდა, აღარც რაიმე ხმაური. სმენა დამეხშო, თვალთ დამიბნელდა. და ნელ-ნელა ჩაძირვა ვინყე რალაც გაყრუებულ, ბნელ და უნაპირო ქვეყანაში.

კარგად გათენებულიყო, რომ გამომეღვიძა. გარკვევით მესმოდა ხმაური ჩემს გარშემო, მაგრამ ისე მქონდა თავი და თვალეები დამძიმებული, რომ ვერ ვახელდი და ვერც ვინძრეოდი. ყველა კუნთი, ყველა პატარა ძვალიც კი მტკიოდა და მოძრაობას მიშლიდა. ასე თვალეზდახუჭულმა მწარე ფიქრებს მივეცი თავი. რა იქნებოდა შემდეგ? დიდხანს გავუძლებდი ამგვარ ყოფნას, ამ საშიშ და საოცარ შთაბეჭდილებებს? რითი გათავდებოდა ჩემი თავხედური და ასე საბედისწერო მგზავრობა ამ საგიჟეთში. ამგვარი ფიქრები, მღვრიე მორევივით მიტრიალებდა თავში და მოსვენებას არ მაძლევდა. მაგრამ, რაც იქნებოდა, იქნებოდა. ჩემი თავი მივანდე ჩემს ბედს, რომელიც, როგორც ყველა ნიშნებიდან ჩანდა, კარგს რამეს არ მიმზადებდა მომავალში. მეტი გზა არ იყო, მინდოდა თუ არ მინდოდა, ძალაუწებურად უნდა მეტარებინა სულით ავადმყოფის საშიში და ძნელი სახელი.

ამგვარად, ამ ფიქრებში დღე ღამდებოდა, ღამე თენდებოდა, დრო გადიოდა, ძალიან მძიმედ, მაგრამ მაინც გადიოდა. ერთ მძიმე და საშიშ შთაბეჭდილებას მეორე სცვლიდა, უფრო მძიმე და საშიში, მეორეს – მესამე, მესამეს – მეოთხე და ასე გაუთავებლად.

კარგად რომ გავშინაურდი და გავიცანი ყოველი კუთხე ამ მღელვარეთა განყოფილებისა, ერთი რამ სრულიად უდაო გახდა ჩემთვის, სახელდობრ, ის, რომ არაფერი არ იყო აქ ზედმეტი, ან და შემთხვევითი, ყველაფერს ჰქონდა თავისი აზრი და დანიშნულება, ყველა ერთად, რალაც შეუმჩნევლად და უცნაურად ქმნიდნენ ერთ ძნელ და მძიმე შთაბეჭდილებას. აგერ, ის ავადმყოფი, რომელიც სიცილის მაგივრად, რალაც უცნაურად სლოკინებს, ისევე საჭირო და აუცილებელი იყო აქ, როგორც დამპალი და სუნიანი ბზით გატენილი „მატრაცი“. ან, აგერ, ის მოკაკანე ავადმყოფი, როგორ მეტად საჭირო იყო ამ საერთო შთაბეჭდილებისათვის. უხეში და გაუფორტნავი რკინის საწოლები, ზენრის მაგვარი რალაც ჭუჭყიანი ჩვრები, გაჭუჭყიანებული და დაფურთხებული კედლები, დარკინული ფანჯრები, ავადმყოფები, დამპალი ბზის და თივის სუნი. ყველაფერი ეს ერთად ჰქმნიდა რალაც უცნაურ და საშიშ ქვეყანას, რომლის სახელიც საგიჟეთია. ასევე საშიში და საიდუმლო გზნებით აღსავსე, რომელიც ბავშვობიდანვე მალეღვებდა და რომლის გასაცნობად და აღწერისათვის საჭირო გახდა ამდენი ნვალება, ასეთი დიდი და საშიში მსხვერპლი.

ამგვარად ვფიქრობდი და გაუნძრევლად ვინეჯი საწოლზე და, რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, უფრო მეტად მიმძიმდებოდა თავი და სული. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიფიქრებდი, რომ ვილაცის კივილს არ გამოვეფხიზლებინე: „აააა! ფრანსიე! ფრანსიე! კოტიდინე!.. სანგვინჩენის კუნძულებიდან დაძრული ანტიციკლონი პარიზზე გადაივლის შუალამისას, ეიფელის კოშკს ფხიზლად ადევნეთ თვალყური, ქარიშხლების ძალა ასოცი



მილი, შეიძლება, კიდევ მეტი, „სპიჭკის“ ნამწვებს გიგზავნით და ვინძლო საჩქაროდ სცადოთ შეკავება!“ – კიოდა ამას ავადმყოფი და სასტიკად ღელავდა და შთაბეჭდილებას ქმნიდა მართლა რალაც საშიში კატასტროფის მოახლოებისას. საფრანგეთთან რომ გაათავა, ანგარას მოსთხოვა სმენა.

– ანგარა, ალოო!... ყურს მიგდებთ?.. შავი ზღვის ფსკერი გეოლოგიურ გარდაქმნებს განიცდის, ფხიზლად ადევნეთ თვალყური ნაპირების მდგომარეობას. თუ რაიმე საშიში შეამჩნიოთ, მაშინვე მაცნობეთ... წინასწარ იცოდეთ, რომ ამალამ მინისძვრა მოხდება ანატოლიის ნაპირებზე, ძალა – ოცდაათი ბალი, არ შეგეშინდეთ...

როგორც ჩანდა, მინისძვრებზე და ანტიციკლონებზე იყო შეშლილი. ანგარასთან რომ გაათავა ლაპარაკი, თითქოს რალაცამ დაჰკრა თავშიო, გამწარებულმა შემოირბინა მთელი განყოფილება საშინელი ხმაურით, შემდეგ გაშმაგებული ახტა სანოლზე და დაიძახა:

– დიდი ცოდვით დამძიმებული მინა გარდაქმნას ცდილობს, მაგრამ ამაოდ! ანტიციკლონების საზარელი ქარიშხლები ველარ შეაჩერებენ კაცობრიობის ჭენებას. ბუნება უძლური გამოდგა ადამიანის დამონებაში. ხალხმა ჰაერში დაიწყო ფრენა... ჰაერი კი განუსაზღვრელია და უნაპირო. მინა ბევრსაც რომ შეეხვეწოს, ადამიანი აღარ მოისურვებს მინაზე ცხოვრებას. ფრენას დაჩვეული მუხლები ველარ გაუძლებენ ნიადაგის სიმაგრეს. მინა საჭირო აღარ არის ხალხისათვის, აღარც საშიში. კაცობრიობის ჭენება ქარიშხლებზე სწრაფია და ძლიერი. ანტიციკლონები ველარ შეაჩერებენ ამ მძლავრ ჭენებას. მანძილი უკვე მოისპო. პატარა ყურმა ხმები გაიგონა მთელი ქვეყნიდან, პატარა ენა სიტყვებს აწვდის მთელ ქვეყანას. მალე პატარა თვალის დაინახავს მთელ ქვეყანას ორივე კუთხიდან. ტვინი აღარ არის საჭირო. ჭკუამ თავისი როლი უკვე ითამაშა და უნდა მოისპოს, ვიდრე ადამიანი ათას ნაბიჯზე ხედავდა – ას ნაბიჯზე ესმოდა,

ათ ნაბიჯზე ლაპარაკობდა, მაშინ ტვინი შველოდა სივრცეების გადალახვას და დაპყრობას. დღეს სივრცეები დაპყრობილია და ტვინიც გამოსულია ტირაჟში... ახალ ადამიანს ახალი სმენით, ახალი ხედვით და ლაპარაკით მინა დაუპატარავდა, ზეცისკენ დაიწყო ცქერა, პლანეტების დასაპყრობად. დაიჯერეთ, დადგება დრო ხალხის გადასახლებებისა მთვარეზე... იცოდეთ, მინა დაუპატარავდა ადამიანს, მინის რისხვა ველარ შეაჩერებს კაცობრიობის აწყვეტას ვერავითარი ანტიციკლონებით, ვერავითარი ქარიშხლებით. ამას ვბრძანებ მე, უკანასკნელი შეშინებული და უკანასკნელი მსხვერპლი ამ მიწისძვრათა და ანტიციკლონთა მოძრაობის. ჰა! ჰა! ჰა!...

ყვიროდა ამას და მოუსვენრობდა, ღელავდა. აღმური ასდიოდა სახეზე, თვალეები რაღაც უცნაურად და საშიშად ჰქონდა გაბრწყინებული. ამ ყვირილზე სხვა ავადმყოფებიც აიშალნენ. ზოგი რას კიოდა, ზოგი რას. ამ საერთო ხმაურში და არევიანობაში მძაფრად და დინჯად გაისმოდა ჩვეულებრივი კაკანი: „განვედი ჩემგან, განვედი სულო ბოროტო!.. მიუტევე უფალო, რათა გიჟები არიან და არ იციან, თუ რას იტყვიან!.. სახელითა მამისათა და ძისათა... წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო, კაცთმოყვარეო!“ – და იყო რაღაც საიდუმლო, საშიში და აღმგზნები ამ უაზრო და უთავბოლო ხმაურში.

ამ დროს მომიახლოვდა კაკო და დინჯად შემეკითხა:

– სხვა, ზირან, როგორია საგიჟეთი? ხომ კმაყოფილი ხარ, ხომ არ მოქმედებს ეს გაუთავებელი მოძრაობა და ხმაური. ხომ არ გაბრაზებს ეს სახეები, ეს თვალეები, ეს ტანჯვა? მე კი, დიდიხანია, შევეჩვიე.

მე, ცოტა არ იყოს, შემრცხვა ჩემი ნოლის, მაშინვე წამოვჯექი, მოვისვი გვერდზე კაკო და ვუთხარი:

– კაკო, ძმობას გეფიცები, ცუდად ვგრძნობ თავს... რა მემართება, მე თვითონ არ ვიცი. მინდა ვიკვილო, ვიბრძოლო, მთლად დავლენო ყველაფერი, მაგრამ თავს ვიკავებ. განუხორ-

ციელებელი სურვილები ჟრუანტელივით დადიან მთელ სხეულში, გულში, ტვინში. სუნთქვა მეკვრის, ბოლმა მანვება ყელში, მახრჩობს, მიშლის, მაცახცახებს. კიდევ ცოტა ხანს რომ გასტანოს ამ მდგომარეობამ, კაკო გეფიცები, ველარ მოვითმენ, ყველაზე უფრო აღგზნებული და გადარეული შევიქმნები. მე მაბრაზებს ყველაფერი – ეს საწოლიც, ეს თივაც, ეს სუნიც, ეს ავადმყოფებიც, ეს საშინელი და ზარდამცემი კივილიც – ერთი სიტყვით, ვიტანჯები... შველა მინდა, კაკო, თორემ ჩავვარდები და მერე გვიანლა იქნება.

ამის გაგონებაზე კაკომ ზარიანად გადაიხარხარა:

– მერე სად წახვალ, ზირან?... ხალხში? გაფიცებ, არაფერი გამოვა. მე რომ წარმოვიდგენ იმ ხალხს, პატარა და საცოდავ სხეულებს, იმ კნავილით ლაპარაკს, იმათ პატარა და უაზრო წვალებას... იმათ დაბრეცილ სხეულებს, ჩამკვდარ თვალებს, სისხლნაკლულ, დაღლილ და დაქანცულ შემოხედვას, გამელოტებული თავების ტრაგედიას, გეფიცები, ზირან, ისევ აქ ყოფნა მირჩევნია. მე რომ წარმოვიდგენ იმ ხალხის პატარა და სუნდაცემულ სხეულებს, რომელსაც ველარავითარი კოსმეტიკა ველარ შველის, იმ პატარა ფუსფუსს, იმ წვრილმანობას, იმ საოცარ ზნეობრივ და გონებრივ გადატაკებას... იმ შურიანობას, იმ ღვარძლს, იმ გესლს და იმ ბოროტებას – იმას, რომ პატარა კაცი ველარ გრძნობს სიპატარავეს და თავისი თავი ყველაზე მაღალი, ამტანი და ძლიერი ჰგონია, იმას, რომ ფეხებიდან გაცვეთილი პატარა კაცი ველარ გრძნობს ძალიან პატარა ტვინის დიდ სისულელეს და თავისი თავი ყველაზე ბრძენი და ჭკვიანი ჰგონია. ყველაფერ ამას რომ წარმოვიდგენ, გეფიცები, ზირან, აქ ყოფნა მირჩევნია იმ გაიძვერა თავაზიანობას, იმ მიწაზე მუცლით ხოხვას სახელისა და ფულისათვის, იმ ხელზე და პირზე კოცნას მზაკვრულად, მე მირჩევნია პირში შეფურთხება, ლანძღვა, გინება და კივილი, უსაზღვრო კივილი, აი, აქ, საგიჟეთში, ყველას გასაგონად: – „ეი თქვენ, ჭკვიანებო, ყველანი სტყუით!

თქვენ, პროფესორებო, ექიმებო, ნასწავლო ხალხო, ყველანი სტყუით!.. მეცნიერების ყველა დარგი დიდიხანია გამოყენებულია კუჭისთვის, ჯიბისთვის. არცერთი თქვენი საქციელი არ არის გულწრფელი, არც მეცნიერების სამსახური, რომელსაც ვითომდა გულწრფელად ემსახურებით, არც მეგობრობა, არც ცოლ-ქმრობა, არც ოჯახის და ხალხის სიყვარული – სტყუით, ყველაფერი ეს კუჭისათვის და ჯიბისათვის არის გაჩენილი და მოგონილი. მართალი არის მხოლოდ ის, რომ ყველანი თქვენ მასხარები ხართ, პატარა ტანის, ვინრო ტვინის, უზნეო და უსინდისო მატყუარები, სასაცილო მონები კუჭის და ჯიბის“. აი, ის ქვეყანა, ზირან, ის ხალხი, სადაც შენ აპირებ წასვლას, სადაც შენ გინდა იპოვო მოსვენება, აქ, საგიჟეთში, დაქანცული ტვინისთვის და სხეულისთვის... ეგრე რომ იყოს, მე აქამდე გავიდოდი იმ ხალხში, იმ ქვეყანაზე – მითხარი, ვის არ უნდა სულიერი სიმშვიდე, მაგრამ, ვიცი, არაფერი გამოვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე აქ ყოფნა მირჩევნია, მხოლოდ იმიტომ, რომ აქ არცერთი ავადმყოფი არ ტყუის, არ გაიძვერობს. რამდენი ამათზე გადარეული ვიცი, რომლებიც ათასი ტყუილით ცდილობენ თავიანთი შეშლილობის დაფარვას – ან მდგომარეობით, ან ჩაცმით, ან ფულით, ან ამ რეგენული ზრდილობით და თავაზიანობით. იცოდე, ზირან, ესენი ავადმყოფები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ შეუძლიათ ტყუილი, გულწრფელები არიან თავიანთ სურვილებში. ავადმყოფები არიან იმიტომ, რომ აღარავის ატყუებენ. მე აქ ყოფნა მირჩევნია, ამ ხალხთან, რომლების ტვინიც ისეა დაავადებული, რომ ვედარ აკავებს სურვილების და აზრის უსაზღვრო გაქანებას. წადი, ზირან, გაათავისუფლე ხალხი ამ უაზრო და უგუნური ვალდებულებისაგან და ნახავ, სად უფრო მეტი შეშლილები გამოჩნდებიან – აქა თუ იქ. გჯეროდეს, ზირან, ერთიც იქნება, კაცობრიობა გაითავისუფლებს თავს ყოველივე ამისაგან და მაშინ შეშლილობა დაკანონდება, როგორც დიდი შემოქმედება და გენიალობა...

მე გაჩუმებული ყურს ვუგდებდი ამ საოცარ მხილებას, ამ საკვირველი ავადმყოფის მიგნებას, სრულიად მართალს... და ერთი რამ მაკვირვებდა – იმისი ძლიერი ნებისყოფა, რომელიც ფხიზელ დარაჯად ედგა იმის სურვილებს და ოდნავადაც არ ღალატობდა... გინდაც მთლად მისაღები ყოფილიყო ჩემთვის მთელი ეს თავისებური კონცეფცია, შეშლილობის საბოლოო დაკანონება, მე სადა მქონდა ის მაგარი ნებისყოფა, რომელიც ასე საჭირო იყო ამ საშიში და ძნელი სურვილის განსახორციელებლად. ამგვარი ფიქრის და დიდი სიჩუმის შემდეგ მაინც ვუთხარი:

– არა, კაკო, მე მაინც მინდა წავიდე იმ ქვეყანაში, იმ ხალხში. ერთხელ კიდევ მინდა ვნახო და შევადარო ეს ორი ქვეყანა დიამეტრალურად საწინააღმდეგო შინაარსით. ერთხელ კიდევ მინდა ვიცხოვრო იმ ხალხში და, თუ საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რაც შენ თქვი, გჯეროდეს, რომ ხელახლა შემოვალ საგიჟეთში, მეორედ უკვე მართლა შეშლილი და გადარეული. მანამდის კი, ჯერ კიდევ მაინც მინდა წავიდე იმ ქვეყანაში, კაკო! იმ ხალხში!

ისე ვემუდარებოდი, თითქოს კაკოზე ყოფილიყოს დამოკიდებული ჩემი საგიჟეთიდან გასვლა. ამას მივხვდი მაშინ, როცა ლაპარაკი გავათავე და, ცოტა არ იყოს, შემრცხვა. კაკო კი სინანულის და სიბრალულის ღიმილით შემომეყურებდა და ამ ღიმილში გარკვეულად ჩანდა საზარელი მხილება – წადი, იცხოვრე, მაგრამ იცოდე, ისევ დაბრუნდები. ასეთი ძალა აქვს გულწრფელობას და სიმართლეს...

ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ვაპირებდით ბაასის გაგრძელებას, რომ კაკოს დაუძახეს. კაკო მონყალების დამ გაიყვანა განყოფილებიდან. მე ეხლა მარტომ მივეცი თავი იმ ფიქრებს, საკმაო ტანჯვით და მეგონა, რომ ეს იყო ჩემი შეშლილობის პირველი საფეხური.

– ...რა...რა...რი...რა...რო, ტა...რა...რი...რო! დალა-ლილალო!  
– რახრახებდა ვილაცის ჩახრინნიანებული ხმა და რიტმულად არხევდა მთელ სხეულს. სამჯერ, ოთხჯერ გაიარ-გამოიარა

ოთახში ამ ტაქტზე, – რა...რა...რი...რა...რო... და...და...დი...და...დო!  
– მერე, უეცრად, შეჩერდა ჩემთან და მომიკითხა სულ მთლად მოულოდნელად, – ჰჰჰჰჰა... აა! საიდან, როგორ, აქ რას აკეთებ?... ააა! – წარმოიდგინეთ, თითქმის გულწრფელად გაეხარდა ჩემი ნახვა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. – ეჰ! ამოიოხრა, – იყო დრო და, დრო იგი იყო დრო...

ეს სიტყვები, ერთი, სამჯერ გაიმეორა, უცნაურად გაიცინა თუ დაიღრინა და ჩამოჯდა ჩემს სანოლზე...

– შენ გიორგი არა ხარ? მერე, კაცო, აქ რა გინდა, როდის მოხვედი, რატომ არ მნახე... ეგრე უნდა მეგობრის დავინწყება? – მითხრა ეს და ალერსიანად მიღუტუნა ყელში. – იცი, ეს ხალხი ავადმყოფები კი არა, ეგენი ყველანი ქურდები არიან. იცი, ეს საავადმყოფო კი არ არის, ეს ციხეა – გამასწორებელი სახლი. მაგრამ რა გაასწორებს ამხელა კუზს, რომელიც ისეთ ალაგას არის გამობმული, რომ არ ჩანს. აგერ, მაგალითად, ის ავადმყოფი, – და ხელი მიმიშვირა მოკაკანე ავადმყოფზე, – ერთი მითხარი, რა უნდა გაუსწორდეს! ბევრი-ბევრი კაკანი მოიშალოს. მერე ეს სასაცილო და სულელური გარეგნობა? ეს ცარიელი და მსუბუქი თავი? ეს არაფრის მთქმელი და რეგვწული გამომეტყველება, ყველაფერი ეს სადღა წაიღოს? ტა...რა...რი...რა...რო... მე კი მგონია, რომ ეგ აუცილებლად რაღაცას მოიპარავდა და, თუ აქამდის არ მოუპარია, სულერთია გასწორებული და დაჭკვიანებული რომ გავა აქედან, მაშინ მოიპარავს... და...ლა...ლი...ლა...ლო! იცი, ის უფრო სულელია, ვინც ეგ აქ მოათავსა. რი...რა...რა...რი...რა... რა...რო... იცი, ექიმები რომ მეუბნებიან, მორჩებიო, მე ბევრს ვფიქრობ მაგაზე, ვფიქრობ და ვერ გამიგია, რა უნდა მომირჩეს – რა მაკლია, ან რა მტკივა... ტი...ლა...ლა...ლი...ლა...ლო...

ლაპარაკობდა ჩემი ახლად გაცნობილი და ჩახრინწული ხმით უცნაურად როხროხებდა ყოველი ახალი ფრაზის შემდეგ. მერე უცბად წამოვარდა სანოლიდან, მივარდა ფანჯარას და გასძახა:

– ტყუის, უფალო მოსამართლეე, ეგრე არ არის!.. დააფიცეთ, დააფიცეთ!.. ლამაზი ცოლის აუგი დააფიცეთ და მაშინ მართალს ილაპარაკებს!.. ტყუის, უფალო მოსამართლეე!.. ტყუის!..

ამის შემდეგ ნელმონწყვეტილივით გამობრუნდა და ჩვეულები-სამებრ ისევ განაგრძო, ტა-რა-ტა-რი-რა-რა-რო!.. შემდეგ ჩამოუარა ყველა ავადმყოფს, ზოგს რა უთხრა, ზოგს – რა, ზოგს მუჯლუგუნი ნაჰკრა, ზოგს საბანი ახადა. მოკაკანე ავადმყოფს პირზე ხელი ჩამოუსვა და ნიკაპი მაგრად შეუნჯღღრია... ნარ-მოიდგინეთ, ავადმყოფმა ხმა როდი გასცა, ის ჩვეულებისამებრ განაგრძობდა კაკანს:

– აპატიე, აპატიე, უფალო!.. რამეთუ გიჟია და არა იცის, თუ რას იქმს! აპატიე, აპატიე, უფალო!..

კიდევ რალაც უნდა ჩაედინა, რომ უეცრად წამოუვარდა ვი-ლაც ავადმყოფი, მაგრად ჩაჰკრა თავში და გაიქცა... – ვაიმე!.. ერთი შეღრიალა და გაიშოტა იატაკზე. – ვაიმე! – ერთი კიდევ შებლავლა და გაყურდა... პატარა ხნის შემდეგ მედგრად წამოიჭრა ფეხზე, მივარდა ფანჯარას და შეჰკვივლა:

– ტყუის, უფალო მოსამართლეე! ტყუის!.. ლამაზი ცოლის აუგი დააფიცე და მაშინ მართალს იტყვის! ტყუის, არ დაუჯე-როთ!

შემდეგ ისევ მალე გამობრუნდა, თავზე ნაისვ-წამოისვა ხელები და ისევ ისე ჩაიღიღინა: რა...რა...რი...რა...რო. როგორც ჩანდა, მე მთლად დავავინწყდი. საკვირველია, აი, უკვე რამდენი ხანია, თვალს ვადევნებდი ამ ავადმყოფს და ამ ხნის განმავლობა-ში არ გაუჩერებია არც ენა და არც ხელი, ონავარივით უვლიდა განყოფილებას და მოსვენებას არ აძლევდა ისედაც მოუსვენარ ავადმყოფებს.

საკვირველია, დღეს ხუთშაბათია და რა წყნარად არიან ავად-მყოფები. აქ ყოფნის დროს ერთი რამ აშკარად შევამჩნიე: იყო დღეები, როდესაც ავადმყოფები განსაკუთრებულად ღელავდნენ და იყო დღეები, როდესაც თითქმის ყველანი ლოგინში იწვნენ

და გაჩუმებულები აღარ მოძრაობდნენ. სიმართლე ითქვას, არც მე მქონდა განძრევის თავი, ისე დამელალა ტვინი და სხეული. ველარც აზროვნებას ვახერხებდი.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდნილმა თავი ბურანს მივეცი და გავირინდე...

– ზირან, გძინავს? – შემომესმა ხმა. კაკო იყო...

– სად იყავი, კაკო? – გახარებულმა აჩქარებით ვკითხე.

– არსად, შენც მალე წაგიყვანენ იქ.

– სად იქ?

– იქ, დასაკითხად. რაც იცი და არ იცი, სუყველაფერი უნდა გადმოფარჩო.

მე უცბად ვერ მივხვდი, სად წამიყვანდნენ, მაგრამ მალე ამიხსნა, რომ დაკითხვას დღეს აწარმოებდა ქალი ექიმი, რომელიც, მისი აზრით, იყო ყველაზე ჭკვიანი ექიმებში და მგრძობიარე. კაკოს მოსწონდა თურმე ამ ექიმის მახვილი ჭკუა და ასეთი თავდადება და ზედმეტად ორიგინალური აზროვნება.

– ხმები დადის ამ ექიმ ქალზე, რომ თვითონაც შეშლილიაო, – თქვა კაკომ და მიამბო, თუ როგორ, დღე და ღამე არა შორდება თავის განყოფილებას. წერდა და აკვირდებოდა ავადმყოფ ქალებს ისეთი გატაცებით და სიყვარულით – განუწყვეტლად, მრავალი წლის განმავლობაში.

კაკო კიდევ ბევრ რამეს მელაპარაკა ამ უცნაურ ექიმზე, იმის საღ და მეტად ორიგინალურ მიდგომაზე – ყველა ნიშნიდან ჩანდა, რომ მოსწონდა და პატივსა სცემდა. მე მძაფრი ცნობის-მოყვარეობა ამეშალა ეს რომ გავიგე, მოუთმენლად ველოდი როდის წამიყვანდნენ, როდის შევეყრებოდი პირისპირ ამ ქალს და რითი გათავდებოდა ჩვენი შეხვედრა. თანაც მინდოდა მესარგებლა და ამ ექიმის დახმარებით როგორმე დამებრუნებინა ჩემი სიჭკვიანის პატენტი და გავცლოდი, რაც შეიძლება მალე დამელწია თავი აქაურობისთვის.



კაკო თითქოს მიხვდა ჩემს ფიქრებს, ახლო მომიჯდა და მითხრა:

– აი, ზირან, შენ ხომ გინდა გახვიდე აქედან, შენ ხომ თავი მოგაბეზრა ამ გადარეულმა ხალხმა, შენ ხომ გინდა დაუბრუნდე სილამაზით და სავსე ქვეყანას – ჰო, და ამაზე უკეთესი შემთხვევა არ მოგეცემა. მაგ ქალს გაანდე შენი ფიქრები, სანდოა. როგორც გავიგე, ჩვენი განყოფილების ექიმი ავად გამხდარა და რამდენიმე ხნით ეს ქალი იმუშავებს ჩვენ განყოფილებაში. დრო ზედმეტად ხელსაყრელია და, აბა, შენ იცი, როგორ ხერხიანად გამოიყენებ. გახსოვდეს, თუ გადაწყვეტილი არა გაქვს აქ დარჩენა, სჯობია, რაც შეიძლება მალე ნახვიდე აქედან, თორემ ხომ იცი, მდგომარეობამ შეჩვევა იცის – ფიქრი თუ გაგიბოროტდა, ბევრიც რომ გინდოდეს, აქედან აღარავინ გაგიშვებს, ასეთია ჩვენი ექიმების სიბრძნე... და რომ აუცილებლად გაბოროტდები, თუ მეტი არ დაგემართა, ამის თავდები ვარ. ან კი, აბა, როგორ გაუძლებ, ზირან, ამდენ ტანჯვას, ამდენ ბოროტებას ამ ბედღან-ყველილი ხალხის! აქედანვე გეუბნები – ვერ გაუძლებ და, რაც მალე გახვალ აქედან, ისა სჯობია.

მე ყურს ვუგდებდი კაკოს დარიგებას გაჩუმებული, დაფიქრებული. ყოველი იმისი სიტყვა, სადღაც შორს, სინდისზე მხედებოდა და წვეტიანი ლურსმანივით მჩხვლეთავდა და მალიზიანებდა. ამ სიტყვებში იყო მზრუნველობაც, შებრალებაც, დაცინვაც, სინანულიც. ჭკვიანი იყო კაკო და ამიტომ ვებრალებოდი. ცხოვრებისთვის, პატარა ხალხისთვის, ჩანდა, გული სტკიოდა. მის მეგობრულ რჩევას რომ ვუგდებდი ყურს, გულწრფელად ვნანობდი, რა ბინძური და საშინელი იყო ცხოვრება, რომ კაკოსთანა ფაქიზ და ჭკვიან ხალხს უფლება არა ჰქონდათ, ეცხოვრათ ქვეყანაზე, რომ კაკოსთანა ხალხი იძულებულნი იყვნენ გაქცეულიყვნენ საგიჟეთში სამუდამო ტანჯვისათვის, სამუდამო წამებისათვის.

აქ შემიჩერდა ფიქრი, რადგან ამ დროს დამიძახეს. კაკო მომვარდა აღელვებული და გამაფრთხილებელი კილოთი მითხრა:

– აბა, ზირან, ყოჩაღად იყავი! – და განვშორდით. მოხვეული კიბით მოხუცმა მოწყალების დამ ზევით ამიყვანა. კარგა მოზრდილ ოთახში არავინ ჩანდა. მღელვარებით და გულის კანკალით ჩამოვჯექი მაგიდასთან. მოწყალების დაც შორიახლოს გაჩერდა და ფხიზლად მადევნებდა თვალს... ალბათ, იმიტომ, ფანჯრიდან რომ არ გადავმხტარიყავი. თუ ვერ დამიჭერდა, იკივლებდა მაინც.

კარგა ხანი გავიდა, ექიმი არ ჩანდა. მე მივათვალიერ-მოვათავლიერე ოთახი. კედლებთან მოზრდილი წიგნის კარადები იდგა, ერთი გრძელი შავი ტახტი, ერთიც კარგად მოზრდილი მაგიდა. ოთახი იყო ზედმინვენით სუფთა, ნათელი. დასავლეთისკენ დატანებული მაღალი ფანჯრიდან ქალაქი მოჩანდა, რომელიც შორეული ნაპირივით მეზმანებოდა ამ საკმაოდ მღვრიე და მღელვარე მდგომარეობაში. მალე კარები გაიღო და შემოვიდა ექიმი. იმისი მაღალი და კუთხიანი შუბლი, ღრმად წასული თვალები, ოდნავ მოწყენილი გამომეტყველება, ლაპარაკობდა მის მაღალ ჭკუასა და კარგ გულზე, რაც არაჩვეულებრივად იზიდავდა და ხალისიან განწყობილებას ჰქმნიდა თავიდანვე. ჩამოჯდა მაგიდასთან, ამოიღო ქალაღი და სანერად მოემზადა. მოწყალების დას ანიშნა გასულიყო. მარტო რომ დავრჩით, ალერსიანი ხმით შემეკითხა:

– თქვენი გვარი და სახელი?

– ზირან ზვიადაძე, – ვუპასუხე.

წლოვანება, პროფესია, დაბადების ადგილი რომ ჩანერა... მოულოდნელად შემეკითხა:

– ცნობა მაქვს, თქვენ თვითონ, თქვენი ფეხით მოსულხართ საავადმყოფოში. იქნებ გახსოვთ და მიპასუხოთ, რად ჩაიდინეთ ეს. რამ გაიძულათ თქვენი ფეხით რომ მოსულხართ საავადმყოფოში?

აგერ უკვე სამი თვეა, რაც საავადმყოფოში ვიყავი და არავის არ უკითხავს ჩემი საავადმყოფოში მოსვლის მიზეზი. მე, ცოტა არ იყოს, გამამხნევა ამ შეკითხვამ და გულახდილად ვუპასუხე:

– ექიმო, ჩემს შემოსვლას ცოტა გრძელი ისტორია აქვს, ვშიშობ, მოსაწყენი იქნება თქვენთვის ამის მოსმენა, რაც შეეხება ჩემს მოთავსებას, ეს იყო უბრალო შემთხვევის და გაუგებრობის ბრალი.

– მერე, რატომ გგონიათ, რომ მე არ მაინტერესებს თქვენი აქ მოსვლის თუნდაც გრძელი ისტორია? მე დრო ბევრი მაქვს და გთხოვთ, დაწვრილებით მომიყვით...

სხვა გზა არ იყო, უნდა მეთქვა ამ ქალისთვის ჩემი საიდუმლო. ძალიან ძნელი იყო ეს ჩემთვის, მაგრამ რას ვიზამდი...

– მე რომ დავიბადე, რაღაც განსაკუთრებული ბედი დამეცა თან. სრულიად არ ვგავდი ჩვეულებრივ ბავშვებს, ვიყავი ავი და დაუნდობელი. სულ პატარას, უცნაური ფიქრები მიტრიალებდა თავში... დავნალვლიანდი, დავინისლე. ჩემი ბავშვური თავი ძალიან პატარა გამოდგა მძიმე ფიქრების სატარებლად... არც ალერსი, არც დარიგება, არც პატრონობა არ მეკარებოდა... ვიზრდებოდი რაღაც უჩვეულო კანონით, უცნაურად. წამოვიზარდე... ყველას ეშინოდა ჩემი ბედის. სწავლა დავინწყე რაღაც საოცარი ჟინით. ჩემი თავი სულ სხვანაირად ამუშავდა. გულმა სხვანაირად დამინყო ცემა. ბოროტებას ძალიან ადრე მივხვდი ქვეყანაზე. ძალიან ადრე შევიყვარე ადამიანი, ძალიან ადრე შევიჯავრე ცხოვრება... თექვსმეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად ვცადე თავის მოკვლა, მაგრამ გადამარჩინეს. იმ დღიდან შევიყვარე ჩემი თავი... შევიყვარე სხვანაირად. იმ დღიდან იყო, რომ რაღაც უცნაურად გავიზარდე, უცნაურად დავინწყე სიარული ქვეყანაზე. მას შემდეგ დამიპატარავდა ქვეყანა, ხალხი. ადამიანი მომეჩვენა რაღაც პატარა, მავნე და საშიშ არსებად. შემდეგ, როცა წამოვიზარდე, სურვილები ამეშალა, ბრძოლა დავინწყე. ვებრძოდი მთელ ქვეყანას, ვებრძოდი ადამიანს, ვებრძოდი იმ

საშიშ და მავნე სიპატარავეს. ვებრძოდი და ვგრძნობდი, რომ ეს ბრძოლა იყო უთანასწორო. დიდხანს გასტანა ამ ბრძოლამ და გავიგე, რომ ქვეყანაზე ბევრია ასეთი ხალხი, აშლილი ნებით, ბოროტი ჭკუით, გესლით და შხამით. მაგრამ ისინი ჩაკეტილი ჰყავთ საგიჟეთში და განიარაღებულნი არიან. ისიც გავიგე, რომ საშუალება, რომლითაც იმორჩილებენ ამ მედგარ და ამაყ გულებს, ძალიან რთულია და მიუწვდომელი. გავიგე, რომ ეს საშიში იარაღი მეცნიერებაა და სახელად ჰქვია ფსიქიატრია. ამ დღიდან დავიწყე კითხვა ამ ფსიქიატრიის და, სიმართლე ითქვას, ვერაფერი გავიგე. საამისო არც მომზადება მქონდა და არც ცოდნა. მაშინ გადავწყვიტე წავსულიყავი საგიჟეთში, ჩემი თვალთ მენახა ეს ხალხი, ეს ქვეყანა და ამენერა. მეჩვენებინა ხალხისათვის ეს საიდუმლო გზნებათა ქვეყანა. დამემტკიცებინა ყველასათვის, რომ სცდებიან, რომ ადამიანის სიჭკვიანეს და შეშლილობას საზღვარი არა აქვს.

იმ დღიდან ბევრი დრო გავიდა და, რაც დრო გადიოდა, ეს სურვილი კი არ კლებულობდა, დღითი დღე მიცხოველდებოდა და მტანჯავდა... მაშინ ამ ქვეყანას, ამ ხალხს მე წარმოვიდგენდი ჩემი ფანტაზიით, მაგრამ ეს არ კმაროდა. როცა ზედმეტად მომბეზრდა ის ხალხი, ის ქვეყანა, მაშინ გადავწყვიტე მოვსულიყავი და მოვედი. სიმართლეს ვიტყვი, საავადმყოფოში მოთავსებას მაშინ სრულიადაც არა ვფიქრობდი. პირველი შეხვედრისთანავე ექიმებთან სულ სხვანაირად წამივიდა საქმე. თავიდანვე შეშლილად ჩამთვალეს. მეც ხელსაყრელად მეჩვენა ეს გარემოება და დაკითხვის დროსვე დამებადა აზრი, მომეტყუებინა ექიმები, მეთამაშა შეშლილის როლი და ვითამაშე კიდევ. მომათავსეს საავადმყოფოში. აგერ უკვე სამი თვეა, რაც აქა ვარ. ზედმინვენით გავეცანი ამ ხალხს, ამ სამყაროს. ბევრი ისეთი რამ ვნახე, რასაც თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი. დავიტანჯე სულით და სხეულით, ამ ხალხის შემყურე. შორეული ნაპირივით მეჩვენება ცხოვრება. ახლა მინდა ჭკვიანის როლი

ვითამაშო, გავიდე აქედან ერთხელ და სამუდამოდ. ვცადო ცხოვრება ქვეყანაზე, ვუთხრა ხალხს სიმართლე და მერე აღარას ვინაღვლი, თუნდაც სიკვდილამდის მომიხდეს აქ ცხოვრება... მე მითხრეს, რომ თქვენ მგრძნობიარე ექიმი ბრძანებულხართ. იცოდეთ, მხოლოდ თქვენ გაგანდეთ ჩემი საიდუმლო, რასაც სხვას არაფრის გულისთვის არ ვეტყვდი და დიდი იმედი მაქვს, რომ მომცემთ საშუალებას გავიდე აქედან, რომ გამოვაქვეყნო ეს საშიში და მძიმე შთაბეჭდილება.

მთელი ამ ლაპარაკის დროს ექიმი ოდნავადაც არ განძრეულა, ისე დაკვირვებული და დაფიქრებული მიგდებდა ყურს.

– მაშ, თქვენი სურვილი ყოფილა საავადმყოფოს ცხოვრების აღწერა. მერე, როგორ გგონიათ, შესძლებთ?

– კი, – ვუპასუხე...

– დაბეჭდვასაც შესძლებთ?..

– კი, – ვუპასუხე...

– მერე ხალხი გიცნობთ, როგორც მწერალს? წაიკითხავენ?..

– როგორ არ მიცნობს, თუ გნებავთ, ექიმო, გაგანდობთ პატიოსანი სიტყვის ქვეშ ჩემ ნამდვილ ვინაობას. ეს სახელი და გვარი მე განგებ მოვიგონე საგიჟეთისათვის.

ამ სიტყვებზე გაიცინა და მითხრა:

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

მაშინ ვუთხარი ჩემი ნამდვილი გვარი...

– რას ბრძანებთ, ნუთუ მართალია? – თქვა ექიმმა და ამ სიტყვებში იყო სინანულიც, აღერსიც, თანაგრძნობაც და პატივისცემაც. ჩანდა, საკმაოდ ნაცნობი გამოდგა ჩემი გვარი მისთვის, რომ ასეთი განცვიფრება გამოიწვია.

– მაშ, კარგი, კარგი, ზირან, დღეიდან ვეცდები როგორმე დაგიბრუნო შენი „სიჭკვიანე“, – სიცილით და აღერსით მითხრა, – მხოლოდ იცოდე, რასაც დაწერ, მართალი დაწერე... მაგრამ, ცალმხრივი რომ გამოვა, არ გიფიქრია მაგაზე?..

– როგორ?

– როგორ და ავადმყოფი ქალები რომ არ გინახავს? როგორ უნდა აღწერო?

– ქალების აღწერას მე არ ვაპირებ, ეგ ჩემთვის მიუწვდომელია და შეუძლებელიც, – ვუპასუხე მე.

– მაშ კარგი, ზირან, დაგეხმარები. ისე მაინტერესებს ამ ავადმყოფების ლიტერატურულ ფორმებში აღწერა, თუ სიტყვას მომცემ, რომ ჩემ ვინაობას არ გამოამჟღავნებ, მე მაქვს იმათი აღწერა, ბევრ მასალას გადმოგცემ. შენ დაამუშავე და გამოაქვეყნე, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავის არაფერს არ ეტყვი ამაზე.

მე მართლაც ბევრსა ვფიქრობდი გაგიჟებულ ქალებზე და არ ვიცოდი, როგორ მომეხერხებინა იმათი ნახვა, მითუმეტეს, იმათი აღწერა. სიხარულით ვუპასუხე. – თუ მაგას იზამთ ექიმო, გეფიცებით, სიკვდილამდის დაუვინყარი იქნება თქვენი სახელი ჩემთვის, თანაც საიდუმლო. კარგიო – დამთანხმდა. ისიც, როგორც ეტყობოდა, არანაკლებ იყო კმაყოფილი ამ გარემოებით. ამის შემდეგ ჩვენი ბაასი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ექიმი ფეხზე წამოდგა, მომიახლოვდა და ალერსით მითხრა:

– აბა, ზირან, ეხლა წადი ისევ შენს განყოფილებაში და მე დღეიდან შევუდგები შენს განწერაზე ზრუნვას, ჩემს მასალებსაც ამაღამვე გადმოგცემ, აქვე გაეცანი, თორემ ექიმის ჩანაწერების საავადმყოფოდან გატანა არ ღირს. გაეცანი ჯერ დაწერილს, მერე შეიძლება როგორმე გაგატარო კიდევ ქალთა განყოფილებაში, ეს შემდეგ, განერისას.

ამ სიტყვებით ისევ იმ მოწყალების დას დაუძახა და სრულიად სხვა კილოთი უთხრა: „ნაიყვანეთ განყოფილებაში“. ისევ იმ მოხვეული კიბით წამოვედით. სიმართლე უნდა ვთქვა, მიხაროდა საავადმყოფოდან გამოსვლაზე უფრო გადარეული ქალების გაცნობა – იმ ქალების, რომლებმაც არაერთი ბოროტება მომაცენეს ჩემს გამწარებულ ცხოვრებაში...

სადილი უკვე გათავებული იყო, განყოფილებაში რომ შევედით. შესვლისთანავე კაკო მომეგება. როგორც ჩანდა, მოუთმენლად ელოდა ჩემს მისვლას.

– ზირან, რა ჰქენი?

– კარგად არის საქმე, კარგად, – ვუპასუხე.

დავსხედით ჩემს სანოლზე და დანვრილებით ვუამბე ჩვენი ბაასი. ისიც მინდოდა მეთქვა, როგორ დამპირდა ექიმი თავისი დღიურების გადმოცემას, მაგრამ გამახსენდა – სიტყვა მქონდა მიცემული და დავმალე. კაკოს გულწრფელად გაუხარდა ჩემი საავადმყოფოდან გასვლის ამბავი, რომელიც თითქმის გამარჯვებას უდრიდა.

ამ ბაასში ნელნელა შემოგვალამდა. განყოფილებაში შუქი აანთეს. კაკოს მოწყენა დაეტყო, უხალისოდ ადგა, გამომემშვიდობა და გასწია თავის სანოლისაკენ. განყოფილებაში ხმაური ნელნელა მინყნარდა... ლამდებოდა. მარტო რომ დავრჩი, წამოვწეი და ფიქრს მივეცი თავი. რაზე აღარ ვფიქრობდი იმ ღამეს. სიჭკვიანეზე, სიგიჟეზე, ავადმყოფებზე, კაკოზე, ჩემს განერაზე, მომავალზე და უფრო კი ექიმზე, რომელსაც დაღამებისას უნდა გადმოეცა ჩემთვის თავისი მასალები. სულ მალე მოწყალების და დამადგა თავზე და აღერსიანად მითხრა: „ზვიადაძე წამომყევით“.

გამოვედით, ისევ აღერსიანად მითხრა:

– მორიგე ექიმის განკარგულებით თქვენ წყნართა განყოფილებაში ხართ გადაყვანილი.

– ვინ არის ამაღამ მორიგე ექიმი? – შევეკითხე და ჩემი მფარველი ექიმი ქალის სახელი რომ გავიგე, გამეხარდა. როგორც ჩანდა, განგებ იყო მოწყობილი ჩემი გადაყვანის საქმეც... განყოფილებაში მივედით. რა წყნარად მეჩვენა ეს განყოფილება, პირველად კი, აქ რომ მომიყვანეს, როგორ მეუცხოვა ამდენი ლაპარაკი და მოძრაობა. და მიკვირდა, ვერ გამეგო, თუ რად ერქვა ამ განყოფილებას წყნართა განყოფილება. ეხლა კი, მღელვარეთა განყოფილების შემდეგ, წყნარად კი არა, ძალიან წყნარად

მეჩვენა. მე უნებლიედ თვალი გადავაღვე ჩემს საწოლს, მაგრამ ზედ ვილაც ინვა... ადგილი უკვე დაეკავებინათ. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მთელი განყოფილება გამატარეს და ცალკე პატარა ოთახში შემიყვანეს. სუფთა საწოლი, პატარა თეთრი მაგიდა, თეთრი კედლები.

– აი, თქვენი ადგილი ეს იქნება, – მითხრა მონყალების დამ და გამშორდა. ამ სიჩუმეში მარტომ მოწყენილად ვიგრძენი თავი. სიმართლეს ვიტყვი, დამენანა მლელვარეთა განყოფილების დატოვება, ისე შევეჩვიე იმ მოძრაობას, იმ კვილს... მაგრამ რაღა იქნებოდა, გავასწორე საწოლი და ისევე, ხალათიანი წამოვწევი. ძილი გამიტყდა – ველარ ვისვენებდი... თანაც ველოდი, რა მოხდებოდა. კარგა ხანი გავიდა და ჩემი ვარაუდით შუალამე კარგა ხნის გადასული უნდა ყოფილიყო, რომ ოთახის კარები გაიღო და შემოვიდა ჩემი მფარველი ექიმი ქალი. ხელში შეკრული რაღაც ეჭირა.

– ბატონო ზირან, გძინავთ? – ალერსიანად შემეკითხა...

– უკაცრავად, – და წამოვხტი ფეხზე, – ბოდიშს ვიხდი, აღარ გელოდით...

– არაფრის, არაფრის... აი, მე ჩემი პირობა შევასრულე, – და ამ სიტყვებით გადმომცა შეკრული ქალაღები. თქვენი პირობის შესრულებისა კი თქვენ იცით, – ღიმილით მიპასუხა, – აქ იმიტომ გადმოგიყვანეთ, რომ უფრო მოსვენებით და გულდასმით წაგეკითხათ და გასცნობოდით, თანაც მე უკვე ველაპარაკე თქვენზე კოლეგებს, ცოტა პროფესორი არ მეთანხმება. არ სჯერა თქვენი ასე მალე მორჩენა, მაგრამ არა უშავს რა, იმასაც დავითანხმებ. იქნებ ამ დღეებში გაგწეროთ... თუ რამე დაგჭირდეთ, მომვლელებს სთხოვეთ... კარები შეგიძლიათ ჩაიკეტოთ. ამის განკარგულება უკვე გავეცი. ამ განყოფილების ექიმი ერთი კვირა არ იმუშავებს, მის მაგივრად მე ვიქნები. და ერთ კვირაშივე შეიძლება გაგწეროთ. აბა, ახლა ნახვამდის, დაიძინეთ...



ამ სიტყვებით გატრიალდა და გავიდა. ცნობისმოყვარეობა ისეთი მძაფრი გამოდგა, რომ, თუმცა ძალიან მეძინებოდა, მაინც გავხსენი ეს ქალაქები და ერთი თვალის გადავლებით გადავათვალე... შთაბეჭდილება რომ არ გამეფუჭებინა, დილისათვის გადავდე წაკითხვა, რათა დასვენებულ ტვინზე გულმოდგინედ და უფრო დანვრილებით გავცნობოდი... ქალაქები ისევ მზრუნველობით შევკარი, ბალიშის ქვეშ ამოვდე და დავწევი. სინყნარე იყო სრული. ამ სინყნარეში ღრმად ჩამძინებოდა. მეორე დღეს მოუთმენლად დავიწყე კითხვა.

## I ქალთა მღელვარე განყოფილება

საკმაოდ დიდი და ფართე ოთახი, რომელიც არც დერეფანი იყო, არც დარბაზი. ამ ოთახიდან შვიდი პატარა კარები შედიოდა შვიდ ოთახში. თითო ოთახში რვა მაგარი რკინის სანოლი იდგა. ოთახებს პატარა ფანჯრები მაღლა ჰქონდა დაყოლებული, ისე რომ კაცი ვერ შეხტებოდა. ფანჯრის წინ კედელი იყო დაქანებული მრგვალი კუთხეებით... ფანჯრები გარედან მაგრად იყო დარკინული გისოსებით. თითო ოთახს ჰქონდა ორ-ორი ფანჯარა. თითქოს საგანგებოდ, ყველა ფანჯრის ყველა მინა ჩამტვრეული იყო, საიდანაც ორმაგი ქარი სცემდა მთელ განყოფილებას. ეს გრძელი და განიერი დარბაზი სასადილოს როლს ასრულებდა, რადგანაც შუაში იდგა გრძელი სასადილო მაგიდა მთლად დაჭმული და დაკვნეტილი კუთხეებით. ორიც ძალიან გრძელი ხის სკამი. ეს იყო ამ განყოფილების მთელი ავლადიდება, რომელიც ვილაცის მზრუნველი ხელით გულმოდგინედ იყო აღწერილი საინვენტარო სიაში და განყოფილების შესასვლელშივე თვალსაჩინო ადგილზე ეკიდა. სხვა მაინც და მაინც არაფერი არ ახასიათებდა განყოფილებას, რაღაც მძიმე შმორის სუნის გარდა, რომელიც მიუხედავად ორპირი ქარისა, მაინც იდგა განყოფილებაში.

რისი იყო ეს სუნი უცბად, რასაკვირველია, ვერანაირი ცხვირი ვერ გამოიცნობდა, დიდი დაკვირვების შემდეგ კი აშკარა იყო, რომ ეს დამპალი და ჩაფსლიტიანებული თივისა და ბზის სუნი უნდა ყოფილიყო, რომლითაც ასე გულმოდგინედ იყო დატენილი ეგრეთწოდებული ლეიბები და ბალიშები. ცოტა მაგრად რომ დაგეჭირათ ხელი, რომელიც გინდა ლეიბისათვის, ისეთ კარგ წკეპლას გამოაძრობდით, რომ საცემადაც კი გამოდგებოდა. ყველა ბალიში ბრახიანად იკბინებოდა ბზით და დამპალი სუნით. ამის შემდეგ გასაგებია, რომ ავადმყოფებს ძილი ჰქონდათ გამფრთხალი და ვერავითარი წამალი ველარ სჭირდა, თუმცა ამ წამალს ვაძლევდით თითქმის ყველა ავადმყოფს ყოველი ძილის წინ. შეიძლება ნაწილობრივ ესეც იყო მიზეზი, რომ ამ განყოფილებაში ავადმყოფები განსაკუთრებულად ღელავდნენ. წარმოგიდგენიათ ქალის აღლევება? აქ სულ ყველაფერია: წივილიც, კივილიც, ტირილიც და ყოველივე ამას რომ დავუმატოთ უაზრო მოძრაობა და უადგილო სიცილი, სურათი სრული გამოვა. ამგვარი იყო შთაბეჭდილება, როდესაც სულ პირველად შევდგი ფეხი ამ საოცარ ადგილას. აქვე უნდა გამოვტყდე, რომ შესვლისთანავე საშინელი შიში ვიგრძენი. მეგონა, ჰა! ან ეხლა მწვედებიან თმებში, ან ეხლა, ან ამ ტანისამოსს სულმთლად შემომახვევენ. მაგრამ, მალე დავრწმუნდი, არც ერთი გამართლდა და არც მეორე. მაშასადამე, შიში ტყუილი აღმოჩნდა. მაგრამ მე მაინც მეშინოდა და სულ უკან და გვერდზე ვიყურებოდი. ეს ყოველი შემთხვევისათვის. ათი წუთიც არ გაგრძელდა ეს ჩემი პირველი „ვიზიტი“. მალე გამოვბრუნდი და ჩემს სამორიგეო ოთახში დავისვენე. ისეთ შთაბეჭდილებას ვტოვებდი, გეგონებოდათ განყოფილებაში კი არა, ბენვის ხიდზე გაუვლია ამ ქალს, იმ ბენვის ხიდზე, რომელიც ადუღებული კუპრის ტბაზეა გადებული, სამოთხისა თუ ჯოჯოხეთის შესასვლელთან ყველა მართალთა და ცოდვილთა გამოსაცდელად... ისე ვიყავი დაქანცული და შეშინებული. იმ დღეს, რასაკვირველია, ველარ გავბედე განყოფილებაში შესვლა,

თუმცა მოწყალების დები და მომვლელი ქალები თან მახლდნენ. მაგრამ ისინიც ხომ ქალები იყვნენ და ვერ ვენდობოდი.

იმ დღეს ადრე წავედი სახლში. მთელი დღე და ღამე მოუსვენრად გავატარე, რა ფორმის და ხარისხის შეშლილი არ მეღანდებოდა იმ ღამეს. რა სიზმარი არ ვნახე! ერთი სიტყვით, ვკანკალებდი და ვმოუსვენრობდი... მაგრამ რა საკვირველი ბუნების ყოფილა კაცი – თურმე რა მალე ეჩვევა მდგომარეობას. ამგვარად, თანდათანობით, ნელ-ნელა მეც შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას... და, წარმოიდგინეთ, არამც თუ შევეჩვიე, განყოფილებიდან გამოსვლაც კი აღარ მინდოდა, ისე დავუმეგობრდი ამ ბედდამწყველი ქალებს. ამ დღიდან ვფიქრობდი და ვიტანჯებოდი მათთან ერთად, თითქმის ვცხოვრობდი კიდეც მათთან ერთად, რადგანაც მთელი დღე, და უმეტესი წილი ღამეც, განყოფილებაში ვიყავი. რად დამემართა ასე, დღესაც არ ვიცი. ალბათ მეცნიერების სიყვარული თუ მამოძრავებდა. ეს მეცნიერება კი, სიმართლე ითქვას, ძალიან მიყვარდა. სხვანაირად, ზედმინვენით უდგებოდა ჩემს საკუთარ გზნებათა ქვეყანას, ჩემს საკუთარ ფიქრებს. როცა მძაფრი შთაბეჭდილების პირველმა შიშმა გაიარა და, ცოტად თუ ბევრად, მოვშინაურდი, მხოლოდ მაშინ შევუდექი ავადმყოფებზე დაკვირვებას და სწორედ ამ დღიდან გადამეშალა ეს საიდუმლო და საოცარი შეშლილთა ქვეყანა... აგერ ის ქალი, რა ლამაზია, რა ნაზი. საცოდავი, როგორ არ იღლება, რომ დღე და ღამე ტირის შეუჩერებლად. ნეტავ რა ატირებს? იქნებ, დედა მოუკვდა და ადრე დაობლდა. იქნებ, სატრფო მოუკვდა, ანდა უღალატა. ამ ფიქრით მივუახლოვდი ამ ახალგაზრდა მტირალ ქალს და ვანუგეშე:

– ნუ სტირი, გეთაყვა, ნუ სტირი, ამდენი ტირილი როგორ იქნება?

– მიშველეთ, გენაცვათ, მომკალით, მომკალით, მე სიცოცხლეს აღარ მინდა, – ტიროდა და გამეტებით იცემდა ხელს თავში. ვერავითარმა ნუგეშმა, ვერავითარმა დარიგებამ ვერ გაჭრა.

არც წამალი შველოდა ამ გაუთავებელ ტირილს. ჩვილი გულისა ვიყავი და განსაკუთრებულად ცუდად მოქმედებდა ჩემზე ეს ტირილი. ბევრი ვანუგეშე, ბევრი ვენვალე, მაგრამ ვერ გავაჩერე. კარგად რომ დაოსდა ტირილით, თვითონვე გაჩუმდა... უეცრად წამოვარდა ადგილიდან და დაიწყო საოცარი ცეკვა. ცეკვავდა უცნაურად, გიჟურად, თავდავიწყებით... ცეკვითაც რომ კარგად დაიქანცა, მომიახლოვდა და მითხრა:

– იცით, ეს რა არის? ეს ის ცეკვაა, რომელიც ვიცეკვე ჩემს სატროფოსთან უკანასკნელად, უკანასკნელ საღამოს. ოო! რა ძნელია ჩემთვის ეს საშინელი მოგონება. ოო! იმისი გამხდარი, დაქანცული და განითლებული სახე, იმისი მღვრიე და ჭკვიანი თვალები – როგორი საზარელი სიჩუმით შემომყურებდა... მე კი ვცეკვავდი აი, ასე... ვცეკვავდი უკანასკნელად იმის წინ. ძალიან კარგად ვგრძნობდი, რომ უკანასკნელად. აი, აქ, ამ საგიჟეთში მომიხდებოდა ცეკვა, იმის სიყვარულით გადარეულს, მეორედ, ო, ის საღამო, ო, ის შემოხედვა უკანასკნელი. მე ვერ ჩავიხედე იმის მღვრიე თვალებში, ვერ გავიგე მისი მშფოთვარე ფიქრი, ვერ მივხვდი მის სიჩუმეს, ასე განანამებს და სევდიანს. ვერ მივხვდი და განვშორდი. მე ვერ ჩავიხედე იმის მგზნებარე გულში, ვერ მივხვდი იმის სიყვარულს, იმისათვის გაუგებარს და უცნაურს. ვერ მივხვდი და განვშორდი. განშორებისას უკანასკნელად ვიცეკვე იმის წინ. ძალიან კარგად ვგრძნობდი, რომ მეორედ საგიჟეთში უნდა მეცეკვა, იმის სიყვარულით გადარეულს.

ამ სიტყვებით ხელახლად ატოკდა, რაღაც საიდუმლო და უცნაურ ცეკვაში. ყველაფერი იყო ამ მოძრაობაში: სიხარულიც, სიყვარულიც, ტანჯვაც, სევდაც, მუდარაც და უკანასკნელი განშორების ძნელი, ძალიან ძნელი წვალებაც. დიდხანს იცეკვა, ბოლოს, მთლად დაქანცული, განანამები საწოლზე დაეშვა და ისევ მწარედ, მწარედ აქვითინდა... მე ხელახლა ვაპირებდი ნუგეშს, რომ უცბად ვიღაც ავადმყოფი მომიახლოვდა, დაგეშილი მეძებარივით დამსუნა და მიყვირა: – გაეთრიე, გაეთრიე, აქედან!

ხომ ხედავ, როგორი სუნი გიდის, მთლად ყარხარ! შე ოჯახქორო და ვერ გრძნობ, გაეთრიე, გაეთრიე აქედან! – მიყვიროდა ეს უცნაური ავადმყოფი და თან ცხვირპირზე ხელს იფარებდა. – ფუჰ, ფუჰ, შე ოჯახქორო, ველარ დაიბანე ტანი? – ამ სიტყვებით მივლიდა გარშემო, და საკმაოდ ღელავდა. მე განცვიფრებული შევეყურებდი და მიკვირდა, ნუთუ, განყოფილებაში ასეთი მძიმე სუნი დგას, ამას ვერ გრძნობს და რა ნახა-მეთქი ჩემში. საკითხი უბრალოდ გამოირკვა – თურმე ავადმყოფს ყნოსვა ჰქონდა დაზიანებული და თუ ვინმე არ მოეწონებოდა, საძაგელ სუნსა გრძნობდა თურმე ყოველთვის.

– ვუიმე, ხალხო, თქვენ გენაცვალეთ, ეს რა მოხდა! ვუიმე, შვილებო, თქვენ გენაცვალეთ, შვილებო, სადა ხართ, ნეტავ კიდეც ცოცხლები ხართ?! – ასე კიოდა, ძალიან ხმამაღლა კიოდა ერთი ავადმყოფი და თავგამეტებით დარბოდა განყოფილებაში. რა შეაჩერებდა ამ საზარელ კივილს, ამ თავგამოდებულ სირბილს... კარგა ხნის სირბილის შემდეგ მივარდა ერთ საწოლს, საბანი, ლეიბი, ბალიში და ყველაფერი თავზე დაიყარა და იკივლა: – ვაიმე, ვაიმე, არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ! – კიოდა და მთელი ტანით კანკალებდა. მივუახლოვდი და ალერსით ვუთხარი: „ნუ გეშინია, ნუ სტირი, არაფერია“. ამ სიტყვებზე უფრო აკივლდა: – ვაიმე, ვაიმე, არ მომეკარო, არ მომეკარო!

ველარაფერი ვუთხარი... პატარა ხანი რომ გავიდა, თვითონვე დანყნარდა. გადაიყარა თავზე წაყრილი საბანი და ლეიბი, ისევ თავის ადგილას მიიტანა, მზრუნველობით გაასწორა და ზედ ჩამოჯდა სევდიანი და გაჩუმებული. დრო შეეურჩიე, ფრთხილად მივედი, გვერდზე მივუჯექი და ალერსიანად შევეკითხე:

– რა მოხდა, რამ შეგაშინა, რადა კიოდი? გახსოვს?..

– როგორ არ მახსოვს... ეს ამბავი ამ ერთი წლის წინათ მოხდა. ერთ ღამეს, მთელი დღის შრომით დაქანცულთ, წყნარად გვეძინა სახლში. ქმარი შინ არ იყო. შუალამე რომ კარგად გადავიდა და ღრმა ძილში ვიყავი, უეცრად შემომესმა საზარელი

კვილი: „ინვით, თავს უშველეთ!“ რაღაც უცნაური და საშინელი დამემართა. წამოვხტი გაგიჟებული, დავავლე სამივე შვილს ხელი და ვეცი კარებს, რომელიც მთლად ცეცხლის ალში გახვეული საშინლად გუზგუზებდა... ერთი კი ვიკივლე, ესლა მახსოვს და გული შემიღონდა... რამდენიმე დღის შემდეგ ცოტათი გონს რომ მოვედი, აქ ვიყავი, აი, ამ განყოფილებაში. რა იქნენ ჩემი შვილები, დღესაც არ ვიცი. მგონია კი, სამივენი დამეწვნენ... ამ სიტყვებზე რაღაც უცნაურად აკანკალდა, აიშალა, აენტო, თვალები გაუფართოვდა... თმები მალლა წაუვიდა. ერთი კი შეჰკივლა – ვაიმეო – თოფნაკრავივით წამოვარდა ადგილიდან და შურდულივით გაქანდა, ისევ ისე დარბოდა და კიოდა, საზარლად კიოდა. თურმე ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა ამ ამბავზე ლაპარაკობდა ან ფიქრობდა. საშინელი სანახაობა ეჩვენებოდა და იმეორებდა სწორედ იმას, რაც მაშინ ჩაიდინა პირველად, ცეცხლმოკიდებული სახლიდან რომ სცადა თავისი შვილების გადარჩენა... საკვირველია, დღესაც კი არა სჯერა ამ ავადმყოფს, რომ იმისი შვილები ცოცხლები არიან, რომ ის შვილებთან ერთად გადაარჩინეს. დღესაც რომ მოუყვანენ შვილებს სანახავად, შემინებული გაჰკივის: „მომაშორეთ, ეგენი როდის არიან ჩემი შვილები?! ჩემი შვილები იქ ჩამეწვნენ!.. იმ ცეცხლში“.

ისევ ისე იკივლებს და გარბის... მას შემდეგ თურმე უკვე ერთი წელიწადია და იმისი შიში ოდნავადაც კი არ შენეღდა.

ერთი ხანში შესული დედაკაცი მომიახლოვდა, წამავლო მკლავში ხელი და წამიყვანა. მთელი განყოფილება გამატარა და სულ უკანასკნელ სანოლზე დამსვა. შემდეგ ტურები ყურთან მომადო და ჩურჩულით მითხრა: – „აი, ეგენი სუყველანი ბოზები არიან“. თან თვალს მიშვრებოდა. ესლა რომ ეგრე კვიან და ხტუნაობენ, ამაღამ ნახავ, რა ჯურის კაცები არ მოსდით... დედაშვილობამ, ყველანი ბოზები არიან... ხომ იცი მაგათ „ის“ ანუხებთ, და ჩამიკრა თვალი, თორემ მამაძაღლის შვილები, რომ კვიან, რას კვიან, ან რას დარბიან. ეს მშვენიერი სახლი,

ეს მშვენიერი თეთრი პური და სასმელ-საჭმელი, რაღა უნდათ მეტი?... მაგრამ დედაშვილობამ „ის“ ანუხებთ, „ის“, – კიდევ ჩამიკრა თვალი და ღონივრად გადაინერა პირჯვარი, – აი, მეც მაგ ხნისა რომ ვიყავი და „ის“ მანუხებდა, ისე საშინლად ავიშლებოდი და ვკიოდი... მაგრამ ვენაცვალე ჩემს მიტროს... ვენაცვალე, მაშინვე გამიგებდა ხოლმე კარგი მკითხავივით, თუ რაც მანუხებდა... და ისე დამქანცავდა და დამასუსტებდა, რომ არამც თუ კივილის და სირბილის, განძრევის და ხმის ამოღების თავიც კი არა მქონდა... და ავადმყოფმა ხელახლა გადაინერა პირჯვარი. – ეგენი სუყველანი ბოზები არიან, ამისმა მადლმა – ისევ გადაინერა პირჯვარი, შემდეგ მომიბრუნდა და მზრუნველობით მითხრა, – ნადი, შვილო ოჯახი გექნება, სახლ-კარი გექნება, იმას მიხედე, თორემ ამათი ცქერა შენ რა ხელს მოგცემს, სულერთია, ამ კივილს და სირბილს ბოლო არ ექნება. აი, მე უკვე სამი წელიწადია აქა ვარ და ეგენი მაინც ისევ ისე კივიან და დარბიან. დედაშვილობამ, ნადი, მაგათ წამალი რად უნდათ, ან კი მაგათ რა წამალი გაუძლებთ, მაგათი წამალი „ის“ არის, „ის“, ღმერთს გეფიცები, აი, ამისმა მადლმა, – და კიდევ ფართედ და ღონივრად გადაინერა პირჯვარი. – ჰმ... ჩემი მიტრო, ის საცოდავი ისა! ქალების გიჟი იყო და ამ სიტყვებზე ნაღვლიანად აზმუკუნდა და ფართო თვალები ცრემლებით ავესო. ასეთი კი არ ვიყავი მაშინ, ახლა რომ მიყურებ – აი, ამხელა ბრგე დედაკაცი ვიყავი, ის კი, ის ძალღიშვილი, მსუნაგი ნადირივით იყო. ღამე რო ჩემთან იყო, დღე მთელ ქალაქს უვლიდა ულაცი მგელივით და ჰე! აკი ჩაძაღლდა – ძაღლის ლეკვები ამოვიდეს იმის საფლავზე... ჰო, ჩემი მიტრო, ის საცოდავი ისა, – და ხელახლად ავესო ცრემლებით ღია თვალები. აი, იმის წერილები. რაღას არა მწერდა ის საცოდავი!

ამ სიტყვებით ბალიში ასწია, მაგრამ რაღა არ იყო ამ ბალიშის ქვეშ: კენჭები, ჩხირები, ჩვრები, ასანთის ცარიელი კოლოფები,

პაპიროსის ნამწვები, ხმელი პურის ნატეხები, კიდეც რალაც აუარებელი შეკრული ჩვრები და ქალაღდები. უნდა გენახათ რა მონინებითა და მზრუნველობით ჰქონდა ყველაფერი ქალაღდებში შეკრული და შენახული. ვინ იქნებოდა ისეთი ყოჩალი, რომ ერთი პატარა ჩვრისთვის მაინც ხელი ეხლო! მაშინ ის, იმ ავადმყოფის რისხვას საღლა ნაუვიღოდა?

– რა არის ეგ? – უნებლიედ შევეკითხე.

– ეს ჩემი მზითევია. ქმარს რომ გავეყარე, რაც გაღამრჩა, უკანვე ნამოვიღე. კაცნი ვართ, იქნებ კიდეც მომიხდეს გათხოვება და ხელცარიელი ხომ არ გავყვები? – და ისევ, ჩვეულებისამებრ, ჩამიკრა თვალი, – აბა რა ეგონა მიტროს, იმ სულელს. რომ კვდებოდა, რას ფიქრობდა, მე ასე უპატრონოდ დავრჩებოდი? ასე ხელცარიელი? – ამ სიტყვებზე ერთი აღიღინდა, – დივილი-იმ დივილიმი, – და მალე უცნაურად აცმუკდა. საკვირველია, ამ ხნის დედაკაცი და სიღარბაისლე ოღნავაღაც არა ჰქონდა...

კიდეც ერთი უცნაური თვისება ჰქონდა: საოცრად აჯავრებდა ყველას სიარულს, ლაპარაკს, სიცილს... მერე უკანიღან მიეპარებოდა, დაებრიცებოდა ან ენას გამოუყოფდა, ან ხელებით ქოქოლას მიაყრიდა და, თუ ამ დროს შენიშნავდნენ, მაშინვე, ვითომც არაფერიაო, დოინჯშემოყრილი გვერდზე ჩაუვლიდა და დილიმ-ღალალის ლიღინით, ერთი სიტყვით, ამ საერთო კივიღში და მოძრაობაში რალაც თავისებური, საჭირო და აუცილებელი შეჰქონდა, რაც უფრო ამღაფრებდა ისეღაც მძიმე მღგომარეობას.

ავღექი და გამოვბრუნდი. ნამოსვლას ვაპირებდი, რომ ერთ-მა ახალგაზრდა და ძალიან ლამაზმა ქალმა გზა გაღამიღობა: „სიკო, გვედრები, ნუ მიღიხარ, შენი ვარ, სიკვიღამღე შენი ვარ!“ ამ სიტყვებით დამიჩოქა, მუხლებზე მომეხვია და ატირდა. ნამოვაცენე, დავუნყე გაჩუმება, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა, ნაზი ხმით მემუღარებოდა და მეხვეოდა მუხლებზე: – ნუ ნახვალ, გენაცვალე, ნუ ნახვალ – ნუ – ნუ... ნუ. რა უყავ შენი კოცნა, შენი აღერსი, შენი ვნებიანი ჩაკონება?... რა იქნა ჩვენი



ის პირველი გატაცება, ის პირველი სიყვარული? შენ არ იყავი, რომ ერთგულებას მპირდებოდი, თავდავინწყებით მკოცნიდი, ტკბილი ცრემლებით სავსე თვალებში, ვნებით ამწვარ ტუჩებში, ძუძუებში, ძუძუს თავებზე, მთელ სხეულზე, შენ არ იყავი, რომ მიკრავდი გულში მკვრივი შიშველი ტანით, ყელამდის ავსილი ვნებით და სურვილებით... აჰა! ეხლაც შენი ვარ! – ამ სიტყვებით გაიძრო საავადმყოფოს ხალათი და სხეული, მართლაც თეთრი უნაკლო გამოჩნდა. ამის შემდეგ წამოვარდა ფეხზე, რამდენჯერმე გაიზმორა ასეთის ვნებით და ნელა, რიტმულად, ოდნავი რხევით ჩემსკენ გამოცურდა, ისევ იმ მუდართით: „სიკო, გევედრები, ნუ მიდიხარ, შენი ვარ სიკვდილამდის, შენი ვარ“. ყველაფერი იყო ამ საუცხოო სხეულის რხევაში: ვნებაც, სურვილიც, ზიზლიც, სიყვარულიც, ვედრებაც, თავდავინწყებაც და უფრო – სინანული, მწვავე შურისძიებით აღსავსე სინანული, ასე ნაადრევად დამჭკნარი ახალგაზრდა გულისა. შემდეგ, მუდართით რომ ვერაფერი გააწყო, ვითომ შურისძიება სცადა. მთელი სხეული მრისხანებით მორკალა, ფრჩხილები გაიაღმასა და, ის იყო, რომ უნდა მცემოდა შიგ თვალებში, რომ საშინლად შეჰკივლა, უკულმა გადავარდა და მწარედ აქვითინდა. იმისი ლამაზი სხეულის იატაკზე დაცემის ხმამ მეხივით დამკრა თავსა და გულში, გადავხტი ისე, როგორც შემეძლო და ვცადე, ფეხზე ამეყენებინა... მაგრამ მთელი სხეული ქვასავით გამაგრებოდა, გაშეშებულიყო და საშინლად კანკალებდა... შიგა და შიგ მაინც ამოიკვნესებდა და ისევ იმას კიოდა: „სიკო, გევედრები, ნუ მიდიხარ, შენი ვარ, სიკვდილამდე შენი ვარ!“

აღარ ვიცოდი, რა მექნა. პატარა და უძლური მეჩვენა ჩემი თავი... ამ დროს ისევ ის მოხუცებული ქალი მომიახლოვდა და ჩვეულებრივი ხმით ყურში მიჩურჩულა: – ბოზია, მაგას „ის“ უნდა, შენ რომ იცი – და ისევ ისე ჩამიკრა თვალი... მაშეგ ოხერი რას ურტყამს მაგ საცოდავ თავს მიწას... „არა, არა მაგას „ის“ უნდა, აი ამისმა მადლმა – და ისევ ფართოდ გადაიწერა პირჯ-

ვარი. ეს დაცინვა უფრო მაუძღურებდა და ჩემთვის ვფიქრობდი: „ნეტავ შენ, რომ ასე უბრალოდ და სადად გაქვს განმარტებული ადამიანის საზარელი ტანჯვა, ნეტავ რამდენ სარგებლობას მოვიტანდი მეც, რომ შემძლებოდა ეგრე გულცივად ხედვა და უბრალო აზროვნება“. მაგრამ ეგრე რომ არ იყო! საოცრად მტკიოდა და მიკვნესოდა გული, ამ საცოდაობას რომ ვხედავდი, მაგრამ რას ვიზამდი, ცრემლით ცრემლი როგორ შემეშრო ავადმყოფისთვის, რა მეთქვა, რითი მენუგეშებიანა, როცა ჩვენს შორის მთელი უფსკრული იყო, რომელიც, მიუხედავად მეცნიერების ყოველგვარი ცდისა, კი არ ივსებოდა, უფრო ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა. ასე უძღური და მტკივნეულად პატარა დავიძარი ადგილიდან და წამოვედი. და ის იყო კარებში უნდა გამოვსულიყავი, რომ კიდევ ვილაც ავადმყოფმა შემაჩერა.

– უკაცრავად, ხომ ნახეთ ყველაფერი. ხომ ნახეთ, როგორ იტანჯებოდა ის ახალგაზრდა ქალი... ჰო... მაგრამ ვერაფერს ვერ მიხვდები, ვიდრე მთავარ მიზეზს არ გაიგებ. ამ მიზეზის გაგება კი მარტო ნახვით და ყურის დაგდებით არ შეიძლება... იმიტომ არ შეიძლება, რომ ეგ საიდუმლოა, რომელიც მე მეკუთვინის... რომელიც მთელ ქვეყანაზე ვერავინ ვერ გაიგო, ჩემს მეტმა. თქვენ, მგონი, მოგეხსენებათ, რომ დიდი სასანიდების დინასტია სპარსეთში ყაჯარებმა შეცვალეს. თუ ეს იცით, ისიც გეცოდინებათ, რომ ყაჯარების დინასტიაც განდევნეს სპარსეთიდან. უკანასკნელი პრინცი ამ დინასტიისა ევროპაში იმალებოდა. ჰო და აი, ის პრინცი მუზარმედინ ყაჯარი, ჩემი მეუღლეა. მე ქალაქში ველარ ვიცხოვრე, რიზა ხანის ფარული ჯაშუშები მოსვენებას აღარ მაძლევდნენ და აქ მოვედი, აქ, საგიჟეთში, რომ უკეთესად დავმალულიყავი, ვიდრე პრინცი, მუზარმედინ ყაჯარი, სპარსეთის ტახტს არ დაიბრუნებს და მე ზემოთ არ გამიყვანენ აქედან. თქვენ ნუ გაგიკვირდებათ ნურაფერი, აი, ამის დასამტკიცებელ საბუთსაც გაჩვენებთ. გაგეგონებათ, რომ შაჰ-აბას-ნასრ-ედ-

დინს, მპყრობელს მთელი სპარსეთისა, ჰირანისა და ჰირაყისა და დიდ ჯინარზად ყენენისას ჰქონდა გვირგვინი. ამ გვირგვინის უმთავრესი ღირსება იმ დიდ შავ ბრილიანტში იყო, რომელიც დიდის პატივით თაობიდან თაობაში გადადიოდა.

იცით, ყაჯარების დინასტია რომ გაიქცა სპარსეთიდან, ის ბრილიანტი მე ავგლიჯე იმ გვირგვინს და წამოვიღე. ეს არავინ არ იცის. თვალის ჩინივით ვუფრთხილდები ამ ძვირფას ქვას, რომელიც არის საუკეთესო სანინდარი ჩვენი ხელახლად გამეფებისა დიდი შაჰ-აბას-ნასრ-ედდინის ტახტზე! აი, ის ქვაც. ამ სიტყვებით გული გაიღელა და ილლიის ქვეშიდან გამოიღო რამდენიმე ჩვარში მზრუნველობით შეკრული რალაც. დიდის მონინებით გაშალა – კიდევ ქალაქებში იყო შეკრული, ისიც გაშალა და რუსული „გრაფინის“ გატეხილი თავი მაჩვენა. მერე შუქზე შეატრიალა და მითხრა:

– ხომ ხედავ ამ სხივების თამაშს? ეს თამაში იყო, რომ დინასტიები გადაიყოლა. ეს თამაში იყო, რომ მრავალს თავი დააკარგვინა; ეს თამაში იყო, რომ ლეტარგიკას ჰგვრიდა მთელ სპარსეთს მრავალი საუკუნეების მანძილზე...

შემდეგ ისევ ისე მონინებით შეახვია, ისევ ისე მზრუნველობით გამოკრა და გულზე ჩამოკიდებული ილლიის ქვეშ დამალა. „აი, ეხლა ხომ დარწმუნდი, თუ ვინცა ვარ, ხომ თავის თვალით ნახე ჩემი გვირგვინოსნობის ხილული საბუთი. ჰოდა, აი, ყოველ ღამე ჩემთან დაიარება მუზარმედინ ყაჯარი და ორივენი ერთად ვანყობთ დიდ შეთქმულებას. ნუ გაგიკვირდება, რომ ის შორს არის. სივრცე და დრო იმისთვის არ არსებობს. არც მაინცა და მაინც რამე ფიზიკის წესებს ემორჩილება. ის ხილულიც არის და უხილავიც. აი, ეხლა ხომ არ ჩანს, შეიძლება აქ იყოს და ყურს გვიგდებდეს. ეს ნუ გაგიკვირდებათ... აი, ეს წერილი გადაეცით პროფესორს და სთხოვეთ, პასუხი ხვალისთვის გამომიგზავნოს. თუ მე არ მეცალოს, აქ დაუტოვოს ვინმეს და გადმომცემენ.

რა საოცარი მადა ჰქონდა ლაპარაკის ამ ავადმყოფს. კარგად ჩანდა, რომ მთელი კვირაც რომ ელაპარაკა, არც დაიღლებოდა და არც სალაპარაკო შემოეღეოდა. ერთი რომელიმე ამბავი ისე კარგად და ხელოვნურად შედიოდა მეორეში, რომ თითქმის არ ჩანდა, როგორ იცვლებოდა ლაპარაკის აზრი. ჩანდა, რომ თითქოს აღარ გათავდებოდა ეს უნაპირო ამბავი. ნერილი მონინებით ჩამოვართვი და, რასაკვირველია, დავპირდი, რომ უსათუოდ დღესვე გადავცემდი დანიშნულებისამებრ. ისე იყო დაჯერებული ეს ავადმყოფი თავის საქციელში თუ სიმართლეში, რომ უსიტყვოდ დამიჯერა, გამომემშვიდობა, არც გავუფრთხილებივარ, და ისე გამშორდა. საკვირველია, ამდენს ლაპარაკობდა და ოდნავადაც კი არა ლელავდა... ამის შემდეგ მე გამოვედი განყოფილებიდან, თუმცა მკაფიოდ ვგრძნობდი, რომ ჩემმა შესვლამ და გამოსვლამ არაფერი სარგებლობა არ მოუტანა არავის. თუმცა დაკისრებულ მოვალეობას მაინც შესრულებულად ვთვლიდი, როცა საკმაოდ აღელვებული და აჩქარებული ნაბიჯით მივეშურებოდი იმ დღეს სახლისკენ, მძიმედ დატვირთული და გაბრუებული ნანახით და გაგონილით.

მეორე დღეს უფრო მეტი ხალისით გამოვცხადდი განყოფილებაში. არაფერი არ შეცვლილიყო, ისევ ის კივილი, წივილი, ტირილი, მოძრაობა, ისევ ის მძიმე და აუტანელი სუნი. რომელიც ასეთი გაბრაზებით ეტანებოდა ყნოსვას. შესვლისთანავე მომეგება ავადმყოფი და აღელვებით შემეკითხა:

– სხვა, რა ქენი, გადაეცი? რა თქვა, პასუხი როდის იქნება? მე ამ მოულოდნელმა დახვედრამ, ცოტა არ იყოს, ამრია, მაგრამ „დღესვე“, „დღესვე“, – ვუპასუხე და გავშორდი.

იმ დღეს ცუდი ამინდი იყო, წვიმდა. განყოფილება რალაც უცნაურად დაღვრემილიყო, მძიმე სევდა აწვებოდა გულს და აბრაზებდა... კივილიც, ტირილიც, კვნესაც სხვანაირად იჭრებოდა ყურში, რალაც სხვანაირად იკბინებოდა ტვინში და ცივ ყრუანტილად იშლებოდა მთელ სხეულში. ბინდით მოცული

განყოფილება უცნაურად დაყრუებულიყო, სიცილიც კი წვალე-  
ბად გეჩვენებოდა. ყველაფერს საშიში დალი ესვა ძალიან მძიმე  
და საოცარი წვალების. ყველაფერს ამას ყველაზე უკეთესად  
ავადმყოფი გულები გრძნობდნენ, რომლებიც დღეს სულ სხვა-  
ნაირად კენესოდნენ, სხვანაირად სცემდნენ და ანაღვლიანებდნენ  
გადარეულ ტვინებს. გუშინდელი აღგზნება სადღაც გაპარული-  
ყო და თითქმის ყველა ავადმყოფი მოეცვა სევდას. თითოეული  
მათგანის შემოხედვა ამ დღეს იყო რაღაც ნამიანი. ავადმყოფები  
მეტწილად სანოლებზე იწვნენ საბანწამოხურულები და თითქმის  
არ ინძრეოდნენ. საკვირველია, რა საოცარი გავლენა ჰქონია  
ამინდს და, საერთოდ, ბუნებას ტვინით ავადმყოფზე. მე კი  
დღემდის არ ვიცოდი.

ერთ-ერთ ავადმყოფს მივუახლოვდი და ვცადე საბანი ამეხა-  
და. ავადმყოფმა უფრო მაგრად ჩაბლუჯა საბანი და მოირკალა,  
დიდი წვალებით, ძლივს ავხადე. ავადმყოფი უცნაურად წამოიჭრა  
ფეხზე და მიკვილა: „შე უნამუსო, შენა, რა გინდა ჩემგან, რომ  
მოსვენებას არ მაძლევ?!“

მაგრამ თვალები რომ მოიფშვნიტა და კარგად შემომხედა,  
მიცნო.

– აა, თქვენა ხართ? აა, გამარჯობათ, გამარჯობათ, მე კი  
მეგონა, აღარ მოხვიდოდით.

მომეკრა ამ სიტყვებით გულზე და კოცნა დამიწყო. მკოცნიდა  
ყველგან, სადაც მოხვდებოდა... შემდეგ ცრემლით აევსო თვალე-  
ბი და ზმუკუნით დაიწყო:

– ვენაცვალე ჩემ მიტროს, საცოდავი, ცუდად გავუწიე  
ცოლობა... სულელი, რასა კვდებოდა, რომ კვდებოდა!

ავადმყოფი სალომე იყო. ამ ხმაურობამ ერთგვარი ნიშანი  
მისცა სხვა ავადმყოფებს, რომლებიც შეტოკდნენ საბანქვეშ.  
ზოგმა პირზე საბანი აიხადა და გამოიხედა, ზოგი საბნის ქვეშ  
უცნაურად აქვითინდა. მე სალომესთან განვაგრძობდი ბაასს,  
რომ ერთმა ავადმყოფმა ზრდილობიანად დამიძახა: „უკაცრავად,

აქეთ მობრძანდით“. მივედი, მაგრამ ავადმყოფმა შორიასლოს გამაჩერა და მითხრა:

– არა, არა, უკაცრავად, ახლო ნუ მოხვალთ, მანდედან მიპასუხეთ, მანდედან. თქვენ ქალაქში იქნებოდით, ხომ არაფერი გაგიგიათ ჩემი ძმის?

– არა, – ვუპასუხე, – არა!

– მაშ კარგი, თქვენ ვინა ბრძანდებით, უკაცრავად?

მე საჩქაროდ ვუთხარი, ვინც ვიყავი. ავადმყოფს გაუკვირდა ჩემი პასუხი და მითხრა:

– თუ ეგრეა, მაშ რატომ ყურადღებას არ მიაქცევთ თქვენს მომვლელებს? აი, გუშინ მწამლავდნენ, საჭმელი რომ მოჰქონდათ ჩემთვის, ჩუმად სანამლავი ჩამიყარეს... მე არა ვჭამე... გუშინდელს აქეთ არაფერი მიჭამია. აი, თუ არა გჯერათ, – და ამ სიტყვებით ქალაქში შეკრული რაღაც გადმომცა. მე მაშინვე გავხსენი ქალაქი და ვნახე კარგად მოხარული კარტოფილის ნაჭერი, რომელსაც ქინძის ნაჭრები ჰქონდა მიკრული.

– ეგ რა არის? ეხლავე მიპასუხეთ! – ბრძანების კილოთი მითხრა ავადმყოფმა.

– არაფერი, – მწვანილის ნაჭრებია, – სრულიად დამშვიდებულმა ვუპასუხე.

– როგორ მწვანილის ნაჭრები, აბა, თქვენც იმათი „შაიკისა“ ყოფილხართ! შორს, შორს, გამეცალეთ, მომშორდით! ფუ, ფუ, ნუ მწამლავთ, ნუ, ნუ! – და რაღაც არაადამიანური ხმით აკივლდა. ამ უადგილო და უაზრო კივილმა ბევრი ავადმყოფი აშალა. უეცრად განყოფილებას მოედო ვიღაც ავადმყოფი, რომელიც ქარიშხალივით ურბენდა და აწიოკებდა სუყველას. აირია უეცრად ყველაფერი, სულ რაღაც წამში ჯოჯოხეთს დაემსგავსა. თანდათანობით წამოიშალნენ ავადმყოფები. ზოგი რას აკეთებდა, ზოგი რას. კივილი, სიცილი, ტირილი, წივილი, ყოველი მოძრაობა ერთმანეთში აირია და შეიქმნა რაღაც საზარელი სანახაობა. აბურთავდა ლეიბი, ბალიში, ავარდა ბური. ვიღაც გამწარებული

ავადმყოფი დაუნდობლად ლეწავდა ფანჯრებს, ხელ-ფეხიდან, თავიდან, ცხვირიდან სისხლი გადმოსდიოდა თქრიალით. შველა უნდოდა, დაჭერა უნდოდა, მაგრამ ვინ იყო მშველელი ან დამჭერი? ვინ გაბედავდა შორიასლოს მიკარებას, მე შევედრკი, შიშის ზარმა დამცა და მთლად დამადუნა. ავკანკალდი, ხმის ამოღებას ველარ ვბედავდი. გამოვტყდები, რომ ასე ჯერ არ შემშინებია ჩემს ცხოვრებაში და რას გავხდებოდი? რა ძალა მქონდა? ავადმყოფმა რომ კარგად მოიხსნა გული, მუხლი მოეკვეთა და ღონემიხდილი დაეცა იატაკზე. მაშინ კი მივცვივდით, დავანვინეთ სანოლზე. მოვბანე ღია იარები, საიდანაც სისხლი თქრიალით გასდიოდა, სასწრაფოდ შევახვიე და, როგორც შემეძლო, ისე ვანუგეშე და დავანყნარე. კარგა ხანი რომ გავიდა, შეშინებული თვალებით შემომხედა და მკითხა: „წავიდა“? ხომ აღარავინ არის?... ეგ უსირცხვილო ეგა, აქაც კი არ მაძლევს მოსვენებას. რა უნდა ჩემგან, ხალხო, რა დავუშავე, რატომ არ მანებებს თავს, რატომ, რატომ! – და მწარედ აქვითინდა... კარგად რომ იჯერა გული ტირილით, შემეკითხა: რა იქნა, წავიდა? როგორ იტანჯება საცოდავი, წავიდა? აღარა დგას ფანჯარასთან? წავიდა?... ო... საცოდავი... საცოდავი...

– ვინა? –

– განა თქვენთვის სულერთი არ არის, ვინ მტანჯავს და მაბოროტებს? განა თქვენთვის სულერთი არ არის, ვინ მომიკლა გული, ყელამდე სავსე სიყვარულით? – ამ სიტყვებით უცბად წამოხტა და მითხრა, – არა, თქვენ კი არ გეგონოთ, რომ ის ტყუის ჩემთან! არა, მე ვტყუი... მე. რა ხანმოკლე ყოფილა წვალეზა, შეყვარებული გულის წვალეზა. ო! ო, რა მალე დამწვა მართალმა ვნებამ. იცი, სულ მუდამ იმის ტკბილ მკერდზე რომ ვიზმობოდი აი, ასე, – და ავადმყოფი მართლაც გაიზმორა რალაც სხვანაირად, ჟინით. – აი, ასე, ცხელი და შიშველი, გამაგიჟებელი ჟრუანტელი, რომელიც მივლიდა მთელ სხეულში – ვკანკალბდი, ვიზნიქებოდი, ვიწოდდი... უცნაური სურვილები

მიტრიალებდა თავში. მე მინდოდა გამელო იმისი მკერდი, იმისი ცოცხალი გული მაგრად დამეჭირა ხელში, იმისი აქაფებული ცხელი სისხლი დამელია, დამელია და გადავრეულიყავი. იცი, სულ მუდამ ასე შიშველი და ცხელი ღონივრად ვიზმორებოდი იმის განიერ მკერდზე, აი ასე, – და ავადმყოფი ხელახლა დაი-გრიხა, რალაც უცნაური ვნებით და წვალებით. უცბად გველივით ინივლა:

– აი, ნახეთ, ამ სხეულის პატრონს რა ვნება გამაძლებდა? – ამ სიტყვებით ავარდა ზეზე, საავადმყოფოს საცვლები განზე გასტყორცნა და საოცრად ნაკვეთი შიშველი სხეული გამოაჩინა. ისეთის ანთებით კიოდა და მოძრაობდა ეს ავადმყოფი, რომ მართლაც ჟრუანტელს მგვრიდა იმისი ცქერა. მაგრამ მალე აკანკალდა, აიღენა, ანითლდა, რალაც უცნაურად დაიგრიხა და საზარელი კივილით დაეცა საწოლზე. დიდხანს იგრიხებოდა ისევ ისე შიშველი და ცხელი, ისევ ისე ვნებიანი. კარგად რომ დაიქანცა, ნელნელა მოეშვა, მოდუნდა, გაყუჩდა. ეხლა მართლა სციოდა და კანკალებდა, ფერმიხდილი და გაფითრებული. მე მზრუნველობით ჩავაცვი საცვლები, თბილად დავხურე, მეგონა, დაიძინებდა, მაგრამ არა, მალე გააღო შორს ნასული თვალეები და ალერსიანი ღმილით მითხრა:

– უკაცრავად ექიმო, დიდი ხანია აქა ბრძანდები?

მერე ერთი კიდევ გაიზმორა და დაამატა, – უჰ, რა მაგრად მეძინა!“ – და ცრემლები ჩუმად მოინმინდა. ამ უჩვეულო სანახაობამ მთლად გამაბრუა. გული მტკიოდა და თავიც, უფრო კი გული, რადგანაც სუსტი მქონდა. ქალი ვიყავი, რა მექნა? მაგრამ მაინც მოკრძალებით მივუჯექი გვერდზე და ალერსიანად შევეკითხე:

– ეხლა სად არის შენი სატროფო?

– ვინ სატროფო? – განცვიფრებულმა მკითხა. მერე თქვენ იცნობთ იმას? რა ქნა, ხომ არ ისარგებლა ჩემი შეშლილობით? ხომ არ მღალატობს? ეჰ, განა მე არ ვიცი, რომ შეშლილი ვარ. ან კი რალად უნდივარ ასეთი შეშლილი?



ამ სიტყვებზე ისევ დაიწყო აღელვება, მაგრამ დავანყნარე, დავამშვიდე, მივუალერსე.

– მე არ ვიცი შენი სატროფო ვინ არის, მაგრამ მინდა კი გავიგო, რა განუხებს, იქნებ რითიმე დაგეხმარო, – ვუთხარი ეს და ალერსიანად გადავუვარცხნე ხელით ხშირი გიშრისფერი თმა. როგორც ჩანდა, ესიამოვნა და გაათბო ჩემმა ალერსმა... მომკიდა თანაგრძნობით ხელი, ჩემი ხელი ყელთან მიიტანა და მაგრად ჩაიკრა გულში.

– ექიმო, როგორც გატყობთ, თქვენც გყვარებიათ, რომ ასე გენათესავათ ჩემი ტანჯვა. თუ ასეა, გეტყვით, მართალს გეტყვით. გეტყვით ისე, როგორც მახსოვს, ჩემი შეშლილობის მწარე ამბავს. – ამ სიტყვებით დიდრონი ცისფერი თვალები ჭერს მიაპყრო, ჩემი ხელი გულთან მიიკრა და თითქმის ჩურჩულით დაიწყო.

– პატარა ვიყავი, დედ-მამა რომ დამეხოცა. იცი, ალერსი როდი ვიცოდი. ვიზრდებოდი ისე, ობლად, უალერსოდ, ქვეყანა მპატრონობდა პატარა ობოლს, არ ვიცი, რად, ყველას ვებრალებოდი. წამოვიზარდე ასე ბედის ანაბარა, შევეღრდი, ცხოვრებისა არა ვიცოდი რა. სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ვნება გამეღვიძა, ის ვნება, რომელმაც მე გამანამა და შემშალა. სულ სხვანაირად მიბრწყინავდა თვალები. მეგონა პირველ შეხვედრილ მამაკაცს შევიყვარებდი. მაგრამ ასე არ მოხდა. დიდხანს ვიარე მარტომ, დიდხანს ვითმინე, მაგრამ ვერავინ შემხვდა, ვერავინ შევიყვარე. ლამაზი ვიყავი და ბევრი მეტანებოდა, ბევრი მომწონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შევიყვარე. ბევრჯერ წამძლია სულმა, მაგრამ მაინც შევიკავე თავი. გული ვიღაცას უცდიდა, ვიღაც შორეულს. დრო გადიოდა ამ წვალეებაში. მაგრამ დიდხანს არ გაუვლია, როდესაც შევხვდი იმას, ვინც ჩამაგდო ამ მდგომარეობაში. ვინც მოსვენებას არ მაძლევს დღესაც. იცი, საკვირველი ის იყო, რომ სრულიად შემთხვევით შევხვდი. პირველ დანახვისთანავე შემზიზღდა. რაღაც საშინელი იყო, დაუნდობელი,

უცნაური. სრულიად არ ჰგავდა სხვებს არც გარეგნობით, არც ქცევით, არც ლაპარაკით. იყო რაღაც ველური, უხეში, არაადა-მიანური, განმარტოებული. იცი, როდი უნდოდა ჩემი გაცნობა, თავიდანვე მძიმე შეურაცხყოფა მომაცენა. მე განვცვიფრდი, ასეთი მამაკაცი ჯერ არ მენახა. მეზიზღებოდა ის, მაგრამ რაღაც ძალა მიზიდავდა. მსიამოვნებდა მისი უცნაური ლაპარაკიც, მისი უცნაური გარეგნობაც. მეზიზღებოდა კიდეც, ძალიან მეზიზღებოდა მისი ველური თავხედობა. ცოტაც და რაღაც საშინელმა ვნებამ იფეთქა ჩემში. მე ვნატრობდი მის შიშველ სხეულს, მის შავ, ღონიერ სხეულს.

– შემიყვარდა, ექიმო, რაღაც საშინელი და ავადმყოფური გრძნობით. ვერა ვძღვებოდი ჟინით და ვნებით, რომლითაც ყელამდის ვიყავი სავსე, ვიტანჯებოდი სასტიკი, არაადამიანური წვალებით. მიყვარდა, ძალიან მიყვარდა... მაგრამ თანაც მეზიზღებოდა. მე ვერ მოვდრიკე მისი უხეში ნება, ვერ გავტეხე მისი უხეში გული, ვერ გავუხსენი ბაგე და ვერ ვათქმევინე ალერსიანი სიტყვა, ვერ ვათქმევინე სიყვარული, დავიტანჯე, იცი ექიმო, საშინლად დავიტანჯე უცნაურ და ველურ ვნებაში, სხეულმა კი აიტანა ეს წვალება, ეს ვნება – მაგრამ ტვინმა ველარ აიტანა – შევიძალე. იცი, ექიმო, – აი ასე, – და სასტიკად იკივლა, – შევიძალე და მომათავსეს აი აქ. ის კი, ისევ გაჩუმებული და ცივი, სულ აქ არის, აგერ იმ ფანჯარასთან და ეხლაც კი ეშინია, მითხრას ალერსიანი სიტყვა. ეშინია, გამანდოს სიყვარული, ასე საჭირო და სანატრელი. ამ ყოფაში მე კი უფრო ვჭინიანობ, უფრო ვიტანჯები იმის შემყურე, და საშველი კი არსაიდან არ არის... ვერა, ექიმო, თუ მომკლავ, სხვანაირად ვერ დამეხმარები... სიკვდილი კი არ მინდა... მეშინია... სიკვდილი კი არა, სიცოცხლე მინდა, ლამაზი სიცოცხლე, მხიარული თეთრი კაბით და თეთრი ყვავილებით – ბევრი რამ იყო ამ სიტყვებში ძლიერი და სასტიკი, გრძნობით აღსავსე. მე მოთმინებით ვუგდებდი ყურს და იმაზე ვფიქრობდი, თუ რა მეთქვა ისეთი, რომ არ მენწყენინებინა, მაგ-

რამ რომ ვერ ვიპოვე ნუგეშის სიტყვა, უთქმელად გავშორდი. ავადმყოფმა საბანი წაიფარა თავზე და გაყურდა.

– მე არ გითხარი, მოტყუვდები მეთქი, ჰა? ეხლა ხომ დაიჯერე, მაშ რა გეგონა, შე კუზიანო შენა, შე ძაღლის შვილო შენა, იმ „ბულკივით“ ბიჭს რომ აეტორღიალე? ჰა? მული ვინ მამაძაღლია, რომ ოჯახის საქმეში ჩაერიოს. ძროხა მოუნველავიაო, საქონელი მოუვლელიაო, ეზო დასაგველიაო. თვალი მოითხარე და გააკეთე. ჩვენებთან სოსე ქალაქში რომ წავიდა, მერე შენ რა? გეგონა ლამაზ ჩიტებს ჩამოგიტანდა. მე თვითონ ჩიტი ვარ – ჩიტები რად მინდოდა. არ დაიჯერე, შე კუზიანო შენა... შვილიცა მყავდა და ოჯახიც, შენ არავინ არა გკითხავს, სოსე ვინ მამაძაღლია, რომ მეკითხებოდეს იმის სხვაგან წასვლა. მე სოსე რად მინდა. სოსეც შენა ხარ და ბოზიც! შე ძაღლის შვილო შენა! შენ დარბოდი ახურებული სოფელ-სოფელ თუ მე... ვიდრე ლამაზი და კარგი ვიყავი, გინდოდით და ეხლა გიჟი რაღად გინდივართ. მული? ვინ ძაღლია მული. მე მული რად მინდა? სოსე? სოსეც შენა ხარ და ბოზიც – მე რად მინდა შენი სოსე... შე კუზიანო შენა, შე ძაღლის შვილო შენა!!!

ამ სიტყვებით ერთი ხანშიშესული ავადმყოფი გამწარებული ეტანებოდა მეორე ავადმყოფს, რომელიც რაღაც უცნაურად გაშეშებული გაუნძრევლად იდო სანოლზე და იღიმებოდა. ეს ღიმილი და სიწყნარე, როგორც ჩანდა, უფრო აბოროტებდა ავადმყოფს, რომელიც უფრო მეტი გამეტებით ეტანებოდა. ჩემმა მისვლამ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა არც ერთზე, არც მეორეზე. მაგრამ მაინც ძალით ჩავეერიე ამ უთანასწორო ჩხუბში და ვცადე ავადმყოფის დაწყნარება. მოჩხუბარი ავადმყოფი მაშინვე მობრუნდა, კაბაზე წამავლო ხელი და მიყვირა:

– შე ძაღლის შვილო, გაიხადე, ვინ მოგცა ჩემი კაბა?!  
ესეც ჩემია, და პატარა საათის ოქროს ძეწკვზე წამავლო  
ხელი, რომელსაც განუშორებლივ გულზე ვატარებდი.

– „ხალხო! ქურდი დავიჭირე, ხალხო!“ და მწვავედ აკივლდა.  
ამ დროს მოვარდა ჩემი მეგობარი სალომე, ერთი ორი ნიხლი  
ჩასცხო შიგ ნელში და დაიყვირა:

– შე ქოფაკო ძაღლო! შე ტილიანო! მერე, იცი, ეს ვინ არის,  
შე ბებერო ბოზო, შე ძაღლის შვილო, შე ქოფაკო!

ავადმყოფი შეშინებული ხან მე შემომეყურებდა, ხან სალომეს  
და არ იცოდა, რითი გაემართლებინა თავი და რომ ველარაფერი  
მოახერხა, რაღაც უშნოდ დაიღრიჯა და ატირდა. სალომემ მარ-  
დად წამავლო ხელი, გამომიყვანა აქეთ და ჩურჩულით მითხრა:

– აი, ეგ დედაკაცი, ხომ ხედავ, როგორი ბებერია, იცი, ბო-  
ზია... ყოველ ღამე კაცები მოუდის მაგ ქოფაკს მაგას, თორემ რას  
ერჩოდა იმ საწყალ ავადმყოფს, ენაცვალოს დედა, ისეთი უწყ-  
ინარი და ჭკვიანია. ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, არამც თუ ხმას  
არ ამოიღებს – არც კი გაინძრევა – ნირსაც კი არ შეიცვლის...  
მაგაზე უწყინარი ავადმყოფი მაგათში არც ერთი არ არის და ეგ  
რომ ბოზი არ იყოს, რას ერჩის, რა დაუშავა? მაგრამ მაგას „ის“  
ანუხებს – ეშმაკურად ჩამიკრა თვალი... „ამისმა მადლმა“ – და  
ჩვეულებისამებრ ფართედ გადაინერა პირჯვარი. – აბა, ეგ რომ  
გარყვნილი დედაკაცი არ იყოს, აბა აქ რა უნდა? სახლი, კარი,  
შვილები დაუტოვებია და ქალაქში წამოსულა საბოზაოდ, მაშ  
რისთვის, ეგ ძაღლის შვილი... ეგ ქოფაკი. ო.. ო... მაგისი, – და ის  
იყო ხელახლა გაიწია სალომემ საცემრად, მაგრამ არ გავუშვი...  
ისიც აღარ გამიძალიანდა... მალე დაწყნარდა... დაწყნარდა და  
უცხად გამხიარულდა. შემდეგ ისევ ცრემლით აეცსო თვალები  
და მოთქმით დაიწყო:

– ხალხო, ქრისტიანებო, რასა შვრებით? განა მე ქალი არ  
ვიყავი? ვენაცვალე ჩემს მიტროს, ორმოცდახუთი წელიწადი  
ტკბილად ვატარე იმისი გვირგვინი, ნეტა ტყუილად მაინც შე-

მეხედოს კაცისთვის, რად მინდოდა, ხალხო, რად მინდოდა, ისეთი გაუმადლარი იყო ის სულძაღლი ჩემი მიტრო, რომ არამც თუ მე, ხუთი ჩემისთანა დედაკაცი არ ეყოფოდა. მაშ ვილას შევხედავდი მიტროს შემდეგ რად მინდოდა, ხალხო, რად?.. – ამის შემდეგ ფეხაკრეფით მომიახლოვდა, ტუჩები ყურთან მომადლო და მიჩურჩულა: „არც თუ ახლა დავინუნებდი „იმ“ ოხერს. მინდა, რა ვუყო, ამისმა მადლმა, მინდა, – და ისევ ფართედ გადაინერა პირჯვარი, რის შემდგომ საკმაო სიხარულით და სიმღერით, სამჯერ-ოთხჯერ შემოირბინა მთელი განყოფილება. შემდეგ ისევ ჩემთან გაჩერდა და მითხრა:

– აი, ასე შემოვირბენ ხოლმე განყოფილებას, ყოველთვის როცა რამე ცუდზე ვფიქრობ, მეც მაგათსავით კი არ მომყავს ვილაც-ვილაცეები ღამ-ღამობით. თუ ვინმე მითხოვს კანონიერად, თორემ ისე კაცი რად მინდა, ხი, ფუ! ფუ! ისე ღმერთმა მე მიშველოს, რომ კიდევ ბევრ კაცს გამოვადგე, მაშ! – ამ სიტყვებით ხელახლა აცმუკდა და რალაც ლაზათიანი სიმღერა შემოსძახა. სასაცილოც იყო და საკვირველიც ამ მოხუცებული ქალის ვნებიანობა, რომლის დაფარვასაც ასე ხერხიანად ცდილობდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ვერ მალავდა. ყველაზე გარყვნილი და უნმანური პირის მაინც სალომე იყო ყველა ავადმყოფში. კიდევ ბევრი ცუდი და კარგი ვნახე იმ დღეს განყოფილებაში, კიდევ ბევრი ლანძღვა-გინება მოვისმინე და ის იყო, გამოსვლას ვაპირებდი, რომ ერთ კუთხეში დაჩოქილი ავადმყოფი შევამჩნიე, რომელიც ჩუმად ქვითინებდა და გულმოდგინედ რალაცას ევედრებოდა ღმერთს. გავეშურე, რას ვიზამდი? ექიმი ვიყავი და, თუ არა მე, ვის უნდა ენუგეშებინა. მისვლისთანავე თანაგრძნობით და ალერსით გადავუსვი თავზე ხელი და ვუთხარი:

– ადექი, ქალო, რადა სტირი?

– ავდგე? მერე, განა სულ ერთი არ არის, დამდგარი დავიტანჯები, თუ დაჩოქილი? – მითხრა ეს და ცრემლებით სავსე თვალებით შემომხედა. მე რალაც უხერხულობა ვიგრძენი.

მხოლოდ ეხლა მივხვდი, რომ არ შეიძლებოდა ჩვეულებრივი ლაპარაკი ავადმყოფთან, მაგრამ რა მექნა? არაჩვეულებრივი ლაპარაკი ჯერ არ ვიცოდი. მაინც არ მოვეშვი და განვაგრძე:

– ნუ სტირი, ტირილი არ არის კარგი, ნუ სტირი!

– განა მე არ ვიცი, რომ ტირილი არ არის კარგი, რომ ტირილით ვერაფერს გავხდები, მაგრამ სხვა რაღა დამრჩენია? იქნებ ასე მაინც მოვაბეზრო ხალხს თავი, იქნებ ამის შემდეგ მაინც გამოჩნდეს ვინმე ქრისტიანი და მომკლას, მომაშოროს ამ ტანჯვას, ამ წვალეზას... ნუ ვტირი, მაშ რა ვქნა, სხვა რაღა დამრჩენია ცრემლის გარდა ამ ყოფაში ჩავარდნილ ქალს, სუსტს, უნებოს, გადარეულს... მითხარი, სხვა რაღა დამრჩენია? ტირილი არ არის კარგი? ვიცი, განა არ ვიცი, მაგრამ უფრო მძიმე საშუალებაც რომ ვიცოდე, იმასაც მოვიხმარდი. მაგრამ რა ვქნა, განიარაღებული ვარ, ისე გულმოდგინედ მადევნებენ თვალყურს, რომ არაფერი ავუტეხო ჩემს თავს! მაგრამ სულერთია... ერთხელაც იქნება ბოლო ექნება ამ ტანჯვას, ან კი რა სასიცოცხლო ვარ? მაშინ ვერ ვიმხიარულე, როცა დრო მქონდა მხიარულების, მაშინ ვერ დავტკბი სიცოცხლით, როცა საუკეთესო პირობები მქონდა ამისათვის, როცა შეყვარებული თვალები მზრუნველობით ადევნებდნენ თვალყურს ჩემს ყოველ ამოსუნთქვას, როცა უდარდელად ვიზმორებოდი გახურებულ ვნებაში, როცა მენოდა მთელი სხეული ცეცხლიანი კოცნით და სიყვარულით, მაშინ ვერ შევიყვარე ცხოვრება, არ ვისურვე სიცოცხლე და ეხლა ბინძურს, გადარეულს, გაგიჟებულს, უნებოს, რაღა დამრჩენია, ტირილის გარდა... რაღა დამრჩენია ცრემლის გარდა? ასეთი სასაცილო, უსახელო სიკვდილის მოლოდინში... კარგი, აღარ ვიტყვებ, მაგრამ განა სულ ერთი არ არის, ტირილით მოვკვდები თუ სიცილით... ხომ მოვკვდები, ხომ ველარაფერი ძალა ველარ განკურნავს ჩემს ცოდვებს, ჩემს ძნელსა და მძიმე დანაშაულს, ნუ მიშლი, გეთაყვა, დე, ვილოცო, იქნებ ლოცვით მაინც გამოვიდეს რამე... გამიგია, ღმერთი გულთამხილავიაო, იქნებ იმან მაინც შეისმონოს

ჩემი მუდარა, გაიგოს ჩემი ტანჯვა და შეინიროს ჩემი განანამე-  
ბი სული და სხეული. ნუ მიშლი გეთაყვა, ნუ, – და ხელახლა  
ატირდა. რაღას ვიზამდი, ასე დაჯერებულს რაღას ვეტყოდი? ან  
რა უფლება მქონდა შემეშალა ხელი ნუგემით, რომელიც კი არ  
ანყნარებდა, უფრო შლიდა და აბოროტებდა. აღარაფერი აღარ  
ვუთხარი. რაღაც უხერხულად ვგრძნობდი თავს, ნელი ნაბი-  
ჯით გავნიე კარებისკენ. კარებში ისევ ის ავადმყოფი მიცდიდა,  
რომელმაც სრულიად აუღელვებლად შემაჩერა და მომმართა:  
„თქვენ ტყუილად დაიარებით ამ განყოფილებაში, ხომ ხედავთ,  
რომ არც ერთი ავადმყოფი თქვენ არ გიჯერებთ და ეს იმიტომ  
ხდება, რომ ეგენი ყველანი მონანილენი არიან დიდი პრინც  
მუზარმედინ ყაჯარის შეთქმულებისა, თქვენ ნუ გგონიათ, რომ  
ეგენი შეშლილები იყვნენ, არა, განგებ სჩადიან ამას... და დრო  
რომ დადგება შურისძიების, მაშინ ნახეთ, რა მოხდება, როგორი  
დიდებით და პატივით გავალთ აქედან. თქვენ თავს ტყუილად  
ინუხებთ. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა გააკეთოთ საერთო  
საქმისთვის – თქვენ უნდა უბრძანოთ თქვენ მომვლელ ქალებს,  
რომლებიც თქვენ უფრო გიჯერებენ, ვიდრე მე, რომ შაქარს  
და საჭმელს ნუ იპარავენ, ნურც პურს. ამის მაგალითი ბევრია,  
გაფრთხილებთ, თუ საჩქაროდ ზომები არ იქნა მიღებული ამ  
აუტანელი ქურდობის აღმოსაფხვრელად, რაღაც საშინელი  
მოხდება და მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ,  
როგორც უფროსს. იცით ნუ შეეცდებით ნურავის დაფარვას,  
ნურც გამართლებას, საბუთები ყველა ამისი მე მაქვს... ყოველ-  
დღე ვგზავნი კაცს სამზარეულოში და ყოველდღე მიგზავნიან  
სიას. იცოდეთ, ამის მიხედვით ყოველდღე გვაკლდება შაქარიც,  
პურიც და სურსათიც. მე ჯერ ყველაფერ ამას ვმაღავ, მაგრამ  
გაფრთხილებთ, თუ სათანადო ზომებს არ მიიღებთ, ყველა დამ-  
ნაშავის სიას მუზარმედინ ყაჯარს გადავცემ და მერე გვიანლა  
იქნება. კიდევ გაფრთხილებთ: მდგომარეობა სერიოზულია და  
ყველაფრისათვის თქვენ აგებთ პასუხს, როგორც უფროსი და

მეთაური ამ საქმისა. ეს ბარათი გადაეცით პროფესორს, გუშინ რაც გამომრჩა ან გაუგებრად ვთქვი, აქ შევავსე და განვმარტე. ასე, ეხლა თქვენ იცით! ნახვამდის!

გამომეთხოვა და გაბრუნდა საკმაოდ ამაყად და მედიდურად. ეტყობოდა, რომ ჩემთან ლაპარაკის გაგრძელებას თითქმის აღარ სთვლიდა საჭიროდ.

რალა იქნებოდა, ამ ავადმყოფის საქციელმა უფრო შემაჯავრა ჩემი თავი, უფრო მწვავედ ვიგრძენი ჩემი უძლურება, მაგრამ მაინც გამოვედი. აშკარად ვგრძნობდი, რომ მე იმ დღეს განყოფილებაში ველარაფერს გავაკეთებდი, ჯერ ერთი, და მეორეც ის, უნდა ამეწონ-დამეწონა ნანახი და გაგონილი, უნდა გამომენახა რამე საშუალება, რომ ცოტათი მაინც გამემართლებინა ჩემი მუშაობის, მისვლა-მოსვლის და ამდენი წვალების აზრი. ამ მდგომარეობაში გადიოდა თვეები, რომელთაც მოჰქონდათ რალაც წვალება, გარკვეული ტკივილები თავის და გულის, უფრო კი გულის, იმიტომ, რომ უფრო გული მტკიოდა ყოველთვის, როდესაც იმათი კენესა და ტირილი მესმოდა, მესმოდა ტანჯვით და წვალებით სავსე სიტყვები, კივილი, ბედდანყევლილი კივილი ვნებაში და ტანჯვაში გაგიჟებული ტვინების. აღარც ჩემს ცოდნას ვენდობოდი, არც ცრემლებს, იმ გულწრფელ ცრემლებს, რომლებიც ყოველთვის მწვავენენ თვალებს, აღარც სხვა რაიმე ხერხებს, რომელიც ბლომად გააჩნდა ფსიქიატრიას. საშუალებას ვეძებდი, ნამდვილ საშუალებას, რომლის სახელიც მე ჯერ არ ვიცოდი და ურომლისოდაც აქ გაძნელდა ყოველივე ამის ატანა. აშკარად ვგრძნობდი, რომ ორში ერთი უნდა მომხდარიყო: ან უნდა გავქცეულიყავი ამ ხალხისაგან სადმე შორს, რომ აღარ მენახა იმათი ტანჯვა, აღარ გამეგონა იმათი კივილი, ასე უნ-უგემო, უიმედო, სასომიხდილი... ანდა უნდა დავბრუნებულიყავი ხალხში, მეცხოვრა მათთან, გამეზიარებინა იმათი წვალება, დავტანჯულიყავი იმავე ტანჯვით, იმავე წვალებით. მეტირა ისე გულწრფელად, როგორც ისინი ტიროდნენ. ერთი სიტყვით,



გავმხდარიყავი თანასწორი ნევრი ამ უცნაური და საიდუმლო ოჯახისა. ამაზე ვფიქრობდი დაქანცული და გაჩუმებული, როცა სახლისაკენ მოვეშურებოდი.

რალაც გაუგებარი მოხდა ამ დღეს, სხვანაირად მეჩვენა ქუჩაც და ხალხიც, მეზიზღებოდა თუ მებრალებოდა, გარკვეულად არ ვიცოდი, უფრო კი მეზიზღებოდა. იმიტომ, რომ ის მოძრაობდა, ფუსფუსებდა, რალაცას აკეთებდა და დრო აღარ ჰქონდა, ეფიქრა იმ ტკივილზე, რომელიც თითქმის ყველას ჰქონდა. რაც გარკვეულად ჩანდა მათ გაშტერებულ და გამოთაყვანებულ სახეებზე, მებრალებოდა კი იმიტომ, რომ ყველა მათგანში ენვალეზობდა გაგიჟება, რომელიც ვერა ბედავდა კარში გადმობტომას. ათასი ტყუილით და მართალით ცდილობდა ყველა სხვისთვის არ დაენახვებინა ის, რასაც თვითონ, მარტოდ, თავის თავთან გრძნობდა – ამიტომ იყო, რომ ყველა ჯამბაზობდა, გახეპირებული ლაპარაკით და ქცევით ცდილობდა ეჯობნა თავისთავისთვის, რომ სისულელე არ გამოჰქცეოდათ გამელოტებულ თავებიდან. საკვირველი ის იყო, რომ დღემდე მეჯავრებოდა ხალხი, მაგრამ რად? ვერ ვგრძნობდი, და დღეს კი ასე მკაფიოდ და ნათლად მივხვდი ყველაფერს, და გავმწარდი. საბედისწერო არჩევანი თითქმის გადაწყვეტილად მეჩვენა – სახლში რომ შევედი, და დავინახე ჩამწკრივებული ნიგნები, რუკები და სხვადასხვა ხელსაწყო – უფრო შევწუხდი იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი აღარ იყო ჩემთვის საჭირო, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გამცემდა პასუხს მღელვარე კითხვებზე, იმ გულწრფელობის გარდა, რომელსაც ვერ მომცემდა ვერავითარი ფსიქიატრია თავისი უთვალავი მეთოდით და ხელსაწყოთი. იმ დღეს სხვაზე აღარაფერზე აღარ მიფიქრია და სრულიად შეგნებულად ვემზადებოდი მეორე დღისთვის, საიდანაც უნდა დამენყო სულ სხვანაირი ცხოვრება, სხვანაირი ფიქრებით და განცდებით, რომელიც თითქმის პატარაობიდან მეზმანებოდა რალაც იდუმალი გზნებით აღსავსე შორეული, ძალიან შორეული ნაპირივით... ამის შემდეგ რალაც

მძიმე, ძალიან მძიმე მომეშვა გულიდან, რომელიც უშველებელი ლოდივით ზედ მანვა და სუნთქვას მიძნელებდა. ერთ წუთს რაღაც ტკბილი და ჯერ განუცდელი ნეტარება ვიგრძენი, რამაც სასიამოვნო ჟრუანტელით დამიარა მთელ სხეულში და გამაბრუნა... გამიმსუბუქდა მთელი სხეული და ტვინი, გული გამეხსნა, რომელიც ასე მაგრად იყო შეკრული მწუხარებით, სიხარული ჩამექცა სხეულში, ჯერ არნახული სიამოვნებით და ნელ-ნელა თვლემა ვინყე. ძილი ეტანებოდა დაქანცულ ტვინს და სხეულს და ნელნელა მიაცურებდა სადღაც შორს, უდარდელ და უნაპირო ქვეყნისაკენ...

მეორე დღეს საოცარი ხალისით ჩვეულებრივზე ადრე წავედი განყოფილებაში. ხომ ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ დღეს რაღაც უჩვეულოდ მიძგერდა გული. მალე მივედი, თითქმის ყველას გაუკვირდა ჩემი ასე ადრე მისვლა. მოუთმენლად ველოდი ავადმყოფების ნახვას, იმ ავადმყოფების, რომლებსაც აგერ, თითქმის ექვსი თვეა, ვხედავდი ყოველდღე, მაგრამ დღეს რაღაც სხვანაირი ვიყავი. მეგონა, რომ სულ სხვანაირად მიძგერდა გული, უფრო თავისუფლად, უფრო ხალისიანად. მართლაც, რა საოცარი ცვლილება მომხდარიყო ჩემში: ო! რა შესძლება რწმენას და სიყვარულს! განყოფილებაში შესვლისთანავე კარებში დამხვდა ავადმყოფი „მუზარმედინ ყაჯარის მეუღლე“, სწორედ ისე, როგორც ყოველთვის, მაგრამ დღეს რაღაც სხვანაირი, არაჩვეულებრივი მეჩვენა ეს ავადმყოფი, განსაკუთრებული სიყვარულით და თანაგრძნობით მოვუსმინე, დავპირდი, გულწრფელად დავპირდი გამეკეთებინა იმისთვის ყველაფერი, რაც კი შემეძლო. არ ვიცი, ავადმყოფმაც შემატყო რამე ცვლილება თუ რად? ჩვეულებრივზე ადრე და საკმაოდ თავაზიანად გამშორდა. ამის შემდეგ გავყვევი განყოფილებას... აგერ სალომეც, ჩემი სალომე, საბრალო, როგორ გაეხარდა ჩემი დანახვა. ჩანს, სხვა არავინ ინუხებს თავს, რომ დაელაპარაკოს მაინც ამ საბრალოს. რა ვუყოთ, რომ ავადმყოფია, რა ვუყოთ, რომ შემლილია, სამ-

აგიეროდ, ხომ ადამიანია, კარგი ადამიანი. საკვირველია, რა სიყვარულით შევყურებდი, დღეს სრულიადაც აღარ მაბრაზებდა მისი უნმანური სიტყვები, გაუთავებელი ლაპარაკი და ოხუნჯობა. ან აგერ, ის ავადმყოფი, განუწყვეტლივ რომ დგას დაჩოქილი კუთხეში და მწარედ ქვითინებს, რა სხვანაირად შემომესმის ეს სასომიხდილი გოდება... გუშინაც ხომ ასე ტიროდა, შეიძლება უფრო მწარედაც, მაგრამ რატომ არ მესმოდა ასე კარგად, ასე გულწრფელად, არა, დღეს ვეღარ გავუბედავ იმის თქმას, რაც გუშინ ვუთხარი, ვერა. დღეს სულ სხვანაირი ტკივილით მეჭრება იმისი ქვითინი ყურებში, ტვინში, მთელ სხეულში... ერთი სიტყვით, დღეს სულ სხვანაირი იყო განყოფილებაც, ავადმყოფებიც და წარმოიდგინეთ, სუნიც კი, რომელიც ისე ვეღარ მილიზიანებდა ყნოსვას, როგორც დღემდის. ჰოდა, აი, სწორედ ამ დღიდან დავიწყე ცხოვრება ამ ხალხში არა როგორც ექიმმა, არამედ როგორც ადამიანმა, რომელსაც მიყვარდა ეს ავადმყოფები, ეს ქვეყანა რაღაც უცნაური, მართლაც გიჟური გატაცებით. გარემოებაც, სულიერი განწყობილებაც ჭირვეულად უწყობდა ხელს ამ ჩემს უცნაურ გადაწყვეტილებას. აგერ უკვე რვა წელიწადია, სახლში სულმთლად მარტო ვცხოვრობდი. არავინ არ გამაჩნდა ქვეყანაზე, არც დედ-მამა, არც ნათესავები, არც თუ მეგობარი მყავდა ვინმე ისეთი, რომლისთვისაც შემეძლო გამეზიარებინა ფიქრები მაინც, სხვას ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ. ვიყავი მარტო ჩემს თავთან და წიგნებთან, რომლებმაც, უკვე დიდი ხანია, თავი მომაბეზრეს და არამც თუ წაკითხვა, იმათი ცქერაც კი მომწყინდა. ძალიან ხშირად, იმედმიხდილი და დაქანცული რომ ვბრუნდებოდი სახლში და მოშვებული სხეული ალერსს ეძებდა, სიტბოს, სიყვარულს – სქელტანიანი წიგნების სიცივე და სუნი მხვდებოდა გულზე, სხვანაირი ტკივილით, ამის შემდეგ გასაგებია, რომ შემჯავრდა ქვეყანაზე ყველაფერი, ხალხიც, ლაპარაკიც, მისვლა-მოსვლაც. დავიარებოდი დაფიქრებული, დაღონებული, დანისლული. რა მანუხებდა?

გული თუ ტვინი? უფრო კი გული, რადგანაც ქალი ვიყავი და ნაზი გული მქონდა, ტვინიც მტკიოდა, რადგან ვერც ის უძლებდა ამდენ ტკენას, ამდენ მარტოობას... გამიგონია, დღიური აღსარებააო და, თუ ეს ასეა, მეც გულწრფელი უნდა ვიყო, რომ უფრო გასაგები გახდეს ის ტკივილები და ტკენა, რომელიც ასე მიკლავდა გულს და მასევედიანებდა. იცით, მწარედ რომ ვიგრძენი ეს მდგომარეობა, ეს სიმარტოვე, სულ მთლად მოულოდნელად გადავწყვიტე ძირიანფესვიანად შემეცვალა ჩემი ცხოვრება. ქალი ვიყავი და, როგორ გგონიათ, რა შეცვლიდა ასე საფუძვლიანად ჩემს ცხოვრებას, ჩემს მარტოობას? მამაკაცი! ჰო... მეც ასე მეგონა და სწორედ იმ დღიდან დავუწყე ძებნა იმას, ვისაც უნდა ეხსნა ჩემი მომავალი და თვითონ მეც აშკარა დალუპვისაგან. მაგრამ ქალს, გასულელებულს ამდენი სწავლით და ცოდნით, რა საშუალება მქონდა იმისათვის, რომ კაცი მეშოვა, მეგობარი, სწორედ ისეთი, ვინც კარგად გაიგებდა ჩემს მიზანს, ჩემს უცნაურ სულისკვეთებას. ამ საქმისათვის ვნება იყო საჭირო, ის ვნება, რომელიც მე აღარ მქონდა, რომელიც დიდი ხანია შევწირე ჩემს სწავლას, გონების განვითარებას. უფნებოდ კი რა მექნა, რომელი კაცი შემირთავდა ჩემი მეცნიერების ცოდნისათვის. მაგრამ არც მეცნიერება ვიცოდი ისე, როგორც ეს იყო საჭირო. ქალი ვიყავი და რაღაც მაკლდა, რაღაც ისეთი, რამაც ამ მეცნიერებისაგან ძალიან შორს გამაჩერა და რაც სასტიკად მაბრაზებდა ყოველი ახალი ნიგნის დანახვაზე. ამგვარად, გარკვეულად ვგრძნობდი, რომ ჩამოვრჩი ერთს და ვერ დავენიე მეორეს. მაგრამ, თუმცა გვიან, მაინც ვიპოვე ჩემი თავი, ქალური ალღო მშველოდა ახალი ცხოვრების დანყებაში. ამის შემდეგ იყო, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად შევხვდი კაცს, რომელსაც დაველაპარაკე, როგორც ქალი. შემრცხვა, ძალიან შემრცხვა ჩემი თავის. მეგონა რაღაც მძიმე და მიუტყეველ დანაშაულს ჩავდიოდი, მაგრამ როგორც იყო შიშით, მაგრამ მაინც ვითმენდი ჩემი მომავალი საქმროს გააფთრებულ იერიშებს და მაკვირ-

ვებდა ის, რომ ვილაცას რაღაცით ვალიზიანებდი. გარკვეულად მზიზღდებოდა ჩემი თავი და ჩემი მომავალი სატრფო, მაგრამ რას ვიზამდი? სხვა გამოსავალი არ იყო... უნდა როგორმე დამეძლია ჩემი თავი, ძალა დამეტანებინა და უნდა გავყოლოდი იმ კაცს ცოლად. თუმცა ძალიან ძნელი იყო დიდი ხნის გადამღერებული გრძნობების ხელახლა ამღერება, მეტადრე ჩემს ხანში, თუმცა ძნელი იყო წვალება უკვე ჩამქრალი გულის, მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო, უნდა გამელო მსხვერპლი, რომელსაც მოითხოვდა ჩემგან ცხოვრება ასეთი დაჟინებით. მაგრამ ეს საქმე დამარცხდა იმ დღესვე, რა დღესაც ჩემმა საქმრომ მოინდომა ჩემთან შეუღლება. მამაკაცი იყო და რა ექნა. მოიქცა ისე, როგორც იქცევა ყველა მამაკაცი. მეც, რასაკვირველია, ისე უნდა მოვექცეულიყავი, როგორც ქალი, მაგრამ ვერ მოვიქეცი, სატრფო გამექცა იმ დღესვე და თან გაჰყვა ჩემი პირველი და უკანასკნელი წყევლაც. სადღა იყო გამოსავალი. რაღა უნდა მომხდარიყო ამის შემდეგ. უბრალოდ გასაგებია, რომ მარტოდმარტო ვრჩებოდი მთელ ქვეყანაზე, უპატრონოდ და უმეგობროდ, ჩემი თავის ამარა. ამის შემდეგ ამ გარემოებაზე ბევრი ვიფიქრე. ბევრი ღამე გავითეთრე და ბოლოს, დიდი წვალების შემდეგ, ძლივს მივხვდი იმ უბრალო და მარტივ ჭეშმარიტებას, რომ მე ქალად აღარ ვვარგოდი, მაგრამ ხომ უნდა გამემართლებინა რითიმე ჩემი ცოდნა, თუ გინდ ჩემი არსებობა? რა უნდა გამეკეთებინა ასე სასტიკად და უნუგემოდ დამარცხებულს – ქალს უნებოს – კეთილის გულით... მხოლოდ ქველმოქმედება, მაგრამ ხალხი რომ მეზიზღებოდა? რომ შიშისა და ზიზღის ჟრუანტელს მგვრიდა ადამიანი თავისი კუზიანი და ვინრო ბუნებით? დიდი ცოდვით დამძიმებული ჰაერი სუნთქვას მიძნელებდა და სულს მიხუთავდა – რა უნდა ყოფილიყო ჩემი ქველმოქმედება? ვის ან რითი უნდა დავხმარებოდი? აი, ამაზე რომ ვიფიქრე კარგა ხანს, გადავწყვიტე გავქცეულიყავი ავადმყოფებთან და ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა ტანჯვა შეშლილი ხალხის. ბევრი შიში და

ცრემლი, დიდი მოთმინება დამჭირდა, ვიდრე თვალი დაინახავდა იმ უხილავ იარებს, რომლებიც ძვლის კენჩხის იქით იმალებოდნენ, ვიდრე ყური გაიგებდა ავადმყოფი გულების კვნესას, ვიდრე გავიგებდი სულით ავადმყოფების წვალებას და ტანჯვას. ყველაფერი ეს ძალიან ძნელად და თითქმის მიუწვდომლად მეჩვენა, პირველად ფეხი რომ შევდგი იქ, მღელვარეთა განყოფილებაში. მაგრამ გავიდა დრო და დავრწმუნდი, ორი რამ იყო ამისათვის საჭირო და აუცილებელი: პირველი – რწმენა ამ საქმის და მეორე – ავადმყოფების სიყვარული. მივხვდი ამას და უეცრად გამიადვილდა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება. მას შემდეგ უკვე რამდენიმე წელიწადმა განვლო და ეს სიყვარული, ეს რწმენა ოდნავადაც კი არ შენეულა. არამც თუ შენეულა, უფრო გაძლიერდა და მე ვატყობ, რომ, რაც დრო გადის, თანდათანობით მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ სულით ავადმყოფობა – როგორც ავადმყოფობა, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ჭკუის, გრძნობების და მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობანი, სხვადასხვა კატეგორიები. ავიღოთ მაგალითად იდიოტი – ის სულით ავადმყოფია იმდენად, რამდენადაც ჭკუა არა აქვს განვითარებული, გრძნობა დახშული აქვს და ყოველგვარი მოქმედების უნარი – წართმეული. ასევე ჭკუით სისუსტე ნაადრევი, ანდა სიბერის ჟამს რომ აშკარავდება. ეს ავადმყოფობა კი არა, თანდაყოლილი ნაკლია, რომელიც აშკარავდება ან ნაადრევად, ან დაგვიანებით. აი, ამგვარი საზომით რომ მივუდექი ყველა სულით ავადმყოფს, მაშინ მეჩვენა რაღაც საოცარი, გრანდიოზული სანახაობა. მაშინ ვნახე ხალხი ათასნაირი ჭკუით, უთვალავი გრძნობითა და მოქმედების ათასნაირი შესაძლებლობით. კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ ერთი რამ აშკარა გახდა ჩემთვის – რომ არც ერთს, ამ ავადმყოფებში აღარა ჰქონდა თავშეკავების უნარი ანდა სურვილი. საავადმყოფოში აღარაფერი აღარ იყო ისეთი, რომ საჭირო ყოფილიყო ეს მავნე და საძაგელი თავშეკავება. ტირილი, კივილი, ლოცვა ისევე იყო მისაღები,

როგორც სიცილი, ცეკვა, ლანძღვა. არც ერთი კანონი, არც საზოგადოებრივი მყუდროების, არც საზოგადოებრივი თავდაცვის, სუსტის მფარველობის და კაცთმოყვარეობის აღარ სწამდათ აქ. სამაგიეროდ, ადამიანი იყო მოცემული მთლიანად, განთავისუფლებული ყოველგვარი მავნე მოვალეობისაგან, ესე იგი ისეთი როგორიც არის: ჭკუის, გრძნობების და მოქმედების მაქსიმუმით. ამგვარად, შეშლილი იყო ის, ვინც ტიროდა იქ, სადაც ტირილი არ შეიძლებოდა, ვინც კიოდა იქ, სადაც კივილი აკრძალული იყო, მოძრაობდა იქ, სადაც კანონით მყუდროება უნდა ყოფილიყო და ცეკვავდა იქ, სადაც კანონით ლოცვა უნდა ყოფილიყო. შეშლილი იყო ის, ვინც გრანდიოზულ გეგმებს აწყობდა ტვინისა და სურვილების უსაზღვრო გაქანებისთვის, ანდა აღარ აკმაყოფილებდა თავისი სისუსტე, სიპატარავე, ორდინალური მდგომარეობა და გულწრფელად სურდა, ყოფილიყო ღმერთი, მეფე, მთავარსარდალი, სიმართლისა და თანასწორობის დიდი და პირველი მოციქული. ეს იმიტომ, რომ ქვეყანაზე ყოველგვარი სურვილი გამეფების, გაღმერთების და დიდი მოციქულობის უღმრთოდ იყო ჩაკლული საოცარი კანონებით, რომლებსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი მყუდროება არსად არ დარღვეულიყო.

ამგვარი დასკვნების შემდეგ ჩემი ოცნება უნებლიედ გადადიოდა იმ შორეულ მომავალში, როდესაც კაცობრიობა შეგნებულად მოსპობდა ყველა იმ კანონს და შესაძლებლობას მისცემდა ადამიანს გამოაშკარავებულებულიყო ისე, როგორიც არის თავისი ჭკუის, გრძნობების და სურვილების სრული შესაძლებლობით, ყოველგვარი რასობრივი, გვარიშვილობისა და კლასობრივი უპირატესობის გარეშე – მაშინ გაჩნდებოდა ქვეყანაზე ის ნამდვილი ადამიანი, რომლის მოლოდინშიც ასე ნაადრევად გახმა ბევრი მოაზროვნე ადამიანის, მაღალი და ფართე სურვილი. ეს რომ მოხდებოდა, მაშინ მთელი კაცობრიობა დაყოფილი იქნება ჭკუის, გრძნობების და შემოქმედების სხვადასხვა კატეგორიებად და ეს

დაყოფა იქნება მართალი, ყოველგვარი დიპლომის და კანონიერი უპირატესობის გარეშე. მაგრამ, ვიდრე ეს არ მოხდება, საავადმყოფო დარჩება იმ ადგილად, სადაც აღარა სწამთ აღარავითარი კანონი, რომელიც უშლის ჭკუის, გრძნობებისა და მოქმედების გამომჟღავნებას და ავადმყოფები კი დარჩებიან მომავალი განთავისუფლებული ადამიანის საუკეთესო მაგალითად.

აი, სწორედ ამიტომ გახდა ამ ხალხის გასაგებად ასე აუცილებელი ორი რამ: მომავლის რწმენა და ნაადრევად განთავისუფლებული ხალხის სიყვარული, რომელსაც ვერ იძლეოდა ფსიქიატრია თავისი უთვალავი კლასიფიკაციებით და ათასგვარი კვლევის და მკურნალობის მეთოდებით. აქვე უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ამგვარი გაგების შემდეგ ზედმეტად გამიძნელდა მუშაობა საავადმყოფოში, როგორც ექიმს. ნაფიცო ექიმური სინდისი ვეღარ ურიგდებოდა ჩემი ტვინის სითამამეს. გულწრფელად გამოვტყდები და ვიტყვი: ექიმობას ავადმყოფობა მერჩივნა, რომ უფრო მართალი ვყოფილიყავი ჩემ თავთან, მაგრამ რას ვიზამდი, ამისთვის ათასნაირი გაქანება იყო საჭირო, ერთგვარი მალალი ნიჭი, რომელიც მე არ მქონდა. რალა იქნებოდა, მინდოდა თუ არ მინდოდა, მაინც ექიმად უნდა დავრჩენილიყავი, რაც საშინლად მაბრაზებდა, მაგრამ რას ვიზამდი, დიპლომის მონად უნდა დავრჩენილიყავი სიკვდილამდის, ამის მეტი სხვა გამოსავალი აღარ იყო, თავის მოკვლის გარდა, რაც გაქცევას ნიშნავდა... მაგრამ მე არ შემეძლო გაქცევა, რადგანაც ყველა გასაქცევი გზა, უკვე დიდი ხანია, აფეთქებული მქონდა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ დავრჩი ექიმად იმ გაუტყეხელი რწმენით, რომ ერთხელ მაინც ვიტყოდი იმას, რაც მტანჯავდა, ვიტყოდი სიმართლეს, თუ გინდაც ამისთვის მასხრად და სასაცილოდ ავეგდე ფსიქიატრიას და ფსიქიატრებს... ამ მიზნით დავწერე ეს დღიური, მაგრამ წერა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე საჯაროდ გამოაშკარავება. არ ვიცი, შემდეგ რა მოხდება, ის კი ვიცი, რომ ვიდრე ცოცხალი ვარ, ეს დღიურები ვერ ნახავენ დღის სინათლეს



და როცა მოვკვდები, მაშინ რალა აზრი ექნება. ალბათ ერთი გიჟით ნაკლები დარჩება ამ მაცდურ ქვეყანაზე“.

ასეთი აღსარებით თავდებოდა ეს საოცარი დღიურები და საკვირველი იყო, რომ ყველაფერ ამას წერდა ექიმი, რალაც შურისძიებით გაბოროტებული, რომელსაც ეზიზღებოდა ქვეყანა, ხალხი, როგორც გულწრფელ, მართალ ადამიანს, რომელმაც ისწავლა, ბევრი ისწავლა და ბოლოს კი მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სულით ავადმყოფი მოგონილი ამბავია, რომ არ არსებობს არავითარი ამგვარი ავადმყოფობა, ტვინის გრძნობის და მოქმედების სხვადასხვა კატეგორიების გარეშე, რომ ყველაფერი ეს მოგონილია ხერხემალდამბალი ხალხისაგან, ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი თავდაცვის მიზნით. იცოდეთ, რომ მეც თითქმის ამ დასკვნამდე მივედი, მაგრამ ამდენი ცოდნა აღარ მქონდა რომ ასე მარტივად, ასეთი სიმართლით ამეხსნა ეს მართლაც საშიში და საზარელი მოვლენა... და ყოველივე ეს რომ წავიკითხე, რალაც მწარედ მეცნო და მთლად გავიმსჭვალე ამ მართალი ადამიანის პატივისცემით. კიდევ რამდენჯერმე გადავთვალე ეს საბედისწერო დასკვნები, კიდევ ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ბოლოს მაინც დავრწმუნდი ყველაფერ ამის უტყუარ სიმართლეში. დავრწმუნდი და მწარედ დავფიქრდი. ამის შემდეგ უკვე მე თვითონ გამიადვილდა შემდეგი დასკვნების გამოტანა. კიდევ ბევრი მწარე ფიქრი ამეშალა ამ დღიურების წაკითხვის შემდეგ... და, ვინ იცის, კიდევ რამდენი საღი და მართალი აზრი დამებადებოდა, რომ ვილაცამ დააკაკუნა კარებზე. მოულოდნელმა ხმაურმა შემაკრთო. მაშინვე წამოვხტი და გავაღე. კარებში მონყალების და იდგა.

– აბა, ზვიადაძე, თუმცა დანიშნული არა გაქვს წამალი, მაგრამ ამას ყველა ავადმყოფს ვასმევთ, – და წამლით სავსე ისევ ის ნაცნობი, დაჟანგული თუნუქის კოვზი გამომიწოდა. უარი ვეღარ ვთქვი, ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა ყველაფერი. საჩქაროდ გამოვართვი და ჩავისხი პირში, რალაც

საზიზღარი მომლაშო სითხე, რომლის დაღვევაც უფრო ადვილი მეჩვენა, ვიდრე ამ მოწყალეების დასთან ლაპარაკი. ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ისევ იმ ნაცნობმა ზარის ხმამ შეაშფოთა მთელი განყოფილება. მოხდა ყველაფერი სწორედ ისე, როგორც იყო პირველად. დიდი ჩხუბისა და თუნუქის თეფშების ტრიალის შემდეგ, ყველანი ისევ დანყნარდნენ. მეც შევედი ჩემს ოთახში, კარები ჩავიკეტე შიგნიდან და ისევ იმ ფიქრებს მივეცი თავი. რალაზე არ ვფიქრობდი მაშინ? ნაკითხულ დღიურებზე, ექიმებზე, ავადმყოფებზე, ხალხზე, ჩემ თავზე, კაკოზე, ბოროტებაზე, უსამართლობაზე და, ვინ იცის, კიდევ რაზე. და ამ ფიქრებით დაქანცულსა და განანამებს ღრმად დამძინებოდა. კარგად დაღამებული იქნებოდა, რომ ნელი კაკუნი ჩამესმა ძილში. შევკრთი, რადგანაც საკმაოდ დაშინებული ვიყავი, საჩქაროდ წამოვხტი და გავალე კარები. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ჩემი მფარველი ექიმი ქალი დავინახე. შევშფოთდი, ასე მოულოდნელად არ ველოდი იმის მოსვლას, მაგრამ ექიმმა ცივად მითხრა: „ნუ სწუხარ, ეს არაფერი, შემოვლაზე ვიყავი და დაგხედე, სხვა, ხომ ყველაფერი რიგზეა, ხომ არაფერი გაქვს სათქმელი“. თქვა ეს და ნელი ნაბიჯით შემომყვა ოთახში. როგორც ჩანდა, ეს იყო ოფიციალური მიზეზი ნახვის, ნამდვილი მიზეზი კი სხვა იყო, საიდუმლო, რომელიც, როგორც ჩანდა, ჩემს ექიმს საკმაოდ ტანჯავდა და აღელვებდა. მოწყალეების და აღარ შემოსულა. დავრჩით ჩვენ ორნი. ექიმი მომიბრუნდა და მკითხა: რა ქენით, ზირან, ნაკითხეთ?

– კი ნავიკითხე, მაგრამ ჯობდა, რომ არ წამეკითხა. ოდნავ ანითლდა, უცნაურად გაიღიმა და მითხრა:

– რათა, რა მოხდა? ალბათ, არ მოგეწონათ?!

– არა, აქ მოწონების და დაწუნების საკითხი არ არის, – ვუპასუხე. აქ სიმართლეა და ისე მოურიდეblად ნათქვამი, რომ ან უნდა მიიღო, ან უარჰყო ყოველგვარი მოწონებისა და დაწუნების გარეშე. ამის მისაღებად კი სწორედ ის რწმენა არის საჭირო,

ურომლისოდაც, როგორც ჩანს, ვერც თქვენ დაწერდით იმას, რაც დაწერეთ. მე კი სწორედ ეს რწმენა მაკლია, ექიმო, და იმიტომ ვარ უბედური, იმიტომ გავრბივარ აქედან ისევ იქ, ხალხში, იმ ქვეყანაში. არ მინდა, ექიმო, ჯერ არ მინდა დავიჯერო, რომ ცხოვრება ასე დაეცა და გათახსირდა. კიდევ რალაცის იმედი მაქვს. ერთხელ კიდევ მინდა ვცადო განავარდება დაურკინავ სივრცეებში.

ექიმი გულმოდგინედ მიგდებდა ყურს და, როგორც ჩანს, ესმოდა, ძალიან კარგად ესმოდა ჩემი ნათქვამი, რომ მტკიცედ შემეკითხა:

– მერე, როგორ გგონია, ზირან, აი, ეგ თქვენი საკუთარი წვალეა რისი შედეგია, ჩემი დღიურების, თუ იმ უსინდისობის და ძალმომრეობის, რომელმაც ეს დღიურები დამანერინა? მე კი მგონია, რომ შენი და ჩემი წვალეა ერთმანეთს ენათესავება. შენც და მეც ერთი შხამიანი ეკლითა ვართ ნაჩხვლეტნი, ერთნაირად გვაქვს სისხლი მოშხამული ამ შხამით, ამ ბოროტებით... მხოლოდ ჩვენს შორის მაინც არის განსხვავება. შენ ჩემზე უკეთეს პირობებში ხარ იმით, რომ შეგიძლია თქვა ყველაფერი, რაც განუხებს. შეგიძლია დაწერო და დაბეჭდო ნანახი და გაგონილი, აი, აქ, ამ ჯოჯოხეთში, სადაც ხალხი იტანჯება, უფრო მეტი ტანჯვით, უფრო მეტი წვალებით. მე კი უნდა ვუყურო ყოველივე ამას და ვიტანჯო. იცი, ზირან, უსიტყვოდ ვიტანჯო სიკვდილამდის, თუ მე თვითონ არ შევიშალე, ანდა ძალით არ შემშალეს.

ამის შემდეგ ლაპარაკი აღარ გაუგრძელებია, საჩქაროდ წამოდგა ფეხზე, გატრიალდა და გავიდა. გასვლისას ერთხელ კიდევ შემომხედა, ერთხელ კიდევ გადამავლო მწუხარებით სავსე თვალები და გამშორდა... მე გამაკვირვა ასეთმა უეცარმა განშორებამ, ლაპარაკი კი მინდოდა, ძალიან მინდოდა ამ ადამიანთან და ძალიან შევწუხდი, ამის საშუალება რომ აღარ მქონდა. სამაგიეროდ დღიურები დამრჩა, ამდენი წვალებით და

ტანჯვით დაწერილი დღიურები, თუმცა იმ პირობით, რომ არ გამომექვეყნებინა, მაგრამ ამაზე მაინცდამაინც არ ვწუხდი, რადგანაც ეს მომავლის საქმე იყო. ის ღამეც, უკანასკნელი ღამე საგიჟეთში წვალებით, მაგრამ მაინც გათენდა. საკვირველია, ოდნავი რულიც კი არ მომკიდებია თვალზე. არ ვიცი, სიხარულისა იყო თუ მწუხარების ეს ღამის ტეხა. მგონია კი, რომ უფრო სიხარულის, რადგანაც რალაც იმედიანად მეზმანებოდა მომავალი, მეტ ღონეს ვგრძნობდი კუნთებში და ტვინში, ჩემს თავს რომ წარმოვიდგენდი შორს საგიჟეთიდან – იმ ქვეყანაში, სადაც ახლად იწყებოდა გაზაფხული ნაზი თეთრი კაბით და თეთრი ყვავილებით... სადაც ატირებული მთის ძირში წყარო დიოდა – ცივი, გემრიელი, სადაც შეყვარებული ჯეირანის ნახტომი გრილ სიოს აყენებდა ქოჩორა ბორცვების მკერდზე. ტყეები, სადაც განუწყვეტილად ისმოდა შეყვარებული მოლალურების ნაზი სტვენა, კოდალას ჯიუტი კაკუნი, მაგარი ნისკარტით რომ ცდილობდა ცხოვრების საიდუმლოს გაგებას, იქ, სადაც უმტვერო მინდორზე ვილაცის უხილავი ჯადოსნური ხელი უხვად ალაგებდა ღია ხასხასა ფერებს ხედვის, ყნოსვის და სმენის გასაგიჟებლად. იქ, იმ ქვეყანაში, გაურყვნელი ბუნების ნიაღში დაქანაობდა ჩემი ოცნება, რომელიც რალაც საარაკო შორეულ ნაპირივით ეზმანებოდა ჩემს საგიჟეთში განანამებ გონებას, სულსა და სხეულს.

გაისმა ისევ იმ საბედისწერო ზარის ხმა, რაც ნიშნავდა დილის „ჩაის“. ავადმყოფები ჩევულებისამებრ აწრიალდნენ. ატეხეს ერთი წივილ-კივილი, ჟანგიანი „კრუჟკების“ ტრიალი, პურისა და შაქრის თავში სროლა, სირბილი, კვნესა, ტირილი, კივილი, მეორედ მოსვლა და ყველაფერი ეს ამ დაწყვეტილი „ჩაის“ ბრალი იყო, თორემ ზარის დარეკვამდე სრული სიწყნარე იდგა მთელ განყოფილებაში. კვნესაც კი არ ისმოდა. ბრძოლა რომ გათავდა, და შეურაცხყოფილი გულები ოდნავ დაცხრნენ, განყოფილებას გავყევი ძველი ნაცნობების დასათვალიერებლად. ამ დროს მომვარდა ის, ღვთისმშობელს რომ წერდა წერილებს და მითხრა:

– მე, როგორც გავიგე, თქვენ დღეს მიდიხართ აქედან და ჩვენებს გადაეცით, რომ ვარლამსაც ამ დღეებში გაანთავისუფლებენ-თქო.

– მერე თქვენ რა იცით, რომ მე დღეს მივდივარ? – უნებლიედ შევეკითხე.

– შე სულელო, მე თვითონ გავეცი განკარგულება თქვენი განერის შესახებ და თქვენ კი მეკითხებით, მე რა ვიცი. ჰოდა, შენ თვითონ გაიგებ, მე რაც ვიცი. გაბრძანდი აქედან, ნახე ის ელექტრომოტორები, ის დიზელები, ის ხიდები, ის ავტო-მოტო-მონო-ციკლები, შენი თვალთ ნახე, თუ რის შემძლებელი ვარ და რა მივეცი გაფუჭებულ კაცობრიობას. მე აქ ჩამკეტეს და თვითონ კი ჩემი გაკეთებული მანქანებით დასეირნობენ... ჰაი, დიდო ვარლამ! და ავადმყოფმა მწარედ ამოიოხრა, – ანდა შენთან რა ვილაპარაკო, რეგვენი ყოფილხარ. შენ რომ პატიოსანი კაცი იყო, აქედან რად გაგწერდნენ. რატომ სხვას არა სწერენ?

ამ სიტყვებით ჩვეულებრივზე მეტად გაახილა თვალები, სახეში სისხლი მოაწვა, აენტო, ანითლდა, აკანკალდა და, ვინ იცის, რითი გათავდებოდა ჩვენი ეს უკანასკნელი შეხვედრა, რომ „მომვლელები“ არ ჩარეულიყვნენ ამ საქმეში, რომლებიც, სიმართლე ითქვას, ეხლა უკვე საკმაო პატივისცემით მეპყრობოდნენ, ალბათ, იმათაც გაიგეს ჩემი დაჭკვიანების და განერის ამბავი.

ამის შემდეგ სულ ორ საათს აღარ გაუვლია, რომ ხელახლა დამიძახეს. მონყალების დამ გამიყვანა განყოფილებიდან და წამიყვანა სადღაც შორს. კარგა მანძილი რომ გავიარეთ, ერთ ვინრო დერეფანში შევედით. მონყალების დამ კარები გააღო, და ოთახში შემიშვა, თვითონ კი კარში გაჩერდა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, რომ ისევ იმ ოთახში მოვხვდი, სადაც სულ პირველად გამსინჯეს ექიმებმა... ექიმები თითქმის ყველანი იყვნენ. პროფესორი „სარდინკაც“ იქ იყო, თავის მოაჯირიან სკამში იჯდა თითქმის ისევ იმ პოზაში და მედიდურად გამოიყურებოდა... ის მოხუცი გაეშმაკებული ექიმი იქ აღარ

ჩანდა, სამაგიეროდ, ჩემი მეგობარი ქალი იჯდა იმ ადგილზე, საკმაო სიდინჯით და დალაგებით რაღაცას მოუთხრობდა პროფესორს და კოლეგებს. საკმაოდ ზრდილობიანად მიმიპატიჟეს და დამსვენეს პროფესორის პირდაპირ, სწორედ ისე, როგორც პირველად. კარგა ხნის ბაასის შემდეგ პროფესორი მომიბრუნდა და ალერსიანად მკითხა:

– როგორ გრძნობთ თავს? გადავწყვიტეთ, რომ თქვენ მორჩენილი ხართ, რომ თქვენ სრულიად დაწყნარებულმა შეგიძლიათ მიხედოთ თქვენს საქმეს, თქვენს ოჯახს.

მე უნებლიედ მადლობა გადავუხხადე ასეთი დიდი თანაგრძნობისათვის. ჩემმა მორცხვობამ და თავზიანობამ, როგორც ჩანდა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ექიმებზე, რომლებიც ერთმანეთს შეჰყურებდნენ და სიამოვნებით იღიმებოდნენ. უხაროდათ ჩემი მოჭკვიანების ამბავი. ერთადერთი ჩემი მეგობარი ექიმის სახე იყო მკაცრი და სუსხიანი, გაფითრებული და შუბლშეკრული, ნალვლიანი ხმით, დინჯად მოუთხრობდა ამხანაგებს ჩემი უკანასკნელი დღეების აზრიან ყოფაქცევას, რომელმაც გააბედინა ექიმს ჩემი განერა... ეტყობოდა, ყველას მოსწონდა იმისი ნალაპარაკევი და უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ.

ექიმმა რომ გაათავა, შემდეგ პროფესორმა დაიწყო:

– აი, ზირან, ეხლა თქვენ მთლად მორჩენილი ხართ. ის ავადმყოფობა, რომელიც თქვენ გქონდათ, მაინც მაგაზე მეტ ხანს არ გრძელდება. ეხლა თქვენ შეგიძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება და სამსახური. ერთი რამ კარგად უნდა გახსოვდეთ – არაფერზე არ უნდა იფიქროთ. ფიქრს საერთოდ ცუდი გავლენა აქვს შენისთანა ავადმყოფების ფსიქიკაზე, ბევრი არ იმუშაო, ძალიან არ დაიღალო. ხშირად გადი ქალაქიდან დასასვენებლად და ამგვარად, თუ ოდნავი რამე გაუკუღმართება დატოვა გადატანილმა ფსიქოზმა, რაც ხშირად ხდება ხოლმე, მაგისი ნუ შეგეშინდება, ყველაფერი თანდათანობით გამოსწორდება. თანაც გახსოვდეს, თუ სისწორით არ შეასრულე ის, რასაც ეხლა მე შენ გეუბნები,

მაგ ავადმყოფობამ გამეორება იცის... ერთი სიტყვით, ფიქრებს  
ერიდე, ფიქრებს...

ამ სიტყვებით წამოხტა და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან...

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი „სიჭკვიანის“ უკანვე დაბ-  
რუნების პროცედურა... დაუძახეს მოწყალების დას და უბრძანეს  
ჩემი განერა. ამის შემდეგ ისევ უკან წავედი განყოფილებაში,  
ისევ ჩემს ოთახში მომიხდა ცდა, ვიდრე ტანისამოსს მომიტანდ-  
ნენ. დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ესეც მოხდა. მე გამწარებით  
მიძგერდა გული ამ მოლოდინში და ტანისამოსი რომ დავინახე,  
უნებლიედ ცრემლი მომადგა თვალში, რომელიც ძალდატანებით  
გადავყლაპე და თან გადავავოლე რაღაც ისეთი შხამიანი და  
მწარე, რომ მთლად გავმწარდი. საჩქაროდ გავიძრე სუნდაცე-  
მული და ჭუჭყიანი საავადმყოფოს საცვლები, ხალათი და სა-  
კუთარში გამოვეწყე. სასაცილო ის იყო, რომ ჩემი დაგლეჯილი  
ჰალსტუხიც კი უვნებლად შეენახათ. მის დანახვაზე მწარედ  
გამეცინა, ამოვიღე, დავბერტყე და წამოვიცვი ყელზე. ერთი  
სიტყვით, სულ მალე დამიბრუნდა ძველებური იერი. გამოვედი,  
მზრუნველობით ჩავილაგე უბეში ძვირფასი სახსოვარი, ჩემი  
მეგობარი ექიმის დღიურები და ნელი ნაბიჯით გავყევი განყო-  
ფილებას გასასვლელი კარებისაკენ... უცბად ისევ იმ ავადმყოფმა  
მომკრა თვალი, მომიახლოვდა, ამხედ-დამხედა, რაღაც უცნაუ-  
რად გაიცინა და თქვა:

– უჰ, ეს კარგი ოხერი ყოფილა!... მამა გიცხონდა, ჰალს-  
ტუხის მეტი არაფერი გაკლია, არა? მამაშენიც მაგ ჰალსტუხმა  
არ დაახრჩო? – და ერთი ღონივრად მომაფურთხა. ჰალსტუხში  
მომხვდა იმისი ფურთხი, – რატომღაც ჩემს გარეგნობაში მარტო  
ამან გააბრაზა ის ავადმყოფი. მე ხმა არ გავეცი, ან კი როგორ  
გავცემდი, ვგრძნობდი, მტყუანი ვიყავი... ანდა მართლა რა დროს  
ჰალსტუხის გაკეთება იყო ამ მდგომარეობაში... ეს გავიფიქრე,  
ჩუმად მოვიწმინდე ეს სამართლიანი ფურთხი და გამოვედი.

მე მახრახებდა ის, რომ მაინც უფურთხოდ, შეუგინებლად ვერ გათავდა ეს ჩემი საკმაოდ სახიფათო მგზავრობა საგიჟეთში...

განყოფილებიდან რომ გამოვედი და გამოვიარე კარგა მანძილი, უეცრად, სადღაც შორს ჩაილენა ფანჯარა და გაისმა გულშემზარავი ხარხარი. ამ ხმაში კაკო ვიცანი. ალბათ, სადმე მალალ ფანჯარაზე მოკიდებულმა დამინახა, ჩაილენა ფანჯარა და გულნატკენმა ასე საზარლად გადაიხარხარა.

ქუჩაში რომ გამოვედი, მხოლოდ მაშინ მოვუკელი ნაბიჯს. რაღაც სხვანაირი მეჩვენა ქუჩაც, ხალხიც... მივდიოდი თავჩალუნული. მწვავე სიცხე და ჟრუანტელი მივლიდა სხეულში. მეგონა, რომ ყველა მე მიყურებდა, მეგონა, რომ ყველა მე დამციწინოდა. ამ ყოფაში ისევ ფეხს ავუჩქარე და თითქმის სირბილით მივედი სახლში. კარი რომ გავაღე და დიდი ხნის დაკეტილი სიცივე და სუნი მომხვდა გახურებულ შუბლზე, მხოლოდ მაშინ დავწყნარდი. დავწყნარდი და მწარედ გამეცინა. ეს სიცილი ტირილზე უარესი და მწვავე მეჩვენა.

ამგვარად, თითქმის უვნებელი და ვუბრუნდი ჩემს პირველყოფილ მდგომარეობას. საკვირველია, მიუხედავად პროფესორ „სარდინკას“ დასკვნისა, მე ეხლა უფრო ავად და შეშლილად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ვიყავი მაშინ, იმ საბედისწერო ორშაბათს, როდესაც სულ პირველად განვიზრახე საგიჟეთში წასვლა, მაგრამ წარსულ საქმეს რაღა ეშველებოდა? ჩემზე მცოდნე ხალხი რასაც მეუბნებოდა, მინდოდა თუ არ მინდოდა, მაინც უნდა დამეჯერებინა. დავიჯერე ჩემი დაჭკვიანების ამბავი და იმ დღიდან ხელახლა შევეუდექი ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას.


ამ ამბის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო... მე დიდხანს აღარ გაეჩერებულვარ იმ ადგილებში, შორს გადავიხვეწე, მაგრამ ერთხელ ნატკენმა გულმა მას შემდეგ ვეღარ მოისვენა. ვერსად ვერ მოვასვენე ამდენი ხეტიალით მოღლილი სული და სხეული, ასე შენუხებული და უთვისტომო. ხან სად ვცხოვრობდი, ხან სად, გულქვა ევროპის სხვადასხვა დიდ და ლამაზ ქალაქებში.



მრავალფეროვანმა ყოველდღიურმა ცხოვრებამ თითქმის სულ მთლად გადამავინყდა წარსულ დღეთა სულიერი დღევანი, ახალგაზრდობის ანთება და სიყმაწვილის ცრემლები და თითქმის ოდნავი ღიმილითაც ვიგონებდი ჩემს წარსულს... რომ ერთ დღეს გაზეთებმა სენსაციური ამბავი ამცნეს მთელ ქვეყანას: ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ერთ-ერთ შეშლილ ავადმყოფს დაეხრჩო იმავე საავადმყოფოს ექიმი ქალი, რომელსაც უკვე დიდი ხანია მწვავე ფსიქოზის ნიშნები ემჩნეოდაო. მიცვალებულს უპოვეს პატარა ბარათი: „მე განგებ განვიზრახე, ავადმყოფს მოვეკალი.“ ამ ამბის წაკითხვაზე გამახსენდა ჩემი საავადმყოფოში ყოფნის მწარე წუთები და დამნაშავედ ვთვლიდი თავს, როგორც მოწმე ამ აღმაშფოთებელი ყოფისა. ამის შემდეგ უფრო შორს, ძალიან შორს გადავიკარგე, განაპირებული ხალხისგან და გაბოროტებული ცხოვრებისაგან. ახლა უკვე გულწრფელად ვნატრობდი საგიჟეთის მღელვარე, ზედმეტად მღელვარე მყუდროებას...

30/IX-30/X-27 წ.

ტფილისი, სოლოლაკის ქ. 5



ლადო კოტეტიშვილი –  
ავტოპორტრეტი.



ლადო კოტეტიშვილი –  
ვაჟა-ფშაველას პორტრეტული ქანდაკება,  
რომელიც ინახება ლიტ. მუზეუმში..



ლადო კოტეტიშვილი – მეუღლის აპლიკაცია.



ლადო კოტეტიშვილი –  
უმცროსი ქალიშვილის – ნანას პორტრეტი, შესრულებული მისივე  
ფერადი ფანქრებით.

## მწერალი და ბედისწერა

წიგნებს თუ აქვთ ბედისწერა, ბევრნილად მას მწერლის ბედისწერა განსაზღვრავს. ქვეყანა და დრო-ჟამი ჰკრავს ამ ბედისწერას.

ბედისწერად თუ მივიჩნევთ, რომ ლადო კოტეტიშვილის წიგნი ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ხდება სწორედ ერთი ასწლეულით გვიან.

კითხულობ ამ მოთხრობებს,ჩანაწერებს და ცხადი ხდება,რომ თბილისს ისეთივე გასაჭირი ადგას, ქართველთ – იმგვარივე. ახალ გამოწვევებს თბილისში ისევ ტრაგიკულად ეწირებიან მიხაკასნაირი ადამიანები, არც მტკვარი იცვლის ფუნქციას და ისევ დუდუნებს მემამაციანის დარად. ისევ რეკს სიონის ზარი და მლოცველთა ღაღადისი სასოებას ელის... ამ ორ დროებას კი მწერლის მახვილი თვალი და მკითხველის სინანული ამთლიანებს: ადრე რომ გამოცემულიყო, წაიკითხავდა ან უკვე გარდასული, ან მიმავალი თაობა. ადამიანებს, ვინც კითხულობდა და იცნობდა თავისი საუკუნის მწერლებსა და მათ შემოქმედებას. ახლა კი თითქმის ერთი საუკუნით გვიან გამოცემული, თავისი დრო-ჟამიდან, თავისი რეალობიდან ამოვარდნილი ეცდება თავისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებას.

და ალბათ ესაა ამ წიგნისა და ლადო კოტეტიშვილი- მწერლის ბედისწერა.

მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ „კეთროვანთა ზღაპრებს“ სიმბოლისტიკის, იმპრესიონისტიკის, ცისფერყანწელების სუნთქვა მოაქვს, მათი იდემალება, მითოსის ქმნადობის წყურვილი აქვს და ზღაპრული ფერადოვნებისა და ჯადოსნობის ალში ინვის. ეს თითქო ახალგაზრდული „სახადი“ უკვე დაძლეულია შემდგომ მოთხრობებსა და განსაკუთრებით „საგიჟეთში“. უკვე სრულიად სხვა ხელნერით რომ არის შესრულებული. მწერალი რეალისტურ აღქმას უბრუნდება და ექიმის პროფესიული თვალის მნიშვნელოვნად ეხმარება. ადამიანის სულიერი სამყაროს ფიზიკურად, სიტყვიერად და განცდისმიერად გამოხატვის ძალას ფლობს. მწერალი სიღრმისეულ ფსიქოლოგიურ ხედვას გვთავაზობს და თითქოს საშველსა და წამლობასაც ცდილობს. მძაფრი რეალობა სიმბოლურ სიმაღლემდე ადის და მთელი საბჭოეთის ყოფის, ქართული რეალობის სიცხადედ წარმოდგება. თანამედროვე მკითხველს ახსენდება „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, „კამილა კლოდელის“ და სხვათა ბედისწერა საგიჟეთის კედლებში, მაგრამ ქართველთა საგიჟეთი ლადო კოტეტიშვილმა ბედის თანაზიარობად აქცია. თუმცე ეს სიცხადე მძაფრია და მაღალმხატვრული, მაინც უფრო დროგასულია, რადგან მკითხველმა იცის, რომ წინა საუკუნის მწერლის თანადროულ საგიჟეთს ჯერ არ დამატებია სხვაგვარად მოაზროვნეთა, ანტისაბჭოურად მოაზროვნეთა სატანჯველის ფუნქცია. მწერალი და ექიმი ქალი თითქო ამ საშინელების მოახლოვებას წინასწარმეტყველებენ, როდესაც ექიმი ქალის ტრაგედიას ხატავს მწერალი გულშემზარავი აღსარებით., ტრაგიკული ბედისწერით.

რა არის ადამიანის ცხოვრებაში უმთავრესი გრძნობა? გონება? ფიქრობ ამ საგიჟეთის მკვიდრთა გაცნობისას. თითქოს ექიმი და მწერალი ერთმანეთს ეცილება. „გული, გრძნობა და გონება“-რუსთველს მიაჩნდა ერთ მთლიანობად, არცერთის მოკლება და დამცრობა არ შეიძლებაო....ლადო კოტეტიშვილი ხატავს გრძნობადარღვეულ, გონებადაკარგულ და სიტყვა-

მოზღვავებულ ადამიანებს, თითქო სახედაკარგულებს, მაგრამ არა უგულოებსა და შეუბრალებლებს, ფარისევლებსა და მოძალადეებს, ანგარებიან და მლიქვნელ ადამიანებს, რომლებიც საგიჟეთის გარეთ ცხოვრობენ და უფრო საშიშნი არიან კიდევ. საგიჟეთი კი ადამიანების ვნებათა და ცოდვათა ფონზე ააშკარავებს ადამიანის მყოფობის ტრაგიკულობას. თითოეული სნეულის ამბავი არაპირდაპირ ცხადდება სნეულებით, სიტყვათა და წარმოსახვათა გათამაშებით, შიშისა და მრისხანების მონაცვლეობით, ადამიანური ცნობიერისა და ფარული შრეების გამომზეურებული სიცხადეებით. ოფელიასავით სიყვარულითა და ღალატით შემოღილი ქალების მთელ გალერეას ხატავს მწერალი ფერადოვნად, მაღალმხატვრულად. მთელი საგიჟეთი ემსგავსება ღვთისგანმიტოვებულ სამყაროს, უღვთო რეალობას, სადაც მხოლოდ ერთი შემოილის გაუთავებელი ლოცვალადისი ისმის, დაუსრულებელი ლოცვა და უფლისადმი ვედრება-საგალობელი, როგორც ხსოვნა ღვთისა, სასოებისა და მფარველობის მოლოდინი.... საგიჟეთის განცდადარღვეულთა და გონწართმეულთა შორის კი ღვთისადმი ლოცვაც ამაოდ და უსაშველოდ მოჩანს, როგორც მთელი საუკუნის ხატ-სახე-ეკლესიათა დამაქცევარი, ზარების ჩამომგდები უღვთო თაობები.

დიდი შთაბეჭდილება, გაცემა ერთი საუკუნით გვიან გამოცემული მწერლის ნაკითხვისას გვაფიქრებინებს კიდევ, რომ ლადო კოტეტიშვილის ადგილი თითქოს არც უნდა ყოფილიყო იმ რეალობაში, რომელსაც საბჭოთა საქართველოს გარიჟრაჟი ერქვა. თითქოს ბედისწერამ განუსაზღვრა ასე. აარიდა იმ დროში დარჩენა და ცხოვრება, ახალგაზრდა გაიყვანა ამ წუთისოფლიდან. მწერლურმა ნიჭმა კი იჩქარა მოესწრო და დატოვა საოცარი სიცხადით აღბეჭდილი ნაწარმოებები.



ლადო კოეტიშვილის მრავალმხრივი ნიჭი და სულიერი ხედვა ნათლად გამომჟღავნდა მის ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

საზოგადოება არ იცნობს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მის მოთხრობებს. მხოლოდ ერთი „გოჩმანას“ ნაკითხვაც კი კმარა, რომ მკითხველი ეზიაროს საოცარ შემოქმედებით ხელწერას. ძველი თბილისის ისტორიული ფონი, მიმწუხრი ძველ დროებისა და ახალი თბილისის დაბადება. სევდიანი გზაგასაყარი, ერთგვარი დაპირისპირება ორ სამყაროს შორის. ხის აივნებიანი, რიკულებიანი ძველი ქალაქის მაღლი და „ნითელი“ ავადობაშეყრილი ახალი უღმერთო თბილისი მწერლური ოსტატობით არის დახატული, ჭეშმარიტი ფერმწერის ხედვით არის შესრულებული ძველი თბილისის შუკების, აივნების, სახლებისა და ქუჩაბანდების სევდიანი იერი, დაღლილი მზერა და უიმედო მომავლის წინათგრძნობა. ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო სამყაროს შორის დგას სიონი, მწერლის ხილვით „წინილებში ჩაფრენილი არწივივით დგას“. მარტო ის სდარაჯობს ძველ დროებას და თავის ფრთებქვეშ იფარებს მოხუცებსა და უსახოებს, მლოცველ, სიკვდილს მიახლოვებულ მრევლს. ახალგაზრდობა უღმერთოდ, ცოდვით დამძიმებული, სიონისგან ზურგშექცევით, შრომის გაღმერთებით, კლუბებით, ქარხნებითა და სოც. შეჯიბრებებით ცხოვრობს.

გოჩმანა ერთი საცოდავი მოხუცი კაცია. მთელი ცხოვრება ყველა დასცინოდა და აბუჩად იგდებდა. ულუკმაპურო, უარსებო, უწარსულო კაცი, რომელსაც თითქოს სოციალიზმის გარიჟრაჟზე, მუშურ-გლეხურ ფერხულში, სადმე ფაბრიკაში უნდა ეპოვა თავისი ადგილი და შვება ეგრძნო, მაგრამ მან სიონში ჰპოვა ნავთსაყუდელი, აქ იგრძნო თავი ადამიანად, პირველად თავის ცხოვრებაში პიროვნული ღირსების გრძნობით აივსო. აქ ჰპოვა ჭერი და სითბო, სულიერი ძალა შეიცნო.. მნათედ გაამწესეს გოჩმანა და სიონის დიდი ზარის მესაიდუმლედ და მესიტყვედ იქცა. ნამდვილი აღმაფრენა და სიყვარული ზარების რეკვით იგრძნო.

ერთი ხელის მოსმით არის შესრულებული გორმანას პორტრეტი, მისი სულის სიღრმისეული ნვდომა, ეჭვები, ღვთაებრივი სიზმარი... გორმანა ქართველი კვაზიმოდოა, სიონის ზარის სიყვარული და ერთგულება ასულდგმულებს. უღმერთო ახალი თბილისი ამ ზარის ჩამოხსნის და ინდუსტრიის მიზნებისთვის გამოსაყენებლად შორს წაიღებს, „რუსული დროგით“. თითქოს სამუდამოდ დადუმდა არა მხოლოდ ზარი, ძველი თბილისი, ძველ დროთა ხმა და სუნთქვაც კი...

დარდისგან ჭკუაშემოწლილი გორმანა დარბის თბილისის ქუჩებში. ენაჩავარდნილი მუნჯი მოხუცი ერთ ხელს ცისკენ იშვერს, – ალბათ ღმერთს ახსენებს ხალხს, მეორეს გულში იცემს და „ზარის ხმასავით“ განწირულად ღმუის.

უცხო და შორეულია გორმანას სათქმელი ახალი დროის თბილისისათვის. უგულო და უგრძნობია ქალაქი. მისი ავისმომასწავებელი სიცივე ტრაგიკულად შეუგრძვინია მწერალს და გორმანას სახეში გამოუკვეთავს.

მკითხველი იგრძნობს ლადო კოტეტიშვილის სალიტერატურო არეალს – ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის „ხედვისა და აღქმის“ ტრადიციას, მაგრამ ორიგინალურ მხატვრულ ხელწერას.

„გორმანა“ ათეული წლების მანძილზე ოჯახის არქივს არ გასცილებია. თითქოს სიმბოლურია ამ მოთხრობის სამზეოზე სწორედ ახლა გამოსვლა.

სარწმუნოებრივად ალორძინებული ქართველობა მიმტევებლურად გაჰყურებს მაშინდელ „ახალ თბილისს“ – ფაბრიკა-ქარხნების, მუშურ-გლეხური უღმერთობის აგონიით დაღლილ, მინავლებულ სოციალისტურ წარსულს...

გორმანა სიმბოლური სახეა ადამიანთაგან დავიწყებული, შერისხული და დაცინული გლახაკისა, რომელსაც ღმერთი თავად ახსენებს მათ ზეციურ სამყოფს, ღვთიურ მცნებებს...

გორმანა ადამიანური ხატია თავად დაცემული საზოგადოებისა, მასავით უსახური, უტყვი... მაგრამ სულიერი ღირსების მადლით აღმდგარი.

## სარჩევი

წინათქმა (ნანა კოტეტიშვილი).....	5
ლადო კოტეტიშვილი – მეოცე საუკუნის უცნობი სული ქართული ლიტერატურისა (ზაალ ჩხეიძე).....	9
ლადო კოტეტიშვილი, პიროვნება და შემოქმედი (ნათია ხორნაული).....	15
ძის ლადო (ვახუშტი კოტეტიშვილი).....	26
ბოჩმანა.....	37
მიმდრალი ჩრდილები.....	69
კეთროვანთა ზღაპრები .....	104
საბიჟეთში.....	205
მწერალი და ბედისწერა (ლია წერეთელი).....	345

## ბიოგრაფია

ლადო ილიას ძე კოტეტიშვილი დაიბადა 1895 წლის 4 დეკემბერს სოფ. დიდ თონეთში, მღვდლის ილია კოტეტიშვილის ოჯახში. დედა – ეკატერინე (კატო) ბიძინაშვილი ქართული ხალხური პოეზიის კარგი მცოდნე იყო. მან თავის შვილებს ივლიტას, ვახტანგს, გიგოს და ლადოს ბავშვობიდანვე ჩაუწერა სამშობლოსა და ხალხური პოეზიის დიდი სიყვარული.

ლადომ დაამთავრა მცხეთის სამრევლო სკოლა, სადაც იმხანად მამამისი ილია მღვდლად იყო განწესებული. შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია.

უმალესი განათლება ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე მიიღო და სამუშაოდ იქვე დარჩა ნევროლოგიურ კლინიკაში ნევროპათოლოგად.

საქართველოში დაბრუნებისას მუშაობდა ექიმად კახეთში, ახალსოფელში. შემდეგ იყო საექიმო პუნქტის გამგედ აჭარაში, ხულოს რაიონში. ჰყავდა მეუღლე – ნინო მაყაშვილი და სამი ქალიშვილი: იათამზე (იათო), ელისო და ნანა.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ მუშაობდა ორდინატორად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, შემდეგ მე-14 პოლიკლინიკაში



რაიონულ ნევროპათოლოგად. სიცოცხლის ბოლო 1934-1940 წლებში იყო სან-ჰიგიენური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი სახალხო მედიცინის დარგში.

1939 წელს სან-ჰიგიენური ინსტიტუტის მიერ მივლინებული იყო ლენინგრადში 6 თვით, სადაც მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართული მედიცინის ხელნაწერებზე. ეს არ იყო ადვილი სამუშაო. ლადო ნესტიან სარდაფში, სიცივეში თითქმის ოცდაოთხი საათი არ სცილდებოდა ხელნაწერებს, ცუდად იკვებებოდა, რაც მძიმედ აისახა მის ჯანმრთელობაზე. ლენინგრადიდან ლადო დასნეულებული დაბრუნდა. გარდაიცვალა 45 წლის ასაკში, 1940 წლის 18 თებერვალს.

დასაფლავებულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, კოტეტიშვილების საგვარეულო ადგილას.





## გამომცემლობა ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.

ტელ./ფაქსი: 225 05 22, 291 22 83.

[www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge) [info@intelekti.ge](mailto:info@intelekti.ge)



სტამბა დამანი  
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

[stamba.damani@gmail.com](mailto:stamba.damani@gmail.com)

📘 სტამბა დამანი / Print House Damani



ISBN 978-9941-476-94-5



9 789941 476945